საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ
მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი

ვ. ქაჯაია

ქართველი პედაგოგები

(ნარკვევები)

ინსტიტუტის გამომცემლობა
თბილისი—1955

ავტორისაგან

წინამდებარე წიგნში „ქართველი პედაგოგები (ნარკვევები)“ განხილულია XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ცნობილი ქართველი პედაგოგების—ნიკო ცხვედაძის, ალექსი ჭიჭინაძის, შიო ჩიტაძისა და ივანე გომელაურის ცხოვრება, საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობა და პედაგოგიკური ნააზრევი.

ამ წიგნის პირველ ორ ნარკვევში („ნიკო ცხვედაძე“ და „ალ. ჭიჭინაძე“) ჩვენ მიზნად დავისახეთ, ნ. ცხვედაძისა და ალ. ჭიჭინაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან ერთად და მასთან დაკავშირებით, შეძლებისდაგვარად გაგვეშუქებია დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს მეთაურობით წარმოებული ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოხატულება სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების დარგში XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში.

მოწინავე ქართველ პედაგოგთა იმ პლეადას, რომელიც თავისი პრაქტიკული და თეორიული მოღვაწეობით ამ მოძრაობას ზურგს უმაგრებდა და ამ გზით ნაციონალური სწავლა-განათლების ტრადიციას ჰქმნიდა, სათავეში ედგა ილია ჭავჭავაძის უახლოესი თანამებრძოლი, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი წარმომადგენელი, დიდი ქართველი პედაგოგი ი ა კ ო ბ გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი.

ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის სისტემატური და დაუცხრომელი ბრძოლა ქართველი ხალხის უფლებათა დასაცავად სახალხო განათლების დარგში იმდენად დიდ შედეგებს ვერ მოიტანდა, რომ მათს პროგრესულ იდეებს შედარებით მრავალრიცხოვანი პედაგოგ-მოღვაწეები არ ჰყოლოდა ენერგიულ დამცველად და განმახორციელებლად. მათი შრომა და ნაყოფიერი შემოქმედებითი საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობა დღითი დღე აცოცხლებდა და ავითარებდა ქართული კულტურის ჩანასახებს და ამით გარკვეულ ნიადაგს

ჰქმნიდა ქართველი ახალგაზრდობის ნაყოფიერი აღზრდისა და სწავლა-განათლებისათვის.

წიგნში მოთავსებული ორი უკანასკნელი ნარკვევი — „შიო ჩიტაძე“ და „ივანე გომელაური“ ახასიათებს ამ პედაგოგების მრავალფეროვან საზოგადოებრივ-პედაგოგიურ მოღვაწეობას XX საუკუნის დასაწყისსა და მის შემდეგაც (ი. გომელაური).

ამ წიგნში მოთავსებული ნარკვევები ცალკე წიგნებად იყო გამოცემული ამ რამდენიმე წლის წინად. ისტორიულ-პედაგოგიკური მონოგრაფია „ნიკო ცხვედაძე“ გამოსცა ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა (1946 წ.), „ალექსი ჯიჯინაძე“—გაზ. „სახალხო განათლების“ რედაქციამ (1946 წ.) ხოლო „გამოჩენილი ქართველი პედაგოგი შიო ჩიტაძე“ (1948 წ.) და „ივანე გომელაური“ (1947 წ.) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა. ეს ნარკვევები ამ წიგნში ამჟამად იბეჭდება ახალი მასალებით საფუძვლიანად შევსებული და შესწორებული სახით.

ამ წიგნს არა აქვს ერთი მთლიანი ნაშრომის პრეტენზია. მასში მოთავსებული ყველა ნარკვევი ერთნაირი სიღრმით არ არის დამუშავებული, წიგნში ზოგჯერ ადგილი აქვს ნაწილობრივ გამეორებას (მაგალითად, სხვადასხვა ნარკვევში თბილისის ქართული გიმნაზიის რეორგანიზაციის საკითხის განხილვისას). ზოგ ნარკვევში ცალკეულ დებულებათა დასაბუთებისათვის არ მოვერიდეთ მოტანილ მასალათა სიუხვესაც.

თუ ეს „ნარკვევები“ მკითხველებს გააცნობს XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ცნობილი ქართველი პედაგოგების—ნიკო ცხვედაძის, ალ. ჯიჯინაძის, შ. ჩიტაძისა და ივ. გომელაურის ცხოვრება-მოღვაწეობასა და პედაგოგიკურ ნააზრევს და, ამავე დროს, ერთგვარ მასალად გამოდგება სახალხო განათლებისა და პედაგოგიკური აზროვნების ისტორიის შესასწავლად საქართველოში, ავტორი თავის შრომას უნაყოფოდ არ ჩათვლიდა.

ვ. ძ.

29. XI-54 წ.

ნიკო ცხვედაძე
(1845—1911)

ნიკო ცხვედაძე

გწამდა მარადის ჩვენი ქვეყნის აღორძინება,
თუმცა გვახრჩობდა თვითმპყრობელის ხელი საზარი.
ვერ შეგაშინა უსასტიკეს მტრების გინებამ
და გადასწყვიტე, რომ აგეგო ცოდნის ტაძარი.
ილიას ჰგავდი ნიადაგით, ძალღონით სავსე,
შენ ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი მართლა გჯეროდა,
ნეტავ ხედავდე, ზხე ვით ბრწყინავს სამშობლოს თავზე,
როგორ ამოდის ხე სიბრძნისა დარგულ ღეროდან.

ვალერიან გაფრინდაშვილი.

1. ნიკო ცხვედაძის ახალგაზრდობა და მისი პირველი ნერილები ძართულ პრესაში

XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის ნიკო ცხვედაძეს მეტად საპატიო ადგილი უჭირავს. იგი სახელგანთქმული ქართველი მწერლისა და მოაზროვნის ილია ჭავჭავაძის თაობის დიდ საზოგადო მოღვაწეთა პლეადის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ნიკო ცხვედაძე 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში უანგაროდ და დაუღალავად ემსახურებოდა ქართველ საზოგადოებაში კულტურა-განათლების დანერგვისა და გავრცელების დიდ ეროვნულ საქმეს და მან ამ დარგში თავისი მოვალეობა მშობლიური ხალხისა და ქვეყნის წინაშე უმწიკვლოდ და კეთილსინდისიერად შეასრულა.

ნიკოლოზ ზებედეს-ძე ცხვედაძე დაიბადა სოფელ სოჭინში (ცხინვალის ხეობაში) 1845 წლის 27 იანვარს, სოფლის მღვდლის ოჯახში, იგი ჩამომავლობით გლეხი იყო. წარმოშობით ცხვედაძეები სოფელ თაგვიეთიდან (გორის მაზრა) ყოფილან, საიდანაც, მებატონეებისაგან შევიწროების გამო, აყრილან და სოფელ ღილოვანს (თბილისის მაზრა) გადასახლებულან. ნიკოს მამას—ზებედეს სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში მიუღია, რის შემდეგაც საეკლესიო სამსახური დაუწყია. ზებედე ცხვედაძე (გარდაიცვალა 1856 წ.) თავის დროისათვის განათლებული კაცი ყოფილა. მას ღრმად ჰქონია „გულში ჩანერგილი ქართული მწიგნობრობისა და განათლების პატივისცემა და შვილების აღზრდის სიყვარული“. ნიკოს დედა, მარიამ კავსაძის ასული (გარდაიცვალა 1897 წ.) სათნო ბუნების ადა-

მიანი ყოფილა, „მწიგნობარი, ამასთან დიდად მოყვარული წერა-კითხვისა“[1].

ბავშვობის დაუვიწყარი წლები ნ. ცხვედაძემ სოფ. სოჭინში და შემდეგ სოფ. კავთისხევში გაატარა, სადაც მამამისი იყო გადაყვანილი. წერა-კითხვა პატარა ნიკომ ოჯახში შეისწავლა. დაწყებითი განათლების მისაღებად 8—9 წლის ბავშვი მშობლებმა თბილისში ჩამოიყვანეს და სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს. „პატარა ნიკო ხარფუხში ცხოვრობდა ერთ სომხის დედაკაცის სახლში და იქიდან დადიოდა სასულიერო სასწავლებელში. როგორც სოფლის ღარიბ მღვდელს, ნიკოს მამას ძლიერ უჭირდებოდა შვილის ხარჯი თბილისში, მაგრამ რას იზამდა. დიდი სურვილი ჰქონდა შვილის გამოზრდისა და ამის გამო ყველა ტვირთს იტანდა“[2].

ნ. ცხვედაძემ წარმატებით დაასრულა სასულიერო სასწავლებელი და იგი ჩარიცხულ იქნა თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელშიც გამეფებული იყო მოსწავლეთა უაღრესად „დამამცირებელი რეჟიმი და იეზუიტური მეთოდები... თვალყურის დევნება, ჯაშუშობა, სულში ჩაძვრომა, აბუჩად აგდება“ (სტალინი). ასეთი სასწავლებელი, ცხადია, ახალგაზრდა ნ. ცხვედაძეს ბევრს არაფერს მისცემდა, რომ მას სისტემატური დამოუკიდებელი მეცადინეობის გზით თვითგანვითარებისათვის არ მოეკიდა ხელი. ნ. ცხვედაძე სემინარიის წლებში ფართოდ დაეწაფა მოწინავე მეცნიერთა თხზულებების საფუძვლიანად შესწავლას და მათი პროგრესული იდეებს მიმდევარი შეიქნა. ამ დარგში მას დიდ დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევდა დიდი ქართველი პედაგოგი ი. გოგებაშვილი. „მე და ნ. ცხვედაძემ მალე გავიცანით იაკობი. ხშირად დავდიოდით მასთან, დარიგებას გვაძლევდა და სხვადასხვა წიგნები მიგვქონდა მისგან საკითხავად“,— წერდა გ. იოსელიანი[3]. იმავე დროს ნ. ცხვედაძე სემინარიაშიც საუკეთესოდ სწავლობდა, რის შედეგად 1865 წელს წარჩინებით დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარია და, როგორც საუკეთესო კურსდამთავრებული, მის სკოლის განუყრელ ამხანაგთან გიორგი იოსელიანთან (1847—1919 წ. წ.) ერთად უმაღლესი განათლების მისაღებად მოსკოვის სასულიერო აკადემიაში გაიგზავნა სახელმწიფო ხარჯით.

ნ. ცხვედაძეს, რომელიც უკვე საკმაოდ გათვითცნობიერებული იყო, დიდი სურვილი ჰქონდა საფუძვლიან უმაღლეს საუნივერსიტე-

---

[1] ხ. ჭიჭინაძე, ნიკო ცხვედაძე, ჟურნ. „განათლება“, № 10, 1910 წ., გვ. 465.
[2] ჟურნ. „განათლება“, № 10, 1910 წ., გვ. 465.
[3] გ. იოსელიანი, ი. გოგებაშვილის ხსოვნას, კრებული „იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად“, 1913 წ., გვ. 261.

ტო განათლებას დაუფლებოდა, მაგრამ, იმის გამო, რომ მისი მშობლების ისედაც ხელმოკლე ოჯახს ახლა, უკვე სჭირდებოდა გაძლიერებული ზრუნვა ნიკოს უმცროსი ძმებისათვისაც[1], იგი იძულებული შეიქნა სემინარიის ადმინისტრაციის ნება-სურვილებს დამორჩილებოდა და უმაღლესი სასულიერო განათლება მიეღო.

მოსკოვის სასულიერო აკადემიაში ყოფნის პერიოდში (1865—1869) ნ. ცხვედაძე კიდევ უფრო ფართოდ და საფუძვლიანად შეუდგა მეცნიერებათა შესწავლას. იგი არა მარტო სასულიერო აკადემიის პროფესორების ლექციებს ისმენდა, რაც მისთვის, როგორც აკადემიის სტუდენტისათვის, სავალდებულო იყო, არამედ მოსკოვის სახელგანთქმული უნივერსიტეტის მოწინავე და წამყვანი პროფესორების აუდიტორიის მუდმივი წევრიც იყო, ახალგაზრდა ნ. ცხვედაძე „უმაღლეს სასწავლებელში თავისი ჩვეულებრივი მხნეობით დაეწაფა მეცნიერებათა შეთვისებას და სულ მოკლე ხანში შრომის მოყვარულობით და ნიჭით მიიქცია პროფესორების ყურადღება“[2]. ნიჭიერმა ახალგაზრდამ „მოსკოვში ჩასვლისთანავე გააჩაღა მუშაობა სტუდენტების მაშინდელ წრეებში და რეფერატების კითხვით და ჰირადი მსჯელობით სულ მოკლე ხანში დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, განსაკუთრებით ქართველ სტუდენტთა შორის... ნ. ცხვედაძე უმთავრესად დაუახლოვდა უნივერსიტეტის სტუდენტობას, რომელიც შედარებით შელავათიან პირობებში იყო, და თავისი ახალგაზრდული მისწრაფებანი ქართველი სტუდენტობის წრეებში გაშალა და გააფართოვა“[3].

აკადემიაში სწავლის პერიოდში დაიწყო ნ. ცხვედაძემ ლიტერატურული მუშაობა. მისი პირველი წერილი, რომელიც მიხეილ გურ-

---

[1] ნ. ცხვედაძის ძმები: ი ო ს ე ბ ი (დაიბადა 1855 წ.), კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე და ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე (გარდაიცვალა 1859 წ.) შემდეგში ცნობილი სახალხო მასწავლებლები და საზოგადო მოღვაწეები იყვნენ. იოსებსა და ალექსანდრეს ეკუთვნით ინიციატივა სოფ. კავთისხევსა და საგარეჯოში ჯერ კიდევ XIX საუკუნის 60-იან წლებში პირველი სამომხმარებლო კოოპერაციის ჩამოყალიბებისა (იხ. „კოოპერაციის განვითარების გზები“, 1927 წ., გვ. 125—127). ი. ცხვედაძე (იხ. ჟურ. „განათლების მუშაკი“ 1928 წ., № 16, გვ. 31—32) ზოგჯერ საინტერესო კორესპონდენციებს ათავსებდა ქართულ პრესაში, ალ. ცხვედაძე (იხ. „საქართველოს კალენდარი“, 1894 წ., გვ. 439) ავტორია სამი წიგნისა და სისტემატური თანამშრომელი (ა. კავთელის ფსევდონიმით) 1870—1890-იანი წლების ქართული ჟურნალ-გაზეთებისა, ხოლო კონს. ცხვედაძე ახალგაზრდობიდანვე პროგრესული იდეებით იყო გამსჭვალული, იგი 1872 წელს ხელმძღვანელობდა თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა გაფიცვას, რომელიც მასწავლებელ კოვროვის წინააღმდეგ იყო მიმართული.

[2] ა ლ. მ ი ქ ა ბ ე რ ი ძ ე, ნ. ცხვედაძის გარდაცვალების გამო, ჟურნ. „ნაკადული“, 1811 წ., № 11, გვ. 49.

[3] ა ლ. მ ი ქ ა ბ ე რ ი ძ ე, ნ. ცხვედაძე (საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის ხელნაწერი), გვ. 1.

გენიძის გარდაცვალების გამო არის დაწერილი, მოთავსებულია გაზეთ „დროებაში“ 1868 წელს. ამ წერილში ავტორი ფართოდ ახასიათებს მიხ. გურგენიძის ღვაწლს ქართველი საზოგადოების სასარგებლოდ და მის უმთავრეს დამსახურებად იმას თვლის, რომ მას უყვარდა ახალი თაობა და ცდილობდა მათთვის დახმარების აღმოჩენას, რომ მან „იცოდა თუ რა საჭირონი იყვნენ საქართველოსათვის განათლებული კაცები და ამისათვის ყოველს ღონეს ხმარობდა, რომ მოსწავლეებისათვის ხელი გაემართნა“. ავტორი თავის წერილს ასეთი საგულისხმო მოწოდებით ამთავრებს: „ბევრი ქართველი ყმაწვილი კაცი გულითა და სულით მიელტვის დიდ სასწავლებელში სწავლის მიღებასა, მაგრამ საუბედუროდ სიღარიბე უკან ახევინებს. ვისაც კი უყვარს თავისი მამული, ჰსურს თავისი ქვეყნის კეთილდღეობა, ის უნდა ცდილობდეს ახალგაზრდა ყმაწვილების შემწეობას, რადგანაც ესენი უნდა შეიქმნენ გამვრცელებელნი განათლებისა მომავალ შთამომავლობაში. ვისაც ჰსურს, რომ იმისი ქვეყნის კაცები არ გახდნენ გონებით მონანი, ის უნდა ცდილობდეს თავის მხრივ, შეძლებისდაგვარად, წაუმართოს ხელი ყველა ქართველს, სწავლის მიღების მსურველს“.[1] ასე მხურვალედ მოუწოდებდა ქართველ საზოგადოებას ქველმოქმედებისაკენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა სტუდენტი, ხოლო მომავალში თვითონ დიდი ქველმოქმედი და საზოგადო მოღვაწე ნ. ცხვედაძე.

ასეთივე შინაარსისა და დანიშნულებისაა ნ. ცხვედაძის მეორე წერილიც, რომელიც გამოგზავნილია გაზ. „დროებისათვის“ ქ. პეტერბურგიდან (ახლანდელი ლენინგრადი), სადაც უკვე აკადემიის კურსდამთავრებული ნ. ცხვედაძე 1869 წლის ზაფხულის თვეებში მივლინებული იყო საკანდიდატო დისერტაციის დასამუშავებლად. ამ წერილში ავტორი დაწვრილებით აღწერს პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებელთა ქართველი სტუდენტების მეტად მძიმე და აუტანელ მატერიალურ მდგომარეობას, რომელიც მათ აიძულებს დამთავრებამდე დატოვონ უმაღლესი სასწავლებელი და სადმე მიყრუებულ პროვინციაში ლუკმა-პურის ძებნას შეუდგნენ. ამის გამო „ჩვენი მოსწავლე ყმაწვილების პირველი და უმთავრესი სურვილი... მიიღონ გვარიანი განათლება, შეისწავლონ ყველა ის, რაც კაცობრიობას გამოუგონია თავისი კეთილდღეობისათვის და, სწავლის ცხოვრებაში გამოყენებით, შეიქმნენ სასარგებლონი თავიანთი ქვეყნისათვის“, განუხორციელებელ ოცნებად რჩება. ასეთი სავალალო მდგომარეო-

---

[1] ნ. ცხვედაძე, დეკ. მიხეილ გურგენიძის გარდაცვალება მოსკოვში (ნეკროლოგი), გაზ. „დროება,“ 1868 წ., № 33.

ბა „ძლიერ სამწუხარო უნდა იყოს იმ ქართველთათვის, ვისთვისაც ძვირფასია თავისი თანამემამულეების კეთილდღეობა“. ქართველმა საზოგადოებამ უნდა გამოძებნოს საშუალებანი, „რომ მოსწავლე ქართველებს მიეცეთ თავისუფალი გზა სწავლის მიღებაში. ოხვრით და ცარიელი სიტყვებით საქმე არ გაკეთდება. აქ უნდა საქმე და ენერგია; აქ უნდა ცოცხალი მონაწილეობის მიღება... დროება ყურებში ჩაგვძახის: განათლდით, თორემ ცუდად იქნება საქმეო და ჩვენ კი გულხელი დაგვიკრეფია და არა ვცდილობთ საზოგადო ძალით შევუდგეთ იმ დამაბრკოლებელ გარემოების გაქრობას, რომელიც სდევნის ჩვენს მოსწავლე ქართველებს“[1]. ქართველ სტუდენტთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ავტორის აზრით, საჭიროა შეიქმნას შეგნებულ და დაინტერესებულ პირთა საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელიც შეძლებისდაგვარი ყოველწლიური დანაზოგების გაღებით შეჰქმნის ისეთ ფონდს, რაც ათობით სტუდენტს შეინახავს რუსეთისა და დასავლეთ ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში. საჭიროა ინიციატივა, თორემ, ვისაც „კაცური გული უცემს და თანამემამულეების სიყვარული აქვს“, ყველა გაიღებს თავის წვლილს ამ დიდი ეროვნული საქმისათვის. ასე მივიდა ნ. ცხვედაძე ქართველ ხალხში განათლების გავრცელებისათვის ხელისშემწყობი საზოგადოების შექმნის აუცილებლობის იდეამდე, რაც 1879 წელს, მისივე უშუალო მონაწილეობით, განხორციელდა კიდეც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსებით.

2. ნ. ცხვედაძის პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის სასულიერო სემინარიაში და მისი სემინარიიდან განდევნა

1870 წელს ნ. ცხვედაძემ წარმატებით დაიცვა დისერტაცია მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, მიიღო ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი და იმავე წელს, გ. იოსელიანთან ერთად, დაინიშნა მასწავლებლად თბილისის სასულიერო სემინარიაში[2]. აქ მას

---

[1] ნ. ცხვედაძე. წერილი პეტერბურგიდან, გაზ. „დროება“, 1869 წ., № 37.

[2] ნ. ცხვედაძის პედაგოგიური მოღვაწეობის დაწყების თარიღის შესახებ ჩვენს ლიტერატურაში სხვადასხვა ცნობებია მოცემული. ი. გოგებაშვილის მიხედვით ნ. ცხვედაძეს 1870 წ. დაუწყია მუშაობა თბილისის სასულიერო სემინარიაში (პედაგოგიური თხზულებანი, ტ. II. 1940 წ., გვ. 513); ნ. ლომოურის ცნობით — 1871 წ. („ი. გოგებაშვილის სახსოვრად“, გვ. 16); ს. მგალობლიშვილის ცნობით — 1867 წ. (მოგონებანი, გვ. 189); ალ. მიქაბერიძის ცნობით — 1872 წ. („ნაკადული“, 1911 წ., № 11); ხოლო გ. ნათაძის ცნობით — 1863 წ. („ლიტერატურის მატიანე“, № 3—4, გვ. 232). ნამდვილად კი ნ. ცხვედაძემ პედაგოგიური მუშაობა დაიწყო სწორედ 1870 წელს, როდესაც სასულიერო აკადემია დაასრულა, როგორც ამას მის სიცოცხლეში გამოქვეყნებული ბიოგრაფიები და თბილისის სასულიერო სემინარიის საარქივო მასალები ადასტურებს.

დახვდა „ქართველი სტანკევიჩის“—იაკობ გოგებაშვილის ცნობილი წრე (ს. მესხი, გ. წერეთელი, აკაკი, ანტ. ფურცელაძე და სხვ.), რომელშიც მხურვალედ ჩაება ნიკო ცხვედაძეც. 1870 წლამდე „იაკობი მარტოდ-მარტო მოღვაწეობდა (ლაპარაკია სასულიერო სემინარიაზე.— ვ. ქ.),— გადმოგვცემს არბოელი (ნ. ლომოური) მოხსენებულ წელს კი მოსკოვის სასულიერო აკადემიიდან სამშობლო ქვეყანაში დაბრუნდნენ ორი ახალგაზრდა ქართველები, დიდად ნაკითხნი, გულწრფელი მამულისშვილები, საქვეყნო მოღვაწეობის სურვილით აღფრთოვანებულნი, ჩინებული პედაგოგები, საუცხოო ადამიანები... ესენი იყვნენ... ნიკო ცხვედაძე და გიორგი იოსელიანი“[1]. თავის კერძო წერილში ივანე გომელაურისადმი ნიკო ლომოური თბილისის სასულიერო სემინარიაში თავის მოწაფეობის პერიოდის შესახებ წერდა: „ამ დროს აქ მოღვაწეობდნენ ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, გ. იოსელიანი. ეს პატივცემული პირნი თავიანთის ეროვნულ-დემოკრატიული აზროვნებით, მიმართულებით ძლიერ გავლენას ახდენდნენ მაშინდელ სემინარიელებზე, უღვიძებდნენ მეცნიერებათა შესწავლას, სხვადასხვა წიგნების კითხვას“[2]. მწერალი სოფ. მგალობლიშვილი ნ. ცხვედაძესა და გ. იოსელიანს „მადლიან ქართველებს“ უწოდებს და აღნიშნავს: „ამათი მოსვლიდან სრულიად ახალი ხანა დააწყო სემინარიაში, საგნებს ასწავლიდნენ კარგად, შეგირდებს ადამიანურად ეპყრობოდნენ, გვაძლევდნენ საკითხავ წიგნებსა, გვაყვარებდნენ სამშობლო ენას და ლიტერატურას, მით უმეტეს, რომ ლიტერატურაში ყველა ისინი მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ“[3].

ნ. ცხვედაძე მთელი თავისი ახალგაზრდული ენერგიით და საფუძვლიანი ცოდნით შეუდგა პედაგოგიურ სარბიელზე მოღვაწეობას. „ახალგაზრდა მასწავლებელმა, ზედმიწევნით ღრმად მცოდნემ მოზარდი თაობის ფსიქოლოგიისა, სასწავლებელში ფეხის შედგმისთანავე დაიმსახურა ჭეშმარიტი სიყვარული და პატივისცემა მოსწავლე ახალგაზრდობისა. განსაკუთრებული მამობრივის მზრუნველობით უნერგავდა გულში მოსწავლე ახალგაზრდობას ჭეშმარიტებისადმი სიყვარულს და სათნოებას და კიდეც ეს იყო მიზეზი მოსწავლე ახალგაზრდობის მისდამი ასე განუსაზღვრელი სიყვარულისა“[4]. მართა-

---

[1] არბოელი (ნ. ლომოური), იაკობ გოგებაშვილი (პირველი ნახევარი მისი ცხოვრება-მოღვაწეობისა), „ი. გოგებაშვილის სახსოვრად“, 1913 წ., გვ. 16.

[2] „ლიტერატურული გახეთი“, 1936 წ., № 17.

[3] სოფრომ მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938 წ., გვ. 47.

[4] ალ. მიქაბერიძე, ნ. ცხვედაძის გარდაცვალების გამო, ჟურ. „ნაკადული“, 1911 წ., № 11.

ლია, სემინარიაში ნ. ცხვედაძე საღმრთო სჯულს ასწავლიდა, მაგრამ „დაბადებას“ (ბიბლიას) მოწაფეებს კლასში რეალისტურად უხსნიდა, რელიგიის წარმოშობას და ისტორიას თავისუფალი მოაზროვნის თვალსაზრისით აშუქებდა“[1].

ნ. ცხვედაძე საგანგებოდ ზრუნავდა სემინარიის მოსწავლე ახალგაზრდობაში 60-იანი წლების მოწინავე იდეების შეტანა-გავრცელებისათვის. ამ მიზნით ი. გოგებაშვილმა და ნ. ცხვედაძემ შეადგინეს რეალისტურ-მატერიალისტური შინაარსის წიგნების (დარვინის, მოლეშოტის, დრეპერის, რუსოს, ბოკლის და სხვ.), რუსეთის გამოჩენილი პოეტების, მწერლების, მეცნიერებისა და მოაზროვნეების (პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, ტურგენევის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, პისარევის და სხვ.) თხზულებებისა და პროგრესული მიმართულების ჟურნალების („Современник“, „Отечественные записки“) სია, ისარგებლეს სემინარიის რექტორის არქიმანდრიტ ვიქტორინის ერთგვარი გულუბრყვილობით და სემინარიის ბიბლიოთეკა გაავსეს უაღრესად მოწინავე იდეოლოგიის მატარებელი სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურით. ისინი თვითგანვითარებისათვის მადაგახსნილ სემინარიის მოსწავლეებს სისტემატურად აძლევდნენ ამ წიგნებს წასაკითხავად, იმავე დროს თბილისში თავის დროზე ივანოვის ცნობილი კერძო ბიბლიოთეკიდანაც[2] აწვდიდნენ მათ ასეთივე ხასიათის წიგნებს და ამ გზით უნერგავდნენ მოსწავლეებს პროგრესულ იდეებსა და მისწრაფებებს.

ამბავმა ი. გოგებაშვილისა და ნ. ცხვედაძის ასეთი პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ, რომელიც პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა რეაქციული სასულიერო უწყების ძირითად სასიცოცხლო ინტერესებს, რასაკვირველია, სინოდის ყურამდეც მიაღწია. უწმინდესმა სინოდმა 1872 წელს თბილისის სასულიერო სემინარიისა და სასწავლებლის მუშაობის შესამოწმებლად რევიზორი ბ. ზინჩენკო გამოგზავნა. მიუხედავად იმისა, რომ ზინჩენკოს ადგილობრივ სემინარიაში გამცემ-დამბეზღებელი (სემინარიის ყოფილი მასწავლებელი კოვროვი) ჰყავდა ხელისშემწყობად, ი. გოგებაშვილსა და ნ. ცხვედაძეს მის წინაშე ქედი სრულიად არ მოუხრიათ და თავიანთი პედაგოგიური მუშაობის „სტილი“ სრულებით არ შეუცვლიათ, მან მაინც

---

[1] გ. ნ ა თ ა ძ ე, ალ. ყიფშიძის (ფრონელის) დღიურებისათვის, „ლიტერატურის მატიანე“, 1942 წ., წიგნი 3—4, გვ. 232.

[2] ივანოვის კერძო ბიბლიოთეკა უმთავრესად მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, გ. წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ცხვედაძის და სხვ. მიერ შემოწირული წიგნებიდან შედგებოდა (იხ. ტ. ხ უ ნ დ ა ძ ე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, თბილისი, 1951 წ., გვ. 212.).

ვერ შესძლო „ბოროტმოქმედებათა“ კვალის მიგნება და იძულებული შეიქნა თავის მოხსენებაში მხოლოდ ზოგიერთი ეპვის გამოთქმით დაკმაყოფილებულიყო; ი. გოგებაშვილი და ნ. ცხვედაძე კი ისევ, ახლა კიდევ უფრო მეტი მონდომებითა და ენერგიით, განაგრძობდნენ თავიანთ დიდ საზოგადოებრივ-პედაგოგიურ მუშაობას. მიუხედავად ამისა, რევიზორ ზინჩენკოს მოხსენების შედეგად დაიწყო ქართველი მოწინავე მასწავლებლების გაძევება სემინარიიდან. სემინარიიდან დაითხოვეს ნიკო ცხვედაძე და ინსპექტორი იასე სულხანიშვილი[1].

ჯაშუშები მაინც არ ცხრებოდნენ. სინოდს მისდიოდა დაბეზღების ახალ-ახალი მასალები. ამის შედეგად 1873 წელს, ცნობილი რეაქციონერისა და ქართველთა აშკარა მტრის პობედონოსცევის რჩევით, სინოდმა თბილისის სასულიერო სემინარიისა და მასთან არსებული სასულიერო სასწავლებლის საგანგებო რევიზორად გამოგზავნა მეტად გაქნილი მოხელე, ობერ-ჯაშუში და ცილისმწამებელი ვინმე კერსკი, რომელსაც სპეციალური დავალება ჰქონდა მიცემული: საბოლოოდ აღმოეფხვრა ახალი იდეოლოგიის ჩანასახი სემინარიისა და სასწავლებლის კედლებიდან და, რადაც უნდა დაჯდომოდა, ამ სასწავლებლებიდან საბოლოოდ მოეშორებინა ი. გოგებაშვილი და ნ. ცხვედაძე.

რევიზორი კერსკი, სემინარიაში მოსვლისთანავე, შეუდგა დავალების სისრულეში მოყვანას. მან სასულიერო სასწავლებლის მუშაობა შეამოწმა იმ დროს, როდესაც ამ სასწავლებლის ხელმძღვანელი (ინსპექტორი) ი. გოგებაშვილი მწოლიარე ავადმყოფი იყო, და მის შესახებ შეადგინა აღმაშფოთებელი ცილისმწამებლური ბრალდებანი. ი. გოგებაშვილთან ერთად, გაქნილმა რევიზორმა, სემინარიის მასწავლებლები ნ. ცხვედაძე და თ. ტურიაშვილიც უაღრესად მავნე პირებად აღიარა. თავის მოხსენებაში კერსკიმ აღნიშნა, რომ ცხვედაძე და ტურიაშვილი ი. გოგებაშვილის მეგობრები და თანა-

---

[1] 1873 წლის 9 დეკემბერს კავკასიის მეფისნაცვალი აცნობებდა თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობას: Николай Цхведадзе, из грузин. Кончил курс Московской академии в июне 1870 года и в сентябре того же года определён преподавателем священного писания в Тифлисской семинарии. 1872 года с октября месяца уволен от должности преподавателя семинарии.

Направление Цхведадзе. Подобно Турневу распространял между учениками семинарии материалистические воззрения посредством рекомендаций ученикам читать книги материалистического содержания: проводил идеи матерялизма также во время объяснения уроков по священному писанию в классе. Высказывал мнение в пользу республики“ (იხ. ა. ოვიძე, იაკობ გოგებაშვილი (დოკუმენტალური მასალები), საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველოს გამოცემა, თბილისი, 1951 წ., გვ. 37.).

მებრძოლები არიანო. „1867—68 წლის დასაწყისიდან სემინარიაში დამრიგებლად შედის ტ[ურიაშვილი], ხოლო სამი წლის შემდეგ ც[ხვედაძე]. ისინი ორივენი ყოველმხრივ გ[ოგებაშვილის] თანამოაზრენი იყვნენ"[1]; ხოლო სპეციალურად ნ. ცხვედაძის პედაგოგიური მუშაობის ხასიათის შესახებ იგი აღნიშნავდა: „მასწავლებელ ც[ხვედაძის] მიმართულება საკმაოდ იქნა გამოაშკარავებული 1872 წლის რევიზიით. თვით რევიზორის თანდასწრებისას, მას, როგორც საღმრთო წერილის მასწავლებელს, არ გაუძნელდა მოსწავლეებთან გამოეთქვა თავისი რაციონალისტური შეხედულებანი მოსეს ხუთი წიგნის შესახებ (ბიბლიიდან), ხოლო მოსწავლეთა მცდარ შეხედულებებსა და მსჯელობებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა მათს ამოცანებში, სტოვებდა ყოველგვარი შენიშვნებისა და შესწორებების გარეშე"[2]. ამის გამო რევიზორს საჭიროდ და აუცილებლად მიაჩნდა ნ. ცხვედაძის მიმართ განსაკუთრებული ზომების მიღება.

კერსკი დაჟინებით ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ თბილისის სასულიერო სემინარიაში არსებობს „ქართული პარტია", რომელიც სეპარატიულ მუშაობას ეწევაო. ამ „პარტიის" მეთაურებად იგი, ი. გოგებაშვილთან ერთად, ნ. ცხვედაძეს, გ. იოსელიანსა და თ. ტურიაშვილს თვლიდა, ხოლო ამის საბუთად იმას ასახელებდა, რომ „ყველა ზემოხსენებული პირი თავისი წარმოშობით, ენით, ზნეჩვეულებითა და ეროვნული თავისებურებით ქართველია"[3].

რევიზორის აზრით, „ქართული პარტიის" მუშაობა განსაკუთრებით გაძლიერდა სემინარიაში ნ. ცხვედაძისა და გ. იოსელიანის მასწავლებლად დანიშვნის შემდეგ. „ქართველური მისწრაფებანი უფრო მკაფიოდ გამოიხატა თბილისის სემინარიაში ბ. ბ. ი[ოსელიანისა] და ც[ხვედაძის] მასწავლებლად დანიშვნით, რის შემდეგაც სემინარიაში მოსამსახურე ქართველთა რიცხვი, ამგვარად, 7-მდე გაიზარდა (ს[ულხანოვი]; გ[ოგებაშვილი]; ი[ოსელიანი]; ც[ხვედაძე] და 3 წევრი სამღვდელოებიდან), რამაც მათ რიცხობრივი უპირატესობა მიანიჭა პედაგოგიურ თათბირებში"[4].

გაქნილ რევიზორს არც ის დაუტოვებია უყურადღებოდ, რომ ქართველ პედაგოგთა ჯგუფმა (ი. გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე და გ. იოსელიანი), სასულიერო სემინარიის მოსალოდნელი რეორგანი-

---

[1] Отчет о ревизии духовно-учебных заведений в Тифлисе в 1873—1874 году, стр. 141.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 142.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 233.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 236.

ზაციის გამო, სემინარიის პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით შეადგინა სემინარიის რეფორმის ორი პროექტი, რითაც გაითვალისწინა ქართული ენის დამოუკიდებელი კათედრის დაარსება, რომელიც გააერთიანებდა ქართული ენის გრამატიკას, ქართული ლიტერატურის ისტორიას (სასულიერო ლიტერატურით) და საქართველოს ისტორიას (საეკლესიო ისტორიით). რევიზორმა კერსკიმ ქართველ პედაგოგთა ეს სამართლიანი მოთხოვნა „ქართული პარტიის" სეპარატიზმად მიიჩნია. მისგან ეს სავსებით მოსალოდნელი იყო, რამდენადაც მას არა მარტო სინოდის კატეგორიული დირექტივი ამოძრავებდა, არამედ ისიც, რომ ქართველი ხალხის კულტურულ-ისტორიულ წარსულზეც არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა, რაც, სხვათა შორის, იქიდანაც ჩანს, რომ იმავე მოხსენებაში მას ქართული პოემა „Барсова кожа" და შ. რუსთაველის „Ветхвись трависани", რომლის სათაურსაც სასტიკად ამახინჯებს, სხვადასხვა თხზულება ჰგონია.

ასეთ პირებს ჰქონდა იმ დროს მინდობილი ქართული კულტურისა და საქართველოში არსებული სასწავლებლების ბედის გადაწყვეტა... და რა გასაკვირია, რომ ყველაფერი ზემოთქმული რევიზორმა კერსკიმ თბილისის სასულიერო სემინარიისა და სასულიერო სასწავლებლის პედაგოგიური შემადგენლობის ერთი ნაწილისა და მოსწავლე ახალგაზრდობის მორალურად გახრწნის ძირითად ნიშნებად ჩასთვალა და მოწინავე ქართველი პედაგოგების წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღება მოითხოვა.

კერსკის „რევიზიამ" თავისი შედეგი მოიტანა: 1874 წელს ი. გოგებაშვილი, როგორც პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო პიროვნება, „მესამე მუხლის ძალით" სამსახურიდან მოხსნეს. ასე ჩამოაშორეს ბნელეთის მოციქულებმა საყვარელ პროფესიას, პრაქტიკულ-პედაგოგიურ საქმიანობას, იმ პროგრესული იდეების გამო, რომელთაც ისინი მოსწავლეებში ავრცელებდნენ, ორი დიდი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე: ი. გოგებაშვილი და ნ. ცხვედაძე, პირველი სამუდამოდ, ხოლო მეორე—დროებით[1].

ვ. ნიკო ცხვედაძე „მნათობისა" და „კრებულის" თანამშრომელი

თბილისის სასულიერო სემინარიაში ნ. ცხვედაძის პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში გამოქვეყნდა მისი ორი საინტერესო

[1] შიო დავითაშვილის ცნობით „შედეგი ამ რევიზიისა ის იყო, რომ რეკტორი გადაიყვანეს, გარდა ამისა, დაითხოვეს ინსპექტორი გიორგი იოსელიანი და მასწავლებლები ნ. ცხვედაძე და თ. ტურიაშვილი. ქართული ენა სემინარიიდან სრულებით განდევნეს" (იხ. შიო დავითაშვილი, ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, 1933 წ., გვ. 17.).

ნარკვევი: „მისვლა-მოსვლა რუსეთსა და საქართველოს შორის 1492—1664 წლამდის“, რომელიც ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს (1868 წ.) არის დაწერილი და დაბეჭდილია ნიკ. ავალიშვილის სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალ „მნათობის“ 1871 წლის V და VI ნომრებში და „დასავლეთ ევროპის გონებითი და ეკონომიური მოძრაობა თავისი მიზეზებით მე-16 საუკუნეში“, მოთავსებულია გ. წერეთლის „კრებულის“ 1872—73 წლების ნომრებში.

პირველ ნაშრომში, რომელიც იმ დროისათვის ცნობილ და ხელმისაწვდომ საისტორიო წყაროებსა და მასალებს (მ. ბროსეს და ვახუშტის „საქართველოს ისტორიას“, „ქართლის ცხოვრებას“, კარამზინისა და სოკოლოვის „რუსეთის ისტორიას“ და სხვ.) ემყარება, ავტორი რუსეთისა და საქართველოს ისტორიული ურთიერთობის პრობლემებს ეხება და იმ დებულებას ასაბუთებს, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარება და ქართველი ხალხის გადარჩენა შეუძლებელი იყო რუსეთთან და დიდ რუს ხალხთან მჭიდრო კავშირისა და ურთიერთობის გარეშე.

ქართველი ხალხი XIII საუკუნიდან მუდმივ ისტორიულ დევნას განიცდიდა გარეშე მტრებისაგან, რომელთაც გაუბაძღრობა და ჩვენი ტომების ჩაყლაპვისა და საბოლოოდ ბოსპორის „უგუნური სურვილი“ ამოძრავებდათ და, რომელნიც „იმას კი არ ფიქრობდნენ, რომ ეგ შეუძლებელი საქმე იყო და არც იაფად დაუჯდებოდათ“. ქართველები თავისუფლების მოყვარულნი იყვნენ. „ჩვენს წინაპრებს ისე ყვარებიათ თავისუფლება, რომ მისი დაცვისათვის უხმარიათ ყოველგვარი ხერხი... მხურვალე სიყვარული თავისუფლებისადმი განაცხოველებდა ქართველის გულს, ამამაცებდა მას“[1]. ქართველი ხალხი დაღუპვას გადაარჩინა დიდმა გმირობამ და სიმამაცემ. აბავე დროს ძლიერი რუსეთის ახლო მეზობლობა ყოველთვის წარმოადგენდა დიდ იმედს ქართველი ხალხისათვის. ამ ორ ხალხს შორის მეგობრობა და მჭიდრო ურთიერთობა დამყარდა, რამაც საქართველოს და ქართველი ხალხის ბედი ისტორიულად რუსეთისა და დიდი რუსი ხალხის ბედს ორგანულად დაუკავშირა,— ასეთია ის მართებული დასკვნა, რომელიც თავისი ნარკვევიდან ავტორს გამოჰყავს.

ნ. ცხვედაძის მეორე საისტორიო ნარკვევი შეეხება XVI საუკუნეში დასავლეთ ევროპის ეკონომიური და გონებრივი გამოცოცხლების ძირითად მიზეზებსა და მის მნიშვნელობას საზოგადოების შემდგომი

---

[1] ნ. ცხვედაძე, მისვლა-მოსვლა რუსეთსა და საქართველოს შორის 1492—1664 წლამდის, ჟურნალი „მნათობი“, 1871 წ., № 5, გვ. 6.

განვითარებისათვის. უმთავრეს მნიშვნელობას საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნაში ავტორი ადამიანთა თავისუფლებას ანიჭებს. მას ნარკვევის ეპიგრაფად მოჰყავს შილერის ცნობილი სიტყვები: „თავისუფლებას შეუძლია გააკეთილშობილოს და აამაღლოს კაცობრიობა“, და ამტკიცებს, რომ თავისუფლებისათვის „ბრძოლა იმდენად უფრო ძლიერდება და ცხარდება, რამდენადაც მატულობს კაცობრიობის მოსაზრება და გონებითი გახსნა, რამდენადაც კაცის ვონება იძენს ცოდნას“[1]. მაგრამ ცოდნის შეძენა რომელიმე ეიწრო კასტის ხელში კი არ უნდა იყოს, არამედ საყოველთაოდ ძისაწვდომი იყოს ყველასათვის; უამისოდ ცოდნა საზოგადოებაში თავისუფლების დამკვიდრების საშუალებად ვერ გამოდგება. ასეთ მნიშვნელობას ანიჭებს ავტორი ხალხის გონების გამოღვიძებას და ამიტომ, შისი აზრით, ვისაც კი სისხლი უდუღს ძარღვებში და გული შესტკივა ხალხისათვის, უნდა ეცადოს ხალხის გონებით განათლებას.

ნ. ცხვედაძის აზრით XVI საუკუნემდე გონებრივი წყვდიადი და საეკლესიო სქოლასტიკა მოიცავდა კაცობრიობას. ხალხის ნამდვილ განათლებაზე არავინ ზრუნავდა. „მაშინდელ სასწავლებლებს გარშემო ერტყა სქოლასტიკა, რომელიც ძლიერ უშლიდა ყმაწვილს, რომ გონებით გახსნილიყო; მაშინდელი მასწავლებლები, რომლებიც თაყვანსა სცემდნენ სქოლასტიკურ ფილოსოფიას, მოსწავლე ყმაწვილებს უტეხდნენ თავებს უსარგებლო სიტყვებით და აჩვევდნენ უაზრო სიტყვების დაფქვას“[2]. სწავლების ასეთი სისტემის გამო ადამიანების „თავში გაგონილი აზრები ირეოდა დომხალივით, არც ერთი ამ აზრთაგან იმათ ზედმიწევნით არ ესმოდათ და არც უნდოდათ რომ გაეგოთ... მოქმედებდნენ მეხსიერებით და არა აზროვნებით“. ასეთი ბნელი გონების ხალხი თავისუფლებას ვერ დაამყარებდა, სამართლიან ცხოვრებას ვერასოდეს ვერ შეჰქმნიდა და ეს უნდოდა რომის პაპსაც, რომელიც, „როდესაც კი ფული გაუჭირდებოდა, მაშინვე სხვადასხვა დასავლეთის სახელმწიფოებისაკენ აფრენდა ინდულგენციების გაყიდვაში კარგად დაგეშილ ბერებს და გულშეუტკივნელად ფრაქვნიდა საწყალ ხალხს, რომელსაც გონებით მოფიქრება ჯერეთ კიდევ ისე არა ჰქონდა გახსნილი, რომ კრიტიკულად გაესინჯა ის, თუ რამდენად შესაძლოა კაცმა ფულებით ეყიდოს პაპისაგან ცოდვების შენდობა“[3].

---

[1] ნ. ცხვედაძე, დასავლეთ ევროპის გონებითი და ეკონომიური მოძრაობა თავისი მიზეზებით მე-16 საუკუნეში, ჟურნალი „კრებული“, 1872 წ., 10—11, გვ. 56.

[2] ჟერნ. „კრებული“, 1872 წ., № 10—11—12, გვ. 83.

[3] იქვე. გვ. 76.

ახალმა ეპოქამ დაამსხვრია ძველი ფეოდალურ-სქოლასტიკური რწმენა-შეხედულებანი და საზოგადოებრივ ცნობიერებაში ახალი იდეები შეიტანა. დიდი ჰუმანისტების პროგრესულ მოძღვრებათა საფუძველზე ხალხში გავრცელდა მოწინავე აზრები, სწავლა-განათლებას ახალი შინაარსი მიეცა და ყველაფერმა ამან ხელი შეუწყო დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების გარდაქმნა-განვითარებას, — ასეთია ნარკვევის ავტორის საერთო დასკვნა.

4. ნიკო ცხვედაძე თბილისის ქალთა ინსტიტუტში და მისი პედაგოგიური წერილები

თბილისის სასულიერო სემინარიიდან კერსკის რევიზიის შედეგად გაძევებული ნიკო ცხვედაძე ერთხანს კერძო გაკვეთილებით ცხოვრობდა და დროებით მასწავლებლადაც იყო თბილისის სამიჯნაო (სამიწათმზომველო) სკოლის უფროს კლასებში. 1874 წელს იგი დაინიშნა ისტორიის, გეოგრაფიისა და პედაგოგიკის მასწავლებლად თბილისში არსებულ ამიერკავკასიის საქალებო ინსტიტუტში (დაარსდა 1840 წ.), სადაც იმ დროს ინსპექტორის თანამდებობაზე მუშაობდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი ბესარიონ ლევანის-ძე ღოღობერიძე (1833—1879 წ.წ.)[1], რომელმაც მცირე როლი როდი შეასრულა სასულიერო უწყების მიერ მთავრობისა და განათლების ხელმძღვანელ წრეებში საკმაოდ საპელგატეხილ ნ. ცხვედაძის ინსტიტუტში მასწავლებლად შიწვევის საქმეში. საქალებო ინსტიტუტში მუშაობის პერიოდში ნ. ცხვედაძე თავის მეგობართან გიორგი იოსელიანთან ერთად. შეთავსებით მასწავლებლობდა აგრეთვე თბილისის ყოფილ წმ. ნინოს ქალთა გიმნაზიაშიც (დაარსდა 1846 წ., გიმნაზიად გადაკეთდა 1883 წ.), სადაც ისევ იმავე საგნებს (ისტორიას, გეოგრაფიას და პედაგოგიკას) ასწავლიდა.

ამ სასწავლებლებში ნ. ცხვედაძემ თავისი ჩვეული ენერგიული და ფართო ცოდნა-განათლებაზე დამყარებული პედაგოგიური მუშაობით არა ერთ ქართველ ქალს ჩაუნერგა ქალის მაღალი საზოგადოებრივი დანიშნულების იდეა, შეაგნებინა ნამდვილი, საფუძვლიანი ცოდნის მნიშვნელობა, გაუღვიძა და განუმტკიცა ცოდნის შეძენისა და შრომის წყურვილი და ამიტომაც ყველა მოსწავლისათვის საყვარელ მასწავლებლად იქცა.

---

[1]. იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, 1941 წ., გვ. 522—524 და ვ. წერეთელი, ბესარიონ ღოღობერიძე (ნეკროლოგი), „დროება", 1879 წ., № 51.

ნიკო ცხვედაძის ცოცხალმა, მიმზიდველმა და შინაარსიანმა გაკვეთილებმა იმდენად დააინტერესა მოსწავლეები, რომ მათ შეუყვარდათ ისტორია, გეოგრაფია და პედაგოგიკა და მათი მომზადება ამ საგნებში ყოველთვის მაღალი შეფასების ღირსი ხდებოდა.

თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები ნ. ცხვედაძემ დასახელებულ სასწავლებლებში პრაქტიკულ-პედაგოგიურ მუშაობას შესწირა, კერძოდ, თბილისის საქალებო ინსტიტუტში მან სრული 23 წელი (1874 – 1897 წ.წ.) იმუშავა, ამ დამსახურების საფუძველზე მიიღო კუთვნილი პენსია და თავი დაანება მთავრობის სკოლებში პედაგოგიურ მოღვაწეობას[1].

ნ. ცხვედაძის დამსახურება სახალხო განათლების დარგში მარტო მისი პრაქტიკულ-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობით არ ამოიწურებოდა. მას, იმავე დროს, თავისი წვლილი შეჰქონდა ქართული პედაგოგიკური აზროვნების განვითარებაშიც. თბილისის საქალებო ინსტიტუტსა და გიმნაზიაში პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში ნ. ცხვედაძის კალამს მრავალი ფრიად საყურადღებო და მნიშვნელოვანი თეორიულ-პედაგოგიკური ხასიათის ნაშრომები ეკუთვნის. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი პედაგოგიური თხზულება „ჩვენი ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა“, რომელიც პირველად ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ გამოქვეყნდა 1877 წელს „ქვემო ქართლელის“ ფსევდონიმით[2], და ხელმეორედ ცალკე წიგნაკად გამოიცა 1903 წელს[3].

[1] ქალთა სასწავლებლებში მუშაობის დროს (1882 წ.) ნ. ცხვედაძემ ოლად შეირთო მარიამ ივანეს ასული ყორღანოვა, რომელთანაც ნახლოდ 2—3 წელი ცხოვრობდა. მარიამი მომღერალი ქალი იყო, იტალიაში გაემგზავრა სასწავლებლად და ათი წლის განმავლობაში მსახიობად იყო იქაური საოპერო თეატრში. შემდეგ დაბრუნდა თბილისში და ეწეოდა მუსიკის მასწავლებლობას, გარდაიცვალა 1938 წელს. ნ. ცხვედაძეს ჰყავდა ერთადერთი ასული ელენე (1884—1942 წ. წ.), შემდეგში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ფ. გოგიჩაიშვილის მეუღლე.

[2] იხ. ეურნ. „ივერია“, 1877 წ., №№ 33, 34, 35, 36 და 37. სტატიის შინაარსი ცხადყოფს, რომ მისი ავტორი პროფესიით პედაგოგია. საქართველოს სსრ კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის მიერ შედგენილ „ქართული ეურნალებისა და კრებულების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში“, რომელიც დოც. გ. აბზიანიძის რედაქციით გამოიცა, ფსევდონიმი „ქვემო ქართლელი“ გახსნილი არ არის (იხ. დასახელებული „ბიბლიოგრაფია“, ნაკვეთი I, 1941 წ., გვ. 151). ასევე გაუხსნელია ეს ფსევდონიმი საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის მიერ გამოცემულ ბიბლიოგრაფიულ ნაშრომში (იხ. „ქართული წიგნი“, ბიბლიოგრაფია, ტ. I, 1941 წ., გვ. 256) და ქართული პერიოდიკის იმ „პედაგოგიურ ბიბლიოგრაფიაში“, რომელიც დართული აქვს საქართველოს სსრ პედაგოგიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კრებულს „სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში“ (გვ. 242) და ამრიგად საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი იყო ამ საყურადღებო სტატიის ავტორის ვინაობა.

ამ ნაშრომში, რომელსაც ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ინგლისელი ფილოსოფოსის ფრ. ბეკონის სიტყვები „ცოდნა არის ძალიერება ანუ ძალა“, ნ. ცხვედაძე არკვევს ჩვენში სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების დანიშნულება-მნიშვნელობას და ამ სასწავლებლებში სწავლა-აღზრდის იმ სისტემას, რომელმაც უკეთ და ადვილად უნდა უზრუნველჰყოს სასოფლო მეურნეობისათვის შესაფერისი, თეორიულად განათლებული და პრაქტიკულად დახელოვნებული ადამიანების მომზადება.

ჩვენს ხელთ არსებული მასალები, ვფიქრობთ, ეჭვმიუტანელად ასაბუთებს, რომ ბემოთ დასახელებული პედაგოგიური თხზულების ავტორი არის ნიკო ცხვედაძე. ამის დასამტკიცებლად საკმარისად უნდა მივიჩნიოთ შემდეგი ფაქტები: 1. პროფ. ალ. ხახანაშვილი თავის ცნობილ ნაშრომის „Очерки по истории грузинской словесности“-ს მეოთხე წიგნში წერს, რომ ნ. ცხვედაძეს, სხვა თხზულებათა შორის, ეკუთვნის. აგრეთვე, „განათლება და სოფლის მეურნეობა“ (იხ. დასახელებული წიგნი, 1906 წ. გამოცემა, გვ. 391—392); 2. 1910 წლის ჟურნ. „განათლებაში“ ნ. ხ. ცხვედაძის შესახებ მოთავსებულ წერილში ხ[აქარია] ტ[იპინაძე] აღნიშნავს, რომ 1877 წელს „ივერიაში“ დაიბეჭდა მისი შესანიშნავი წერილი: „ჩვენი ხალხის განათლება“, რაც შემდეგ ცალკე წიგნად იქნა გამოცემული“ (იხ. „განათლება“, 1910 წ., № 10. გვ. 467); 3. ამ ცნობას იმეორებს ჟურნალი „განათლება“ თავის სარედაქციო სტატიაში ნ. ცხვედაძის გარდაცვალების გამო (იხ. „განათლება“. 1911 წ., № 9, გვ. 575); 4. ამავე ჟურნალში 1909 წელს მოთავსებულია ხელმოწერელი რეცენზია 1903 წელს „ქვემო ქართლელის“ ფსევდონიმით გამოცემულ წიგნზე „ჩვენი ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა“, რომელშიც აღნიშნულია, რომ ეს ნარკვევი, რომელიც „თავდაპირველად დასტამბული ყოფილა 1877 წელს „ივერიაში“. საიდანაც ხ. ტიპინაძეს გადმოუბეჭდია და გამოუცია ცალკე წიგნაკად, ეკუთვნის ჩვენს დაუღალავ მხცოვან მოღვაწეს ნ. ხ. ცხვედაძეს“ (იხ. ჟურ. „განათლება“. 1909 წ., № 1, გვ. 121—122); 5. თვით ჟურნალ „ივერიაში“ დასახელებული ნარკვევის უკანასკნელ სტატიას მიწერილი აქვს თარიღი და დაწერის ადგილი: „26 მარიამობისთვეს 1877 წ. კავთისხევი“, ნ. ცხვედაძის სამშობლო სოფელი, სადაც იგი იხვენებდა ზაფხულობით.

ეს ცნობები, რომელთა უმრავლესობა (1, 2, 4 და 5 ცნობა) თვით ნიკო ცხვედაძის სიცოცხლეში არის გამოქვეყნებული და სადაოდ არავის მიუჩნევია, აშკარად ამტკიცებს, რომ „ქვემო ქართლელის“ ფსევდონიმით 1877 წელს ჟურნალ „ივერიაში“ მოთავსებული და 1903 წელს ცალკე წიგნაკად გამოცემული პედაგოგიური თხზულება „ჩვენი ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა“ ეკუთვნის ნ. ცხვედაძეს (იხ. ჩვენი წერილი, „ნ. ცხვედაძის ორი უცნობი ფსევდონიმი“ გაზ. „საბჭოთა მასწავლებელი“, 1945 წ., № 12) და აგრეთვე საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის IV სამეცნიერო სესიაზე წაკითხული მოხსენების თეზისები „რამდენიმე ახალი ბიოგრაფიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობა ი. გოგებაშვილისა და ნ. ცხვედაძის შესახებ“ („მოხსენებათა თეზისები“, 1948 წ., გვ. 13—14).

[3] „ჩვენი ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა“, ქვემო ქართლელისა, ხ. ტიპინაძის გამოცემა, 1903 წ. რეცენზია ამ წიგნაკის შესახებ მოთავსებულია ჟურნ. „განათლებაში“ (1909 წ., № 1, გვ. 120—121).

ქართველ ხალხს ყოველთვის დიდი სურვილი ჰქონდა განათლებისა,— აღნიშნავს ავტორი,— მაგრამ ჩვენში არ იყო შექმნილი ისეთი სასწავლებლები, რომლებიც დააკმაყოფილებდა მათს სურვილს, მისცემდა მათ საჭირო და სასარგებლო ცოდნას. ნ. ცხვედაძე სასტიკად ამათრახებდა ყველა იმ პირს, რომელთაც სასოფლო სკოლები დაუარსებიათ, მაგრამ მათთვის სწორი ხელმძღვანელობა და იქ სწავლა-განათლების ხეირიანად წარმართვა არ შესძლებიათ და ზოგჯერ ამის სურვილიც არა ჰქონიათ. „რა ხეირი უნდა ჰქონოდა სასწავლებლებს,— წერდა იგი,— როდესაც ისინი იმართებოდნენ იმისათვის კი არა, რომ მათის შემწეობით ხალხი ფეხზე წამოაყენონ, თვალები აუხილონ, ჭკუა-გონება მოძრაობაში მოიყვანონ და აჩვენონ ნამდვილი გზა ცხოვრებისა,— არამედ იმისათვის, რომ მოდა გახლდათ, რომ სასწავლებლის გამართვით კაცი ჯილდოს ადვილად მიიღებდა და განათლებული კაცების წრეშიაც ჩაეწერებოდა“[1]. ასე იქცეოდა, მაგალითად, მაშინდელ თავად-აზნაურთა წარმომად გენელი, სასულიერო პირები.

ასეთი სავალალო მდგომარეობა, ნ. ცხვედაძის აზრით, იმის შედეგი იყო, რომ სასოფლო სასწავლებელთა მესვეურები არა მარტო სავსებით მოუმზადებელნი იყვნენ ამ საქმისათვის, არამედ მხოლოდ იმისათვის „მოღვაწეობდნენ“, რომ ხალხის განათლებაზე ლაპარაკი „მოდა“ იყო, და ისინიც სხვათა ბრმა მიბაძვით მოქმედებდნენ.

ამავე დროს ფაქტიურად „ორივეს, როგორც სამღვდელოებას, ისე თავად-აზნაურობას ჰქონდა სახეში მხოლოდ თავისი სარგებლობა“[2] და არა ხალხის სწავლა-განათლებისათვის ნამდვილი ზრუნვა.

ასეთ პირობებში ცოდნასმოწყურებულ ხალხშიც თანდათან ცხრებოდა სწავლა-განათლების წყურვილი და ამ ნიადაგზე უცოდინარობა და გონებრივი სიბნელე სუფევდა სოფლად.

არსებითად სულ სხვაგვარი მდგომარეობა იქნება მაშინ, როდესაც „მომეტებული ნაწილი იმ კაცებისა, რომლებიც კი მიილტვიან სკოლების გასავრცელებლად, შეადგენენ ხალხის სისხლს და ხორცს, არაფრით არ განირჩევიან ხალხისაგან, არიან მათი გულშემატკივარნი“, და ამიტომ ისინი ისეთ სასოფლო სასწავლებლებს აარსებენ, რომლებიც ნამდვილად შეუწყობენ ხელს ხალხის განათლებას, მათს შეიარაღებას პირველ რიგში საჭირო და აუცილებელი ცოდნა-გამოცდილებით. „ეხლა სასწავლებლების დაარსება, განათლების გავრცელება ხალხის და მის ნამდვილ კეთილ-

---

[1] ჟურნ. „ივერია“, 1877 წ., № 23, გვ. 11.

[2] იქვე, გვ. 12.

მყოფელთა სურვილია და ამისათვის ეხლანდელ სასწავლებლებს აქვთ საძირკვლად დემოკრატიული ნიადაგი. ამათ მოელის ხანგრძლივობა, დიდი ხნობით მოქმედება"[1] და, რადგანაც „ეხლანდელი სასწავლებლების გახსნა არის დაფუძნებული თვითონ ხალხის სურვილზე, მის მონდომილობაზე, მის საჭიროებაზე..., ხალხის ყველა გულისშემატკივარი, ვისაც კი ცოტა რამ გაეგება", ვალდებულია დაეხმაროს ხალხს სასოფლო სასწავლებელთა ტიპისა და ხასიათის გარკვევაში.

როგორი უნდა იყოს სასოფლო სასწავლებელი? რა შინაარსის თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ მომზადებას უნდა იძლეოდეს იგი? — აი ძირითადი პრობლემა, რომლის გადაწყვეტის ცდას წარმოადგენს ნ. ცხვედაძის დასახელებული ნაშრომი.

ავტორის აზრით, სასოფლო სასწავლებლის ძირითადი მიზანდანიშნულება ხალხის საარსებო მოთხოვნილებებიდან უნდა გამომდინარეობდეს. მის ყოფაცხოვრებასა და შრომა-საქმიანობას უნდა შეეფერებოდეს.

ნ. ცხვედაძე ქართველ გლეხთა ცხოვრებისა და მატერიალური და გონებრივი ავლადიდების დაწვრილებითი ანალიზის გზით ამტკიცებს, რომ ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ჩვენი გლეხების დაქვეითებისა ის არის, რომ მათ არ გააჩნიათ ცოდნა, რომლის გამოყენება საჭიროა სოფლის მეურნეობის ხეირიანად მოსაწყობად და ურომლისოდაც მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოუდგენელია. ამიტომ, ავტორის აზრით, სასოფლო სკოლა უნდა იძლეოდეს ისეთ „განათლებას, რომელსაც შეუძლია ნელნელობით დაბადოს ხალხში სურვილი თავისი ნაგუშევრის განკარგებისა და შრომის ნაყოფის ცნობიერად მოხმარებისა". მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, როგორც ჩვეულებრივად ფიქრობდნენ, რომ სასოფლო სასწავლებლები უშუალოდ სამეურნეო და სახელოსნო ცოდნას უნდა ავრცელებდნენ. „ეს შეუძლებელი საქმეა და ვინც ფიქრობს მაგ გზით განავრცელოს ჩვენს ხალხში ხელოსნობა და მეურნეობა", ის უსათუოდ შემცდარია. „მართლაც, ვის გაუგონია და სად თქმულა, რომ თორმეტის წლის ბავშვს ზეესწავლოს მეურნეობა და ხელოსნობა... განა შესაძლებელი საქმეა, რომ ბავშვებს ოთხი წლის განმავლობაში ლაზათიანი წერა-კითხვა, საგნების თავდაპირველი კურსიც ასწავლონ და ამავე დროს დააბელოვნონ კიდეც მეურნეობაში და ხელოსნობაში?" და უკანასკნელად, „განა შესაძლებელი საქმეა, რომ ვიშოვოთ ისეთი მასწავლებლები, რომლებიც დახე-

[1] „ივერია", 1877 წ., № 33, გვ. 13.

ლოვნებულნი იყვნენ როგორც ცოდნის გადაცემაში, ისე მეურნეობაში და ხელოსნობაში?"[1] რასაკვირველია, არა. ნ. ცხვედაძე დასავლეთ ევროპის სასოფლო სკოლების გამოცდილების საფუძველზე ამტკიცებს, რომ სადაც ასეთი ცდები იყო, ისინი ყველგან მარცხით დამთავრდა. ამდენად, მისი აზრით, უსათუოდ უაზრობაა სასოფლო სასწავლებელს დავაკისროთ ახალგაზრდების შეიარაღება რამდენადმე მაინც დამაკმაყოფილებელი საშეურნეო და სახელოსნო ცოდნით.

მაშ, რა ამოცანები დგას სასოფლო სასწავლებლის წინაშე? „სასოფლო სასწავლებელმა უნდა განაღვიძოს მოწაფეებში ყველა სულიერი ძალა, აამოქმედოს ბავშვების ნიჭიერებანი, შეაჩვიოს მსჯელობას და ამა მსჯელობის და მაგალითის შემწეობით დააყენოს ისინი წმინდა ზნეობით გზაზე, მიაჩვიოს გაფრთხილებას, სიფაქიზეს და სისუფთავეს; აგრეთვე სასწავლებელმა ბავშვების ჭკუა-გონება უნდა შეავსოს ნამდვილის ცნობებით ბუნების შესახებ — ერთი სიტყვით სასოფლო სასწავლებელმა სხვადასხვა გონივრულის სახსრებით მეთოდური და დიდაქტიკური შუამავლობით სოფლის ყმაწვილები ფიზიკურად და სულიერად იმდენად უნდა მოამზადოს, რომ ისინი შეიქმნენ ბოლოს ჭკუადამჯდარი კაცები, ყველაფრის ადვილად გამგებნი, რომ კურსის გათავების შემდეგ დიდის სიამოვნებით ეძებდნენ სწავლის გაგრძელებას და სიყვარულით მისდევდნენ მდაბიურ ენაზე დაწერილი წიგნების კითხვას; შეეძლოთ თავმად ლაპარაკი და ბაასი იმ საგნებზე, რომლებიც იმათ გარშემო ახვევიათ და კრიტიკულად გარჩევა იმ ცრუმორწმუნეობის, რომლებითაც ავრე სავსეა გლეხკაცის ცხოვრება. აი, ეს უნდა იყვეს სასოფლო სასწავლებლის მიზანი და აი ამას უნდა მისდევდეს ის განუწყვეტლივ"[2].

ნიკო ცხვედაძეს, რომელიც, უდავოდ იდგა იმდროინდელი მოწინავე პედაგოგიკური მეცნიერების მტკიცე ნიადაგზე, სავსებით სწორად ესმოდა სასოფლო სასწავლებლის ძირითადი დანიშნულება. ეს უკანასკნელი მართლაც ზოგადი განათლების პირველდაწყებითს სასწავლებელს წარმოადგენდა, რომელსაც ევალებოდა ჩვენი ახალგაზრდების აღჭურვა მეცნიერებათა ელემენტარული საფუძვლებით, წიგნიერებით მხოლოდ ამ ნიადაგზე უნდა დამყარებულიყო ყოველგვარი სპეციალური ცოდნა და, მაშასადამე, სპეციალური სამეურნეო განათლებაც. ზოგადი განათლება სპეციალური სწავლა-განათლების აუცილებელი საფუძველია, რასაც XIX საუკუ-

---

[1] „ივერია", 1877 წ., № 35, გვ. 11.

[2] „ივერია", 1877 წ., № 36, გვ. 8—9.

ნის მეორე ნახევარში მხოლოდ პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგები ასაბუთებდნენ და მოითხოვდნენ, რაც ამჟამად, ჩვენს პირობებში, სრულიად უდავო დებულებად არის მიჩნეული და პედაგოგიურს პრაქტიკაშიც ურყევად განხორციელებული.

ნიკო ცხვედაძეს ეკუთვნის აგრეთვე, სასოფლო სასწავლებელში სწავლა-განათლების შინაარსისა და მისი მოცულობის განსაზღვრაც. ასეთი ტიპის სასწავლებელში, მისი აზრით, უნდა ისწავლებოდეს წერა-კითხვა მშობლიურ ენაზე, ქართული ენა (მისი კანონები) საქართველოს ისტორია („მოთხრობები ჩვენი სამშობლოს ისტორიიდან"), გეოგრაფიული ცნობები („უფრო საქართველოს გეოგრაფია"), ანგარიში („თვლა"), ხაზვა, მუსიკა („ხალხის სიმღერები") და, „რადგანაც საქართველოს ბედი შეკავშირებულია რუსეთის ბედთან და რუსული ენა შეადგენს ადმინისტრაციის ენას, ამისათვის, რაღა ლაპარაკი უნდა, რომ სასოფლო სასწავლებელში რუსულს ენასაც უნდა ასწავლიდნენ". ნ. ცხვედაძემ იმ დროისათვის ძირითადად მართებულად განსაზღვრა რუსული ენის ადგილიც დაწყებითს სასოფლო სასწავლებელში. „ამ ენის შესწავლას ბავშვები უნდა შეუდგნენ საქმით და დაკვირვებებით მეორე წელიწადის უკანასკნელ თვეებში, როცა კარგად იქნებიან დახელოვნებულნი ღვიძლის ენის წერა-კითხვაში, ხოლო მესამე წელიწადს კი უნდა შეუდგნენ რუსულის ენის წერა-კითხვის შესწავლას"[1]. ავტორი ამ შემთხვევაში დაახლოებით ისე მსჯელობდა, როგორც იმ დროის სხვა პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგები. ხოლო იმ დროს, როდესაც საქართველოს სკოლებში ფაქტიურად სწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ავტორის მიერ ასეთი აზრის საჯაროდ, პრესაში გამოთქმა უდაოდ მისი გამბედაობის და პრინციპულობის შედეგია.

სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო ცოდნა-მომზადება, ნ. ცხვედაძის აზრით, ახალგაზრდობას უნდა მისცემოდა ზოგადი განათლების საფუძველზე სპეციალურ-პრაქტიკულ სასწავლებლებში, ხოლო საფუძვლიანი სამეურნეო განათლების მისაღებად ისინი მივლინებულ უნდა ყოფილიყვნენ სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებში. რადგანაც ჩვენი ახალგაზრდობა ღარიბი იყო და არ შეეძლო შორეულ ქალაქებში სასწავლებლად გამგზავრება, ამ საქმეში ნ. ცხვედაძე ახალგაზრდობისათვის ქართველი საზოგადოების შემწეობაზე ამყარებდა მთავარ იმედს. ამ მიზნით, მისი აზრით, უნდა დაარსებულიყო „საზოგადოება განათლებისა, ხელოსნობისა და მეურნეობის გავრცელებისა" ქართველ გლეხთა შორის: „მე დარწმუნებუ-

[1] „ივერია", 1877 წ., № 36, გვ. 9.

ლი ვარ, — წერდა იგი — რა წამს გამოაცხადებთ — ესა და ეს საზოგადოება იმართება ამა და ამ განზრახვით, ბევრი ხანი არ გაივლის, რომ რამდენიმე ასი კაცი მიიღებს მონაწილეობას ამ საქმეში; რომ ყველა, ვისაც კი ხალხის კეთილდღეობა ძვირად უღირს, შეუდგება ბეჯითად ამ საქმის ხელისშეწყობას ყოველმხრივ და ყოველგვარად"[1]. ეს ღონისძიება თავის შედეგს გამოიღებს და ჩვენი ქვეყანაც თანდათან შეივსება საფუძვლიანი სამეურნეო ცოდნა-გამოცდილების მქონე, უნარიანი სპეციალისტებით, რაც უსათუოდ დიდად შეუწყობს ხელს ქვეყნის სამეურნეო აღორძინებას, — ასეთია ნ. ცხვედაძის დასკვნა. ნარკვევი მთავრდება ავტორის შემდეგი სიტყვებით: „დრო არის თვითონ ჩვენ ჩავეკიდოთ ხელი განათლების, ხელოსნობის და მეურნეობის გავრცელებას და ყოველ ნაბიჯზე ვიგულისხმოთ, რომ ცოდნა არის საძირკველი ხალხის კეთილდღეობისა. უნდა გვახსოვდეს, რომ ყურის წაყრუება და სხვის იმედი ჩვენ ხეირს არ დაგვაყრის"[2].

ასე აფასებდა ნ. ცხვედაძე სწავლა-განათლების მნიშვნელობას ჩვენი ხალხისათვის, ასე იღვწოდა იგი ხალხში განათლების გავრცელებისათვის, და ამიტომ მიაწერა დიდმა ილია ჭავჭავაძემ თავის „ორხმიან საახალწლო ოპერეტში" (1894 წ.) ნიკო ცხვედაძეს შემდეგი აფორიზმი:

„საჭირო არის წვრთნა, სწავლა,
ვითა ფარ-ხმალი ბრძოლასა,
სჯობს ყოლა უწვრთნის ძაღლისა
უწვრთნელი შვილის ყოლასა"[3].

* * *

სწავლა-აღზრდის დაყენების მდგომარეობის საფუძვლიანად შესასწავლად და თავის პედაგოგიურ მოღვაწეობაში გამოსაყენებლად ნიკო ცხვედაძემ საგანგებოდ იმოგზაურა დასავლეთ ევროპაში 1878 წლის ზაფხულის თვეებში და თავისი პედაგოგიური მოგზაურობის შედეგები დაწვრილებით აღწერა „ივერიის" იმავე წლის ნომრებში მოთავსებულ წერილებში სათაურით „მოკლე შენიშვნები საზღვარგარეთიდამ", რომელიც გამოქვეყნებულია „ქართველი მგზავრის" ფსევდონიმით[4].

---

[1] „ივერია", 1877 წ., № 37, გვ. 13.
[2] იქვე, გვ. 13.
[3] ი. ჭავჭავაძე, მხატვრული ნაწერების ერთტომეული, 1937 წ., გვ. 141.
[4] იხ. ჟურნალი „ივერია", 1878 წ., № № 31, 32, 33, 34, 35, 37, 39, 41 და 42. ამ ნარკვევის ავტორად ნიკო ცხვედაძე უნდა მივიჩნიოთ შემდეგი საბუთების გამო: 1. პროფ. ალ. ხახანაშვილი მის წიგნში „Очерки по истории грузинской словесности" (Выпуск 4-ый. М.1906 г., стр. 392), ნიკო ცხვედაძისი

ნ. ცხვედაძე ამ წერილებში პოლონეთის, ავსტრიისა და გერმანიის სკოლების მდგომარეობის და მათში სწავლა-აღზრდის დაყენების საფუძვლიან ანალიზს იძლევა. იგი განსაკუთრებით აღფრთოვანებულია იმით, რომ პოლონეთში არსებულ სკოლებში ახალგაზრდობის სწავლა-განათლება მშობლიურ—პოლონურ ენაზე წარმოებდა, ხოლო გერმანული ენა, რომელიც მაშინდელი გერმანიის იმპერიაში მოქცეული პოლონეთის სახელმწიფო ენას წარმოადგენდა, მხოლოდ ცალკე საგნად

ნაშრომთა შორის, იხსენიებს „მგზავრის წერილებს ევროპიდან"; 2. გრ. ყიფშიძეც ადასტურებს, რომ „იევრიაში" თანამშრომლობდა ნ. ცხვედაძე, რომელსაც ეკუთვნის „წერილები გერმანიიდან" (იხ. მისი „Периодическая печать на Кавказе", 1901 წ., გვ. 34—35); 3. ხ[ა]ქარია[ნ]ი[ს] ბიბლიოგრაფიულ ჟურნალ „განათლებაში" მოთავსებულ წერილში აღნიშნავს, რომ 1878 წელს „იევრიაში" „იბეჭდებოდა მისი კორესპონდენციები ევროპის ქალაქიდან" (იხ. „განათლება", 1910 წ., № 10, გვ. 467), ხოლო ასეთი კორესპონდენცია „ევრიაში" 1878 წელს მხოლოდ ერთი მოთავსდა „ძოკლე შენიშვნები სახლვარგარეთიდამ" ქართველი მგზავრის ფსევდონიმით; 4. საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუსეუმში ინახება ნიკო ცხვედაძის უბის წიგნაკი, რომელიც დათარიღებულია 1873 წლით და რომელშიც მოცემულია ავტორის მოკლე ჩანაწერები საზღვარგარეთ ყოფნის დროს დასახელებული სტატიის შესადგენად, რომლის დაბეჭდილ ტექსტთან ნედარება საბოლოოდ ადასტურებს იმას, რომ ჟურნალ „იევრიაში" 1878 წელს „ქართველი მგზავრის" ფსევდონიმით მოთავსებული ნარკვევი უდაოდ ნიკო ცხვედაძეს ეკუთვნის; 5. უკანასკნელ დროს ჩვენს მიერ მიკვლეულ იქნა „Приказ по управлению наместника Кавказского" 1878 წლის 20 მაისის თარიღით № 21, საიდანაც ჩანს, რომ ამიერკავკასიის კეთილშობილ ქალწულთა ინსტიტუტის მასწავლებელი ნ. ცხვედაძე 1878 წლის სახაფხულო არდადეგების პერიოდში მართლაც მივლინებული იყო საზღვარგარეთ, კერძოდ გერმანიაში.

აქ მოყვანილი საბუთების შემდეგ, მხოლოდ გაუგებრობაზე აგებულად უნდა ჩაითვალოს ალ. მიქაბერიძის ცნობა (იხ. მისი მოგონება—ნარკვევი „ნიკო ცხვედაძე", საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდი), რომ თითქოს ნ. ცხვედაძეს ეკუთვნოდეს სტატია სახლვარგარეთიდან „ყმაწვილების აღზრდა შვეიცარიაში", რომელიც დაიბეჭდა გ. წერეთლის „კრებულში" 1873 წელს (იხ. „კრებული". № 8) „ი.—ი"-ს ხელისმოწერით რადგან, ჯერ ერთი, ამ პერიოდში ნ. ცხვედაძე, როგორც ცნობილია, თბილისში იმყოფებოდა და არა საზღვარგარეთ, და მეორეც, როგორც აშკარად გამოირკვა, ეს სტატია ეკუთვნის ივანე მესხს (იხ. „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია", ნაკვეთი I, გვ. 61), რომლის სახელის პირველ და გვარის უკანასკნელ ასოებს აღნიშნავს მოყვანილი ინიციალიც.

ამრიგად, სრულიად დასაბუთებულად უნდა მივიჩნიოთ, რომ ნარკვევის „ნოკლე შენიშვნები სახლვარგარეთიდამ" ავტორი არის ნიკო ცხვედაძე და ფსევდონიმი „ქართველი მგზავრი" მას ეკუთვნის (იხ. ჩვენი წერილი, ნ. ცხვედაძის თრი უცნობი ფსევდონიმი, გაზ. „საბჭოთა მასწავლებელი", 1945 წ., № 12 და თეზისები: „რამდენიმე ახალი ბიოგრაფიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობა ი. გოგებაშვილისა და ნ. ცხვედაძის შესახებ").

ასწავლებოდა და ისიც არა ყველა ტიპისა და საფეხურის სკოლებში. „სამხედრო გიმნაზიებს გარდა, ყველა სასწავლებელში მეცნიერებას ასწავლიან მარტო პოლშურს ენაზე; არც ერთ საგანს არ ასწავლიან სახელმწიფო, ე. ი. ნემეცურ ენაზე. ერთის სიტყვით, პოლშური ენა არის საზოგადო ენად მიღებული და ამ ენაზე ავრცელებენ მეცნიერებას და განათლებას. რაც შეეხება ნემეცურ ენას, ამას ერთკლასიან სასწავლებლებში სრულებით არ ასწავლიან; მაშასადამე ერთ-კლასიან და ორ-კლასიან სასოფლო სასწავლებლებში მისი ხსენება სრულებით არ არის, ამის სწავლას იწყებენ მხოლოდ სამ-კლასიან სასწავლებელში,— ანუ მესამე კლასიდან, სადაც ბავშვები სრულებით დახელოვნებულნი არიან თავიანთ ღვიძლის ენის ცოდნაში"[1]. ნ. ცხვედაძეს, ამ დარგში საკუთარი ქვეყნის მწარე გამოცდილების უშუალო მოწმეს, თითქოს არც კი სჯეროდა პოლონეთის სკოლების ასეთი მდგომარეობა, მაგრამ ყველა იმ სასწავლებლის ხელმძღვანელებისაგან, რომელნიც მან დაათვალიერა, ერთნაირი პასუხი რომ მიიღო: „რასაკვირველია, პოლონურ ენაზე ვასწავლით ყველაფერსო".— თავის დღიურში აღფრთოვანებით აღნიშნა: „პოლონეთში სასწავლებლებს სრულებით ნაციონალური ხასიათი აქვთო".

ნ. ცხვედაძე მეტად მდიდარ მასალას იძლევა დასავლეთ ევროპის მაშინდელ სკოლებში სწავლების მიმდინარეობისა და მასწავლებელთა შორის პედაგოგიურ-მეთოდური მუშაობის დაყენების შესახებ. „ყოველი „მაზრის თითოეულის კუნძულის სოფლების მასწავლებლებს,—წერს იგი,—ორ თვეში ერთხელ მაინც საზოგადო ყრილობა აქვთ ინსპექტორის თანდასწრებით და ამ ყრილობაში ისინი ლაპარაკობენ. ბაასობენ სხვადასხვა პედაგოგიურ საგნებზე". ერთ ასეთ პედაგოგიურ-მეთოდურ თათბირს, რომელზეც ერთი მასწავლებლის გეოგრაფიის გაკვეთილი გაურჩევიათ და პესტალოცის პედაგოგიკურ მოძღვრებაზე უმსჯელიათ, ნ. ცხვედაძეც დასწრებია და თათბირის ხელმძღვანელ ინსპექტორთან შეკამათებაც მოსვლია: „სხვათა შორის,—გადმოგვცემს იგი,—მე მას ვუთხარი ზოგიერთი შენიშვნა პესტალოცის თეორიისა და გეოგრაფიის გაკვეთილის შესახებ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, თუ როგორ შეაფუცხუნა ჩემმა შენიშვნამ ეს ინსპექტორი და ბოდიშის ხდა დაიწყო, რომ გეოგრაფიული გაკვეთილი ვერ იყო ნამდვილი პედაგოგიური, რომ პესტალოცის თეორიას მხოლოდ ცოტათი შეეხენ, მე სწორედ ეგრე მინდოდა მელაპარაკა დღეს, მითხრა მან, როგორც თქვენ ამბობთ, მაგრამ ძალი-

[1] ჟურნ. „ივერია", 1878 წ., № 32, გვ. 3.

ან დაგვიანდა და ამისათვის ავჩქარდიო"[1]. ეს საგულისხმო დეტალი ნ. ცხვედაძის საფუძველიანი პედაგოგიკური მომზადების დამადასტურებელია.

ნ. ცხვედაძეს მეედველობიდან არ გამოპარვია არც ბისმარკის იმპერიის პოლიტიკური ცხოვრების დამახასიათებელი მხარეები. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სლავი ხალხების ყოველმხრივ დაჩაგვრას ამ იმპერიაში და ენერგიულად ექომაგებოდა მათ. „ავსტრიის სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხეებში 16 მილიონამდის სლავიანების ტომის ხალხი ცხოვრობენ", ნაგრამ მათი პოლიტიკური უფლებები სასტიკად შეზღუდულია. „ხშირად სლავიანების დედულ-მამულიდან დეპუტატად ვენაში ნემცები მობრძანდებიან ხოლმე". ჩეხებიც რაიხსტაგში დეპუტატებს არ გზავნიან, რადგან მათ დამოუკიდებლობა იმპერატორმა არ მიანიჭა, ამრიგად „სლავიანების დეპუტატების რიცხვი კიდევ უფრო მცირეა და ნემცებს როგორც სურთ, ისე იქცევიან"[2]. ასეთ მდგომარეობას, ავტორის აზრით, რასაკვირველია, მომავალში ბოლო მოეღება, და ამიტომაც არის „საჭირო იქაური სლავიანების მდგომარეობის ცოდნა" და მათთვის დახმარების აღმოჩენა.

ნ. ცხვედაძის ასეთი აზრი და დამოკიდებულება იმით იყო გამოწვეული, რომ ბისმარკის იმპერიაში დესპოტიზმი სუფევდა და თავისუფლების ნასახები თანდათან ისპობოდა. „ახლა ლაიპციგის უნივერსიტეტი ბისმარკის მოხელე კაცებს ამზადებს და არა თავისუფალ მოქალაქეებს,—წერდა იგი,—კიდევ უარესი მდგომარეობა შეიქმნება, თუ ლიბკნეხტი და მისი მომხრეები არ ამოირჩიეს" სახელმწიფოს მეთაურებად.

ნ. ცხვედაძემ ამავე წერილში აღიარა თავისი ძირითადი კრედო და გულწრფელად აღნიშნა: „მე ისეთი სიყვარული მაქვს ქეშმარიტებისა და პატივისცემა კაცისა, რომ უმჯობესად შევრაცხავ მარჯვენა მოვიჭრა და წყალში გადაუძახო, მინამ განგებ რამ ტყეილი გამოურიო ჩემს ნაწერებშიო"[3]. და მართლაც, მისი არც ისე მრავალრიცხოვანი, მაგრამ ფრიად საყურადღებო თხზულებანი აშკარად ადასტურებენ ამ აზრს, რასაც მათი ავტორი თავიდანვე გრძნობდა და განიცდიდა და სწორედ ამაშია მათი ძალა და ღირსება.

---

[1] ჟურ. „ივერია", 1873 წ., № 35, გვ. 9—10.
[2] „ივერია", 1878 წ., № 32. გვ. 3.
[3] „ივერია", 1878 წ., № 33, გვ. 12.

ნ. ნ. ცხვედაძე და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“

ნიკო ცხვედაძე თავიდანვე დაუახლოვდა ილია ჭავჭავაძეს, დიმიტრი უიფიანს, იაკობ გოგებაშვილს და XIX საუკუნის 60—70-იანი წლების სხვა ჩვენს გამოჩენილ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს და მათთან ერთად ჩაება დიდი მასშტაბის საზოგადოებრივ საქმიანობაში. დასახელებულ პირებთან ერთად იგი იყო ჩვენში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი ძირითადი დამაარსებელი და ხელმძღვანელი.

იდეა ასეთი საზოგადოების დაარსებისა ჯერ კიდევ 1864 წლიდან წარმოიშვა. „ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ... ქართველ საზოგადოებაში დაიბადა და აღიზარდა ის აზრი, რომ ეს რეფორმა მხოლოდ მაშინ მოიტანს სანატრელს ნაყოფს, როცა გლეხობა განთავისუფლდება სიბნელისა და უმეცრებისაგანაო“[1]. „ქართველი დაწინაურებული საზოგადოება“ ამ ამოცანის განსახორციელებლად შეუდგა ისეთი ორგანიზაციის შექმნას, რომელსაც მიზნად ექნებოდა დასახული ხალხში სწავლა-განათლების გავრცელება.

იმდროინდელი ქართული პრესა ენერგიულად გამოექომაგა ამ იდეას და მისი საჩქაროდ განხორციელება მოითხოვა. უკეთებდა რა ანალიზს საქართველოში სწავლა-განათლების მდგომარეობას, გაზ. „დროება“ 1874 წელს წერდა: „უნდა ვიზღოთ ჩვენი დაკარგული, უნდა ვუშველოთ ჩვენს აწმყოს თუ არა მომავალს მაინც. რასაკვირველია, ამის პირველი მალამო ის არის, რომ უნდა შედგეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“[2].

ქართული პრესის მოთხოვნისა და უკვე საკმაოდ მომწიფებული საზოგადოებრივი აზრის განხორციელება ამ პერიოდის ჩვენი პროგრესული ინტელიგენციის მოწინავე რაზმმა იკისრა. სახელგანთქმული ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძესთან ერთად, ჯერ კიდევ 1876 წლიდან შეუდგა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დაარსებისათვის ზრუნვას. ამ მიზნით, ვახტანგ თულაშვილის მეშვეობით. მათ მიიღეს ხარკოვიდან ადგილობრივი წერა-კითხვის საზოგადოების წესდება, რომლის საფუძველზე დაიწყეს ჩვენი საზოგადოების წესდების შემუშავება. ამ საქმეში მათ ცნობილი ქართველი მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე დიმიტრი უიფიანიც

---

[1] ი. გოგებაშვილი, პედაგოგიური თხზულებანი, პროფ. გ. თავზიშვილის რედაქციით, ტ. II, 1940 წ., გვ. 512.

[2] გაზ. „დროება“, 1874 წ., № 424.

(1814—1887 წ. წ.) ჩააბეს. ი. გოგებაშვილის ავადმყოფობის გამო. წესდება უმთავრესად ნ. ცხვედაძისა და დ. ყიფიანის მიერ იქნა შედგენილი. „ცხვედაძე თავისი ჩვეულებრივი ენერგიით შეუდგა ამ საქმესა და ყოველს შაბათს საღამოს დაიარებოდა დიმიტრი ივანესძესთან, და მხოლოდ ეს ორი ქართველი ადგენდა წესდებულებასა ახალის ქართულის საზოგადოებისას", — წერდა შემდეგში იაკ. გოგებაშვილი[1]. წესდებაში ნ. ცხვედაძემ და დ. ყიფიანმა მკაფიოდ განსაზღვრეს საზოგადოების ძირითადი ამოცანები და მისი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის უმთავრესი გზები და საშუალებანი. მიუხედავად ამისა, საზოგადოების წესდება ი. გოგებაშვილმა მაინც არ მიიჩნია სრულყოფილად, რადგან მასში არ იყო გარკვევით ნათქვამი, რომ სწავლება საზოგადოების სკოლებში მხოლოდ მშობლიურ, ქართულ ენაზე იწარმოებდა. „წესდებულების დამთავრების შემდეგ იგი გამოვართვი ცხვედაძეს და გულდადებით გადავიკითხე, — წერდა ი. გოგებაშვილი. — აღმოჩნდა, რომ მუხლი დედაენაზედ საგნების სწავლების შესახებ არ შეეტანათ შიგა. როცა მიზეზი ვიკითხე, ცხვედაძემ მითხრა, რომ დიმიტრი ივანესძეს აზრით მაგ მუხლს მთავრობა არ შეიწყნარებს, წესდებულებას არ დაგვიმტკიცებს და საზოგადოებას ვერ დავაარსებთო. მე ვუპასუხე: „თუ ეგ მუხლი არ იქნება მოქცეული წესდებაში, საზოგადოების დაარსება ამაო იქნება, რადგანაც ბიუროკრატიას უფლება მიეცემა სწავლება საზოგადოების სკოლაში რუსულ ენაზე მოითხოვოს, და მაშინ ჩვენი საზოგადოება ქართველის ხალხის განათლებას კი არ გაუწევს სამსახურს, არამედ მის გადაგვარებას და მის გონების დაბნელებას დაეხმარება მეთქი". და მაშინვე ჩემი ხელით წესდებულებაში, რომელიც დაწერილი იყო ცხვედაძის მიერ შავად, ჩაურთე შემდეგი პარაგრაფი „Общество достигает своей просветительной цели посредством организации всего начального обучения на родном, понятном детям, языке и способствует обучению русскому языку"[2].

ამ სახით საბოლოოდ შევსებულ-შესწორებული წესდება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა", რომელსაც ხელს აწერდა 123 დამფუძნებელი წევრი, 1878 წლის 20 ივნისს დასამტკიცებლად წარედგინა მეფისნაცვალს კავკასიაში. დიდი ბრძოლის შემდეგ, რომელიც უმთავრესად ი. გოგებაშვილის მიერ ჩამატებული მესამე პარაგრაფის გამო წარმოებდა, წესდება

---

[1] ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, პედაგოგიური თხზულებანი, ტ. II, 1910 წ., გვ. 515.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 515.

დამტკიცებულ იქნა 1879 წლის 31 მარტს და საზოგადოებაც შეუდგა მოქმედებას. საზოგადოების პირველ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დიმიტრი ყიფიანი, ხოლო საზოგადოების გამგეობის შემადგენლობაში შევიდნენ: ილია ჭავჭავაძე (თავმჯდომარის მოადგილე), იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ივ. მაჩაბელი, ა. სარაჯიშვილი და რაფ. ერისთავი.

ამიერიდან ნიკო ცხვედაძის საზოგადოებრივ-პედაგოგიური მუშაობა ორგანულად დაუკავშირდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას". იგი იყო საზოგადოების გამგეობის მუდმივი წევრი 1879 წლიდან და საზოგადოების თავმჯდომარის (ილია ჭავჭავაძის) უცვლელი ამხანაგი (მოადგილე) 1885 წლიდან 1907 წლამდე[1]. ამ საზოგადოების ნრავალმხრივად ნაყოფიერი კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის ძირითადი სიმძიმე ნიკო ცხვედაძეს აწვა, რადგან, ილია ჭავჭავაძის უმთავრესად ლიტერატურული და სხვა საზოგადოებრივი მუშაობის გადატვირთულობის გამო, მას უხდებოდა საზოგადოების მუშაობის წარმოება და ისიც ამ მოვალეობას უმწიკვლოდ და პირნათლად ასრულებდა ათეული წლების განმავლობაში.

ნიკო ცხვედაძე ნათლად ხედავდა, რომ მეფის რუსეთის მოხელეები საქართველოში აშკარა რუსიფიკატორულ პოლიტიკას ატარებდნენ, რომ იანოვსკები, სტრელეცკები, დარსკები და სხვები ეროვნული კულტურისა და სწავლა-განათლების ყოველ ნასახს ძირშივე სპობდნენ. 1881 წლის 21 აპრილს ნ. ცხვედაძე დიმ. ყიფიანს წერდა: „უ. იანოვსკიმ ხელმეორედ დაამტკიცა, თუ რა ცუდი თვალით უცქერის ჩვენი ხალხის განათლებას, თუ რა ცოტა მნიშვნელობას აძლევს საზოგადოების აზრს და მოთხოვნილებას. მგონი ყველასათვის ცხადია, რომ სახალხო სასწავლებლის დირექტორმა უეჭველად უნდა იცოდეს სკოლის ენა, ხალხის მოთხოვნილებანი, მისი ხასიათი, ზნეობა და ჩვეულებანი. უამისოდ იმას არ შეუძლიან მოუტანოს ხალხს განათლების ჯეროვანი სარგებლობა. მაგრამ ყველა ეს ან არა სწამს უ. იანოვსკის, ან კიდევ სწამს, მაგრამ განგებ სჩადის და სახალხო სკოლების დირექტორებად ნიშნავს იმგვარ კაცებს, რომლებმაც არც სკოლის ენა იციან და არც ხალხს იცნობენ. აი ეხლა უ. სტრელეცკი, ქართული ენის უცოდინარი, დაინიშნა ხონის სამასწავლებლო სემინარიაში დირექტორად; ამის მა-

---

[1] ი. ჭავჭავაძემდე საზოგადოებას თავმჯდომარეობდნენ: დიმ. ყიფიანი (1879—1882 წ. წ.) და ივ. ბაგრატიონ-მუხრანსკი (1883—1885 წ. წ.).

გიერად კიდევ აქ საქართველოს გულში სახალხო სკოლების დირექტორებად გაამწესა უხეირო, გამოუცდელი, ქართული ენის უცოდინარი უ. დარსკი. ამ ათი წლის წინათ ჩვენ განმანათლებლებს შეეძლოთ ეთქვათ: „ძლიერ გვსურს ქართველთაგანი დავნიშნოთ დირექტორებად, მაგრამ საუბედუროდ ქართველობაში არ მოიპოვებიან პედაგოგიის ასპარეზზე გამოსადეგი კაცები“. ეხლა კი ამის თქმა არ შეუძლიათ. არც ერთი ქართველთაგანი უ. დარსკიზე ნაკლები არ არის თვითოეული მათგანი ჭკუა-გონებით, გამოცდილებით ძლიერ მაღლა დგას ახალ დირექტორებზე და ამისათვის უნდა ვიფიქროთ, რომ როდესაც სახალხო სკოლებისათვის დირექტორებს ეძებენ, იმას კი არ უცქერიან, აღმოაჩინონ მართლაც გამოსადეგნი პირნი, არამედ იმას, რომ ისინი იყვნენ უეჭველად რუსნი და ეს მოვლენა როგორც განათლებული რუსისათვის, ისე განათლებული ქართველისათვის — ერთი სიტყვით ყველასათვის, ვისთვისაც კი ძვირად ღირს ხალხის და სახელმწიფოს კეთილდღეობა, დიდი სამწუხარო მოვლენაა“[1].

ითვალისწინებდა რა ჩვენში სახალხო განათლების დარგში რუსიფიკატორული პოლიტიკის ამ შედეგებს, ნიკო ცხვედაძე მხურვალედ ჩაება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მუშაობაში და ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ქართულ ეროვნულ კულტურასა და სწავლა-განათლებას გასაქანი და განვითარების შესაძლებლობა მისცემოდა ჩვენში. ამიტომ ხარჯავდა იგი უდიდეს ენერგიასა და შრომას მშობლიურს ენაზე სწავლა-განათლების გავრცელებისათვის საქართველოში.

ნიკო ცხვედაძის უშუალო მონაწილეობით დაარსდა საზოგადოების ქართული სკოლები ქუთაისში (1880 წ.), თბილისში (1880 წ.), ბათუმში (1881 წ.), წინარეხში (1882 წ.), თონეთში (1883 წ.), ძველ სენაკში (1884 წ.), ხელთუბანში (1884 წ.), კავკავში (1888 წ.), გომარეთში (1897 წ.) და ყალამშაში (1904 წ.). ამ სკოლებში 1907 წლამდე 19.474 ქართველმა ახალგაზრდამ მიიღო სწავლა-განათლება მშობლიურ ენაზე.

ნიკო ცხვედაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართული სკოლის გახსნას ისეთ ადგილებში, სადაც ქართველი მოსახლეობა სრულიად მოკლებული იყო სწავლა-განათლების მიღების ყოველ-

---

[1] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების დიმიტრი ყიფიანის ფონდი № 531. ნ. ცხვედაძის ეს წერილი გამოქვეყნებული იყო „სახალხო გაზეთში“ (1912 წ., № 660) და ს ი მ. ხ უ ნ დ ა ძ ი ს მონოგრაფიაში „დიმიტრი ყიფიანი“, 1936 წ., გვ. 210—211.

ბვარ შესაძლებლობას, მით ეროვნულ მშობლიურ-ქართულ ენაზე, და უსასტიკეს ეროვნულ შევიწროებასა და დამცირებას განიცდიდა.

იმ პერიოდში ერთი ასეთი ადგილთაგანი იყო მაშინდელი აჭარა. როგორც ცნობილია, აჭარის შემოერთებას (1878 წ.) განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეხვდა ქართველი ხალხი. ქართული პრესა მოითხოვდა სწავლა-განათლების გავრცელებას აჭარის მუსლიმანურ მოსახლეობაში. „ჩვენ უნდა გავახსენოთ მათ, რომ ისინი ტომით ქართველებია... ყველაზე უფრო ძლიერად ეროვნულ გრძნობას მათ სწავლა-განათლება გაუღვიძებს და ამ მიზნის მისაღწევად ქართული წერა-კითხვის გავრცელებაა საჭირო",— წერდა გაზეთი „დროება".

აჭარის ქართველი მაჰმადიანებისათვის ქ. ბათუმში ქართული სკოლის დაარსების საკითხი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" გამგეობის 1879 წლის 17 ნოემბრის სხდომაზე პირველად ნიკო ცხვედაძემ დააყენა: „ჩვენ, ქართველ საზოგადოებას, ბევრი აღთქმა მიგვიცია ამ ახლად შემოერთებული ჩვენი თვისტომისათვის, მაგრამ საქმით კი ჯერ არა გაგვიკეთებია რაო"— აბბობდა იგი[1].

საზოგადოების გამგეობამ ამავე სხდომაზე პრინციპულად გადასწყვიტა ქ. ბათუმში ქართული სკოლის გახსნის აუცილებლობა და თანხმობის მისაღებად ილია ჭავჭავაძეს მიანდო წინასწარი მოლაპარაკება ადგილობრივს გავლენიან პირებთან. მაგრამ შემდეგ, ი. ჭავჭავაძის მოუცლელობის გამო, ეს ვალდებულება ნ. ცხვედაძემ იკისრა და დიდი წარმატებით შეასრულა კიდეც. მისი დაუღალავი მეცადინეობის შედეგად ბათუმის ქართული სკოლა 1881 წლის 25 თებერვლიდან შეუდგა მუშაობას. სკოლის გახსნამ ბათუმში დიდი თანაგრძნობა გამოიწვია, მას აღტაცებით შეხვდნენ ყველანი.

ნ. ცხვედაძე ბათუმის ქართული სკოლის დამხმარე და დიდი მოამაგე იყო ყოველთვის. შემდეგში, როდესაც ბათუმის სკოლა მძიმე მდგომარეობაში იყო და მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა, ნ. ცხვედაძე ენერგიულად შეუდგა სკოლის მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის ზრუნვას. საზოგადოების გამგეობის მიერ ნიკო ცხვედაძის ხელმძღვანელობით გამოყოფილმა კომისიამ (ეკ. გაბაშვილი, ან. თუშანიშვილი და მარ. გაბაშვილი)

---

[1] საქართველოს სსრ ცენტრალური არქივის „ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების" გამგეობის სხდომის ოქმები, 1879—1881 წ.წ.

1886 წლის 20 დეკემბერს გამართა სპეციალური საღამო, რომლის მთელი შემოსავალი ბათუმის ქართულ სკოლას მოხმარდა[1].

ბათუმის საზოგადოება კარგად გრძნობდა და აფასებდა ნიკო ცხვედაძის ამ ღვაწლსა და ამაგს. ამიტომ იყო, რომ ის სკოლის ყოველი საპირბოროტო საკითხის გადაწყვეტის დროს ნ. ცხვედაძეს მიმართავდა. როდესაც „სასწავლებლისათვის საკუთარი შენობის აგებას შეეპიდნენ, — გადმოგვცემს ქართველი მწერალი დავით კლდიაშვილი თავის მოგონებაში, — თბილისიდან დაიბარეს „წერა-კითხვის საზოგადოების“ თავმჯდომარის ამხანაგი ნიკო ცხვედაძე. ენერგიით სავსე ნიკო ჩამოვიდა ბათუმში, მოუყარა სკოლის ეზოში ქართველობას თავი და მისებური, მხურვალე სიტყვით მიმართა ყრილობას, რომ შესდგომოდნენ სასწავლებლისა და მასწავლებელთათვის შენობის აგებას. კეთილი განზრახვით მიმართული სიტყვა — კეთილად დამთავრდა. ყველამ აღუთქვა დახმარება ამ საქმეში „წერა-კითხვის საზოგადოებას“, ვინ ფულით, ვინ საშენი მასალით, ვინ პირადი მუშაობით. საქმე ისე გაჩაღდა, რომ მეორე წელიწადს სასწავლებელს უკვე ნზად ჰქონდა სამაგალითო დიდი შენობა, მშვენიერად მოწყობილი და ცალკე ბინები მასწავლებლებისათვის. სასწავლებელს შეეძლო დაეტია ორასამდე მოსწავლე და მალე კიდეც მიაღწია ამ რიცხვამდე მოსწავლეთა რაოდენობამ. სასწავლებელი მშვენივრად იყო დაყენებული და დიდ სიმპატიას იწვევდა ხალხში. სწავლა ისე ჩინებულად იყო დაყენებული, რომ შემდეგში მეოთხე განყოფილებიდან ყოველ წლობით ათი — თორმეტი ყმაწვილი გადადიოდა აქაური შემზადებით ბათუმის გიმნაზიაში... ბათუმის „წერა-კითხვის“ სკოლამ დიდძალი შეგნებული ახალგაზრდობა მისცა ხალხს.[2]

ნ. ცხვედაძის შრომა ბათუმის ქართული სკოლის დაარსებისა და მისი განვითარებისათვის ხელისშეწყობის დარგში შესაფერისად იქნა დაფასებული. 1911 წელს ნ. ცხვედაძის გარდაცვალების გამო წარმოთქმულ სიტყვაში ცნობილი პედაგოგი და ლიტერატორი ილია ფერაძე (1866—1928 წ. წ.) ერთხელ კიდევ აღნიშნავდა მის დიდ ღვაწლს და ამბობდა: „1881 წელს დაარსებულ იქნა უმთავრესად მისი მეთაურობით ქალაქ ბათუმში ის ქართული სასწავლებელი, რომლის კედელთ შორის დღეს შევიკრიბენით“[3].

---

[1] იხ. „ქ. შ. წ. კ. გამაღრცელებელი საზოგადოების ანგარიში“, 1887 წ., გვ. 7.
[2] დავით კლდიაშვილი, მემუარები, 1932 წ., გვ. 99—100.
[3] „ბათუმის გაზეთი“, 1911 წ., № 59. უფრო დაწვრილებით ნ. ცხვედაძის მოღვაწეობის შესახებ ბათუმის ქართული სკოლის სასარგებლოდ იხ. გ. ნიორაძის ნარკვევში „პირველი ქართული სკოლა ბათუმში.“ ბათუმი, 1950 წ.

ასევე უდიდესი შრომა და ენერგია აქვს დახარჯული ნიკო ცხვედაძეს წინარეხის, თონეთის, ძველი სენაკის, ხელთუბნის, კავკავის, გომარეთის და სხვ. ქართული სკოლების დაარსებისა და მათი მუშაობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენების უზრუნველსაყოფად. ეს მეტად ძნელი საქმე იყო მაშინ. მეფის ხელისუფლების რუსიფიკატორი მოხელეები ყოველ ღონეს ხმარობდნენ იმისათვის, რომ როგორმე თავიდანვე ჩაეშალათ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ ქართული სკოლების გახსნის საქმე. ამიტომ იყო, რომ ილია ჭავჭავაძე 1883 წელს გულდაწყვეტით წერდა: „დიდი და პატარა ჩვენს საზოგადო საქმეს ჰქელავს დაუსჯელად, და იმიტომა ჰქელავს,— რომ ქომაგად და მოსარჩლედ მარტო ორიოდე კაცია... აი, თუნდა ავიღოთ მაგალითად „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“. დამტკიცებული წესდება აქვს, მთავრობისაგან მინიჭებული აქვს ზოგიერთი უფლება, მაგალითებრ — იქონიოს თავისი სკოლები, იმ სკოლებში მთელი სწავლება მოაწყოს დედა-ენის შემწეობით, მინიჭებული აქვს უფლება მიიღოს თავის განკარგულების ქვეშ სოფლის სკოლები, რომელსაც თითონ სოფლის საზოგადოება თავისი ყრილობის განაჩენით მას მიანდობს. ყოველივე ეს უფლება მინიჭებული აქვს უმაღლესის მთავრობისაგან და, წარმოიდგინეთ, ერთი სკოლა კანონის ნებართვით დღეისამდე არსად არ გაუმართავს, ბათომის გარდა. ეს საკვირველი ამბავი განა იმ მიზეზით არის, რომ თითონ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ზარმაცობდეს, არამედ იმ მიზეზით, რომ მთელის ორის და სამის წლობით დადის სკოლის გახსნის თაობაზედ წარდგენილი ქაღალდი ერთის სამწერლოდან მეორეში და ამ სიარულს ბოლო არა აქვს“[1].

ქართველი მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლებიც, როდესაც ისინი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ დავალებით ადგილებზე მიემგზავრებოდნენ სკოლების მოწყობის საქმის მოსაგვარებლად, უკან ბრუნდებოდნენ უშედეგოდ, რადგანაც ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა მესვეურები გზას უბორკავდნენ მათ და შესაფერისი მუშაობის გაშლის საშუალებას არ აძლევდნენ. მრავალთა შორის ასეთი ბედი ეწიათ ცნობილ ქართველ პოეტს რაფიელ ერისთავს და პედაგოგ ალექსი ჭიჭინაძესაც (1851—1917 წ.წ.). კახეთიდან უშედეგოდ დაბრუნებული პოეტი რაფ. ერისთავი 1879 წლის 25 დეკემბერს მოახსენებდა „საზოგადოების“ გამგეობას: „თანახმად გამგეობის მინდობი-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, პედაგოგიური თხზულებანი, 1938 წ., გვ. 264—265.

ლობისა მე წაველ სიღნაღის მაზრაში სასწავლებლის გახსნის თაობაზედ, რათა ამ საგნისათვის მომეწვია სოფლის საზოგადოება და რა მივმართე ადგილობრივ მაზრის უფროსს შემწეობის აღმოჩენისათვის, თუმცა მან აღმითქვა ესე გვარი და ამისათვის გამაჩერა კიდეც უმეტეს ერთი კვირისა, მაგრამ ბოლოს გამომიცხადა, რომ ის შემდეგ აცნობებს გამგეობასა ჩვენსასა თავის აზრს ამ საგანზედ და მე იძულებული დავბრუნდი თბილისში"[1].

ამავე მიზნით იმერეთს გამგზავრებული ცნობილი პედაგოგი ალ. ჭიჭინაძე 1879 წლის 21 სექტემბერს კერძო ბარათით ატყობინებდა ნიკო ცხვედაძეს: „ჯერ კიდევ არაფერი სიკეთე გამოვიდა ქუთაისის მაზრის უფროსისაგან... ყველაფერი ნალაპარაკევი დარჩა ხმადა მღაღადებლად უდაბნოსა შინა. ბოლოს კიდევ ვკითხე, მიპირებენ თუ არა ამ საქმეში შემწეობის მოცემას და რაში გამოიხატება მათი შემწეობა. მაშინ მითხრეს, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" გამგეობას გუბერნატორისათვის უნდა ეთხოვა შემწეობა და ის გვიბრძანებდა ჩვენ დაგხმარებოდითო. უამისოდ როგორ შეიძლება საქმეს ხელი მოვკიდოთო? ის არის გუბერნიის უფროსი და არ უნდა იცოდეს გუბერნიაში რა ხდებაო? გუბერნატორს ვკითხეთ ჩვენ ამ საქმეზე და გვითხრა, რომ მე არ მცნობია ჯერ ეს საქმეო. მოითმინეთ ცოტა, სახალხო სკოლების დირექტორს მოვიწვევთ და ერთად მოვილაპარაკოთ, თუ როგორ აჯობებს საქმის დაწყებაო... ამნაირად საქმე გაჩერებულია, სანამ მაზრის უფროსი და სახალხო სკოლების დირექტორი არ მოილაპარაკებენ, და ეს მოლაპარაკება ერთ კვირაზე ადრე არ იქნება, გუბერნატორი კიდევ რას ინებებს, თუ გაგებული აქვს ეს საქმე, არ იცის კაცმა"[2].

1879 წლის 26 სექტემბერს ნ. ცხვედაძე წერდა „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების" მაშინდელ თავმჯდომარეს დიმიტრი ყიფიანს: „ამ წინაზე ტელეგრამა გამოგიგზავნეთ იმაზე, თუ რას იწერებოდა ქუთაისიდან უ. მ ე უ ნ ა რ გ ი ა გუბერნატორის შესახებ. ეხლა მეორე აგენტისაგან მივიღე წერილი (იგულისხმება ალ. ჭიჭინაძის ზემოთმოყვანილი წერილი, ვ. ქ.), რომლითაც გვატყობინებს, რომა აგენტებს შეხვედრიათ იქ ზოგიერთი დაბრკოლებანი ადმინისტრაციის მხრიდამა. მაზრის უფროსს ეგრე რიგად

---

[1] საქართველოს სსრ ცენტრალური არქივი, ქ. შ. წ. კ. გ სახ-ის ფონდი № 4, გვ. 7.

[2] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების S ფონდი, № 5332.

არ აღმოუჩენია შემწეობა მათთვის და კიდევაც დაუთათბირებია — ჯერეთ თითქოს უარი უთქვამს შემწეობაზე, მერე, როცა ჩვენი წესდებულება წაუკითხავს, დაპირებია შემწეობას; ბოლოს უკან დაუწევია და გამოუცხადებია, რომ სკოლების დაფუძნება—გახსნა წიგნის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების საქმე არ არისო — ეს შეეხება მთავრობისაგან გამწესებულ დირექტორსაო. როგორც აგენტის წერილიდამ სჩანს, მაზრის უფროსზე უმოქმედნია დირექტორს, რომელსაც წარმოუთქვამს ის აზრი, რომ ჯერეთ იმ სკოლებს შეეწივნონ, რომლებიც არსებობენო და მერე სხვა სასწავლებლები გახსნანო. გუბერნატორსაც შეუტყვია ეს საქმე და ამას გადაუწყვეტია: მაზრის უფროსმა და დირექტორმა მოილაპარაკოს ამ საზოგადოებაზეო. ცხადია, რომ დირექტორი ისევ ამ აზრს დაიცავს და ჩვეხს აგენტებს არ აღმოუჩენენ შემწეობას"[1].

ასეთ აუტანელ პირობებში უხდებოდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" და მის ერთ-ერთ ხელმძღვანელს ნ. ცხვედაძეს ქართული სკოლების გახსნა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. აქედან გასაგებია, თუ რამდენი ენერგია, როგორი გულმოდგინეობა და შეუნელებელი მუშაობა იყო საჭირო იმისათვის, რომ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" არა მარტო სკოლების გახსნა მოეხერხებინა ჩვენში, არამედ ისე გაეშალა მათში სასწავლო-საალმზრდელო მუშაობა, რომ ქართველ ბავშვებს საფუძვლიანი სწავლა-განათლება მიეღოთ.

ნ. ცხვედაძის მოღვაწეობა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში" მარტო ამითაც არ ამოიწურებოდა. იგი ამავე დროს მეთაურობდა საზოგადოების ბიბლიოთეკების გახსნას და ქართული წიგნების გამოცემასაც. საზოგადოებაში მისი მოღვაწეობის პერიოდში დაარსდა მრავალი ბიბლიოთეკა: სამი—თბილისში (1892, 1894 და 1901 წ. წ.), ახალციხეში (1895 წ.). ქუთაისში (1896 წ.), უდეში (1897 წ.), დიდ ჯიხაიშში (1898 წ.), ხონში (1901 წ.), ყვირილაში (1901 წ.) და ხარაგოულში (1902 წ.). ეს ბიბლიოთეკები 1907 წლისათვის 19.500 სახელწოდების სხვადასხვა დარგის წიგნს შეიცავდა და 28.000-მდე ხელისმომწერს აერთიანებდა. ამავე პერიოდისათვის საზოგადოების 130 სახელწოდების სახელმძღვანელოები და წიგნები ჰქონდა გამოცემული 568.000 საერთო ტირაჟით.

---

[1] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების დიმ. ყიფიანის პირადი არქივის ფონდი, № 551.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ყველა ამ საქმეში ნიკო ცხვედაძის მარჯვე ხელი და უანგარო შრომა ერია. ათეული წლების განმავლობაში დაუშრეტელის ენერგიით ხელმძღვანელობდა ამ დიდ ეროვნულ საგანმანათლებლო საქმეს ქართული კულტურის ეს დაუღალავი მოამაგე და მისი მუშაობის პერიოდში რაც ღირსშესანიშნავი არის გაკეთებული საზოგადოების მიერ ამ დარგში, ხშირად მისი პირველი ინიციატორი, ხოლო ყოველთვის უშუალო მონაწილე და მეთაური უსათუოდ ნიკო ცხვედაძე იყო. „ნიკო ცხვედაძე შეუდარებელი ენერგიის ადამიანი იყო. მგონი არასოდეს არ დაჰკლებია გამგეობის სხდომებს; ზეპირად იცოდა ყველა მისი საქმეები, და თუ საზოგადოებამ რაიმე გააკეთა და ერთგვარი სიმპატია დაიმსახურა ქართველ ერში, ამაში უდიდესი ღვაწლი სწორედ ნიკო ცხვედაძეს მიუძღვოდა“[1]. ამის შედეგი იყო ის, რომ მოწინავე ქართველ მოღვაწეებს ნიკო ცხვედაძე მიაჩნდათ ამ საზოგადოების ერთ-ერთ ბურჯთაგანად. შემთხვევით როდი წერდა პეტერბურგიდან „იალბუზი ქართული პოეზიისა“ აკაკი წერეთელი „წარსულის შვილს, მომავლის მამასა და მყობადის გადიას“ იაკობ გოგებაშვილს 1891 წელს: „მანდედან წერილი მომივიდა: „წერა-კითხვის საზოგადოება“ თავმჯდომარეს ირჩეესო და თუ შენ არ იქნები ან ცხვედაძე ყველას ყაზბეგი (ლაპარაკია გ. ყაზბეგზე, ვ. ქ.) ბჯობებს ჩემის აზრითო“[2].

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ საფუძვლიანად დააფასა ნიკო ცხვედაძის ხანგრძლივი და მეტად ნაყოფიერი მოღვაწეობა და საზოგადოების გამგეობამ 1908 წლის 25 მაისს შემდეგი შინაარსის სპეციალური ადრესი მიართვა მას: „დიდად პატივცემულო ბატონო ნიკოლოზ! 1879 წელს დაარსდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ და თქვენ იყავით ერთი იმ პირთაგან, რომელნიც იღებდნენ მხურვალე და ახლობელს მონაწილეობას „საზოგადოების“ დაარსებაში. „საზოგადოების“ მოღვაწეობის პირველი დღიდანვე თქვენ, სხვებთან ერთად, ჩაუდექით თავში მის საქმეებს და 28 წელიწადი დაუღალავად მთელის ძალით და ღონით ემსახურებოდით წერა-კითხვის გავრცელების საქმეს, ხან როგორც წევრი გამგეობისა და ხან როგორც საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგი. „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრებმა უკვე მიაქციეს ყურადღე-

---

[1] გ. ლასხიშვილი, მემუარები, 1934 წ., გვ. 149—150.

[2] შ. გოხალიშვილი, ქართველ მწერალთა და სახოგადო მოღვაწეთა მიმოწერა იაკობ გოგებაშვილთან, ჟურნ. „მნათობი“, 1940 წ., № 10, გვ. 94.

ბა თქვენს ასეთს მოღვაწეობას და ამ ოთხი წლის წინათ ერთხმად აგირჩიათ „საზოგადოების“ საპატიო წევრად. უკანასკნელ საზოგადო კრებაზე ამ წლის 9 მარტს გამგეობის ახალი არჩევნების დროს თქვენმა რწმუნებულმა აუწყა თავმჯდომარეს, რომ თქვენ აღარ შეგიძლიათ დარჩეთ გამგეობაში.

კრებამ მოისმინა რა ეს განცხადება, დაადგინა გამოგეცხადოთ თქვენ უღრმესი მადლობა ხანგრძლივი, მხნე, უანგარო ნაყოფიერი მუშაობისათვის „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“. გამგეობა უერთდება ამ დადგენილებას და თავის სასიამოვნო მოვალეობათა სთვლის თავის მხრითაც მოგახსენოთ გულწრფელი მადლობა და პატივისცემა“[1].

ნ. ნ. ცხვედაძე და თბილისის ქართული გიმნაზია

ნიკო ცხვედაძე, მისთვის ჩვეული ენერგიულობით, მუშაობდა მეორე დიდ ქართულ საზოგადოებაშიც, რომელსაც „ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება“ ეწოდებოდა.

ამ საზოგადოების დაარსების პირველი ინიციატორი იყო გ. რ. ერისთავი. იგი ჯერ კიდევ 1877 წლიდან შეუდგა საზოგადოების შექმნისათვის ზრუნვას. „გიორგი რომანის-ძე ერისთავმა, მიიღო რა სახეში სწავლის გავრცელების საჭიროება ჩვენში, ამასთან თვითოეულის ჩვენგანის ცალკე ღონე-ნაკლებობა,—ჩვენს გაჭირვებას წამალი მოუპოვა: შეუდგა... საზოგადოების შედგენას, რომელმაც ხელი უნდა გაუმართოს და შეუწყოს ჩვენის ქვეყნის ღარიბს ხალხს და ნამეტნავად ღარიბ თავად-აზნაურობას, რომ შვილებს რიგიანის სწავლისა და განათლების გზა მისცენ დაბალ თუ მაღალ სასწავლებელში“,—წერდა ილია ჭავჭავაძე 1877 წლის 10 ნოემბერს[2]. რამდენიმე თვის შემდეგ იმავე ავტორმა ქართველ საზოგადოებას აუწყა: „უჩუმრად, ხმაამოუღებლივ, უშფოთვარად შესდგა ამ ახლო ხანს ერთი ფრიად სასარგებლო საზოგადოება იგია თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება შეუძლებელთა მოსწავლეთა შეწეობისათვის, შედგენილი გიორგი რომანის-ძე ერისთავის მეცადინეობით. ამ საზოგადოებას საგნად აქვს მოამზადოს ღარიბნი ყრმანი რომელსამე სასწავლებელში შესასვლელად, ხელი გაუმართოს

---

[1] ადრესის დედანი ინახება საქ. სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმში, ხელნაწერი № 1923. ადრესი გამოქვეყნებული იყო ჟურნ. „ნიშადურში“, 1918 წ., № 46.

[2] ილია ჭავჭავაძე, საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის, „ივერია“, 1877 წ., № 37.

შეუძლებელთა და ნიჭიერთა მოსწავლეთა, ღოხისძიება აღძოუჩიხოს სწავლის განგრძობისათვის. თქმა არ უნდა, რომ საგანი ამ საზოგადოებისა მეტისმეტად სასარგებლოა და საკეთილო ჩვენის ქვეყნისათვის. წესდება ამ საზოგადოებისა დამტკიცდა მთავრობისაგან და რუსულად დაბეჭდილიც არის"[1].

1878 წლის 8 მაისს შედგა საზოგადოების პირველი საერთო კრება და ამორჩეულ იქნა „გამგებელი კომიტეტი" გ. რ. ერისთავის (თავმჯდომარე), კ. ქ. მამაცაშვილის (თავმჯდომარის მოადგილე), ვ. თულაშვილის, ნ. ცხვედაძის, ი. გოგებაშვილის, ლ. მაღალაშვილის და დ. გ. ერისთავის შემადგენლობით.

საზოგადოება წესდების საფუძველზე შეუდგა თბილისში პირველი ქართული სასწავლებლის დაარსებას. ახლად დაარსებულმა „თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებამ შემწეობისათვის შეუძლო მოწაფეთა", — წერდა გაზ. „ივერია" 1879 წლის იანვრის პირველ რიცხვებში,— განიზრახა გამართვა თბილისში ისეთი სასწავლებლისა, სადაც მოზარდ ქართველებს მიეცემათ საშუალება პირველ-დაწყებითი განათლება თავის დედაენის შემწეობით მიიღონ. ეს განზრახვა ეხლა სისრულეში მოყავს საზოგადოების გამგებელ კომიტეტს, რომელმაც უკვე დაიქირავა კუკიაში მშვენიერი სასკოლო სახლი, მოიპოვა სკოლისათვის ყველა საჭირო ნივთეულობა და ხსნის სკოლას თებერვლის პირველ რიცხვებში, ჩვენ საფუძველი გვაქვს ვთქვათ, ეს სკოლა ხვალ თუ ზეგ, ამ მოკლე ხანში შეიქნება სათავედ, საიდანაც აღმოცენდება ერთი კარგი კერძო გიმნაზია ქართველებისა"[2]. გაზეთი „დროებაც" აღფრთოვანებით შეეგება ქართული სკოლის დაარსებას თბილისში. „სულით და გულით ვინატრით,— წერდა გაზეთი,— ამ ახლად დაარსებული პირველი ქართული სკოლის წარმატებასა და დღეგრძელობას. ვინატრით, რომ ის გადაქცეულიყოს გიმნაზიად და იმაში კურსშესრულებულ ყმაწვილკაცობას ნამდვილი ქართველის გული შერჩენოდეს და მამულიშვილობა არ დავიწყებოდეს"[3]. გაზეთ „დროების" რედაქტორი სერ. მესხი (1844—1883 წ. წ.) წერდა: „ადრე ჩვენი შვილების სწავლა უთაურად მიდიოდა. ეხლა იმედი გვაქვს რამდენიმე ათი ყმაწვილი მაინც ამ სკოლის წყალობით სწორედ ისეთს პირველ-დაწყებითს სწავლას მიიღებენ, როგორსაც ნამდვილი პედაგოგია მოითხოვს. ყველაზე პირველად ის მაინც იქნება, რომ

---

[1] ილია ჭავჭავაძე, საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შეშწეობისათვის, „ივერია," 1878 წ., № 18.
[2] „ივერია", 1879., № 1.
[3] გაზ. „დროება", 1879 წ., № 27.

ქართველი ყმაწვილები თავის გასაგებ ენაზე დაიწყებენ სწავლას, სხვა არა იყოს რა, ეცოდინებათ მაინც, თუ რას ეუბნება იმას მასწავლებელი, რაზე ელაპარაკება და რა საგანს უხსნის — ესეც დიდი ბედნიერებაა, მაგრამ ყველაზე უფრო ჩვენ იმიტომ გვიხარიან ამ სკოლის გახსნა, რომ იმედი გვაქვს იმაში ისადგურებს ნამდვილი ქართული სული, ქართული ხასიათი; იქ არ დაავიწყდებათ ყმაწვილებს, რომ ისინი საქართველოს შვილნი არიან, რომ ისინი შემდეგში თავის ქვეყანას უნდა ემსახურონ, რომ საქართველოს ხალხისათვის იზრდებიან ისინი. რა კეთილს ნაყოფს მოიტანს ამგვარი ხასიათის სკოლა — ეს ცხადია... ამბობენ სკოლის დამაარსებელთ იმედი აქვთ, რომ ეს სკოლა თანდათან გაზარდონ, გაადიდონ, თანდათან უმატონ იმას კლასები ისე, რომ რამდენიმე წლის შემდეგ გიმნაზიად გადააკეთონ. თუ ეს იმედი შესრულდა, რაღა თქმა უნდა, ქართველი საზოგადოება ძლიერ მოხარული უნდა იქნეს"[1].

ასე დაარსდა პირველი ქართული სკოლა თბილისში. დიდი ქართველი მწერალი ი. ჭავჭავაძე „ივერიის" 1879 წლის მიმოხილვაში („ვისს ნათესსა ვმკით?") ქება-დიდებით იხსენიებდა „ღარიბ მოსწავლეთა შემწე საზოგადოებას" და მის ახლად დაარსებულ სკოლას. იგი წერდა: „ამ საზოგადოებამ 1879 წელს გამართა თბილისში ქართული სკოლა, სადაც სწავლა დედა-ენის შემწეობით არის მიმართული და სადაც ოთხმოცამდე ყმაწვილნი სწავლობენ და ამათში ოცდათორმეტს, თუ ცოტა მეტ-ნაკლებს, ბინაცა აქვთ აჩენილი"[2]. მეორე ადგილას იგი აღნიშნავდა: „არსებობს ჩვენში სკოლა, ჯერ-ჯერობით მოსამზადებელი, რომელიც უნდა გახდეს საშუალო სასწავლებლად და მით შეავსოს საქმე, რომლისთვისაც ხელის მოკიდებას აპირობს ახლად დაარსებული საზოგადოება. ეს საშუალო სასწავლებელი,— ჩვენი საკუთარი, ქართული სასწავლებელი,— შეიქმნება ჩვენის ხალხისათვის სახსარი უფრო მომეტებულის სწავლისა და განათლების შესაძენად; ეს სასწავლებელი გამოგვიზრდის ჩვენ საკუთარს, ქართველს ინტელიგენციას, ე. ი. იმგვარ პირთ, რომელნიც არიან დედაბოძნი ყოველის ხალხის განვითარებისა და წარმატებისა"[3].

XIX საუკუნის მეორე ნახევრის ჩვენი ინტელიგენციის ამ სახელოვანი წარმომადგენლების წინაგრძნობა და სურვილები თბილისის პირველმა ქართულმა სასწავლებელმა ბრწყინვალედ გაა-

---

[1] გაზ. „დროება", 1879 წ., № 31.

[2] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებული, პ. ინგოროყვას და ა. აბაშელის რედაქტორობით, ტ. VI, 1927 წ., გვ. 91.

[3] ი ქ ვ ე. გვ. 57.

მართლა. იგი არა მარტო სანიმუშო დაწყებითი (მოსამზადებელი) სკოლა შეიქნა, არამედ მეტად მოწინავე ქართულ საშუალო სასწავლებლადაც (გიმნაზიად) იქცა.

თბილისის ქართული სკოლა თავიდანვე მრავლად იზიდავდა სწავლამოწყურებულ ქართველ ახალგაზრდობას. თუ 1882 წლისათვის ამ სკოლაში მხოლოდ 140 ბავშვი იღებდა განათლებას, 1886 წლისათვის მასში 288 ბავშვი სწავლობდა, ხოლო 1903—1904 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა რაოდენობა 684-მდე ავიდა. მოსწავლეთა საგრძნობი ნაწილი თვით სკოლის პანსიონატში იყო მოთავსებული.

თბილისის ქართული სასწავლებელი (შემდეგ გიმნაზია) „ღარიბ მოსწავლეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა“ და თბილისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის (მოგებისა და საწევრო გადასახადისაგან) ხარჯზე არსებობდა.

სკოლის მთელი სასწავლო-საალმზრდელო და სამეურნეო-ადმინისტრაციული ხელმძღვანელობა მინდობილი ჰქონდა „ღარიბ მოსწავლეთა შემწე თბილისის საზოგადოებას“, რომლის აღმასრულებელ ორგანოს საზოგადო კრებაზე არჩეული გამგე-კომიტეტი წარმოადგენდა.

ნიკო ცხვედაძე ითვლებოდა თბილისის ქართული გიმნაზიის გამგე-კომიტეტის მუდმივ წევრად და მრავალი წლის მანძილზე ენერგიულად ხელმძღვანელობდა ამ სკოლის მუშაობას.

ნიკო ცხვედაძე თავიდანვე გულმოდგინედ ზრუნავდა იმისათვის, რომ თბილისის ქართულ სასწავლებელს მტკიცე სასწავლო-მატერიალური ბაზა ჰქონოდა და გამოცდილი და იდეური პედაგოგები ჰყოლოდა; ამავე დროს იგი სასწავლებლის მოძავალი ზრდა-განვითარებისა და გაფართოების გეგმების დაწვრილებითს პროექტებსაც უდიდესი მუყაითობითა და სიყვარულით ამუშავებდა.

მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით 1884—85 სასწავლო წლიდან თბილისის სათავადაზნაურო დაწყებითს (მოსამზადებელ) სკოლასთან პირველი პროგიმნაზიული კლასი გაიხსნა, ხოლო 1888 წლისათვის იგი სრულკომპლექტიან კერძო პროგიმნაზიად იქცა.

ნიკო ცხვედაძე ყოველთვის უდიდესი გულმოდგინეობითა და საფუძვლიანად ამუშავებდა თბილისის სათავად-აზნაურო ქართული სკოლის სასურველი რეფორმის პროექტებსაც. 1888 წელს მან სკოლის გამგე-კომიტეტს განსახილველად წარუდგინა სამეურნეო სასწავლებლის ორი პროექტი, რომელნიც, როგორც თვითონ ნ. ცხვედაძე გადმოგვცემს, „გამგე-კომიტეტმა განიხილა თანადასწრებით

მეურნეობის მცოდნე პირთა, საგანი გასინჯულ იქნა ყოველივეს მხრით და თავისი გადაწყვეტილება გამგე-კომიტეტმა მოახსენა საზოგადო კრებას, რომ ჯერჯერობით უნდა დავჯერდეთ იმ სათავად-აზნაურო სკოლასთ, რომელიც ამჟამად გვაქვსო, რადგანაც კარგად მოწყობილი საშუალო სამეურნეო სასწავლებელი დიდ ხარჯს მოითხოვსო"[1].

1891—1893 წლებში მოწინავე ქართველ საზოგადოებაში აღიძრა საკითხი თბილისის სათავად-აზნაურო პროგიმნაზიის სასურველი რეფორმისა და მომავალი საშუალო სკოლის პროფილის შესახებ. გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწენი და პედაგოგები (ნ. ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი, ალ. ჭიჭინაძე და სხვ.) და ადგილობრივი ქართული და რუსული პრესა („ივერია", „კვალი", „Новое обозрение") მეტად ფართოდ გამოეხმაურენ ამ საკითხს. გამოთქმულ და წამოყენებულ იქნა მრავალი სურვილი და მოსაზრება, რომელთა შესასწავლად გამოიყო სპეციალური კომისია. ნ. ცხვედაძემ მისთვის დამახასიათებელი სიდინჯითა და პუნქტუალობით საფუძვლიანად შეისწავლა ყველა მოსაზრება და სურვილი და წარმოადგინა „მოხსენება სათავად-აზნაურო სკოლის გამგე-კომიტეტისა იმ საგანზე, თუ რა იქნა გამორკვეული მცოდნე პირთა კრებებზე სკოლის მომავალის შესახებ". ეს მოხსენება ფაქტიურად გამგე-კომიტეტის დადგენილების პროექტს წარმოადგენდა. მასში სრულყოფილად იყო გაშუქებული წამოჭრილი საკითხი — „თუ რა ტიპის სასწავლებელია უფრო საჭირო და რამდენ კლასიანი უნდა იყვეს ეს სასწავლებელი". მოხსენების ავტორი აჯგუფებდა გამოთქმულ მოსაზრებებს და იძლეოდა მათ ობიექტურ შეფასებას. პირველი მოსაზრების აზრით,— წერდა იგი,—„კლასიკურს გიმნაზიებს უპირატესობა აქვს მინიჭებული მთავრობისაგან. აქ კურსს შესრულებულებს უფრო ფართო გზა აქვთ დათმობილი. იმათ შეუძლიათ შევიდნენ ყოველივე მაღალ სასწავლებელში და ესევე შეიძლება ითქვას რეალურ გიმნაზიაში კურსს შესრულებულებზე". მეორეთა აზრით, „ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე, ჩვენი დედა-მიწის ნოყიერება, აგრეთვე ჩვენი ცხოვრების გარემოება — ყველა ეს მოწმობს, რომ ჩვენთვის უფრო შესაფერისია სამეურნეო სასწავლებელი". მესამეთა აზრით, „სასწავლებელი უნდა აძლევდეს თავის მოწაფეებს დამთავრებულ სწავლას — ანუ კლასიკურს, ანუ რეალურს; ამისათვის აწინდელი სათავად-აზნაურო სკოლა უნდა გადაკეთდეს

[1] საქ. სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 1894.

რვა-კლასიან სასწავლებლად, და მიეცეს სრულიად არავისზედ დამოკიდებული ხასიათი". მეოთხეთა აზრით, „უმჯობესი იქნება იმ ფულით, რა ფულსაც ეხლა ვხარჯავთ სათავად-აზნაურო სკოლაზე, დავაფუძნოთ დედათა სასწავლებელი, რომლის შემწეობითაც შეგვიძლია ვიყოლიოთ მომავალი მრავალი გონიერი და განათლებული დედა". მეხუთეთა აზრით, „გარემოებანი და საჭიროებანი ჩვენი საზოგადოებისანი ცხადად გვიჩვენებენ, რომ უნდა ვიქონიოთ კლასიკური პროგიმნაზია. ამგვარ სასწავლებელს სხვა ტიპის სასწავლებლის წინაშე დიდი უპირატესობა აქვს: ამის საშუალებით ყმაწვილების უფრო მომეტებულ ნაწილს ეძლევა გზა სახელმწიფო სასწავლებელში შესასვლელად". „პირველი აზრით,— ასკვნის ნ. ცხვედაძე,— უნდა დარჩეს ის სასწავლებელი, რომელიც ამჟამად აქვს თავად-აზნაურობას, მხოლოდ, თუ შესაძლებელი იქნება, ამ კლასთან პარალელ კლასებად გაიხსნას რეალური კლასებიც: მეორე აზრით — უნდა გადაკეთდეს აწინდელი სასწავლებელი სამეურნეო სასწავლებლად; მესამე აზრით — უნდა დაარსდეს სრული რომელიმე საშუალო სასწავლებელი ანუ გიმნაზია ანუ კიდევ რეალური სასწავლებელი; მეოთხე აზრით — სათავად-აზნაურო სკოლის ბადლად უნდა დაარსდეს დედათა სასწავლებელი თავად-აზნაურთა ქალებისათვის და მეხუთე აზრით — უნდა დაცულ იქნას აწინდელი სათავად-აზნაურო სკოლა — ოთხი მოსამზადებელი კლასი და ოთხი კიდევ პროგიმნაზიული კლასი; მხოლოდ უთუოდ უნდა ვიზრუნოთ იმ ჩვენს სკოლაში კურსს შესრულებულებზე, რომლებიც, სხვადასხვა მიზეზებისა გამო, ვერ ახერხებენ სახელმწიფო სასწავლებელში შესვლას. მათთვის უნდა დაფუძნდეს სამეურნეო კლასები სამი წლის კურსით სრულიად ცალკე"[1].

თბილისის სათავად-აზნაურო სკოლის გამგე-კომიტეტმა დაწვრილებით განიხილა ნიკო ცხვედაძის მიერ წარმოდგენილი მოხსენების ყველა დებულება და, მიუხედავად იმისა, რომ მას მხარს არ უჭერდნენ ისეთი ცნობილი და გავლენიანი პედაგოგები, როგორიც იყვნენ კომიტეტის წევრი იაკობ გოგებაშვილი და სკოლის ინსპექტორი ალექსი ჭიჭინაძე, მაინც მთლიანად და უცვლელად დაამტკიცა იგი და, ნიკო ცხვედაძისავე მიერ წინასწარ შემუშავებული პროექტის მიხედვით, მიიღო შემდეგი დადგენილება: „აწინდელი სათავად-აზნაურო სკოლა — ოთხი მოსამზადებელი კლასი და ოთხი პროგიმნაზიული — ჯერობით უნდა დარჩეს ისე, როგორც ეხლა არის. მომავალში, თუ თავად-აზნაურობას ლონისძიება ექნება, მას

[1] საქ. სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 1894.

უნდა მოემატოს შემდეგი გიმნაზიური კლასები და გადაკეთდეს სრულ საშუალო სასწავლებლად"[1].

ამრიგად, 90-იან წლებში სათავად-აზნაურო სასწავლებლის შესახებ ჩვენს პრესასა და მოწინავე საზოგადოებრივ წრეებში გამართული მსჯელობისა და აზრთა სხვადასხვაობის შედეგად, ნიკო ცხვედაძის მიერ მოფიქრებულად და დასაბუთებულად შედგენილმა მოხსენება-პროექტმა გაიმარჯვა. თბილისის სათავად-აზნაურო ქართული პროგიმნაზია ისევ ზოგადი განათლების სასწავლებლად დარჩა და მას უახლოესი განვითარების რეალური პერსპექტივები დაესახა.

1896 წელს ისევ განახლდა ძველი დავა. „ღარიბ მოსწავლეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების" წევრთა საერთო კრებაზე 1896 წლის 23 დეკემბერს სათავად-აზნაურო სკოლის საკითხი ისევ მწვავე მსჯელობის საგანი გახდა. ცხარე კამათში აქტიურად ჩაებნენ ცნობილი მწერლები, პედაგოგები და საზოგადო მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, გ. წერეთელი, ივ. მაჩაბელი, ი. გოგებაშვილი, ივ. როსტომაშვილი, ნ. ცხვედაძე, გ. იოსელიანი, ვ. მიქელაძე, დეკანოზიშვილი და სხვ. ილია ჭავჭავაძემ სპეციალური წერილები უძღვნა ამ საკითხს („ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე"). დიდმა მწერალმა გაიზიარა ივ. როსტომაშვილის აზრი, რომ თბილისის სათავად-აზნაურო სკოლა საკუთარ ფეხზე უნდა იდგესო, იგი დასრულებულ ცოდნას უნდა იძლეოდესო. მან მაღალი შეფასება მისცა ცხვედაძის პოზიციას. „ამისთანაეე ძარღვიანი აზრი, ხოლო სხვა თვალთა-ხედვიდამ-კი მოვლინებული,— წერდა იგი,— წარმოადგინა ბ ნმა ცხვედაძემ, რომელმაც სთქვა, რომ ჩვენც ვიცით რა სახის და პროგრამის სკოლაა ჩვენთვის სასურველი, ხოლო დრო-ჟამი და ეხლანდელი ჩვენთვის უცხო გარემოებანი ითხოვენ, რომ ჩვენი სურვილი, ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერხანაჟ მაინც დადუმდესო, თუ გვინდა, რომ ჩვენს სკოლაში კურსს შესრულებულთ შემდეგისათვის გზა ჰქონდეთ სწავლის გაგრძობისაო. ამიტომაც სახე და პროგრამა ჩვენის სკოლისა ამ დრო-ჟამს და უცხო გარემოებას უნდა შევუფეროთ"[2]. დიდი კამათისა და მსჯელობის შემდეგ „გადაწყვიტეს,

---

[1] ნ. ცხვედაძის მოხსენების ავტოგრაფი დაცულია საქ. სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმში, ხელნაწერი № 1894. იგი, სკოლის გამგე-კომიტეტის დადგენილების სახით მთლიანად გამოქვეყნებული იყო გაზ. „ივერიაში"(1893 წ., № 89) და, აგრეთვე, დაიბეჭდა რუსულ ენაზე ცალკე წიგნაკად (იხ. „Доклад комиссии по выработке типа Тифлисской дворянской школы и по образованию ея", Тифлис, 1895 г.).

[2] ილია ჭავჭავაძე, პედაგოგიური თხზულებანი, პროფ. გ. თავხელიშვილის რედაქციით, 1933 წ., გვ. 371.

რომ აწ არსებული სკოლა იმ სახისა და პროგრამისა იყოს, როგორც არის და ყოველწლივ თითო კლასი მიემატოს, ვიდრე სრულ გიმნაზიად გადაიქცეოდესო"[1].

ამრიგად, ნიკო ცხვედაძის „ძარღვიანმა აზრმა" ისევ გაიმარჯვა და თბილისის სათავად-აზნაურო პროგიმნაზიის შემდგომი განვითარება მიღებული დადგენილების საფუძველზე წარიმართა. ამის შედეგად 1896 წელს თბილისის პროგიმნაზიის მეხუთე გიმნაზიური კლასი დაემატა, ხოლო 1899—1900 სასწავლო წლისათვის იგი უკვე თბილისის სათავად-აზნაურო ქართულ გიმნაზიად ჩამოყალიბდა.

1904—1905 სასწავლო წელს თბილისის ქართული გიმნაზიის ცხოვრებაში მოხდა ფრიად საგულისხმო და საყურადღებო ამბავი: თავი იჩინა პრინციპულმა უთანხმოებამ სკოლის გამგე-კომიტეტსა და სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს შორის. უთანხმოების ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ „ღარიბ მოსწავლეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების" წესდებით სათავად აზნაურო სკოლის (გიმნაზიის) მთელ სასწავლო-პედაგოგიურ და სამეურნეო-ადმინისტრაციულ საქმეებს განაგებდა სკოლის გამგე-კომიტეტი, ხოლო გიმნაზიის გამგისა (დირექტორის) და პედაგოგიური „რჩევის" (საბჭოს) უფლებები ძალზე შეზღუდული იყო. ამის გამო, თბილისის ქართული გიმნაზიის პედაგოგიურმა კორპორაციამ გიმნაზიის მაშინდელი გამგის შ. ჩიტაძის (1873—1906 წ. წ.) თაოსნობითა და უშუალო ხელმძღვანელობით შეიმუშავა „თბილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასურველი რეორგანიზაციის პროექტი", წარუდგინა იგი გამგე-კომიტეტს და გამოაქვეყნა პრესაში[2].

ამ პროექტით პედაგოგიური საბჭო სასწავლო მუშაობის დარგში მოითხოვდა: „თბილისის სათავად-აზნაურო სკოლას მოსამზადებელი ხასიათი არ ჰქონდეს, არამედ იგი წარმოადგენდეს ისეთს სასწავლებელს, როცა მოსწავლე იძენდეს დროის შესაფერ დამთავრებულ საშუალო სწავლა-განათლებას... სკოლაში ყველა საგნები ქართულ ენაზე უნდა ისწავლებოდეს, მაგრამ თუ ასეთი ცვლილება არ მოხერხდა, სათავად-აზნაურო სკოლაში ქართული ენა მთავარ საგნად მაინც უნდა იქნეს მიჩნეული" და სხვა. სკოლის მართვა-ხელმძღვანელობის დარგში პედაგოგიური კოლექტივი მოითხოვდა: „პედაგოგიური საბჭო სკოლის შინაურ მართვა-გამგეობაში დამოუკიდებელ

---

[1] ილია ჭავჭავაძე, პედაგოგიური თხზულებანი, პროფ. გ. თავზიშვილის რედაქციით, 1938 წ., გვ. 365—366.

[2] „თბილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასურველი რეორგანიზაციის პროექტი", გაზეთი „ივერია", 1905 წ., № 69.

ორგანოდ იქმნას აღიარებული, გამგე-კომიტეტს უფლება არ ჰქონდეს სკოლის შინაურ ცხოვრებაში გარევისა. კომიტეტი დარჩება მხოლოდ სარევიზიო და მეთვალყურე ორგანოდ, რომელიც საჭიროების მიხედვით წარუდგენს თავად-აზნაურთა საზოგადო კრებას თავის მოსაზრებას სკოლის მდგომარეობის შესახებ... მასწავლებელთა მთელი კორპორაცია უნდა იყოს პასუხისმგებელიც საზოგადო კრების წინაშე სკოლის კეთილდღეობის ყოველსავე საქმეში... პედაგოგიური საბჭო ირჩევდეს გამგეს, მასწავლებელს და სკოლის სხვა მოსამსახურე პირთ. პედაგოგიური საბჭო სკოლის გამგეს სამი წლის ვადით ირჩევს. საბჭოს უფლება უნდა ჰქონდეს გამგე დასახელებულ ვადამდე გადააყენოს თუ საჭიროება მოითხოვს, მხოლოდ კანონიერ გასამართლების შემდეგ"[1] და სხვ.

თბილისის ქართული გიმნაზიის პედაგოგიური კოლექტივის ამ პროექტის განხილვას რამდენიმე სპეციალური სხდომა მოუნდა, რომლებშიც ჩვენი პედაგოგიური საზოგადოებრიობის მრავალმა გამოჩენილმა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. პროექტს აქტიურად გამოეხმაურა პრესაც[2].

სკოლის გამგე-კომიტეტმა წარმოადგინა ნიკო ცხვედაძის მიერ შემუშავებული დადგენილების პროექტი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ „ის ზომები, რომლებიც მოყვანილია მოხსენების სასწავლო ნაწილში და ეხება სწავლის საქმის გაუმჯობესებას... მოსაწონია და სავალდებულოდაც არის მიღებული ყველგან, სადაც მასწავლებლებს და სკოლის გამგეთ სურთ, რომ სკოლა ასრულებდეს თავის დანიშნულებას... მოხსენების მეორე ნაწილის მიღება კი შეუძლებელია... ყველა საჭირო უფლებანი, რომ სკოლის საქმე კარგად წავიდეს, მიცემული აქვს პედაგოგიურ რჩევას და სკოლის გამგეს და იმაზე მეტი უფლება... და შეზღუდვა კომიტეტის და საზოგადოების უფლებათა იმდენად, რამოდენადაც პედაგოგიური რჩევის მოხსენებაშია, გამგე-კომიტეტს მიაჩნია შეუძლებლად", რადგანაც

[1] გაზეთი „ივერია", 1905 წ., № 89.

[2] პრესაში მრავალი უმართებულო აზრები გამოითქვა, რომელნიც აშკარა გაუგებრობის შედეგი და ეროვნული საქმისათვის უეკველად სახიანო იყო. ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ნარის (ნ. ჟორდანიას) მეტად მავნე წერილი „ქართველ მოღვაწეებში", რომელშიც აღნიშნულია: „ბავშვავაძისა და ბანკის მოღვაწეობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ნ. ცხვედაძე და სათავად-აზნაურო სკოლა; ერთის გახსენებაზე მეორეც გაახსენდება კაცს, ნამეტურ კი დღეს, როცა ამ ორ „საზოგადო" დაწესებულებათა კრებებიც ერთმანეთში იყვნენ გადახლართული, და ერთის გმირის გაკოტრების გამოაშკარავებას მეორეც თან მოყვა. მართლაც, რაც ბავშვავაძე ბანკისათვის იყო, იმავე არის საადაზნაურო სკოლისათვის ნ. ცხვედაძე. ოგორც გამგეობა ბავშვავაძეს ყავდა თუ ქონდა გადაყლაპული, ისე სკოლის კომიტეტი ბ-ნ ცხვედაძეს. და ეს ერთისაგან მთელი კრებულის გადაყლაპვა იმდენად ნორმალურ მოვლენად ითვლეა ჩვენ ზარჩინებულ საზოგადოებაში, რომ ორატორები" ნ. ცხვედაძეს კომიტეტს უწოდებენ" (ეურნ. „მოგზაური", 1905 წ., № 241, გვ. 81).

„მოხსენებაში ნაჩვენები შეზღუდვა საზოგადოების და მისგან ამორჩეული კომიტეტის უფლებათა, არღვევს სრულიად საზოგადოების წესდების მუხლს, რომელიც უფლებას აძლევს გამგე-კომიტეტს — მაშასადამე საზოგადოებას, განაგოს საზოგადოების სკოლები, დანიშნოს მასწავლებლები და პასუხისმგებელი იყვეს მთავრობის წინაშე სკოლების წარმოებაში, ეწინააღმდეგება საზოგადოების სარგებლობას... და სკოლასაც დააყენებს სახიფათო მდგომარეობაში... თუ ვინიცობაა რუსეთის საშუალო სკოლა შეიცვალა და კერძო სასწავლებლების უფლება გაფართოვდა, თვით გამგე-კომიტეტი, სათავად-აზნაურო სკოლის და სხვადასხვა სასწავლებლების მასწავლებლებთან ერთად, შეუდგა სკოლის გამოცვლას ახალ გარემოებათა მიხედვით, ჯერჯერობით კი სკოლა უნდა დარჩეს ისე, როგორც ყოფილა“[1].

თბილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის მუშაობის გარდაქმნის თაობაზე შემუშავებული ეს პროექტები მკაცრად დაუპირდაპირდა ერთიმეორეს. გიმნაზიის პედაგოგიური კოლექტივის (შ. ჩიტაძის) მოთხოვნები სკოლის დემოკრატიული მმართველობის პრინციპებს ემყარებოდა, ხოლო გიმნაზიის გამგე-კომიტეტის (ნ. ცხვედაძის) მოსაზრებანი ძველი ტრადიციის საფუძველზე, სკოლის გამგე-კომიტეტის მიერ უკვე მოპოვებულ უფლებათა შენარჩუნებას ისახავდა მიზნად. შინა-სასკოლო და პრინციპულ-პედაგოგიკურ საკითხებში მათ შორის წინააღმდეგობა იმდენად მწვავე ხასიათს არ ატარებდა, რამდენადაც სკოლის მართვა-ხელმძღვანელობისა და პედაგოგიური საბჭოს ფუნქცია-მოვალეობის საკითხში და ამიტომ პირველი რიგის საკითხებში შეთანხმების მიღწევა შედარებით ადვილი იყო.

დავამ 1906 წლის ზაფხულამდე მაინც გასტანა, „ღარიბ მოსწავლეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების“ სხდომებზე ხანგრძლივი და გაცხარებული მსჯელობა-განხილვის შედეგად საზოგადოებამ ხმის უმეტესობით მიიღო შემდეგი დადგენილება: „საზოგადოების საქმეთა უმაღლეს გამგედ და საქმის მწარმოებლად ითვლება საზოგადო კრება. გამგე-კომიტეტი ეწევა გიმნაზიის საქმეებში ფაქტიურს კონტროლს. ის წლის განმავლობაში, როგორც თავისი წევრების შემწეობით, ისე საგანგებოდ მოწვეული პირებისა, რევიზიას უწევს სკოლის საქმეებს და თუ რასმე ნაკლს შენიშნავს, წინადადებას აძლევს პედაგოგიურ საბჭოს, შენიშნული ნაკლი სკოლას ააცდინოს. მთელი სასწავლო

---

[1] საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 1864.

და სააღმზრდელო ნაწილის წარმოება, თანახმად საზოგადოების მიერ მიღებული პროგრამისა და გეგმისა, შეადგენს სრულს უფლებას და მოვალეობას მასწავლებელთა კორპორაციისას. მასწავლებლებს მოიწვევს პედაგოგიური საბჭო და მისი მოწვევა კომიტეტის დასტურს არ საჭიროებს. ხოლო კომიტეტს უფლება აქვს მასწავლებელი დაითხოვოს ყოველ დროს. რადგან გიმნაზიის გამგე თავისი ადმინისტრაციული მოქმედებით განახორციელებს არამარტო პედაგოგიური საბჭოს წარმომადგენლობას, არამედ ხშირად მთლად საზოგადოებისას, ამიტომ გამგეს ირჩევს პედაგოგიური საბჭო, ხოლო ამტკიცებს გამგე-კომიტეტი", და სხვ.[1].

მიუხედავად გიმნაზიის გამგე-კომიტეტსა და პედაგოგიურ კოლექტივს შორის ასეთი უთანხმოებისა და წინააღმდეგობისა, ნიკო ცხვედაძეს, როგორც კომიტეტის წევრს, არასოდეს არ შეუნელებია მუშაობა გიმნაზიის სასარგებლოდ და არც გიმნაზიის პედაგოგიური კოლექტივის ავტორიტეტის შებღალვა უცდია. პირიქით, იგი ყოველთვის იმას ცდილობდა, რომ პედაგოგიურ კოლექტივს მეტი ავტორიტეტი და დაფასება ჰქონოდა როგორც გიმნაზიის მოსწავლეებში, ისე საზოგადოებაშიც. ამას ნათლად ადასტურებს ერთი საგულისხმო ფაქტი, რომელსაც გადმოგვცემს ქართული გიმნაზიის ყოფილი მასწავლებელი ალ. მიქაბერიძე თავის მოგონებაში. „1905 წლის გაზაფხულს გიმნაზიის სამზრუნველო კომიტეტმა, რომლის თავმჯდომარედ იყო მ ა რ ი ა მ ვ ა ხ ტ ა ნ გ ჯ ა მ ბ ა კ ურ ი ა ნ-ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ა ს უ ლ ი და მის ამხანაგად ცნობილი ქართველი მოღვაწე და პედაგოგი ნიკოლოზ ცხვედაძე, პედაგოგიური საბჭოს შეამდგომლობის თანახმად. მოიწვია ქართული გიმნაზიის შენობაში სწავლების ბატონ პატრონები — თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წარმომადგენლები და ქართველი საზოგადო მოღვაწეები, რომელთაც უნდა მოხსენებოდა სასწავლებელში შექმნილი მდგომარეობა ახალ მოძრაობასთან დაკავშირებით. აპრილის გასული იყო. კრებას დაესწრო ორმოცამდე გარეშეთ მოწვეული წევრი და მათ შორის ილია ჭავჭავაძეც. გიმნაზიის მაშინდელმა გამგემ შიო ჩიტაძემ მოახსენა კრებას, რომ ამ უკანასკნელ ხანებში თბილისის სასწავლებლის ყოველდღიური ცხოვრება ძირფესვიანად შეირყა, ახალმა მოძრაობამ თავი იჩინა მოწაფეთა შორის და ვფიქრობ, ეს მოძრაობა პოლიტიკურ ნიადაგზეა აღმოცენებულიო". საზოგადოების წევრთა უმრავლესობამ გაიზიარა ვლ. მიქელაძისა და პ. გრუზინ-

---

[1] ს. ი ა შ ვ ი ლ ი, მასალები თბილისის ქართული გიმნაზიის ისტორიისათვის (ინახება საქ. სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმში), გვ. 54—55.

სკის აზრი, რომლის მიხედვითაც მოსწავლეთა ამ არეულობაში ბრალი მიუძღვის მხოლოდ გიმნაზიის მასწავლებლებს და ამიტომ ისინი სასტიკად უნდა დაისაჯონო. „თუმცა სკოლის სამზრუნველო კომიტეტსა და საპედაგოგიო საბჭოს წევრთა შორის მაინცდამაინც არასოდეს ყოფილა მეგობრული, გულთბილი დამოკიდებულება, მაგრამ როცა ორატორებმა ასე უხეშად, ასე უსაფუძვლოდ გათელეს მასწავლებელთა კორპორაციის უშუალო ხელმძღვანელობა სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ვასტანგ ორბელიანის ასული და თავმჯდომარის ამხანაგი ნიკო ცხვედაძე შეეცადნენ დაერწმუნებიათ კრების წევრები, რომ მოწაფეებს შორის ესეთი მოძრაობა საყოველთაო მოვლენაა. უეჭველია ამ მოვლენას სხვა რამ საფუძველი ამოძრავებს, ვიდრე მასწავლებელთა და აღმზრდელთა შეუფერებლობა. სამზრუნველო კომიტეტის აზრით გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაციას ამ მოძრაობის გაღვივებაში ბრალი არ მიუძღვის. ამიტომ, სანამ კრება ამა თუ იმ განაჩენს გამოიტანდეს, საჭიროა საქმის ყოველმხრივი შესწავლა. სკოლის საქმეებში მეტი სიფრთხილე და წინდახედულება გვმართებს, ნაუცბათევად ასეთი რთული საკითხის გადაწყვეტით და განაჩენის გამოტანით, ვშიშობთ, სასწავლებელი კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში არ ჩავაყენოთ“[1]. ამავე აზრს მიემხრო დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძეც, და, ამრიგად, გიმნაზიის მასწავლებელთა რეპუტაცია შებღალვას გადარჩა.

ნიკო ცხვედაძე უაღრესად მეგობრულ და გულთბილ დამოკიდებულებას იჩენდა თბილისის ქართული გიმნაზიის პედაგოგებისა და მოსწავლეთა მიმართ და მათი ერთგული მფარველი იყო ყველა საჭირო შემთხვევაში. ცნობილია, რომ ნიკო ცხვედაძემ დროულად დააფასა გიმნაზიის ახალგაზრდა მასწავლებლის ზ ა ქ ა რ ი ა ფ ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი ს (1872—1933 წ. წ.) დიდი მუსიკალური ნიჭი და, თუმცა გამგე-კომიტეტს სასწავლებლისათვის თანხები ისედაც საკმარისად არ გააჩნდა, მას სტიპენდია მაინც დაუნიშნა და რუსეთში გაგზავნა უმაღლესი მუსიკალური განათლების მისაღებად.

ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად საგულისხმოა ალ. მიქაბერიძის შემდეგი ცნობა: „მახსოვს ძალიან კარგად, რომ ერთ დილით ქართულ გიმნაზიაში, როცა მოწაფეები შესამე გაკვეთილზე იყვნენ შესული, ნიკო ცხვედაძე შემოვიდა სასწავლებელში, თავისებური ტკბილი ღიმილით მომესალმა და ხელ გაყრილი გიმნაზიის ეზოში

---

[1] ალ. მ ი ქ ა ბ ე რ ი ძ ე, მოგონება ი. ჭავჭავაძეზე, იხ. „ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე“ (საიუბილეო კრებული), 1939 წ., გვ. 337.

გამიყვანა. მე იმ დროს გიმნაზიის დირექტორის თანამდებობას ვასრულებდი. —„რა ამბავია სკოლაში?“ —სიყვარულის კილოთი შემეკითხა ნიკო ცხვედაძე. ხომ ყველაფერი თავის რიგზეა? ხომ არ გაკლიათ რამ? მართალია, ჯამაგირების დარიგება ცოტათი შემიგვიანდა, მაგრამ აი დღეს დავითთან (დ. სარაჯიშვილზეა ლაპარაკი — ვ. ქ.) მინდა შევიარო და ფულს უთუოდ მოკლე ხანში გავაჩენ! ეხლა ეს მითხარით, მასწავლებლები მართლა მემდურიან ზაქარია ფალიაშვილს რომ სტიპენდია დაუნიშნეთ? გარწმუნებთ, რომ ისინი ცდებიან და დიდადაც ცდებიან. მე წინდახედული კაცი ვარ და ასე უბრალოდ ამდენი დაგვითა და გაჭირვებით მოპოებულ გროშებს ტყვილა უბრალოდ არ გადავყრი. მასწავლებლებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ სიმღერა და მუსიკა, თუ ეს დარგი კარგადაა დაყენებული სასწავლებელში, სხვა სასწავლო საგნების განუყოფელი დისციპლინაა, ამ დარგს უდაოდ დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ენიჭება. თუ ამ დარგს სათავეში მოექცა ჭეშმარიტად მუსიკალური განათლებით აღჭურვილი მასწავლებელი, მენდვეთ, სასწავლებლის საერთო აღმზრდელობითი საქმე ბევრად მოიგებს, თავისი პირდაპირი დანიშნულების მიზანს მიაღწევს. ზაქარია ფალიაშვილი დიდი მუსიკალური ნიჭის პატრონია და თუ ამ ნიჭს იგი კიდევ უფრო განავითარებს და გააფართოებს, მერწმუნეთ, იგი არა მარტო ჩვენ სასწავლებელში, არამედ მთელ საქართველოში დიდ საშვილიშვილო საქმეს შექმნის... ვინ იცის, შეიძლება ამ ნიჭიერი ახალგაზრდის წყალობით ჩვენი მოზარდი თაობა ერთ დროს დასტკბეს ქართული სიმღერებისა და მუსიკის სცენიდან მოსმენით. მე ღრმად მწამს, რომ ეს ესეც მოხდება და კიდევაც ამიტომ დავუნიშნეთ სტიპენდია. მე სულ მომავალზე ვფიქრობ და კიდევაც სრული იმედი მაქვს დღესდღეობით, ზაქარია ფალიაშვილზე დახარჯული ფულები ერთი ასად და ათასად დაგვიბრუნდება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ზაქარია ფალიაშვილი ისეთ დიდ საქმეს შექმნის ჩვენში საერთო კულტურის დარგში, რომ თვით ის მასწავლებლები, რომლებიც ამჟამად ჩემს წინააღმდეგ უკმაყოფილებას გამოხატავენ, სიხარულით მიეგებებიან იმ საშვილიშვილო საქმეს, რომელსაც ზაქარია ფალიაშვილი ჩვენდა სასიქადულოდ საქართველოს მასშტაბით გამოაწყობს“[1].

დღეს ყველასათვის ნათელია, რომ ნიკო ცხვედაძე სავსებით მართალი იყო. მისი ალლო ზაქარია ფალიაშვილის დიდი მომავლის

---

[1] ალ. მიქაბერიძე, ნიკო ცხვედაძე (ინახება საქ. სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდში), გვ. 72—75.

შესახებ ასე ბრწყინვალედ აღსრულდა. იმ დახმარებას, რომელიც მან ზაქარია ფალიაშვილს გაუწია უმაღლესი მუსიკალური განათლების მიღების საქმეში, არასოდეს დაივიწყებს ქართული მუსიკალური კულტურა და მისი ისტორია.

ასევე აფასებდა, ეხმარებოდა და ხელს უწყობდა ნ. ცხვედაძე ყველა იმ ახალგაზრდას, რომელთაც ოდნავ ნიჭსა და შრომის უნარს შეატყობდა[1]. „ინსტიტუტში ყოფნის დროს (ლაპარაკია თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტზე.— ვ. ქ.) მე კარგად გავეცანი მაშინდელი საზოგადოების განსაკუთრებულ გულმტკივნეულობას და ნატვრას,— წერს კომპოზიტორი ია კარგარეთელი,— გავიცან აგრეთვე ილია, აკაკი, შევიყვარე და შემიყვარდა მათთან ყოფნა; ცხვედაძე და გოგებაშვილი დიდი მფარველები მყავდნენ, მათ ბევრი რამ მომცეს, თვალი ამიხილეს, ჩამახედეს, მაგრძნობინეს, დიდს რამეს მოელოდნენ ჩემგან და ეხლა რომ ვგრძნობ, რომ მათი ნაკარნახევი ცოტათი მაინც ვერ ავასრულე, მე მრცხვენიან“[2].

ასეთი გულისხმიერი ადამიანი და პედაგოგი იყო ნიკო ცხვედაძე და ამიტომ აფასებდნენ და პატივისცემით ეპყრობოდნენ მას როგორც მასწავლებლები, ისე მოსწავლე ახალგაზრდობა. ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდისა და განვითარებისათვის ხელისშეწყობის მაღალი იდეით აღფრთოვანებული ნ. ცხვედაძე უანგაროდ ემსახურებოდა ჩვენს ყველა საგანმანათლებლო-საალმზრდელო დაწესებულებას და ყველაზე მეტად — თბილისის ქართულ სასწავლებელს, სადაც სრული 32 წელი (1879—1911 წ.წ.) ეწეოდა მეტად სასარგებლო და ნაყოფიერ მუშაობას. ამ ხნის განმავლობაში, მისივე ენერგიული და დაუღალავი ხელმძღვანელობის შედეგად, თბილისის ქართულმა კერძო სკოლამ (გიმნაზიამ) ასობით საფუძვლიანად

---

[1] ნიკო ცხვედაძეს ახლო მეგობრობა ჰქონდა ცნობილ ქართველ მრეწველ დავით სარაჯიშვილთან (1848—1911 წ.წ.), რომლის გულუხვობასა და ქველმოქმედებას იგი მოხდენილად იყენებდა თავის სახოგადო მუშაობაში. დავით სარაჯიშვილს თავისი შემოსავლიდან ყოველწლიურად გადადებული ჰქონდა განსაზღვრული სასტიპენდიო თანხა, რომელსაც განაგებდა განსაკუთრებული კომისია ნიკო ცხვედაძის თავმჯდომარეობით. სარაჯიშვილის სტიპენდიის მისაღებად ნ. ცხვედაძეს ყოველწლიურად ათობით სწავლამოწყურებული ახალგაზრდა უგზავნიდა განცხადებას და კერძო ბარათებს. მრავალი გამოჩენილი ქართველი მოღვაწე შუამდგომლობდა მის წინაშე რომელიღე ნიჭიერი ახალგაზრდისათვის სტიპენდიის დანიშვნის შესახებ. ნიკო ცხვედაძეც ყველა უნარიანი და მუყაითი ქართველი ახალგაზრდობის გულისხმიერი მეგობარი და დამხმარე იყო. რამდენ ათეულ ქართველ ნიჭიერ ახალგაზრდას გაუკვლევია გზა და მიუღია უმაღლესი განათლება მისი დახმარებისა და მზრუნველობის შედეგად, რამდენი მათგანი გამოჩენილი ადამიანი და მოღვაწე გამოსულა!

[2] ჟურნ. „განათლების მუშაკი“, 1928 წ., № 13, გვ. 40.

მომზადებული, უნარიანი და მგზნებარე პატრიოტული გრძნობით გამსჭვალული ახალგაზრდა მისცა ჩვენს ქვეყანას, რითაც მეტად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენი ეროვნული კულტურის აღორძინება-განვითარების დიდ საქმეში.

7. ნ. ცხვედაძე და წინამძღვარიანთკარის სამეურნეო სასწავლებელი

ნიკო ცხვედაძე არა მარტო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სკოლებისა და თბილისის ქართული გიმნაზიის საკეთილდღეოდ მოღვაწეობდა, არამედ, იმავე დროს სისტემატურად ზრუნავდა ყველა იმ სკოლის მუშაობის თავიდანვე ნორმალურ პირობებში ჩასაყენებლად, რომელნიც მას ქართველი ხალხისათვის საჭირო სწავლა-განათლების აუცილებელ წყაროდ მიაჩნდა.

იაკობ გოგებაშვილის უტყუარი მოწმობით, ნ. ცხვედაძეს მეტად აქტიური მონაწილეობა მიუღია ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ი ლ ი ა წ ი ნ ა მ ძ ღ ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს (1846—1913 წ.წ.) უშუალო ინიციატივით 1883 წელს სოფელ წინამძღვარიანთკარში დაარსებულ სამეურნეო სასწავლებლის მუშაობაში, სასწავლებლისა, რომელსაც საკმაო ისტორიული დამსახურება მიუძღვის ჩვენში დაწყებითი სასოფლო-სამეურნეო განათლების გავრცელების საქმეში.

ამ სასწავლებლის დაარსებისათვის ზრუნვას ილია წინამძღვრიშვილი ჯერ კიდევ 1881 წლიდან შეუდგა. „წარსულის საუკუნის 1881 წელს,— გადმოგვცემს ი. გოგებაშვილი,— ყველასაგან პატივცემულმა ილია ივანეს-ძე წინამძღვრიშვილმა გამართა კრება, რომელიც შესდგებოდა 12 პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწისაგან. ამ კრებულს უნდა შეემუშავებინა წესდება, სასწავლო გეგმა და პროგრამები სამეურნეო სკოლისათვის, რომლის დაარსება თავის სოფელში გადაწყვეტილი ჰქონდა ილია ივანეს-ძესა“[1]. შემუშავებულ იქნა სასწავლებლის წესდება, რომელშიც ი. გოგებაშვილის დაჟინებითი მოთხოვნით შეტანილ იქნა ორი ახალი მუხლი. „პირველი მუხლი იყო ასეთი: სწავლება ყველა საგნებისა პირველი წლიდან დაწყებული მეექვსე წლის დასრულებამდინ უნდა მიდიოდეს ქართულს ენაზე. მეორე მუხლი წესად სდებდა: რუსულის ენის სწავლება სამეურნეო სასწავლებელში უნდა დაწყებულ იქნას მესამე წლიდან“[2]. ი. გოგებაშვილსვე დაევალა ამ სამეურნეო სასწავლებ-

---

[1] ი. გ ო გ ებ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ტ. I, 1952 წ., გვ. 411.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 145.

ლის სასწავლო გეგმისა და მისი ვრცელი „განმარტებითი წერილის“ შედგენა უმაღლეს ორგანოებში წარსადგენად. მან ეს დავალება კლასიკურად შეასრულა, ყველა საბუთის მოშველიებით უდავო გახადა წინამძღვარიანთკარის სამეურნეო სასწავლებლის წარმოდგენილი წესდებისა და სასწავლო გეგმის დამტკიცების აუცილებლობა“[1]. საჭირო იყო ამ სასწავლებლისათვის შესაფერისი სასწავლო პროგრამების შედგენაც. ეს საქმე „კრებულმა“ ნიკო ცხვედაძეს დააკისრა, რომელსაც სათანადო თეორიული მომზადებაც ჰქონდა (მისი ნაშრომი „ჩვენი ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა“ უკვე გამოქვეყნებული იყო), რუსეთისა და საზღვარგარეთის სამეურნეო სასწავლებლების მუშაობასაც პრაქტიკულად იცნობდა და სასწავლო პროგრამების შედგენის დარგშიც საკმაო გამოცდილება გააჩნდა. ნ. ცხვედაძის მიერ შედგენილი წინამძღვარიანთკარის სამეურნეო სასწავლებლის პროგრამები „კრებულმა“ ძირითადად მოიწონა და მიიღო. ამიტომ აღნიშნავდა ი. გოგებაშვილი 1903 წელს თავის წერილში „ცოცხალი ტყუილი“: „სამართლიანობა მოითხოვს ვსთქვა, რომ მე მეკუთვნის მხოლოდ გეგმა სწავლებისა და განმარტებითი წერილი, პროგრამები—კი უმთავრესად შედგენილნი არიან ნიკო ცხვედაძის მიერ. ილია ივანეს-ძე წინამძღვრიშვილი, რასაკვირველია, უმხურვალეს მონაწილეობას იღებდა საქმეში, რომელსაც მან მისცა დასაბამი თავდაპირველად, თავმჯდომარეობდა კრებებზე და სამაგალითო მხნეობით მოქმედებდა, როგორც წესდებულების შედგენის დროს, ისე მისი დამტკიცების ჟამსა“[2].

სოფ. წინამძღვარიანთკარის სამეურნეო სასწავლებლის დაარსებას დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ჩვენი მოწინავე საზოგადოება. ილია ჭავჭავაძემ „ივერიის“ 1883 წლის „შინაურ მიმოხილვაში“ ქება-დიდებით მოიხსენია სასწავლებლის უშუალო დამაარსებელი და მისი დამხმარე პირები. მანვე ამ სასწავლებლის დაარსების დღეს წარმოსთქვა ცნობილი ისტორიული სიტყვა, რომელშიც საზოგადოებას ყველასათვის გასაგები მდაბიო, მაგრამ უაღრესად მშერმეტყველური ენით განუმარტა საერთოდ ცოდნა-განათლებისა და კერძოდ სამეურნეო ცოდნის უდიდესი მნიშვნელობა[3].

---

[1] იხ. განმარტებითი წერილი სამეურნეო სასწავლებლის გეგმისა, რომელიც არსდება სოფელს წინამძღვარიანთკარში. ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, პედაგოგიური თხზულებანი, ტ. II, 1940 წ., გვ. 145—168.

[2] ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, პედაგოგიური თხზულებანი, ტ. II, 1940 წ., გვ. 408.

[3] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე. ნაწერების სრული კრებული, ტ. VII, 1928 წ., გვ. 19—26.

ნიკო ცხვედაძის მზრუნველი ხელი ამ სასწავლებელს დაარსების შემდეგაც არ მოკლებია. სასწავლო მუშაობის ნორმალურად მოწყობის შემდეგ, ილია წინამძღვრიშვილის თხოვნით, სასწავლებლის სასწავლო-საალმზრდელო მუშაობა პირველად ნიკო ცხვედაძემ შეისწავლა დაწვრილებით და მრავალმხრივ საგულისხმო პედაგოგიურ-მეთოდური რჩევა-დარიგებანი მისცა მის პედაგოგიურ შემადგენლობას. ნიკო ცხვედაძე შემდეგშიც ხშირი სტუმარი იყო ამ სასწავლებლისა და მისი საქმიანი და გამოცდილი პედაგოგიური ხელი ყოველთვის ეტყობოდა მას.

ამიტომ გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ჩვენში სამეურნეო ცოდნა-განათლების გავრცელების მხრივ წინამძღვარი-ანთკარის ცნობილი სამეურნეო სასწავლებლის საერთო ღვაწლსა და დამსახურებაში ნიკო ცხვედაძესაც მიუძღვის მნიშვნელოვანი წვლილი, რასაც ამ სასწავლებლის ისტორია არასოდეს დაივიწყებს.

8. ნიკო ცხვედაძის როლი თბილისის საძალაძო დაწყებითი სკოლისა და სახელოსნო სასწავლებლების მუშაობის გარდაქმნაში

1891—1893 წლებში ნიკო ცხვედაძე, ნ. ნიკოლაძესა, ივ. მაჩაბელსა და სხვა ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად, თბილისის ქართველი საზოგადოებისაგან არჩეული იყო ქალაქის სათათბიროს პირველი თანრიგის ხმოსნად[1]. იგი აქტიურად მონაწილეობდა სათათბიროს სასკოლო კომიტეტში, რომელშიც, გარდა ნ. ცხვედაძისა შედიოდნენ: ნ. ზუბალაშვილი (კომიტეტის თავმჯდომარე), გ. ევანგულოვი, დ. ორბელი, ვლ. მიქელაძე, გ. პრიდონოვი და ა. ივანენკო. სასკოლო კომიტეტი ხშირად ავალებდა ნ. ცხვედაძეს, როგორც ხმოსანსა და გამოცდილ პედაგოგს, თბილისის სა-

---

[1] 1893 წლის 16 მაისს მოხდა ქალაქის სათათბიროს ხმოსანთა ხელ-ახალი არჩევნები. ამ არჩევნებში მეფის თვითმპყრობელობასა და თბილისის თვითმმართველობას შორის ქალაქის სკოლებისათვის გამართული ბრძოლისა (იხ. ტ. ხუნდაძე, ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში, 1951 წ., გვ. 137—160) და ადგილობრივ სომეხთა ბურჟუაზიულ ნაციონალისტ-შოვინისტების აშკარა თუ ფარული აგიტაციის შედეგად, ქალაქის სათათბიროში მხოლოდ ოთხი ქართველი იქნა არჩეული: ი. ჭავჭავაძე, დ. სარაჯიშვილი, ზუბალაშვილი და ავალიშვილი (წინა არჩევნებში კი ქალაქის სათათბიროში 50 ქართველი მოღვაწე იყო არჩეული). ქართველ, რუს და სომეხ პროგრესულ მოღვაწეთა სამართლიანი პროტესტის შედეგად, არჩევნები ხელახლა დაინიშნა იმავე წლის 30 მაისისათვის. ასეთ მოკლე დროში შეუძლებელი იყო ქართველთათვის სათანადო სააგიტაციო მუშაობის გაშლა და ამავე დროს სომეხთა ნაციონალისტურ-შოვინისტური ბურჟუაზია არამცთუ ცხრებოდა, არამედ კიდევ უფრო აფართოებ-

ქალაქო დაწყებითი სასწავლებლების მუშაობის შემოწმებას და ისიც მონდომებით ასრულებდა თავის მოვალეობას. ნ. ცხვედაძის მიერ, სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგად, შედგენილი მოხსენებები და დასახული ღონისძიებანი დიდად უწყობდა ხელს დაწყებითი სასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესებას.

ნ. ცხვედაძე ქალაქის თვითმმართველობის პროგრესულად მოაზროვნე ხმოსანთა წრეში ტრიალებდა და მუდმივად ცდილობდა სიახლე და გაუმჯობესება შეეტანა ქალაქის სახალხო განათლების დაწესებულებათა მუშაობაში.

თბილისის თვითმმართველობის დავალებით ნ. ცხვედაძემ, ქალაქის მოწინავე პედაგოგთა უშუალო მონაწილეობით, საგანგებოდ შეისწავლა საქალაქო დაწყებითი სკოლებისა და სახელოსნო სასწავლებლის მუშაობა, იმავე დროს სპეციალურად გაეცნო იგი რუსეთისა და საზღვარგარეთის ანალოგიური სასწავლებლების მიზანდასახულებას, სტრუქტურას და ამ სკოლებში თეორიული სწავლა-განათლებისა და პრაქტიკული მომზადების დაყენების მდგომარეობას და მიღებულ მასალათა საფუძვლიანი ანალიზის გზით შეადგინა პედაგოგიურად ყოველმხრივ დასაბუთებული მოხსენება და საქალაქო დაწყებითი სკოლებისა და სახელოსნო სასწავლებლის რეორგანიზაციის დეტალურად დამუშავებული პროექტი სათანადო ღონისძიებებით.

თავის მოხსენებაში რომელიც 1892 წელს ცალკე წიგნად გა-

და თავის გავლენის სფეროს. ამიტომ 16 მაისს არჩეულმა იმ ოთხმა კანდიდატმაც უარი განაცხადა 30 მაისის ახალ არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე: „რადგან 16 მაისის არჩევნებს ისეთი ხასიათი დაეტყო და ისეთი არასასურველი ტენდენცია დაერთო, რომელიც შესაძლებელია ახლაც არ ასცდეს არჩევნებს, ამიტომ კენჭის ყრაზე უარს ვაცხადებთო". ამის პასუხად, გაზ. „ივერიის" ცნობით, ქართველ მწერალს გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ ს სომხური გაზეთების „მშაკისა" და „შერჩის" მომხრეთა დავალებით განუცხადებია ქართველ მოღვაწეებისათვის: „თუ ქართველები თავისი სიებიდან ამოშლიან ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ს, ნ. დ. ზ უ ბ ა ლ ა შ ვ ი ლ ს, ნ. ზ. ც ხ ვ ე დ ა ძ ე ს და ნ. ი. ნ ი კ ო ლ ა ძ ე ს, ჩვენ სომეხთა ყმაწვილ-კაცობა თავიანთ კენჭს ქალაქის არჩევნებში მივსცემთ ყველა ქართველთ, რომელსაც კი წამოაყენებთ ხმოსნის კანდიდატებათო" (გაზ. „ივერია", 1893 წ., № 99). ამას, რასაკვირველია, ქართველი მოწინავე საზოგადოება არ დაეთანხმა და, ამრიგად, 1893 წლის საქალაქო არჩევნებში ქართველებს მონაწილეობა არ მიუღიათ. მაგრამ ეს სხვა საქმეა. ჩვენ ამ შემთხვევაში მხოლოდ ის გვაინტერესებს, რომ ნიკო ცხვედაძეს, ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ნიკოლაძესთან ერთად იმდენი გავლენა ჰქონია საზოგადოებაში, რომ სომხის ნაციონალისტურ-შოვინისტური ბურჟუაზია ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ იგი თავიდან მოეშორებინა.

მოქვეყნდა[1], ნ. ცხვედაძემ მოახდინა ქალაქის დაწყებითი სკოლებისა და სახელოსნო სასწავლებლის შინაგანი სტრუქტურისა და მუშაობის ძირითად ნაკლთა სრულყოფილი ანალიზი და მდიდარი თეორიული და პრაქტიკული პედაგოგიური გამოცდილების საფუძველზე ყველასათვის უდავო ფორმებში ჩამოაყალიბა ამ სასწავლებელთა შემდგომი გარდაქმნა-გაუმჯობესების უმთავრესი ღონისძიებანი.

ნ. ცხვედაძემ აშკარად არადამაკმაყოფილებლად ჩასთვალა ქალაქის დაწყებითი სკოლების კურსდამთავრებულთა მომზადებისა და გონებრივი განვითარების დონე. „ქალაქის დაწყებითი სკოლების მოსწავლეები სახელოსნო სასწავლებელში შედიან სრულიად მოუმზადებელნი, როგორც სულიერი განვითარებისა, აგრეთვე ხანგრძლივი (სისტემატური) შრომის ჩვევის მხრივ". ამის უმთავრესი მიზეზი, მისი აზრით, არის ის, რომ ქალაქის დაწყებითს სკოლებში კურსის გავლისათვის გამოყოფილი დრო სრულიად არ იყო საკმარისი ელემენტარული განათლების მისაღებად. „ვერც მოსწავლეების ნიჭი, ვერც თვით მასწავლებლების მაღალი ნიჭიერება და მათ მიერ დიდაქტიკურ-მეთოდიკური ხერხების ცოდნა ვერ გამოიღებს სასურველ შედეგებს მეცადინეობისათვის განკუთვნილ შედარებით მცირე დროის გამო"[2]. ავტორის აზრით, სასწავლო დროის უკმარისობა საერთოდ დამახასიათებელი იყო კავკასიის დაწყებითი სკოლებისათვის, სადაც განსაკუთრებულ მდგომარეობას ჰქმნიდა ის გარემოება, რომ მოსწავლეებს დამატებით რუსული ენის შესწავლაც უხდებოდათ. ნ. ცხვედაძე ამ შემთხვევას მეტად მოხერხებულად იყენებდა თავის პედაგოგიკურ შეხედულებათა გადმოსაცემად და ქვემოთ წერდა: „იმ დროს, როდესაც რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებში დაწყებით სკოლებში მთელი სწავლება მშობლიურ ენაზე წარმოებს და იქ მხოლოდ ეს ენა ისწავლება. ამავე დროს კავკასიის სკოლას თავისი პირდაპირი ამოცანის — დაწყებითი სკოლის სასწავლო საგნების შესწავლის გზით მშობლიურ ენაზე მოსწავლეთა სულიერი თვისებების განვითარების—გარდა დაკისრებული აქვს რუსული ენის—სახელმწიფო ენის შესწავლა"[3].

ამიტომ ნ. ცხვედაძე მოითხოვდა, რომ კავკასიისა და კერძოდ თბილისის დაწყებითს სკოლებში მეცადინეობის დრო კი არ ყოფი-

---

[1] Н. Цхведадзе, Записка о положении городских начальных школ и Тифлисского Городского Михайловского Ремесленного училища и о мерах наилучшей постановке в них учебного дела, 1892 г.

[2] Н. Цхведадзе, Записка о положении городских начальных школ и Ремесленного училища...", 1892 г., стр. 7.

[3] იქვე, გვ. 7.

ლიყო შემცირებული, როგორც ამას სინამდვილეში ჰქონდა ადგილი, არამედ პირიქით — გადიდებულიყო კიდეც. უამისოდ თბილისის ქალაქის დაწყებითი სკოლები თავიანთ ძირითად ამოცანას ვერ განახორციელებდნენ, მოსწავლეებს ელემენტარულ განათლებას ვერ მისცემდნენ.

ნ. ცხვედაძეს არ აკმაყოფილებდა არც ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის მუშაობა და ძირითად მიზეზად იმას სთვლიდა, რომ ამ სასწავლებლის მიზანი და სასწავლო საგანთა პროგრამები არ იყო ერთმანეთთან შეთანხმებული: სახელოსნო სასწავლებელი სპეციალურ სკოლად ითვლებოდა, ხოლო სასწავლო საგანთა პროგრამები ზოგად განათლებას იძლეოდნენ. ასეთ მდგომარეობას რომ არ ექნეს ადგილი, ავტორის აზრით, „სპეციალურ სასწავლებლებში უნდა ღებულობდნენ მოსწავლეებს გარკვეული მომზადებით, გარკვეული განვითარებით, ყოველი ადამიანისათვის აუცილებელი, ყოველ შემთხვევაში, დაბალი ზოგადი განათლების კურსის ცოდნით"[1]. ნ. ცხვედაძე ამ შემთხვევაშიც ზოგად განათლებას სთვლიდა სპეციალურ-პროფესიული განათლების აუცილებელ საფუძვლად.

ნ. ცხვედაძე სავსებით მართებულად მიუთითებდა, როდესაც წერდა, რომ „წარმატებით სწავლების საქმეში ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ მოსწავლეებს მიეცეს შეძლებისდაგვარი სამუშაო, რომ მოსწავლეებს შეეძლოთ მიცემული მასალის სრული შეგნებით ათვისება", და იქვე აღნიშნავდა, რომ „ამ საღი მოთხოვნილების, ამ ძირითადი დიდაქტიკური წესის წინააღმდეგ, რაღაც განგების, გარემოებათა ძალით მიდის ჩვენი სახელოსნო სასწავლებელი, რადგან ის ქალაქის დაწყებითი სკოლებიდან ღებულობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალის შეგნებულად შეთვისებისათვის სრულიად მოუმზადებელ მოსწავლეებს"[2].

ნ. ცხვედაძეს ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის ძირითად ნაკლად მიაჩნდა ისიც, რომ მასში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა მოსწავლეთა პრაქტიკულ მოემზადებას, ურომლისოდაც თეორიული ცოდნა მხოლოდ გაზეპირებულია და ამდენად — ცხოვრებაში გამოუყენებელი. „თეორია კარგია,— წერდა იგი,— როდესაც მას თან ახლავს პრაქტიკა. ეს მისი უშუალო მოკავშირე, უიმისოდ ის (თეორია) სიტყვების უბრალო შეხამებაა. თეორიის შესათვისებლად საჭიროა გაცილებით ნაკლები დრო, ვიდრე პრაქტიკის შეთვისებისათვის"[3].

---

[1] Н. Цхведадзе, Записка о положении...., стр. 9.
[2] იქვე, გვ. 9—10
[3] იქვე, გვ. 10.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, ნ. ცხვედაძემ თავის მოხსენებაში საკითხი ნათლად გამოააშკარავა ქალაქის დაწყებითი სკოლებისა და სახელოსნო სასწავლებლის არსებითი დეფექტები და ამ ნიადაგზე შეიმუშავა და ჩამოაყალიბა მათი მუშაობის გარდაქმნა-გაუმჯობესების ზოგად საორგანიზაციო და პედაგოგიკურ-დიდაქტიკური ღონისძიებანი: თვალსაჩინოების პრინციპის დანერგვა სწავლაში, სამწლიანი დაწყებითი სკოლების დაყოფა ერთკლასიან (ოთხწლიან) და ორკლასიან (ხუთწლიან) დაწყებითს სკოლებად, მოსწავლეთა ნორმალურად დატვირთვა სასწავლო საგნებით, სახელოსნო სასწავლებელში საწარმოო პრაქტიკის სწორ ნიადაგზე დამყარება, სასწავლო საგნების პრაქტიკული მეცადინეობის საშუალებით შეთვისება, სპეციალური მომზადების ზოგადი განათლების საფუძველზე დამყარება და სხვ.

ნიკო ცხვედაძის ყოველმხრივად დასაბუთებული მოხსენება და პროექტი სასკოლო კომიტეტმა და თვით ქალაქის თვითმმართველობამაც 1892 წელს ერთხმად მოიწონა და დაამტკიცა, რითაც საფუძველი ჩაეყარა ქალაქის სკოლების მუშაობის გაუმჯობესებას[1].

9. ნიკო ცხვედაძე და ბრძოლა ქართული უნივერსიტეტისათვის

ფასდაუდებელი სამსახური სამშობლოს, ქართველ ხალხს თავის პრაქტიკულ საზოგადოებრივ-პედაგოგიურ მოღვაწეობაში ნიკო ცხვედაძემ გაუწია იმით, რომ მან 1897 წლიდან თავს იდვა თბილისის ქართული გიმნაზიისათვის საკუთარი ახალი შენობის აგების უძნელესი და ურთულესი საქმე და თავისი მეტად ნაყოფიერი სიცოცხლის უკანასკნელი 13—14 წელი ამ საშვილიშვილო წამოწყების განხორციელებას მოახმარა.

1897 წლის 22 მაისს ნიკო ცხვედაძემ ეს საკითხი „ღარიბ მოსწავლეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების“ სხდომაზე დააყენა. მისი დასაბუთებული და ენერგიული შუამდგომლობის შედეგად ამ საზოგადოებამ სკოლისათვის საკუთარი

---

[1] ნ. ცხვედაძის მოხსენებას გაზ. „ივერიის“ მიმომხილველმა ს ა ნ ო მ (სტ. ჭელაშვილმა) თავის ფელეტონში „ქართველთა შორის“ უწოდა „საფუძვლიანი, ვრცელი და სინიდისიერი გამოკვლევა“, რომელშიც „ჩინებულად არის აღწერილი დღევანდელი მდგომარეობა ხსენებულ სასწავლებელთა, ამასთანავე ნაჩვენებია გზა, რომელზედაც უნდა დააყენოს იგი ქალაქმა, რათა ხალხისათვის უფრო მომეტებულად სასარგებლონი შეიქმნენ“ (გაზ. „ივერია, 1893 წ., № 30). ასევე იწონებს ნ. ცხვედაძის პროექტს გაზეთი „Новое обозрение“ თავის სარედაქციო წერილში „Тифлисское городское училище“ (იხ. გაზ. „Новое обозрение“, 1892 წ., № 3002).

შენობის აგება საჭიროდ და აუცილებლად სცნო და გამოიტანა დადგენილება: „დაევალოს გამგე-კომიტეტს მიწის სყიდვა, სადაც ის ჰპოებს სასარგებლოდ და ამ მიწაზე სათავად-აზნაურო სკოლისათვის შენობის აგება“[1].

ამ დადგენილების საფუძველზე ნ. ცხვედაძე შეუდგა თავისი გეგმის განხორციელებას[2]. სულ მალე მან შედარებით იაფად, მის მიერვე შემოწირულების გზით შეგროვილი თანხებით ვაკეში, ვარაზის ხევთან, შეიძინა მიწის საკმაო ფართობი (14.400 კვ. საჟენი) და შეუდგა იქ პედაგოგიურად და ხუროთმოძღვრულად გამართლებული სასკოლო შენობის აგებისათვის ზრუნვას. „ამგვარსავე საქმეს (ლაპარაკია საზოგადოებრივ-საქველმოქმედო მუშაობაზე.— ვ. ქ.) შარშან თბილისშიც დაედო საფუძველი,— აღნიშნავდა 1899 წელს ჟურნალი „მოამბე“ თავის სარედაქციო მიმოხილვაში,— ჩვენ ვამბობთ თბილისის სათავად-აზნაურო სკოლისათვის საკუთარის შენობის აგების თაობაზე. ადგილი სკოლისათვის, სივრცით 12 დღიური, უკვე ნაყიდია ვერაზე და სახლის აგებისათვის ფული გროვდება. ეს საქმე მთლად იკისრა თავის თავზე ბატონმა ცხვედაძემ. ეჭვი არ არის, რომ დიდი, მეტად დიდი და ძნელი ტვირთი იკისრა ამ პატიეცემულმა მოღვაწემ, მაგრამ მისი ერთგულება საზოგადო საქმისადმი, დაუღალავი შრომა და საქმის ცოდნა თავდებია, რომ ეგ საქმე სასურველად დამთავრდება. იმედი ვიქონიოთ, რომ მთელი ქართველობა თანაგრძნობას და შემწეობას აღმოუჩენს ამ კეთილს და საშვილიშვილო საქმეს“[3].

მაგრამ ყველა ასე როდი მსჯელობდა. ქართველი საზოგადოების კონსერვატული ნაწილი თავიდანვე უნდობლობითა და ეჭვის თვალით უყურებდა ამ დიდ წამოწყებას. ზ. ჭიჭინაძის ცნობით,

---

[1] ანგარიში „ღარიბ მოსწავლეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა“, 1897 წ., გვ. 3.

[2] ნიკო ცხვედაძის ინიციატივას ფართოდ გამოეხმაურა მოწინავე ქართველი საზოგადოება. დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ქართველ თავად-აზნაურობას აქვს თავისი საკუთარი და ძვირფასი დაწესებულება — საზნაურო სკოლა, რომელიც ახლავე შესდგება თერთმეტი კლასიდგან, თუ პარალელურ განყოფილებებს სათვალავნი არ ჩავაგდებთ. ამ სკოლაში სწავლობს ექვსასამდე ქართველი ყმაწვილი. სკოლას არა აქვს დღემდე თავისი საკუთარი და შესაბამი შენობა და ამის გამო შეეიწროებულს მდგომარეობაში არის ყოველმხრივ. რათა ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი განვითარება ყმაწვილებისა დაადგეს ჯეროვან გზას და ამ ქართულმა დაწესებულებამ მოიტანოს ის დიდი სიკეთე, რომელიც მისგან მოსალოდნელია, მიუცილებლად საჭიროა საკუთარი სახლი, აგებული თანახმად ახლანდელის გიგიენისა და პედაგოგიისა“ (ი. გ ო გ ებ ა შ ვ ი ლ ი, დღევანდელი კვერცხი თუ ხვალინდელი ქათამი, გაზ. „ივერია“, 1899 წ., № 41).

[3] ჟურნალი „მოამბე“, 1899 წ., № 1, გვ. 86.

6. ცხვედაძეს ამისათვის კიდეც „ჰკიცხავდნენ მრავალნი ყვედრებით: ვერის მელებისა და ტურებისათვის უყიდნია სკოლის ადგილი და ქართველი ყმაწვილები ვერელ ელიბუა მენახშირე და მეშეშებისაკენ უნდა გარეკოსო. ამაზე ბევრ ნაირს მასხრობას, დაცინვას და საყვედურებს ასმენდნენ მყიდველს. მეორენი სიძვირესაც სწამებდნენ. დაწუნებას, კიცხვას და ადგილის უხეირობას საზღვარი არ აქვნდა"[1]. მაგრამ კეთილშობილური იდეით და ქართველი ხალხისათვის საჭირო საქმით გატაცებული მოღვაწე ამ ხმებს სრულიად უყურადღებოდ სტოვებდა და მისებური სიდინჯით და მონდომებით ცდილობდა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას.

როგორც ირკვევა, ჯერ კიდევ 1897 წელს გამოიწერა ნიკო ცხვედაძემ სხვადასხვა ტიპისა და საფეხურის სასკოლო შენობათა გეგმა-პროექტები, რომელთაც ჯერ თვითონ გაეცნო დეტალურად და შემდეგ, მათ საფუძველზე თბილისის ქართული გიმნაზიის შენობის ყოველმხრივ გამართლებული გეგმის შესადგენად და თვით მშენებლობის ხელმძღვანელად, სკოლის გამგე-კომიტეტთან შეთანხმებით, 1899 წელს მოიწვია ჩვენში საკმაოდ ცნობილი, ნიჭიერი ახალგაზრდა ქართველი ხუროთმოძღვარი სვიმონ გრიგოლის-ძე კლდიაშვილი (1865—1920 წ. წ.)[2].

სვიმონ კლდიაშვილმა დაკისრებულ საქმეს ენერგიულად მოჰკიდა ხელი და უკვე 1900 წლის შემოდგომისათვის გამგე-კომიტეტს წარუდგინა ქართული გიმნაზიის შენობის დასრულებული პროექტი, რომელიც იმდენად საფუძვლიანად, მონდომებით და თანამედროვე პედაგოგიკური მეცნიერებისა და საინჟინრო-ხუროთმოძღვრული ტექნიკისა და ხელოვნების მოთხოვნათა ზუსტად გათვალისწინებით იყო შედგენილი, რომ ყველასაგან მოწონება დაიმსახურა და სკოლის გამგე-კომიტეტის მიერ მიღებულ იქნა განსახორციელებლად.

ნიკო ცხვედაძე ახლა უკვე უშუალოდ დაწყებული საქმის სისრულეში მოყვანისათვის ზრუნვას შეუდგა. იმავე 1900 წლის შემოდგომაზე მან მოიწვია თბილისის მოწინავე ქართველი საზოგადოება და საზეიმოდ ჩაუყარა საფუძველი ქართული კულტურის მომავალ დიდ კერას. ქართულმა პრესამ საგანგებოდ აღნიშნა ეს სასიხარულო ფაქტი. გაზეთი „ივერია" წერდა: „14 ოქტომბერს, თბილისის სათავად-აზნაურო სკოლის გამგე-კომიტეტის მიერ შეძენილს ადგილზედ, ამ სკოლის ახალი შენობის საძირკველი ჩაჰყარეს და

---

[1] ხ. ჭ[ი]ჭინაძე]. დიდებული საქმე ქართველი ერისა, 1908 წ., გვ. 34.

[2] იხ. ვახტანგ ბერიძის წერილი „სვიმონ კლდიაშვილი", გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1945 წ., № 18.

აკურთხეს"[1]. ამ ზეიმის ერთ-ერთი მონაწილე გ. ლასხიშვილი თავის „მემუარებში" მეტად რელიეფურად გადმოვცემს როგორც ნიკო ცხვედაძის უსაზღვრო აღფრთოვანებას, ისე ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის სკეპტიკურ დამოკიდებულებასაც ამ კულტურული წამოწყებისადმი: „კარგად მახსოვს ის დღე, როცა ცხვედაძემ ქართველი საზოგადოება მიიწვია საძირკვლის ჩაყრაზე და კურთხევაზე. სხვათა შორის ვიყავით რედაქციის წარმომადგენელნიც... ნიკო ცხვედაძე ნამდვილ ახალგაზრდულ ენტუზიაზმით იყო გატაცებული, მაგრამ ბევრი დამსწრე სკეპტიკურად აკნევდა თავს და ჩუმად დასცინოდა კიდეც ინიციატორს... სხვათა შორის, ცერემონიის გათავების შემდეგ ნიკო მოგვიბრუნდა ახალგაზრდებს და გვკითხა:— ყმაწვილებო, გირჩევთ შეიძინოთ აქ სამოსახლო ადგილები, ეხლა ახლო-მახლო მიწა აქ ღირს საქენი რამდენსამე კაპეიკად, რამდენიმე წლის შემდეგ კი ათ თუმნადაც არავინ მოგცემთო. ვაკე მაშინ წარმოადგენდა ოღრო-ჩოღრო უდაბნოს და ჩვენც ზურგს უკან დავცინეთ მოხუც ენტუზიასტს: რას ამბობს ეს ადამიანი, ვის გაუგონია აქ დასახლება"[2]...

ასე დაიწყო ეს დიდი კულტურულ-ისტორიული საქმე. თითქმის არავის სჯეროდა მისი კეთილად დაგვირგვინება, მაგრამ ეს საქმე ღრმად სწამდა საზოგადოებრივ-პედაგოგიურ მუშაობაში გამოცდილ და გამოწრთობილ ნიკო ცხვედაძეს, რომელიც არაფერს ზოგავდა და არ ერიდებოდა, ყველაფერს აკეთებდა და იყენებდა იმისათვის, რომ როგორმე სრულყოფილად განეხორციელებინა თავისი განზრახვა. თავდაპირველად საქმე იმით დაიწყო, რომ გიმნაზიის გამგეკომიტეტს არავითარი სახსრები არ გააჩნდა, არა თუ ისეთი გრანდიოზული შენობის აგებისათვის, როგორიც ნიკო ცხვედაძეს ჰქონდა გათვალისწინებული, არამედ უბრალო სახლის აგებისთვისაც კი. მაგრამ, აი დატრიალდა გასაოცარი ენერგიისა და მონდომების ადამიანი —ნ. ცხვედაძე და თანხებიც გამოჩნდა და წამოწყებასაც წარმატება დაეტყო. ძლივს „ვაკეზე მიწის შეძენა მოვახერხეთ,— გადმოგვცემს იაკ. მანსვეტაშვილი,— ახლა შენობისათვის უნდა გვეზრუნა. მაგრამ საიდგან, რა ღონით, ფული სად იყო? გადავწყვიტეთ, ჩვენი საწყალი ჯიბეები გადმოგვებრუნებინა და რაც გვქონდა, ამოგვებერტყა. იყო შედგენილი სიები ქართველ მოხელეთა, მსახურთა და ასე გროშებით, სწორედ გროშებით შეკრებილი ფულით ჩავყარეთ საძირკველი. ამაზე ხომ ვერ შევდგებოდით?

---

[1] გაზ. „ივერია", 1900 წ., № 225.

[2] გ. ლ ა ს ხ ი შ ვ ი ლ ი, მემუარები, 1934 წ., გვ. 150.

გართულდა საქმე, ფული ბევრი უნდოდა. ჩვენი გროშებით, თუნდ მანეთებითაც ვეღარას გავხდებოდით. უნდა სხვა ღონე გვეღონა. აი სწორედ აქ იჩინა თავი ცხვედაძემ. ამოიღებდა ნიშანში ვისაც რაიმე ქონებას შეამჩნევდა, შეუჩნდებოდა და მანამ ფულს არ გამოაღებინებდა, არ მოეშვებოდა. არც ერთი შეძლებული ქართველი არ გადაურჩებოდა ცხვედაძის ხარკს. ჩვენში იქნებოდა, რუსეთში თუ უცხოეთში, ყველგან ხელს მიაწვდენდა, ყველას გამომეტებინებდა რასმე. ხერხი იცოდა, ვისთან როგორ უნდა მისულიყო, ვისთვის საიდამ მოევლო. რაც უფრო შორს მიდიოდა, მით უფრო მეტი მადა ეშლებოდა ჩვენს ნიკოს. ჯერ განზრახული იყო მხოლოდ ორსართულიანი შენობა, მერე მადა გაეხსნა და ორი სართული ოთხად გადააქცია. ახლა-კი წვრილ-წვრილად შეგროვებული შემოწირულებანი ხარჯებს ვეღარ ჰფარავდა. უნდა სხვა გზას დასდგომოდა და ამ გზამ ნიკო მიიყვანა დავით სარაჯიშვილთან და ჩვენ ბანკთან. სარაჯიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ უხვად გაშალა ხელი და არას ზოგავდა ამ საქმისათვის"[1]. ან როგორ გადაურჩებოდა ნიკო ცხვედაძეს ვინმე, რომელიც, როგორც გ. ბაგრატიონ-დავითაშვილიც ადასტურებს, „ვირტუოზი იყო სახსრების გამოძებნაში. მას არ ერიდებოდა მიემართნა მდიდარი ხალხის, ვაჭრებისა და დაწესებულებებისათვის დახმარების აღმოსაჩენად და ისე მოხერხებულად და დაჟინებით, რომ ხშირად ფულს გააჩენდა იქ, სადაც ამის არავითარი იმედი არ იყო. როდესაც ვინმესთან მივიდოდა, უცბათ არ დაიწყებდა ლაპარაკს თავისი მისვლის მიზნის შესახებ, მაგრამ ყველამ კარგად იცოდა, რომ ნიკოლოზ ზებედეს-ძეს უკმად სიარულის დრო არ ჰქონდა. როცა მასპინძელს დაღლიდა თავისი არა უინტერესო საუბრით იმ საქმეების წარმატების შესახებ, რომელსაც ემსახურებოდა, მოხერხებულად გადავიდოდა მწვავე საკითხზე და მერყეობის შემთხვევაში მიმართავდა გაცხარებულ დარწმუნებას. თუ საქმე მართლაც წარუმარტებლად დამთავრდებოდა, ის წავიდოდა იმ განზრახვით რომ მეორედ კიდევ მობრუნებულიყო"[2].

ნიკო ცხვედაძეს თანხების საშოვნელად ენერგიული ბრძოლის თავისებური ტექნიკა ჰქონდა შემუშავებული. მას ამ ტაქტიკური ბრძოლით უყვარდა „მოწინააღმდეგის" დაძლევა და საჭირო თანხის მიღება. „მახსოვს ერთხელ ის მოვიდა ჩემთან მხიარულ გუნებაზე, — გადმოგვცემს იგივე ავტორი, — მე იმ წამსვე მივხვდი, რომ

---

[1] ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, 1936 წ., გვ. 219.

[2] Г. А. Багратион-Давидов, Мои воспоминания, საქ. სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდი, № S—78, გვ. 183.

მან უკვე მოასწრო ვიღაცასთან საქმის გაჩარხვა და იმასვე აპირებდა ჩემთანაც. ლაპარაკობდა საკმაოდ დიდ ხანს, გაცხოველებით, თვითოეულმა ჩვენგანმა კარგად იცოდა ჩვენი საუბრის საბოლოო მიზანი, მე მოუთმენლად ველოდი როდის დაიწყებდა ის შეტევაზე გადმოსვლას, ის კი ელოდა მოხერხებულ მომენტს შეტევისათვის. ბოლოს შემომიტია, მაგრამ როგორი იყო მისი გაოცება, როდესაც მოწინააღმდეგე მუისვე დანებდა. როგორც სჩანს, მას მეტ სიამოვნებას გვრიდა საქმის ბრძოლით აღება და ამიტომ სწრაფი გამარჯვება, ეტყობა, ისე არ ესიამოვნა... ამგვარად, ნიკოლოზ ზებედეს-ძე,— ასკვნის იგივე ავტორი,— საქმის სარგებლობისათვის აშკარად ძარცვავდა ყველას — თავადაზნაურობას, ბანკს, მდიდარ ვაჭრებს. კონსტანტინე ივანეს-ძე მუხრანსკი, დავით ზაქარიას-ძე სარაჯიშვილი მისი მსხვერპლი იყვნენ და ამ „ძარცვის“ წყალობით ჩვენს საზოგადოებას შეეძინა ისტორიული შენობა, როგორც თავისი სიდიდით, ისე მოხერხებულობითაც. კარგად იცოდა რა, რომ თავაზიანობითა და ზედმეტი მოკრძალებით არაფრის გაკეთება შეიძლებოდა საზოგადოებაში, ის თამამად შედიოდა სახლში, დაწვრილებით უამბობდა მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ, რომელსაც სწყუროდა განათლება, უამბობდა იმაზე, თუ რას შეეძლო მისი შველა ან მძიმე ცხოვრების შემსუბუქება და შემდეგ გადადიოდა თხოვნაზე და, ხშირად, თავისთვის შეუმჩნევლად მოთხოვნაზეც, და ნუ აღშფოთდება ამ კრისტალური ქმნილების სული, თუ მე მას „ბანდიტს“ ვუწოდებ. მართალია, მას არა ჰქონდა თან რევოლვერი და ჯერ ვერ შეჩვეოდა გამოთქძას —„ხელები ზევით“, მაგრამ დანარჩენს სხვას ყველაფერს, რაც ხმარებაში ჰქონდათ ნამდვილ ბანდიტებს, ნიკოლოზ ზებედეს-ძე მათზე ნაკლებად არ იყენებდა. მან შექმნა ბანდიტიზმის ისეთი კატეგორია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სთესავდა მხოლოდ ბედნიერებასა და სიხარულს“[1].

ამ გზით და საშუალებებით ნიკო ცხვედაძე წლების განმავლობაში სისტემატურად აგროვებდა დიდ თანხებს და ეფექტიანად ახმარდა მას დაწყებულ მშენებლობას. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ იგი ამ საქმის ჩინებული და სწორუპოვარი ოსტატი იყო, მარტო ამ გზით და საშუალებებით გამოძებნილი რესურსები სრულიად არ იყო საკმარისი განზრახული ფუნდამენტალური შენობის ასაგებად, ძირითად წყაროს მაინც სათავად-აზნაურო ბანკის ყოველწლიური მოგებიდან გაღებული სუბსიდია წარმოადგენდა. ნიკო

---

[1] Г. А. Багратион-Давидов, Мои воспоминания, სკ. სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდი, № s—78, გვ. 184—185.

ცხვედაძე ბანკიდან თანხების „დაძვრენის“ შეუდარებელი ოსტატიც იყო. თუ რა თავგამოდებით იბრძოდა იგი სათავად-აზნაურო ბანკის კრებებზე, რათა რაც შეიძლება მეტი თანხები მიეღო მშენებლობისათვის, ამას, ჩვენი აზრით, მეტად მოხდენილად, თუმცა თავის დროზე აშკარა, დაცინვის კილოთი, გადმოგვცემს ისეთი მოწინავე ორგანოც კი, როგორიც იყო „კვალი“. დარწმუნებული ნიკო ცხვედაძის უიმედო ფანატიკოსობაში „კვალის“ უცნობი რეპორტიორი სკეპტიკური ირონიით წერს: „თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის წარმომადგენელთა წლევანდელი კრება შესანიშნავი შეიქნა თავისი კურიოზებით... ამ კურიოზთა შორის პირველი ადგილი ბ. ნ. ზ. ცხვედაძეს უპირავს, რომელმაც ორშაბათის კრებაზე სამჯერ წარმოსთქვა ერთი დიდი „რეჩი“. ბ. ცხვედაძე მეტის-მეტი შესანიშნავი პირია და ნება მომეცით ის გაგაცნოთ. ბ. ცხვედაძე, მიუხედავად თავის ხნისა, ერთი გატაცებული კაცია. თუ რამე გულში ჩაიდვა — იმას იქიდან „არას მამაოჩვენობით“ არ ამოიღებს, მიდის და მიდის ამ ამოჩემებულ გზაზე. ამას იქით არავის ხედავს და არც სურს დაინახოს. რა გზაზე ადგია ან რა აფიქრებს მას — ერთი შეხედვითაც შეიტყობთ. როცა ათას კაცში ერთს დაინახავთ, თავჩაღუნულს, დიდად დაფიქრებულს, ნელა, მაგრამ მედგრად მოსიარულეს — იცოდეთ, რომ ის უთუოდ ცხვედაძეა. იმას ლაპარაკი არ უყვარს, მე საქმის კაცი ვარო — იტყვის ხოლმე ის. ეს ერთი ხანია სათავად-აზნაურო სკოლისათვის შენობას აშენებს, რაიცა, რა საკვირველია, ჯერ არ დაუწყია, მაგრამ იმედი აქვს ახლო მომავალში სახურავი გადაადგას. მეო, თქვა მან 29 აპრილს სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტის წლიურ კრებაზე, ვაშენებ ისეთ სახლს, რომელიც ნახევარ მილიონად ღირს, ხოლო მე კი 350 ათასი მანეთი დამიჯდებაო[1]. რა ნაირად ხერხდება ეს? — შეეკითხნენ აქეთ-იქიდან. ეს მე ვიცი, უპასუხა ბ. ცხვედაძემ. — რამდენი გაქვს ამჟამად ფულიო, ჰკითხეს მას. — ამჟამად სულ 35 ათასი მან. გვაქვს, გვაკლია 315 ათასი მან., მაგრამ იმედია ამასაც მალე ვიშოვითო. და თუ საძირკველი ჩავყარეთ, თუ პირველი სართული ამოვიყვანეთ, პირველს მეორე გადავადგით, მეორეს მესამე და ამას თუ „კრიშაც“ დავადგით — მაშინ იმედი გვაქვს სახლი ავაშენოთო — გამოუცხადა გაკვირვებულ საზოგადოებას და ყველა ისეთ აღტაცებაში მოვედით, რომ კინაღამ ხელით გამოვიტანეთ გარეთ ჩვენი იმედით სავსე ცხვედაძე. და ასე, აშენებს ის

---

[1] ფაქტიურად შენობის მთლიანად დამთავრებას დასჭირდა 638.550 მან. და 89 კაპ. (იხ. „ღარიბ მოსწავლეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების“ 1916 წლისანგარიში, 1917 წ., გვ. 21).

სკოლას, სკოლის გვერდით გადააქვს ჩვენი საზოგადო დაწესებულებები (წ. კ. საზოგადოება, დრამატ. საზოგადოება, თეატრი და სხვ.). დაწესებულებებს თან აყოლებს ქალაქში მცხოვრებ ქართველობას, ერთი სიტყვით, თბილისიდან უნდა გადავიდეთ და ვერაზე დავსახლდეთ. როდის იქნება ეს საერთო გადასახლება — ჯერ არავინ უწყის, ვიცით მხოლოდ, რომ აღთქმული ქვეყანა ნაპოვნია; მოსე გამოჩენილია და ახლა მხოლოდ აყრა და გზაზე დაყენება გვაკლია. და აი ყველა ამას აკეთებს ერთად-ერთი კაცი, ერთად-ერთი ბ. ცხვედაძე"[1].

ამ ამონაწერში საუკეთესოდ არის გადმოცემული, ერთი მხრივ, ნიკო ცხვედაძის გეგმა-მისწრაფებანი, მისი ნათელი ოპტიმიზმი და ბრძოლის სტილი და, მეორე მხრივ, ის წინააღმდეგობანი და სკეპტიციზმი, რომელთა დაძლევა, დიდ საყვედურებსა და ხშირად პირად შეურაცხყოფასთან ერთად, არც ისე მცირე დროსა და ენერგიას ართმევდა ამ თავდადებულ მოღვაწეს. ნიკო ცხვედაძე ყოველთვის ძლევდა ამ წინააღმდეგობებს და გაცხარებული კამათიდან გამარჯვებული გამოდიოდა. მართალია მას შენებლობა ძალზე უჭიანურდებოდა, რადგან, მიუხედავად ენერგიული და შეუპოვარი ბრძოლისა, საჭირო თანხებს თავის დროზე მაინც ვერ ღებულობდა და, რაც მთავარია, ისეთ გრანდიოზულ შენობას აშენებდა, რომელშიც მისი წინასწარი გეგმით უნდა მოთავსებულიყო არა თუ ქართული გიმნაზია, არამედ მომავალი ქართული უნივერსიტეტიც, რომელსაც იგი უახლოეს დროში მოელოდა.

ამიტომ უტევდნენ ნიკო ცხვედაძეს ყოველ მხრიდან, მაგრამ იგი ყველას აშოშმინებდა. „ყოველმხრიდან თავდასხმები ვერ აშინებდა ცხვედაძეს, ის მედგრად იტანდა ყველა უსიამოვნებას და კიდევ უფრო მეტი ენერგიით განაგრძობდა თავის საყვარელ საქმეს. „თქვენ ამბობთ, რომ შორსაა",—იტყოდა ხოლმე ის—„გარწმუნებთ, რომ მალე ახლოს იქნება, მხოლოდ იქონიეთ მოთმინება და ხელის შეშლის ნაცვლად, დამეხმარეთ. თქვენ ამბობთ, რომ ის ძალიან დიდია ჩვენი ღარიბი საზოგადოებისათვის, რომ ჩვენ არ გვესაჭიროება უზარმაზარი შენობა, მე კი გარწმუნებთ თქვენ რომ ის პატარა გახდება თავის დროზე"[2]. ხოლო როდესაც, 1905 წლის რევოლუციის წინა პერიოდში, თავად-აზნაურობის ერთმა ნაწილმა დაჟინებით წამოაყენა სიმწრით ნაშენები სკოლის დაუმთავრებელი შენობის გაყიდვის წინადადება, ნიკო ცხვედაძე უჩვე-

---

[1] ჟურნ. „კვალი", 1900 წ., № 19, გვ. 301.

[2] Г. А. Багратион-Давидов, Мои воспоминания, გვ. 190.

ულო ენერგიული პროტესტით შეებრძოლა ამას. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, მას უთქვამს: „მთელს საქართველოში ყულაბებით მოვაგროვებ ფულს, ისე წვრილად მოგროვილის ფულით დავამთავრებ შენობას და გაყიდვაზე კი ნურავინ რას იტყვითო“[1]. ალ. მიქაბერიძის მოგონებაშიც იგივეა აღნიშნული: „ყულაბებით მოვაგროვებ გროშებს და ამრიგად მოგროვილი ფულით ვალსაც გადავიხდით და შენობასაც დავამთავრებთ. გაყიდვაზე კი ლაპარაკი არ შეიძლება. ნუ თუ მთელი ქართველობა ასეთ საშვილიშვილო საქმეს ხელიდან გამოიცლის. ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ შენობაში თავის დროზე საქართველოს მომავალი უნივერსიტეტი გაიმართებაო“[2].

ქართველი თავად-აზნაურობის დიდი ნაწილი მაინც არ ცხრებოდა. ის აშკარა პროტესტს გამოსთქვამდა იმის გამო, რომ მშენებლობა ძალიან ჭიანურდებოდა და თანდათან მეტ ხარჯს მოითხოვდა. თბილისის სათავად-აზნაურო ბანკიც, რომელიც, ი. მანსვეტაშვილის გადმოცემით, „პირველად ადვილად იძლეოდა ფულს“, აუჯანყდა ნიკო ცხვედაძეს. მისი მესვეურნი „გაიძახოდნენ, სწორედ გიჟია ეგ ვიღაც ცხვედაძეა, გადარეულია, ლამის მთელი ბანკის შემოსავალი სულ ამ შენობაში ჩაგვაყრევინოს. ილიას (ი. ჭავჭავაძეს — ვ. ქ.) უსაყვედურებდნენ: შენ აქებ იმ ვიღაცა ცხვედაძეს და ისიც რასაც უნდა ჩადის. ჩვენ ათასი გაჭირვება გვაქვს, ჩვენ ყველაფერზე უარს გვეუბნები და იქ კი უანგარიშოდ აბნევთ აუარებელ ფულს. ილია, ცოტა არ იყოს, შეკრთებოდა ხოლმე და გასაგლეჯად გაბრაზებულ თავად-აზნაურობას ცხვედაძეს მიუგდებდა: — ნიკო! მოდი კრებაზე, შენ თითონ მიეცი პასუხი და ანგარიში, — ეტყოდა ხოლმე ილია ცხვედაძეს, ცხვედაძეც უარის უთქმელად გამოვიდოდა, თუმცა კარგად იცოდა, რამდენი უსიამოვნება მოელოდა გაბრაზებულ ყრილობისაგან. მაგრამ წარმოიდგინეთ, ეს აღელვებული ხალხი ერთბაშად მიჩუმდებოდა ხოლმე, როდესაც თვალწინ წარმოუდგებოდა გულკეთილი, გულუბრყვილო, მუდამ მომღიმარი კაცი და დაიწყებდა ლაპარაკს ტკბილად, როგორც მოკეთე, თანაც გატაცებული იმ აღმაფრენი რწმენით, რომ ეს საქმე საშვილიშვილოა, საჭიროა მთელი ქართველებისათვის და ხარჯს არ უნდა შეუშინდეთ, საქმეს არ ეღალატებაო. ეგ ყველა კარგი, — ეუბნებოდნენ აქეთ-იქითგან, მაგრამ მაგ უზარმაზარ შენობას რომ გამოუდექით და აუარებელ ფულსა ჰყრით შიგა, ნეტავ რას აპირებთ, შიგ რა გინდათ მოათავსოთ? — საჭიროა, მოვიხმართ, — ისევ

---

[1] ზ. ჭ[ი ჭ ი ნ ა ძ ე], დიდებული საქმე ქართველი ერისა, 1903 წ., გვ. 190.

[2] ალ. მ ი ქ ა ბ ე რ ი ძ ე, ნიკო ცხვედაძე (მოგონებანი), გვ. 48.

შომლიმარი სახით უპასუხებდა ცხვედაძე. დაგვიჯერეთ, არ ინანებთ, მერე მადლობასაც გვეტყვით. აგერ ხმები ისმის და იქნებ კიდეც გამართლდეს, რომ თბილისში უნივერსიტეტის გახსნის ნებას გვაძლევენო. დეე, შენობა მზად გვქონდეს, იქნება ოდესმე ქართულ უნივერსიტეტსაც ვეღირსოთ. ამ სიტყვებით ბევრს მოინადირებდა ხოლმე და ფულსაც აძლევდნენ, მაგრამ იყვნენ ისეთი ავყიბიც, რომელნიც ლანძღავდნენ, ჭკუაზე შერყეულს ეძახდნენ, ბანკის დამღუპველად სთვლიდნენ. ნიკო ამათ ყურადღებას აღარ აქცევდა, ფული მიეღო და სხვა კი იმას არაფერი უნდოდა ამათგან. მათი ქება-დიდება მისთვის საჭირო არ იყო"[1].

ნიკო ცხვედაძე რომ თავიდანვე შენობას მომავალი ქართული უნივერსიტეტისათვის აგებდა, ეს ნათლად ჩანს ალ. ჯაბადარის „მოგონებებიდანაც", რომელშიც აღნიშნულია: „დიდი ამაგი მიუძღვის ნიკო ცხვედაძეს იმ სახლის აგებაში, გასაოცარ ენერგიას იჩენდა საჭირო ფულის შოვნაში და თვით შენობის აგების საქმეშიც. რასაკვირველია, მე ვამაყობდი, როდესაც კომიტეტში აშირჩიეს და ჩავები ამ საქმეში. ცხვედაძესთან მანამდეც კარგად ვიყავი. როცა ნახა, რომ მე გულით და სულით თანაუგრძნობდი მის მუშაობას, უფრო დამიახლოვდა. როდესაც შენობის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა გავიცანი დაწვრილებით, ცხვედაძეს ვკითხე:— ბატონო ნიკო! თქვენ მიერ დაწყებული შენობის დამთავრებას დიდი ფული დასჭირდება, შენობის პროექტიდან ნათლად ჩანს, რომ ეს შენობა გიმნაზიისათვის ძალიან დიდია. გარდა ამისა, თქვენი ხარჯთაღრიცხვა მცირეა, ამით სახლს ვერ დაამთავრებთ და, ბოლოს, შეიძლება დიდი უსიამოვნება მოხდეს. მთელ კომიტეტს უსაყვედურებენ უვიცობას, წინდაუხედავობას და სხვ., მე, როგორც კომიტეტის წევრი, მოვალე ვარ თქვენც გითხრათ ეს და კომიტეტის კრებაზე და საზოგადო ყრილობაზედაც აღვნიშნო. შევატყვე, რომ სიტყვებმა დააფიქრა და თითქო კიდეც ეწყინა. ეს ლაპარაკი შენობის ეზოში მქონდა. ნიკომ მკლავში ხელი წამავლო, შენობის მოშორებით გამიყვანა და დაიწყო: „რაც თქვენა სთქვით, ყველა მართალია, ისიც მართალია, რომ გიმნაზიისათვის ეს შენობა დიდია, მაგრამ, რაკი კითხვა ასე დააყენეთ, გეუდრებით ჩემი ნათქვამი საიდუმლოთ შეინახოთ და შემდეგში დამეხმაროთ, რომ ეს დიდი საქმე შევასრულო. არ ვიცი მოვესწრები თუ არა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ამ შენობაში ქართული უნივერსიტეტი იქნება... მე რომ ნამდვილი ხარჯთაღრიცხვა წარმედგინა,

---

[1] ი. მ ა ნ ს ვ ე ტ ა შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, 1936 წ., გვ. 220.

თქვენ ამ შენობას თვალითაც არ ნახავდით. როგორც ვატყობ, თქვენ არ იცით ჩვენი ხალხის ამბავი. მე მწამს, რომ თბილისში ქართული უნივერსიტეტი გაიხსნება და ამოდენა შენობას სწორედ ამისთვის ვაშენებ"[1]. თბილისის ქართული გიმნაზიის ყოფილი მასწავლებელი, შემდეგში სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორი გრ. ნათაძეც აღნიშნავს თავის „მოგონებაში", რომ „ნიკო ცხვედაძე მასწავლებლებს გვესაუბრებოდა ამ შენობის მომავალზე და ხშირად იტყოდა ხოლმე:—„ყმაწვილებო აქ ქართული უნივერსიტეტი იქნება, ქართული უნივერსიტეტი". ჩვენ ამაზე არაფერს ვეუბნებოდით ზრდილობის გულისათვის, მაგრამ ეს სიტყვები მოხუცი კაცის ახირებად მიგვაჩნდა. უნივერსიტეტს ვინ გვაღირსებს? ვეუბნებოდით შემდეგ ერთმანეთს და ვიცინოდით"[2].

დავით კლდიაშვილი თავის „მემუარებში" წერს: „ნიკო ცხვედაძემ რომ აბლანდელი სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობა დაიწყო, მრავალი მკილავი გამოუჩნდა,— გიჟიაო, ამბობდნენ ნიკოლაი ზებედეს-ძეზედ, ხიფათს გადაგვკიდებს, ფულს ტყუილა გვიხარჯავს და ვიღაცას ტყუილ-უბრალოდ ჩაუვარდება ხელში ამოდენა შენობა. ფანტაზორი, საქმის ფანატიკი კი გაჯიუტებით გაიძახოდა: მოვათავებთ, მოვათავებთ და უნივერსიტეტსაც მოვათავებთ შიგ; გამოდგებაო, ჩვენ გამოგვადგებაო. და აკი გამართლდა ფანტაზია. რწმენა ჰქონდა ქართველი ხალხის ცხოველმყოფელობისა, ამან შეაძლებინა დიდებული საქმის გაკეთება"[3].

გ. ლასხიშვილიც ადასტურებს ზემოთ ნათქვამს[4]. ი. მანსვეტაშვილი წერს: „საწყალი ნიკო! ფანტაზიორს ეძახიან, გიჟს, ჭკუაზე შეშლილს. რად? რად და იმად, რომ ოცნებობდა ქართულ უნივერსიტეტზე, იქნება ეს ოცნება იყო, ოცნება ფანატიკოსისა, რომელსაც მტკიცედ სწამს, რომ ოდესმე ეს ოცნება ასრულდება. დღეს ხომ ვხედავთ, რომ ეს ოცნება სინამდვილედ გადაიქცა"[5]. აი, რა შეუძლია მონდომებას, შრომას, მშობლიური ხალხის სამსახურისათვის თავგანწირვას. სავსებით სამართლიანად ამბობდა თავის საიუბილეო სხდომაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამ-

---

[1] ალ. ჯაბადარი, მოგონებანი, ჟურნ. „მნათობი", 1934 წ., № 4, გვ. 203—204.

[2] პროფ. გ. ნათაძე, მოგონებანი, საქ. სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 1773.

[3] დ. კლდიაშვილი, მემუარები, 1932 წ., გვ. 322—323.

[4] გ. ლასხიშვილი, მემუარები, 1934 წ., გვ. 150.

[5] ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, 1946 წ., გვ. 220—221.

სახურებული პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი (1844—1929 წ. წ.): „ყველას შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს სამშობლოს საუნჯეში: აი მაგალითი: ვინ ააგო ეს მშვენიერი მეცნიერების ტაძარი? ერთმა სოფლის მღვდლის შვილმა ნიკოლოზ ცხვედაძემ, რომელიც ცხოვრობდა მცირე ჯამაგირით, ყველას უკვირდა როგორ მოახერხებს ამგვარ საქმესაო, მაგრამ ცდით და გარჯით, მოახერხა ეს დიდი საქმე. ჩვენი ქვეყნის შემოსავალი მაშინ ჩვენ ხელთ არ იყო, შეჭკრიბა კერძო პირებისაგან შეწირულება და ამით ააგო დღევანდელი უნივერსიტეტი... მან მოასწრო მარტო ამ მშვენიერი მეცნიერების სავანის დამთავრება. ამბობდა, რომ ერთ დროს ეს საჭირო იქნება ჩვენი ქვეყნისათვისო და აი ახლა დადგა ის დრო, როდესაც გვეღირსა ჩვენი უნივერსიტეტი, მაგრამ თვითონ ვეღარ მოესწრო ამ დროს“[1].

ნიკო ცხვედაძემ მრავალი გაჭირვება, დაცინვა და ბრძოლა გადაიტანა, მაგრამ მისებური თავდადებული მუშაობის ტემპები მას მაინც არ შეუნელებია და დაწყებული დიდებული საქმე სიცოცხლეშივე თითქმის მთლიანად ბოლომდე მიიყვანა[2]. კეთილშობილი ჭაღარა მოხუცი მიუხედავად ძალზე დაავადებისა, ისევ და ისევ მომავალი ქართული უნივერსიტეტის მშვენიერი შენობის დამთავრებაზე ფიქრობდა და ყოველდღიურად ზრუნავდა. „იგი გასტეხა და სამარის კარს მიუახლოვა მხოლოდ თავისავე არჩეულმა გზამ,— სწავლის გავრცელებისათვის ზრუნვამ,—წერდა თავის სტატიაში „დიდებული მოხუცის ხსოვნას (ნ. ცხვედაძის გარდაცვალების გამო)“ მწერალი ქალი გ ა ნ დ ე გ ი ლ ი (1865—1929 წ.),— ეს იყო იმისი წმინდათა წმინდა და ამას ემსახურებოდა იგი სიყრმიდან სიკვდილამდე. ძნელია წარმოიდგინოს კაცმა ის გულმხურვალე სიყვარული და ზრუნვა, რასაც განსვენებული ყოველს ჩვენს საქმეში იჩენდა, და განსაკუთრებით ამ ბოლო დროს სააზნაურო გიმნაზიის საქმეში. მე თვით ამ სტრიქონების დამწერმა ვნახე იგი ამ რამდენსამე თვის წინათ ბანკში. დაუძლურებული, სნეული, ფეხზე ძლივს იდგა და მაინც კიდევ დადიოდა, რომ სკოლის შენობის გადაგირავების საქმე[3] როგორმე მოეწყო, თითქო გული მისდიოდა, სახეზე

[1] პროფ ალ. ცაგარელი, ჩემი იუბილე, ჟურნ. „ქართული მწერლობა“, 1927 წ., № 3—4, გვ. 60—61.

[2] უკვე 1908 წ. შემოდგომისათვის თბილისის ქართული გიმნაზია ახალ შენობაში გადავიდა სამეცადინოდ, რადგან ძველს შენობაში, მეფის ოხრანკის მიერ გიმნაზიის აკლებისა და მისი დირექტორის შიო ჩიტაძის ტრაგიკული მკვლელობის გამო, მეცადინეობის წარმოება შეუძლებელი იყო.

[3] როდესაც ნ. ცხვედაძეს თანხები შემოაკლდებოდა და ვალებში ჩავარდებოდა ბანკში გადააგირავებდა ხოლმე (ე. ი. ხელახლა დააგირავებდა) დაუმთავრებელ შენობას და აღებული გადიდებული სესხით ბანკის ძველ ვალს დაფარავდა და ნა-

ფერი ეცვლებოდა, ვიდრე თავის თხოვნის შედეგს გაიგებდა. ეს წამი ჩემს თვალში იმდენად წმინდა და სათაყვანო იყო, რომ ღრმად აღმებეჭდა გულში და არასოდეს არ ამოიშლება იგი ჩემს ხსოვნიდან"[1].

ნიკო ცხვედაძე სიცოცხლის უკანასკნელ დღეებშიც ისევ თავისი წამოწყების სრულყოფილად დამთავრებაზე ფიქრობდა, ეს იყო მისი სანუკვარი ოცნების საგანი. უკანასკნელად, როდესაც მოურჩენლად დაავადებული, უიმედო და უგრძნობელ მდგომარეობაში მყოფი, სოფელ კავთისხევიდან ეტლით თბილისს მოჰყავდათ, იგი ისევ მომავალი ქართული უნივერსიტეტის შენობაზე ფიქრობდა. საქართველოს სამხედრო გზიდან „რაღაც გრძნობით მან იცნო ადგილი,— გადმოგვცემს გ. ბაგრატიონ-დავითაშვილი — საიდანაც ჩანდა გიმნაზიის შენობა, გაიღიმა, წამოდგა იგი, დიდხანს უცქეროდა შენობას და გაბრწყინებული სახით, დაღლილი, უსიტყვოდ დაეცა ეტლში საჯდომზე,— ეს შენობა გახდა მისი საყვარელი და დაუკიწყარი მშენებლის უდიდესი ძეგლი"[2].

ასე თავდავიწყებამდე უყვარდა ნიკო ცხვედაძეს მისი საშვილიშვილო წამოწყება, რომელსაც მან თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები უანგაროდ შეალია. ამიტომ გადაჭარბებულად არ უნდა მოგვეჩვენოს იაკ. მანსვეტაშვილის დებულება, რომ „თუ დღეს ჩვენ გვაქვს ის საუცხოვო, დიდი შენობა, რომელიც ვაკედან ამაყად ქალაქს დაჰყურებს და ამშვენებს, ის შენობა. სადაც დღეს ქართული უნივერსიტეტი იმყოფება,— ეს უნდა დაუმადლოთ ნ. ცხვედაძეს, იმის მხნეობას, იმის ერთგულებას, იმის თავისგანწირვას"[3]. საესებით მართალი იყო მწერალ-პედაგოგი სამსონ ყიფიანიც, როდესაც იგი ნ. ცხვედაძეს კერძო ბარათში მხატვრულად წერდა: „თქვენ აღაშენეთ შენობა იმ ფიქალთა ქვებისაგან, რომელსაც თქვენი საყ-

---

შთით განაგრძობდა მშენებლობას. ასეთი მოხერხებული მოქმედების იდეა იაკობ გოგებაშვილს ეკუთვნოდა. თავის წერილში „დღევანდელი კვერცხი, თუ ხვალინდელი ქათამი?" იგი ჯერ კიდევ 1899 წელს წერდა: „ამისთანა სახლის აშენებას (ლაპარაკია თბილისის ქართული გიმნაზიის შენობის აგებაზე. ვ. ქ.) გზაზედ ეღობება მხოლოდ ერთად-ერთი მიზეზი — ფულის უქონლობა. ეს მიზეზი თითქმის უძლეველი იქნებოდა, რომ ფულის ჩუქების გარედ ხანა არ იყოს, მაგრამ ეს ასე არ არის. აქ სრულიად საკმარისია დროებითი სესხი. ნასესხი ფულით სკოლის სახლი აშენდება, დაგირავდება ბანკში და მასესხებლებს ისევ უკან დაუბრუნდებათ თავისი საკუთარი ფული" (გაზ. „ივერია", 1899 წ., № 41).

[1] გ ა ნ დ ე გ ი ლ ი, დიდებული მოხუცის ხსოვნას, სახალხო გაზეთი, 1911 წ., № 41.

[2] საქ. სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდი, № s — 75, გვ. 192.

[3] ი. მ ა ნ ს ვ ე ტ ა შ ვ ი ლ ი. მოგონებანი, 1936 წ., გვ. 218.



ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი
კორპუსის ფასადი

ვარელი ერი უთუოდ უჩინრად და თანდათანობით დიდი ხანია ოცნებით თლიდა და აშალაწინებდა და კიდევაც ამიტომაა საიმედო, რომ იგი სხვის ხელში არ გადავა. თქვენი აღმშენებლობითი იდეა და მისი განხორციელება სინტეზია მთელი ერის ამ მხრით მისწრაფებისა და სწორედ ამიტომაა, რომ ვერაფერმა დამაბრკოლებელმა ავმა სულმა უკან არ დაგახევიათ და სასარგებლო ინიციატივა ბოლომდე მიგაყვანიათ"[1].

ნიკო ცხვედაძის ამ დიდმა წამოწყებამ მცირე როლი როდი შეასრულა შემდეგში (1918 წ.) თბილისის ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. თავის მოხსენებაში უნივერსიტეტის ათი წლისთავზე უნივერსიტეტის დამაარსებელთა საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი და მისი ფაქტიური ფუძემდებელი აკად. ივ. ჯავახიშვილი, ეხებოდა რა თბილისის ქართული უნივერსიტეტის დაარსების საკითხს, სამართლიანად აღნიშნავდა, რომ უნივერსიტეტისათვის „ბინა... არსებობდა, განსვენებული ცხვედაძის მიერ აშენებული ქართული გიმნაზიისათვის, საკმაოდ დიდი და გამოსადეგი უნივერსიტეტისათვის. შთამომავლობამ უნდა დააფასოს ამ უანგარო მოღვაწის ღვაწლი; ბევრი დაცინვის მიუხედავად მან ააგო ეს შენობა, რომელშიაც ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით"[2].

დღეს, ჩვენს პირობებში, როდესაც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად ქართველი მშრომელი ხალხის და მისი საუკეთესო შვილთაგანის — ნიკო ცხვედაძის სანუკვარი იდეა განხორციელდა და იმ შენობაში, რომელიც მისი უანგარო, დაუღალავი და შეუნელებელი მოღვაწეობის მეოხებით არის აგებული, უდიდეს სასწავლო-სამეცნიერო მუშაობას აწარმოებს საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთაც საკმაოდ ცნობილი ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, — მადლიერი ქართველი ხალხი დიდი პატივისცემით იხსენიებს ამ თავდადებულ საზოგადო მოღვაწეს და მის ფასდაუდებელ ამაგს. მადლიერების ამ გრძნობას საუკეთესოდ გამოხატავს პოეტი ვალერიან გაფრინდაშვილი თავის პატრიოტულ ლექსში „ნიკო ცხვედაძეს".

„უნივერსიტეტს როცა ვხედავ, ასე მგონია,
რომ შენს ბეჭებზე აშოსულან მისი კედლები;
მისი მშვენება, მთელი სიბრძნე და ჰარმონია
არის შექმნილი ახალ ქვეყნის ახალ მჭედლებით.

---

[1] ს. ყ ი ფ ი ა ნ ი, წერილი ნ. ცხვედაძეს, გაზ. „კოლხიდა", 1911 წ., № 177.

[2] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, უნივერსიტეტის ათი წლისთავზე წაკითხული მოხსენების სტენოგრამიდან (სტენოგრამა ინახება აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტში).

წარსულს ჩაბარდა გზა, მოსილი ნარით და ეკლით,
მადლობა ყველას — ამ ცხოვრების დამამშვენებელს,
და შენც დაგიდგით ჩვენს ხსოვნაში გულწრფელი ძეგლი,
როგორც უმაღლეს სასწავლებლის პირველ მშენებელს".

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ კორპუსს ამშვენებს მემორიალური დაფა წარწერით: „უნივერსიტეტის შენობის აშენების ინიციატორი და სულისჩამდგმელი ილია ჭავჭავაძე, მშენებლობის კომიტეტის თავმჯდომარე ნიკო ცხვედაძე, ხუროთმოძღვარი — მშენებელი სვიმონ კლდიაშვილი".

10. ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე

ნიკო ცხვედაძე არა მარტო დაუღალავი საზოგადო მოღვაწე პედაგოგი იყო, არამედ, ამავე დროს, შეუდარებელი ადამიანი და გულისხმიერი მეგობარიც. ათეული წლების განმავლობაში მას უახლოესი მეგობრობა და უაღრესად ამხანაგური, საქმიანი დამოკიდებულება ჰქონდა ისეთ ცნობილ ქართველ მოღვაწეებთან, როგორიც იყვნენ: დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ილია წინამძღვრიშვილი, რაფიელ ერისთავი, ნიკო ხიზანიშვილი (ურბნელი), ანტონ ფურცელაძე, ნიკო ლომოური, გიორგი იოსელიანი, ვასილ ყიფიანი, ნიკო ნიკოლაძე, დავით სარაჯიშვილი და სხვ. განსაკუთრებით ახლო დამოკიდებულება, ხშირი ურთიერთობა და მეგობრობა ნიკო ცხვედაძეს ილია ჭავჭავაძესა და იაკობ გოგებაშვილთან ჰქონდა. იგი თავიდანვე დაუახლოვდა მათ და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მათი უდიდესი პატივისმცემელი და დამფასებელი იყო. ისინიც ყოველთვის ანგარიშს უწევდნენ ნიკო ცხვედაძეს, და ამ ნიადაგზე მათ შორის მუდმივი ურთიერთგაგება, პატივისცემა და სიყვარული იყო დამკვიდრებული.

არტურ ლეისტის გადმოცემით, „ილია ჭავჭავაძეს ძლიერ უყვარდა ნიკო ცხვედაძე და პატივისცემით ეპყრობოდა საზოგადო, საკეთილო საქმეში დაუღალავის შრომისა და პირადი უმწიკლო ხასიათის გამო"[1]. „არასოდეს არ დამავიწყდება, — წერს გრ. დიასამიძე, — როგორ უყვარდა ხოლმე განსვენებულ ჩვენს სიამაყეს ილია ჭავჭავაძეს იმ ადგილას მისვლა, სადაც შენობას აგებდნენ. ხშირად გვეუბნებოდა ხოლმე, თქვენ მერე დააფასებთ ნიკოლოზ ალმაშენებლის ღვაწლსაო"[2].

ურთიერთ განსაკუთრებული პატივისცემით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ამ დიდ მოღვაწეებს ერთხელაც არ მოსვლიათ ოდნავი პირადი უსიამოვნება და შეხლა-შემოხლა, თუმცა ათეული წლების განმავლობაში უხდებოდათ ერთად მუშაობა მრავალ საზოგადოებრივ დაწესებულება-ორგანიზაციაში და კერძოდ „ქართველთა

---

[1] ა რ. ლ ე ი ს ტ ი, ჟურნალი „განათლება", 1918 წ., № 1, გვ. 46.

[2] გ რ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე, ნიკო ცხვედაძის ხსოვნას, გაზ. „თემი", 1911 წ., № 44.

ილია ჭავჭავაძე

შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“, სადაც ნიკო ცხვედაძე ილია ჭავჭავაძის მარჯვენა ხელი იყო.

ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ცხვედაძის მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების შედეგი იყო უსათუოდ ისიც, რომ ნიკო ცხვედაძე მუდმივი სტუმარი იყო ილიას ოჯახისა როგორც თბილისში, ისე სოგურამოშიც, სადაც ნ. ცხვედაძე თითქმის არც ერთ ტრადიციულ „ილიობას“ არ დაკლებია[1].

ნიკო ცხვედაძემ საუკეთესოდ იცოდა მისი დიდი მეგობრის— ილია ჭავჭავაძის, როგორც შემომქმედი ხელოვანისა და მეტად მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწის ფასი და წონა ქართველი ხალხისა და მისი მრავალსაუკუნოვანი კულტურისათვის და ამიტომ განიცადა ასე მწვავედ მისი მეგობრის ტრაგიკულად დაღუპვა. ნიკო ცხვედაძე იყო ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი დამწუხრებული ჟირისუფალთაგანი. თავის გამოსათხოვარ სიტყვაში მთაწმინდაზე, ილია ჭავჭავაძის ნეშტის წინაშე, მისი დასაფლავების დღეს მან აღნიშნა: „დღეს ვესალმებით ჩვენს სასიქადულო ილიას. დღეს გვშორდება იგი სამუდამოდ. დღეიდან ჩვენ ვეღარ მივმართავთ მას რჩევისათვის, ვეღარ მოვისმენთ იმის ტკბილ და ჭკვიანურ ლაპარაკს. ჩვენ ვეღარ ვიხილავთ იმის წყნარ სახეს. უცოდინარობამ და შავმა ძალამ გამოგვლიჯა იგი ხელიდან. მაგრამ ჩვენს სანუგეშოდ ხელში შეგვრჩა მისი საქმენი და მისი გონების ნაწარმოები-ნაწერები... ილია უღვიძებს ქართველებს იმ გვარ გრძნობებს, ურომლისოდაც ადამიანი ადამიანი არ არის, ხალხი ხალხი არ არის; სამშობლოს, სიმართლისა, დაჩაგრულისა, ცოდნისა, შრომისა, ერთობისა და თავისუფლების სიყვარული — აი, გრძნობანი, რომელნიც ეღვიძება ქართველებს ილიას ნაწერების კითხვით“[2].

ნიკო ცხვედაძეს მეგობრისა და დიდი პოეტისათვის ზრუნვა მისი გარდაცვალების შემდეგაც არ შეუწყვეტია. იგი თავს დასტრიალებდა მის საფლავს, უვლიდა და ამშვენიერებდა მას. „გაზაფხულის ერთ დღეს,— გადმოგვცემს თავის მოგონებაში საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი პროკლე ტაბიძე,—ჩვეულებრივ რამდენიმე ამხანაგი ამოვედით აქ (მთაწმინდაზე.— ვ. ქ.). ვხედავთ, ილიას საფლავს თავს დასტრიალებენ. ღრმადმოხუცებუ-

---

[1] იხ. ე კ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, რამდენიმე შეხვედრა ილია ჭავჭავაძესთან, („ლიტერატურის მატიანე“, 1940 წ., წიგნი 1—2, გვ. 125); ა. ახხაზაროვი, ილია ჭავჭავაძე და მისი დრო (საიუბილეო კრებული „ილია ჭავჭავაძე“, 1939 წ., გვ. 305); არტ. ლეისტი, „საქართველოს გული“, წიგნი მეორე, 1927 წ., გვ. 38, 348 და სხვ.

[2] ნ. ც ხ ვ ე დ ა ძ ე, სიტყვა ილია ჭავჭავაძის დასაფლავებაზე, კრებული „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, 1907 წ., გვ. 207—208.

ლი კაცი განკარგულებას იძლევა. იქვე მდგომი მუშა და ინტელიგენტი თვალებში შესცქერიან და უსიტყვოდ ასრულებენ მის ნებას. მაგრამ აი უეცარი ცვლილება მოხდა, თითქმის მეხი გავარდაო; მოხუცი მთელი ტანით აკანკალდა, სახე შეიცვალა, თვალებზე ცრემლები მოადგა და რაც ძალ-ღონე ჰქონდა მორთო ყვირილი: „რას შვრები, ადამიანო! რას ჩადიხარ, ვის ადგამ გულზე ფეხს, ვისა? გაგეგება, ვინ არის ეს?“ — ყვიროდა მოხუცი, მუშა კი, რომელმაც უნებურად საფლავის შუა ადგილს ფეხი დაადგა, შეწუხებული იდგა. დიდი ბოდიში დაჭირდათ მოხუცთან.— „რა ექნა, ბატონო, ფეხი რომ არ დაედგა, ისე ვერ გააკეთებდა“— თავაზიანად ეუბნებოდა ინტელიგენტი. ეს კეთილშობილი მოხუცი ნიკო ცხვედაძე გამოდგა; კაცი, რომლის შეუდრეკელი ენერგიის წყალობით გვაქვს უნივერსიტეტის დიდებული შენობა, კაცი, რომელიც გვერდში ედგა დიდ ილიას და მასავით მუდამ ანთებული იყო მამულის სიყვარულით. სიკვდილმა თითქოს დროებით ერთიმეორეს დაა'მორა ისინი, მაგრამ მოხუცი გაუტეხელი იყო, იგი არ ცილდებოდა სამარეს, უვლიდა მას და ნებას არავის აძლევდა უხეშად მოპყრობოდა ძვირფას საუნჯეს“[1].

ასეთი იყო უანგარო საზოგადო მოღვაწე-პედაგოგის ნიკო ცხვედაძის დამოკიდებულება XIX საუკუნის მეორე ნახევრის უდიდეს ადამიანთან საქართველოში — ილია ჭავჭავაძესთან. კიდევ უფრო დაახლოებული იყო იგი იმავე პერიოდის უდიდეს ქართველ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწესთან — იაკობ გოგებაშვილთან. „ჯერ კიდევ იმ დროს, როცა იაკობი თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა,— აღნიშნავს ალ. მიქაბერიძე,— იგი ყოველ თავისუფალ დროს ნიკო ცხვედაძის მამისა და ბიძის ოჯახში ატარებდა. ამ პატიოსანი ძმების ოჯახებმა შვილივით შეითვისეს იაკობი და მოვლა-პატრონობას არ აკლებდნენ. იაკობიც, თავის მხრივ, შესაძლებლობის ფარგლებში, ხელმძღვანელობას უწევდა ამ ორი ოჯახის მოზარდ წევრებს მომავალს სწავლა-განათლების მიღების საქმეში“[2]. „ი. გოგებაშვილისა და ნ. ცხვედაძეს შორის უახლოესი მეგობრობა იყო დამყარებული ჭაბუკობის წლებიდანვე,— გადმოგვცემს ელენე ცხვედაძე - გოგიჩაიშვილისა.— ასაკის მხრივ მათ შორის არ იყო დიდი განსხვავება: იაკობი ხუთი წლით უფროსი იყო, და თუმცა ჭაბუკობაში ეს საგრძნობი ასაკობრივი განსხვავებაა,

---

[1] პრ. ტ ა ბ ი ძ ი ს „ნაწყვეტები მოგონების რვეულიდან“ თავაზიანად მოგვაწოდა მიხ. კეკელიძემ.

[2] ალ. მ ი ქ ა ბ ე რ ი ძ ე, მშობლიური ქვეყნის დიდი მოამაგე, „იაკობ გოგებაშვილი (საიუბილეო კრებული)“, 1940 წ., გვ. 351.

იაკობ გოგებაშვილი

მიუხედავად ამისა, მათი დაახლოვება მოწაფეობის ხანაშივე დაიწყო. ამას იქნებ ხელი შეუწყო იაკობის ადრიდანვე დაობლებამ და სიახლოვის გრძნობა ადრევე გაეღვიძა მისთვის უცხო, მაგრამ მასთან ახლო მდგომ ადამიანისადმი"[1]. იაკობ გოგებაშვილსა და ნიკო ცხვედაძეს შორის მეგობრული კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ნიკო ცხვედაძე, მოსკოვის სასულიერო აკადემიის ახალგაზრდა კურსდამთავრებული, საქართველოში დაბრუნდა სამუშაოდ და თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლად დაინიშნა. სასულიერო სასწავლებელში შეთანხმებულმა პედაგოგიურმა მუშაობამ, საერთო ბრძოლამ სემინარიაში დამყარებული სქოლასტიკურ-რეაქციული სწავლა-აღზრდის სისტემის წინააღმდეგ და იმ საყოველთაოდ ცნობილმა შედეგებმა, რომელნიც ამას მოჰყვა, იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე სიკვდილამდე განუყრელი და ძმადნაფიცი მეგობრები გახადა.

ერთმა, თავისი განზრახვით ტრაგიკულმა შემთხვევამ, რომელიც ისედაც დაავადებული ი. გოგებაშვილის სამსახურიდან მოხსნამ და უსასტიკესმა მორალურმა შეურაცხყოფამ გამოიწვია, კიდევ უფრო განამტკიცა მათი მეგობრობა. „ერთ დღეს გაისმა,—გადმოგვცემს არბოელი (ნ. ლომოური),— იაკობ გოგებაშვილი სადღაც დაკარგულაო. შიშის ზარივით მოედო ეს ხმა სემინარიელების სულსა და გულსა. წამს მთელი უზარმაზარი შენობა სემინარიისა დაცარიელდა. გუნდგუნდად მოედვნენ მოსწავლენი თბილისის გარშემო მდებარე მთა და ბარსა. ანტონ ფურცელაძე, ნიკო ცხვედაძე და გიორგი იოსელიანი ეტლებით დარბოდნენ აქეთ-იქით. მტკვარში რამდენიმე მეთევზე ნავებით დაცურავდნენ და ეძებდნენ დაკარგულის გვამსა. ასე გაგრძელდა საღამომდე. მზის ჩასვლისას საიდგანღაც გაისმა სანუგეშო ხმა — იაკობი ცოცხალია. საღამოს რვა საათი იქნებოდა, როდესაც სემინარიაში მოვიდა სანდრო ცხვედაძე, უმცროსი ძმა ნიკოსი, სახალხო სკოლის მასწავლებელი, მხნე და ერთგული მეგობარი გლეხკაცისა, ყოვლად პატიოსანი ადამიანი და გვიამბო შემდეგი: შუა დღე იქნებოდა მოტანებული, როცა მე რაღაც საქმისათვის ვერის სასაფლაოს გადასწვრივ დაღმართზე ჩავდიოდი ძირსაო. მარცხენა ნაპირიდან ვიღაცა მოადგა მტკვარსა და ისე, გაუხდელი, შევიდა წყალშიო. შუა ადგილს წყალმა წააქცია და რამდენსამე წამს სრულიად დამალა, მერმე კვალად გამოჩნდა, იწყო ბრძოლა ტალღებთან და ნაპირს დაუახლოედაო. მაშინვე მივეშველე მეც და, როდესაც სახეზე შევხედე, მეტის მწუხარებისა და გაოცებისაგან კინაღამ

[1] ელენე ცხვედაძე-გოგიჩაიშვილისა, ი. გოგებაშვილი და ნ. ცხვედაძე, „იაკობ გოგებაშვილი (საიუბილეო კრებული)", 1940 წ., გვ. 283.

გული შემიწუხდაო. სანდრო ცხვედაძეს მაშინვე წამოეყვანა, სასაფლაოს ქუჩაზე ეტლში ჩაესვა და სასტუმროში წაეყვანა. აქედან ძმისათვის (ნ. ცხვედაძისათვის — ვ. ქ.) ბარათი მიეწერა, მაგრამ რაკი შინ არავინ იყო, ბარათი მხოლოდ საღამოს ჟამზე წაეკითხა ნიკოს. იმავე წამსვე მიეკრილიყო სასტუმროში. შემდეგ მცირეოდენი მოლაპარაკებისა, იაკობი მიხეილის საავადმყოფოში დაებინავებინათ"[1].

ასე გადაარჩინეს დაღუპვას სასიქადულო ქართველი პედაგოგი ძმებმა ცხვედაძეებმა. როდესაც ი. გოგებაშვილი ცოტათი მომჯობინდა, საავადმყოფოდან გამოეწერა და ნ. ცხვედაძესთან გადმოვიდა საცხოვრებლად. „ერთი თვის შემდეგ იაკობმა საავადმყოფოს თავი დაანება, — გადმოგვცემს არბოელი.— იგი დაბინავდა თავის ერთგულ მეგობარ ნიკო ცხვედაძესთან, მთაწმინდაზე. ზამთარი იყო, იაკობის სანახავად მივედი ამ ბინაზე. გაჩაღებული ბუხრის წინ იჯდა და რაღაც ქაღალდებს სინჯავდა. ფერი მოსვლოდა, სახე დამშვიდებოდა. მხიარულად მომეგება. რამდენიმე წამის შემდეგ სახლში მოვიდა ნიკოც და თან შემოიტანა თავისი ჩვეულებრივი მხიარულება და აღფრთოვანება.

— როგორა ხარ, იაკობ?— კარებიდანვე შემოსძახა მეგობარს.

— აი, ეს წყეულები მაწუხებენ,— უპასუხა იაკობმა,— მინდა თავიდან მოვიშორო.

სთქვა თუ არა ეს, მაგიდიდან აკრიფა მთელი ბღუჯა დაწერილი ქაღალდებისა და გაჯავრებით შეჰყარა გაძლიერებულ ბუხარში.

— რა იყო იაკობ? რა ქაღალდები უთავაზე ამ ჩვენ მხიარულ ბუხარსა?— ჰკითხა ღიმილით ნიკომ.

— დავწვი ჩემი ბემები, რომ უკან დაბრუნება აღარ შემეძლოს,— წარმოსთქვა იაკობმა. ატესტატი სემინარიისა, მოწმობა აკადემიისა, სამსახურის სია და სხვა საბუთების ქაღალდები ყველანი ცეცხლს მივართვი ძღვნად. ვაი თუ მაგათის წყალობით შემდეგ როდესმე გამლვიძებოდა სურვილი სამსახურში შესვლისა. ამიერიდან მთელი ჩემი სიცოცხლე, ძალა და ღონე ჩემ ქვეყანას უნდა მოვახმარო.

— გაუმარჯოს იაკობს, გაუმარჯოს!..— შესძახა აღტაცებით ნიკომ;— ქვეყნის სამსახურს არც მე გავეექცევი, ჩემო იაკობ; ეფიცავ პატიოსნებას და იმ ქვეყნის მომავალს!...

ასეთი ფიცი წარმოსთქვეს ერთმანეთის წინაშე ამ ორმა ჩინებულმა ადამიანმა და როგორ პირნათლად შეასრულეს ეს ფიცი, ყველამ კარგად იცის ამ ჟამად"[2].

---

[1] კრებული „იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად", გვ. 24—25.

[2] იქვე, გვ. 26.

ი. გოგებაშვილი იმდენად იყო შეჩვეული ნ. ცხვედაძეს, რომ მისგან დაშორება აღარ შეეძლო. ამიტომ, როგორც ალ. მიქაბერიძე აღნიშნავს, „როცა სახელმწიფო სამსახურს თავი დაანება, მთაწმინდაში, თავისი მეგობრის ნიკო ცხვედაძის მეზობლად, დაიქირავა ოთხი ოთახი, რომლებსაც მთელი დღის განმავლობაში მზის სხივები უხვად ეფინებოდა"[1]. „სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იაკობი და ნ. ცხვედაძე ერთ სახლში ცხოვრობდნენ (მთაწმინდაში),— გადმოგვცემს ელ. ცხვედაძე-გოგიჩაიშვილისა. — მანამდეც იაკობი ცდილობდა ბინა ყოველთვის ნიკოსთან ახლოს ჰქონოდა, რათა მუდმივი ურთიერთობა გაადვილებოდა მასთან. ნიკოს აზრს, რჩევას დიდ ანგარიშს უწევდა და არც ერთ საქმეს არ დაიწყებდა მასთან წინასწარ მოლაპარაკების გარეშე"[2].

ისინი ოჯახურად იმდენად დაახლოვებული იყვნენ ერთმანეთთან, რომ ნიკო ცხვედაძე მუდმივი სტუმარი იყო იაკობ გოგებაშვილის ოჯახისა. როდესაც მასთან მაშინდელი ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები იკრიბებოდნენ[3] და, პირიქით, ი. გოგებაშვილი თითქმის ნ. ცხვედაძის ოჯახის წევრად გრძნობდა თავს[4]. „დღე ისე როგორ გაივლიდა, რომ იაკობს ნიკოს ოჯახში არ შეეარა და ნიკოს იაკობი არ მოენახულებინოს მის საკუთარ ბინაზე[5]".

ზაფხულობით ი. გოგებაშვილი მისი საუკეთესო მეგობრის ნიკო ცხვედაძის სოფელ კავთისხევში ისვენებდა (თავის მშობლიურ სოფელ ვარიანში იგი ხშირად არ დადიოდა, ქარი იცისო,— იტყოდა, ავადმყოფობის გამო გაცივების ეშინოდა). ჯერ კიდევ ჭაბუკობისას „თავისუფალ დროს,— გადმოგვცემს ელ. ცხვედაძე-გოგიჩაიშვილისა,— იაკობი ნიკოსთან ერთად ატარებდა, ხშირად სოფ. კავთისხევში (ქართლში) ნ. ცხვედაძის დედის (მარიამ კავსაძის ასულის) ოჯახში. ნიკოს დედა ხელგაშლილი და სიამოვნებით იღებდა თავისი

---

[1] „იაკობ გოგებაშვილი (საიუბილეო კრებული)", 1940 წ., გვ. 346.

[2] ი ქ ვ ე. გვ. 284.

[3] ი. გ ო მ ე ლ ა უ რ ი წერს: „იაკობის გულითადი მეგობარი, და ამავე დროს მეზობელი, იყო მისი ტოლი და პატარაობის ამხანაგი ნიკო ცხვედაძე, რომელიც ხშირად დადიოდა მასთან" (იხ. „იაკობ გოგებაშვილი (საიუბილეო კრებული)". გვ. 289). ამასვე ადასტურებენ ფ. გ ო გ ი ჩ ა ი შ ვ ი ლ ი (იქვე, გვ. 272) და ი ო ნ ა მ ე უ ნ ა რ გ ი ა ც (იხ. მისი „ილია ჭავჭავაძე (მოგონებანი)", 1937 წ., გვ. 46).

[4] ალ. მ ი ქ ა ბ ე რ ი ძ ი ს ცნობით, „იაკობი ყოველდღე მიდიოდა ნიკოს ოჯახში და უშუალო ხელმძღვანელობას უწევდა პატარა ელენეს (ნ. ცხვედაძის ქალიშვილს — ვ. ჭ.) სწავლა-აღზრდის საქმეში. მთელი საათობით პატარა მოსწავლე ქალს მოისვამდა ზეერდით, გაკვეთილებს უხსნიდა, აწერინებდა და შემდეგ წიგნებს უკითხავდა" („საიუბილეო კრებული", გვ. 352).

[5] „იაკობ გოგებაშვილი (საიუბილეო კრებული)", გვ. 351.

უფროსი შვილის საყვარელ ამხანაგს, იაკობიც აქ თავს კარგად გრძნობდა, მშობლიურ ოჯახისდარად მიაჩნდა. დაკაცების შემდეგ იაკობს არ ულალატნია ჩვეულებისათვის: იგი სისტემატურად დაიარებოდა ნიკოს ოჯახში, მუდმივი და ახლო ურთიერთობა ჰქონდა მასთან, ხოლო ზაფხულობით ნიკოს სტუმარი იყო სოფ. კავთისხევში, სადაც მას ნიკოს სახლში ცალკე ოთახი ჰქონდა მიჩენილი დასასვენებლად და სამუშაოდ[1]... კავთისხევში აქვს დაწერილი იაკობს „კონა“ და „იავნანამ რა ჰქნა“[2].

თავისუფალ დროს იაკობი ახლო-მახლო სოფლებში სეირნობდა. ერთხელ, „როდესაც იაკობი საღამოს ჟამს გუდალეთიდან კავთისხევში დაბრუნდა, ნიკო ცხვედაძე თავისებური ღიმილით შეეკითხა მას: „იაკობ, მართალი მითხარი, აბა როგორ მოგწონს შენ ჩვენი კუთხის შვეიცარია? ხომ მართლა საუცხოო დასასვენებელი სააგარაკო ადგილია? ეგეც ჩვენი კავთისხევი და შენგან მოწონებული გუდალეთი!“ იაკობი ასეთ შეკითხვაზე სრულიად გულწრფელად უპასუხებდა: „მართალი გითხრა, ჩემო ნიკო, რომ საქართველოს მდიდარ ბუნებას, აბა რომელი კუთხე შეედრება? ბუნებას მთელი თავისი წარმტაცი ძლიერება, მთელი თავისი სიუხვე და სილამაზე ჩვენი სამშობლო ქვეყნისათვის მიუმადლებია. მე რომ დრო და მოცალეობა მქონდეს, გუდალეთში ავაგებდი საზაფხულო სახლს და ყოველწლივ ზაფხულს ამ საუცხოვო სოფელში გავატარებდი. განა უკეთეს სააგარაკო ადგილს კაცი სადმე მოსძებნის!“ იაკობი და ნიკო ცხვედაძე ხშირად ასე საუბრობდნენ და ნიკო სულითა და გულით მხიარული იყო, რომ მის განუყრელ, გულითად მეგობარს სოფელი კავთისხევი და მის გარშემო მდებარე სოფლები ასე რიგად მოსწონდა“[3].

ოჯახურ დაახლოება-დამეგობრებასთან ერთად, თავიანთ მრავალნაყოფიერ საზოგადოებრივ-პედაგოგიურ მოღვაწეობაშიც ი. გოგებაშვილი და ნ. ცხვედაძე ყოველთვის ერთმანეთის საუკეთესო მრჩეველნი და შეუდარებელი შინაური კრიტიკოსები იყვნენ. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“ სამ ათეულამდე წლის განმავლობაში ერთად მუშაობის პერიოდში ისინი ენერგიულად ეხმარებოდნენ ერთმანეთს და თავიანთი შეხმატკბილებული მუშაობით საკუთარი მხრით ეზიდებოდნენ საზოგადოების

---

[1] ა ლ. მ ი ქ ა ბ ე რ ი ძ ი ს ცნობითაც „ნიკო ცხვედაძემ თავის გულითად მეგობარს კავთისხევში საზაფხულო საცხოვრებლად დაუთმო ბზის პირას მდებარე ერთი ოთახი, რომელსაც ნიკო ცხვედაძის ოჯახი შერ‍ედგომში „იაკობის ოთახს“ ეძახდა. იხ. „იაკობ გოგებაშვილი (საიუბილეო კრებული)“, გვ. 334.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 282.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 336–337.

მთელი მუშაობის ძირითად სიმძიმეს. ნიკო ცხვედაძის დიდ იმედად და მარჯვენა ხელად ითვლებოდა იაკობ გოგებაშვილი თბილისის ქართული სასწავლებლის (გიმნაზიის) გამგე-კომიტეტში მისი მუშაობის პერიოდში და განსაკუთრებით იმ გრანდიოზული შენობის აგებისათვის ზრუნვის საქმეში, რაც მას მომავალი ქართული უნივერსიტეტისათვის ჰქონდა გათვალისწინებული.

იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე ერთი მსოფლმხედველობის, იდეის და მისწრაფების ადამიანები იყვნენ და ამის შედეგად, ჭაბუკობიდანვე ისე მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ ისინი საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობის სარბიელზე მუდამ შეთანხმებულად და შეხმატკბილებულად მოქმედებდნენ, რაც ზოგჯერ საზოგადოების თვალში მათი „ერთიანობის“ ილუზიასაც ჰქმნიდა. „როგორც ილია და აკაკი ერთად იხსენიებოდნენ, ვით ქართული ლიტერატურის მესვეურნი,— წერს ილია ზურაბიშვილი თავის „მოგონებაში“,—ისე იაკობ გოგებაშვილი და ნიკოლოზ ცხვედაძე ერთად იხსენიებოდნენ, ვით ქართული განათლების მოციქულნი. ეს გადაჭარბება არ არის. ასე უყურებდა მათ ქართველი საზოგადოება, რადგანაც თავიანთი ქვეყნის განათლების საქმეს ისინი თანაბარი მამულიშვილური გრძნობით და პროგრესიული იდეებით გამსჭვალულნი ემსახურებოდნენ. ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ამის დასადასტურებლად არ შეიძლება არ აღინიშნოს ფაქტი, ნაამბობი არაერთხელ განსვენებული სახალხო არტისტის მარიამ საფაროვ-აბაშიძის მიერ პირადად ჩემთვის და ბევრი სხვისათვისაც.

— იაკობ გოგებაშვილი მე, ცოტა არ იყოს, კურიოზულად გავიცანი,— ამბობდა მაკო.— თეატრში მუშაობის პირველ წლებში ერთხელ რეპეტიციიდან მივდიოდი—თან ვანო მაჩაბელი მომდევდა. არწუნისეულ ქარვასლაში (ახლა რომ გრიბოედოვის სახელობის თეატრია) ერთ მაღალ-მაღალ წითურ ადამიანს შევხვდით. ის და ვანო მაჩაბელი ერთმანეთს მიესალმენ და ვანომ იგი გამაცნო.

— თქვენი ნიჭის თაყვანისმცემელი იაკობ გოგებაშვილი. მე ძალიან გამეხარდა ასეთი ადამიანის გაცნობა, რადგანაც ხშირად გამეგონა მისი სახელი, როგორც საზოგადო მოღვაწისა.

— ეს თქვენა ბრძანდებით ცხვედაძე-გოგებაშვილი?—შეეკითხე მას ღიმილით ხელის ჩამორთმევის დროს.—თქვენ იცინით,—მოგვმართავდა ხოლმე მაკო მის მსმენელთ,— ახლა მეც სასაცილოდ მიმაჩნია ჩემი ასეთი უცნაური მიმართვა, მაგრამ მაშინ სრულიად დარწმუნებული ვიყავი, რომ მხოლოდ ერთი ადამიანი ატარებდა ცხვედაძე-გოგებაშვილის სახელს, რადგანაც არასოდეს ეს გვარები მე ცალ-ცალკე არ გამიგონია. ყოველთვის ერთად იხსენიებდნენ,

ასე რომ ჩემს წარმოდგენაში ისინი გაერთიანებულნი იყვნენ. მე, რასაკვირველია, უხერხულობა ვიგრძენი და გავწითლდი, როდესაც იაკობმა მითხრა — არა, ბატონო, მე—მე გახლავართ და ცხვედაძე— თავისთავად ცხვედაძე. ორივესათვის ესეც საკმარისიაო. ღიმილი მისი ზრდილობის მაჩვენებელი იყო, მაგრამ კილოზე ოდნავი წყენა შევამჩნიე. მთლად ავირიე და საბოდიშოდ რაღაც წავილუღლუღეანო მაჩაბელი სიცილით კედებოდა"[1].

ასეთი განუყრელი ძმადნაფიცი მეგობრები და იდეური ამხანაგები იყვნენ ნიკო ცხვედაძე და იაკობ გოგებაშვილი მთელი თავიანთი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე. ამიტომ საზოგადოებისათვის ზოგჯერ მართლაც ძნელი იყო მათი პოზიციებისა და მოქმედების ურთიერთისაგან გარჩევა. უსათუოდ ამის შედეგი უნდა იყოს დიდებული პოეტის აკაკი წერეთლის „პანორამის" შემდეგი სტროფი:

„ვინღა გაარჩევს პედაგოგს
უგვაროსა და გვარიანს,
როდესაც ერთი ფასი აქვს
კავთისხევსა და ვარიანს?"[2]

მოხუცებულობის ჟამს ძველი მეგობრები ერთმანეთზე მშობლიურად ზრუნავდნენ, ერთმანეთს ძმებივით უვლიდნენ. როდესაც დაავადებული ნიკო ცხვედაძე უგრძნობელ მდგომარეობაში კავთისხევიდან თბილისს გადმოიყვანეს, ი. გოგებაშვილმა არ იცოდა რა ექნა, რით დახმარებოდა მის სიყრმის მეგობარს. „მამაჩემის უკანასკნელი ავადმყოფობისას იაკობი თავს დასტრიალებდა მას",— გადმოგვცემს ნ. ცხვედაძის ერთადერთი ქალიშვილი ელ. ცხვედაძე-გოგიჩაიშვილისა[3]. ნ. ცხვედაძის მორჩენის იმედი რომ აღარ იყო, ი. გოგებაშვილი სასწრაფოდ ატყობინებდა მის მეგობრებს ამ სამწუხარო ამბავს. 1911 წლის 14 (27) ოქტომბერს იგი, დანაღვლიანებული და დასევდიანებული, წერდა ნ. ცხვედაძის მეორე ახლო მეგობარს — გიორგი იოსელიანს: „მეტად სამწუხარო ამბავს გატყობინებ. ჩვენი საერთო მეგობარი ნიკო ცხვედაძე უკანასკნელს დღეებშია. მისი მორჩენის იმედი აღარც ნათესავებს აქვს და აღარც დოქტორებსა. ამ ზაფხულს კავთისხევში გაციებულა და ანგინით ავად გამხდარა.

---

[1] ილია ზურაბიშვილის „მოგონების" ასლი ინახება ხაქ. სსრ ხახალხო განათლების სახ. მუზეუმში.

[2] აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1940 წ., გვ. 512. „ანალოგიური შინაარსი უნდა ვიგულისხმოთ დ. სოსლანის „საახალწლო საჩუქარში. ცხ-ძე გ.-გ-ს". „ხელი-ხელს ჩაკიდებულნი მოდიან მოიმღერიან. „აღვიარე" ჩამოდექი „ვაღვიარენი" მოდიან" (იხ. „კვალი", 1895 წ., № 1, გვ. 1).

[3] ელ. ცხვედაძე-გოგიჩაიშვილისა, ი. გოგებაშვილი და ნ. ცხვედაძე, საიუბილეო კრებული „იაკობ გოგებაშვილი", 1940 წ., გვ. 284.

ყურადღება არ მიუქცევია, კავთისხევში მყოფი დოკტორი საყვარელიძე არ მოუწვევია, თვითონ გაივლისო. ანგინის ჩირქი ქვემოთ წასულა, მთელი სხეული მოუწამლავს და მოურჩენელ ავადმყოფობად გადაუქცევია. ერთი კვირის წინეთ კავთისხევიდან ჩამოიყვანეს, ანუ უკეთ, ჩამოიტანეს ავტომობილით. რამდენიმე დოკტორი ადგია, მაგრამ ვერას შველიან, სისუსტე თანდათან ძლიერდება. კატასტროფა ყოველდღე მოსალოდნელია. ნაცნობებს მისი ნახვა აკრძალული აქვთ, მეც ვერ ვინახულე, მცირეოდენი მღელვარებაც საშიშრად მიაჩნიათ ექიმებს"[1].

ხანგრძლივი და მეტად ნაყოფიერი საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობით დაქანცული ნიკო ცხვედაძე 1911 წლის 30 ოქტომბერს (12 ნოემბერს) გარდაიცვალა და მადლიერმა ქართველმა საზოგადოებამ იგი დიდის პატივისცემით მიაბარა მიწას დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

ნიკო ცხვედაძის გარდაცვალებამ უღრმესად დაამწუხრა თვითონაც დასნეულებულ-დაუძლურებული ი. გოგებაშვილი. საუკეთესო მეგობრის დაკარგვის გამო მას არაფერი დაუწერია, არც შეეძლო რაიმე დაეწერა. მან მხოლოდ უკანასკნელი საჩუქარი — გვირგვინი — მიართვა თავის მეგობარს მრავალმეტყველი წარწერით: „სამაგალითო მოღვაწეს, იშვიათ მხნეობით აღჭურვილს მამულისშვილს და ჩემს გულითად მეგობარს ნიკო ცხვედაძეს — იაკობ გოგებაშვილისაგან"[2]. „ნიკოსადმი ერთგული მეგობრობა იაკობმა, თითქოს იმითაც დაამტკიცა, რომ ამის შემდეგ რამდენიმე თვეღა იცოცხლა და გარდაიცვალა უკანასკნელი სურვილით: ნიკოს გვერდით დამასაფლავეთო"[3]. მისი ეს სურვილი ი. გოგებაშვილმა სიტყვიერად გაუზიარა დიდუბის ეკლესიის (ქართველ მოღვაწეთა პანთეონის) დეკანოზ თალაქვაძეს და წერილობით თპოვა ლუარსაბ ბოცვაძეს, რომელსაც წერდა: „გეთაყვა, ნიკოს დაკრძალვის შემდეგ ინახულე დეკანოზი თალაქვაძე და სთხოვე ჩემს მაგივრად, ღოლობერიძის გვერდით საფლავის ადგილი გზისპირად დასტოვოს იმავე სიდიდისა, რა სიდიდეც აქვს ნიკოს საფლავის ადგილსა. ამასთანავე შემატყობინოს, რა ეღირება ეს ადგილი და ისიც, ფული ახლავე უნდა გადავიხადო თუ საკმარისია ბე მივს�eq. ღოლობერიძის საფლავის და ჩემი საფლავის შუა უნდა დარჩეს ვიწრო გასავალი, რათა ჩვენ შორის ვინმე

---

[1] კრებული „იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად", 1913 წ., გვ. 266.
[2] „სახალხო გაზეთი", 1911 წ., № 143.
[3] „იაკობ გოგებაშვილი (საიუბილეო კრებული)", გვ. 184.

ოხერი არ ჩაეჩხიროს"[1]. ი. გოგებაშვილის ეს უკანასკნელი სურვილი თავის საუკეთესო მეგობართა გვერდით დასაფლავებისა, როგორც ვიცით, სამწუხაროდ მალე აღსრულდა...

ნიკო ცხვედაძის დასაფლავებაზე მრავალი მგრძნობიარე სიტყვა ითქვა, მაგრამ ყველაზე უფრო სრულყოფილად სასიქადულო ქართველმა პოეტმა აკაკი წერეთელმა დაახასიათა ნიკო ცხვედაძის პიროვნება და მისი ღვაწლი. თავის მოკლე, მაგრამ მრავალმეტყველ სიტყვაში მან სთქვა: „ნეტავ იმას, ვინც საზოგადო მოღვაწის სახელი სიცოცხლეში მოიპოვა. და სიკვდილის შემდეგაც კვალი დასტოვა! ამ გვართაგანს ეკუთვნოდა ის, ვისიც ცხედარს დღეს სამარადისოდ ვკრძალავთ. განსვენებულმა დაგვიმტკიცა, რომ ამგვარი დიდების მოსაპოვებლად ბევრი არ არის რა საჭირო, საკმარისია მხოლოდ ნდომა-სურვილი-და უტყუარი შრომა, რაც ქვაკუთხედად დაუდვა განსვენებულმა თავის ხანგრძლივ ცხოვრებას. საქმე მისი ყველასათვის ცხადი იყო! ის იყო თავისი თავის განხორციელებული ბიოგრაფია და ამიტომაც საჭირო არ არის ბევრის ჩამოთვლა!... საკმარისია მივათითოთ მხოლოდ ერთს... იმ შენობას, რომელიც მან საოცარი ენერგიით აუგო მოზარდ ახალთაობას თავშესაფარად და იმავე დროს თავისი ძეგლიც, საუკუნოდ იყოს მაგის სახსენებელი"[2].

ნიკო ცხვედაძის გარდაცვალებამ დაამწუხრა ახალგაზრდა პოეტი ი. გრიშაშვილი, რომელმაც მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ ლექსში პოეტურად დაიტირა ვალმოხდილი საზოგადო მოღვაწე-პედაგოგი:

„გაწყდა სიმი,
  გატყდა ჩანგი,
  დაიკ.რგა ოქროს წკირა;
მგოსნის ღიმი,
  მგოსნის ჰანგი
ცრემლთა ზღვაში ჩაიძირა"[3].

ასე გულმტკივნეულად გამოეთხოვა ნიკო ცხვედაძეს მოწინავე ქართველი საზოგადოება.

---

[1] წერილის ავტოგრაფი ინახება საქ. სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმში, ბელნაწერთა ფონდი № 9. წერილი დაწერილია 1912 წლის 3 იანვარს (ძვ. სტილით). ნიკო ღოღობერიძის (გარდაიცვალა 1911 წლის 27 დეკემბერს) დასაფლავების დღეს. აქ მოხსენებულ ორი „ნიკოდან", ჩვენის აზრით, პირველში ნიკო ღოღობერიძე იგულისხმება, ხოლო მეორეში — ნიკო ცხვედაძე, ორივე ი. გოგებაშვილის უახლოესი მეგობრები, რომელთა შორის იქნა დასაფლავებული დიდებული პედაგოგი, თანახძად მისი სურვილისა (იხ. ჩვენი თეზისები, რამდენიმე ახალი ბიოგრაფიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობა ი. გოგებაშვილისა და ნ. ცხვედაძის შესახებ, საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის IV სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, 1948 წ., გვ. 13—14).

[2] ა კ. წ ე რ ე თ ე ლ ი, სიტყვა ნ. ცხვედაძის დასაფლავებაზედ, გაზ. „თემი", 1911 წ., № 44.

[3] გაზ. „თემი", 1911 წ., № 44.

* * *

ნიკო ცხვედაძე დიდად გატაცებული, ფართო ჰორიზონტისა და ნათელი პერსპექტივის მქონე საზოგადო მოღვაწე-პედაგოგი იყო. დაუღალავი და შეუნელებელი საზოგადოებრივი მუშაობა მისი ბუნების შინაგან მოთხოვნილებას და სტიქიას წარმოადგენდა. იგი თავისი მშვენიერი ქვეყნისა და ნიჭიერი ხალხის უდიდესი პატრიოტი იყო. მას ღრმად სწამდა მშობლიური ქართველი ხალხის ძალა და უნარი, მისი ღირსება და დიდი მომავალი და ამიტომ თავის ენერგიას და თვით სიცოცხლესაც არ ზოგავდა ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ მოღვაწეობისათვის. ნიკო ცხვედაძე მტკიცე ხასიათისა და შეუდრეკელი ნებისყოფის ადამიანი იყო და ამის შედეგია ის, რომ მის მიერ დაწყებული საზოგადო საქმეები, მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა და სიძნელისა, ყოველთვის გამარჯვებით მთავრდებოდა. იგი იყო თავდადებული ადამიანი, მშვიდი, მართალი და სასტიკად გაურბოდა პირად განდიდებას. მას, როგორც სამართლიანად აღნიშნავდა ილია ფერაძე, „არ უყვარდა აჩქარება, ფაცი-ფუცი, ტრაბახი, თავმომწონება, მეტი ლაპარაკი. სამჯობინოდ მიაჩნდა შრომა მუდმივი, თავდადებული ისე, როგორც მონასტრის სავანეში შეკედლებულს ძველს მემატიანეს, რომელიც თავის საისტორიო ნაშრომს სახელსაც კი არ აწერდა“[1].

ნიკო ცხვედაძე ჭეშმარიტად თავდადებული საზოგადო მოღვაწე-პედაგოგი იყო, რომლის მეტად მრავალმხრივსა და უაღრესად სასარგებლო მუშაობაში, რასაც მან მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე შესწირა და რისი ნაყოფი დღესაც გვახარებს, ამ დიდი მოღვაწის სახელის გამაწბილებელს ადამიანი ვერას აღმოაჩენს. ნიკო ცხვედაძის ღვაწლსა და დამსახურებას სამშობლოსა და ქართველი ხალხის წინაშე საუკეთესოდ ითვალისწინებდა დიდი ილია ჭავჭავაძე და ამიტომ უწოდებდა იგი მის ერთ-ერთ უახლოეს თანამებრძოლს „ნიკოლოზ აღმაშენებელს“...

---

[1] ილია ფერაძე, ნიკოლოზ ზებედეს-ძე ცხვედაძე, „ბათუმის გაზეთი“, 1911 წ., № 90.

ალექსი ჭიჭინაძე
(1851—1917)

ალექსი ჭიჭინაძე

1. ალ. ჭიჭინაძე და მისი საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობა ქუთაისში

პედაგოგიური მუშაობა საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი, მიმზიდველი და მადლიანი დარგია. მას იმდენი შინაგანი სითბო, სულიერი კმაყოფილება და სიხალისე ახლავს თან, რომ, თუმცა ხშირად ადამიანს ძალზე შემორკალავს, მაგრამ თავისი პროფესიისადმი სამდურავს და უპატიეცემლობას კი არასოდეს აფიქრებინებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი სისტემატურ, მოფიქრებულ და რთულ გონებრივ შრომას მოითხოვს, რომელიც ზოგჯერ ნერვიულობისა, წინააღმდეგობისა და უსიამოვნობის განცდისაგანაც არ არის დაზღვეული. პედაგოგიური შრომის ეს შ ი ნ ა გ ა ნ ი მ ი მ ზ ი დ ვ ე ლ ო ბ ა იყო და არის წინაპირობა იმისა, რომ თავის დროისათვის განათლებული ადამიანები ოდითვე ესწრაფვოდნენ ამ მადლიან პროფესიას. ახალ თაობათა მასობრივ რაციონალურ სწავლა-აღზრდას პედაგოგიური შრომის ოსტატთა დიდი არმია სჭირდებოდა ყოველთვის, მაგრამ მასწავლებელთა ამ არმიაში ბუნებით, მოწოდებით, ცოდნით და გამოცდილებით ნამდვილად ოსტატი პედაგოგები არც ისე ხშირად გამოჩნდებოდნენ ხოლმე.

ა ლ ე ქ ს ი ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე საკმაო დიაპაზონის მქონე პედაგოგიურ მოღვაწეთა მცირერიცხოვან წყებას ეკუთვნის. იგი XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის გამოჩენილ ქართველ საზოგადო მოღვაწე პედაგოგთა ღვაწლმოსილი თაობის წარმომადგენელია, რომელმაც თავისი ხანგრძლივი საზოგადოებრივ-პედაგოგიური მუშაობა ხალხის და მოზარდი თაობის საუკეთესო მერმისისათვის დაუცხრომელ ბრძოლას მოახმარა.

* * *

ალექსი ბესარიონის-ძე ჭიჭინაძე დაიბადა ქუთაისის მაზრის სოფელ ჭოლევში 1851 წლის 17 (29) მარტს. ქართული წერა-კითხ-

ვა მან ოჯახში შეისწავლა[1]. 1860 წელს 9 წლის ალექსი ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსამზადებელი კლასის უმცროს განყოფილებაში შეიყვანეს, სადაც მას რუსულ ენას ასწავლიდა მაშინ ახალგაზრდა მასწავლებელი, შემდეგში ცნობილი ქართველი მწერალი გიორგი წერეთელი. ალ. ჭიჭინაძე, გიმნაზიის სხვა მოწინავე მოსწავლეებთან ერთად, დაუახლოვდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის გამგეს, ცნობილ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს გერასიმე კალანდარიშვილს (1836—1874)[2] და მისი ხელმძღვანელობით ხალისით დაეწაფა თვითგანვითარებას.

გიმნაზიის კურსი ალ. ჭიჭინაძემ საუკეთესოდ დაამთავრა და 1870 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა უმაღლესი განათლების მისაღებად. რუსეთში ალ. ჭიჭინაძე საფუძვლიანად გაეცნო სამოციანი წლების რევოლუციონერ-დემოკრატთა მოძღვრებას და, მათი მაღალი იდეებით აღფრთოვანებული, უნივერსიტეტის კურსის დამთავრებისთანავე, სამშობლოში გამოემგზავრა იმ მიზნით, რომ პედაგოგიურ დარგში განეხორციელებინა რუსეთში შეთვისებული პროგრესული იდეა-მისწრაფებანი, „ახალი საუკეთესო პროგრამით გაეხსნა კერძო გიმნაზია, რომელშიაც დედაენას, როგორც მტკიცე საფუძველს ყოველგვარი სწავლისა და ცოდნისას, უმთავრესი ადგილი ექნებოდა დაკავებული“[3]. მაგრამ ალ. ჭიჭინაძის ამ პირველ პედაგოგიურ განზრახვას სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია კავკასიის სასწავლო ოლქის მაშინდელმა მზრუნველმა ნეველროვმა და თუ არა თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის, ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ბეს. ღოღობერიძის (1833—1879) ენერგიული შუამდგომლობა და დახმარება, მისი ეს იდეალი სრულიად განუხორციელებელი დარჩებოდა.

1876 წელს ალ. ჭიჭინაძის ხელმძღვანელობით გაიხსნა ქართული სკოლა ქუთაისში (ორკლასიანი კერძო სასწავლებელი პანსიონით)[4],

---

[1] სოლ. ცაიშვილს შეცდომით აქვს აღნიშნული, რომ ალ. ჭიჭინაძემ „წერაკითხვა ისწავლა გელათის მონასტერში“ (იხ. გაზ. „საბჭოთა მასწავლებელი“, 1939 წ., № 6). ნამდვილად კი გელათის მონასტერში ალექსის მამა—ბესარიონი სწავლობდა (იხ. „განათლება“, 1911წ., № 1, გვ. 10).

[2] იხ. სოლომონ ცაიშვილი, გერასიმე კალანდარიშვილი, გაზ. „სახალხო განათლების“ გამოცემა, თბილისი, 1947 წ.

[3] გიგიბერია [გ. ბოკერია], ალექსი ბესარიონის-ძე ჭიჭინაძე, ჟურნ. „განათლება“, 1911 წ., № 1, გვ. 31.

[4] ანალოგიური სასწავლებელი ქუთაისში ალ. ჭიჭინაძემდე დააარსა ივანე მეხხმა. ეს სასწავლებელი მეფის მთავრობის მოხელეებმა მალე დაკეტეს. ამის შესახებ სერ. მესხი 1876 წლის 12 იანვარს წერდა მის საცოლეს ეკატერინე მე-

რომელმაც უმოკლეს დროში იმდენად დიდი ავტორიტეტი მოიპოვა საზოგადოებაში, რომ სასწავლებელში ჩარიცხვის მსურველები ალმოსავლეთ საქართველოდანაც ბლომად იყვნენ[1]. 1878 წელს ამ სასწავლებელში 79 მოსწავლე იყო, მათგან 76 ქართველი. „სასწავლებლის არსებობამ დაანახვა საზოგადოებას,—წერდა გაზ. „ივერია",—რომ უფ. ა. ბ. ჭიჭინაძეს კარგად ესმის იგი საქმე, რომელსაც ხელი მოჰკიდა. მართლაც, მისი ხელოვნური ხელმძღვანელობის წყალობით სწავლა ისე მიდის, როგორც მოითხოვს ნამდვილი პედაგოგია. ბევრი სწავლაზე გულ-აცრუებული ყმაწვილი, სხვადასხვა სასწავლებლებში უკუღმართის სწავლისა გამო, ნამდვილ გზაზედ დააყენა ამ სამაგალითო სასწავლებელმა"[2]. ალ. ჭიჭინაძე ამ სასწავლებლის არა მარტო ხელმძღვანელი იყო, არამედ ძირითადი პედაგოგიც. იგი ასწავლიდა რუსულ ენას, ლათინურ ენას, სამშობლოს აღწერას, გეოგრაფიასა და ბუნებისმეტყველებას როგორც მასწავლებელი და აღმზრდელი-პედაგოგი ალ. ჭიჭინაძე შეუდარებელი იყო. ამ სასწავლებელში მისი მოსწავლის, შემდეგში ცნობილი ლიტერატორის ხ ო მ ლ ე ლ ი ს ცნობით, „მას იშვიათი მორიდებით და ნაზი სიყვარულით ეპყრობოდნენ მოსწავლენიც და მასწავლებელნიც". „ჩვენ თავი მოგვქონდა და ვამაყობდით,—წერდა იგივე ავტორი,— რომ

ლიქიშვილს: „შეიტყობდი, რასაკვირველია, რომ ივანეს პანსიონი დაუკეტეს. თურმე მეხამე განყოფილების სიაში ყოფილა ივანე ჩაწერილი. როგორც არა საიმედო კაცი და აკაურ ჟანდარმს მოუთხოვნია ნეველოვისათვის, რომ არამც-და-არამც) იმას პანსიონის გახსნის უფლება არ მიეცესო. მართლაც ამ ერთი თვის წინათ პოლიციამ მიწერილობა წარუდგინა და მოსთხოვა, რომ, პანსიონი დასკოლა დაკეტეო. ეხლა ერთმა იმის ამბანაგმა (ალექსი ჭიჭინაძემ) ითხოვა ამ პანსიონის გახსნა და (როგორც „დროებიდამ" შეიტყობ) კიდეც ბისცეს ნებართვა; მაგრამ იმ პირობით, რომ ივანე მესხმა ამ სკოლაში არავითარი მონაწილეობა არ ძიიღოსო (სერ. მ ე ხ ი, წერილები. ი. ბ ო ცვ ა ძ ი ს რედაქციიო, 1950 წ., გვ. 208).

ამ ახალი სასწავლებლის შესახებ ალ. ჭიჭინაძე გაზეთ „დროების" 1876 წლის 9 იანვრის ნომერში ათავსებს შემდეგ განცხადებას: „1876 წლის 7 იანვრიდან ქ. ქუთაისში გაიხსნა, მმართველობის ნებართვით, ვ ა ჟ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ერთ-კლასიანი პირველ-დაწყებითი ს ა ს წ ა ვ ლ ებ ელ ი—პ ა ნ ს ი ო ნ ი თ". აქვე მოყვანილია სასწავლებელში მოსწავლეთა მიღების დაწვრილებითი პირობები. იხ. აგრეთვე, შემდეგი განცხადება: „ორკლასიანი სასწავლებელი და პანსიონი ა. ჭიჭინაძისა ქ. ქუთაისში", გაზ. „დროება", 1878 წ., № 163.

[1] ამ სკოლის დაარსებაში, როგორც ირკვევა, ალექსი ჭიჭინაძეს ეხმარებოდა ცნობილი მოღვაწე ივანე მესხი. „ალექსი ჭიჭინაძესთან ერთად მან ქუთაისში დააარსა პირველდაწყებითი სასწავლებელი—ბვეიცარიულ სასწავლებლების ყაიდაზე. საქმე კარგად, გამართულად მიდიოდა, მაგრამ ივანეს, როგორც თავისუფალ შვეიცარიაში კურსდამთავრებულს, რუსის მთავრობამ ნება არ დართო ჩვენში მასწავლებლობისა"—წერს დ. მესხი (იხ. „მოგონებანი", 1940 წ, გვ 36—37).

[2] ი-ძე ი-ა (ჰაონია ილია), კორესპონდენცია ქუთაისიდან, „ივერია", 1878 წ., № 6.

ალექსი ჩვენი მასწავლებელი იყო"[1]. 1879 წელს ალ. ჭიჭინაძის კერძო სასწავლებელი დაათვალიერა კავკასიის სასწავლო ოლქის ცნობილმა რუსიფიკატორმა მზრუნველმა იანოვსკიმ, რომელმაც სასწავლებლის მუშაობაში ხინჯი ვერაფერი შენიშნა, მაგრამ მის ხელმძღვანელს მაინც გაკვირვებით შეეკითხა: „რად გამოიცვალეთ პროფესია? განა იურისტობა უფრო შემოსავლიანი ხელობა არ არის?" — „ეს მართალია, მაგრამ მასწავლებლობა უფრო პატიოსანი და ნაყოფიერიაო" — ამაყად მიუგო საზოგადოებრივი მოღვაწეობით გატაცებულმა ახალგაზრდა ქართველმა პედაგოგმა[2].

ალ. ჭიჭინაძე იმთავითვე შეუდგა ჩვენი სკოლებისათვის ახალ პედაგოგიურ-დიდაქტიკურ პრინციპებზე აგებული ქართული სახელმძღვანელოების შედგენას. გაზეთ „ივერიის" ცნობით, პირადად მან შეადგინა „პირველდაწყებითი კურსი (საზოგადო ცნობა) ღეოგრაფიისა", რომლის „სამშობლო განყოფილებაში ჩართულია საჭირო ისტორიული ცნობები, ყოველ ახალი სტატიის შემდეგ გასამეორებელი კითხვებით. საზოგადოდ ეს სახელმძღვანელო საქმის ცოდნითაა შედგენილი"[3]. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთი დაბეჯითებით იუწყებოდა, აღნიშნული წიგნი „ამ ხუთ-ექვს თვეში იქნება დაბეჭდილიო", მისი გამოცემა 1907 წლამდე მაინც ვერ მოხერხდა.

ამ პერიოდში ალ. ჭიჭინაძის უშუალო მონაწილეობით ჩამოყალიბდა ქუთაისში ქართული სცენა[4], რომლისთვისაც მან სპეციალურად თარგმნა ი. მიქელაძესთან ერთად გოგოლის „რევიზორი" და ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი"[5]. ამ სცენაზე აღიზარდა ქარ-

---

[1] ხომლელი (ფანცხავა), ალექსი ჭიჭინაძე — „რიჟრაჟზე სათქმელი" (ბიბლიოგრაფია), ჟურნ. „განთიადი", 1915 წ., № 17, გვ. 16.

[2] გიგიბერია, ალექსი ბესარიონის-ძე ჭიჭინაძე (35 წლის პედაგოგიურ საპარეზეზე მოღვაწეობის გამო), ჟურნ. „განათლება", 1911 წ., № 1, გვ. 14—15.

[3] ი-ძე ი-ა (ბყონია ილია), ორიოდე სიტყვა ქართულ სახელმძღვანელოზე, „ივერია", 1878 წ., № 41.

[4] იხ. სერ. გერსამია, „ქუთაისის თეატრი", 1947 წ., გვ. 13.

[5] იხ. ი. გრიშაშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, თბილისი, 1952 წ., გვ. 167—168. ამ საყურადღებო ნაშრომში ი. გრიშაშვილს ა. ნ. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილის" პირველად ქუთაისში 1874 წელს დადგმის შესახებ მოტანილი აქვს აკაკი წერეთელის რეცენზია გაზ. „დროებაში" სათაურით: „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს", საიდანაც ჩანს, რომ ქართველ სცენის მოყვარეთა ერთ ჯგუფს, ვასო აბაშიძეს, კოტე მესხს, ეფ. კლდიაშვილს, ანტ. ფურცელაძეს ქართულად მოლაპარაკე ქუთათურ სომეხთა დახმარებით ისე კარგად უთამაშია აღნიშნული პიესა, რომ დამსწრე საზოგადოებას არტისტებთან ერთად პიესის მთარგმნელებიც (ა. ჭიჭინაძე და ი. მიქელაძე) გამოუძახნიათ სცენაზე „მადლობის სათქმელად" („დროება", 1874 წ., № 450).

თული თეატრის ორი დიდი მშვენება — ვასო აბაშიძე და კოტე მესხი[1]. ალ. ჭიჭინაძის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მნიშვნელოვანი ცვლილებებით გადმოთარგმნილი პიესა „ფერი ფერსაო მადლი ღმერთსაო“.

ალ. ჭიჭინაძე ამავე დროს თანამშრომლობდა თბილისის გაზეთ „დროებასა“[2] და ქუთაისის გაზეთ „შრომაში“, რომლის ერთი დამაარსებელთაგანიც თვითონ იყო.

* * *

1879 წელს, როდესაც ქართველი მოწინავე საზოგადოება ახლად დაარსებული თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლის ინსპექტორის თანამდებობაზე დასანიშნავად (შიო შიუკაშვილის შემდეგ) შესაფერის პირს ეძებდა, ჩვენი საზოგადოების მიერ ამ საპატიო თანამდებობაზე ორი კანდიდატი იყო წამოყენებული: დასავლეთ ევროპიდან დაბრუნებული, შემდეგში ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ივანე მაჩაბელი (1849—1898) და ალექსი ჭიჭინაძე[3]. თუმცა ამ დროს ალ. ჭიჭინაძე უკვე საკმაოდ გამოცდილ და ნიჭიერ პედაგოგად იყო აღიარებული მაგრამ დიდი ქართველი მწერლისა

ალ. ჭიჭინაძის თეატრალური მოღვაწეობის შესახებ ამ პერიოდში იხ. აგრეთვე, საქართველოს თეატრალური საზოგადოების მიერ გამოცემული „ქართული თეატრის მოღვაწენი სასცენო ხელოვნების შესახებ“, წიგნი პირველი, ვასო აბაშიძე, თბილისი, 1951 წ., გვ. 106, 118 და 142; წიგნი მეორე, ვალერიან გუნია, თბილისი, 1953 წ., გვ. 217 და წიგნი მესამე, კოტე მესხი, თბილისი, 1953 წ., გვ. 9, 49 და 161. სამივე წიგნი გამოსულია დ. ჯანელიძის რედაქციით. ს. გერსამია, ვასო აბაშიძე, თბილისი, 1949 წ., გვ. 18—19.

სხვათა შორის, ა. ნ. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი“ ალ. ჭიჭინაძისა და ი. მიქელაძის შემდეგ ქართულ ენაზე ისევ უთარგმნიათ ცნობილ ქართველ კომედიოგრაფს ავქს. ცაგარელს და ქართული თეატრის ვეტერანს ვალ. გუნიას.

[1] ი-ძე ი-ა (ჭყონია ილია), ქუთაისის თეატრის მატიანე, ჟურნ. „ივერია,“ 1978 წ., № 18, „კვალი,“ 1895 წ., № 5 და 1895 წ., № 51.

[2] „ციურიხიდან დაბრუნებული, ის (ლაპარაკია ივანე მესხის შესახებ, ვ. ქ.) და ალექსი ჭიჭინაძე მორიგეობით ათავსებდნენ სხარტულ ფელეტონებს „დროებაში“—„ნშვილდ-ისარით ნადირობას“— წერს დ. მესხი თავის „მოგონებაში“ (1940 წ., გვ. 36).

[3] როგორც ცნობილია, ქართველი მოწინავე საზოგადო მოღვაწეებისა და პედაგოგების (ილ. ჭავჭავაძის, სერ. მესხის, იაკ. გოგებაშვილისა და სხვ.) დაჟინებითი მოთხოვნისა და დიდი რუსი პედაგოგის კ. დ. უშინსკის მოწაფისა და სახელოვანი თანამებრძოლის დ. დ. სემიონოვის ღვაწლის შედეგად ამიერკავკასიის (გორის) სამასწავლებლო სემინარიაში 1879 წლის 1 სექტემბრიდან შემოღებულ იქნა ქართული ენის სწავლება. იმ მასალების მიხედვით, რომლებიც მოტანილია მ ი ხ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს ნარკვევში— „დ. დ. სემიონოვის პედაგოგიური მოღვაწეობა საქართველოში“— დასტურდება, რომ გორის სამოსწავლო სემინარიაში ქართული

და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის ენერგიული მოთხოვნით, სასწავლებლის ინსპექტორად მაინც ივანე მაჩაბელი იქნა დანიშნული. ჩვენი ინტელიგენციის ერთი ნაწილი ამას აშკარა უკმაყოფილებით შეხვდა, მათ შორის ქართული პოეზიის სიამაყე აკაკი წერეთელიც, რომელმაც თავის მოგონებაში („ივანე მაჩაბელი") ამ საგანზე შემდეგი აღნიშნა: „დაბრუნდა თუ არა უცხო ქვეყნებიდან, ის (ივანე მაჩაბელი, ვ. ქ.) მაშინვე სათავად-აზნაურო სკოლის უმფროსად გაამწესეს, მისი მეტოქე იყო ბატ. ალექსი ჭიჭინაძე, რომელთანაც მე განწყობილება არ მქონდა, მაგრამ მაინც სიმართლემ ამაღელვა და დავიწყე ამრჩევლების ძვირი და ყვედრება საჯაროდ. სად ჭიჭინაძე და სად მაჩაბელი ამ საქმეში? მაჩაბელი შეიძლება გენიოსიც იყოს, მაგრამ საქმეს გამოცდილებაც ეჭირვება, ეგ ახლა მოშორდა სასწავლებლის კარებს, პედაგოგი არ არის, სულ სხვა ფაკულტეტზე იყო და მაგისთანა რთულ და სპეციალურ საქმეს როგორ გაართმევს თავს მეთქი, მაშინ როდესაც ალ. ჭიჭინაძე გამოცდილია მაგ საგანში და თავის საკუთარი სკოლაცა ჰქონდა მეთქი" (იხ. ა. წერეთელი, ივანე მაჩაბელი, „აკაკის კრებული", 1898 წ., № 12, გვ. 16—17)[1].

ენის მასწავლებლის თანამდებობაზე დასანიშნავად განცხადება შემოუტანიათ შემდეგში ცნობილ ქართველ პედაგოგს არისტო ქუთათელაძეს (1879 წლის 17 მაისს), ალექსი ჭიჭინაძეს (1879 წლის 5 ივნისს) და შიო შიუკაშვილს. ამ საკითხთან დაკავშირებით დ. სემიონოვი 1879 წლის 31 ივნისს წერდა კავკასიის სასწავლო ოლქის მხრუნველს კ. იანოვსკის: „თანახმად იმ რეზოლუციისა, რომელიც თქვენმა აღმატებულებამ დაადო ჭიჭინაძისა და ქუთათელაძის განცხადებებს, პატივი მაქვს გაცნობოთ, რომ სამ პირთ შორის, რომლებმაც გამოსთქვეს სურვილი დაიკავონ ქართული ენის მასწავლებლის ადგილი სემინარიაში, ჩემი აზრით, არჩევანი უნდა ეერგოს ა. ვ. ქუთათელაძეს, როგორც ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლური ენების ფაკულტეტის სომხურ-ქართული განყოფილების ნამდვილ სტუდენტს" (იხ. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმში დაცული გორის სამასწავლებლო სემინარიის არქივი, საქმე № 47, ფურც. 2, 4 და 9). დ. დ. სემიონოვის ამ წარდგენის საფუძველზე გორის სამასწავლებლო სემინარიის ქართული ენის მასწავლებლად დაინიშნა ა. ვ. ქუთათელაძე (1850—1912 წ. წ.), რომელმაც მეტად ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა სემინარიის მოსწავლეთა მიერ ქართული ენისა და ლიტერატურის შეთვისების საქმეში (იხ. მ ი ხ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, დ. დ. სემიონოვის პედაგოგიური მოღვაწეობა საქართველოში, 1954 წ., გვ. 29).

[1] როგორც ეკატერინე მესხის გადმოცემიდან ჩანს, ჩვენი გამოჩენილი პედაგოგები იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე ივანე მაჩაბელზე ამბობდნენ თუმე „მეტად სუსტი პედაგოგია და სრულიად გამოუცდელია". ვ ა ს. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი ც (1846—1915) წერდა: „სულ სხვა საქმისათვის იყო მომზადებული და პედაგოგიური, დინჯი, მომთმენი ხასიათი მას არ ჰქონდაო" (იხ. გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, „ივანე ძაჩაბელი", ჟურ. „მნათობი", 1928 წ., № 1, გვ. 198). ამის შედეგია უსა-

* * *

1880 წელს ქუთაისში დაარსდა ალექსანდრეს სახელობის საოთავადაზნაურო სასწავლებელი; უკვე საკმაოდ სახელმოხვეჭილი ალ. ჭიჭინაძე მიწვეულ იქნა ამ სასწავლებლის ინსპექტორად. მან თავისი კერძო სასწავლებელი დახურა და მოსწავლეებიანად ახალ სასწავლებელში გადავიდა. ალ. ჭიჭინაძის გულმოდგინე მუშაობის შედეგად სასწავლებელში უკვე 1882 წლისათვის 320 ქართველი

თუოდ. რომ „ცოტა ხნის შემდეგ (1880 წ.) მაჩაბელმა თავისთავად დაანება თავი ინსპექტორობას" (აკაკი). თვით ივანე მაჩაბელი სკოლისათვის თავის დანებებას, მისი ძმის, ვასილ მაჩაბელისადმი 1880 წლის 28 იანვრის თარიღით მიწერილ ერთ კერძო წერილში, ასე ხსნიდა: „ზოგიერთი მიზეზები, რომელთაც მე შკოლას თავი დამანებებინეს, წინდაწინვე მოგწერე. ეხლა კიდევ ერთს უმთავრესს მოგწერ. რასაკვირველია, კაცმა საქმე თავის ხასიათის შესაფერი უნდა აირჩიოს. მე როდესაც შკოლაში თანამდებობა ავიღე, არ ვიცოდი გადაწყვეტილად რა საქმე მეკნებოდა და რა პასუხისგება. ეს მე არავინ მითხრა. მასუკან გამოჩნდა, რომ შკოლის პასუხისმგებელი სრულებით მე ვიყავი, ასე რომ ან პაპარი მომდარიყო, ან ბავშვი ავად გამხდარიყო, ყველაფერი მე დამაწვებოდა კისერზედ. ერთს საღამოხედ ისეთი შემეშინდა, რომ ჩემს დღეში ისეთი შიში არ გამომძივლია. ჩემს ოთახში ვიჯექ და უცებ რაღაც ეღვავილ-ეღუვილი მომესმა, გაველ კარში, ვნახე მთელი ხროვა ბავშვებისა ამოსულიყო და ყველანი ერთბაშად რაღაცას მეუბნებოდნენ. ზოგი ტიროდა, ზოგს შიშით ნაცრის ფერი ადგებოდა, ძლივს ძლივობით მივხვდი, რომ ლამპა ჩამოვარდაო. ჩავედი მაშინვე ძირს, გამოჩნდა, რომ ბავშვებს თამაშობის დროს ლამპისათვის პალტო მოერტყათ და ძირს ჩამოეგდოთ, კეროსინი პოლს მოსდებოდა და შენი მტერი, ყოჩაღათ რომ არ მოვქცევულიყავით, ვინ იცის, იქნება სულაც გადამწვარიყავით.

გარდა ამისა, ხოგიერთი წევრი კომიტეტისა ისე გამოტვინული იყო, რომ წარმოდგენილი ჰქონდა შკოლაში ბავშვი ავათ არ უნდა გახდესო.

სანამ მე შკოლაში ვიყავ, თითქმის არავინ არ გამხდარა ავათ, თუმცა მთელს ქალაქში სხვადასხვა მოარული ავადმყოფობები დადიოდა. ბოლოს ერთი ბავშვი გაჰხდა ავათ. ზოგს ეგონა, სახადი არისო. მობრძანდა ცხვედაძე და მეუბნება. ეალა რომ მაგას სახადი გამოაჩნდეს, მთელი ქალაქი ჩვენზედ დაიწყებს ყაყანსაო. ერთის მხრით გამეცინა და მეორეს მხრით გული მომიყვანა ამ შენიშვნამ და ვუპასუხე: მაშ, ღმერთმა ნუ ჰქნას შკოლაში ბავშვი რომ მოკვდეს, მე კაცის მკვლელათ უნდა გამოვიდე მეთქი.

ეს პასუხისგება სრულებით მოსვენებას არ მაძლევდა. ჩემს ოთახში რომ ვიჯექ და ვკითხულობდი რასმეს, თავიდან არ გამომდიოდა შიში, რომ შეიძლება აი ეხლა ესიამოვნო ამბავი მოხდეს რამე მეთქი. დაუმატე ამას ის, რომ ჩემს გარშემო ყოველთვის ეღვავილ-ეღუვილი იყო და წარმოიდგინე ადვილი გასაძლისი იყო თუ არა ჩემთვის შკოლა. რაც იქ ვიყავი, ერთი წიგნი არ წამიკითხავს, დრო, მართალია, მეტი მქონდა, მაგრამ ორი საათი სრულებით თავისუფალი დრო მერჩივნა მთელი დღე ისე წვალებაში გატარებას.

რაც შეეხება შენ შიშს, რომ ამ ჩემს ნაბიჯს ცუდი ზემოქმედება ექნება ჩემს მომავალზედ, ეგ შიში ტყუილი შიშია; დავიჯერო, გამკიცხავს ვინმე იმისთვის რომ ჩემთვის შეუფერებელს საქმეს თავი დავანებე?" (იხ. გაზ. „სახალხო განათლება", 1948 წ., № 28).

ბავშვი სწავლობდა. „შვიდი წლის განმავლობაში ალექსი დაუღალავი დარაჯი იყო საადნაურო სასწავლებლის კეთილდღეობისა: დაიწყო I—II განყოფილებით და აიყვანა IV პროგიმნაზიულ კლასამდის. ამ ხნის განმავლობაში აუარებელ ახალგაზრდას გაუთბოგული ნამდვილ ადამიანურ გრძნობათა გაღვივებით; ბევრი გამოუცდელი გაიწვრთნა და განვითარდა მის ხელში“. მაგრამ, მიუხედავად ალ. ჭიჭინაძის ენერგიული ხელმძღვანელობით უმოკლეს დროში სასწავლებლის ასეთი წარმატებისა, კავკასიის სასწავლო ოლქის მესვეურები (იანოვსკი და სხვ.) მაინც დაჟინებით ებრძოდნენ ქუთაისის საადნაურო სკოლას და, როგორც სამართლიანად წერდა შემდეგში იაკობ გოგებაშვილი, „როცა თავადაზნაურობამ მოინდომა მეხუთე კლასის მიმატებაცა, არამც თუ უარი მიიღო მზრუნველისაგან, არამედ თან ქალალდიცა, ეგ პროგიმნაზიული კლასებიც უნდა დავკეტოთო... მაგ სკოლის არსებობა, ცოტა არ იყოს, უწესო საქმე აღმოჩნდა ფორმალურის მხრითაც... სკოლის შესანარჩუნებლად თავად-აზნაურობა ქუთაისის გუბერნიისა იძულებული იყო ორჯერ გაეგზავნა დეპუტაცია პეტერბურგს, მაგრამ დეპუტაციავერას მოახერხებდა, რომ სწორედ ამ ხანებში არ დამდგარიყო თავად სვიატოპოლკ-მირსკის დრო ნდობისა“[1].

ალ. ჭიჭინაძის ქუთაისის საადნაურო სკოლაში მოღვაწეობის დაწყებას (1880 წ.) დაემთხვა დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კრების მოწვევა ქუთაისში. ამ კრებას უნდა შეემუშავებინა სახალხო სკოლების ახალი სასწავლო გეგმა.

იაკობ გოგებაშვილი სახალხო სკოლის მასწავლებელთა ამ კრებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. სპეციალურად ამ მიზნით დაწერილ სტატიაში („დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კრებას“) ი. გოგებაშვილი წერდა: „ამ კრების გადაწყვეტილებათ დიდი მნიშვნელობა ექნება მთელი დასავლეთ საქართველოსათვის და უეჭველად გავლენას იქონიებს აღმოსავლეთის ნახევარზედაცმას შეუძლია წაღმა დაატრიალოს ხალხის განათლების საქმე და უკულმაც დააცაროს“. დიდი პედაგოგი თავის სტატიას ასე ამთავრებდა: „კრების საგნის დიდი მნიშვნელობა ქუთაისის ინტელიგენციას წმინდა ვალადა სდებს მიიღოს მხურვალე მონაწილეობა კრების სჯა-ბაასში და ყოველი ღონისძიება იხმაროს, რათა ხალხის განათლებას გაუკვლიოს სწორე და ნაყოფიერი გზა. თუ ორი წლის წინად თბილისის კრებამ დაადგინა ქვეყნისათვის სასარგებლო სისტემა,

---

[1] ი ა კ ო ბ გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, პედაგოგიური თხზულებანი, ტ. II, პროფ. გ. თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, 1940 წ., გვ. 474.

ეს უფრო მოხდა მეოხებით თბილისის ინტელიგენციისა, რომელმაც კრების წინადვე გამართა შესაბამი ქადაგება პირადად და ბეჭდვით ქართულად და რუსულად, სხდომებს დაესწრებოდა ხოლმე, იღებდა სჯა-ბაასში ცხარე მონაწილეობას, ამხნევებდა მასწავლებელთ სწორე აზრების მტკიცე დაცვაში და ამ სახით კეთილად დააბოლოვა, დააგვირგვინა საქმე. თუ ქუთაისის კრებამ საქმე წაახდინა, ქვეყნის წინაშე პასუხისმგებელი, მასწავლებელთა გარდა, შეიქმნება ქუთაისის ინტელიგენციაც. ეს კარგად უნდა შეიგნონ განათლებულმა ქუთათელებმა და თავისი ვალდებულება საზოგადოების წინაშე პირნათლად შეასრულონ"[1].

და, მართლაც, დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა კრებას ქუთაისში, რომელიც ორი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, ფართოდ გამოეხმაურა ქართული და რუსული პრესა. გაცხოველებულ კამათში ენერგიულად ჩაებნენ გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, დიმ. ყიფიანი. იაკ. გოგებაშვილი, სერ. შესხი, ვლ. მიქელაძე (მეველე), გ. უთურგაული და სხვ. ხოლო თვით მასწავლებელთა კრებაზე ქართული სახალხო სკოლის ინტერესებს თავგამოდებით იცავდნენ: კირილე ლორთქიფანიძე, ალექსი ჭიჭინაძე, ანტონ ლორთქიფანიძე, იაკობ ფხაკაძე და სხვ.[2].

დასავლეთ საქართველოს სახალხო სკოლათა მასწავლებლების კრებამ ალ. ჭიჭინაძის ხელმძღვანელობით შეიმუშავა სახალხო სკოლების მუშაობის გეგმა, რომლითაც ერთკლასიანი სახალხო სკოლა „იქმნებოდა ოთხი განყოფილებით, ხოლო საგნების სწავლება ყველა განყოფილებაში ქართულ ენაზედ. ქართული ენა აღიარებულ იქმნა უმთავრეს საგნად, ხოლო რუსული ენისათვის დაინიშნა ყოველ განყოფილებაში, გარდა პირველისა, თითო გაკვეთილი დღეში"[3]. რასაკვირველია, სასწავლო ოლქის მზრუნველმა ეს გეგმა არ დაამტკიცა და მის ნაცვლად გამოსცა 1881 წლის ცნობილი გეგმა, რომლის შემდეგ ქართული ენა სრულიად განდევნილი იქნა სკოლიდან და „მუნჯური მეთოდი" გაბატონდა[4].

---

[1] ი ა კ ო ბ გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ტ. 1, 1952 წ., გვ. 225—229.

[2] იხ. ს ე რ გ ე ი მ ე ს ხ ი, ბ. სემიონოვის პედაგოგიური აზრები, გაზ. „დროება" 1880 წ., № 209; გ. უ თ უ რ გ ა უ ლ ი, ფხაკაძე მძლეველი ბ. სემიონოვისა, „დროება", 1880 წ., № 216; დ. დ. ს ე მ ი ო ნ ო ვ ი, წერილი გაზეთ „დროების" რედაქტორთან, „დროება", 1880 წ., № 222; ვლ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, ბ. სემიონოვი პოლიტიკოსი, „დროება", 1880 წ., № 224. უფრო დაწვრილებით იხ. მ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, დ. დ. სემიონოვის პედაგოგიური მოღვაწეობა საქართველოში, 1954 წ.

[3] ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა [ბოკერია გ]. ალექსი ბესარიონის-ძე ჭიჭინაძე, „განათლება", 1911 წ., № 1, გვ. 17.

[4] იხ. ტ რ ო ფ. ხ უ ნ დ ა ძ ე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში, 1940 წ.

ალ. ჭიჭინაძემ ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებელში მაინც დაამკვიდრა ახალ პრინციპზე აგებული სასწავლო გეგმა და პროგრამები, რომელთა შესახებ იაკობ გოგებაშვილი 1886 წლის 21 იანვარს მოახსენებდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომელსაც აღნიშნული სკოლა ექვემდებარებოდა, რომ „პროგრამები აწინდელ მდგომარეობაში წარმოადგენენ განვითარებულს და სრულს შრომას, რომელიც ძლიერ დაეხმარება სწავლის რიგიანად დაყენებასა და მსვლელობას“[1]. ამავე დროს დიდი პედაგოგი აძლევს „საზოგადოებას“ მთელ რიგ რჩევა-მითითებებს ამ პროგრამების შემდგომი სრულყოფისაუზრუნველსაყოფად.

ალ. ჭიჭინაძეს განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის განყოფილების ჩამოყალიბებაში ძველ სენაკში. ეს სკოლა„ როგორც ცნობილია, გახსნა ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკმა ზუგდიდის, სენაკის და ოზურგეთის ყოფილი მაზრების თავად-აზნაურთა შვილებისათვის, რომელნიც ხელმოკლეობის გამო ვერ ახერხებდნენ ქუთაისის ქართულ სასწავლებელში სწავლა-განათლების მიღებას. ძველი სენაკის ქართული სკოლის გახსნა მოხდა 1884 წლის 28 ოქტომბერს (ძველი სტილით). სკოლის გახსნისას მეტად შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორმა ალ. ჭიჭინაძემ, რომელმაც ფართოდ დაახასიათა ამ სკოლის მიზნები და ამოცანები და თავის სიტყვის დასასრულ თხოვა საზოგადოებას ეზრუნათ ახლადდაარსებული სკოლისათვის შესაფერისი შენობის აგებისათვის. იგი მოუწოდებდა საზოგადოებას: „იზრუნეთ სასწავლებლის შენობისათვისაც, რადგან მას ამჟამად ვიწრო სადგომი უჭირავს, და დააბინავეთ იგი დანიშნულებისა და საჭიროების შესაფერად. რაიცა შეეხება მასწავლებლებს, ამაზედ მოგახსენებთ, რომ დღეს ნაკურთხის სასწავლებლის უფროსი ბ. ყიფიანი (სამსონ ყიფიანზეა ლაპარაკი. ვ. ქ.), როგორც მე მას ვიცნობ (ის მსახურობდა წინედ ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში ორს წლამდის, შემდეგ თბილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში იმსახურა ერთი წელიწადი). საიმედო კაცია, სწავლებაში გამოცდილი, მუყაითი და იმედია, როგორც ის, ისე მისი თანამშრომელი მასწავლებელიც ერთგულად იშრომებენ თქვენის შვილებისათვის,

---

[1] საქ. სსრ ც. ა. ფონდი 107, საქმე № 98, ფურცელი 9.

არ დააკლებენ ყურადღებას, რამდენადაც შეიძლებენ თავის ძალ-ღონით თქვენგან გამხნევებულნი და ზურგ-გამაგრებულნი"[1].

ალ. ჭიჭინაძის მოწოდებამ გასჭრა (როგორც „დროების" კორესპონდენტი აღნიშნავს, იმავე დღესვე სულ რაღაც „ხუთმეტის წამის განმავლობაში 530 მანეთი მოგროვდა სკოლის შენობის საარგებლოდ" ქველმოქმედი პირებისაგან შემოწირულების სახით) და ზუსტად ერთი წლის შემდეგ ძველი სენაკის ქართული სასწავლებლისათვის აშენდა ახალი სასკოლო შენობა, რომელშიც 1885 წლის 27 ოქტომბერს (ძველი სტილით) მოთავსდა სენაკში ამ ერთი წლის წინად გადატანილი ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის განყოფილება. სკოლის ახალ შენობაში გადასვლის ზეიმს დაესწრო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წარმომადგენელი დიდი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი, რომელმაც მეტად შინაარსიანი და ამაღელვებელი სიტყვა წარმოსთქვა. აი ეს სიტყვაც მთლიანად: „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" მმართველობამ ვალად დამდო, რომ აქ გხლებოდით, დავსწრებოდი ამ სასწავლებლის კურთხევას და ერთად თქვენს სურვილთან ჩემი სურვილიც შემეერთებია მის კეთილ წარმატების შესახებ. ყოველივემ, რაც დღეს მე აქ მოვისმინე და ან რაც ვნახე, იმოდენა ამიტაცა, რომ დამებადა სურვილი რამოდენიმე სიტყვის თქმისა, თუ თქვენი ნებაც იქნება. — ბატონებო! მხოლოდ ერთი უგუნურება სჯერდება აწმყოს და მარტო მით კმაყოფილია. გონიერება კი მეტს მოითხოვს, გადადის წარსულში და იქიდან გამონაკვლევ ჭეშმარიტებას ფონად, გზად და ხიდად უდებს. ის ერი, რომელსაც წარსული არა ჰქონია, ემსგავსება ახალდაბადებულ უსუსურ ყრმას, ჩვენ არ ვეკუთვნით, ღვთისმადლით, იმ ერთაგანს: დედამიწის ზურგზედ არ გვეგულება მისთანა პატარა ერი, რომელსაც თავის ჭირნახულობით და ისტორიულის თავ-გადასვლიანობით, ჩვენს ერზედ უფრო დიდებული და ღირს-შესანიშნავი წარსული ჰქონდეს.—გასაოცარის გმირობით, საკვირველის მხნეობით, ჩვენი წინაპრები გაუმკლავდნენ მტრებს და დაიცვეს ის, რაც შეადგენს ყოველი ერის სიქადულსა და სულის დგმას; ე. ი. საკუთარი ფერი, ქრისტეს სჯული და ამ სარწმუნოების საფუძველი ქვა-კუთხედი, ქართული დედა-ენა. ესეები ყველა გადმოგვცეს შეუბღალავად და ჩვენც მადლობით მიმღები ამ საუკუნო განძისა, ვალდებული ვართ შევისწავლოთ ჩვენი წარსული, გავიცნოთ ჩვენი

[1] რ. ძ ა მ ა ს ა შ ვ ი ლ ი. ქუთაისის ალექსანდრეს საანზაურო სასწავლებლის განყოფილების გახსნა და კურთხევა სამეგრელოში. ძველ სენაკში 1884-ს წ. ოქტომბრის 28-ს, გახ. „დროება", 1884 წ., № 240.

მამა-პაპანი და მათი ღვაწლი, არავითარი გონიერება ამას წინ არ-აღუდგება!... ის, ვინც თავის ვინაობა არ იცის და თავის თავს-ვერ იცნობს, სხვას როგორ-ღა შეისწავლის? კაცს, რომელსაც თავის თავი ხეულს, ბუნების წინააღმდეგ, სისხლ-ხორცსა სტეხს, ივიწყებს მშობლებს და ეზიზღება თან-შობილები, განა სხვისი შეყვარება შეუძლია? ამის-თანა ადამიანს ჩვენში საზოგადოდ თავ-ხელ აღებულებს ეძახიან და ერიდებიან. ის, ვინც ამ გვარებს ურჩევს სხვას ან ბოროტ-განზრახვით ხელმძღვანელობს, ან უგნურობით მოქმედობს; ორივე შემთხვევაში შემცდარია და შეცდომას კი გასწორება ეჭირვება. — ვგონებ თქვენც კარგად ჰხედავთ, რომ ჩვენ ამის-თანა არა გვემართება-რა, მაგრამ მაინც საჭიროა, რომ მარტო აწმყოზე არ შევჩერდეთ. ეს აგვამაღლებს ჩვენ ზნეობრივად, აგვევსება გული სიმართლითა და სიყვარულით... მაშინ შეგვეძლებოდა, ის სიყვარული სხვასაც გავუზიაროთ: ვინც გვეძმობა — ვეძმოთ.

სად უნდა შევიძინოთ ესეები ყველა? იმ ტაძარში, რომელსაც ჩვენ სასწავლებლებს ვეძახით და ერთი რომელთაგანიც დღეს აქ ვაკურთხეთ. დიაღ, აქ უნდა შეისწავლონ ჩვენმა შვილებმა თავისი თავი და მიხვდენ, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი, ძმები ვართ; სამის ძლიერის, უხრწნელის კავშირით საუკუნოდ შეხორცებული: საერთო ისტორიით, ქრისტეს სარწმუნოებით და ერთის დედა-ქართული ენით, ერთის ბუდიდან ვართ გადმოსხმული. ვიმეორებ აქ, ამ სკოლაში მიხვდება იმერელი, რომ ის კერძოდ, თუმცა იმერელია, მაგრამ საზოგადოდ კი ორივე ქართველია; აქ გაიგებს მეგრელი, რომ კერძოდ ის მეგრელია, თავის საკუთარის ფერის მქონი, მაგრამ საზოგადოდ კი, ძირეულად იგივე ქართველია. და თავისი კერძო მეგრელობით მხოლოდ აფერადებს ქართველობას. გვარისა

აღუზარდა ქვეყანას განათლებული ქართველი საზოგადო მოღვაწეები.

ალ. ჭიჭინაძე 1886 წლამდე ეწეოდა მეტად ნაყოფიერ საზოგადოებრივ-პედაგოგიურ მოღვაწეობას ქუთაისში და ამ ხნის განმავლობაში ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებელი იმდენად მომწიფდა და მოღონიერდა, რომ სამუდამოდ დაიმკვიდრა სახალხო განათლების ერთ-ერთი მოწინავე კერის სახელი.

იაკობ გოგებაშვილი ყოველთვის საგანგებო ყურადღებას აქცევდა ალ. ჭიჭინაძის პედაგოგიურ მოღვაწეობას ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებელში. ჯერ კიდევ 1883 წელს სტატიაში „უკეღმართი ნაბიჯი“, რომლის ბოლო ნაწილის დაბეჭდვა ჟურნ. „ივერიაში“ ცენზორის მიერ აკრძალული იქნა, ი. გოგებაშვილი, „ქუთათურ ბორასთან“ პოლემიკის დროს გ. კალანდარიშვილის რუსული ენის სახელმძღვანელოს შესახებ, არკვევდა რა გრამატიკის სწავლების საკითხებს, წერდა: „იმისთანა განვითარებული და გამოცდილი პედაგოგი, როგორიც არის ქუთაისის სააზნაურო სკოლის ინსპექტორი ბ. ალექსი ჭიჭინაძე, ქართული გრამატიკიდგან ელემენტარულს ცნობებს ასწავლებინებს თავის მოწაფეებს მეორე წლიდანვე“[1]. 1886 წლის 14 ნოემბერს თავის „მოხსენებაში „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობისადმი ბათუმის, ქუთაისის და ხელთუბნის სკოლების რევიზიის შედეგებზე“ ი. გოგებაშვილი წერდა: „ბათუმიდან ქუთაისს ავედით და გაესინჯე იქაური სააზნაურო სკოლა. ორი დღის განმავლობაში დავდიოდი მოსამზადებელ კლასებში და დავრწმუნდი, რომ გარდა ზოგიერთი წვრილმანი ნაკლულევანებისა, რაზედაც მე მოვილაპარაკე ინსპექტორთან და მასწავლებლებთან, იგი წარმოადგენს კეთილგანწყობილ სასწავლებელს. სწორედ ღირსია დიდი მადლობისა ბატონი ალექსი ჭიჭინაძე, ყოფილი ინსპექტორი ამ სკოლისა, რომელმაც კაი ხნის განმავლობაში ფრიად ერთგულად, მხნედ და პატიოსნად ემსახურა ამ სკოლასა. ვთხოვ გამგეობას დაადგინოს მადლობის გადახდა და საჯაროდ გამოაცხადოს გაზეთის შუამავლობით“[2].

---

[1] იაკობ გოგებაშვილი. თხზულებანი, ტ. 1, 1952 წ., გვ. 483. იხ. აგრეთვე, ა. ი ო ვ ი ძ ე, იაკობ გოგებაშვილი (დოკუმენტალური მასალები). საქ. სსრ შსს საარქივო სამმართველოს გამომცემლობა, 1951 წელი, გვ. 60.

[2] ა. ი ო ვ ი ძ ე, იაკობ გოგებაშვილი (დოკუმენტალური მასალები), 1951 წ., გვ. 76.

ᲞᲐᲢᲘᲞᲘᲜᲐᲫᲔ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲐᲓᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ

1886 წელს ალ. ᲞᲘᲞᲘᲜᲐᲫᲔ იაკობ გოგებაშვილის დაჟინებითი შუამდგომლობით[1] გადაყვანილ იქნა თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლის ინსპექტორად, სადაც ის 1894 წლამდე ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას. თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებელში ალ. ᲞᲘᲞᲘᲜᲐᲫᲔ კიდევ უფრო ფართო მასშტაბით და მეტი ენერგიით შეეცადა ჯანსაღი პედაგოგიური პრინციპების განხორციელებას მოსწავლეთა აღზრდა-განათლების დარგში. იგი გულმოდგინედ ცდილობდა რაც შეიძლება მეტი დრო დაეთმო ქართული ენის სწავლებისათვის სასწავლებელში. ეს გარემოება მოსვენებას არ აძლევდა სასწავლო ოლქის მაშინდელ რუსიფიკატორ მზრუნველს კ. იანოვსკის, რომელსაც სურდა როგორმე თავიდანვე ჩაეხშო ყოველი ახალი ნაბიჯი და ცდა სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების უფლების მოპოვებისა და მისთვის ოდნავი ყურადღების მიქცევისაც კი. ამ შავბნელი მოსაზრებით გაბოროტებული „იანოვსკი 1887 წელს შეუმჩნევლად შეპარულა სათავად-აზნაურო სკოლის მეოთხე კლასში საქართველოს ისტორიის გაკვეთილზე; ერთის მოწაფეთაგანისათვის ხელიდან გამოუგლეჯია მოსე ჯანაშვილის „ისტორიის სახელმძღვანელო“ და უკითხავს: რა წიგნიაო... მოწაფეს უპასუხნია... ამ დროს კლასში შემოსულან მასწავლებელი ნ. მთიგარელიშვილი და ინსპექტორი ბ. ᲞᲘᲞᲘᲜᲐᲫᲔ. იანოვსკიმ უთხრა თურმე ინსპექტორს — რა საჭიროა ქართულად ისტორიის სწავლება, სთარგმნეთ რუსულად და რუსულად ასწავლეთო... აღელვებულ ინსპექტორს უპასუხნია: თქვენო აღმატებულებავ, ჩვენ ამ კლასში მშობლიური ენის შესწავლას მხოლოდ ორ საათს ვანდომებთ კვირაში და ისიც რომ თარგმნას მოვანდომოთ, სამშობლო ენას როდისღა ვასწავლითო“[2]. ასე თავგამოდებით იცავდა ალ. ᲞᲘᲞᲘᲜᲐᲫᲔ ქართულ ენაზე სწავლების უფლებას თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებელში. მისი როლი და აუნაზღაურებელი შრომა იმდენად დიდი იყო ამ სასწავლებელში, რომ ქართულმა პრესამ იგი საგანგებოდ აღნიშნა. „ვისაც ცოტათი მაინც უდევნებია თვალყური ჩვენის სათავად-აზნაურო სკოლებისათვის, — წერდა „ივერია“, იმან იცის, თუ როგორის ერთგულებით და გაბედულად ემ-

---

[1] ი. გ ო გ ებ ა შ ვ ი ლ ი, ცოტა მეტი სინათლე (პასუხად ბ-ნს ალექსი ᲞᲘᲞᲘᲜᲐᲫᲔ), გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ., № 2879.

[2] ს. ი ა შ ვ ი ლ ი. მასალები თბილისის ქართული ვაჟთა გიმნაზიის ისტორიისათვის. საქ. სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 1942, გვ. 92.

სახურებოდა ბ. ჭიჭინაძე ჩაბარებულს მისადმი საქმეს. ვიტყვი მეტს: ეს ნორჩი დაწესებულებანი, რომლის გამგებლად დანიშნული იყო ბ. ჭიჭინაძე, ჯერ ქუთაისს და მერმე თბილისს, შეიქნა მისთვის ნაშდვილ არსებით საგნად. ამ სკოლებს მოანდომა ჩვენმა პატივცემულმა მოღვაწემ თავისი ენერგია, სწავლა, შრომა და ისეთის გვარის ერთგულება, რომელიც ავიწყებინებს ადამიანს საკუთარს ინტერესებს"[1].

თუ რამდენად თავდადებული იყო ალ. ჭიჭინაძე ახალგაზრდებისათვის, მათი სწავლა-აღზრდისათვის და რამდენად თავდავიწყებით ასრულებდა იგი თავის მოვალეობას, ეს „აშკარად ჩანს ერთი მაგალითიდან: როცა თბილისში იყო ინსპექტორად, ღამე, გვიან, საოცარი მიწის ძვრა მოხდა. პანსიონერი მოწაფეები დასაძინებელ ოთახში იყვნენ მოსვენებულნი... ალექსი თავის ოთახში მაგიდას უჯდა და მეცადინეობდა, ცოლ-შვილი კი იქვე, მეორე ოთახში ჰყავდა დაბინავებული... დაიძრა ძალზე სახლი თუ არა, ალექსი წამოიჭრა ხელივით, გაგლიჯა ოთახის კარები და გაიჭრა პირდაპირ მოწაფეთა სასვენ ოთახისაკენ; შევარდა შიგ, და ნახა ყველა მოწაფეები ფეხზედ დამდგარნი, არეულ-აჩოჩქოლებულნი, რომელნიც ლამობდნენ ფანჯრებიდან გადაცვენას... ალექსის დანახვაზედ და მის ნუგეშის გაგონებაზედ ყველანი დამშვიდდნენ, და ალექსი მათ არ ჩამოშორებია, სანამ არ დალაგდნენ ისევ. დაბრუნდა რა თავის ოთახში, მან დაინახა ცოლი. შეშინებული პატარა ქალ-ვაჟით ხელში. ალექსი მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს და მიხვდა, რომ საზრუნავი უფრო ახლოს ჰყოლია... მოიხადა ცოლთან ბოდიში და უთხრა: „სწორედ აღარ მახსოვდით, საშინელს წუთებში მოწაფეების მეტი აღარავინ არსებობდა ჩემს აზრსა და გონებაშიო"[2]. ასეთი მამობრივი მზრუნველი და აღმზრდელი იყო ალ. ჭიჭინაძე თავისი მოსწავლეებისა და ამით აიხსნებოდა, რომ იგი მათ უსაზღვროდ უყვარდათ. როდესაც 1894 წელს ალ. ჭიჭინაძემ თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებელს თავი დაანება, მოსწავლეები და მშობლებიც თვალცრემლიანი ემშვიდობებოდნენ მას. „ერთმა ქართველმა გვიამბო,— წერდა ჟურნ. „კვალი",— თუ რა გაოცებით და თვალზე ცრემლებით შეიცხადეს დედ-მამებმა და პაწია მოსწავლე ახალთაობამ: რა გვეშველებაო, რომ ჩვენი ალექსი გვეცლება, მისი მამობრივი ალერსი და ნუგეში აღარ ასიცოცხლებს ჩვენს სათავად-

---

[1] სოფლის ხუცესი [ლამბაშიძე დავით]. მწარე ფიქრები, ჟურ. „მწყემსი", 1894 წ., № 9, გვ. 5—6.

[2] „განათლება", 1911 წ., № 1, გვ. 17—18.

აზნაურო სკოლასო. ბევრს ჩვენგანს გული აუჩუყდა, როცა თვით ალ. ჭიჭინაძე გაბოგვეთხოვა შემდეგი საგრძნობელი სიტყვებით: „მე იძულებული შევიქენი დამეტოვებინა სათავად-აზნაურო სკოლა უფრო იმის გამო, რომ მეტად დავსუსტდი და ღონე გამომელიაო. როგორც მე მსურს, აწ ისე ველარ ვუწინამძღვრებ სკოლას და ამის გამო ჩემი აქ დარჩენა ამის შემდეგ ჩემი სინდისის წინააღმდეგი იქნებოდაო, მით უფრო, როცა ვგრძნობ, რომ მე ვტოვებ სკოლის მასწავლებელთა შორის ბევრს ჭაბუკსა და იმედით სავსე ხელმძღვანელებს სკოლისას. მე დარწმუნებული ვარო, რომ ისინი კიდევ ჩემზე უკეთ წაიყვანენ ამ სკოლის საქმესო"[1]. ამავე ჟურნალმა კიდევ უფრო ადრე სინანულით აუწყა საზოგადოებას: „ჩვენ შევიტყვეთ, რომ თბილისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორი ალ. ჭიჭინაძე თავს ანებებს ამ სკოლას და დანიშნულია ელადიკავკავის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორად"[2].

რით იყო გამოწვეული ის გარემოება, რომ ალ. ჭიჭინაძემ, რომელსაც თავიდანვე გადაწყვეტილი ჰქონდა კერძო სასწავლებლებში საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის შეეწირა მთელი თავისი სიცოცხლე და ენერგია, დასტოვა თბილისის ქართული სასწავლებელი და დაეთანხმა კავკასიის სასწავლო ოლქის ადმინისტრაციას სახალხო სკოლების ინსპექტორის თანამდებობაზე ემუშავნა ჩრდილოეთ კავკასიაში? ამის ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ მას პრინციპულ-პედაგოგიური უთანხმოება ჰქონდა სასწავლებლის გამგე-კომიტეტთან სათავადაზნაურო სასწავლებლის მომავალი პროფილისა და ტიპის შესახებ. თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებელი ალ. ჭიჭინაძის ხელმძღვანელობის პერიოდში (1888 წ.) გადაიქცა სათავადაზნაურო პროგიმნაზიად. 90-იან წლებში მოწინავე ქართველ საზოგადოებაში აღიძრა საკითხი თბილისის სათავადაზნაურო პროგიმნაზიის სრულ გიმნაზიად გადაკეთების აუცილებლობის შესახებ. ზოგნი მოითხოვდნენ სათავადაზნაურო პროგიმნაზიის გადაკეთებას კლასიკურ გიმნაზიად, ზოგნი რეალურ გიმნაზიად, ზოგნი — საშეუერნეო სასწავლებლად, ზოგნი — შერეული ტიპის გიმნაზიად (კლასიკური და რეალური კლასებით), ზოგნი — დედათა სასწავლებლად თავადაზნაურთა ქალებისათვის, ზოგნი კი — სასწავლებლის ისევ არსებულ პროგიმნაზიის სახით დატოვებას. მსჯელობამ ფართო საზოგადოებრივი ხასიათი მიიღო. მას აქტიურად გამოეხმაურენ ჩვენი საზოგადო

---

[1] ალექსი ჭიჭინაძის პატივსაცემად გამართულ საკრებულო მეჯლისი, „კვალი", 1894 წ., № 20.

[2] „კვალი", 1894 წ., № 14.

ბოლოვაწენი და ჟურნალ გაზეთები. ნ ი კ ო ნ ი კ ო ლ ა ძ ე (1843—1928) მოითხოვდა სათავადაზნაურო პროგიმნაზიის გარდაქმნას „პირველ-ლაწყებით სკოლად დაბალი სამეურნეო სასწავლებლით“[1]. იაკობ გოგებაშვილი რეალური განათლების სისტემას უპერდა მხარს[2]. ალექსი ჭიჭინაძე ზოგადი განათლების სასწავლებლის მომხრე იყო. გაზეთი „ივერია“ პრაქტიკულ-ტექნიკურ-აგრონომიულ სკოლას მოითხოვდა[3]. ჟურნალი „კვალი“ ზოგად განათლებას იღებდა საფუძ-ველად, მაგრამ სპეციალურ სამეურნეო განათლებასაც საჭიროდ აღიარებდა[4]. წამოყენებულ მოსაზრებათა განსახილველად და გარ-კვეული დასკვნების გამოსამუშავებლად თბილისის სათავადაზნაურო ბანკმა და თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლის გამგე-კომი-ტეტმა გამოყო სპეციალური კომისია, რომელმაც დიდი ბრძოლის შედეგად მიიღო გამგე-კომიტეტის წევრის ნ ი კ ო ც ხ ვ ე დ ა ძ ი ს (1845—1911) პროექტი და გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

„აწინდელი სათავად-აზნაურო სკოლა-ოთხი მოსამზადებელი კლასი და ოთხი პროგიმნაზიული — ჯერჯერობით უნდა დარჩეს ისე, როგორც ეხლა არის. მომავალში თუ თავად-აზნაურობას ღონისძი-ება ექნება, მას უნდა მიემატოს შემდეგი გიმნაზიური კლასები და გადაკეთდეს სრულ საშუალო სასწავლებლად“[5]. სასწავლებლის გამგე-კომიტეტის ამ გადაწყვეტილების შედეგად იაკობ გოგებაშვილი გა-მოვიდა კომიტეტის შემადგენლობიდან, ხოლო ალექსი ჭიჭინაძემ

---

[1] ნ ი კ ო ნ ი კ ო ლ ა ძ ე მ სპეციალური წერილების მთელი სერია მოათავსა ამ საკითხის შესახებ გაზეთ „Новое обозрение“-ში საერთო სათაურით „Основные изъяны дворянских школ“ (იხ. გაზ. „Новое обозрение“. 1893 წ., №№ 3176, 3179, 3183 და 3186). ამ წერილებში მოყვანილი დაუზუსტებელი მასა-ლების გამო, ნ. ნიკოლაძეს პასუხი გასცა ალექსი ჭიჭინაძემ წერილით „Письмо в редакцию“ რომელიც ამავე გაზეთში დაიბეჭდა (1893 წ., № 3191). ნ. ნიკოლაძემ თავისი წერილები შემდეგ ცალკე წიგნაკად გამოაქვეყნა იმავე სათაურით ჯერ 1898 წ. თბილისში და ბოლოს ფოთში 1910 წელს (იხ. Из архива Н. Я. Николадзе, „Основные изъяны дворянских школ с новым предисловием“). აქედან ჩანს, რომ ავტორი თავის შეხედულებებს თბილისის სათავად-აზნაურო სკოლის შესახებ ბოლომდე იცავდა.

[2] ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, სიტყვა თქმული სააზნაურო სკოლის წლიურ კრებაზედ, 30 აპრილს, 1893 წელს. იხ. ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. II, 1954 წ., გვ. 287—299.

[3] „ივერია“, 1893 წ., № 24. ცნობაა, რომ დიდი ქართველი მწერალი ილია ჭავჭავაძე სამეურნეო განათლებას უპერდა მხარს. „მეც იმ აზოისა ვარ,— უთქვამს მას 1893 წელს თელავში გამართულ კახელ მევენახეთა კრებაზე,— რომ სამეურ-ნეო სკოლას უფრო მეტი საჭიროებრნობია მოტანა შეუძლიან, ვიდრე ახლანდელ სა-თავად-აზნაურო სკოლას“ (იხ. თ. ბეგიაშვილის წერილი, ერთი ეპიზოდი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდან“, გაზ „ლიტერატურული საქართველო“. 1937 წ., № 15)

[4] ჟურნ. „კვალი“, 1893 წ., № 11 და № 16, გვ. 2—7, ი. მ. [ივანე მაჩაბელი] სათავად-აზნაურო სკოლების ბტერ-მოყვარენი (ნიკო ნიკოლაძე და ალექსი ჭიჭი-ნაძე). იხ. აგრეთვე, ს ო ფ ლ ი ს ხ უ ც ე ს ი (ღამბაშიძე დავით). სათავად-აზნაურო სკოლის შესახებ, ჟურ. „მეურნე“. 1892 წ., № 12—16, გვ. 4—8.

[5] გაზ. „ივერია“, 1893 წ., № 89.

დასტოვა სასწავლებლის ინსპექტორის თანამდებობა და იგი თერგის ოლქში გადავიდა სამუშაოდ სახელმწიფო სასწავლო უწყებაში.

ამ გარემოებას სრულიად არ შეუშლია ხელი იმისათვის, რომ ქართველი საზოგადოების მოწინავე რაზმს საგანგებოდ აღენიშნა ალ. ჭიჭინაძის დიდი ღვაწლი და ფასდაუდებელი შრომა ჩვენს კერძო სასწავლებლებსა და საზოგადოებრივ დაწესებულებებში. ქართველი საზოგადოების მიერ ალ. ჭიჭინაძის პატივსაცემად, მის წასვლასთან დაკავშირებით, გამართულ საკრებულო მეჯლისზე ჩვენმა სასიქადულო პოეტმა აკაკი წერეთელმა ღირსეულად შეაფასა ალ. ჭიჭინაძის საზოგადო მოღვაწეობა და აღნიშნა, რომ ნამდვილ მოღვაწეთა რიცხვი ჩვენში ჯერ კიდევ „ცოტაა და მათში კი დიადი საჩინო ადგილი უჭირავს ბ-ნ ალ. ჭიჭინაძესა. ამ ოცი წლის წინათ ჩამოვიდა თუ არა ჩვენში, მაშინვე აირჩია ერთი უკეთესი სარბიელთაგანი ჩვენის ცხოვრებისა, სარბიელი პედაგოგიური. ჩვენს წინაპრებს, სხვა ბევრ კარგ თვისებებთან ერთად, ერთი კარგი ისიცა სჭირდათ, რომ სწავლა-განათლებას ჭეშმარიტი თვალით უყურებდნენ. არც ერთ ასპარეზზე არაფერ მოღვაწეს ისეთ პატივს არა სცემდნენ და არ აფასებდნენ, როგორც მათ, ვისიც ხელში მათი შვილების ხორციელ-სულიერი აღზრდა იყო: იმათ უწოდებდნენ სასოებით, მოძღვრებად!... ბატ. ალ. ჭიჭინაძე იმ დღიდან აქნობამდე გამოადგა და შერჩა ჩვენს შვილებს. ესეც ხომ არ აკმარა თავის თავს და მარტო ერთ სპეციალურ ასპარეზს არ დაჰჯერდა. ჯერ არ ყოფილა იმისთანა მოვლინება ჩვენს ცხოვრებაში, რომ ეგეც მონაწილე არ ყოფილიყოს, თუ საქმით ვერა, სიტყვით მაინც... სათანაგრძნობოს კეთილს გულს უჩვენებდა ხოლმე და საზიზღარს — ზურგს. დღეს ჩვენში ამგვარი პირდაპირობა იგივე მოღვაწეობაა და სამწუხაროა, რომ ბ. ჭიჭინაძე ჩვენში, ჩვენთან ერთად აღარ იქნება“![1]

* * *

სხვათაშორის, ცნობილ პოეტსა და პედაგოგს დ. თომაშვილს მშვენივრად აქვს წარმოდგენილი აკაკი წერეთელსა და ალექსი ჭიჭინაძის მეგობრული ურთიერთდამოკიდებულება და მათი საუბარი ქუთაისის თეთრ ხიდზე იმპერატორ ალექსანდრე II მკვლელობის დღეს, რომელშიც ნათლად მოჩანს ჩვენი პედაგოგის პოლიტიკური მრწამსი. დიდი პოეტი აკაკი ეკითხება პედაგოგ ალ. ჭიჭინაძეს:

„—სთქვი, ალექსი, ის ყუმბარა
ხელთ გჭონდა, რას იზამდი?“

ალექსი ჭიჭინაძემ პასუხი არ დაუყოვნა:

---

[1] ალექსი ჭიჭინაძის პატივსაცემად გამართულ საკრებულო მეჯლისი, „კვალი“, 1891 წ., № 20, გვ. 9—10.

„— მამისა და პაპის საფლავს,
აბა, როგორ შევარცხვენდი!“.

აკაკი წერეთელს ეჭვი არ ებადება იმაში, რომ ჭეშმარიტი პედაგოგი გულწრფელია:

„— ვიცი, ვიცი! მწამს და მჯერა—
ნაცარ-ტუტას ააფენდი!...“

ამ ორი დიდი ქართველის საუბრის შემდგომ განეითარებას, მამულის უანგარო სიყვარულს, ჩვენი მომავლის სიბრძნითა და ცოდნის გზით განვითარებას და ალექსი ჭიჭინაძის საღ მსჯელობას აკაკი მიჰყავს იმ იდეამდე, რომ, პეტერბურგიდან მოსული ამბავი მერცხლის შემოფრენასა და სასიბარულო ცნობის მოტანას შეადაროს:

„— ალექსის მკვეთრ შენიშვნაზე
არ გაუტყდა პოეტს გული
და იმ დღესვე დაიწეა:
შემოფრინდა გაზაფხული!“[1]

3. ალ. ჭიჭინაძე—სახალხო სკოლების დირექტორი

1894—1900 წ. წ. ალ. ჭიჭინაძე მუშაობდა თერგის ოლქის სახალხო სკოლების ინსპექტორად.მან იქ გარკვეული ბრძოლა გამოუცხადა ლევიცკის გავლენით დამკვიდრებულ „მუნჯურ“ მეთოდს. იგი საგანგებოდ ჩამოვიდა ამიერკავკასიაში, შეამოწმა ქუთაისის გუბერნიისა და გორის ის სკოლები, რომლებშიც ეს ანტიპედაგოგიური მეთოდი იყო გაბატონებული და თავის მოხსენებაში ნათელჰყო მისი რუსიფიკატორული ბუნება[2].

1900 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობამ ალ. ჭიჭინაძე ისევ ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორად წამოაყენა. ქართული პრესა ამას დიდი აღფრთოვანებით შეხვდა. „ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორად დაუნიშნავთ ალექსი ბესარიონის-ძე ჭიჭინაძე, რომელიც კავკავში სახალხო სკოლების ინსპექტორად იყო. ვინც იცის ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლეების მატერიალური მდგომარეობა, რომ იგინი თითქმის ქუჩაში იკვებებიან და ამის გამო მათში სრული უზნეობა და უდისციპლინობაა გამეფებული და მათ წესრიგში ჩასაყენებლად საჭიროა დიდი ენერგია, იტყვის — სწორედ, რომ მადლობის ღირსია ალ. ჭიჭინაძე ასე თავგანწირვით რომ იკისრა ამისთანა მძიმე თანამდებობაო“,—წერდა ჟურნ. „კვალი“[3]. სხვადასხვა მიზეზის გამო, ალ. ჭიჭინაძეს

[1] იხ. გაზ. „ინდუსტრიული ქუთაისი“, 1940 წ., № 137, დ. თ ო მ ა შ ვ ი ლ ი ‘ ალექსი „აკაკი და ალექსი ჭიჭინაძე“

[2] ა ლ ე ქ ს ი ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, პასუხად — ბ-ნ იაკობ გოგებაშვილს (წერილი რედაქციის მიმართ). იხ. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ., № 2872.

[3] „კვალი“, 1900 წ., № 29, გვ. 455—456 და № 30, გვ. 472.

ისევ ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლაში მუშაობა აღარ მოუხდა: იგი იმავე 1900 წელს ერევნის გუბერნიის სახალხო სკოლათა დირექტორად დაინიშნა. იგივე „კვალი“ ცოტა ხნის შემდეგ წერდა: „ბ-ნი ალ. ჭიჭინაძე, რომელიც „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ მოიწვია ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის ინსპექტორად, დაუნიშნავთ ერევნის სახალხო სკოლების დირექტორად“ („კვალი“, 1900 წ., № 38, გვ. 601). ამ უკანასკნელ თანამდებობაზე ალ. ჭიჭინაძემ 1905 წლამდე იმუშავა. ამ ხნის განმავლობაში მან მცირე ენერგია როდი დახარჯა მის გამგებლობაში მყოფ სახალხო სკოლათა მუშაობის გარდასაქმნელად და საღ პედაგოგიკურ პრინციპებზე დასამყარებლად[1]. „ის მიდიოდა ყველგან. არა როგორც მკაცრი რევიზორი, რომელსაც სწყურია მხოლოდ გამოქექოს ცუდი და მაენებელი რამ, არამედ ისე, როგორც სწავლა-გამოცდილებით უმეტესად აღჭურვილი მასწავლებელი, რომელიც, მზად იყო ეჩვენებინა საუკეთესო მაგალითი სწავლებისა. ამიტომაც ერევნის პედაგოგიურმა საზოგადოებამ დიდი პატივისცემით გამოაცილა თავდადებული ხელმძღვანელი პედაგოგი. გამოთხოვების დროს ერთმა სოფლის მასწავლებელმა მას შემდეგი სიტყვებით მიმართა: „თქვენ იყავით ჩვენი დიდი მასწავლებელი, სათნო ჩვენია ადამიანურ ღირსებათა ამმაღლებელი. ჩვენი გონიერი თავმოყვარეობის ღირსეულად დამფასებელი! . . . თქვენ თქვენის დაუღალავის შრომით ხელახლად გაგვრწვთვენით და აღზარდეთ ჩვენში ხალხის მასწავლებლობა! თქვენ გვაქციეთ ღირსეულ მოქალაქეებად და გაგვხადეთ ნამდვილ კაცებად! თქვენ თქვენის ბაღალის სიტყვით და კეთილის მაგალითით განგვაახლებდით! თქვენ იყავით არა სასტიკი უფროსი, არამედ სიყვარულით აღსავსე — უკეთესი მამა!“[2]

როგორც ცნობილი პედაგოგი ლუარსაბ ბოცვაძე (1865—1919) წერდა, ალექსი ჭიჭინაძე „სახელმწიფო სამსახურში სულით იტანჯებოდა და მოელოდა იმ დროს, როცა სამსახურს დაასრულებდა და პენსიით გამოვიდოდა. ეს სურვილი შეუსრულდა, სამსახური დაასრულა, მაგრამ არა ახალის პენსიით, რის მოლოდინშიაც იყო“[3]. მიუხედავად ამ გარემოებისა, ზოგიერთები მაინც ეჭვის თვა-

---

[1] იხ. Отчеты об осмотре народных училищ кавказского учебного округа 1902 году, Тифлис. 1903 г., გვ. 184—198.

[2] გ ი ბ ე რ ი ა [ბოკერია გ.], ალექსი ბესარიონის-ძე ჭიჭინაძე (35 წლის პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობის გამო), ჟურ. „განათლება“, 1911 წ., № 1, გვ. 18.

[3] კახაბერი [ბოცვაძე ლ.], ალექსი ბესარიონის-ძე ჭიჭინაძე (ნეკროლოგი), ჟურ. „განათლება“, 1917 წ., № 2, გვ. 125.

ლით უყურებდნენ ალ. ჭიჭინაძის ოფიციალურ მდგომარეობას. ამიტომ წერდა გულნაკლულად იგივე ავტორი, რომ „შეუძლებელია სახელმწიფო სამსახურში პენსია დამსახურებულ ადამიანს, რაც უნდა უმწიკვლო იყოს იგი, ცოტა რამ დაღი მაინც არ გამოყვესო"[1]. ამ გარემოებით იყო, უსათუოდ, გამოწვეული ის პოლემიკაც, რომელიც იაკობ გოგებაშვილსა და ალექსი ჭიჭინაძეს შორის გაიმართა ჩვენს პრესაში 1905 წელს.

1905 წელს რევოლუციურ მოძრაობათა ზეგავლენით, კავკასიის სასწავლო ოლქი იძულებული შეიქნა ანგარიში გაეწია მოწინავე პედაგოგთა და საზოგადო მოღვაწეთა კანონიერი მოთხოვნებისათვის და ალ. ჭიჭინაძის ხელმძღვანელობით შექმნა საგანგებო კომისია, რომელსაც სახალხო სკოლების ახალი სასწავლო გეგმა უნდა შეედგინა. ალ. ჭიჭინაძემ ამ საქმეს ენერგიულად მოჰკიდა ხელი და თბილისისა და განჯა-ერევნის სახალხო მასწავლებელთა მონაწილეობით შეადგინა სახალხო სკოლის ახალი სასწავლო გეგმა, რომელიც ძირითადში სწორ პრინციპზე იყო აგებული. „ბ-ნ ჭიჭინაძის სამოსწავლო გეგმა, — წერდა იაკობ გოგებაშვილი, — თხოულობს: 1) დედაენაზე სწავლებას ყველა საგნებისას კურსის დასაწყისიდან მის დასრულებამდე; 2) დედაენის გაკვეთილს ყოველ-დღე, და ხან ორს გაკვეთილსაც; 3) რუსული ენის სწავლებას, როგორც კერძო საგნისას, და ისიც დედაენის დახმარებით. სახალხო სკოლა, როგორც რუსიფიკაციის ქარხანა, ისპობა და ხდება განათლების კერად, რომელიც, მართალია, ძლიერი არ იქნება, მაგრამ სინათლესა და სითბოს მაინც ბლომად მოჰფენს ჩვენს სამშობლოში"[2]. ი. გოგებაშვილი თუმცა ყველაფერში როდი ეთანხმებოდა კომისიის დასკვნებს, მაგრამ იანოვსკის 1881 წლის სასწავლო გეგმასთან შედარებით, ალ. ჭიჭინაძის ხელმძღვანელობით შემუშავებულ ახალ სასწავლო გეგმას ძალზე მაღალ შეფასებას აძლევდა. იგი წერდა: „ბ-ნ ჭიჭინაძის გეგმით სწავლა სახალხო სკოლებში გრძელდება ოთხს წელიწადს; მთელი კურსის განმავლობაში გადაცემა ყველა საგნებისა მიდის დედა-ენაზე; დედა-ენაზევე, როგორც საგანი, ისწავლება კურსის დასრულებამდის ხან ყოველ დღე ხან დღეში ორჯელ: რუსულს ენას ადგილი აქვს, როგორც მხოლოდ ცალკე საგანსა. განსხვავება, ვგონებ, დიდია. და ეს განსხვავება, რასაკვირველია, ნაყოფია თავმჯდომარის მეცადინეობისა"[3].

---

[1] კ ა ხ ა ბ ე რ ი [ბოცვაძე ლ.], ალექსი ბესარიონის-ძე ჭიჭინაძე (ნეკროლოგი), ჟურ. „განათლება", 1917 წ., № 2, გვ. 125.

[2] ი. ჯ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, ახალი სასწავლო გეგმის შესახებ, იხ. პედაგოგიური, თხზულებანი, ტ. II. 1940 წ., გვ. 427.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 427.

იაკობ გოგებაშვილი ძალიან სწუხდა, რომ ისეთი გამოცდილი ნიჭიერი და თავდადებული საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი, როგორიც იყო ალ. ჭიჭინაძე (თუმცა მის გვარს იგი არ ასახელებდა) მეფის მთავრობამ სამშობლოს მოაშორა და სადღაც „სპარსეთის საზღვრების ახლოს" გადაისროლა. იგი 1905 წელს თავის წერილში „შეეიწროება ქართულის ენისა და ქართველებისა სწავლა-განათლების სფერაში" გულნატკენი წერდა: „საერო სკოლების დირექტორთა შორის მხოლოდ ერთია ქართველი, და ისიც მსახურობს არა სამშობლო ქვეყანაში, საცა უმეტესის სარგებლობის მოტანა შეეძლო ხალხის სწავლა-განათლებისათვის, არამედ სადღაც შორს სპარსეთის საზღვრების ახლოს, მისთვის სრულიად უცხო წრეში, უცხო გარემოებათა შორის"[1].

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, ი. გოგებაშვილის ამ სტატიიდან ისიც გამოდიოდა, რომ ალ. ჭიჭინაძეც „მხოლოდ მას შემდეგ ეღირსა დირექტორობის თანამდებობას, როდესაც სცნო შესაძლოდ ლევიტსკის სახელმძღვანელო რუსული ენისა, რომელიც შემოიღო კიდეც რწმუნებულს მისდამი დირექციაში". ი. გოგებაშვილის ამ ბრალდებით განაწყენებული და უკმაყოფილო ალ. ჭიჭინაძე თავის წერილში „პასუხად ბ-ნ იაკობ გოგებაშვილს" აღნიშნავდა, რომ იგი სრულიად არ არის მომხრე მეთოდისა (ლევიტსკის ბუნებრივ — „მუნჯურ" მეთოდზეა ლაპარაკი. ვ. ქ.), რომელიც უარს ჰყოფს სამშობლო ენის მონაწილეობას უცხო ენის შესწავლაში და, რომ იგი მომხრეა იმისაც, რომ სხვა საგნებშიც აუხსნან მოწაფეებს სასწავლო მასალა სამშობლო ენაზე. და თუ 1904 წლის სექტემბრიდან ერევნის გუბერნიის სახალხო სკოლებში სახელმძღვანელოდ შემოღებულ იქნა ლევიტსკის წიგნი, ეს მოხდა „სასწავლო მთავრობის სურვილის თანახმად". მიუხედავად ამისა, — განაგრძობს ალ. ჭიჭინაძე, — „სამშობლო ენის დახმარება რუსული ენის სწავლებაში ჩემ მიერ არა თუ არ ჰქონდათ აკრძალული ერევნის დირექციის პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებლებს არც წინათ და არც შარშან ენკენისთვიდან, პირიქით, ხშირად ვაძლევდი ხოლმე დარიგებას რევიზიის დროს, ან როდესაც ჩემთან მოდიოდნენ, რომ საჭიროა სამშობლო ენის მონაწილეობა უცხო ენის სწავლების დროს და თან ვურჩევდი კიდეც, ვუხსნიდი, როგორ უნდა მიემართათ ამ საშუალებისათვის"[2].

---

[1] იაკობ გოგებაშვილი, პედაგოგიური თხზულებანი, 1940 წ., ტ. II, გვ. 467.

[2] ალ. ჭიჭინაძე, პასუხად ბ-ნ იაკობ გოგებაშვილს (წერილი რედაქციის მიმართ), გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905 წ., № 2673.

რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ალ. ჭიჭინაძე ყველაფერში როდი იყო მართალი. ცნობილია, რომ იგი ოფიციალური თანამდებობების დროს ზოგჯერ ადვილად უთმობდა მეფის ხელისუფლების წარმომადგენლებს და ამრიგად, ბოლომდე ვერ ინარჩუნებდა თავიდან მის მიერ სწორად აღებულ პროგრესულ გეზსა და მიმართულებას. ამას აშკარად გრძნობდა იაკობ გოგებაშვილიც და ამიტომ თავის საპასუხო წერილში „ცოტა მეტი სინათლე", თუმცა მორიდებულად, მაგრამ მაინც პრინციპულად აყენებდა საკითხს — რატომ გაავრცელა ალ. ჭიჭინაძემ ერევნის გუბერნიაში ლევიტსკის „კურსიო". ი. გოგებაშვილი წერდა: „ბ-ნი ჭიჭინაძე ამბობს, რომ ლევიტსკის კურსი ერევნის გუბერნიაში შემოვიღე თანახმად სამოსწავლო მთავრობის სურვილისაო. მაშ რაღად გამოგვებაასა, ჩვენც ხომ მხოლოდ ესა ვთქვით, და სხვა არაფერი დაგვიმატებია. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ეს სურვილი მთავრობისა არც ისე ძლიერი იყო, რომ მისი ურჩობა შეუძლებელი ყოფილიყო. თბილისის დირექციამ თავის სკოლებში ამ კურსს გზა არ გაუხსნა, თუმცა მთავრობა მასზე უფრო ძლიერად მოქმედებდა სიახლოვის გამო. მეტადრე მედგარი ბრძოლა გაუწია ინსპექტორმა პავლოვმა, რომელმაც არც ერთს თავისს რაიონის სკოლაში იგი არ შეუშვა და ამას ამართლებდა მთავრობის წინაშე იმ მოსაზრებით, რომ მასწავლებლები წინააღმდეგნი არიან ლევიტსკის წიგნისა და მე ჩემს თავს ნებას ვერ მივსცემ დავთურგვნო მათი უფლება სახელმძღვანელოების ამორჩევის შესახებაო"[1]. ი. გოგებაშვილი არც იმას უწონებდა ალ. ჭიჭინაძეს, რომ იგი ლევიტსკის სახელმძღვანელოთი მუშაობის დროს მშობლიური ენის გამოყენების ჩვევასაც აძლევდა ერევნის გუბერნიის სახალხო სკოლის მასწავლებლებს. ი. გოგებაშვილი წერდა: „ჩვენი მოკამათე იმასაც ბრძანებს, რომ მე ვურჩევდი მასწავლებლებს ლევიტსკის „კურსის" ხმარების დროს, თვალსაჩინოების გარდა, ზეპირი თარგმანიც ეხმარათო. ეს მართალი ბრძანებაა. მაგრამ თუ კი ჩაუკვირდებით საქმეს, ეს ხერხი, პირველი შეხედვით სიმპატიური, არა სასურველი გამოვა. და გამოვა იმის გამო, რომ ამითი ფეხი უმაგრდება სკოლებში იმისთანა სახელმძღვანელოს, რომელიც მოკლებულია ყველაფერს მშობლიურსა და ვნების მეტს ვერაფერს ვერ მოუტანს. მაგალითად: „კურსი" თხოულობს, რომ ქართველმა ბავშვმა კითხვაზე: სადა ცხოვრობს, უსათუოდ მიუგოს: რუსეთშიო. მას ცოდვად მიაჩნია ხსენებაც კი საქართველოსი. ზეპირი თარგმა-

---

[1] ი. გ ო გ ებ ა შ ვ ი ლ ი. ცოტა მეტი სიმართლე (პასუხად ბ-ნ ალექსი ჭიჭინაძეს). გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905 წ., № 2879.

ნის ხმარება ზოგ შემთხვევაში ასუსტებდა ერთის მხრით მასწავლებლების და მშობლების სიძულვილს სახელმძღვანელოსადმი, მეორე მხრივ, ამცირებდა უნაყოფობას ბუნებრივი მეთოდისას და ამ მეთოდის გამეფებას ჩვენს სკოლებში ხელს უწყობდა. სწორედ ამის გამო არც ავტორი—ლევიტსკი, არც სამოსწავლო მთავრობა „კურსის" ხმარების დროს არამც თუ არ უკრძალავდნენ ზეპირ თარგმანს, არამედ ურჩევდნენ ყოველ საჭირო შემთხვევაში. გონჯ ქალს ასაღებდნენ მზითევის დამატებით, და ამ შემთხვევაში მზითევის როლს თამაშობდა ზეპირი თარგმანი სიტყვებისა. ჩემი აზრით, ბევრად უკეთესად მოიქცეოდა ბ-ნი ჭიჭინაძე, რომ ლევიტსკის „კურსის" ხმარების დროს თარგმანი სასტიკად აეკრძალა, თანახმად ბუნებრივის მეთოდის მოთხოვნილებისა. მაშინ ამ მეთოდის უკუღმართობა, უნაყოფობა და სისაძაგლე დღესავით ცხადი შეიქნებოდა, სიძულვილი მასწავლებლებისა და ბავშვებისა გაძლიერდებოდა და ამითი სამარე გაეთხრებოდა მას ჩვენს სკოლაში"[1]. ალ. ჭიჭინაძე თავის მეორე საპასუხო წერილში თავს იმით იმართლებდა, რომ ისე რომ მოვქცეულიყავ, როგორც ი. გოგებაშვილი მირჩევსო, სახალხო სკოლის მოსწავლეებს დავამახინჯებდიო. იგი წერდა: „ეის გაუგონია, რომ მთელის გუბერნიის სახალხო სკოლებში განზრახ ცუდად სწავლებას ცდილობდეს კაცი, უკრძალავდეს მასწავლებლებს სამშობლო ენაზე უცნობ სიტყვების ახსნას და ურჩევდეს ამგვარად სწავლის გაძნელებას იმ განზრახვით, რომ დაამტკიცოს რომელისამე სახელმძღვანელოს ან მეთოდის უვარგისობა! რასაკვირველია, საჭიროა ჭეშმარიტების ძიება, საჭიროა დამტკიცება, რომელი მეთოდით უმჯობესია ყმაწვილების სწავლება, მაგრამ ამისათვის სხვა გზა მოიძებნება, სხვა საშუალება და არა მთელის გუბერნიის ნორჩ მოსწავლეთა ტვინის დამახინჯება"[2].

როგორც ჩანს, ალ. ჭიჭინაძე იმ ძირითად საკითხს არსებითად მაინც გვერდს უვლიდა, თუ რატომ მისცა ასე ფართო გასაქანი ერევნის გუბერნიის სახალხო სკოლებში ლევიტსკის რუსული ენის სახელმძღვანელოს, რომელიც ბუნებრივი — „მუნჯური" მეთოდის საფუძველზე იყო აგებული და რომელსაც სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს ამიერკავკასიის პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგებმა და სხვა საზოგადო მოღვაწეებმა. ამაში გამომჟღავნდა ალ. ჭიჭინაძის იდეური მერყეობა და სისუსტე ამ პერიოდში.

---

[1] ი. გ ო გ ებ ა შ ვ ი ლ ი, ცოტა მეტი სიმართლე, გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905 წ., № 2879.

[2] ალ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე. პასუხი ბატონს იაკობ გოგებაშვილს, გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905 წ., № 2913.

მიუხედავად ამისა და ამ საფუძველზე აღმოცენებული მძაფრი პოლემიკისა, იაკობ გოგებაშვილი საერთოდ მაინც დიდი პატივისმცემელი იყო ალ. ჭიჭინაძისა და საჭიროდ ცნობდა იმას, რომ იგი სამშობლოში დაბრუნებულიყო, კვლავ განეგრძო ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა და არასდროს არ აცდენოდა მის მიერ თავიდანვე აღებულ პროგრესულ საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობის ძირითად გზას და მიმართულებას.

4. ალ. ჭიჭინაძე — ხონის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორი

1905 წელს ალ. ჭიჭინაძე გადმოყვანილ იქნა ხონის საოსტატო სემინარიის დირექტორად. აქ კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა მისი საზოგადოებრივი და პედაგოგიური მოღვაწეობის სარბიელი.

„1905 წლის ზაფხულში „სპარსეთის საზღვრებიდან" ჩამოვიდა ხონის სემინარიის დირექტორად ახლად დანიშნული ალექსი ბესარიონის-ძე ჭიჭინაძე—გადმოგვცემს თავის წერილში („საყვარელი მასწავლებელი") ამ სემინარიის ყოფილი შოსწავლე, აწყამად საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი ვ. ძიძიგური.— „გულზე თეთრი წვერი ეყარა, თვალთაგან ცეცხლის ნაპერწკალი გადმოსდიოდა". სწორედ იმავე დღეებში (12 ივნისს) ქუთაისიდან ხონში ჩამოასვენეს და დაკრძალეს ერთ-ერთი განათლებული მარქსისტი, ნიჭიერი პროპაგანდისტი, მუშათა კლასის საქმის ბოლომდე ერთგული, ამხანაგ ი. სტალინისა და ლ. კეცხოველის უახლოესი მეგობარი საშა წულუკიძე. თავისი თანამებრძოლის ცხედარს ჩამოყვა 25—25 წლის არწივი სოსო ჯუღაშვილი. ბიტინგი, რომელსაც 10 ათასამდე მეტი კაცი დაესწრო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გრანდიოზულ პოლიტიკურ დემონსტრაციად გადაიქცა. იმ ფაქტით, რომ მეტად უდროოდ დაფერფლილ მგზნებარე რევოლუციონერის პატივსაცემად მოწყობილ დიდ მიტინგზე დასწრება ახალმა დირექტორმა ალექსი ჭიჭინაძემ არათუ არ დაგვიშალა მანამდე სულ პანსიონში ჩაკეტილ სემინარიელებს, არაპირდ თვითონაც დიდად წუხდა დიდი რევოლუციონერის დაკარგვას,— ჩვენ ყველამ პირველად და ნათლად ვიგრძენით, თუ ვის მხარეზე იყო ალექსი ჭიჭინაძე"[1]. ასე უწყობდა ხელს. თუმცა დაფარულ ფორმებში, ივი სემინარიის მოსწავლეებში რევოლუციური იდეების შეპრას.

---

[1] ვ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, საყვარელი მასწავლებელი, გაზეთი „სახალხო განათლება", 1946 წ., № 23.

ალექსი ჭიჭინაძე ხონში ჩასვლისთანავე გულმოდგინედ შეუდგა სახალხო სკოლებისათვის ჯანსაღ პრინციპებზე აღზრდილი პედაგოგების მომზადებას, შემოიკრიბა საუკეთესო პედაგოგიური ძალები და დარაზმა ისინი თავისი მაღალი პედაგოგიური იდეების განსახორციელებლად. უდიდესი სიყვარულით და პატივისცემით ეპყრობოდა ალ. ჭიჭინაძე როგორც სემინარიის მასწავლებლებს, ისე მოსწავლეებსაც. „უპირველესად ვარ ადამიანი და პედაგოგი! უნდა მოვქმედებდე კეთილი სიტყვით, და არა უფლება მოსილებით! მე ვარ მასწავლებელი და ვასწავლი!... თქვენც ასე მოიქეცით: კეთილი სიტყვებით და მაგალითებით იქონიეთ გავლენა ყმაწვილებზე და დაიმსახურეთ მათი პატივისცემაო!“ —არიგებდა იგი თავის კოლეგებს[1]. ალ. ჭიჭინაძე პირადი მაგალითებით თუ რჩევა-დარიგებით მაღალ პროგრესულ გრძნობებსა და იდეებს უნერგავდა ახალგაზრდობას. თავის მეორე მოგონებაში ვ. ძ ი ძ ი გ უ რ ი შემდეგ საინტერესო ფაქტს გადმოგვცემს: „როცა (1909 წელს) რუსეთის დიდებული ბწერლის გოგოლის ასი წლის იუბილე სემინარიას ოფიციალურად უნდა გადაეხადა, მე იუბილეში მონაწილეობის მიღებაზე უარი განვაცხადე. ამხანაგებმა მოახსენეს დირექტორს. ალექსი ჭიჭინაძემ დამიბარა თავის კაბინეტში და „განდგომის“ მიზეზი მკითხა, მე ვუპასუხე: მთავრობამ აკაკი წერეთლის იუბილეში მონაწილეობის უფლება არ მოგვცა, გოგოლის იუბილეს კი გვაიძულებს - მეთქი. ჭიჭინაძემ გაიცინა და მითხრა: „რუსეთის ჩინოვნიკებია ცუდი, თორემ გოგოლი და რუსი ხალხი კარგიაო“, თან წინადადება მომცა იუბილეში მონაწილეობა მიმეღო“[2].

ხონის საოსტატო სემინარია, სადაც ალ. ჭიჭინაძე 1914 წლამდე მოღვაწეობდა, მისი ენერგიული ხელმძღვანელობით იმ დროისათვის საუკეთესო პედაგოგიურ სასწავლებლად გადაიქცა. იგი კვალიფიციური სახალხო მასწავლებლების სამჭედლო იყო. სამართლიანად წერდა ლუარსაბ ბოცვაძე: „მისი (ალ. ჭიჭინაძის. ვ. ქ.) ღვაწლი ჩვენი ქვეყნისათვის ყველაზე უფრო ნაყოფიერი ამ ცხრა წლის განმავლობაში იყო, როცა ეს დაუღალავი მოღვაწე სათავეში ედგა ისეთ სასწავლებელს, საიდანაც გამოდიოდნენ სახალხო მასწავლებლები. ყოველწლიურად ოც-ოცი კარგად მომზადებული, თავის საშობლო ქვეყნის და საქმის მოყვარული, მასწავლებელი მაინც გამოდიოდა ხონის საოსტატო სემინარიიდან უკანასკნელ წლებში.

---

[1] „ვანათლება“, 1911 წ., № 1, გვ. 20.

[2] ვ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, აკაკი წერეთელი (მოგონება) „მნათობი“, 1945 წ., № 2—3, გვ. 161—165.

და თუ მათ ეროვნული საქმის გაკეთების რაიმე უნარი გამოჰყვათ, ეს იყო ალექსი ჭიჭინაძის მოღვაწეობის ერთი საუკეთესო შედეგი"[1].

თავის გამოსათხოვარ სიტყვაში სემინარიის მოსწავლეებისადმი ალ. ჭიჭინაძემ გულწრფელად აღნიშნა ის დიდი სიყვარული, რომელსაც იგი თავის მოსწავლეებისადმი იჩენდა. „თქვენ კარგად იცით, ყმაწვილებო, რომ დილიდან საღამომდის თქვენს შორის ვტრიალებდი და რომ მარტო ამით არ თავდებოდა ჩემი შრომა. თქვენ რომ მოგშორდებოდით ხოლმე, როდესაც დასაძინებლად წახვიდოდით, მას შემდგომაც თავს არ მანებებდნენ ფიქრები, რომელთა საგანი ისევ თქვენ იყავით: ვარკვევდი, რა გამეკეთებია თქვენთვის ხვალ, რა მეჩვენებია, რომ სწორ გზაზე გევლოთ, უფრო ღრმად შეგეგნოთ ნამდვილი თქვენი მიზანი და გაწვრთნილი ყოფილიყავით მომავალი თქვენი წმინდა საქმისათვის... თვითეულს თქვენთაგანში ვხედავდი მე მომავალს მშრომელს სკოლისათვის, მოღვაწეს ჩვენის ერის განათლებისათვის და ვცდილობდი, რომ ერთიც თქვენთაგანი არ ჩამორჩენოდა უკან ამხანაგებს და მით არ შემცირებულიყო მშრომელთა გუნდი მომავლისათვის"[2]. ამავე დროს ალ. ჭიჭინაძე პედაგოგიური მეცნიერეტყველებით შთააგონებდა მოსწავლეებს: „თქვენც თქვენს ალაგას შუდამ მოცულნი უნდა იყოთ ფიქრით, შუდამ შრომობდეთ ხალხის განათლებისათვის, განუწყვეტლივ თვალყურს ადევნებდეთ ჩვენი ცხოვრების ნაკლს და ცდილობდეთ მის შევსებას... თქვენზე ბევრად დამოკიდებულია ჩვენი ცხოვრების ავი და კარგი. თუ თქვენ ფხიზლად იქნებით, ენერგიულად იშრომებთ, არ შესწყვეტთ საკუთარი ძალღონის განვითარებას და განკარგებას, მაშინ ჩვენი ერიც ამაღლდება გონებით და ეცდება ისიც სათვალავში იყოს, ისიც ერად იხსენებოდეს რუსეთის სახელმწიფოში, მასაც საკმაო ეროვნული უფლება ჰქონდეს სხვა ერთა შორის, თითონაც კეთილდღეობაში იყოს და საერთო მამულის საქმეშიაც თავისებური წვლილი შეჰქონდეს. თქვენც გაქვთ სამშობლო, ეს კეკლუცი საქართველო, რომლის ბედნიერებისათვისაც უნდა იღწვოდეთ, ერთი წუთით არ დაივიწყოთ, რომ თქვენ გაბარიათ აკვანი ძვირფასის ყრმითურთ"[3].

ასეთი გულისხმიერი აღმზრდელი-პედაგოგი იყო ალ. ჭიჭინაძე. ამიტომ უთხრეს მას ხონის საოსტატო სემინარიიდან წამოს-

---

[1] ლ. ბოცვაძე, ალექსი ბესარიონის-ძე ჭიჭინაძე, ჟურ. „განათლება", 1914 წ., № 7, გვ. 540.

[2] ალ. ჭიჭინაძე, გამოსალმება, ჟურ. „განათლება", 1914 წ., № 7, გვ. 541—542.

[3] „განათლება", 1914 წ., № 7, გვ. 542.

ვლისას: „თქვენი ფრიად ჰუმანიური პიროვნება მაგონებს იმ კეთილ-გონიერ მებალეს, რომელსაც უბრალო, ნორჩი ხის ტოტიც კი მისდამი რწმუნებულ ბაღისა საგანგებოდ უყვარს, უვლის და თავს არ იზოგავს მის საკეთილდღეოდ... რამდენი, ჯერ ნორჩი, საზოგადოებრივ ქარიშხლისაგან დაზიანებული ახალგაზრდა ყმაწვილი დაგიხსნიათ დაცემისაგან, მამაშვილურის სიყვარულით მიახლოვებიხართ, სათნო მოპყრობით გაგიღვიძებიათ მათ გულში მიმქრალი ადამიანური გრძნობები, სურნელოვანი მალამო მოგიცხიათ მათ ზნეობრივ ჭრილობათათვის, ფრთხილად შეგიხვევიათ მათი იარები, ისევ მიგიკრავთ საზოგადოებრივ ტანს და მანამ არ მოგიკლიათ კეთილი მზრუნველობა, სანამ არ დარწმუნებულხართ, რომ სუსტი ტოტი გამაგრებულა და მომწიფებულა კეთილი ნაყოფის გამოსაღებად"[1].

5. ალ. ჭიჭინაძე — თბილისის ქართული გიმნაზიის დირექტორი

1914 წელს მხცოვანი პედაგოგი ალ. ჭიჭინაძე გადმოყვანილი იქნა თბილისში და დაინიშნა ქართული გიმნაზიის დირექტორად[2]. მან საპროგრამო სიტყვით მიმართა ქართული გიმნაზიის მოსწავლეებს, რომელშიაც მკვეთრად ჩამოაყალიბა ქართული გიმნაზიის ძირითადი პედაგოგიური და ეროვნული ამოცანები. „ამ სასწავლებელმა—ამბობდა ალ. ჭიჭინაძე, — უნდა აღგვიზარდონ შთამომავლობა ჯანით საღი, გამობრძედებული შრომაში, გონებით განვითარებული, საუკეთესო კაცობრიული გრძნობით აღძრულნი, სულითა და გულით ნამდვილი შვილნი ქართველის ერისა, სამშობლოს ერთგულნი თავგანწირულობამდის და სასარგებლო საერთო მამულისათვის, რომლის შემადგენელ ერთა შორის ჩვენც შესაფერი საპატიო ადგილი უნდა გვეპიროს. ამ ღირსებით უნდა აღეჭურვოს ჩვენმა სკოლამ ქართველი, რომ მან ცხოვრების ასპარეზზე ბრძოლა არ წააგოს და გზა ცხოვრებისა სხვას არ დაუთმოს, არ დაკარგოს თავისი კეკლუცი სამშობლო, როძლის დაცვისათვის ორი ათას წელზე მეტია მუდამ სისხლის ღვრაში და წამებული იყო ქართველი ერი. დიაღ, უნდა აღეჭურვოს ამ ღირსებით და ამისათვის აუცილებლად საჭიროა სწორი აღზრდა, ნამდვილი განათლება, ჭეშმარიტი განდიდრება გონებისა მეცნიერულის ცოდნით და გაწვრთნა საქმიანობაში, შრომაში;

---

[1] გ. ხ ა ჯ ო მ ი ა, ალექსი ბესარიონის-ძე ჭიჭინაძის გამოთხოვების ას, ჟურ. „განათლება", 1914 წ., № 8, გვ. 631.

[2] არ არის სწორი სოლ. ცაიშვილის ცნობა, რომ თითქოს ალ. ჭიჭინაძე ხონის საოსტატო სემინარიიდან „გადაჰყავთ ქუთაისის ქართული გიმნაზიის დირექტორად, სადაც სიკვდილამდე — 1917 წლამდე მოღვაწეობდა" (იხ. გაზ. „საბჭოთა მასწავლებელი", 1939 წ., № 6).

ოფლით მოპოვებაა საპირო ყოველის ცოდნისა და ამასთანავე შე-ძენილის ცოდნის გამოყენებისა"[1]. ალ. ჭიჭინაძე მოუწოდებდა გიმ-ნაზიის მოსწავლეებს: „ცუდს ნუ ათქმევინებთ ვისმე ქართველობა-ზე... არ შეარცხვინოთ დედა სასწავლებელი... აღიზარდეთ მშობ-ელთა სანუგეშოდ, სანუგეშოდ ძვირფასის ჩვენის სამშობლოისა და სასარგებლო მოქალაქეებად მამულისათვის"[2].

თვითონ, როგორც დირექტორი და მასწავლებელი, ალ. ჭიჭი-ნაძე სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე ყველაფერს აკეთებდა იმი-სათვის, რომ ქართულ გიმნაზიას საუკეთესოდ განეხორციელებინა მისი ძირითადი ამოცანები, რომ გიმნაზიის მოსწავლეები საფუძ-ველიანი ცოდნა-მომზადებითა და სანიმუშო დისციპლინით საუკე-თესოთა შორის მოწინავენი ყოფილიყვნენ. ალ. ჭიჭინაძე „ყოველ ღონეს ხმარობდა გიმნაზიის საქმეები გამოესწორებია,— წერს თავის მოგონებაში თბილისის ქართული გიმნაზიის იმდროინდელი მას-წავლებელი სეით იაშვილი.— დღე და ღამე მუშაობდა და ამუ-შავებდა პედაგოგიურ საბჭოსაც. ალ. ჭიჭინაძის თაოსნობით გიმნა-ზიის მოსამზადებელ განყოფილებებში შემოღებულ იქნა სწავლების საკლასო სისტემა. შემუშავდა კლასის დამრიგებელთათვის სახელ-მძღვანელო ინსტრუქცია. გადასინჯულ იქნა სასწავლო გეგმები და პროგრამები. იმართებოდა რეფერატები და სალიტერატურო ვოკა-ლურ-მუსიკალური დილები, ამუშავდა მშობელთა წრის საბჭოც, რომელმაც ზოგიერთი კლასებისათვის წიგნსაცავი თავისი ხარჯით გამართა... პედაგოგიურ საბჭოს მრავალჯერ ჰქონდა თათბირი იმის შესახებ, თუ როგორ განეხორციელებია გიმნაზიაში 1914 წლის 1 ივლისის კანონი, რომელიც უფლებას ანიჭებდა კერძო სასწავლებ-ლებს საგნების სწავლება ეწარმოებინათ დედაენის საშუალებით, და ამ საკითხის შესახებ საბჭომ დაადგინა— 1915 აასწავლო წლიდან გა-ნეხორციელებია მოსამზადებელსა და პირველ კლასებში ქართულ ენაზე საგნების სწავლება და შემდგომ თანდათან გატარებულიყო იგი მაღალ კლასებში. ეს დადგენილება მოწონებულ და დამტკი-ცებულ იქნა გამგე-კომიტეტისა და საზოგადო კრების მიერ და პე-დაგოგიური საბჭო უკვე შეუდგა ამ საქმის პრაქტიკაში განხორცი-ელებას 1915 წლის 1 სექტემბრიდან. ამავე დროს ჩვენი გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო, ქუთაისის ქართული გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით, შეუდგა ქართულ ენაზე შედგენილი სა-

---

[1] ალ. ჭიჭინაძე. სიტყვა. თქმული თბილისის სათავად-აზნაურო ქართულს კერძო გიმნაზიაში სწავლის დაწყებისა წინ, 1914 წლის სექტემბრის 1-ს, ჟურ. „განათლება", 1914 წ., № 7, გვ. ნაკ.

[2] იქვე, გვ. ბაკ.

ელმძღვანელოების დამზადებას"[1]. ამ გეგმით და ამ ძირითადი ამოცანების განსახორციელებლად თავგანწირვით მუშაობდა ალ. ჭიჭინაძე ახალ თანამდებობაზე მისთვის საყვარელ ქართულ გიმნაზიაში. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის (1914—1917 წ.წ.) მძიმე პირობებისა, ალექსი ჭიჭინაძის დაუღალავი და შეუნელებელი შრომა-მეცადინეობის მეოხებით თბილისის ქართული გიმნაზია ბრწყინვალედ ახორციელებდა თავის ამ ძირითად ამოცანებს.

გამოჩენილ პედაგოგს არ დასცალდა მისი პედაგოგიური გეგმების ბოლომდე მიყვანა ქართულ გიმნაზიაში. სამართლიანად წერდა ლუარსაბ ბოცვაძე: „ორმოცი წლის განმავლობაში საპედაგოგო ასპარეზზე მოქანცულს მოსვენება და ბოლოს შესაფერი სამუშაო ერჩია, მაგრამ გარემოებამ აიძულა ბოლოს ისეთი მძიმე ტვირთი მიეღო თავზე, რომლის ატანა მისს დაუძლურებულს სხეულს არ ძალედვა. მაინც გასაოცარი მხნეობით შეუდგა იგი გიმნაზიის ხელმძღვანელობას და უკანასკნელი ჯანი მას შეალია"[2]. სამშობლო ქვეყნის წინაშე საკმარისად ვალმოხდილი საზოგადო მოღვაწე, გამოცდილი და ენერგიული პედაგოგი ალექსი ბესარიონის-ძე ჭიჭინაძე უეცრად გარდაიცვალა 1917 წლის 9 თებერვალს (ახალი სტილით) და სამარეში თან ჩაიტანა ლამაზი საშობლოს, მოსწავლე ახალგაზრდობისა და დაუცხრომელი პედაგოგიური მოღვაწეობისადმი ღრმა სიყვარული.

6. ალ. ჭიჭინაძის პედაგოგიკურ-დიდაქტიკური შეხედულებანი

ალ. ჭიჭინაძე არა მარტო დიდი პრაქტიკოსი პედაგოგი და საბალხო განათლების გამოცდილი და უნარიანი ხელმძღვანელი იყო, არამედ, ამავე დროს, იგი პედაგოგიკის მრავალ, იმდროისათვის აქტუალურ საკითხსაც აშუქებდა ჩვენში. ალ. ჭიჭინაძის მრავალმხრივ საინტერესო პედაგოგიკურ-დიდაქტიკური შეხედულებანი ჩამოყალიბდა დასავლეთ ევროპისა (კომენსკი, რუსო, პესტალოცი) და რუსეთის დიდი პედაგოგების (ჩერნიშევსკი, პიროგოვი, უშინსკი) პროგრესულ პედაგოგიკურ მოძღვრებათა საფუძველზე და საკმაოდ უპასუხებდა ჩვენში სწავლა-აღზრდის განვითარების აქტუალურ ამოცანებს.

---

[1] სვეთიაშვილი, მასალები თბილისის ქართული გიმნაზიის ისტორიისათვის, საქ. სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 1942, გვ. 61.

[2] ლ. ბოცვაძე [კახაბერი], ალექსი ბესარიონის-ძე ჭიჭინაძე (1851—1917 წ. წ.), ჟურ. „განათლება", 1917 წ., № 2, გვ. 125.

ალ. ჭიჭინაძის პედაგოგიკურ შეხედულებათა ძირითად ამოსავალ დებულებას წარმოადგენდა ადამიანთა (ბავშვთა) ბუნებრივი ძალების ჰარმონიული განვითარების უზრუნველყოფა სწავლა-აღზრდის ერთიან პროცესში და ამ გზით საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა. „პირველყოვლისა საჭიროა ადამიანიათვის,— წერდა იგი,— გონებრივ ძალთა განვითარება, გაღვიძება მის გულში და გაწვრთნა კეთილშობილურ გრძნობათა და მისწრაფებათა, რომ იგი შეიქმნეს ადამიანად“[1]. ამისათვის აუცილებელია, რომ ადამიანის „ბუნებრივი ნიჭი ჩვენ ვავარჯიშოთ, ვამუშაოთ და განვავითაროთ“[2]. ადამიანის ძალთა, უნართა და აზროვნების განვითარებასრულყოფის უმთავრეს საშუალებას სწავლის გზით ობიექტური სინამდვილის საფუძვლიანი ცოდნა წარმოადგენს. ადამიანის „გონებრივი მოთხოვნილება კმაყოფილდება მაშინ, როდესაც ადამიანი იძენს ცოდნას გარემომცველს ბუნებაზედ და სხვადასხვა მოვლენაზე ბუნებაში თუ ადამიანთა ცხოვრებაში. ამასობაში იწვრთნება გონება და მრავალნაირ ფორმას ღებულობს მისი აზროვნება“[3]. სწავლა-განათლების არსებითი მიზანი, ალ. ჭიჭინაძის აზრით, სწორედ ის არის, რომ ჰარმონიულად განავითაროს ადამიანის (მოზარდის) ყველა ბუნებრივი ძალა. „სწავლა-მეცადინეობის დრო მოზარდისა უნდა იყოს განაწილებული იმგვარად, რომ ყველა მხარეებს სხეულის და სულის მოთხოვნილებებისას შესაფერისი მასალა და ვარჯიშობა ჰქონდეს“[4]. სწავლა ცოდნის მიღება-შეთვისებას ნიშნავს, ხოლო ცოდნა „ცნებანია ერთგვარად დალაგებულნი და ლოგიკურად დაკავშირებული ერთმანეთს შორის“[5]. ასეთი სისტემატური ცოდნის მიღება თავისებურ „ფსიქიკურ ჰიგიენას“ წარმოადგენს, რომელიც არა მარტო ბავშვის გონებას ავითარებს, არამედ მის მთელ სულიერ ძალებსაც ასპეტაკებს. „ადამიანის გონების განვითარებისა და გამდიდრებისათვის, მის სულში კეთილ გრძნობათა აყვავებისათვის საჭიროა თავისებური ჰავა, თავისებური დარ-ავდარი, ანუ ფსიქიური ჰიგიენა, რომელიც მოითხოვს ნორმალურს ზრდას სხეულისას, ჯანმრთე-

---

[1] კრებული „ი. გოგებაშვილის სახსოვრად“, 1913 წ., გვ. 245.

[2] ალ. ჭიჭინაძე, სიტყვა, თქმული თბილისის სათავად-აზნაურო ქართულს კერძო გიმნაზიაში სწავლის დაწყების წინ, 1914 წლის სექტემბრის 1-ს, ჟურ. „განათლება“, 1914 წ., № 7, გვ. 253.

[3] ალ. ჭიჭინაძე, რიერაეზე სათქმელი, 1915 წ., გვ. 30.

[4] იქვე, გვ. 40.

[5] ალ. ჭიჭინაძე, საჭიროა განვახორციელოთ 1914 წლის 1 ივლისის კანონი, ჟურ. „განათლება“, 1915 წ., № 4, გვ. 315.

ლობის დაცვას და ამასთანავე აუცილებლად გრძნობელობით საჭიროებათა დაკმაყოფილებასაც", — წერდა ალ. ჭიჭინაძე[1].

ალ. ჭიჭინაძის პედაგოგიური შეხედულებანი შეიძლება შემდეგ საკითხებად დავალაგოთ.

ა. სკოლის ძირითადი ამოცანა და მშობლიურ ენაზე სწავლება

ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის ძირითად მიზნიდან — მივცეთ ახალგაზრდობას „ნამდვილი განათლება, ჭეშმარიტი გამდიდრება გონებისა მეცნიერულის ცოდნით და გაწვრთნა საქმიანობაში, შრომაში" გამომდინარეობს პედაგოგიური მოღვაწეობის მთავარი ამოცანა — „აღვზარდოთ ჯანსაღი, გონებაფხიზელი, შრომის მწყურვალე და მტკიცე ნებისყოფის მქონე ახალგაზრდობა"[2]. ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდისა და პედაგოგიური შრომის ამ ძირითადი ამოცანის განხორციელება მხოლოდ ს ა ს კ ო ლ ო პირობებში არის შესაძლებელი. „სკოლა, — წერდა ალ. ჭიჭინაძე, — ერთი უმთავრეს საშუალებათაგანია საღი სხეულის და გონების აღსაზრდელად და მტკიცე ხასიათის შესამუშავებლად"[3].

სკოლამ უნდა მისცეს ახალგაზრდობას სრულყოფილი მომზადება და განავითაროს მისი ძალები. როდის შესძლებს სკოლა ამის მიღწევას? მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი მიზნად დაისახავს პირველ რიგში მოსწავლეთა შეიარაღებას ზოგადი განათლების საფუძველებით. ალ. ჭიჭინაძე სასტიკად ებრძოდა ყველას, ვინც ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდაში სპეციალურ-ტექნიკური ცოდნის მიღებას უპირატესობას ანიჭებდნენ. ამ პირებს, „გატაცებულთ პრაქტიკულის მოსაზრებით, სრული წარმოდგენა არ ჰქონდათ, რა არის სწავლა-აღზრდა, როგორც ეგეთი, როგორც მთლიანი რამ, როგორც სისტემა ადამიანის ფიზიკურის და სულიერის განვითარებისა"[4]. მათ არ ესმოდათ, რომ ადამიანის ბუნებრივ ძალთა და უნართა სრულყოფისათვის „საჭიროა წინასწარი ზოგადი განათლება, ყოველმხრივი განვითარება ადამიანის სულისა და ფიზიკურის მხარეებისა, რომელიც მდგომარეობს ჯანმრთელობის სისაღეში, კეთილგრძნობათა გაღვიძება-გაძლიერებაში, გონების განვითარება-გაძლიერებაში და ნებისყოფისა და ხასიათის განმტკიცებაში"[5].

ზოგადი განათლება არის სპეციალურ-პროფესიული მომზადების აუცილებელი წინაპირობა. „საჭიროა სხვაც ბევრი რამ პრაქტიკუ-

---

[1] ალ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, რიეკრაეზე სათქმელი, 1915 წ., გვ. 43.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 7.
[3] ი ქ ვ ე. გვ. 7.
[4] ი ქ ვ ე, გვ. 12.
[5] ი ქ ვ ე, გვ. 13.

ლი ცოდნა, მაგრამ ყველას ამას წინ უნდა უძღვოდეს ზოგადი განათლება, ყოველმხრივი განვითარება მოსწავლისა"[1]. ზოგად განათლებას დაუფლებული ახალგაზრდა „სპეციალურს განათლებასაც საფუძვლიანად მიიღებს და შემდგომ თავის სპეციალობას, თავის პროფესიონალურ ცოდნას სხვაზე არაფერზე გასცვლის და გამოიყენებს ცხოვრებაში თავისთვისაც და საზოგადოებისთვისაც"[2]. ამიტომ იცავდა ასე თავგამოდებით ალ. ჭიჭინაძე ჩვენი საზოგადოებისათვის ზოგადი განათლების ტიპის ისეთი დაწესებულებების პრესტიჟს, როგორიც იყო თბილისისა და ქუთაისის ქართული გიმნაზიები, რომელთაც ერთ დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგიერთი გავლენიანი პირიც კი რეალურ-უტილიტარული განათლების მისაღებ დაწესებულებად უპირებდა გადაკეთებას.

სკოლა თავის დიდ ეროვნულ სახელმწიფოებრივ დანიშნულებას, ალ. ჭიჭინაძის აზრით, მხოლოდ მაშინ განახორციელებს ხეირიანად და რაციონალურად, როდესაც სწავლება სკოლაში მშობლიურ—ქართულ ენაზე იწარმოებს. „სამშობლო ენა არის ის წმინდა, მეტად ნაზი ძაფები სულისა, რომელიც მასზე მოლაპარაკეთ ბუნებრივად აკავშირებს ერთმანეთთან, უხილავად აერთებს. სამშობლო ენაზე ნათქვამი ღრმად სწვდება მოსაუბრეთა გულს და იწვევს თანაგრძნობას და აზრთა თანხმობას",—ამბობდა ალ. ჭიჭინაძე თავის მიმართვაში თბილისის ქართული გიმნაზიის მოსწავლეებისადმი[3]. „ღვიძლი ენა საუკეთესო იარაღად ითვლება ყმაწვილის სულიერი აღორძინებისა და განვითარებისათვის",—წერდა იგი[4]. ამიტომ გამოეხმაურა ასე ფართოდ ჩვენი პედაგოგი მეფის მთავრობის 1914 წლის პირველი ივლისის ცნობილ კანონს, რომელიც უფლებას იძლეოდა კერძო სასწავლებლებში სწავლება მშობლიურ ენაზე განპორციელებულიყო, გარდა რუსული ენისა, რუსეთის ისტორიისა, რუსეთის გეოგრაფიისა და რუსული ლიტერატურისა. თავის წერილში „საჭიროა განვახორციელოთ 1914 წლის პირველი ივლისის კანონი", ალ. ჭიჭინაძე წერდა, რომ ახალგაზრდები მხოლოდ „სამშობლო ენის საშუალებით იწვრთნებიან გონებრივად და ზნეობრივად... ბუნებრივად იფურჩქნებიან შემოქმედებითი ძალები სულისა, ვითარდებიან და მზადდებიან, რომ თავის დროს განხორციელებულ იქნან ამა თუ იმ ცოდნაში, ამა თუ იმ მეცნიერებაში ან ხელოვნებაში"[5]. ხოლო უცხო, გაუგებარ, რუსულ ენაზე სწავლება კი, პირი

[1] ალ. ჭიჭინაძე, რიეკრაეზე სათქმელი, 1915 წ., გვ. 14.
[2] იქვე, გვ 62.
[3] „განათლება". 1914 წ., № 7, გვ. 552.
[4] ალ. ჭიჭინაძე, რიეკოაეზე საოქმელი, გვ. 3
[5] ალ. ჭიჭინაძე, საჭიროა განვაორციელოთ 1914 წლის 1 ივლისის კანონი, ეურ. „განათლება" 1915 წ., № 4, გვ. 315.

ქით, იწვევს „ეზადახშულობას, სულიერად აკნინებს ადამიანს, აღატაკებს ბის გონების სალაროს. შემოქმედებითი ნიჭი მისი ჩლუნგდება... აზროვნება... სდუნდება, ზანტდება და იწყება სიზარმაცე. თუ გვინდა მომავალში მაინც განვთავისუფლდეთ ამ დიდ მნიშვნელოვან ნაკლთაგან (ამის არ ნდომა კი უარყოფა იქნებოდა თავისთავისა), აუცილებლად საჭიროა ჩვენი შვილების სწავლა-განათლების საქმე მოწყობილ იქნას სამშობლო ენაზე. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ სკოლა სამშობლო ენისა მისცემს ჩვენს ახალთაობას ბევრად უფრო მეტს ცოდნას, ვიდრე ახლა ეძლევა რუსულ ენაზე, და უფრო საფუძვლიანს, უფრო მტკიცეს"[1]. კიდევ უფრო ადრე ალ. ჭიჭინაძე აღნიშნავდა, რომ მშობლიურ ენაზე განათლების მიღება ყოველი ადამიანის ისეთივე უფლებაა, როგორიც არის მისი არსებობა, სიცოცხლე. იგი წერდა, რომ „სწორედ ამ გვარსავე მარტივს უფლებას წარმოადგენს ადამიანის უფლება სულიერის განვითარებისა და პირველდაწყებითი ცოდნის შეძენისა, რაიცა მოსახერხებელია მხოლოდ და მხოლოდ სამშობლო ენაზე იმ პირობით, რომ არ შეილახოს ადამიანის თავისებურება, რომელშიაც ინახება დასაზოგი შემოქმედებისა, და დაუბრკოლებლად მიდიოდეს წინ გონების განვითარება და გამდიდრება უუსაჭიროესი ცოდნითა"[2]. მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების მიღება ალ. ჭიჭინაძეს მიაჩნდა იმ ეროვნულ უფლებად, რომლის განსახორციელებლად „ჯერ კიდევ დიდი სიჭარმაგე უნდა გამოვიჩინოთ და დიდი ოფლი უნდა დაიღვაროს"[3].

ალ. ჭიჭინაძე დიდათ სწუხდა იმის გამო, რომ „დროთა ვითარებამ ძალიან მცირე როლი არგუნა ჩვენს ენას ქართველ ყრმათა სწავლა-აღზრდის საქმეში, და ეგ დიდი დანაკლისია მოზარდი თაობის სულიერი განვითარებისათვის. ქართველს მოსწავლეს, რომელიც რვა-ცხრა წლისა შედის სკოლაში, სრულიად უცოდინარი რუსულის ენისა, ევალება იმდენისავე ცოდნის შეძენა რუსული ენის საშუალებით, რამდენიც რუსთა შვილებს, რომელთაც დედის ძუძუსთან ერთად შესისხლხორცებიათ რუსული ენა და, რასაკვირველია, ერთ-ათად უფრო ეადვილებათ ცოდნის შეძენა, ვიდრე ჩვენებს. ამის გამო ქართველი ყრმა რუსთან შედარებით უმეტეს შემთხვევაში ჩამორჩენილია სწავლაში, და ამ ჩამორჩენილობაზე უარესი კიდევ ის არის, რომ სულიერი ზრდა მისი, რომელიც სკოლაში შესვლამდის

---

[1] „განათლება". 1915 წ., № 4, გვ. 315.

[2] ალ. ჭიჭინაძე, პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა, მეორე გამოცემა. 1913 წ., გვ. 11.

[3] ალ. ჭიჭინაძე, რიეკრაეზე სათქმელი, გვ. 29.

ბუნებრივად მიდიოდა, სკოლაში შესვლისთანავე ერთბაშად სწყდება და იწყება მისი გადაკეთება-გადაგვარება... უეჭველია ეს გარემოება ასუსტებს გონებით ძალებს მოზარდის თაობისას და აფერხებს სულიერს ზრდას ერისას"[1].

ბ. შეგნებულობა სწავლებაში

მშობლიურ ენაზე სწავლების განხორციელება შეგნებული სწავლა-აღზრდის ძირითადი პირობაა. თუ სწავლება „მშობლიურ ენაზე იწარმოებს, — წერდა ალ. ჭიჭინაძე, — მაშინ ქართველ მოსწავლეებს დიდად შეუმსუბუქდებათ მძიმე ტვირთი სწავლისა. შეგნებულება იმატებს, იმატებს სწავლის ხალისიც და ეს გარემოება კეთილს გავლენას იქონიებს საერთოდ სწავლა-აღზრდის მსვლელობაზე და კერძოდ რუსული ენის შეთვისებაზედაც"[2], რადგანაც არამშობლიურ, რუსულ ენაზე „საგნების ცოდნა დამყარებულია მხოლოდ მ ე ხ ს ი ე რ ე ბ ი ს კ ა რ ჯ ი შ ო ბ ა ზ ე და ამის გამო სასწავლებო მასალის დამუშავებას არა აქვს ის დიდი ა ღ მ ზ რ დ ე ლ ო ბ ი ო ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა, რომელიც უნდა ჰქონდეს ადამიანისათვის მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ი ს გაცნობას"[3]. თავის ამ პედაგოგიკურ დებულებათა დასასაბუთებლად და განსამტკიცებლად ალ. ჭიჭინაძე, დასავლეთ ევროპისა და რუსეთის მოწინავე პედაგოგთა შეხედულებებთან ერთად, სასიქადულო ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ი. გოგებაშვილის შეხედულებებსაც იშველიებდა. იგი წერდა: „იაკობისათვის ცხადი იყო, რომ შეგნებული სწავლა, სწავლა განმავითარებელი, სწავლა გამახალისებელი, სასწავლო გამამდიდრებელი ცოდნითა, აღზრდა გამღვიძებელი გულში და გამწვრთნელი კეთილ-გრძნობათა, — ამისთანა სწავლა-აღზრდა ყოვლად შეუძლებელია იქ, სადაც პირველდაწყებითი სწავლება სწარმოებს მოსწავლეთათვის გაუგებარს ენაზე. წარმოუდგენელი იყო მისთვის განხორციელება დიდებულ პიროგოვისა და უშინსკის მოძღვრებათა, რომელთაც გვამცნეს დასავლეთ ევროპის იმდროინდელი საღი პედაგოგიის მოთხოვნილება, — წარმოუდგენელი იყო, ვინაიდან მონაწილეობა სკოლაში სამშობლო ენისა, როგორც სწავლების იარაღისა და ურთიერთობისა მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის, უარყოფილი იყო. პირდაპირ ამით აიხსნება, რომ სასწავლებლები იმ დროისა შეიქმნენ სიბნელით მოცულნი ყრმათათვის და ისე გა-

---

[1] ა ლ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა, 1913 წ., გვ 1.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 111.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 11.

ურბოდნენ სკოლას, როგორც რომელსამე საოცარს ჭირს, როგორც ჟამს"[1].

შეგნებული სწავლება სკოლაში შეუთავსებელია მოსწავლეთა პასიურობასთან, „პასიური მდგომარეობა მოწაფეთა, მათი აქტიურად უმონაწილეობა სწავლის პროცესში, მეტად ადუნებს, ასუსტებს მათ ყურადღებას, ხელს უშლის აზროვნებას და შეგნებით შეთვისებას სასწავლო მასალისას"— წერდა ალ. ჭიჭინაძე[2]. ხოლო მოსწავლეთა აქტიურობა, მოქმედება, დამოუკიდებელი აზროვნება შეგნებული სწავლების განხორციელების ძირითადი გზაა. ამიტომ წერდა ალ. ჭიჭინაძე, რომ „ყოველნაირი მუშაობა სასწავლებელში, გაკვეთილია იგი რომელიმე საგნისა, საკითხვაია თუ საუბარი და სხვ., რასაც კი მიზნად აქვს სწავლება და აღზრდა, უნდა წარმოებდეს მოწაფეთა აქტიურის მონაწილეობით, ესე იგი, რომ მოწაფეები თითონ ფიქრობდნენ, აზროვნებდნენ, მსჯელობდნენ, თავის თვალით ხედავდნენ, რაც დასანახია, და თავის ხელით აკეთებდნენ, რისი გაკეთება საჭირო და შესაძლებელია"[3]. მეორე ადგილას ალ. ჭიჭინაძე აღნიშნავდა, რომ მოსწავლეთა აქტიურობა იწვევს მათი თვითმოქმედების განვითარებას, აძლიერებს ინტერესს სწავლაში. „პირველია გულითადი ნდომა, ძლიერი წადილი განვითარებისა, ცოდნის შეძენისა და მეორე, ურომლისოდაც პირველი უნაყოფოა, თვითმოქმედება არის, განხორციელება გულითადის სურვილისა, რისთვისაც საჭირო დაუზარებელი ყოველდღიური ენერგიული შრომა, შრომა და კიდევ შრომა"[4].

გ. თვალსაჩინოება სწავლებაში

შეგნებული სწავლების განხორციელების ერთ-ერთ არსებით საშუალებად და სწავლების ზოგად დიდაქტიკურ პრინციპად ალ. ჭიჭინაძე თ ვ ა ლ ს ა ჩ ი ნ ო ე ბ ა ს თვლიდა. „ერთი სიტყვით,— წერდა იგი,— ყოველი საგნის სწავლება უნდა სწარმოებდეს იმგვარად, რომ რასაც უხსნიან მოსწავლეს, ყოველივე ამა თუ იმ სახით, რამდენადაც კი შესაძლებელია, განსახიერებული, ნივთიერად გამოხატული იქნეს მოწაფის შრომით, მისის საკუთარის ხელით... გამოსახვა ამა

---

[1] ალ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, სიტყვა თქმული პანაშვიდზე იაკობ გოგებაშვილის დასაფლავების დღეს, 10 ივნისს 1912 ზელს, ხონის საკრებულო ტაძარში, კრებული „ი. გოგებაშვილის სახსოვრად", გვ. 246—247.

[2] ალ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, რიეერაეხე სათქმელი, 1915 წ., გვ. 33.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 49.

[4] ალ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, სიტყვა, თქმული თბილისის სათავად-აზნაურო ქართულს კერძო გიმნაზიაში, ჟურ. „განათლება", 1914 წ., № 7, გვ. 554.

თუ იმ ნივთიერის საგნისა, ან განხორციელება რომელსამე წარმოდგენისა აუცილებლად მოითხოვს მოფიქრებას, მოსაზრებას, რაიცა დაუკვირვებლად, შეუდარებლად შეუძლებელია. ამ მოფიქრება-მოსაზრების დროს სულიერად ვითარდება მოწაფე: იგი იჩენს ყურადღებას საგნისადმი, ავარჯიშებს მეხსიერებას, ავარჯიშებს გონებას და სხვადასხვაგვარ გრძნობათა. დაინტერესებული იმ მუშაობით, იგი ცდილობს დასძლიოს სიძნელე, რომელიც თან ახლავს ყოველი საგნის განხილვა-გაგებას და გამოსახვას, მონდომებულია შეასრულოს თავისი განზრახვა, ახსნას და გამოიყვანოს რომელიმე ამოცანა ან თეორემა, შეადგინოს რისიმე გეგმა, შეთხზას რამე და დაამთავროს მოსაზრებული და უკვე დაწყებული. ამასობაში იგი ეჩვევა შრომას, საქმიანობას, ავარჯიშებს თავის ნებაყოფლობას და იმტკიცებს ხასიათს"[1].

ამიტომ ურჩევდა ალ. ჭიპინაძე მასწავლებლებს: „უჩვენეთ ყმაწვილს თითონ საგანი ან მისი სურათი, შეახედეთ მისი მდებარეობისათვის, მის დამოკიდებულებისათვის სხვა საგანთან, უთხარით ყველა ამაების სახელი, ილაპარაკეთ თითონ ამაებზე, ყმაწვილებიც გაიყოლიეთ ლაპარაკში, და ეს ჩარჩება მათ გ ო ნ ე ბ ა ში. საგნის გამოხატულება, მისი მდებარეობა და მისი სახელი მაშინ ერთად დაისადგურებს ყმაწვილის მ ე ხ ს ი ე რ ე ბ ა ში"[2].

ალ. ჭიპინაძისათვის ცნობილი იყო დიდაქტიკური დებულებანი, რომ სწავლება უნდა იყოს სისტემატური და თანდათანობითი, შეთანხმებული ბავშვის განვითარების ბუნებრივ კანონებთან, მარტივი და ადვილი, შეგნებული და მტკიცე, და ყველა ამის განხორციელების აუცილებელ პირობად მას თვალსაჩინო სწავლება მიაჩნდა. თავისი ერთ-ერთი მეთოდიკური ნაშრომის წინასიტყვაობაში იგი სწერდა: „სწავლება საზოგადოდ და განსაკუთრებით ყრმათა უნდა იყოს თანდათანობითი, თანდათან უმაღლეს საფეხურზე უნდა აჰყავდეს ყმაწვილი სწავლა-აღზრდას; ხარისხეულად უნდა მდიდრდებოდეს სულიერი სალარო მისი ცოდნითა და ამასთანავე ვითარდებოდეს თანდათან გონების გამჭრიახობაც, გონების მოქმედებაც. ეს პედაგოგიური მოთხოვნილება უნდა ვიქონიოთ სახელმძღვანელოდ ყმაწვილის აღზრდაში, თუ გვსურს აუტანელმა ტვირთმა არ გადალეხოს ნორჩი ბუნება და ნორმალურად წარმოებდეს მისი ფიზიკური და სულიერი ზრდა. ყოველ ეტვს გარეშეა ამჟამად ის აზ-

---

[1] ალ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, რიჟრაკზე სათქმელი, გვ. 61.

[2] ალ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, რუსული ენა ჩვენს სასწავლებლებში, გაზ. „დროება", 1878 წ., № 66.

რი, რომ სწავლა-აღზრდის მსვლელობა შეთანხმებული უნდა იყოს იმ ბუნებრივ კანონებთან, რომელთაც ექვემდებარება სულიერი ზრდა ადამიანისა, ვინაიდან სულიერი ძალები ყმაწვილისა თანდათან იფურჩქნებიან, თანდათან ვითარდებიან და ხარისხეულად იძენენ ღონეს, ამისათვის საზრდოც ყოველს საფეხურზე შესაფერისი უნდა ეძლეოდეს ყმაწვილის სულსა და გულს. ამის მიხედვით სასწავლებო მასალა ამა თუ იმ საგნისა, რომელსაც ყმაწვილი სკოლაში სწავლობს, კარგად უნდა იყოს აწონილ-დაწონილი და დაფასებული. დაფასებული უნდა იყოს აგრეთვე ის წესებიც სწავლებისა და საშუალებანი, რომელთაც ხმარობს მასწავლებელი, როცა ის ამ მასალით ყმაწვილის გონებას სწვრთნის და ამდიდრებს. პირველად მარტივი და ადვილი მასალა უნდა მიეცეს ყმაწვილს და მერმე უფრო რთული და უფრო ძნელი; ჯერ უმახლობელესი საგანი უნდა აეხსნას და მერმე უშორესი; ჯერ იმაზე უნდა ვესაუბროთ, რაც თვალწინ უძევს, რაც ექვემდებარება გარეგან გრძნობათა მოქმედებას და შემდეგ უნდა გადავიდეთ უფრო შორეულზე და განყენებულზე. ძნელია შეგნებულად და მტკიცედ შესწავლა არითმეტიკისა, თუ მას წინ არ უძღვის თვალსაჩინო გაცნობა დასაწყისის საფუძვლებისა; სასურველს ნაყოფს მოკლებულია სწავლება ენისა, უკეთუ უარყოფილია მის პირველდაწყებითი სწავლების დროს თვალსაჩინობა და თანდათანობა ლექსიკური მასალის გადაცემაში; ძნელია ყრმათათვის შორეული ბუნების გაცნობა, უკეთუ მათ გარემომცველ ბუნებასთან კავშირი არა აქვსთ და არ შეუსწავლიათ თავდაპირველად სამშობლო ქვეყნის ცხოველთა, მცენარეთა და მინერალთა სამეფოების უმთავრესი წარმომადგენლები"[1]. სწავლების პროცესი, რომელიც არ ემყარება თვალსაჩინოების მტკიცე პედაგოგიკურ-დიდაქტიკურ საფუძველს, „ცარიელ სიტყვებად დარჩება, უაზრო, შეუგნებელი განმეორება იქნება მასწავლებლის ან წიგნიდან ამოღებულ სიტყვებისა, რომელნიც არ გამოიწვევენ მოსწავლეთა გონებაში არავითარს წარმოდგენას მისას, რაც ნამდვილად არსებობს ბუნებაში და ადამიანთა ცხოვრებაში"[2].

ალ. ჭიჭინაძე ემყარებოდა და იშველიებდა პედაგოგიკის დიდი კლასიკოსების კ ო მ ე ნ ს კ ი ს (1592—1670) და რ უ ს ო ს (1712—1778) ნააზრევსა და შეხედულებებს და წერდა: „იმნაირად უნდა უხელ-

---

[1] ალ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, მოკლე საუბარი თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს პირველდაწყებითი კურსი გეოგრაფიისა სამშობლოს აღწერის სანიმუშო პროგრამით, 1907 წ., გვ. 3—5.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 6.

შძღვანელოთ ადამიანს სწავლის დროს, რომ თითონ იგი ჰპოულობდეს სიბრძნეს ცათა და ქვეყანის გამოკვლევაში"[1]. ამ შემთხვევაში ალ. ჭიჭინაძე, რასაკვირველია, ზომიერებას ვერ იჩენდა და უკიდურესობაში ვარდებოდა.

ამ მსჯელობის საფუძველზე ალ. ჭიჭინაძე ასკვნიდა, რომ თვალსაჩინო სწავლება შეგნებული სწავლებისა და ცხოვრებაში გამოსადეგი პირების აღზრდის ძირითადი კანონია. იგი წერდა: „ეს გზა სწრთვნის ყმაწვილის გონებას, გონებრივად ზრდის მას, აჩვევს თვითმოქმედებას და განუმტკიცებს ხასიათს. თვითმოქმედება და მტკიცე ხასიათი კი უძვირფასესი ღირსებაა ადამიანისათვის. როდესაც იგი თვითმომქმედია და მტკიცე ხასიათის არის, მაშინ იგი თავისუფალი არსებაა და რომელ საზოგადოებაშიც ამისთანა ადამიანი ბევრია, იქ საერთო თავისუფლებაც სუფევს და ცხოვრება კეთილად არის მოწყობილი"[2].

თვალსაჩინო სწავლების ფსიქოლოგიურ-პედაგოგიკურ დასაბუთებას, ალ. ჭიჭინაძე დიდი შვეიცარიელი პედაგოგის პ ე ს ტ ა ლ ო ც ი ს დებულებათა მიხედვით აწარმოებდა, როდესაც წერდა, რომ „დიდაქტიკის მიერ საუკეთესოდ ცნობილია ისეთი წესი სწავლებისა, როდესაც გადაცემულის შესათვისებლად მოქმედებს არა ერთი რომელიმე ფაქტორი, არა ერთი გრძნობა, არამედ ორი და სამი. როდესაც მასწავლებელი თავის საუბარში რომელიმე ახალ საგანს მოიხსენიებს და აღუწერს მოწაფეთ მის ნიშნეულობას, თუ ამასთანავე თითონ საგანიც უჩვენა ანუ ნიმუში მისი, უეჭველია მოწაფენი უფრო კარგად გაიგებენ ახსნილს და უკეთ დაიმახსოვრებენ, ხოლო თუ ამასთანავე დახატეს კიდეც თითონ ეს საგანი, ანუ მოხაზეს მისი გეგმა, მაშინ კიდევ უფრო საფუძვლიანად შეითვისებენ"[3].

დ. ევრისტული მეთოდი სწავლებაში

შეგნებული სწავლებისა და თვალსაჩინოების პრინციპის განხორციელების ძირითად საშუალებად ალ. ჭიჭინაძეს ე ვ რ ი ს ტ უ ლ ი მ ე თ ო დ ი მიაჩნდა. „ამ პრინციპის ძალით,— წერდა იგი,— უმეტეს ნაწილად ფორმა სწავლებისა უნდა იყოს ევრისტული, რო-

---

[1] ა ლ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, მოკლე საუბარი, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს პირველდაწყებითი კურსი გეოგრაფიისა სამშობლოს აღწერის სანიმუშო პროგრამით, 1907 წ., გვ. 7.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 11—12.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 50—51.

გორც ისეთი, რომელიც აუცილებლად მოითხოვს მოსწავლეთა აქტიურს მონაწილეობას, მხოლოდ, რასაკვირველია, ევრისტულს წესსაც თავის ზომა გააჩნია და ეს ზომა უეჭველად მიღებულ უნდა იქნეს სახელმძღვანელოდ. პირველხანებში და რამდენადაც უფრო დაბალია კლასი, იმდენად უფრო მარტივი კითხვა მიეცემა მას და შემდგომ თანდათან და იმის მიხედვით, რამდენადაც უფრო მაღალია კლასი, იმდენად უფრო რთული"[1]. მასწავლებელი „დაბალ კლასებში უნდა ცდილობდეს დიდხანს არ გაგრძელდეს ლექციური გარდაცემა მასალისა, იქვე გაამეორებინოს მოსწავლეს გარდაცემული, აღადგინოს მოსწავლეთა მეხსიერებაში გავლილი ფაქტები, დაკავშირებიოს და შეადარებიოს იგინი ახლებთან და გამოიყვანოს დასკვნა"[2].

სასკოლო სწავლების ამ პრინციპებისა და წესების განხორციელება აძლიერებს მოსწავლეთა ინტერესსა და ყურადღებას, ხოლო „სადაც ინტერესი არ იყო,— წერდა ალ. ჭიჭინაძე,— ყურადღებაც ჰ'უსტდებოდა და სუსტი ყურადღებით, რასაკვირველია, ცოდნასაც ვერ შეიძენდნენ, ვერ შეითვისებდნენ მტკიცედ. სადაც ყურადღება არ იყო ცოდნის შეძენისათვის და აზროვნება არ წარმოებდა, იქ ხალისიც არ იღვიძებდა მოსწავლეთა სულში და იგინი ვერ იძენდნენ იმ ძვირფასს თვისებას, რომელსაც ძიების წყურვილი ჰქვია და რომელიც ჰქმნის მისწრაფებას მეცნიერებისადმი"[3].

ე. ცალკე სახწავლო საგანთა სწავლების შესახებ

სწავლა-განათლების ამ ზოგადი პედაგოგიური დებულებების საფუძველზე აგებდა ალ. ჭიჭინაძე ცალკე სასწავლო საგანთა სწავლების ძირითად წესებს და არკვევდა ამ საგანთა მნიშვნელობას მოსწავლეთა საერთო განვითარებასა და აღზრდაში.

სასკოლო სასწავლო საგანთა შორის ალ. ჭიჭინაძე პირველ რიგში მშობლიურ, ქართულ ენას აყენებდა. „უმოძრაოდ თავის დღეში სიარულს ვერ ისწავლის ადამიანი და სიჩუმით მეტერმეტყველებას. თუ გინდათ ენა ასწავლოთ, უნდა ალაპარაკოთ მართლმეტყველებით... უმეტესად მოსწავლე უნდა ალაპარაკოთ და არა იყოლიოთ იგი ჩუმად მჯდომარე. თუ გნებავთ წერა ასწავლოთ, თხზვა, უთუოდ ავარჯიშეთ ამ საქმეში"[4]. როგორც უკვე აღვნიშნეთ,

---

[1] ალ. ჭიჭინაძე, რიერაკეზე სათქმელი, გვ. 50—51.
[2] იქვე, გვ. 51.
[3] იქვე, გვ. 35—36.
[4] იქვე, გვ. 55.

ალ. ჭიჭინაძე მშობლიურ ენაზე სწავლებას თვლიდა სკოლაში მოსწავლეთა სრულყოფილად განვითარების მთავარ პირობად. „სამშობლო ენის საშუალებით იწრთვნებიან გონებრივად და ზნეობრივად“ მოსწავლეები,— წერდა იგი[1].

ამავე დროს ალ. ჭიჭინაძე რუსულ ენას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველთათვის და ქართულ სკოლებში. ჩვენს სკოლებში „ხმარებულ უნდა იქნას სპეციალური ღონისძიებანი რუსული ენის შეთვისებისათვის იმ ზომამდის, რომ მოსწავლეთ კანონიერის ენით შეეძლოსთ თავის აზრის სრულად გარდაცემა სხვისათვის როგორც ზეპირად, ისე წერილობითაც და გიმნაზიის კურსის დასრულების შემდეგ შესძლონ წარმატებით სწავლა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში“[2].

ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში ალ. ჭიჭინაძე მოითხოვდა საქართველოს სკოლებისათვის რუსული ენის სპეციალური პროგრამების შედგენას. იგი წერდა: „ჩვენს სასწავლებლებში რუსული ენის სწავლება ვალდებულებითია. საჭიროც არის ახლანდელ ჩვენს მდგომარეობაში ვისწავლოთ რუსული. მაგრამ, ამასთანავე, იმასაც ცხადად ჰხედავს ყოველი კაცი, რომ ამ ენის სწავლება საძნელოდ რჩება ყმაწვილებისათვის, რადგანაც მისი წაყვანა ითხოვება იმავე პროგრამით, როგორც ბუნებით რუსის ყმაწვილებისათვის და რადგანაც, ამასთანავე, სახელმძღვანელო არა გვაქვს ამ ენის შესასწავლად ისეთი, როგორც საჭიროა ჩვენი ყმაწვილებისათვის“[3]. ალ. ჭიჭინაძე წინასწარ იძლეოდა რუსული ენის იმ სახელმძღვანელოს დაახლოებითს პროფილსაც, რომელიც უნდა შედგენილიყო ჩვენი სკოლებისათვის. „თუმცა სასურველია, რომ ახალი სახელმძღვანელო გვექნეს რუსული ენის სწავლებისათვის, მაგრამ ისეთი კი არა, როგორებიც სმირნოვის, კიუნერის და კ-ლის სახელმძღვანელოებია, არამედ იმგვარად შედგენილი, როგორიც არის „როდნოე სლოვო“ (კ. დ. უშინსკის სახელმძღვანელოზეა ლაპარაკი. ვ. ქ.); ხოლო ეს სახელმძღვანელო უფრო მდიდარი უნდა იყოს სურათებით, ვიდრე „როდნოე სლოვო“. „როდნოე სლოვოს“ უმთავრესი ნაკლოვანება იმაში მდგომარეობს, რომ ის რუსებისათვისაა შედგენილი და ბევრი ისეთი რამ არის შიგ და ისეთნაირად, რომ ჩვენ სწავლის დამწყებ პატარა ყმაწვილებისათვის ძნელია მისი მოხმა-

---

[1] ალ. ჭიჭინაძე, საჭიროა განვახორციელოთ 1914 წლის 1 ივლისის კანონი, ჟურნ. „განათლება“, 1915 წ., № 4, გვ. 314.

[2] „განათლება“, 1915 წ., № 4, გვ. 316.

[3] ალ. ჭიჭინაძე, რუსული ენა ჩვენს სასწავლებელში, გაზ. „დროება“, 1873 წ., № 66.

რება. დამწყებ ყმაწვილებისათვის ენის სიუხვეც კმარა და თუ ამას დაემატა სიუცხოვე იმ საგნებისაც, რომლებზედაც მასწავლებელი ელაპარაკება, მაშინ სულ უარესად გაუჭირდება სწავლა"[1]. ალ. ჭიჭინაძის ეს სურვილი საუკეთესოდ იქნა განხორციელებული იაკობ გოგებაშვილის მიერ ქართული სკოლისათვის რუსული ენის მშვენიერი სახელმძღვანელოს „რუსკოე სლოვოს" შედგენით.

ალ. ჭიჭინაძემ გაარკვია გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველების, ისტორიის და სხვათა სასწავლო-საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მნიშვნელობა. ამ მიზნით მან შეადგინა არა მარტო გეოგრაფიის სახელმძღვანელო („პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა"...)[2], საკითხავი წიგნი ბუნებისმეტყველებაში („მცენარეები და ცხოველები ცხელი ქვეყნისა"[3], 1913 წ.), არამედ გეოგრაფიის მე-

---

[1] ალ. ჭიჭინაძე, რუსული ენა ჩვენს სასწავლებლებში, გაზ. „დროება", 1878 წ., № 67.

[2] ალ. ჭიჭინაძის სახელმძღვანელოს „პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა" გამოცემით დიდად იყო დაინტერესებული დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი. თავის კერძო ბარათში 1906 წლის 5 დეკემბერს იგი წერდა სილოვან ხუნდაძეს: „წარსულს სექტემბერში „ცისკარში" გვქონდა მსჯელობა შესახებ ალექსი ჭიჭინაძის გეოგრაფიის გამოცემისა. მისმა მეგობრებმა წარმოსთქვეს ის აზრი, რომ ალექსანდრე სარაჯიშვილს გავასწორებინოთო. მე ვუპასუხე: ალექსანდრე სარაჯიშვილმა მარტო ბაზაზხანური ენა იცის და თქვენი წინადადების მიღება შეურაცხყოფა იქნება ავტორისა, რომელიც განუზომელად მაღლა სდგას სარაჯოზე განვითარებითაც და ენის ცოდნითაც მეთქი. მოვითხოვე რვეული, წავიკითხე პირველი თავი, შუა თავი, და ბოლო თავი, და ცხადად დავინახე, რომ ეს კანონიერია, დაბიურია, გასაგები, კილო პედაგოგიური და ხელნაწერს მხოლოდ კარგი კორექტორი ესაჭიროება და სხვა არაფერი მეთქი. ამაზე დავდექით მაშინ. მაგრამ მერე მე ავად გავხდი. „ცისკრის" კრებებს ვეღარ ვესწრობოდი და ისევ სარაჯიშვილის რედაქცია წამოეყენებინათ და გაეყვანათ. ეს მე შევიტყვე ერთის კვირის წინად „ცისკრის" სხდომაზედ, რომელსაც პირველად დავესწარი ავადმყოფობის შემდეგ. კარგად შევამკე ალექსის მეგობრები; მაგრამ საქმის დაგვიანებას რაღა ეშველებოდა. გადავწყვიტეთ გამოერთვას რვეული სარაჯიშვილს, გადაეცეს ალექსანდრე ჯაბადარს თავის სტამბაში დასაბეჭდად, რაც შეიძლება მალე. ჯაბადარს თავისუფალი დრო სტამბაში ბევრი აქვს და ეცდება საქმე აღარ დააგვიანოს. თუ ალექსი ჭიჭინაძე ქუთაისში ჩამოვიდეს, ეს ადგილი წაუკითხეთ ოათ« სიმართლე შეიტყოს მის შესახებ, ვინ და რა იყო მიზეზი მისი გეოგრაფიის ბეჭდვის დაგვიანებისა..." (იხ. ა. ი ო ვ ი ძ ე, იაკობ გოგებაშვილი (დოკუმენტალური მასალები), თბილისი, 1951 წ., გვ. 194. ალ. ჭიჭინაძის გეოგრაფიის აღნიშნული სახელმძღვანელო პირველად გამოიცა 1907 წ., მეორედ—1913 წ., მესამედ—1917 წ.)

[3] საქართველოს სსრ შსს ცენტრალური საისტორიო არქივის „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ფონდში (№ 6544) დაცულია პროფ. გიორგი ჯავახიშვილის განცხადება 1920 წ. 24 იანვრის თარიღით ამ წიგნის ხელახლა გამოცემის საჭიროების შესახებ.

თოდიკა („მოკლე საუბარი თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს პირველ-დაწყებითი კურსი გეოგრაფიისა“) და სხვ. ამავე დროს ალ. ჭიჭინაძე ყოველთვის საგანგებოდ ზრუნავდა იმისათვის, რომ მოსწავლეთა გონებრივი განვითარების ჰორიზონტის გასაფართოებლად ქართულს ენაზე შექმნილიყო კლასგარეშე საკითხავი საბავშვო ლიტერატურა. თავის სიტყვაში, რომელიც ალ. ჭიჭინაძემ წარმოსთქვა 1910 წელს ჟურნალ „ჯეჯილის“ ოცი წლის არსებობის გამო გამართულ საღამოზე ქ. ხონში, იგი აღნიშნავდა: „სწავლა-აღზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვს, სხვათა შორის, საყმაწვილო ჟურნალებს და წიგნებს იმ ენაზე, რომელიც გასაგებია ბავშვებისათვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სკოლა გაუგებარ ენაზე ასწავლის მათ. ოთხი-ხუთი წლის პატარა ბავშვებსაც კი, რომელთაც ჯერ, რასაკვირველია, წერა-კითხვა არ იციან, ძალიან უყვართ, როდესაც ესაუბრებიან მათ და რასმეს წაუკითხავენ ხოლმე. შეგნებულ დედ-მამას შეუძლიან ისარგებლოს ამ ინტერესით და კეთილად გამოიყენოს საყმაწვილო ჟურნალი და წიგნები. შემდეგ, როდესაც ბავშვები წერა-კითხვას ისწავლიან, კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა შესაფერი წიგნის კითხვას, რადგან მაშინ თითონ შეუძლიანთ იკითხონ წიგნი, თითონ დაუფიქრდნენ წაკითხულს, გაეცნონ კარგ მაგალითებს, კარგ საქციელს და ივარჯიშონ აზროვნებაში“[1]. ასე დიდ მნიშვნელობას აძლევდა ალ. ჭიჭინაძე კლასგარეშე საკითხავ სამუშაო მხატვრულ ლიტერატურას და ამავე მიზნით თვითონაც თარგმნიდა და საბავშვო ჟურნალებში აქვეყნებდა ბერძნული მითოლოგიის საუკეთესო ნიმუშებს, რომელთაგან აღსანიშნავია: „ჰერკულესი“[2], „თეზეოსი“[3] და „ოქროს მატყლიანი ვერძი და იაზონი“[4].

3. მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის შესახებ

ალ. ჭიჭინაძე ზოგად სწავლა-განათლებასთან ერთად ყოველთვის უდიდეს ყურადღებას აქცევდა მ ო ს წ ა ვ ლ ე თ ა ზ ნ ე ო ბ რ ი ვ ი ა ღ ზ რ დ ი ს საკითხებს. მისი შეხედულების მიხედვით, ამ შემთხვევაშიც გადამწყვეტ ფიგურას მასწავლებელი წარმოადგენს, მასზეა დამოკიდებული მოსწავლის სულიერი ჩამოყალიბების მთელი პროცესი. ამიტომ არიან მასწავლებლები „პასუხისმგებლები შთამო-

---

[1] ალ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, ჟურნალ „ჯეჯილის“ ოცი წლის არსებობა, ჟურ. „განათლება“, 1910 წ., № 3, გვ. 151—152. იხ. აგრეთვე გაზ. „დროება“, 1910 წ., № 40.

[2] ჟურ. „ჯეჯილი“, 1891 წ., № 3, გვ. 54—59.

[3] „ჯეჯილი“, 1891 წ., № 1, გვ. 45—46.

[4] „ჯეჯილი“, 1890 წ., № 2, გვ. 47—50.

მავლობის წინაშე". ამ დიდი ამოცანის განხორციელება შეუძლებელია, თუ „აღმზრდელთა და მოწაფეთა შორის აღარ არის მშობლიური დამოკიდებულება"[1]. დიდი ტვირთი მოსწავლეთა აღზრდაში, ალ. ჭიჭინაძის აზრით, კლასის ხელმძღვანელს აწვება. „ჩვენი კლასის ხელმძღვანელნი უნდა იყვნენ ნამდვილნი მაგიერნი მშობელთა, ნამდვილი მზრუნველნი მოწაფეთათვის ყოველს ჟამს და ყოველს შემთხვევაში... ყოველი საქიროება მოწაფეებისა უნდა იცოდეს მათმა კლასის დამრიგებელმა და ის უნდა იყოს შუამდგომელი, რომ საქიროება დროზე იყოს დაკმაყოფილებული. ყოველგვარი ინტერესი კლასისა, რა არის საქირო მისი გონებრივის და ზნეობრივის გაუმჯობესებისათვის, მოწყობა საკლასო ბიბლიოთეკისა, გამართვა საკითხავებისა, საუბრებისა, გასართობისა და სხვა"[2].

მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის რაციონალურ საშუალებას წარმოადგენს არა ფიზიკური სასჯელი, არამედ ჯანსაღი ზნეობრივი ატმოსფერო, ზნეობრივი დარიგება, პირადი მაგალითი, მტკიცე რეჟიმი და ყველაფერი ეს — გარკვეულ წესად და სისტემად ჩამოყალიბებული. „სასჯელი პალიატივია, — წერდა ალ. ჭიჭინაძე, — იგი ვერ კურნავს ზნეობრივის ნაკლისაგან; ზნეობრივს ნაკლს გაასწორებს ისევ ზნეობრივი იარაღი და არა შიში და სასჯელი, რომელთაც, როგორც გვიმტკიცებს კაცობრიობის ხანგრძლივი ისტორია, მალამო ვერ დასდვეს ადამიანთა ცხოვრების იარებს"[3]. „დისციპლინის დამყარებისათვის სასურველი არ არის, და არც საქიროა, სასტიკი ზომების ხმარება, რომ ამით არ დაფრთხენ ყმაწვილები და მათს თვითმოქმედებას და ცხოველს მონაწილეობას სწავლაში დაბრკოლება არ მიეცეს; მასწავლებელს შეუძლია კარგად ექცეოდეს მოწაფეებს და იმავე დროს თხოულობდეს მათგან წესიერების მტკიცედ ასრულებას" — წერდა ალ. ჭიჭინაძე თავის მოხსენებაში „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების" ბათუმის ქართული სკოლის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 1891 წლის 14 იანვარს.[4] ალ. ჭიჭინაძე სასტიკად ესხმოდა თავს ძველი სკოლის იმ ფორმალისტ პედაგოგებს, რომლებიც მხოლოდ იმას თვლიდნენ თავიანთ ფუნქციად, რომ მოსწავლეთათვის როგორმე გაეზეპირებინათ ოფიციალური პროგრამით განსაზღვრული ცოდნა, მაგრამ სრულიად არ ზრუნავდნენ მათი ზნეობრივი ჩამო-

---

[1] ალ. ჭიჭინაძე, რიეურაეზე სათქმელი, გვ. 25.
[2] იქვე, გვ. 44—49.
[3] იქვე, გვ. 26.
[4] საქართველოს სსრ ცენტრალური არქივი, ფ. 481, საქმე 296.

ყალიბებისათვის. „უკეთეს შემთხვევაში შესაძლებელია, — წერდა იგი, — ამგვარმა მასწავლებელმა გააზეპირებიოს თავის მოწაფეებს დადგენილი პროგრამა საგნისა, ხოლო რაიცა შეეხება აღზრდას სულის სხვადასხვა მხარეებისას, ხსენებულს გაკვეთილებზე სრულიად არა კეთდება რა, პირიქით, მოწაფეები ფუჭდებიან, ირყვნებიან. მარტო გონების განვითარება, კიდეც რომ შესაძლებელი იყოს ამ პირობებში აზროვნების ვარჯიში და ცოდნის შეძენა, რის მაქნისია? გონებით გაწვრთნილს უზრდელს, უზნეოს ისევ რეგვენი სჯობია — იმდენს ვერას ავნებს მოყვასს"[1]. ამიტომ იყო, როგორც დავინახეთ, რომ ალ. ჭიჭინაძე თავის ყოველდღიურ პედაგოგიურს მუშაობაში ესოდენ დიდ ყურადღებას აქცევდა ბავშვთა და მოზარდთა სულის გასპეტაკებას, მათს ზნეობრივად ამაღლებასა და გაფაქიზებას.

* * *

ალ. ჭიჭინაძე სწავლა-აღზრდის ძველი სისტემის გარდაქმნისათვის მებრძოლი პედაგოგი იყო ჩვენში. იგი ახალი ქართული სკოლის ჯანსაღ საფუძვლებს ამკვიდრებდა ქართულ პედაგოგიკურ ლიტერატურაში და სხვებსაც მოუწოდებდა სახალხო განათლების დარგში ჩვენი ეროვნული უფლებების დაცვა-განმტკიცებისაკენ. ამისათვის იგი ჩვენს დიდ ისტორიულს ტრადიციასაც იშველიებდა. „გაბედულად მოვკიდოთ ხელი და დავანახოთ მტერსაცა და მოყვარესაც, რომ ჩვენ შთამომავლობა ვართ იმ ქართველებისა, რომელსაც წინა საუკუნეებში საკმაოდ ჰყავდა მოღვაწე, განათლებული იმ ცოდნით, იმ ფილოსოფიით და ხელოვნებით, რომელიც ძველმა ათინა-რომმა უანდერძა ევროპასა და რომელიც შეიქმნა წყაროდ ამჟამანდელის ევროპულის განათლებისა"[1].

ყოველი საზოგადოებრივ-სასკოლო საკითხი ალ. ჭიჭინაძეს პრინციპულ სიმაღლემდე აჰყავდა და თავისი დროის შესაფერისს მეცნიერულ დასაბუთებასაც აძლევდა მას. თავის პრაქტიკულ პედაგოგიურ, საზოგადოებრივ და თეორიულ პედაგოგიკურ-მეთოდიკურ მუშაობაში ალ. ჭიჭინაძე დროულად და მოხდენილად ეხმაურებოდა ჩვენი საზოგადოებრიობის წინაშე მდგარ ამოცანებს და თავისი ზეპირი თუ ლიტერატურული გამოსვლებით ხშირად ააშკარავებდა როგორც იმათ ცდებს, რომელთაც სურდათ ჩვენი ეროვნული გადაგვარება, ისე სახავდა იმ ნათელ პერსპექტივასაც, რომელსაც იგი სკვრეტდა და რომლისკენაც მოუწოდებდა თანამემამულეებს. ამიტომ იყო, რომ ჩვენმა ნიჭიერმა პუბლიცისტმა,

---

[1] ალ. ჭიჭინაძე, რიეერაეზე სათქმელი, გვ. 34
[2] იქვე, გვ. 30.

ლიტერატურულმა კრიტიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ ხომლელმა (რომანოზ ფანცხავამ) იმ რეცენზიაში, რომელიც მან ალ. ჭიჭინაძის „რიჟრაჟზე სათქმელს“ მიუძღვნა, იგი დიდებით მოსილ ქართველ პედაგოგს იაკობ გოგებაშვილს შეადარა. მან აღნიშნა: „ეროვნულ პედაგოგიკის ასპარეზზე ჩვენშიაც არიან დღეს მომუშავენი. მარა, მათ შორის, უფრო ორი ნიჭიერი ქართველი იპყრობს ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას. ერთი იყო განსვენებული იაკობ გოგებაშვილი და მეორეა ალექსი ჭიჭინაძე. ალექსი ჭიჭინაძე ერთი უხუცეს პედაგოგთაგანია ამჟამად ჩვენში, რომლის მოღვაწეობასაც ქვეყნისათვის დიდად სასარგებლო ისტორია და თავგადასავალი აქვს“[1].

ალ. ჭიჭინაძის პედაგოგიურ მოღვაწეობას ჩვენთვის არა მარტო ისტორიული მნიშვნელობა აქვს; მისი პრაქტიკული პედაგოგიური შემოქმედებითი მუშაობა და თეორიული პედაგოგიკურ-დიდაქტიკური შეხედულებანი ზოგ ისეთ ჯანსაღ პრინციპსა და წესს შეიცავს, რომელიც ამჟამადაც სახელმძღვანელო დებულებებად გამოდგება ჩვენი სკოლის ამოცანების გადაწყვეტისას. ჩვენს მასწავლებლობას შეუძლია ბევრი რამ ისწავლოს ალ. ჭიჭინაძის მდიდარი პრაქტიკული პედაგოგიური გამოცდილება - მემკვიდრეობიდან, განსაკუთრებით სკოლისა და მისი პედაგოგიური კოლექტივის მართვა-ხელმძღვანელობის დარგში.

ალ. ჭიჭინაძის მრავალმხრივი და მდიდარი პედაგოგიკური მემკვიდრეობა მნიშვნელოვან ფონდად შეევა ქართული პედაგოგიკური აზროვნების საგანძურში.

---

[1] ხ ო მ ლ ე ლ ი [რ. ფანცხავა], ალ. ჭიჭინაძე, რიჟრაჟზე სათქმელი, ჟურნ. „განთიადი“, 1915 წ., № 17, გვ. 16.

შიო ჩიტაძე
(1873—1906)

შიო ჩიტაძე

1. გამოჩენილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე

ჩიტაძე ერთი საუკეთესო წევრთაგანი იყო მოწინავე ქართველი ახალგაზრდობისა.

გაზეთი „ახალი ცხოვრება", 1906 წ., № 14.

„შეუძლებელია სიბნელე უსინათლოდ. სინათლე მძლავრია სიბნელეზედ, და ნურვინ ფიქრობს, რომ იგი ოდესმე დამარცხდეს. ბრის დრო, როდესაც სინათლის სხივები ოდნავ ბჟუტავენ, როცა უკუნით არის მოცული არე-მარე, მაგრამ სხივები შეერთდებიან, გააპობენ სიბნელეს, დააბრმავებენ სიბნელეში სიარულის მოსიყვარულეთ და განუბრწყინებენ გზას იმათ, ვისაც ლამპარი ხელში უჭირავს. რუსეთს დაუდგა ასეთი დრო. ლამპარმა გაანათა და შეუშფოთა ნებიერი ცხოვრება სიბნელის თაყვანისმცემელთ",—ასე წერდა შიო ჩიტაძე 1905 წელს რევოლუციის მღელვარე პერიოდში[1]. იგი ახალგაზრდობიდანვე ყოველთვის ასეთი რევოლუციურ-ოპტიმისტური მისწრაფებებით იყო გამსჭვალული, რაც ძირითად მაგისტრალურ ხაზად გასდევდა მთელ მის ნაყოფიერ თეორიულ და პრაქტიკულ მოღვაწეობას.

შიო ჩიტაძე თავისებური მოვლენა იყო ქართული აზროვნების ისტორიაში. მეტად ხანმოკლე ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში მან შინაარსობლივად მდიდარი და მრავალმხრივ საყურადღებო პუბლიცისტური და პედაგოგიურ-ლიტერატურული მემკვიდრეობა შეჰქმნა. შიო ჩიტაძე რევოლუციონერი მოაზროვნე, ნიჭიერი ლიტერატორ-კრიტიკოსი, მებრძოლი პუბლიცისტ-პედაგოგი, მგზნებარე ორატორი და თავდადებული საზოგადო მოღვაწე იყო. მისი შემოქმედებითი თეორიული და პრაქტიკული პედაგოგიური მუშაობა ახალგაზრდობის მეცნიერებათა საფუძვლებით შეიარაღებისა და მგზნებარე პატრიოტული აღზრდის უშრეტ წყაროს წარმოადგენდა.

---

[1] შიო ჩიტაძე, სათავად-აზნაურო სკოლა და მისი სასურველი ცვლილებანი, გაზ, „ცნობის ფურცელი", 1905 წ., № 2840.

შიო ჩიტაძე მეფისდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სწავლა-აღზრდის სისტემის ძირეულად გარდაქმნისათვის იბრძოდა. მას წარმოდგენილი ჰქონდა ახალგაზრდობის დიდი მნიშვნელობა ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების შექმნა-ჩამოყალიბებაში. ამიტომ უმწიკვლოდ და უანგაროდ ემსახურებოდა მათი საფუძვლიანი აღზრდისა და სწავლა-განათლების დიდ ეროვნულ საქმეს. შიო ჩიტაძე ბუნებით და მოწოდებით მებრძოლი პედაგოგი იყო და თავის მღელვარე სიცოცხლე შესწირა კიდეც იმ დარგს.

2. შიო ჩიტაძის ბავშვობა და ახალგაზრდობა

შიო ალექსის-ძე ჩიტაძე დაიბადა 1873 წლის 4 (16) თებერვალს ქ. გორში, ხელმოკლე ხელოსნის ოჯახში. როგორც ცნობილი ქართველი ხალხოსანი მწერალი, შ. ჩიტაძის ყოფილი მასწავლებელი, სოფრომ მგალობლიშვილი გადმოგვცემს, შიოს მამა „ალექსი მაღალი, წარმოსადეგი და ლაზათიანი სახის კაცი იყო, მაგრამ სიღარიბისაგან ისე იყო ჩაგრული, რომ მუდამ დაღონებული და დაძმარებული დადიოდა და სახეზე აჯდა დაღი ამ გაჭირვებისა. იმდენი ვერ შეჰქონდა სახლში თავის ხელობით, რომ გაჭირვება მოეშორებინა თავიდან, მაგრამ ამ სიღარიბეში ერთი რამ არ ავიწყდებოდა ღარიბ-ღატაკ ალექსის: შვილების აღზრდა — ოთხი შვილი სასწავლებელში ჰყავდა; სულს იხდიდა, გველის ტყავში ძვრებოდა, თვით ყველაფერს იკლებდა, ოღონდ შვილებისათვის სწავლა-განათლება მიეცა; ამიტომაც იყო, რომ ბედშავი ალექსი ხშირად დაფლეთილი ტანისამოსით დადიოდა“[1].

დაწყებითი განათლების მისაღებად პატარა შიო 1880 წელს მშობლებმა გორის სასულიერო სასწავლებლის მოსამზადებელ განყოფილებაში შეიყვანეს. ამავე სასწავლებელში სწავლობდნენ მისი უფროსი ძმა გოლა და უმცროსი — სიკო (შიოს ერთადერთი და ნინო გორის ქალთა პროგიმნაზიაში იღებდა განათლებას). თუმცა შიო ჩიტაძეს პირობები ხელს არ უწყობდა, მაგრამ იგი მაინც გულს არ იტეხდა და ენერგიულად მეცადინეობდა. „შიო ჩიტაძე, დიდად ნიჭიერი მოწაფე... ძალიან მალხაზი, ცქვიტი და ცოცხალი ბავშვი იყო,— გადმოგვცემს სოფრომ მგალობლიშვილი,— ხშირად, ძალიან ხშირად, ცივს ტეხვრა ზამთარში დაგლეჯილ-დაფლეთილი ტანისამოსით, ხშირად ფეხშიშველა ან გაცვეთილი ჩუსტებით, საიდანაც ფეხის თითები უჩანდა, დაიარებოდა სკოლაში.

---

[1] სოფრომ მგალობლიშვილი, მოგონებანი, ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციითა და შენიშვნებით, 1938 წ., გვ. 225.

თუმცა ასე გაჭირვებული იყო, მაგრამ პატარა შიო ცქვიტად და მხიარულად მოირბენდა ხოლმე სკოლაში და არასდროს არ დააკლდებოდა სწავლას. სწავლობდა საუცხოოდ. მშვენიერი, კილოიანი კითხვა იცოდა ქართული ლექსებისა"[1].

შიო ჩიტაძე ბავშობიდანვე გატაცებული იყო მხატვრული ლიტერატურით. იგი მეტად აქტიურ მონაწილეობას იღებდა გორის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებელ სოფრომ მგალობლიშვილის ხელმძღვანელობით დაარსებულ მოსწავლეთა ხელნაწერ ჟურნალ „შრომაში", რომლის რედაქტორადაც 1885—86 სასაწავლო წელს შიო ითვლებოდა, ხოლო გამომცემლად — მისი ამხანაგი დათიკო დავითაშვილი. „ამ წელში, — წერს სოფ. მგალობლიშვილი, — ჟურნალი „შრომა" საუცხოოდ მიდიოდა. შიო თავის გამოცემას სუფთად აჭკინძავდა ხოლმე და გადმომცემდა, მე ჟურნალს კლასში ვკითხულობდი, იქვე ვასწორებდი და შენიშვნებით დავუბრუნებდი ხოლმე. შიომ თავის თანამშრომლობით ძალიან გააუმჯობესა ჟურნალი. ამ ჟურნალში უფრო შესანიშნავი წერილები იყო შიოსა და იაკობ ცინცაძისა (ია ეკალაძე). შიომ, სხვათა შორის, ერთი, წლოვანებისა და განვითარების მიხედვით, შესანიშნავი პაწია მოთხრობა მოათავსა „შრომაში" — „ტყის დარაჯი ანტონა"... მაშინვე ემჩნეოდა, რომ შიო მწერალი უნდა გამხდარიყო"[2].

გორის სასულიერო სასწავლებლის კურსი შიო ჩიტაძემ წარმატებით დაამთავრა 1887 წელს. ღარიბ მშობლებს სურდათ, რომ შიო სადმე სამსახურში მოეწყოთ, მაგრამ უკვე გონებაგახსნილმა და სწავლა-განათლებას მოწყურებულმა ნიჭიერმა ყმაწვილმა უფროსი ძმის — ცნობილი რევოლუციონერის გ ო ლ ა ჩ ი ტ ა ძ ი ს რჩევა-დარიგებით, თბილისის მეორე გიმნაზიაში ჩაბარა მისაღები გამოცდები, სადაც იგი მესამე კლასში ჩარიცხეს[3].

თბილისის გიმნაზიაში შიო ჩიტაძე, კლასიკურ ცოდნასთან ერთად, ენერგიულად დაეწაფა თვითგანვითარების გზით ფართო განათლების მიღებას და მხურვალედ ჩაება საზოგადოებრივ-რევოლუ-

---

[1] ს ო ფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, 1938 წ., გვ, 226.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 227.

[3] შ. ჩ ი ტ ა ძ ე წერს თავის ავტობიოგრაფიაში 1897 წელს: „მე უნდა მომეხდინა არჩევანი სასულიერო სემინარიასა, სადაც ჩემეძლო ძოვხეედრილ იყავ შესასვლელი გაოცდების ჩაუბარებლად, და გიმნაზიას შოროს, სადაც შესვლა ‘მემეძლო ლათინურ და ფრანგულ ენებში ძოიხადეიის შემდეგ. უფროსი ძმა კარგად იცნობ და სასულიერო სემინარიას, რადგან იქ სწავლობდა. და არ მირჩია იქ შესვლა. მეც მისი რჩევა დავიჯერეო, დავიწყე ბიადება გიმნაზიაში მესასვლელი. გამოცდებისათვის და მშვენიერად ჩავბარე ის. მე მიმიღეს მესამე კლასში თბილისის ‘ბიმნაზიასა, სადაც დავყავი ორი წელი" (იხ. შ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, შიო ჩიტაძის ბიოგრაფიის საკითხისათვის, გაზ. „სახალხო განათლება", 1951 წ., № 12).

ციურ მუშაობაში. შიო ჩიტაძის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა მოახდინა მისმა უფროსმა ძმამ გოლა ჩიტაძემ, რომელიც XIX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდანვე ახლოს იცნობდა და დაკავშირებული იყო თბილისის მოწინავე რუს და ქართველ რევოლუციურ ინტელიგენციასა და მუშებთან[1]. გოლა ჩიტაძეს თბილისში მოწყობილი ჰქონდა არალეგალური წიგნთსაცავი, რომლის საშუალებითაც მუშებსა და მოსწავლე ახალგაზრდობაში ავრცელებდა რევოლუციურ ლიტერატურას. ამ ლიტერატურით პირველ რიგში უხვად სარგებლობდა გიმნაზიელი შიო ჩიტაძე. იგი საფუძვლიანად გაეცნო XIX საუკუნის 60-იანი წლების რევოლუციონერ დემოკრატთა — ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, გერცენის, პისარევისა და სხვ. რევოლუციურ იდეებს.

გოლა ჩიტაძე, სხვა რევოლუციონერებთან ერთად, თბილისში ჩამოსვლისთანავე (1891 წ.) მჭიდროდ დაუკავშირდა ალექსი პეშკოვს, შემდეგში სახელგანთქმულ დიდ საბჭოთა მწერალს მაქსიმ გორკის, რომელიც ნაცნობებმა, ხალხოსანი მოღვაწის ექიმ ნიკ. ხუდადოვის დახმარებით, რკინიგზის სახელოსნოში მოაწყვეს „კანტორშჩიკად". გოლა ჩიტაძე დაუმეგობრდა მაქსიმ გორკის და მასთან ერთად აწარმოებდა რევოლუციურ მუშაობას. დიდი მწერალი იმდენად აფასებდა გოლა ჩიტაძეს, რომ 1920 წელს თავის ერთ-ერთ მოგონებაში წერდა: „გოლა ჩიტაძე — ქართველი გლეხის შვილი, ერთი პირველი პროპაგანდისტთაგანი მარქსიზმისა თბილისის ახალგაზრდობასა და მუშებში, იყო მეტად პოპულარული, განსაკუთრებით მუშებს შორის. ნაცნობობა ჰქონდა ხალხოსან რევოლუციონერებთან: გამყრელიძესთან, ჯაბადართან, ლუბატოვიჩთან, ზდანოვიჩთან და სხვებთან. დაძაბული მუშაობისა, მეცადინეობისა და შიმშილისაგან ჭკუიდან შესცდა... თავდაპირველ მას მორიგეობით სდარაჯობდნენ ამხანაგები... მე მომიხდა ზედიზედ ცხრა დღე გამეტარებინა მასთან — ეს მეტად საძნელო საქმე იყო. რამდენიმეჯერ სცადა მან ჩემი მოკვლა... და ბოლოს, ის მიიღეს საავადმყოფოში... ხუთი დღის შემდეგ საავადმყოფოს მოსამსა-

---

[1] როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, თბილისის სასულიერო „სემინარიის მოწაფეებს პოლიტიკური წრე ჰქონდათ დაარსებული, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ: ვლ. დარხიაშვილი (6 კლ.), აქვს. აბესაძე (3 კლ.), გიოოგი შოშიაშვილი (4 კლ.), იროდიონ ხოსიტაშვილი (3 კლ.), ნიკოლოზ კუოდღელაშვილი (4 კლასიდან გაძორიცხული 1892 წლის მაისში), გაფრინდაშვილი (3 კლ.), ნიკ. აღნიაშვილი (6 კლ.), და სხვანი: წრის წევრები დაკავშირებულნი ყოფილან სემინარიის მოწაფესთან — გრიგოლ ჩიტაძესთან, რომელიც 1892 წლის 11 თებერვალს გადაიცვალა, მის ძიასთან შიო ჩიტაძესთან" (იხ. პროფ. ტრ. ხუნდაძე. ნარკვევები საშალო განათლების ისტორიიდან საქართველოში (XIX ს.), საქ. სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემა, თბილისი, 1951 წ., გვ. 239).

ზურეებმა კიბიდან გადმოაგდეს გოლა ჩიტაძე. ნეკნის ძვლის ნატეხმა გაუპრა მას გული და მოკვდა. ის ზეიმით დაასაფლავეს. დაესწრნენ ახალგაზრდები და მუშები"[1].

როგორც ცნობილია, გოლა ჩიტაძესთან შეხვედრამ და ნაცნობობამ მისცა მაქსიმ გორკის თემა მოთხრობისათვის „შეცდომა" (1894 წ.).

გოლა ჩიტაძის მეშვეობით დაუკავშირდა შიო ჩიტაძე მაქსიმ გორკის და მათ წრეში გაერთიანებულ სხვა რევოლუციონერ მოღვაწეებს. მ. გორკის ბინა რევოლუციონერთა ამ ჯგუფის თავშესაფარი გახდა. გორკის ადრინდელი წლების მეგობარი ვ. ი. რ ო ხ ლ ი ნ ი (დაბ. 1867 წ.), რომელიც, აგრეთვე, ახლო იყო გოლა ჩიტაძესთან და გორკისთან ერთად თავზე ადგა მას ავადმყოფობის დროს, გადმოგვცემს შემდეგს: „ერთად გატარებულმა ღამეებმა ჩვენ სულიერად დაგვაახლოვა ერთმანეთს (ლაპარაკია როხლინსა და გორკიზე.— ვ. ჭ.) და გადავწყვიტეთ ერთად გვეშოვნა ბინა. სულ მალე ჩვენ მოვნახეთ თეთრი სარდაფი კრასნოგორსკის ქუჩაზე (ახლა უკვე გორკის ქუჩაა) და იქ დავიწყეთ ერთად ცხოვრება — პირველად გორკიმ, აფანასიევმა და მე; შემდეგ სხვებიც შემოგვიერთდნენ (ბილანიშვილი და სხვ.). პირველად მოგვემხრო შიო ჩიტაძე, გოლას ძმა. ჩვენ ხშირად ვაწყობდით ლიტერატურულ საღამოებს. ამ საღამოებზე ხანდახან ასამდე კაცი იკრიბებოდა. მოდიოდნენ სემინარისტები, რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობა. ამ ლიტერატურულ საღამოებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა მწერალი ფლეროვსკი-ბერვი, იმ დროს „კავკაზის" კორექტორი, რევოლუციური საქმიანობისათვის საქართველოში გადმოსახლებული"[2]. ამავე ცნობას ადასტურებს მაქსიმ გორკის იმ პერიოდის მეორე მეგობარი ვ. ი. მ ა რ კ ო ვ ი (1860—1940), რომელიც 90-იანი წლების დასაწყისს თბილისში გადმოსახლებულა ყირიმიდან, სადაც მას რევოლუციური მუშაობისათვის სასტიკად დევნიდა ჟანდარმერია. „გორკის უახლოესი ადამიანები,— წერს იგი,— იყვნენ აგრეთვე (აქამდე აღ-

---

[1] ჟურნალ „Молодая гвардия", 1927 წ., № 4, გვ. 187—188. აგრეთვე, ლ. ა ს ა თ ი ა ნ ი, მ. გორკი საქართველოში (იხ. „წერილები ლიტერატურაზე", 1946 წ., გვ. 53—73); ი. ბ ა ლ ა ხ ა შ ვ ი ლ ი, მაქსიმ გორკი და გოლა ჩიტაძე („ლიტერატურული საქართველო", 1937 წ., № 14); ს ი მ ო ნ ხ უ ნ დ ა ძ ე, მაქსიმ გორკი საქართველოში („სალიტერატურო გაზეთი", 1932 წ., № 27); ს ე რ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, მაქსიმ გორკი თბილისში (ჟურნ. „ქართული მწერლობა". 1928 წ., № 5, გვ. 17); E. Клеин, Горький в Тифлисе, გვ. 20.

[2] ა ნ ა ნ ი კ ო ლ ა ძ ე, გორკი და საქართველო, ჟურნ. „მნათობი", 1948 წ., № 4, გვ. 48.

ნიშნულია, რომ გორკის ახლო მეგობრები იყვნენ ივანე ჯაბადარი და კალიუენი.— ვ. ქ.) ფედია აფანასიევი და შიო ჩიტაძე. ფედია აფანასიევი გორკისთან ერთად ცხოვრობდა კრასნოგორსკის ქუჩაზე. იგი ძალიან ამაყობდა გორკის მეგობრობით. შიო ჩიტაძე ყველასათვის საყვარელი რევოლუციონერი იყო: თავის აღგზნებას ყველას გადააადებდა ხოლმე. გორკი და ის ხშირად დადიოდნენ ერთად, კარგი მეგობრები იყვნენ, მაგრამ ხშირად ჩხუბობდნენ. გორკის გარდა ამ საღამოებიდან უფრო მკვეთრად მახსოვს ფლეროვსკიბერვი და შიო ჩიტაძე"[1]. იგივე პირი აღნიშნავს: „შიო ჩიტაძე და გორკი ერთად აპირებდნენ მოგზაურობას და ამის გეგმას ადგენდნენ[2].

როგორც ცნობილია, იმ წრეში, რომელშიც ტრიალებდა ახალგაზრდა გორკი, შიო ჩიტაძის გარდა, ახლო მონაწილეობას იღებდნენ ეგნატე ნინოშვილი (ინგოროყვა), მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, ლადო დარჩიაშვილი, ილია აგლაძე, სერგო რობაქიძე, მოსე თოიძე (მხატვარი)[3] და სხვ.

ამ წრის წევრები და მათ შორის შიო ჩიტაძე ფართოდ იყვნენ დაწაფებული თვითგანვითარებას. განსაკუთრებული ენერგიით კითხულობდნენ ისინი რევოლუციური შინაარსის ლიტერატურას. ამ საქმეში მათ უდიდეს სამსახურს უწევდა 90-იანი წლების დასაწყისს თბილისში ო. ვ. კაიდანოვას მიერ დაარსებული ე. წ. „იაფ-ფასიანი ბიბლიოთეკა". „განსაკუთრებულ მოვლენას 90-იანი წლების დასაწყისის თბილისში,—აღნიშნავს ვ. ი. როხლინი,—წარმოადგენდა ოლღა ვლადიმერის ასულ კაიდანოვას ბიბლიოთეკა, რომელიც ჯერ პლეხანოვის ქუჩაზე არსებობდა და შემდეგ გორკის ქუჩაზე გადმოვიდა. ამ იაფი ბიბლიოთეკის გარშემო თავს ვიყრიდით ჩვენ, რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდობა. ყველა გატაცებით ვკითხულობდით ამ ბიბლიოთეკიდან გამოტანილ წიგნებს. რა თქმა უნდა, აქ ბევრი იყო თავისუფალი ხასიათის წიგნები. ეს წიგნები ზრდიდა და განამტკიცებდა ჩვენში რევოლუციურ რწმენას"[4].

---

[1] ანა ნიკოლაძე, გორკი და საქართველო, ჟურნ. „მნათობი", 1948 წ., № 4, გვ. 149.

[2] იქვე, გვ. 151.

[3] საგულისხმოა დეტალი: „მ. თოიძე 1896 წლის გაზაფხულზე გაემგზავრა პეტერბურგში. ამ გამგზავრებისათვის ფულის შეგროვება კაოგა ხნით ადრე დაიწყეს შიო და გოლა(?) ჩიტ-ძეებმა და ძაქსიმ გორკიმ". იხ. შ. კვასხვაძე, მოსე თოიძე (სამოცი წლის მოღვაწეობის გამო), გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება", 1949 წ., № 7.

[4] ანა ნიკოლაძე, გორკი და საქართველო, ჟურნ. „მნათობი", 1948 წ., № 4, გვ. 152. იხ. აგრეთვე ანა ნიკოლაძე, მაქსიმ გორკი და ქართული კულტურა, თბილისი, 1952 წ.

მაქსიმ გორკისა და შიო ჩიტაძის მეგობრობას, გარდა რევოლუციური მოღვაწეობისა, ისიც უწყობდა ხელს, რომ ორივეს უდიდესი მისწრაფება ჰქონდათ თეატრალური ხელოვნებისადმი. სერ. რობაქიძე თავის მოგონებაში აღნიშნავს: „ჩვენს წრეში იყო მხოლოდ ორი წევრი, რომელთაც თავისი თავი შესანიშნავი მსახიობი ეგონათ. ერთი ასეთი იყო შემდეგში ქართულ საზოგადოებაში კარგად ცნობილი და შემდეგ უდროოდ დაღუპული შიო ჩიტაძე და მეორე თვით ალექსი პეშკოვი. საქმე იმაშია, რომ ამ დროს თბილისის ქართული თეატრში მუშაობდა ქართული სცენის დამამშვენებელი არტისტი ვლადიმერ სარდიონის-ძე ალექსი-მესხიშვილი, რომელიც გასაკვირველად ასრულებდა შილერის ცნობილ „ყაჩაღებიდან“ ფრანც მოორის როლს. შიო ჩიტაძე გატაცებული იყო ფრანც მოორის როლის შესრულებით და ალექსი პეშკოვი — კარლოს მოორის როლით. ეს ორი პიროვნება ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს ამ როლების შესრულებაში“[1].

ამ ცნობას ადასტურებს ვ. ი. როხლინიც: „შიო ჩიტაძე დიდი ნაკითხი ახალგაზრდა იყო, გრძნობიერი, მღელვარე, სოციალისტური იდეებით გატაცებული. გორკიმ და ჩიტაძემ მალე გამონახეს საერთო ენა. გარდა იდეური დაახლოებისა, მათ აახლოვებდათ აგრეთვე გატაცება თეატრით — ორივენი შილერის „ყაჩაღების“ დიდი თაყვანისმცემლები იყვნენ“[2].

გოლა ჩიტაძის, მაქსიმ გორკისა და მათ იდეურ მეგობართა წრეში მიიღო შიო ჩიტაძემ რევოლუციური მომზადება და წრთობა. მიუხედავად ახალგაზრდობისა, ამ წრის მეშვეობით იგი ჩამოყალიბდა, როგორც თავდადებული მებრძოლი რევოლუციონერი.

შიო ჩიტაძე გიმნაზიის წლებში დაინტერესებული იყო საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა საკითხით. განსაკუთრებით თვალყურს ადევნებდა იგი თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის თაობაზე აღძრულ უთანხმოებას, რომელმაც თავი იჩინა დიდ ქართველ მწერალს ილია ჭავჭავაძესა და შექსპირის მთარგმნელ ივანე მაჩაბელს შორის. როგორც ი. მანსვეტაშვილი „მოგონებიდან“ ჩანს, შიო ჩიტაძე, რევოლუციურად განწყობილ სხვა ქართველ მოსწავლე ახალგაზრდებთან ერთად, ი. მაჩაბლის პოზიციას უჭერდა მხარს. „ეს ახალგაზრდობა,— წერს ი. მან-

---

[1] სერ. რობაქიძე, მაქსიმ გორკი თბილისში, ჟურნ. „ქართული მწერლობა“, 1928 წ., № 6, გვ. 14.

[2] ანა ნიკოლაძე, გორკი და საქართველო, ჟურნ. „მნათობი“, 1948 წ., № 4, გვ. 151.

სვეტაშვილი,— მაჩაბელს უფრო მეტს თანაგრძნობას და სიყვარულს უცხადებდა, ვიდრე ილიას, ამას იმიტომ ვამბობ, რომ იქიდან (სადაც ისინი ისხდნენ დარბაზში — ვ. ქ.) ხშირად მოისმოდა ხოლმე სტვენა და უკმაყოფილების ხმაურობა, მეტადრე როდესაც ილია მეტის სიმკაცრით და გაუკითხავად დააცხრებოდა ხოლმე მაჩაბელს, როგორც გაალმასებული ქორი წიწილას. მეტადრე კარგად ჩამახსოვნდა შიო ჩიტაძე, რომელიც მაშინ სემინარიის (შეცდომაა. უნდა იყოს გიმნაზიის — ვ. ქ.) მოწაფე იყო. არ დამავიწყდება იმის აღგზნებული, ცეცხლივით გაელვარებული თვალები, რომელნიც გაშმაგებით დაშტერებოდნენ ილიას"[1].

მიუხედავად იმისა, რომ შიო ჩიტაძე ფართოდ იყო ჩაბმული მაშინდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, იგი გიმნაზიაში საუკეთესოდ სწავლობდა და პირველ მოწაფედ ითვლებოდა. მაღალი ნიჭით დაჯილდოებულმა ახალგაზრდამ თავიდანვე მიიქცია მასწავლებელთა ყურადღება; დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა იგი თავის მეგობარ მოსწავლეთა შორისაც.

ზაფხულობით, არდადეგების პერიოდში, შიო ჩიტაძე თავის მშობლიურ გორში ჩადიოდა. იქ იგი გარს შემოიკრებდა ხოლმე ადგილობრივ სასულიერო სასწავლებლის უფროსი კლასების მოსწავლეებს, უკითხავდა მათ რევოლუციური შინაარსის წიგნებს, აძლევდა რჩევა-დარიგებას და ამ გზით ცდილობდა ნათელ გზაზე დაეყენებინა მისი უმცროსი მეგობრები.

თბილისის „გიმნაზიაში შიო ჩიტაძემ ბევრი ჭირ-ვარამი გამოიარა, მოუკვდა ძმა (გოლა ჩიტაძე — ვ. ქ.), დარჩა მარტოდ-მარტო თავის-თავის ანაბრად, მაგრამ ძალუმი ენერგიის პატრონი ახალგაზრდა არ შეუშინდა სოფლის სიავესა: კერძო გაკვეთილებით ირჩენდა თავსა და მშობლებსაც აწვდიდა"[2]. მიუხედავად ასეთი პირობებისა, გულმოდგინე მეცადინეობის შედეგად, გიმნაზიის კურსი შიო ჩიტაძემ ოქროს მედლით დაასრულა 1892 წელს.

3. შიო ჩიტაძე კიევში

იმავე 1892 წელს შიო ჩიტაძე მოსკოვის უნივერსიტეტში შევიდა სამედიცინო განათლების მისაღებად, მაგრამ იმის გამო, რომ მას ეს არ იზიდავდა, თავი გაანება მოსკოვის უნივერსიტეტს და კიევის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაერიცხა 1893 წელს.

---

[1] ი ა კ ო ბ მ ა ნ ს ვ ე ტ ა შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, ლევან ასათიანის რედაქციით წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, 1936 წ., გვ. 195.

[2] ს ო ფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, მოგონებანი, 1938 წ., გვ. 227.

1893—1894 სასწავლო წლიდანვე უნივერსიტეტში იგი საუკეთესო სტუდენტად ითვლებოდა. შ. ჩიტაძემ ერთბაშად მიიქცია პროფესორ-მასწავლებელთა და მოწინავე სტუდენტობის ყურადღება. მალე იგი ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. თავის თანამემამულეებთან ერთად იგი დაუღალავად შრომობდა მეცნიერების საფუძვლიანად შესათვისებლად. „არა თუ მარტო ქართველი სტუდენტობა, სხვა ეროვნების სტუდენტობაც-კი დიდი პატივისცემით ეპყრობოდა იშვიათის ხასიათით და ნიჭით დაჯილდოებულს ახალგაზრდა სტუდენტს"[1]. სტუდენტობის პერიოდში შიო ჩიტაძემ საფუძვლიანი ფილოლოგიური განათლება მიიღო (აქ ის ისმენდა ცნობილი სპეციალისტების დაშკევიჩისა და ვლადიმიროვის ლექციებს ლიტერატურის ისტორიაში), და აგრეთვე პროფ. ჩ ე ლ პ ა ნ ო ვ ი ს ხელმძღვანელობით საფუძვლიანად შეისწავლა ფილოსოფია და ფსიქოლოგია. ამავე დროს იგი ღრმად დაეუფლა პოლონურ ენასა და ლიტერატურას. „ჯერ კიდევ მეოთხე კურსის სტუდენტმა დასწერა ადამ მიცკევიჩის თხზულებათა გარჩევა, რაიც, კიევის პროფესორების აზრით, შესანიშნავ განძად უნდა ჩაითვალოს პოლონური ლიტერატურის გამოკვლევათა ისტორიაში"[2].

შიო ჩიტაძე სტუდენტობის პერიოდში კიდევ უფრო ფართოდ ჩაება რევოლუციურ მუშაობაში. იგი, როგორც ქართველ სტუდენტთა სათვისტომოში[3], ისე საერთოდ უნივერსიტეტის სტუდენტთა წრეებში, ენერგიულად იბრძოდა იმისათვის, რომ რევოლუციური იდეა-მისწრაფებანი გაეღვივებინა და გაევრცელებინა ახალგაზრდობაში. შიო ჩიტაძე მეტად გაბედული და მებრძოლი ბუნების ადამიანი იყო. „ეს თვისებები,— აღნიშნავს თავის მოგონებაში კიევის უნივერსიტეტის იმდროინდელი სტუდენტი, შემდეგში სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე გრ. ნ ა თ ა ძ ე,— განსაკუთრებით თავს იჩენდა მასში პოლიტიკური გამოსვლების დროს, და ხშირად გადაჭარბებულ უშიშროებამდის და აშკარა საფრთხის უარყოფამდისაც კი მიდიოდა. ასეთი იყო მისი ქცევა ე. წ. ვეტროვას ისტორიაში. ეს იყო 1897

---

[1] შ ი ო ჩ ი ტ ა ძ ე (ნეკროლოგი), გაზეთი „შრომა," 1906 წ., № 76.

[2] ი ქ ვ ე.

[3] შიო ჩიტაძე კიევში განსაკუთრებული გულისხმიერებით ეპყრობოდა იქაურ ქართველ სტუდენტობას და სისტემატურად ზრუნავდა მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე (იხ. შიო ჩიტაძე, გულახდილი თხოვნა ქართველი სახოგადოების მიმართ, ჟურ. „მწყემსი", 1901 წ., № 9, გვ. 8).

წელს. ვეტროვას ქალი, პეტერბურგის „კურსისტკა“, პოლიტიკური საქმის გამო დაიპირეს და ციხეში ჩასვეს. იქ მისდამი მიჩენილმა ჟანდარმთა ოფიცერმა ამ ქალზე ძალა იხმარა და გააუპატიურა. ქალმა ეს ვერ აიტანა და თავი მოიკლა... რადგანაც ციხეში თავის მოკვლის სხვა საშუალება არ არსებობდა, მან ციხის კამერის გასანათებელ ლამფიდან ნავთი გადაისხა თავზედ და ცეცხლი მოიკიდა. ეს საქმე მთელ რუსეთში გახმაურდა. საუნივერსიტეტო ქალაქებს მოედვა პოლიტიკური დემონსტრაციების ტალღა. კიევის სტუდენტობამაც მოაწყო ამგვარი დემონსტრაცია. როცა სტუდენტების გუნდი უნივერსიტეტის შენობიდან ქუჩაში გამოვიდა, აუარებელი ხალხი შეუერთდა მათ. ხალხთა შორის ერთი მოხუცებული ქალიც შეუერთდა დემონსტრანტებს.— Из сочувствия, из сочувствия,— ჩიფჩიფებდა მოხუცი ქალი. პოლიციელმა („გოროდოვოიმ“) მოავლო მას ხელი და უხეშად მოექცა. შიო ჩიტაძემ ეს რომ დაინახა, პოლიციელს მუცელში მუშტი ჩაჰკრა და გაანთავისუფლა მოხუცი ქალი სულთამხუთავის კლანჭებისაგან. რასაკვირველია, გაუფრთხილებელი საქციელი იყო. პოლიციელს შეეძლო იქვე ტყვია ესროლა შიოსათვის. საბედნიეროდ, ბრბო ძლიერ მოაწვა მოჩხუბრებს და ამან დაიხსნა შიო ხიფათისაგან. ყოველ შემთხვევაში შიოს უშიშროება და კეთილშობილური მოქალაქეობრივი გრძნობები ამ საქციელში აშკარად ჩანს“[1].

ამ დემონსტრაციას შედეგად მოჰყვა ჟანდარმერიის მიერ შიო ჩიტაძის დაპატიმრება 1897 წლის 22 მარტს.

კიევში, სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად, შიო ჩიტაძეს ახლო ურთიერთობა და მეგობრობა ჰქონდა ახალი უკრაინული ლიტერატურის ფუძემდებელ მწერალთან — ლესია უკრაინკასთან (1871—1913 წწ.), რომელიც ტ. შევჩენკოს რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციების დიდი განმგრძობი იყო უკრაინულ ლიტერატურაში და თავისი პროგრესული იდეოლოგიით იზიდავდა რევოლუციურ ახალგაზრდობას. მათი მეგობრობა კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც შიო ჩიტაძე თბილისში გადმოვიდა სამუშაოდ და ლესია უკრაინკაც სამკურნალოდ საქართველოში იყო ჩამოსული[2]. 1905 წლის 22 მარტს ლესია უკრაინკა (ლარისა კოსაჩი) თბილისიდან პირადი ბარათით ატყობინებდა მშობლებს კიევში: „ეს არის ახლა ჩემთან იყვნენ შიო ჩიტაძის ცოლი და მისი და...

---

[1] გრ. ნათაძე. შ. ა. ჩიტაძე (მოგონება). საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 1739.

[2] ვ. იმედაძე. ლესია უკრაინკა საქართველოში, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1948 წ., № 30.

ჩიტაძის ოჯახთან მე კეთილმეგობრული ურთიერთობა მაქვს, ხშირად დავიარები მათთან". მეორე წერილში 1905 წლის 6 თებერვლის თარიღით იგი წერდა დედას: „ვიყავი ჩიტაძეებთან, ძალიან თავაზიანად, მეგობრულად და სასიამოვნოდ მიმიღეს"[1]. ეს კეთილმეგობრული ურთიერთობა და ურთიერთ პატივისცემა შიო ჩიტაძის ოჯახსა (შიო ჩიტაძეს მეუღლედ ჰყავდა განათლებული უკრაინელი ქალი იუსტინა კირილეს ასული შჩერბანი) და ლესია უკრაინკას შორის შიო ჩიტაძის ტრაგიკულ მკვლელობამდე არ შეწყვეტილა[2].

უნივერსიტეტის კურსი შ. ჩიტაძემ ბრწყინვალედ დაასრულა 1896—97 სასწავლო წელს. იგი, როგორც საუკეთესო კურსდამთავრებული და საფუძვლიანი სამეცნიერო მომზადების მქონე, მიწვეულ იქნა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად კიევის გიმნაზიებში, მათ შორის ფუნდუკლეევის ცნობილ ქალთა კერძო გიმნაზიაში.

პედაგოგიურ სარბიელზე შ. ჩიტაძემ უდიდესი ნიჭი და ერუდიცია გამოიჩინა. იგი შესანიშნავ მასწავლებლად იქნა აღიარებული კიევის სასწავლო ოლქში. ცნობილი უკრაინელი ლიტერატორი და პუბლიცისტი ვ. ა. ჩაგოვეცი, რომელიც შიო ჩიტაძის მეგობარი იყო, თავის მოგონებაში აღნიშნავს, რომ ჩიტაძე კიევში ყველაზე ცნობილი, ნიჭიერი პედაგოგი და საუკეთესო ორატორი იყო. აკადემიკოსი ე. ტარლე, რომელიც 1899 წელს კიევის ბეიტელის გიმნაზიაში ჩიტაძესთან ერთად მუშაობდა ისტორიის მასწავლებლად, აღნიშნავს, რომ „ჩიტაძე მანცვიფრებდა თავისი ყოველმხრივი და მრავალფეროვანი ცოდნითა და განვითარებით, გაბედული აზროვნებით, მსჯელობის სიმწიფითა და მაღალი ინტელექტუალური დონით"[3]. შიო ჩიტაძე, როგორც მეტად ნიჭიერი, საუკეთესო და უკვე საკმარისად გამოცდილი პედაგოგი, ზაფხულობით განაგებდა სახალხო სკოლის მასწავლებელთა პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს და სანიმუშო გაკვეთილების მიცემით არა ერთ და ორ სახალხო

---

[1] შ. სიხარულიძე, შიო ჩიტაძე, ჟურნ. „მნათობი", 1954 წ., № 1, გვ. 146.

[2] იხ. ლ ე ვ ან ასათიანი, ლესია უკრაინკა, საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა, 1953 წ., გვ. 13—17. იხ. აგრეთვე ნატალია ა ბ ი ა ნ ი, მოგონებანი ქართველ მწერლებზე (შიო ჩიტაძე), „ლიტერატურის მატიანე", წიგნი 5, ნაკვეთი პირველი, 1949 წ., გვ. 21—29.

[3] შ ო თ ა ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე. შიო ჩიტაძე, ჟურნ. „მნათობი", 1954 წ., № 1, გვ. 146, იხ. აგრეთვე ლ ე ვ ან ასათიანი, ლესია უკრაინკა, თბილისი, 1953 წ., გვ. 15.

მასწავლებელს უნერგავდა გულში სკოლისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სიყვარულს. თავისი მრავალმხრივი და უანგარო შრომის, საფუძვლიანი ცოდნა-მომზადებისა და სანიმუშო ადამიანური თვისებების გამო, შ. ჩიტაძეს ყოველთვის უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით ეპყრობოდნენ როგორც კიევის მოწინავე საზოგადოება, კოლეგა-პედაგოგები, ისე მოსწავლეებიც. და შემდეგში, როდესაც შ. ჩიტაძე თბილისში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, მას ერთ-ერთი ყოფილი კიეველი მოწაფე ასეთ საგულისხმო ბარათს უგზავნიდა: „ძვირფასო შიო, ჩვენ გავიგეთ, რომ ამ საშობაოდ კიევში აპირებთ ჩამოსვლას. თუ ეს მართალია, ყველა თქვენი მოწაფეები უმორჩილესად გთხოვთ გიმნაზიაში შემოხვიდეთ, თქვენი ჩვენთვის ძვირფასი სახე დაგვანახვოთ და მით გაგვაბედნიეროთ ყველანი. კერძოდ მე დიდ ბედნიერად ჩავთვლიდი ჩემს თავს, თუ ორიოდე სიტყვით ამ წერილის პასუხს მომცემთ და თქვენს ხელნაწერს ორიოდეს სიტყვას სამუდამოდ სახსოვრად მოვაწოდებთ, რითაც საუკუნოდ დამავალებთ“[1].

თბილისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელი ზ. ჩხიკვაძე აღნიშნავს: „მე არა ერთხელ მინახავს შიოსთან მიწერილი წერილი კიევის გიმნაზიის საბჭოს წევრთაგან და უამრავი წერილები იქაურ მოწაფეთაგან, რომლებიც მისტიროდნენ უკან შიოს და მის დიდ ბუნებოვან ადამიანობას და შეუდარებელ მასწავლებლობას აღნიშნავდნენ“[2].

ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად კიევში შიო ჩიტაძე დიდ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. იგი იყო ადგილობრივი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ აქტიური მუშაკი, მისი მდივანი და გამგეობის წევრი. საზოგადოების რთულსა და პასუხსაგებ საქმეებს შ. ჩიტაძე უსასყიდლოდ, იშვიათის სიყვარულითა და ენერგიით ემსახურებოდა ექვსი წლის განმავლობაში. ასეთი უანგარო და თავდადებული მუშაობის გამო იგი საზოგადოების საპატიო წევრად აირჩიეს.

განსაკუთრებული შრომა და ენერგია შიო ჩიტაძემ კიევის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს მუშაობის გაუმჯობესებას მოახმარა. წლების განმავლობაში იგი იყო ამ სათვისტომოს ფაქტიური მეთაური. შიო ჩიტაძე ადგენდა სათვისტომოს მუშაობის გეგმას, აწყობდა მოხსენება-რეფერატებს პოლიტიკის, მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა საკითხზე; სისტემატურად მონაწილეობდა

---

[1] გაზ. „შრომა“, 1906 წ., № 16.

[2] ზ. ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე. შიო ჩიტაძე (მკვლელობის ათი წლის თავი), გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916 წ., № 14.

სათვისტომოში გამართულ კამათსა და დისპუტებში; უმეტესად თვითონ კითხულობდა შინაარსობლივად მეტად საინტერესო და იშვიათი ორატორული ხელოვნებით დალაგებულ და გადმოცემულ ლექცია-მოხსენებებს ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ქართული, რუსული და დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ძირითად საკითხებზე. („პუშკინის ლირიკა", „კავკასია ლერმონტოვისა და ქართველ პოეტთა შემოქმედებაში", „პუშკინი და მიცკევიჩი", „მიცკევიჩის ლირიკის დამახასიათებელი ნიშნები", „პუშკინი როგორც ცხოვრების მასწავლებელი" და სხვ.) კიევის უნივერსიტეტის იმდროინდელი სტუდენტი და ქართველთა სათვისტომოს აქტიური წევრი, ივ. ქავთარაძე, გადმოგვცემს თავის მოგონებაში, რომ შიო ჩიტაძე უხვად იყენებდა თავის გამოსვლებში ბეკონის, ფეიერბახის, ჰეგელის და, განსაკუთრებით, მარქსისა და ენგელსის თხზულებებიდან მოტანილ ციტატებს. პოეტებიდან მისი საყვარელი ავტორები იყვნენ: გოეთე, ჰაინე, შილერი, პუშკინი, ლერმონტოვი, ნეკრასოვი, ტიუტჩევი, შ. რუსთაველი, აკ. წერეთელი, ილ. ჭავჭავაძე და სხვ[1].

თავისი ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური მომზადება შიო ჩიტაძემ იმდენად გააფართოვა და გააღრმავა, რომ „სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოებანი და კერძო ინტელიგენტთა წრეები, ცნობილ პროფ. ჩელპანოვის რეკომენდაციით, შ. ჩიტაძეს იწვევდნენ ლექციების წასაკითხავად, როგორც საუკეთესო მცოდნესა და ნიჭიერ ორატორს. მისი ყოველი ლექცია, დამსწრეთა სიტყვით, დიდს აღტაცებას იწვევდა მსმენელთა შორის".

შიო ჩიტაძე ხშირად იღებდა მონაწილეობას კიევის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომებზე იმ პაექრობაში, რომელიც დისერტაციების დაცვის დროს იმართებოდა; თავისი ღრმა თეორიული მომზადებითა და დიდი ერუდიციით იგი უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელებზე და ულმობელად ააშკარავებდა რეაქციონერ პროფესორთა დახავსებულ და უსუსურ დებულებებს.

შ. ჩიტაძე მხურვალე მონაწილეობას იღებდა კიევის პროგრესულ ჟურნალ-გაზეთებში, სადაც სისტემატურად ათავსებდა ფსიქოლოგიურ და ლიტერატურულ-კრიტიკულ სტატია-ნარკვევებს.

4. შიო ჩიტაძე თბილისის ძარცულ გიმნაზიაში

1904 წელს ზაფხულზე თბილისის ქართული გიმნაზიის გამგეკომიტეტმა პედაგოგიურ წრეებში უკვე საკმაოდ სახელმოხვეჭილი

[1] Ив. Кантарадзе, Воспоминания о Ш. А. Чптадзе. საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 1741.

შიო ჩიტაძე რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მოიწვია. სამშობლო ქვეყანასა და თანამოძმეთა შორის ყოფნას მოწყურებული ახალგაზრდა ქართველი მოღვაწე აღფრთოვანებით შეეგება თანამემამულეთა ამ მოწვევას. კიევის მაღლიერი საზოგადოებისაგან ზეიმით გამოცილებული და ძვირფასი ნივთებით დასაჩუქრებული შიო ჩიტაძე სექტემბრის დამლევს ჩამოვიდა მშობლიურ დედაქალაქში და მთელი თავისი მეცნიერულ-პედაგოგიური ცოდნა-გამოცდილებით ენერგიულად შეუდგა ქართულ გიმნაზიაში შემოქმედებით პედაგოგიურ მოღვაწეობას. „სწავლის დაწყებიდან რამდენიმე დღე იყო გასული,—გადმოგვცემს თბილისის ქართული გიმნაზიის ყოფილი მოსწავლე, დოც. ს. ვ ა ჩ ნ ა ძ ე,—დაირეკა კლასში შესასვლელი ზარი. ჩვენ დავიკავეთ ჩვენი ადგილები. კარი იღება, შემოდის რატიშვილი (ივ. რატიშვილი ამ დროს გიმნაზიის ინსპექტორის მოვალეობას ასრულებდა. — ვ. ქ.); უკან მოჰყვება მაღალი ტანის, შავგვრემანი, შავ წვერ-ულვაშა ახალგაზრდა კაცი; შავად მბზინავი გრძელი თმა უკან აქვს გადავარცხნილი; ცხვირზე პენსნე აქვს გაკეთებული და მისი ოქროს ძეწკვი ყურს უკან გადატანილი; ძალიან უხდება წერწეტა ტანზე მოწყობილი შავი სერთუკი; მაღალი, თეთრი გახამებული საყელო და თეთრი გახამებულივე გულისპირი შავ თმაწვერსა და შავ სერთუკს შორის უმტვერო თოვლივით მოჩანს. საერთო შთაბეჭდილება ამ უცნობი ახალგაზრდისაგან არაჩვეულებრივად ამაღელვებელია: მიმზიდველიცაა იგი და იმავე დროს აღმძვრელიც“[1].

ეს „უცნობი ახალგაზრდა“, რომელმაც ასეთი „არაჩვეულებრივად ამაღელვებელი“ შთაბეჭდილება მოახდინა მოსწავლეებზე, იყო შიო ჩიტაძე. მან დინჯად დაიწყო გაკვეთილი, და მოსწავლეთა წინაშე ერთბაშად წარმოსდგა ღრმა ცოდნით აღჭურვილი მტკიცე დისციპლინის პედაგოგი. „შიო გვკითხავდა, რა ვიცოდით, რა წაგვეკითხა, ცდილობდა აველაპარაკებინეთ და ადვილადაც აღწევდა ამას — განაგრძობს ს. ვაჩნაძე,— მაგრამ ეტყობოდა, ჩვენი პასუხები, ჩვენი ცოდნა მას არ აკმაყოფილებდა: სახეზე რამდენჯერმე ჩრდილმა გადაურბინა, წარბები ძლივს შესამჩნევად შეუთამაშდა. ჩვენ ვცდილობდით თამამად დაგვეჭირა თავი ახალგაზრდა მასწავლებელთან, მაგრამ რაღაც შეუგრძნობელი ძალა გვბორკავდა. სხვა მასწავლებელთან გადაჭარბებით გათამამებულნი, აქ რაღაც უხილავ დაბრკოლებას ვაწყდებოდით. ერთმა გათავხედებულმა მოწაფემ მაინც სცადა, რაღაც ბრიყვული, ლაზღანდარული სიტყვით გამოეყვა-

---

[1] ს. ვ ა ჩ ნ ა ძ ე, მოგონება, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 1737.

ნა მასწავლებელი წონასწორობიდან.— Што-с?-თვალების ოდნავ მოხუქვით და ტუჩებზე ღიმილის გაელვებით მოუბრუნდა შიო ამ მოწაფეს ისეთი ირონიული კილოთი, რომ მოწაფე მთლიანად წახდა და ყოველივე სურვილი ლაზღანდარობისა დაკარგა. ეს Што-с? შემდეგშიც არა ერთხელ მოგვისმენია შიოსაგან, და ყოველთვის დაუდვია მას ზღვარი, რომლის, გადალახვაც ვერც ერთ მოწაფეს ვერ მოუხერხებია. მაგრამ ეს პირველ გაკვეთილზე პირველად წარმოთქმულ Што-с? წარუშლელი დარჩა მეხსიერებაში. იმდენი მორალური ძალა, იმდენი სიმტკიცე და რწმენა მასწავლებლის ავტორიტეტისა გამოიხატებოდა მასში, რომ კლასს არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ დაჰყოლოდა ამ ავტორიტეტს. ვცდილობ მოვიგონო შიო, ოდესმე მოთმინებიდან გამოსული, გაჯავრებული, აყვირებული, მაგრამ ამაოდ. იგი თვალწინ მიდგას მუდამ მშვიდი, წყნარი, აღუშფოთებელი. მისი ზეგავლენის იარაღი ურჩებზე, ცულუტებზე, დისციპლინის დამრღვევებზე ამ ირონიული Што-с?-ის იქით არ მიდიოდა და არც იყო საჭირო, რადგან საოცარი დამმორჩილებელი ძალა ჰქონდა ამ სიტყვას შიოს პირში"[1].

ეს პირველი შთაბეჭდილება თანდათან ბუნებრივად დამკვიდრდა მოსწავლეებში. შიო ჩიტაძე მეტად გონიერი პედაგოგი იყო „მუდამ მშვიდი, წყნარი, აღუშფოთებელი", ამავე დროს მკაცრი, მომთხოვნი, ზედმიწევნით ობიექტური და პუნქტუალური. „შიოს ცოცხალი, მიმზიდველი, უაღრესად დახელოვნებული გაკვეთილები მოწაფეების ყურადღების ცენტრში იდგა. შიოს სიცოცხლე და სიხარული შეჰქონდა კლასში რუსული ენის სწავლების დროს და კიდევაც ეს იყო მიზეზი, რომ მოსწავლეები დაძაბული ყურადღებით უსმენდნენ გაკვეთილებს თავის საყვარელ მასწავლებელს და ზარის შემოკვრაზე, როცა გაკვეთილი უნდა დასრულებულიყო, მოწაფეები ადგილიდან დაძვრას არ აპირებდნენ და სურვილს გამოთქვამდნენ შიოს გაკვეთილი განეგრძო",— წერს თავის „მოგონებაში" შიოს კოლეგა თბილისის ქართულ გიმნაზიაში ალ. მიქაბერიძე[2]. ამიტომაც იგი დიდი ავტორიტეტი შეიქმნა ქართული გიმნაზიის მოსწავლეებისათვის. კიდევ უფრო დაიახლოვა და შეიყვარა შიო ჩიტაძე გიმნაზიის პედაგოგიურმა კოლექტივმა, რომელიც მომზადებული იდეური და გამოცდილი საზოგადო მოღვაწე-პედაგოგებისა-

---

[1] ს. ვაჩნაძე. მოგონება, საქ. სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 1737, გვ. 4—5.

[2] ალ. მიქაბერიძე, შიო ჩიტაძე (მოგონება), საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 1738, გვ. 41.

ვან შედგებოდა. და აი, როდესაც კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა ი ვ. რ ა ტ ი შ ვ ი ლ ი არ დაამტკიცა გიმნაზიის ინსპექტორად (გამგედ), როგორც „პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო პირი“, გიმნაზიის გამგე-კომიტეტმა ახლად ჩამოსული, მაგრამ მაღალავტორიტეტიანი პედაგოგი შიო ჩიტაძე წარადგინა ამ თანამდებობაზე დასანიშნავად. მალე შიო ჩიტაძე ქართული გიმნაზიის ხელმძღვანელი გახდა. ამ გარემოებამ ფართო შესაძლებლობა მისცა მას სისტემატიურად განეხორციელებინა საფუძვლიანად მოფიქრებული პედაგოგიური გეგმები.

თბილისის ქართული გიმნაზია (დაარსდა 1879 წელს, როგორც სათავად-აზნაურო სკოლა) კერძო სასწავლებელი იყო. იგი „ღარიბ მოსწავლეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოების“ ხარჯზე ინახებოდა. მის საქმიანობას განაგებდა თავადაზნაურთა საზოგადოების მიერ არჩეული სასწავლებლის გამგე-კომიტეტი, რომელსაც ათეული წლების განმავლობაში ფაქტიურ ხელმძღვანელობას უწევდა ცნობილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ნ ი კ ო ც ხ ვ ე დ ა ძ ე. თუმცა გიმნაზიას თავიდანვე სათავეში ინსპექტორი (გამგე) ედგა, მაგრამ სინამდვილეში მის მთელ საქმიანობას როგორც საფინანსო-ეკონომიურ, ისე სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის დარგში, სკოლის გამგე-კომიტეტი განაგებდა, რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა გიმნაზიის პედაგოგთა შორის. ქართული გიმნაზია, როგორც კერძო სასწავლებელი, მოკლებული იყო მთავრობის გიმნაზიის უფლებას. ამ გიმნაზიის კურსდამთავრებულს გამოცდები სიმწიფის ატესტატის მისაღებად მთავრობის გიმნაზიაში ან კავკასიის სასწაელო ოლქის მზრუნველისაგან სპეციალურად გამოყოფილ კომისიაში უნდა ჩაებარებინა. ეს გამომცდელები კი, რომელთაც ქართული კულტურისადმი უდიდესი სიძულვილი და რუსიფიკატორულ-კოლონიზატორული პოლიტიკის ინტერესები ამოქმედებდათ, ყოვლად ულმობლად და ანტიპედაგოგიურად ეპყრობოდნენ ქართული გიმნაზიის მოსწავლეებს. ამის შედეგად გიმნაზიის კურსდამთავრებულთა უმრავლესობა ვერ აბარებდა გამოცდებს და ვერ იღებდა სიმწიფის ატესტატს. ცნობილია, მაგალითად, რომ 1904 წელს თბილისის ქართული გიმნაზიის ცხრა მოსწავლიდან მხოლოდ ერთმა ჩააბარა გამოცდა. ეს გარემოება დიდ აღშფოთებას იწვევდა საზოგადოებაში. ამის გამო ქართულ ჟურნალ-გაზეთებსა და თვით თავად-აზნაურთა საზოგადოებაში ხშირად ისმოდა ხმები თბილისის ქართული გიმნაზიის მუშაობის გადასინჯვა-გადახალისების აუცილებლობის შესახებ. გან-საკუთრებით მწვავედ დაისვა ეს საკითხი რევოლუციური მოძრა-

ობის პერიოდში. „განმათავისუფლებელმა მოძრაობამ აშკარა ...
ყველა ის ნაკლოვანებანი, რომელნიც განუყრელად თან სდევდა
აწინდელს საშუალო სასწავლებელს... თავისუფლების სიომ მოაღწია
სათავად-აზნაურო სკოლამდის და გამოაფხიზლა მისი მოთავენი —
მასწავლებელნი"[1].

შიო ჩიტაძე ინსპექტორის თანამდებობაზე დანიშვნისთანავე
თბილისის ქართულ გიმნაზიაში მმართველობის დემოკრატიული
სისტემის შემოღებასა და სწავლა-აღზრდის ახალ პედაგოგიკურ
პრინციპზე დამკვიდრებას შეუდგა. ამ მიზნით აამოქმედა გიმნაზიის
პედაგოგიური კოლექტივი, დაამყარა მასთან მჭიდრო მეგობრული
ურთიერთობა, შეიმუშავა „თბილისის სათავად-აზნაურო სკოლის
სასურველი რეორგანიზაციის" ცნობილი პროექტი, გამოაქვეყნა იგი
პრესაში (გაზ. „ივერია", 1905 წ., № 89) და წარუდგინა სკოლის
გამგე-კომიტეტს განსახილველად და დასამტკიცებლად. „რეორგანი-
ზაციის" ამ პროექტში, რომელიც უშუალოდ შ. ჩიტაძის მიერ იყო
შედგენილი, აღნიშნული იყო: „რუსეთში ახლანდელმა სოციალურმა
პირობებმა ისეთის ვიწრო ფარგლებით შემოხაზა სწავლა-განათლე-
ბის საქმე, რომ თანამედროვე სასწავლებლები ოდნავადაც ვერ
აკმაყოფილებენ მრავალგვარ გართულებული ცხოვრების აუცილე-
ბელ მოთხოვნილებას. ცხოვრება აჩქარებულის ნაბიჯით წინ მი-
ისწრაფვის, ცხოვრების ვითარება რთულდება, სასწავლებლები კი
ამავე დროს ერთსა და იგივე წერტილზე შეჩერებულან და, თითქოს
განგებ, ცდილობენ მოზარდი ახალთაობის გონების დახშობას, მისი
სულიერი და ფიზიკური ძალების ერთიანად განადგურებას. არსებული
სასწავლებლები ჭეშმარიტად განვითარებულ მუშაკებს ვერ უმზადებენ
სამშობლოს და კიდევაც ამიტომაა. რომ ყოველი ჩვენი საზოგადო საქ-
მე, ჩვენი საზოგადო მოღვაწეობა მცირე ნაყოფის გამომღებია... თბი-
ლისის სათავად-აზნაურო სკოლაც ვერ ასცდა ამ საერთო ნაკლს. ამ
სკოლის სასწავლო გეგმა და ორგანიზაცია თითქმის სავსებით აგებუ-
ლია რუსეთის საშუალო სკოლების უმთავრეს საფუძველზე, და ამი-
ტომაცაა. რომ ჩვენი სკოლის ნაყოფიერებაც ისევე უმნიშვნელოა,
როგორც რუსეთის საშუალო სასწავლებლებისა; მეტსაც ვიტყვით:
ჩვენი სკოლის მდგომარეობა უარესია, რადგან სწავლება უცხო
ენაზე წარმოებს"[2]. ამ პრინციპულ მოსაზრებათა საფუძველზე გიმ-

---

[1] შ ი ო ჩ ი ტ ა ძ ე, თბილისის სათავად-აზნაურო სკოლა და მისი სასურველი
ცვლილებანი. გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905 წ., № 234.

[2] თბილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასურველი რეორგანიზაცია, გაზ.

ნაზიის პედაგოგიური საბჭო („რჩევა") მოითხოვდა სკოლის მთელი სამეურნეო-ადმინისტრატიული და სასწავლო-პედაგოგიური მუშაობის გარდაქმნას საზოგადოებრივი ცხოვრებისა და პედაგოგიკური აზროვნების ახალი მოთხოვნების შესაბამისად, ქართული გიმნაზიის დამოუკიდებლობას და უფლებრივად მთავრობის გიმნაზიებთან გათანასწორებას, ყველა საგანში მშობლიურ ენაზე სწავლების განხორციელებას, სწავლების შინაარსის გაფართოებასა და შევსებას საბუნებისმეტყველო და ზოგადი სოციალური განათლების საგნებით, ახალ უცხო ენათა სწავლების გაუმჯობესებას, ლათინური ენის შეზღუდვას, მოსწავლეთა გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებას „კლასგარეშე წიგნების გონივრულად კითხვის" ორგანიზაციით, მასწავლებელთა პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ზრუნვას, მათი ხელფასის გადიდებას და მატერიალური უზრუნველყოფის გაუმჯობესებას, პედაგოგიურ საბჭოს უფლებათა გაფართოებას და გამგე-კომიტეტის უფლებათა დაყვანას გიმნაზიისადმი სამეურნეო-მატერიალური დახმარების აღმოჩენისა და სკოლაში სასწავლო-საალმზრდელო მუშაობისადმი საერთო მეთვალყურეობის და კონტროლის გაწევამდე.

თბილისის ქართული გიმნაზიის პედაგოგიური „რჩევის" ამ პროექტმა დიდი და გაცხარებული მსჯელობა-კამათი გამოიწვია მოწინავე ქართველ საზოგადოებაში. მას აქტიურად გამოეხმაურენ ჩვენი ცნობილი საზოგადო მოღვაწე-პედაგოგები (იაკობ გოგებაშვილი[1], ნიკო ცხვედაძე, იაკობ ღულაძე[2], სერგი გორგაძე[3], დ. ქადაგიძე[4] და სხვ.) და ქართული ჟურნალ-გაზეთები[5]. შიო ჩიტაძე თავის საპასუხო წერილებში: „თბილისის სათავად-აზნაურო სკოლა და მისი სასურველი ცვლილებანი"[6] და „დიდი რიხი და სუსტი ღონე (პასუხად ბ-ნ

---

[1] იაკობ გოგებაშვილი, შენიშვნა, გაზ. „ცნობის ფურცელი". 1905 წ., № 3014.

[2] იაკობ ღულაძე, თბილისის სათავად-აზნაურო სკოლის რეორგანიზაცია, გაზ. „ივერია", 1905 წ., №№ 99, 100 და 101.

[3] სერგი გორგაძე, ქართული ენა თბილისის სათავად-აზნაურო სკოლაში, გაზ. „ივერია". 1905 წ., №№ 95, 97 და 103 და თბილისის სათავად-აზნაურო სკოლის რეორგანიზაცია, გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905 წ., № 2845.

[4] დ. ქადაგიძე, ბ-ნ იაკობ ღულაძის პედაგოგიური „ოთხთავი", გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905 წ., № 2817.

[5] იხ. გაზ. „ივერიის" მოწინავე წერილები: სასკოლო რეფორმა (1905 წ., № 90), დედაენა სკოლაში (1905 წ., № 91), სკოლის რეორგანიზაცია (1905 წ., № 93) და პროექტი (1905 წ., № 104).

[6] შ. ჩიტაძე, თბილისის სათავად-აზნაურო სკოლა და მისი სასურველი ცვლილებანი, გაზ. „ცნობის ფურცელი" 1905წ., №№ 2834, 2836, 2837, 2840 და 2841.

ღულაძეს"[1]) სასტიკად ებრძოდა ქართული გიმნაზიის უუფლებო ტრადიციის დამცველებს და დამაჯერებელი პედაგოგიური დასაბუთების საფუძველზე გაბედულად მოითხოვდა მის „სასურველ" რეფორმას.

თბილისის ქართული გიმნაზიის პედაგოგიური კოლექტივის მიერ წარმოდგენილი პროექტის განხილვას სკოლის საზოგადოების რამდენიმე სპეციალური სხდომა მოუნდა, რომელშიც მაშინდელი ჩვენი პედაგოგიური საზოგადოებრივობის მრავალმა წევრმა მიიღო მონაწილეობა. ამ საკითხზე გამართულმა საჯარო კამათმა იმდენად დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ხასიათი მიიღო, რომ მან ფართო გამოსატულება ჰპოვა პრესაშიც[2].

სკოლის გამგე-კომიტეტმა წარმოადგინა ნიკო ცხვედაძის მიერ შემუშავებული დადგენილების პროექტი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ „ის ზომები, რომლებიც მოყვანილია მოხსენების (ლაპარაკია გიმნაზიის პედაგოგიური „რჩევის" ზეკოთდასახელებულ წერილზე — ვ. ქ.). სასწავლო ნაწილში და ეხება სწავლის საქმის გაუმჯობესებას... მოსაწონია და სავალდებულოდაც არის მიღებული ყველგან, სადაც მასწავლებლებს და სკოლის გამგეთ სურთ, რომ სკოლა ასრულებდეს თავის დანიშნულებას... მოხსენების მეორე ნაწილის მიღება კი შეუძლებელია... ყველა საჭირო უფლებანი, რომ სკოლის საქმე კარგად წავიდეს, მიცემული აქვს პედაგოგიურ რჩევას და სკოლის გამგეს და იმაზე მეტი უფლება... და შეზღუდვა კომიტეტის და საზოგადოების უფლებათა იმდენად, რამდენადაც პედაგოგიური რჩევის მოხსენებაშია, გამგე-კომიტეტს მიაჩნია შეუძლებლად, რადგანაც „მოხსენებაში ნაჩვენები შეზღუდვა საზოგადოების და მისგან არჩეული კომიტეტის უფლებათა, აღღვევს სრულიად საზოგადოების წესდების მუხლს, რომელიც უფლებას აძლევს გამგე-კომიტეტს — მაშასადამე, საზოგადოებას, განაგოს საზოგადოების სკოლები, დანიშნოს მასწავლებლები და პასუხისმგებელი იყვეს მთავრობის წინაშე სკოლის წარმოებაში, ეწინააღმდეგება საზოგადოების სარგებლობას... და სკოლასაც დააყენებს სახიფათო მდგომარეობაში... თუ ვინიცობაა რუსეთის საშუალო სკოლა შეიცვალა და კერძო სასწავლებლების უფლება გაფართოვდა, თვით გამგე-კომიტეტი, სათავად-აზნაურო სკოლის და სხვადასხვა სასწავლებლების მასწავლებლებთან ერთად, შეუდგება სკოლის გამოცვლას ახალ გარემო-

---

[1] შ. ჩ ი ტ ა ძ ე, დიდი რიხი და სუსტი ღონე (პასუხად ი. ღულაძეს), გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905 წ., №№ 2846 და 2848.

[2] იხ. გაზ. „ცნობის ფურცელი" სარედაქციო-საინფორმაციო წერილების სერია: თბილისის სათავად აზნაურო სკოლა (1905 წ., №№ 2837, 2841, 2849, 2851, 2853 და 2862).

ებათა მიხედვით, ჯერჯერობით კი სკოლა უნდა დარჩეს ისე როგორც ყოფილა"[1].

ამრიგად, თბილისის ქართული გიმნაზიის მუშაობის რეორგანიზაციის ეს პროექტები მკაცრად დაუპირისპირდა ერთიმეორეს. გიმნაზიის პედაგოგიური კოლექტივის მოთხოვნები სკოლის დემოკრატიული მმართველობის პრინციპებს ემყარებოდა, ხოლო გიმნაზიის გამგე-კომიტეტის მოსაზრებანი ძველი ტრადიციის საფუძველზე, „ღარიბ მოსწავლეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა" და სკოლის გამგე-კომიტეტის მიერ უკვე მოპოვებულ და დაკანონებულ უფლებათა შენარჩუნებას ისახავდა მიზნად. შინასასკოლო და პრინციპულ-პედაგოგიურ საკითხებში მათ შორის წინააღმდეგობა იმდენად მწვავე ხასიათს არ ატარებდა, რამდენადაც გიმნაზიის მართვა-ხელმძღვანელობისა და პედაგოგიური საბჭოს ფუნქცია-მოვალეობის საკითხში, და ამიტომ, ცხადია, პირველი რიგის საკითხებში შეთანხმების მიღწევა შედარებით ადვილი იყო.

მიუხედავად ამისა, დავა მაინც არ ცხრებოდა. თუმცა, როგორც გაზეთი „ცნობის ფურცელი" იმავე 1905 წლის 12 ივლისის ნომერში აღნიშნავდა „ღარიბ მოსწავლეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების" საერთო „კრებამ 22 ხმით წინააღმდეგ ოთხისა, დაადგინა — გამგის და მასწავლებლების ამორჩევა საპედაგოგიო საბჭოს საქმე უნდა იქნესო და ამგვარად სკოლის მასწავლებელთა პროექტის ორი მთავარი მუხლი საზოგადო კრებამ მიიღო და, თანახმად იმავე მასწავლებლების განცხადებისა, ყველა მასწავლებლები სამსახურიდან გადამდგარად ითვლებოდნენ, უნდა შემდგარიყო ახალი საპედაგოგიო საბჭო, რომელიც სკოლის გამგეს აირჩევდა"[2]. მაგრამ მთლიანად გიმნაზიის პედაგოგიური „რჩევის" მოხსენების ყველა საკითხების განხილვა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება 1906 წლის ზაფხულამდე მაინც ვერ მოხერხდა, „ღარიბ მოსწავლეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების" საზოგადო სხდომებზე ხანგრძლივი და გაცხარებული მსჯელობა-განხილვის შედეგად ხმის დიდი უმეტესობით მიღებულ იქნა შემდეგი საბოლოო დადგენილება: „საზოგადოების საქმეთა უმაღლეს გამგედ და საქმის მწარმოებლად ითვლება საზოგადო კრება. გამგე-კომიტეტი ეწევა გიმნაზიის საქმეებში ფაქტიურს კონტროლს. ის წლის განმავლობაში, როგორც თავისი წევრების შემწეობით, ისე საგანგებოდ მოწვეული პირებისა, რევი-

[1] საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 1834.

[2] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905 წ., № 2859.

ზიას უწევს სკოლის საქმეებს და თუ რისიმე ნაკლს შენიშნავს, წინადადებას აძლევს პედაგოგიურ საბჭოს, შენიშნული ნაკლი სკოლას ააცდინოს. მთელი სასწავლო და სააღმზრდელო ნაწილის წარმოება, თანახმად საზოგადოების მიერ მიღებული პროგრამისა და გეგმისა, შეადგენს სრულს უფლებას და მოვალეობას მასწავლებელთა კორპორაციისას. მასწავლებელს მოიწვევს პედაგოგიური საბჭო და მისი მოწვევა კომიტეტის დასტურს არ საჭიროებს, ხოლო კომიტეტს უფლება აქვს მასწავლებელი დაითხოვოს ყოველ დროს. რადგან გიმნაზიის გამგე თავისი ადმინისტრაციული მოქმედებით განახორციელებს არა მარტო პედაგოგიური საბჭოს წარმომადგენლობას, არამედ ხშირად მთლიანად საზოგადოებისას, ამიტომ გამგეს ირჩევს პედაგოგიური საბჭო, ხოლო ამტკიცებს გამგე-კომიტეტი"[1].

ამრიგად, არსებითად თბილისის ქართული გიმნაზიის პედაგოგიური კოლექტივის (შიო ჩიტაძის) მიერ შემუშავებულმა გიმნაზიის „სასურველი რეორგანიზაციის" პროექტმა გაიმარჯვა. სკოლის გამგე-კომიტეტი და „ღარიბ მოსწავლეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოება", რომელსაც გიმნაზია ექვემდებარებოდა, იძულებული შეიქნენ პედაგოგიური კორპორაციის სამართლიანი მოთხოვნა ძირითადად დაეკმაყოფილებინათ და, ამგვარად, თბილისის ქართული გიმნაზია, შიო ჩიტაძის მოღვაწეობის მეშვეობით და მისი უშუალო ხელმძღვანელობით, აშკარა განახლების გზას დაადგა.

შიო ჩიტაძე, როგორც რევოლუციონერი მოღვაწე, თავისუფალ გასაქანს აძლევდა ახალ იდეებს გიმნაზიის მოსწავლეებში[2]. მართალია, მას ეშინოდა, მოსწავლეთა რევოლუციურ მოძრაობას გიმნაზიაში იმდენად ფართო ხასიათი არ მიეღო, რომ ქართული გიმნაზიის ბედი სამუდამოდ გადაეწყვიტა. „ჩვენს გიმნაზიას, როგორც კერძო სასწავლებელს, არავინ დაინდობს და ყოველ ხელჩასაკიდებელ შემთხვევას სასწავლო მთავრობა ჩვენს წინააღმდეგ გამოი-

---

[1] ს ე ი თ ი ა შ ვ ი ლ ი, მასალები თბილისის ქართული გიმნაზიის ისტორიისათვის (ინახება საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმში), გვ. 54—55.

[2] ლესია უკრაინკა წერდა თბილისიდან კიევში დედას: „აქ მოხდა ამბოხება ყველა საშუალო სკოლაში... ქართულ სათავად-აზნაურო სასწავლებელში, სადაც ჩიტაძეა, შეიმუშავეს წესდება, რომელიც უფლებას ანიჭებს მოწაფეებს — მასწავლებელთა თანდასწრებით მოიწვიონ თათბირები და შეკმნან მოწაფეთა საბჭო... ეს მიღწეულ იქნა ფანჯრის მინების ჩაულეწავად და წესიერების დაურღვევლად, დირექტორის — შიო ჩიტაძის ტაქტის წყალობით" (იხ. შ. სიხარულიძე, შიო ჩიტაძე, ჟურნ. „მნათობი", 1954 წ., № 1, გვ. 146).

ყენებსო", — ამბობდა იგი, მაგრამ ამავე დროს არც იმას ერიდებოდა, რომ მოსწავლეებისათვის „გაფიცვის ტექნიკა ესწავლებინა" და „გაფიცვის ორგანიზაციის გაკვეთილი" მიეცა. შიო ჩიტაძემ ერთხელ რევოლუციური „მოძრაობის მეთაურ მოწაფეებს მოაწვევინა სკოლის საერთო კრება მასწავლებელთა თანდასწრებით, — გადმოგვცემს დოკ. ს. ვაჩნაძე. — ჯერ მოწაფეებს გამოათქმევინა თავიანთი აზრი, შემდეგ აიღო სიტყვა, აგვიხსნა რას ნიშნავს გაფიცვა, ვინ, რად და ვის წინააღმდეგ აწყობს მას, დაგვიხატა ჩვენი სკოლის განსაკუთრებული მდგომარეობა, ის შედეგები, რომლებიც მოჰყვებოდა ჩვენს გაფიცვას, და ამის შემდეგ სთხოვა თავმჯდომარეს, ეყარა კენჭი, მოითხოვს თუ არა კრება გაფიცვას. კრებამ ხმის უმეტესობით მოითხოვა გაფიცვა. შიომ კვლავ აიღო სიტყვა და განაცხადა, რომ რაკი უმრავლესობა მომხრეა გაფიცვისა, მაშინ მას და მასწავლებლებს აღარაფერი ეთქმით, მაგრამ ვიდრე კრებას დასტოვებდეს, ის მოვალედ სთვლის თავის თავს, როგორც უფროსმა და გამოცდილმა ამხანაგმა, ასწავლოს მოწაფეებს გაფიცვის ორგანიზაციის ტექნიკა. მან გვიკარნახა საგაფიცვო კომიტეტის არჩევის საჭიროება, ისიც გვასწავლა, თუ რა საფუძველზე უნდა მოხდეს არჩევნები — კომიტეტში უნდა წარმოდგენილი იყოს ყოველი კლასიო, აგვიხსნა კომიტეტის უფლება-მოვალეობანი, ერთი სიტყვით, გაფიცვის ორგანიზაციის გაკვეთილი მოგვცა"[1].

ქართულ გიმნაზიაში მუშაობის პერიოდში შიო ჩიტაძის ინიციატივით და უშუალო ხელმძღვანელობით მოეწყო 1905 წლის 13 (26) აპრილის მოწინავე მასწავლებელთა ყრილობა თბილისში, სადაც იგი ახალ პრინციპებზე აგებულ „თავისუფალ სკოლას" მოითხოვდა. ყრილობა გაიმართა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საავტო ღარბაზში (ბარიატინსკის ქუჩაზე). ყრილობას დაესწრნენ, გარდა თბილისის ქართული გიმნაზიისა და საქალაქო სასწავლებლების მასწავლებლებისა, ქუთაისის, გორის, ბათუმისა და საქართველოს სხვა კუთხეების მასწავლებელთა წარმომადგენლებიც. ყრილობაზე ძირითადი პოლიტიკური შინაარსის მოხსენებით თვით შიო ჩიტაძე გამოვიდა. თავის მოხსენებაში ორატორმა დაწვრილებით დაახასიათა რუსეთის პოლიტიკური ვითარება, მშრომელ ხალხთა უუფლებო მდგომარეობა და სასტიკად ამხილა მეფისდროინდელი სკოლისა და სწავლა-აღზრდის სისტემის მახინჯი მხარეები. მან გაბედულად განაცხადა: „ამჟამად ყველასათვის ცხადია, რომ რუსეთის საშუალო სკო-

---

[1] ს. ვაჩნაძე. მოგონება, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 1737, გვ. 9—10.

ლების უმთავრესი საფუძველი, პოლიტიკური ცხოვრების მიხედვით, აღმოცენებულია ბიუროკრატიული წესწყობილების ნიადაგზე და კიდევაც ამიტომაა, რომ ამ სკოლების მთელი ორგანიზაცია დახავსებული ბიუროკრატიის სალტეებითაა შებოჭილი... ტენიშევის კერძო სასწავლებელი რუსეთში, გურევიჩის კერძო სასწავლებელი პოლონეთში და ქართული გიმნაზიები ქუთაისსა და თბილისში განადგურების გზაზე არიან შემდგარი და ძლივსღა სუნთქავენ ჩვენი მთავრობის უდიერი და უხამსი სასკოლო პოლიტიკის წყალობით... თუ ჩვენ გვსურს ნორმალურ პირობებში ჩავაყენოთ მოზარდი თაობის სწავლა-განათლების საქმე, თუ ჩვენ გვსურს ჩვენი სასწავლებლების ძირითადი რეფორმა განვახორციელოთ, ძირითადი რეორგანიზაცია მოვახდინოთ, უპირველეს ყოვლისა საჭიროა საზოგადოებრივი ძალების ამოძრავება, საჭიროა ამ ძალების რუსეთის მუშა ხალხთან და რუსეთის პროგრესულ ინტელიგენციასთან მჭიდროდ შეკავშირება, რათა შეერთებული ძალებით ბრძოლა გამოვუცხადოთ აღვიარებსნილ მთავრობას და ვაიძულოთ იგი რუსეთისა და განაპირა ქვეყნების მოსახლეობის ჩამოშორდეს და ადგილი დაუთმოს ხალხის ფართო ფენების არჩეულ მთავრობას, რომელიც თავისუფალ რუსეთში, ეპვაგარეშეა, შეჰქმნის თავისუფალ სკოლას, გაუცარჯოს თავისუფალ სკოლას თავისუფალ რუსეთში!“ — ასე დაამთავრა შიო ჩიტაძემ თავისი მოხსენება თბილისის მოწინავე მასწავლებელთა პირველ საზოგადო ყრილობაზე[1].

რევოლუციურად განწყობილმა მასწავლებელთა ყრილობამ შიო ჩიტაძის მოხსენება უდიდესი ყურადღებით მოისმინა და ერთხმად დაუჭირა მხარი კომისიის მიერ შემუშავებულ რეზოლუციას.

შ. ჩიტაძე უშუალო მონაწილეობას იღებდა თბილისის სკოლების მოსწავლეთა მიტინგზე 1905 წლის სექტემბერში, რომელსაც ხალხსანი ექიმი ნ. ხუდადოვი ხელმძღვანელობდა. რევოლუციურად განწყობილ მოსწავლე ახალგაზრდობის მიტინგზე დასწრების უფლება მასწავლებელთაგან მხოლოდ თბილისის ქართული გიმნაზიის მასწავლებლებს მიეცათ.

შიო ჩიტაძე თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობით არ იყო მარქსისტი, თანმიმდევრული რევოლუციონერი და არასდროს არ ამაღლებულა მარქსისტული დიალექტიკური მატერიალიზმის დონემდე. თავისი პოლიტიკური რწმენით იგი სოციალ-ფედერალისტთა პარტიას ეკუთვნოდა და მისი ორგანოების — „ცნობის ფურცლისა“

---

[1] ალ. მიქაბერიძე, შიო ჩიტაძე (მოგონება), საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 1738, გვ. 25.

და „შრომის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი და მუდმივი თანამშრომელი იყო (1904-6 წ.წ.)[1]. მას ეკუთვნოდა ამ გაზეთებში შ. ჩ-სა და ყვავის ფსევდონიმებით მოთავსებული მრავალი მოწინავე წერილი და საპოლემიკო-პოლიტიკური სტატიები[2].

მიუხედავად თავისი პოლიტიკური მიმართულებისა, თავის წერილებში შიო ჩიტაძე არასოდეს არ კარგავდა რწმენას, რომ მშრომელი ხალხი, მიუხედავად თვითმპყრობელობის სასტიკი რეპრესიებისა, საბოლოოდ მაინც გაიმარჯვებს. იგი მოუწოდებდა ხალხს არ დამფრთხალიყო 1905 წ. რევოლუციის დამარცხებისა და გამძვინვარებული რეაქციის სუსხისაგან, გამთლიანებულიყო და გაერთიანებული ძალღონით საბოლოოდ დაემარცხებინა მეფის თვითმპყრობელობა. ერთ წერილში 1905 წლის 1 ივლისს იგი წერდა: „ეხლა სხვა დროა, სხვა სიო ბერავს. საჭიროა, აუცილებლად საჭიროა, მოშორდეს ხალხის გონების განვითარებას, განათლებას სამარცხვინო ბორკილი. საჭიროა სრული თავისუფლება მიეცეს სინათლეს, რათა ადვილად მოფინოს თავისი მადლიანი შუქი ბნელში მყოფ ხალხს“[3]. მეორე წერილში იგი ასე მიმართავდა ხალხს: „წვეთი კლდეს ანგრევს. ყველანი გადავიქცეთ წვეთებად, დავანგრიოთ კლდე, რომელიც ლოდივით აწევს ჩვენს გულს და სულს გვიხუთავს. სადაც შეგვიძლია, როგორც შეგვიძლია ვებრძოლოთ შავბნელ ძალებს“[4]. მესამე წერილში („გუშინდელი წარსული“), რომელიც ავტორმა 1905 წლის 9 იანვრის წლისთავს მიუძღვნა, იგი რევოლუციონერისათვის ჩვეული ოპტიმიზმით წერდა: დიდხანს ვერ მოიხმარებს მთავრობა გამარჯვებას. ხიშტებზედ მხოლოდ ხორცის აგება შეიძლება, აზრისა კი არასოდეს. ცხოველი აზრი კი კვლავ შეუდრეკლად და სწრაფად დაფრინავს ვრცელი რუსეთის ქალაქებსა და სოფლებში. არ არის ძალა, რომელსაც ძალუძს გადაეღობოს აზრის ძლევამოსილ სვლას, მის მუშაობას, ხვალ კვლავ გააღვიძებს დამარცხებულ ხალხს და გამარჯვებას მოუპოვებს. ნახევარი გზა განვლილი,

---

[1] შიო ჩიტაძე თანამშრომლობდა აგრეთვე რუსულ გამოცემებში: „Возрождение“-ში, „На повороте“-ში, „Закавказский край“-ში და სხვ.

[2] იხ. გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1905 წ. წერილები: უცნაური შეღავათი (№ 2360), საშური საქმე (№ 2864), უცნაური ექიმი (№ 2865), სამარცხვინო ბორკილი (№ 2867), ახალი წესწყობილება (№ 2883), ერთი ნაკლთაგანი (№ 2884), ხალხის ხმის გადამცემი (№ 2885), თავისუფლების ღირსნი არა ვართ? (№ 2908) და 1906 წ. წერილები: გუშინდელი წარსული (№ 2971), მომავალი ტაქტიკა (№ 2972), პატარა აბებების მაგიერი (№№ 2975, 2979, 2985 და 3001), გამოძახილი (№№ 3019, 3025 და 3031) და სხვ.

[3] შ ი ო ჩ ი ტ ა ძ ე, სამარცხვინო ბორკილი, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ., № 2867.

[4] გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1906 წ., № 3019.

კარგად გათელილია და იმედი აცისკროვნებს მის ბოლოს"[1]. მეოთხე წერილში („მომავალი ტაქტიკა") შ. ჩიტაძე კიდევ უფრო გაბედულად წერდა: „ორიოდე მეთაურის დაჭერა რევოლუციას ვერ ჩააქრობს. მართალია, შეიძლება რევოლუცია დასცხრეს, მაგრამ რევოლუციური აზრები ისევ ცოცხალი იქნება და თავს იჩენს ყოველ ხელსაყრელ მომენტში"[2].

ასეთ შეფასებას აძლევდა შიო ჩიტაძე რუსეთის პირველი რევოლუციის შედეგებს და ასე იმედიანად გაჰყურებდა რევოლუციისა და რევოლუციური ხალხის მომავალ გამარჯვებას.

შიო ჩიტაძის ამ ნაწერებში და განსაკუთრებით მის პრაქტიკულ რევოლუციურ-პოლიტიკურ და პედაგოგიურ მოღვაწეობაში აშკარად ჩანდა მისი პოლიტიკური კრედო და მისწრაფებანი: შეუნელებელი ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ, ახალი საზოგადოებრივი წყობილებისათვის. ამას ნათლად გრძნობდნენ ცარიზმის შავრაზმელი ოხრანკის დაგეშილი აგენტები, რომლებიც ეშზადებოდნენ მასთან საბოლოო ანგარიშის გასასწორებლად.

5. ქართული გიმნაზიის აკლება და შიო ჩიტაძის მკვლელობა

მეფის სატრაპული ოხრანკის ეს სანატრელი დღეც მალე დადგა. 1906 წლის 4 (17) ივლისს თბილისის ქართული გიმნაზიის შენობიდან ვიღაცამ პოლიცმეისტერ მარტინოვს ყუმბარა ესროლა და დასჭრა იგი. ეს შემთხვევა სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ცარიზმის ოხრანკის აგენტებს სრულიად უდანაშაულო ადამიანი, დიდი პედაგოგი შიო ჩიტაძე გამოუკვლეკლად და განუკითხავად მხეცური წამებით მოეკლათ გიმნაზიის შენობაში, მისსავე საცხოვრებელ ბინაში.

ეს ყველასათვის შემაძრწუნებელი ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა მთელ ქალაქსა და საქართველოში. გაზეთებმა დეტალურად აღწერეს ეს გულსაკლავი და ტრაგიკული შემთხვევა. ცნობილმა ბოლშევიკურმა გაზეთმა „ახალმა ცხოვრებამ", რომელიც დიდი სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით გამოდიოდა, ეს ამბავი მესამე დღეს ასე დაწვრილებით აუწყა თავის მკითხველებს: „სამშაბათს, 4 ივლისს, საღამოს 8 საათზე პეტრე-ველიკის (ყოფილი ლაბორატორიის) ეზოზე, სათავად-აზნაურო გიმნაზიის გვერდით, პოლიცმეისტერს მარტინოვს, როდესაც ის თავის სადგომიდან გამოდიოდა,

---

[1] შ. ჩ-ძე. გუშინდელი წარსული, გაზ. „ცნობის ფურცელი", 1906 წ., № 2971.
[2] შ. ჩ-ძე, მომავალი ტაქტიკა, გაზ. „ცნობის ფურცელი", 1906 წ., № 2972.

ჯილაცა უცნობმა ყუმბარა ესროლა, რომელიც გასკდა ფეხებთან და მძიმედ დასჭრა პოლიცმეისტერი მარჯვენა ფეხში და მკლავში. ყუმბარის აფეთქებამ შიშის ზარი დასცა მთელი მთაწმინდის მცხოვრებთ და ბულვარდზე მოსეირნეთ. ქუჩებიდან ხალხი დაიძრა და გაეშურა მისამალავად. არ გაუვლია ორ მინუტს, რომ ჯარმა ალყა შემოარტყა სათავად-აზნაურო გიმნაზიის შენობას და ასტეხა შეუჩერებელი თოფის სროლა, რომელიც ნახევარ საათს გაგრძელდა. ესროდნენ გიმნაზიის შენობას და ახლო მახლო ქუჩებში, ასე რომ ქუჩებში გავლა შეუძლებელი იყო: ვისაც მოკრავდნენ თვალს, მაშინვე ზალპს მიაყოლებდნენ. როდესაც ზალპით გული იჯერეს, ჯარი შეიჭრა გიმნაზიის შენობაში და შეუდგა იქაურობის აკლებას და შიგ მცხოვრებთა ცემა-ჟლეტას. სათავად-აზნაურო გიმნაზიას მეორეთ ეწვია 22 ოქტომბრის შავი დღე (1905 წლის 22 ოქტომბერს მოხდა გიმნაზიის პირველი დარბევა.— ვ. ქ.). კარგი რომ სწავლა ახლაც შეწყვეტილი იყო და მოსწავლეები არ იყვნენ სასწავლებელში, მაგრამ გიმნაზიის შენობაში ცხოვრობენ გიმნაზიის მოსამსახურენი ოჯახებით და ბევრი მასწავლებელთაგანი. სხვათა შორის, ამ დროს კრება ჰქონიათ გიმნაზიის მასწავლებელთ. რამდენია მოკლული, დაჭრილი და დატყვევებული ჯერ სავსებით არ არის გამორკვეული. გამოირკვა მხოლოდ, რომ მოკლულია ამ გიმნაზიის ინსპექტორი შიო ჩიტაძე („ცნობის ფურცლის“ თანამშრომელი). მძიმედ დაჭრილია და დატყვევებულია ამავე გიმნაზიის მასწავლებელი ი. აბულაძე (ამჟამად სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი — ვ. ქ.), მძიმედ ნაცემია მასწ. ხ. ღლონტი, და დატყვევებულია ს. გორგაძე (ცნობილი მკვლევარი — ვ. ქ.). დანარჩენების ამბავი არ იციან, რადგან გუშინ კიდევ ალყა იყო გიმნაზიაზე შემორტყმული და არავის უშვებდნენ ამბის გასაგებათაც... როგორც ამბობენ, გორგაძე და აბულაძე დღეს დილით უპოვიათ გიმნაზიის სარდაფში მიმალული“[1].

გაზეთის ამავე ნომერში მოთავსებული იყო თბილისის გენერალ-გუბერნატორ შირინკინის კანცელარიის ოფიციალური ცნობაც, რომლის მიხედვით საქმის ვითარება ისე იყო წარმოდგენილი, თითქოს ქართული გიმნაზიის მუშაკები ყოფილიყვნენ ამ შემთხვევაში უშუალო „ბოროტმოქმედნი“, რომლებმაც თითქოს წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას, რომელსაც ამის გამო მოუხდა გიმნაზიის დარბევა და მისი მუშაკების მიმართ სასტიკი ზომების მიღებაო. ოფი-

---

[1] პოლიცმეისტერის მარტინოვის დაჭრა, გაზეთი „ახალი ცხოვრება“, 1906 წ., 6 ივლისი, № 13.

ციალურ ცნობაში აღნიშნული იყო: „4 ივლისს, საღამოს 8 საათზე, როდესაც პოლიცმეისტერი როტმისტრი მარტინოვი გენერალ-გუბერნატორთან მიდიოდა, პეტრე ველიკის ქუჩაზე, თავის სადგომთან რამდენიმე ნაბიჯზე, სათავად-აზნაურო გიმნაზიის მესამე სართულიდან ესროლეს ყუმბარა, რომელმაც მძიმედ დასჭრა პოლიცმეისტერი ხელში და ფეხში. გიმნაზიის შენობაში შევიდნენ პოლიციელები და ჯარი და დაატყვევეს ერთი ბოროტმოქმედთაგანი, ხოლო მეორე მოჰკლეს წინააღმდეგობის გაწევის გამო. იმ ფანჯარაზე, საიდანაც ყუმბარა იყო ნასროლი, იპოვეს სასროლად მომზადებული მეორე ყუმბარა“[1].

მაგრამ საქმის ვითარება ფაქტიურად ასე როდი იყო. გაზეთ „შრომის“ შემოწმებული ცნობით, „ყუმბარა გადმოუგდიათ მეორე სართულიდან შენობის მარჯვენა მხარეს, საითაც ეზოს ალაყაფის კარებია და არხი (ლაბორატორიის ქუჩა). ოთახი, საიდანაც ყუმბარა გადმოუგდიათ, მეორეა არხიდან... ყუმბარა შენობის ერთი კუთხიდან გადააგდეს და აიკლეს მეორე კუთხე, სადაც ჩიტაძე და სხვა მასწავლებელნი იყვნენ... ყუმბარის ხმაზე ხელად მოვარდნილან პოლიციელნი, ყაზახები და საიდანღაც ერთი რაზმი სალდათებისა... შეუმტვრევიათ გიმნაზიის შესავალი ორივე კარი და იერიშით შევარდნილან შიგ შენობაში. ამ სროლასა, ხმაურობასა და მტვრევაზე მასწავლებელნი გამოვარდნილან ოთახიდან და აქეთ-იქით გაქცეულან დასამალავად. გორგაძე კიბეზე მესამე სართულში ავარდნილა ჩიტაძის ბინაზე, ხოლო აბულაძე, დევდარიანი და სხვანი ძირს ჩასულან და სარდაფის იმ ბნელ, ძველი ნივთების საწყობში შემალულან, რომელიც დირექტორის სადგომის ქვეშაა. როგორც ეტყობა, ბარლამპი ღლონტი სამასწავლებლო ოთახიდან არ წასულა, ამიტომ ყველაზე ადრე იმასა სტაცეს ხელი და მხეცურად დაუწყეს ცემა, თავი გაუხეთქეს და ყელის გამოჭრა დაუპირეს, მაგრამ ამ დროს ერთი ოფიცერი შესულა და ცოცხალ-მკვდარი გადაურჩენია. ბარბაროსებს განუგრძვიათ შესავლიდან მთელი სადგომის აკლება... შევარდნილან ჯერ კომიტეტის კანცელარიაში და ყოველივე მიულეწმოულეწიათ... აქედან გასულან გიმნაზიის ბიბლიოთეკაში და სააქტო დარბაზში. აქაც იგივე საშინელი სურათია ბარბაროსობისა!... როცა ორ ქვედა სართულში გაუთავებიათ საქმე, მესამეში ასულან, სადაც ცხოვრობდა (ერმოლოვის ქუჩის მხარეს) განსვენებული შიო. განსვენებულის სადგომი აკლების უფრო საშინელ სურათს წარმოადგენს. როგორც ეტყობა, განსვენებულს სძინებია სასადილო ოთა-

---

[1] გაზეთი „ახალი ცხოვრება“, 1906 წ., 6 ივლისი, № 13.

ხის გვერდით საწოლ ოთახში... გორგაძე შიოსთან შევარდნილა. შიო სასადილო ოთახში გამოსულა და იქ კარებთან დამდგარა. შეიძლება გაიფიქრა, დავარწმუნებ ჯალათებს, რომ თოფი არ გაისროლონო. როგორც ეტყობა, თოფი უსროლიათ მაშინ, როდესაც შიოს სასადილო ოთახიდან ზალაში გაუხედნია. ჯალათებს ზედ მიუდვიათ თოფი და უსროლიათ ყბას ზემოთ. დაჭრილი მოტრიალებულა მარცხნით და წაქცეულა. ავარდნილი სისხლით კედელია შეღებილი. იატაკიც, სადაც წაქცეულა, სისხლითაა მოსვრილი. შემდეგ შესდგომიან მთელის სადგომის აკლებას. მომაკვდავისათვის აუგლეჯიათ ოქროს საათი, გადმოუტრიალებიათ და თუ რამე ჯიბეში ჰქონია, წაუღიათ[1]. გ. ლასხიშვილიც დაახლოებით ამასვე აღნიშნავს: „შიო ჩიტაძე ყუმბარის ხმამ გააღვიძა, გადაიხედა ფანჯარაში და მასწავლებლებს სთხოვა ზევით ასულიყვნენ. როცა ხმაურობა გაძლიერდა და ჩიტაძის კაბინეტს მიუახლოვდა, ჩიტაძე გავიდა ამბის გასაგებად და შესაძლებელ ღონისძიებათა მისაღებად. დაუნახავს მისკენ მიმავალი ყაზახები და უკითხავს:—„Что тут происходит, что вы тут делаете?"—ყაზახებს მაშინვე თოფი დაუხლიათ შუბლში და განგმირული შიო იქვე წაქცეულა"[2].

შიო ჩიტაძის მკვლელობა რომ წინასწარ მოფიქრებული იყო და მეფის ოხრანკის აგენტები მხოლოდ ხელსაყრელ საბაბს ეძებდნენ ამისათვის, ამას ნათლად ამტკიცებს შემდეგი საგულისხმო დეტალი: გიმნაზიის აკლების დროს შ. ჩიტაძის კაბინეტში მკვლელებს უპოვნიათ ერთი სურათი, რომელშიც შიო კიევის ქალთა გიმნაზიის მასწავლებლებსა და მოსწავლეებთან არის გადაღებული. მკვლელებს კარგად სცოდნიათ, რასაც სჩადიოდნენ, სცოდნიათ ვისაც კლავდნენ, რადგანაც „ამ ვეებერთელა სურათიდან გამოურჩევიათ მარტო განსვენებული და ხიშტის წვერი... თვალებში ჩაუკრავთ"[3].

გაზეთმა „ახალმა ცხოვრებამ" მეფის ოხრანკის მიერ თბილისის ქართული გიმნაზიის აკლებისა და შიო ჩიტაძის მკვლელობის შედეგები მეტად სრულყოფილად და ობიექტურად აუწყა საზოგადოებას. „შემაძრწუნებელ სურათს წარმოადგენს სასწავლებელი. მთელი შენობა დაბლა სართულიდან მესამე სართულამდე აოხრებული და განადგურებულია. აოხრებულია როგორც კერძო პირების — შეეიცარისა და სხვების ბინები, აგრეთვე, სასწავლო ნივთებიც. დანგრეულია სასწავლებლის წიგნსაცავი, წიგნები სულ ერ-

---

[1] ქართული გიმნაზიის აკლება, გაზ. „შრომა", 1906 წ., № 75.
[2] გ. ლასხიშვილი, მემუარები, 1934 წ., გვ. 238.
[3] შიო ჩიტაძე. გაზ „შრომა", 1906 წ., № 75.

თიანად დახეულია. მთელს შეხობაში ყოველ ფეხის გადადგმაზე ემჩნევა სისხლის წვეთები, ეტყობა დაჭრილ მასწავლებელთ ბევრი ურბენიათ, რომ როგორმე თავისათვის ეშველნათ. ყველაზე უფრო გულის მომკველელია დირექტორ შიო ჩიტაძის სადგომი. სასადილო ოთახი, სადაც განსვენებული მოუკლავთ, სისხლით არის მოსვრილი. იატაკზე დამხმარი ტბაა სისხლისა. მოსვრილია სისხლით კედლები და ჭერიც, ეტყობა სისხლის კამარას ჭერში აუსხამს. სტოლზე ძევს სისხლით გასვრილი დანა, ალბათ ამ დანით გამოსჭრეს შიოს ყელი ტყვიით დაჭრის შემდეგ. დახეულია და სისხლში ყრია განსვენებულის წიგნები, რვეულები და სხვ., სისხლში ყრია ნაკუწ-ნაკუწად დახეული განსვენებულის სურათებიც. დალეწილი და დამსხვრეულია შკაფები, ყუთები, ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც კი რამ ყოფილა სახლში"[1].

შიო ჩიტაძის ვერაგულ მკვლელობას და სახელოვანი ქართული გიმნაზიის ბარბაროსულად აოხრებას ჩვენმა საზოგადოებრიობამ და პროგრესულმა პრესამ უდიდესი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა მიანიჭა. ყველა საზოგადოებრივი ჯგუფისა და პოლიტიკური მსოფლმხედველობის ადამიანები ერთხმად გლოვობდნენ უდანაშაულოდ დაკარგულ „პატიოსან მებრძოლს, მედგარ დამცველს ხალხის ინტერესებისა, დაუღალავ მქადაგებელს სიმართლისა". „გული გვიკვნესის, სული გვიღონდება, მთელი არსება შხამით გვეწამლება, გონება ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ დავკარგეთ ძვირფასი ადამიანი, გულწრფელი და შეუდარებელი ამხანაგ-მეგობარი, გამოცდილი, განათლებული და კულტურული ხელმძღვანელი",— წერდა პედაგოგი ალ. მიქაბერიძე[2]. „იგლოვებს შიოს მისი მშვენიერი სამშობლო, მოიწყენს გულდამწვარი საზოგადოება, ჩვენ კი იმის ხსოვნით გამხნევებული შევწირავთ თავს იმ დიად საქმეს, რომელსაც თვითონ ისე აღტაცებით, თავდადებულად ემსახურებოდა",— ამბობდნენ განსვენებულის მოსწავლენი (იქვე). „ბედმა გვიმუხთლა, არ აცალა უფრო ფართოდ გაეშალა ფრთა იმის სპეტაკ სულსა და ნათელ გონებას. შეშურდა ბედს იგი ჩვენთვის: ბნელმა ძალებმა მოგვაშორეს შიო, მოჭკვეთეს ძირში ხე „კეთილისა და ცნობადისა", მაგრამ მოკვეთილი ხე კვლავ ამოიყრის ყლორტებს და მაშინ ვიტყვით: „შიო არ მომკვდარა, იგი კვლავ, პოეტის თქმისამებრ, სიბნელეს აქრობს ნათელით. სიკვდილით ბა-

---

[1] სათავად-აზნაურო გიმნაზიის აკლება, გაზეთი „ახალი ცხოვრება", 1906 წ., 7 ივლისი, № 14.

[2] ალ. მიქაბერიძე, ამხანაგსა და წინამძღოლს, გაზეთი „შრომა", 1906 წ., № 76.

დებს ცხოვრებას“, — წერდა შ. ჩიტაძის ყოფილი მასწავლებელი, მწერალი სოფ. მგალობლიშვილი[1]. შიო ჩიტაძე „იყო პირუთვნელი და გულმართალი კაცი, მედგარი მებრძოლი, ნიჭიერი მოღვაწე, შეუპოვარი რაინდი პატიოსნებისა და შეუდარებელი მსაჯული ქვეშმარიტებისა... ისეთი სიკვდილი, როგორიც წილად ხვდა ჩვენს შიოს, არაჩვეულებრივია, იგი გულშემხარავი და სულის შემხუთველია თავისი ბარბაროსობით, თავისი მხეცურის სიმკაცრით, წრეს გადასულის უზნეობა-უგუნურობით და გაღატაკებულის თავხედობით“,— ამბობდა თავის გამოსათხოვარ სიტყვაში ვალ. გუნია[2]. ხალხი შურისძიების გრძნობით იყო გაჟღენთილი. რევოლუციურ განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი გაძლიერებით სურდა საზოგადოებას სამაგიერო მიეზღო გამხეცებული სატრაპებისათვის.

„ძალმომრეობამ ბინძური ხელი
ურცხვად შეახო პატიოსან გულს
და შეუწყვიტა სიცოცხლის ძაფი
გრძნობას სპეტაკსა, აღფრთოვანებულს.
ერთად-ეოთია აქ ჩვენი მსჯავრი:
თუ აღთქმას დავდებთ წმინდას, საეროს,
რომ შურს ვიძიებთ ერთი ათასად,
ჯალათს მიეზღვით სამაგიეროს“.

— ამბობდა პოეტი ქალი გ ა ნ დ ე გ ი ლ ი შ. ჩიტაძისადმი მიძღვნილ ლექსში[3].

ახალგაზრდა პოეტმა ალ. შანშიაშვილმა თავისი ლექსი „შიო ჩიტაძის ხსოვნას“ ასე დაამთავრა:

„ის აღარ არის, მაგრამ კი ცოცხლობს!
არ დაივიწყებს ქართვლის გულია;
შურისძიებად მებრძოლთ გვამხნევებს
მკვლელობა მისი ვერაგულია!“[4]...

ყველაზე ამომწურავად და პოლიტიკური სიმახვილით შეაფასა შ. ჩიტაძის დამსახურება, მისი როლი და მნიშვნელობა ცნობილმა ბოლშევიკურმა გაზეთმა „ახალმა ცხოვრებამ“. პატარა ნეკროლოგში გაზეთი აღნიშნავდა: „ქართულმა გაზეთებმა უკვე გვაუწყეს ამ პატიოსანი ადამიანის უდროოდ სიკვდილი. თვითმპყრობელობის ავკაცობითა დაუსრულებელ რიგს კიდევ ერთი სიმხეცე მიემატა. ჩიტაძე ერთი საუკეთესო წევრთაგანი იყო მოწინავე ქართველი ახალგაზრდობისა, სტუდენტობის დროს, თავისი იდეალისტური მისწრა-

---

[1] სოფ. მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი, შიო ჩიტაძის ხსოვნას, გაზეთი „შრომა“, 1906 წ., № 77.

[2] ვ ა ლ. გ უ ნ ი ა, სიტყვა შ. ჩიტაძის დასაფლავებაზე, გაზეთი „შრომა“, 1906 წ., № 77.

[3] გ ა ნ დ ე გ ი ლ ი, შიოს ცხედრის წინაშე (ლექსი), გაზეთი „შრომა“, 1906 წ., № 76.

[4] ალ. შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ი, შიო ჩიტაძის ხსოვნას (ლექსი), ჟურნ. „ნიშადური“ 1908 წ., № 51, გვ. 3—4.

ფებით და გაღვიძებული თეორეტიული ინტერესით საყოველთაო პატივისცემა ქონდა დამსახურებული როგორც ქართველ, ისე რუს სტუდენტობაში, და განსაკუთრებით თავის თანამემამულეებზე ნაყოფიერ გავლენას ახდენდა. იმავე დროს სერიოზულად სანდო ადამიანის სახელი ჰქონდა დამსახურებული კიევის მოწინავე საზოგადოებაში. უნივერსიტეტს შემდეგ პედაგოგიური სარბიელი აირჩია და ყველგან, დიდსა და პატარაში, ღრმა და გულწრფელი სიმპატია ჰქონდა დამსახურებული. ლიტერატურულ სარბიელზე ახლად იყო გამოსული, მუდმივად თანაშრომლობდა „ცნობის ფურცელში“, „შრომაში“ და „ვოზროჟდენიეში“. თავის ლიტერატურულ და პოლიტიკურ თანამოაზრეთა შორის უკანასკნელად არ ითვლებოდა. და თუმცა ის ჩვენი იდეური მოწინააღმდეგე იყო, მაგრამ მისი მოკვლა ჩვენც არა ნაკლებ გვიმსებს გულს შურისძიების გრძნობით. დეე, ეს მსხვერპლიც მუდამ განუშორებელი იყოს ჩვენი ხსოვნიდან და სისხლის ასაღებად მოგვიწოდებდეს“[1].

ქართველი საზოგადოება აღელვებული იყო. გაზეთმა „შრომამ“ და თბილისელ ქალთა ერთმა ჯგუფმა შიო ჩიტაძის უდანაშაულოდ და ვერაგულად მკვლელობის ამბავი დეპეშით აცნობა პირველ სახელმწიფო სათათბიროს. მოწინავე თბილისელი ქალები თავიანთ დეპეშაში წერდნენ: „ჩვენ, თბილისელი ქალები, ეროვნების განურჩევლად, მწარე ცრემლს ვაფრქვევთ მხეცურად მოკლულ საუკეთესო ადამიანის და საზოგადო მოღვაწის შიო ჩიტაძის გვამზე და ღრმა ზიზღს ვაცხადებთ ჩვენი უდანაშაულო ადამიანის მოკვლისა და გიმნაზიის მასწავლებელთა დაჭრის გამო, იმ მასწავლებელთა, რომელნიც შეიკრიბნენ მშვიდობიან საქმისათვის — თავიანთ საჭიროებათა განსახილველად[2]. მოვითხოვთ დაუყოვნებლივ სასტიკ გამოძიებას, მკვლელთა და ამწიოკებელთა აღმოჩენას და სამართალში მიცემას. ჩვენ უფლება გვაქვს მოვთხოვოთ სახელმწიფო სათათბიროს ჩვენი შვილების, ძმების, მამების და დედების დაცვა ისეთი ბოროტმოქმედებისაგან, რომელსაც სჩადიან შურის მძიებელი და გაბოროტებული მთავრობის აგენტები, იმ მთავრობის, რომელიც მზად არის თავისუფლების დასამხობად მთელი ქვეყანა სისხლით მოირწყოს“[3].

---

[1] შ ი ო ჩ ი ტ ა ძ ე, გაზეთი „ახალი ცხოვრება“, 1906 წ., 7 ივლისი, № 14.

[2] 1906 წელს 4 (17) ივლისს, საღამოს 7 საათზე, ქართული გიმნაზიის სამასწავლებლო ოთახში შეკრებილნი იყვნენ, გიმნაზიის რეფორმის გამო, კომისიის მიერ შტატგარეშე დატოვებული ძასწავლებლები: იუსტინე აბულაძე, სერგი გორგაძე, ბაოლაშვი ღლონტი, ზაქარია ჩხიკვაძე და აღმზრდელი დავიდარიანი, რომელთაც უნდა პოეთათბირათ შტატგარეშე მათი უსაფუძვლო დატოვების შესახებ.

[3] იხ. ქართველ ქალთა მიმართვა სახელმწიფო დუმისადმი შიო ჩიტაძის მკვლელობის გამო, გაზეთი „სიმართლე“, 1906 წ., № 5.

დეპეშას ხელს აწერდა 563 თბილისელი ქალი. ქართველმა დეპუტატებმა საკითხი სასწრაფოდ შეიტანეს სათათბიროში განსახილველად, მაგრამ ამ შუამდგომლობას შედეგი არ მოჰყოლია, რადგან სათათბირომ მთავრობის პასუხი ვერ მოისმინა; 8 ივლისს პირველი სახელმწიფო სათათბირო დათხოვნილ იქნა.

იაკობ გოგებაშვილმა უდიდესი მწუხარებით დაიტირა შიო ჩიტაძე და სპეციალური წერილი („ჩვენი მოვალეობა ობლების წინაშე") მიუძღვნა ქართველი საზოგადოებისაგან შიო ჩიტაძის ოჯახისადმი მატერიალური დახმარების აღმოჩენის საჭიროებასა და აუცილებლობას. ამ სტატიაში ი. გოგებაშვილი წერდა: „ქართველობამ მიაბარა ამას წინად შავს მიწას შავბნელის ძალების მსხვერპლი შიო ჩიტაძე, ნიჭიერი, განვითარებული და მხნე საზოგადო მოღვაწე. მიაბარა შესაბამის და ღირსეულის პატივით. ბევრი მგრძნობიარე წერილი დაიბეჭდა ქართულადაც და რუსულადაც, არა ერთი სიტყვა წარმოითქვა იმის ცხედრის წინაშე, მისი კუბო შეამკო ბრავალმა გვირგვინმა. მაგრამ ამით ქართველმა საზოგადოებამ შეასრულა მხოლოდ ერთი ნახევარი თვის მოვალეობისა, მეორე ნახევარი კი ელის თავისს რიგსა. მე მოგახსენებთ განსვენებულის ობლების შესახებ. მას დარჩა ყმაწვილი მეუღლე და სამი მცირეწლოვანი შვილი. ქონება კი არ დარჩენია რა. და საიდან დარჩებოდა, როდესაც იგი იყო შვილი ღარიბ ხელოსნისა და თვითონაც პირადად მასწავლებლის ჯამაგირით რას შეიძენდა. დაობლებულის სახლობის გაჭირვებას აორკეცებს ერთი გარემოება. მისი ქვრივი ჩვენებური არ არის, იგი არის ასული მცირე რუსეთისა და ჩვენს ქვეყანაში ისე უნდა გრძნობდეს თავს, როგორც უცხოეთში. განსვენებულმა შიომ თავისი სიცოცხლე შესწირა ჩვენებურ სათავადაზნაურო სასწავლებელს. ქართველი თავად-აზნაურობა მოვალეა მსხვერპლის დაობლებული სახლობა მიიჩნიოს თავისს ღვიძლ სახლობად და უზრუნველჰყოს იგი ყოველ-წლიურის პენსიის დანიშვნით და ობლების აღზრდით. ჩვენს გამგე-კომიტეტს სათავად-აზნაურო გიმნაზიისას არაფერი აბადია და ყოველი მისი ფინანსიური აღთქმა და დაპირება ნეტარხსენებული ენუქას ანდერძს მოგაგონებთ. თავად-აზნაურობას კი აქვს დიდი ბანკი და დიდი ქარვასლა, რომელთა შემოსავლიდან პენსიასაც ადვილად დაუნიშნავს დაობლებულს სახლობას და მცირეწლოვან ობლებსაც გამოზრდის, როგორც თავისს სტიპენდიანტებს, მხოლოდ — გამგე-კომიტეტი მოვალეა შესაბამი 'შუამდგომლობა აღძრას თავად-აზნაურობის წინაშე და აიძულოს, რომ პენსია დაინიშნოს"[1].

---

[1] ი. გ ო გ ებ ა შ ვ ი ლ ი, ჩვენი მოვალეობა ობლების წინაშე, გაზ. „შრომა", 1906 წ., № 67.

4 (17) ივლისის ტრაგედია შიო ჩიტაძის მკვლელობითაც არ დასრულებულა. „შიო ჩიტაძეს ცოლად ჰყავდა უკრაინელი განათლებული ქალი, რომელსაც შიო გაგიჟებით უყვარდა, ყველაფერში თანაუგრძნობდა და დახმარებას უწევდა. ამ კეთილშობილ ადამიანზე შიოს მოკვლამ ისეთი საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ რამდენიმე კვირის შემდეგ საწამლავი დალია და წუთისოფელს გამოესალმა, მიუხედავად იმისა, რომ სამი პატარა ბავშვი ობლად რჩებოდა“ — გადმოგვცემს თავის „მემუარებში“ გ. ლასხიშვილი[1]. იმდროინდელი პრესიდან ჩანს, რომ შიო ჩიტაძის მკვლელობის შემდეგ მისი უერთგულესი მეუღლე იუსტინა კირილეს ასული შჩერბანი თბილისიდან ჩიტაძის სააგარაკო სახლში სოფ. ქვიშხეთს გადასულა საცხოვრებლად. იქაც ვერ დამშვიდებულა მისი მოსიყვარულე გული და ეს კეთილშობილი ადამიანი საყვარელი ქმრის ტრაგიკულად დაღუპვის თვენახევრის შემდეგ (1906 წლის 20/VIII-ს (2/XI) გამოსალმებია წუთისოფელს. გაზეთმა „შრომამ“ შემდეგი ამაღელვებელი სტრიქონები უძღვნა ამ განათლებულ უკრაინელი ქალის დაკარგვას: „დიდად სამწუხარო ამბავი მოგვივიდა სოფელ ქვიშხეთიდან: გარდაიცვალა განსვენებულ შიო ჩიტაძის მეუღლე იუსტინა კირილეს ასული. დაიღუპა მთელი ოჯახი იმ ბარბაროსობისაგან, რომელიც 4 ივლისს თბილისში ჩაიდინა გამხეცებულმა ბნელმა ძალამ! ორი ახალგაზრდა ადამიანი, კეთილშობილი და მაღალი ბუნების ადამიანი, იმსხვერპლა დაუნდობელმა და ბოროტმა მტერმა... უზომო მწუხარებას გამოიწვევს მთელს ჩვენს ქვეყანაში ეს ახალი საშინელებაც, რომელიც ზედ დაერთო შიოს ტრაგიკულს სიკვდილს... იუსტინა კირილეს ასული ჩვენი ქვეყნის შვილი არ იყო; იგი მალოროსიელი იყო, უკრაინის შვილი. განათლებული, ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსე, გატაცებული თანამედროვე მოძრაობით და მსურველი მუშაობისა, ხალხისათვის სამსახურისა. იუსტინა კირილეს ასული დასცა საყვარელი მეუღლის ტრაგიკულმა მოკვლამ. იმ შავბნელი დღიდან საცოდავი გონს ვერ მოვიდა, ვერ შეურიგდა თავის ბედს და ბოლოს თან გაჰყვა ადამიანს, რომელიც გაგიჟებით უყვარდა, რომლისთვისაც დასტოვა ძვირფასი სამშობლო, თავისიანები, მეგობრები, ნაცნობები და გადმოიხვეწა მისთვის უცხო თემში. დიდი იყო ეს მსხვერპლი, მაგრამ განსვენებულმა ესეც არ იკმარა და ეხლა თავის-თავიც დასდო... საცოდავ, უსუსურ ბავშვების ბედმაც, მათმა ობლობამაც ვერ შეარიგეს ეს იშვიათი ადამიანი სიცოცხლესთან.

---

[1] გ. ლ ა ს ხ ი შ ვ ი ლ ი, მემუარები, 1934 წ., გვ. 239.

უზომოა ასეთი მსხვერპლი და ცხადად გვიჩვენებს, თუ რა მაღალის ბუნებისა და შესანიშნავის გულის პატრონი ყოფილა აწ განსვენებული იუსტინა ჩიტაძისა"[1].

შიო ჩიტაძის სახით ქართველმა საზოგადოებამ საუკეთესო საზოგადო მოღვაწე და მოაზროვნე-პედაგოგი დაჰკარგა. ქართველი საზოგადოებისათვის საამაყო თბილისის ქართული გიმნაზია მორალურად და მატერიალურად მიწასთან გასწორებული და ბარბაროსულად დანგრეულ-აოხრებული დარჩა. მისი სახელოვანი პედაგოგები მეფის ხელისუფლებამ მხეცური ცემით „დაასაჩუქრა" და მათი უდანაშაულო სისხლით გიმნაზიის ოთახები შეღება.

ქართველ მოწინავე ადამიანთა გულში დაგუბებული ბოღმა, გაბოროტებული მხეცობის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლისა და მეფის დრომოქმული ხელისუფლების საბოლოოდ დამხობის მაღალი იდეა ისედაც რევოლუციურად განწყობილ ხალხს ახალი, შეუპოვარი და გადამწყვეტი შეტევისაკენ მოუწოდებდა. „ჟამი გრძელი არ არგუნა შიოს ბედმა, მაგრამ მისმა ტრაგიკულმა სიკვდილმა რამდენიმედ წინ წასწია ხალხის თვითცნობიერება, მისი მისწრაფებანი გათვალისწინებული იდეალებისაკენ, და განმათავისუფლებელ მოძრაობას, ეჭვს გარეშეა, არა ერთი მებრძოლი შეჰმატა"[2].

ასე უდროოდ დასრულდა შიო ჩიტაძის ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე სიცოცხლე. იგი მსხვერპლად შეეწირა უსამართლობისა და სიბნელის წინააღმდეგ ბრძოლას. უნებურად გაგონდება ადამიანს შიო ჩიტაძის საყვარელი ბრეტონული ლეგენდა, რომელიც მან თავის ლიტერატურულ ნაშრომში („უდროობის მსხვერპლი") მოიყვანა ჰამლეტის დასახასიათებლად[3] და რომელსაც იგი ხშირად იმეორებდა თავისუფალ დროს თავის უახლოეს მეგობრებთან[4]. აი, ეს ლეგენდაც: „მზე იმ დღეს საუცხოოდ კაშკაშებდა. ყოველი ცოცხალი არსება, ციური მნათობის მადლიანი სხივებით გაშუქებული, ხარობდა. მზე უკანასკნელ გამოსათხოვარ სხივებს ისროდა. აი, ცის მნათობიც დიდებულად ჩაესვენა. ღვთაებრივი ღამე დედამიწას დაეუფლა. ხალხმა მშვიდად დაიძინა. ტკბილ სიზმრებს ხედავდნენ. თითოეული ადამიანი თავის თავს ბედნიერად

---

[1] იუსტინა ჩიტაძისა, (ნეკროლოგი), გაზ. „შრომა", 1906 წ., № 113.

[2] სოფრომ მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938 წ., გვ. 228.

[3] Шио Читадзе (Ворон), „Жертва безвременья", Тифлис, 1906 г., стр. 46—47.

[4] ალ. მიქაბერიძის ცნობით ეს ლეგენდა შიო ჩიტაძემ უკანასკნელად 1906 წლის მაისში გაიმეორა.

სთვლიდა. დადგა გამოღვიძების ჟამი. ხალხმა თვალები გაახილა. ირგვლივ თვალგაუვალი სიბნელე მეფობდა. ელოდებოდნენ ერთ, ორ, სამ საათს. სიბნელე თანდათან ძლიერდებოდა. ხალხი მაშინ დარწმუნდა, რომ მათ ცხოვრების წყარო მოაკლდათ. ტირილისა და გოდების ხმა ჰაერს აყრუებდა. დღისით ბედნიერი ხალხი უბედური გახდა. ბევრი იფიქრეს, როგორ უნდა მოეძებნათ მზე, მაგრამ ყოველივე ცდა უნაყოფოთ რჩებოდა. განვლო ერთმა თვემ, მეორემ, მესამემ. ხალხი შეეჩვია სიბნელეს, მასში უპირატესობასაც ხედავდა. სიბნელე ისე თვალებს არ სჭრიდა, როგორც მზის კაშკაშა სხივები. და თუ ვინმე საწინააღმდეგოს იტყოდა, ქვებით ჩაქოლავდნენ. ხალხი ტყის ნადირებს დაემსგავსა. იმ ბედუკუღმართ დილას პატარა ტოროლაც შეფრთხიალდა, ის იყო ფრთები უნდა გაეშალა, მაღლა ჰაერში შეენავარდა და ქვეყნისათვის ეხარებინა, რომ ბრწყინვალე დღე გათენდა და მალე საცაა ცხოველმყოფელი მზეც ამოვაო. მაგრამ მტრედისფერ ცას სქელი სიბნელე ჩამოფარებოდა და საბრალო ჩიტუნია ვერაფერს ხედავდა. მეტად შეშინდა, შეშფოთდა პატარა ტოროლა. იგი მზის ცხოველმყოფელ სხივებში ჩვეულებრივ ბანაობდა. ამიტომ ორჯერ უფრო საშინელება იყო მისთვის ირგვლივ გამეფებული სიბნელე. საბრალო ჩააფიქრა ამ უბედურებამ. მრავალი მწარე ფიქრი ირეოდა მის პატარა თავში. ტოროლა ღრმად დარწმუნებულიყო, რომ მზე იმალებოდა სადღაც შორს, მაგრამ პატარა ჩიტუნიას აბა როგორ შეუძლია იგი მონახოს. დიდხანს იფიქრა, მაგრამ იგი ვერ ურიგდებოდა გულის შემხუთველ სიბნელეს. ბოლოს და ბოლოს ტოროლამ გადასწყვიტა ჰაერში შეენავარდა და დაკარგული მზის ძებნას შესდგომოდა. აი, იგი მიფრინავს სულ მაღლა და მაღლა. სიბნელე ცოტ-ცოტათ იფანტება. იგი ხედავს სიბნელეში გაჭირვებით შეჭრილ, ოდნავ დასანახავ სხივებს. ტოროლა მიფრინავს უფრო მაღლა და მაღლა, ბოლოს, მართლაც, მიფრინდა იგი სანატრელ მზემდის და ფრთებით შეეხო მას. ტოროლას წკრიალა სიმღერა ერთბაშად გაისმა ჰაერში. მზემ ამ სიმღერასთან ერთად სიბნელე გაფანტა და კიდევ უფრო ნათლად გაანათა წყვდიადით მოცული ქვეყნიერება. ხალხი გამოეფინა ქუჩებზე, მინდვრებზე, ციური მნათობის ხილვით რომ დამტკბარიყო. ყველანი ხარობდნენ, ზეიმობდნენ და ლოცავდნენ მზეს, რომ იგი მათ კვლავ დაუბრუნდა. გზის პირას, სადაც გახარებული ხალხი ფეხად ირეოდა, ეგდო პატარა ჩიტუნიას გაცივებული გვამი. ეს იყო პატარა ტოროლას გვამი. საბრალო ჩიტს,

როცა იგი მზეს შეეხო, ფრთები დაწვოდა და იგი ცის სივრციდან გაცივებული გვამის სახით დედამიწაზე ჩამოვარდნილიყო"[1].

ასეთია შიო ჩიტაძის ამ საყვარელი და თავისთავად საგულისხმო ლეგენდის შინაარსი. უკანასკნელად, როდესაც ამ ლეგენდას შიო თავის მეგობრებს უამბობდა, ერთმა მისმა კოლეგათაგანმა (პედაგოგმა ნიკოლოზ გოგიტიძემ) ჩასჩურჩულა მეორეს (ალექსანდრე მიქაბერიძეს): „ნახავ, თუ ამ ბედკრული პატარა ჩიტუნიას ხვედრი ჩვენს საყვარელ შიოს არ გადახდესო". და მართლაც, აღსრულდა ამ პედაგოგის მოსაზრება. თბილისის ქართულ გიმნაზიაში 1906 წლის 4 (17) ივლისს დატრიალებულმა ტრაგედიამ სავსებით დაადასტურა იგი.

6. შიო ჩიტაძის კრიტიკულ-ლიტერატურული მოღვაწეობა

შიო ჩიტაძე არა მარტო პოლიტიკური მოაზროვნე და პუბლიცისტ-ჟურნალისტი იყო, არამედ მხატვრული ლიტერატურის თვალსაჩინო კრიტიკოს-ისტორიკოსიც. იგი საფუძვლიანად იცნობდა დასავლეთ ევროპის, დიდი რუსეთისა და საქართველოს ლიტერატურასა და ფილოსოფიას. შიო ჩიტაძის კრიტიკული ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევები: „მაქსიმ გორკი და მისი შემოქმედება"[2], „ანტონ ჩეხოვის სახსოვრად"[3], „ნიცშეს იდეალი"[4] და „Жертва безвременья" („უდროობის მსხვერპლი")[5] ამჟამადაც იპყრობს მკითხველთა და სპეციალისტთა ყურადღებას. მასვე ეკუთვნის საინტერესო სტატიები ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ: „მწუხრის მგოსანი"[6] და „სამწუხარო მოვლენა"[7].

შიო ჩიტაძე ფრიად მაღალ შეფასებას აძლევდა მისი ახალგაზრდობის ახლო მეგობრის, ჩვენი ეპოქის უდიდესი ჰუმანისტი მწერლის **მ ა ქ ს ი მ გ ო რ კ ი ს** შემოქმედებას. თავის წერილში „მაქსიმ

---

[1] ალექსანდრე მიქაბერიძე, შიო ჩიტაძე (მოგონება), საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 1733, გვ. 56—61.

[2] შ. ჩ ი ტ ა ძ ე, მაქსიმ გორკი და მისი შემოქმედება, გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905 წ., № № 2906, 2912 და 2964 და 1906 წ., № 2977.

[3] შ. ჩ ი ტ ა ძ ე, ანტონ ჩეხოვის სახსოვრად, გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905 წ., № 2857.

[4] შ. ჩ ი ტ ა ძ ე, ნიცშეს იდეალი, გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905 წ., №№ 2868, 2871 და 2875.

[5] Шио Читадзе (Ворон), Жертва безвременья (образ гамлета), Тифлис, 1906 г. იხ. აგრეთვე „Два образа", „Кав. край", 1905 г., № 2.

[6] შ ჩ ი ტ ა ძ ე, მწუხრის მგოსანი, გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905 წ., № 2908.

[7] შ. ჩ ი ტ ა ძ ე, საიწუხარო მოვლენა, გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905 წ., № 2930. შ. ჩიტაძემ თავისი კალამი მხატვრულ თხზულებათა თარგმანშიც სცადა (იხ. შ. ჩ., „ქურანა" (რუსულით), ჟურ. „ჯეჯილი", 1893 წ., № 6, გვ. 25—34).

გორკი და მისი შემოქმედება“ იგი დაწვრილებით არჩევდა მწერლის მანამდელ მხატვრულ თხზულებებს და აღნიშნავდა, რომ გორკისათვის ადამიანია მთავარი, იგი დგას ცხოვრებისა და შემოქმედების ცენტრში. ავტორს მოჰყავდა მ. გორკის ცნობილი სიტყვები. „არსებობს მარტო ადამიანი, ყველაფერი დანარჩენი — მისი ხელებისა და ტვინის საქმეა. ადამიანი! ეს მშვენიერებაა! ამაყად გაისმის ეს სიტყვა: პატივს უნდა ვსცემდეთ მათ“,— და ასკვნიდა: „გორკის ღრმად სწამს, რომ ადამიანი შეექმნილია ცხოვრების აშენებისათვის. ამიტომ თავის პირველ ნაწარმოებებში ჰპოვნს უმღერის იმ ძალოვან გმირებს, რომელთაც ჟეშმარიტება გულში უძევთ, რომელნიც ცხოვრების ყმები კი არა, ბატონები არიან. ამისთანა გმირები გორკიმ ნახა არა მაღალ კლასებში, არაშედ გარეულად მცხოვრებთა შორის, იმათ შორის, რომელთაც არ უგემნიათ თანამედროვე გამანებივრებელი კულტურა, არ მოხვედრიათ იქვიანობის ისრები. ბუნების შვილნი, თავისუფალ ფრინველებსავით მცხოვრებნი, გახდნენ გორკის მუზის საყვარელი საგნები“[1].

შიო ჩიტაძე დაწვრილებით ახასიათებს და ღრმა ანალიზს უკეთებს მაქსიმ გორკის უკვდავ მხატვრულ ქმნილებათა მთავარ გმირებს, რომელნიც დაუცხრომლად ებრძვიან მაშინდელ უკუღმართ ცხოვრებას და ამ ბრძოლაში იღუპებიან კიდეც. იგი გვაძლევს იმ ადამიანთა ტიპებს, რომელთაც სწამთ, რომ „ცხოვრება უფრო საინტერესოა, უფრო წარმტაცია ბრძოლა“. შიო ჩიტაძის სამართლიანი შეხედულებით, მაქსიმ გორკიმ თავის პიესაში „მეშჩანები“, „მკვნესარე და წუწუნა ადამიანების გვერდით დაგვიხატა ცხოვრებით კმაყოფილნი, ბედნიერნი. ერთი მათგანი არის შემანქანე ნილი“, რომელმაც „იცის, რომ უნდა იყოს დამოუკიდებელი და ებრძოლოს უსამართლობას... ბედნიერნი არიან მისი ახალგაზრდა ამხანაგებიც. გულუბრყვილო, მომცინარი შიშკინი, კრივცოვა, ცვეტაევა, რადგან წუწუნის მაგივრად აკეთებენ გარეგნობით პატარა, მაგრამ არსებითად დიდ საქმეს, კაცობრიობის ცხოვრების გაუჯობესების საქმეს. ჰიმნებს არ უმღერის იმათ საქმებს ისტორია, მათ ღვაწლს არ შეამკობს მგოსანი. ეს მათთვის საპირო არ არის: ესენი იმითაც კმაყოფილნი არიან, რომ გული მხიარული აქვთ და სული მშვიდობიანი“[2].

---

[1] შ. ჩ ი ტ ა ძ ე, მაქსიმ გორკი და მისი შემოქმედება, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ., № 2906.

[2] შ. ჩ ი ტ ა ძ ე, მაქსიმ გორკი და მისი შემოქმედება, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1906 წ., № 2977.

შიო ჩიტაძე სავსებით ეთანხმება მაქსიმ გორკის მხატვრული შემოქმედების იმ ძირითად მამოძრავებელ იდეას, რომ მეფისდროინდელ საზოგადოებაში არსებული სოციალური ბოროტებით დამყარებული სიბნელე გაიფანტება, ბოროტს დასძლევს კეთილი და მანამდე დაბეჩავებული და უსაზღვროდ შებოვილი ადამიანები განთავისუფლდებიან. მას ღრმად სჯერა, რომ გორკის თხზულებათა მებრძოლი გმირები ხელს უწყობენ ადამიანთა გონების გამოფხიზლებას და ამზადებენ მათ ამ უსამართლობის საბოლოოდ დასამხობად.

ასე ღრმად და რეალისტურად აფასებდა შიო ჩიტაძე მაქსიმ გორკის უკვდავ მხატვრულ შემოქმედებას და მის დიდ მნიშვნელობას მშრომელთა მოსამზადებლად მომავალი რევოლუციისათვის[1].

არანაკლებ საინტერესოა შიო ჩიტაძის წერილი „ანტონ ჩეხოვის სახსოვრად", რომელიც მიეძღვნა დიდი რუსი მწერლის გარდაცვალების ორი წლისთავს. ამ პატარა საგაზეთო წერილში შიო ჩიტაძე იძლევა ა. ჩეხოვის შემოქმედების მეტად საყურადღებო დახასიათებას. იგი წერს: „ჩეხოვის კალამი მოკლებული იყო შჩედრინის შხამს, მისი მუზა არ იყო მუზა შურისძიებისა, როგორც ნეკრასოვისა, მაგრამ ჩეხოვს არა ნაკლებ უმღვრევდა გულს რუსეთის გათახსირებული საზოგადო ცხოვრება, სადაც გამეფებულა პატარა კაცი, პატარა გრძნობებით, პატარა აზრებით და პატარა საქმეებით. ჩეხოვი პოეტი იყო პატარა კაცისა, იმის პატარა სიხარულისა და მწუხარებისა. როგორც დედას თავის საყვარელი შვილისათვის შესტკივა გული, თუნდაც ეს შვილი საესე იყოს ნაკლოვანებით, ისე ჩეხოვს ეწყლოდა გული პატარა კაცისათვის. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩეხოვი მომღერალი იყო პატარა კაცობისა, რომ მას არ ესმოდა მიმზიდველი, აღმაფრთოვანებელი აზრი დიდი აზრისა, გმირული გრძნობისა და მოქმედებისა"[2].

შიო ჩიტაძის შემდეგი ორი წერილი — „ნიცშეს იდეალი" და „უდროობის მსხვერპლი", „(ჰამლეტის სახე)" უფრო ფილოსოფიური ხასიათის ნაშრომებია, ვიდრე უშუალოდ კრიტიკულ-ლიტერატურული. ავტორის მიერ ამ წერილებში, განსაკუთრებით პირველ წერილში, გამოთქმულ მოსაზრებათა უმრავლესობა დღეს უკვე მოძველებულია და ყალბი, რაც იმის შედეგია, რომ შიო ჩიტაძე ძირითადად იდეალისტური ფილოსოფიის მეთოდოლოგიურ საფუძველზე

---

[1] მაქსიმ გორკის შესახებ შიო ჩიტაძის შეხედულებათა უფრო დაწვრილებით მიმოხილვა იხილეთ ანა ნიკოლაძის წერილში — გორკი და საქართველო, ჟურნ. „მნათობი", 1948 წ., № 4, გვ. 157—160.

[2] შ. ჩიტაძე, ანტონ ჩეხოვის სახსოვრად, გაზ. „ცნობის ფურცელი". 1905 წ., № 2857.

განიხილავს მათში დასმულ ფილოსოფიურ-ლიტერატურულ პრობლემებს; მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეორე ნაშრომში, შ. ჩიტაძე იძლევა ზოგ ისეთ დებულებას, რომელთაც ამჟამადაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. მთავარი ღირსება ამ წაშრომისა მაინც ის არის, რომ ავტორს კარგად ესმის შექსპირის უკვდავი გმირის — ჰამლეტის შინაგანი ტრაგედია, რაც გამოწვეულია მისი ახალი იდეალების წინააღმდეგობითა და ბრძოლით XVI საუკუნის ინგლისის საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. ამიტომ უწოდებს ავტორი ჰამლეტს „უდროობის მსხვერპლს". ამ ნიადაგზე შიო ჩიტაძე საუკეთესოდ ხსნის იმ წინააღმდეგობებს, რომელნიც ჰამლეტს ახასიათებენ როგორც თეორიული აზროვნების სფეროში, ისე პრაქტიკული მოქმედების დარგშიც და საერთოდ განსაზღვრავენ მისი პიროვნების ბუნებას. ნაშრომის ავტორი ჰამლეტის სახის სრულყოფილად გამოკვეთისათვის ფართოდ იყენებს თავის ფილოსოფიურ და განსაკუთრებით ფსიქოლოგიურ მომზადებას და საკმარისი დამაჯერებლობით ახერხებს ჰამლეტის პიროვნებაში საწინააღმდეგო მოტივთა ბრძოლის თავისებურების დახასიათებას. ამ ნაშრომში შიო ჩიტაძე, მიუხედავად მისი იდეალისტური მსოფლმხედველობისა, დიდ ფილოსოფიურ-ლიტერატურულ ერუდიციას და მაღალ თეორიულ მომზადებას ამჟღავნებს.

შიო ჩიტაძემ ორი წერილი მიუძღვნა XIX საუკუნის პირველი ნახევრის უდიდესი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებას: „მწუხრის მგოსანი" და „სამწუხარო მოელენა". უკანასკნელი წერილი ავტორმა მიუძღვნა იმ მცდარ დებულებათა კრიტიკას, რომლებსაც ვიღაც ქუთათელი გაზ. „ვოზროჟდენიეში" მოთავსებულ წერილში ავითარებდა ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ. ორივე წერილში შიო ჩიტაძე მეტად მაღალ შეფასებას აძლევდა ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებას და იგი მებრძოლ პოეტად მიაჩნდა. 1905 წლის რევოლუციის აღმავლობის დღეებში შიო ჩიტაძე არჩევდა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურ შემოქმედებას, იხსენიებდა მის გმირულ მოწოდებას: „ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა", „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთებაო", და წერდა: „პოეტო, მოვისმენთ შენს გმირულს მოწოდებას და შენს მწუხარე აჩრდილს წავიმძღვარებთ წინ ბედნიერების მოსაპოვებლად. შენ ეძიებდი ბედნიერებას, სტიროდი მისთვის. ვერ გეპოვნა. სამარიდან დაგელოცე შვილები, რომელნიც უკვე მომზადებულან ბედნიერების მოსაპოვებლად"[1]. ასე იყენებდა შიო ჩიტაძე ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიას რევოლუციის ინტერესების სასარგებლოდ.

[1] შიო ჩიტაძე, მწუხრის მგოსანი, გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905 წ., № 2903.

შიო ჩიტაძე დიდ ყურადღებას აქცევდა ჩვენი საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების თითქმის ყველა მხარეს. ერთ წერილში, რომელიც „დრამატიული საზოგადოების საყურადღებოდ“ არის დაბეჭდილი, იგი საგანგებოდ აყენებდა საკითხს ქართველ მსახიობთა სპეციალურ-თეორიული მომზადების დონის ამაღლების საჭიროების შესახებ და სახავდა სათანადო ღონისძიებებსაც. იგი წერდა: „ვინ იტყვის, რომ ჩვენ არა გვყვანან ნიჭიერი .არტისტები? დიდად შემცდარი იქნება, ვინც იტყვის, რომ ვლ. მესხიშვილს, ვ. აბაშიძეს, ე. მესხს, ვ. გუნიას, ნ. ჩხეიძეს, ნ. გაბუნიას და სხვებს ნიჭი არა აქვთო. ნიჭიერი არტისტები გვყვანან, მაგრამ არა გვყვანან განათლებულნი. ჩვენ არ ვამბობთ საზოგადო განათლებაზე (დიპლომი ცუდი საბუთია განათლებისა), არამედ სპეციალურზე; ნიჭი მსახიობისათვის... არ შეადგენს ყველაფერს... ჩვენს მსახიობთ ბუნებამ მისცა ნიჭი, მაგრამ ნიჭს არ სდევს ცოდნა. იქნება ამის ბრალი მთლიანად მსახიობთ უნდა დაედოთ? ეს უსამართლო იქნება. ჩვენს მსახიობთ არა აქვთ შეძლება, რომ ნიჭი ცოდნით განავითაროონ... ეხლა იტყვიან: საშუალება არ არისო, ჩვენ ვუპასუხებთ: „თუ გული გულობს, ქადა ორის ხელით იქმევაო“. შორს არ წავალთ: ერთმა კაცმა შესძლო ნახევარ მილიონიანი სახლის აგება სათავად-აზნაურო სკოლისათვის. განა იმას თავისი ფული ჰქონდა? განა მარტო იმისმა მხნეობამ (იგულისხმება ნიკო ცხვედაძე — ვ. ქ.) არ იშოვა ფული. სურვილი იყოს, გულწრფელი სურვილი და საშუალება გამოჩნდება“[1]. ასეთ მეტად მაღალ მოთხოვნას უყენებდა შიო ჩიტაძე ქართველ მსახიობებს მათი თეორიულ-პროფესიული განათლების დონის აშაღლების დარგში და ქართველ საზოგადოებას — მათთვის საჭირო მატერიალური დახმარების აღმოჩენის საქმეში.

საერთოდ შიო ჩიტაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა დრამატურგიისა და თეატრალური შემოქმედების საკითხებს. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი წერილი „იბსენის დრამის გმირები და პიროვნების თავისებურება“, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა[2] და თეატრალური რეცენზიები — „ქართული წარმოდგენები“ — „ურიელ აკოსტას“[3], „როზა ბერანდისა“[4] და სხვ. შესახებ.

---

[1] შ. ჩ ი ტ ა ძ ე, დრამატიული საზოგადოების საყურადღებოდ, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905 წ., № 2863.

[2] შ. ჩ ი ტ ა ძ ე, იბსენის დრამის გმირები და პიროვნების თავისებურება, გაზ. „შრომა“, 1906 წ., № 90.

[3] შ. ჩ ი ტ ა ძ ე, ქართული წარმოდგენები, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1906 წ., № 2852.

[4] შ. ჩ ი ტ ა ძ ე, ქართული წარმოდგენა, გაზ. „შრომა“, 1906 წ., № 4.

მეტად ნაყოფიერი იყო შიო ჩიტაძის საზოგადოებრივ-პედაგოგიური და პუბლიცისტურ-ლიტერატურული მოღვაწეობა საქართველოში. სულ რაღაც ორი წელი ძლივს დასცალდა მას ემუშავნა მის საყვარელ თბილისში, მაგრამ ან მოკლე დროშიც თავისი ღრმა კვალი დააჩნია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითად დარგებს. სრულიად სამართლიანად წერდა სოფ. მგალობლიშვილი თავის „მოგონებაში“ შიო ჩიტაძის შესახებ: ამ უკანასკნელ პერიოდში, „სულ ორი წლის განმავლობაში მოიხვეჭა ნიჭიერი პუბლიცისტისა და კრიტიკოსის სახელი, დაიმსახურა, თავისი სპეტაკი სულის და ნათელი გონების მეოხებით, განუზომელი სიყვარული და პატივისცემა“[1].

7. შიო ჩიტაძის პედაგოგიური იდეები

შიო ჩიტაძე, მრავალმხრივ და დიდად ნაყოფიერ საზოგადოებრივ, პრაქტიკულ-პედაგოგიურ და პუბლიცისტურ-ლიტერატურულ მოღვაწეობასთან ერთად, თვალსაჩინო თეორიულ-პედაგოგიკურ მუშაობასაც ეწეოდა. შიო ჩიტაძეს მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოში პედაგოგიკური აზროვნების განვითარებაში. ფართო და საფუძვლიანი ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური მომზადება საკმაო საშუალებას აძლევდა მას ღრმად დაემუშავებინა იმ დროისათვის ჩვენში აქტუალური პედაგოგიკური საკითხები.

ძირითადი თეორიული საკითხი, რომელსაც აშუქებდა შიო ჩიტაძე თავის პედაგოგიკურს ნაწერებში, აღზრდის პროცესის ბუნებისა და აღმზრდელის როლის გათვალისწინებაში მდგომარეობდა. ამ პრობლემის გადაწყვეტას იგი თანამედროვე ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის მეცნიერული მონაცემების საფუძველზე ცდილობდა. „თუ გვსურს ადამიანის აღზრდა ნორმალურად წავიყვანოთ,— წერდა შიო ჩიტაძე თავის „ფსიქოლოგიურ წერილებში“,— საჭიროა, ვიცოდეთ ადამიანის ბუნება, მისი განსაკუთრებითი თვისებანი და მისი ცხოვრება“[2].

ადამიანის ბუნებისა და მისი თვისებების გაგება კი შეუძლებელია საფუძვლიანი ფსიქოლოგიური განათლების მიუღებლად. ფსიქოლოგია შეასწავლის პედაგოგს ადამიანის „სულის ცხოვრებას“, მის შინაგან სამყაროს.

ადამიანი ორი ნაწილისაგან შესდგება — წერდა შიო ჩიტაძე— ერთია მისი ფიზიკური სხეული, რომელიც ხილულია, ხოლო მეორე — მისი „სული“, რომელიც უხილავია. მათ შორის „მჭიდრო კავშირია...

---

[1] სოფრომ მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938 წ., გვ. 22ᲐᲑ.

[2] შიო ჩიტაძე, ფსიქოლოგიური წერილები (სულის ცხოვრება), ჟურნ. „ნაკადულის“ დამატება —„პედაგოგიური ფურცელი“, 1905 წ., № 5, გვ. 3.

ერთად ყოფნის კავშირია". ორივენი მთლიანობაში და ობიექტურად არსებობენ. ამიტომ შიო ჩიტაძის ფსიქოლოგიური კონცეფციით, ადამიანის „სული" ისევე შეიძლება იქნას შესწავლილი, როგორც მისი სხეული. ადამიანის სულიერი სამყაროს შესწავლა შესაძლებელია იმიტომაც, რომ „ჩვენდა საბედნიეროდ ადამიანი თავისი ფარული ცხოვრებით, რაც უნდა განსხვავდებოდეს იგი თითოეულ ადამიანში, მაინც არსებით და კანონებით იგი ერთგვარია"— და მართლაც, „რომ ყოველი ადამიანის ცნობიერება სრულიად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, მაშინ ცოდნა დაფარული ცხოვრებისა შეუძლებელი გახდებოდა"[1]. მიუხედავად ამისა, შიო ჩიტაძე მაინც კარგად გრძნობდა, რომ მისი თანამედროვე ფსიქოლოგიური კვლევა-ძიება და მისი მეთოდები ვერ უზრუნველყოფდნენ „სხვისი ცნობიერების" სრულყოფილად გაცნობას. ამიტომაც, მისი აზრით, „ფსიქოლოგია ჯერაც არ არის ნამდვილი მეცნიერება, ცნობიერების ცხოვრება, მისი თვისებანი და კანონები ჯერაც არ არიან მტკიცედ დაკავშირებულნი"[2]. ეს გარემოება (ფსიქოლოგიის ჩამორჩენა) სრულიად არ უშლიდა ხელს შიო ჩიტაძეს, რომ პედაგოგებისათვის იგი აუცილებელ მეცნიერებად ჩაეთვალა. „სხვისი ცნობიერების გაცნობის სიძნელე,— წერდა იგი,— ცხადად ჰყოფს მით უმეტეს საჭიროებას ფსიქოლოგიის შესწავლისას იმისათვის, ვისაც სურს აღზარდოს ადამიანი, რადგანაც მარტო თავისი ძალით ვერ შესძლებს აღსაზრდელის ცნობიერების შეგნებას. ეს უკანასკნელი კი საჭიროა აღზრდის საქმისათვის"[3].

მსჯელობის ამ ნიადაგზე შიო ჩიტაძის წინაშე ისმებოდა ძირითადი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური პრობლემა: როგორია ადამიანის ცნობიერების ბუნება, როგორ ჩნდება მასში ახალ-ახალი შინაარსი?

შიო ჩიტაძე ჯონ ლოკისა და მის თანამოაზრეთა ემპირისტულ-სენსუალისტური ფსიქოლოგიის ბრმა მიმდევარი არ იყო. მისთვის ნათელი იყო, რომ „ჩვენი სული სუფთა დაფა კი არ არის, რომელზედაც ჩვენს გარეშე მყოფი სამყარო წერს რასაც უნდა დაწვრილებით და ნამდვილად; იგი რთული აპარატია, რომელიც ხანდახან სცვლის გარედან მიმდინარე შთაბეჭდილებათ ისე, რომ მათი გამოცნობა ძნელია"[4]. ადამიანის ცნობიერების შინაარსი თანდათან

---

[1] შიო ჩიტაძე, ფსიქოლოგიური წერილები (სულის ცხოვრება), ჟურ. „ნაკადულის" დამატება —„პედაგოგიური ფურცელი", 1905 წ., გვ. 4—5.
[2] იქვე, გვ. 5.
[3] იქვე, გვ. 6.
[4] შ. ჩიტაძე, ინტერესი სწავლაში, ჟურ. „ნაკადულის" დამატება — „პედაგოგიური ფურცელი", 1905 წ., № 3, გვ. 5.

ივსება ახალ-ახალი შთაბეჭდილებებით, რომელნიც შეგრძნებათა ორგანოების მეშვეობით მიიღებიან ობიექტურ სინამდვილესთან ურთიერთობის პროცესში და ადამიანის ცნობიერებაში გადამუშავდებიან.

მართალია, შიო ჩიტაძე თავს ვერ აღწევს ასოციაციური ფსიქოლოგიის გავლენას, მაგრამ იგი მაინც გრძნობს, რომ ადამიანის ცნობიერების შინაარსი ქაოსი კი არ არის, არამედ შემუშავებულ წარმოდგენათა მოწესრიგებული და შეგნებული „გაერთიანება“.

შიო ჩიტაძე თუმცა აღიარებს იმ არასწორ დებულებას, რომ „ცნობიერების მდინარის თვისებანი მომეტებულ ნაწილად დამოკიდებულნი არიან ადამიანის ბუნებაზედ და ხელოვნურად მათი შექმნა შეუძლებელია“, მაგრამ მაინც ვერ უგულებელყოფს აღზრდა-განათლების როლს ამ საქმეში: „აღზრდის ხელოვნებას შეუძლიან მიეშველოს ბუნებას და თვისებათა განვითარების საქმეში შეეწიოს, მუშაობა გაუადვილოს“[1].

ამიტომ, მისი აზრით, პედაგოგს, რომელიც ბავშვთა აღზრდის პროცესის რაციონალურად წარმართვისათვის არის მოწოდებული, ფართო ფსიქოლოგიური და პედაგოგიური განათლება უნდა ჰქონდეს, მისთვის არ უნდა იყოს ბუნდოვანი ადამიანის შინაგანი ფსიქოლოგიური ცხოვრების არც ერთი მხარე. ეს გარემოება პედაგოგიურ მუშაობას მეტად ძნელ საქმედ ხდის, რომელიც სათანადო ნიჭსა და დიდ მეცნიერულ ცოდნას მოითხოვს. „ყველაზე ძნელი ხელოვნება აღზრდის ხელოვნება გახლავთ. აღმზრდელს იმისთანა რთულ არსებასთან აქვს საქმე, რომ საჭიროა ბუნებრივი ნიჭი, შემოქმედება და ცოდნა შეერთდნენ, რომ ცოცხალი არსება არ დამახინჯდეს და ისეთი სახე მიიღოს, რომელიც ბუნებამ ჩანერგა მის სიღრმეში“. მაგრამ, ამავე დროს აღმზრდელი „ბუნებრივ ნიჭს, შემოქმედებას თუ არ დაურთავს ცოდნას, განცალკევებულად მცირე ნაყოფს გამოიტანს და აღზრდის საქმე სრულად არ გაკეთდება. როგორც სამყოფი არ არის შემოქმედება მწერლისათვის, თუ მას ცხოვრების ცოდნა არა აქვს, მხატვრისათვის, თუ მან არ იცის ფერების შეზავება, ეგრედ სამყოფი არ არის აღმზრდელისათვის ნიჭი და შემოქმედება, თუ მასთან ცოდნა არა აქვს აღსაზრდელი ობიექტისა, საგნისა“[2], მასწავლებლობის პედაგოგიური მოღვაწეობის უნარი და ბავშვის შინაგანი სამყაროს ღრმა ცოდნა პედაგოგიური მუშაობის წარმატების პირველი საწინდარია.

---

[1] შ. ჩ ი ტ ა ძ ე, ფსიქოლოგიური წერილები, ჟურნ. „ნაკადულის“ დამატება— „პედაგოგიური ფურცელი“, 1905 წ., № 5, გვ. 3.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 3.

მასწავლებლის პედაგოგიური მუშაობა სკოლაში ხორციელდება. ამიტომ სკოლის მუშაობის სწორ პედაგოგიურ-დიდაქტიკურ პრინციპებზე აგება ბავშვთა და მოზარდთა რაციონალური სწავლა-აღზრდის ძირითადი საფუძველია. ამის გამო შიო ჩიტაძე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უდიდეს ყურადღებას აქცევდა საერთოდ თანამედროვე სკოლების მუშაობის პრინციპების კრიტიკას და კერძოდ ქართული გიმნაზიის რეორგანიზაციის არსებით საკითხებს.

სკოლა შიო ჩიტაძეს, XVII საუკუნის სახელგანთქმული სლავი პედაგოგის იან-ამოს კომენსკის მსგავსად, „ხელოვნის სამუშაო ოთახად" მიაჩნდა, „სადაც ადამიანის სულმა უნდა მიიღოს შესაფერი ფორმა და შინაარსი". მაგრამ შ. ჩიტაძის დროს არსებული სკოლა თავის ამ ძირითად დანიშნულებას ვერ ახორციელებდა, „რადგან ის პრინციპები, რომლებზედაც იგი იყო აგებული, უვარგისი გამოდგა[1]. და ეს იმიტომ მოხდა, რომ სკოლა, რომელიც „საზოგადოების ღვიძლი შვილია..., საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ნამდვილი სურათი, მისი პირდაპირი შედეგი და ნაყოფი, ერთი დიდი მხარეა ხალხის ცხოვრებისა", სრულიად ჩამოშორდა საზოგადოების და ხალხის ძირითად სასიცოცხლო ინტერესებს. ამავე დროს იგი შორს იდგა ბუნების და საზოგადოების კანონების შესწავლისაგანაც. „დაშორება ცხოვრება-ბუნებისაგან,— წერდა შიო ჩიტაძე,— აი ის დიდი ნაკლი, რომელიც უკარგავს ჩვენს სკოლას მნიშვნელობას. ჩვენი სკოლა თითქოს უდაბნოში დგას, სადაც ცხოვრების ოხვრა-კვნესა არ ისმის, სადაც ბუნება მარტივი და ერთფეროვანია, სადაც ასწავლიან მარტო სწავლის პროცესისათვის, სწორედ რომ ჩვენი სკოლა ის დაწესებულებაა, სადაც ბავშვებს თუთიყუშივით ამეორებინებენ უცნაურ ამბებს; ეს ამბები არაფერს ეუბნებიან არც გულს და არც სულს"[2].

ზოგადი განათლების საშუალო სკოლის არსებით ამოცანას, შიო ჩიტაძის აზრით, პირიქით, სწორედ ის შეადგენს, რომ მისცეს ახალგაზრდებს ისეთი ცოდნა, რომელიც უზრუნველყოფს მათ მიერ ბუნებისა და საზოგადოების განვითარების ძირითადი კანონების გაგებას. პირველი და უმთავრესი მიზანი საშუალო სკოლისა შემდეგია: „მისცეს მოზარდ თაობას მინიმუმი ყოველგვარ საჭირო ცოდნისა, იმის ასაკს შეფერებული, რომ შეეძლოს ცნობიერად შეხედოს ადამიანს და ბუნების ცხოვრებას",— წერდა შიო ჩიტაძე[3].

---

[1] ყ ვ ა ვ ი, საქართველოსათვის ქართული სკოლა, გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905 წ., № 2804.

[2] შ. ჩ ი ტ ა ძ ე, თბილისის სათავად-აზნაურო სკოლა და მისი სასურველი ცვლილებანი, გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905 წ., № 2842.

[3] ი ქ ვ ე, № 2842.

მართალია, იგი ახალგაზრდებისათვის აუცილებელ საჭიროებად სცნობდა ბუნების ცოდნას, „რეალურ ცოდნას“, „რადგან უმისოდ ადამიანი ბრმაა და ბნელში დაიარება“, მაგრამ უპირატესობას მაინც იმ ცოდნას ანიჭებდა, რომელიც გააცნობს მათ ადამიანთა ცხოვრებას. ახალგაზრდებისათვის „გაცილებით უფრო საჭიროა ცოდნა ადამიანთა შორის დამოკიდებულებათა ვითარებისა, ვიდრე დედამიწის მიზიდვისა, ან საათის ენის ქანაობის კანონისა“[1]. ჩანს შიო ჩიტაძე უფრო ჰუმანიტარულ განათლებას უპერდა მხარს ვიდრე რეალურ, პოზიტივურ განათლებას. ეს დიდი პედაგოგიური პრობლემა, რომელიც უდიდესი დავის საგანს წარმოადგენდა რევოლუციამდელ პედაგოგიკაში ვერც შიო ჩიტაძემ გადასწყვიტა სრულყოფილად, მაგრამ მისი პოზიცია ამ საკითხში მაინც ყურადღების ღირსია როგორც საკითხის დასმით, ისე დასაბუთებითაც.

სკოლაში სწავლების დაახლოება საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ბუნებასთან, ხელს უწყობს მოსწავლეთა უკეთ მომზადებას მათი მომავალი პრაქტიკული მოღვაწეობისათვის, ამავე დროს მოსწავლეებში აძლიერებს ინტერესს სწავლისადმი და ამაღლებს სწავლების ხარისხს.

სწავლების პროცესის ფსიქოლოგიურ საფუძველს, შიო ჩიტაძის პედაგოგიკური მოძღვრების მიხედვით, სწორედ მოსწავლეებში ინტერესის გამოწვევა წარმოადგენს. მაგრამ ინტერესს სწავლაში მრავალი ფაქტორი იწვევს. ინტერესი პირველად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია სწავლების შინაარსი, მისი მასალა, „ინტერესი სძევს თვით საგანში“. სკოლა მაშინ იქნება ნაყოფიერი და სწავლა საინტერესო,— წერდა ის თავის წერილში „ინტერესი სწავლაში“,— როდესაც იგი არ დაშორდება ცხოვრებას... დაუახლოვდება მას... სწავლა საინტერესო არის მაშინ, როდესაც იგი აკმაყოფილებს ბავშვის ბუნებრივ წყურვილს, უპირველესად, ცოდნისას... როდესაც იგი შეგვძენს ახალ ფაქტებს, რომელნიც აფართოვებენ წრეს ჩვენი ცოდნისას, გრძნობისას და ნებისას“[2]. „თანამედროვე სკოლა მოკლებულია სასიცოცხლო ნიშანწყალს“ და უვარგისია იმის გამო, რომ იგი არ აძლევს მოსწავლეებს ისეთ ცოდნას, რომელიც გააცნობს მათ ობიექტურ სინამდვილეს და გააფართოვებს მათს ჰორიზონტს. „ამიტომ საჭიროა,— დაასკვნიდა ავტორი, რომ დრო-

---

[1] შ. ჩ ი ტ ა ძ ე, რაგვარი წიგნებია სასურველი მოზარდ .თაობისათვის, ჟურნ. „ნაკადულის“ დამატება—„პედაგოგიური ფურცელი“, 1905 წ., № 2, გვ. 9.

[2] შ. ჩ ი ტ ა ძ ე, ინტერესი სწავლაში, ჟურნ. „ნაკადულის“ დამატება—„პედაგოგიური ფურცელი“, 1905 წ., № 3, გვ. 4.

ებით. სანამ ძირითადი ცვლილება მოხდება სკოლაში, უნდა მივიღოთ პალიატივები, რომელნიც შესამჩნევად შეუმსუბუქებენ მოსწავლეთ ტანჯვას და მოამზადებენ ნიადაგს ახალი სკოლისათვის (ხაზი ჩვენია.— ვ. ქ.). საჭიროა ამიტომ ეხლანდელი პროგრამებიდან გამოვტოვოთ ის უმნიშვნელო ბარგი, რომელიც გონებას კი არ ანვითარებს, არამედ ამძიმებს მას და მათ მაგივრად შევიტანოთ ზოგიერთი საგანი, რომელთაც კავშირი აქვთ ცხოვრებასთან, ან ხელს უწყობენ გონების საზოგადო განვითარებას"[1]. მეორე ადგილას შიო ჩიტაძე წერდა: „ჩვენ გვსურს, სანამ თავისუფალი სკოლა მოგვენიჭებოდეს, ან თავისუფალ სკოლას მოვიპოვებდეთ (ხაზი ჩვენია.— ვ. ქ.), სკოლაში ისეთი ცვლილებანი შევიტანოთ, რომ შეგვეძლოს ჩვენ, მასწავლებლებსაც და მოსწავლეებსაც, ერთად შრომა უფრო ხაყოფიერად, ვიდრე აქამდის"[2].

სწავლების შინაარსი ზოგადი განათლების საშუალო სკოლაში, შიო ჩიტაძის აზრით, ზუსტად უნდა შემოიფარგლოს. იგი არ უნდა იყოს სავსე „ერთგვარი წვრილმანებით, როგორც ახლაა და რასაც დღეს ბევრი დრო უნდება", არამედ შეიცავდეს „საგნიდან არსის ამოღებას" და უზრუნველყოფდეს „მის ჯეროვნად შესწავლას". ასეთია სწავლაში ინტერესის გამოწვევის პირველი პირობა.

მოსწავლეთა ინტერესს სწავლაში, შიო ჩიტაძის აზრით, არანაკლებ იწვევს და აძლიერებს, აგრეთვე, მასწავლებელი და მის მიერ სწავლების პროცესის სწორად წარმართვა სკოლაში. მასწავლებელი სწავლებისას მხოლოდ მაშინ გამოიწვევს მოსწავლეთა ინტერესს, როდესაც იგი სწავლების მეცნიერულ შინაარსს ბუნებრივად შეუფარდებს მოსწავლეთა მომზადების დონეს და ასაკობრივ თავისებურებას, რადგანაც „ყოველ ასაკს სათანადო მასალა სჭირია". თანამედროვე სკოლის მასწავლებლის მუშაობის ძირითად მანკად შიო ჩიტაძეს ის მიაჩნდა, რომ იგი ანგარიშს არ უწევდა „აღსაზრდელის ბუნებას", რის გამოც სწავლა-აღზრდის პროცესი არ ემყარებოდა სწორ პედაგოგიკურ-მეცნიერულ საფუძველს. „ბიუროკრატიულმა რეჟიმმა,— წერდა იგი წერილში „თბილისის სათავადაზნაურო სკოლა და მისი სასურველი ცვლილებანი",— მთლად აღმოფხვრა სწავლის საქმეში სიცოცხლე, გარდაქმნა მასწავლებელი მანქანად და მოსწავლენი უბრალო მასალად, რომელსაც დაქირავებული მუშა ამუშავებს ძალთა მპყრობელის სურვი-

---

[1] შ. ჩიტაძე, „თბილისის სათავად-აზნაურო სკოლა და მისი სასურველი ცვლილებანი, გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905 წ., № 2842.
[2] შ. ჩიტაძე, დიდი რიხი და სუსტი ღონე, გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905 წ., № 2846.

ლისამებრ. თავისუფლება სწავლისა, რომელიც ბუნებრივი მოთხოვნილებაა სკოლის საქმეში, პირადი შემოქმედება მასწავლებლისა გაქარწყლებულია ახლანდელ სკოლაში მრავლისაგან მრავლის ერთიმეორის საწინააღმდეგო ცირკულიარით, ცხოვრებასთან სრულიად შეუსაბამო განსაზღვრული პროგრამებით და ყოველად ძლიერი გამგეებისაგან, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ სწავლასთან, როგორც სწავლასთან და მხოლოდ იმისათვის არიან, რომ თვალყური ადევნონ, როგორმე ქურდულად არ შეიპაროს სკოლაში თავისუფალი აზრი"[1]. მეორე ადგილას შიო ჩიტაძე ასე ახასიათებდა მეფისდროინდელი სკოლის ჩინოვნიკ მასწავლებელს: „ჩვენ დროში მასწავლებელი თითით საჩვენებელი შეიქნა, დაეკარგა სახელი და თითქმის ყველა ზიზღით უყურებს. ამბობენ, რომ ეხლანდელი მასწავლებელი — ჯალათია, რომელიც უმოწყალოდ, თითქმის სიამოვნებითაც კი, აწვალებს და ტანჯავს ნორჩ სიცოცხლეს, რომელიც ჩაბარებული ჰყავს გულუბრყვილო მშობლებისაგან; მასწავლებელი უსულგულო არსებაა, რომელშიც დახშულია ყოველგვარი ადამიანური გრძნობა; იგი მანქანაა, რომელიც გულცივად ასრულებს საშინელ საქმეს, ბავშვების დასახიჩრებას. მასწავლებელს არ უყვარს თავისი საქმე, არ იცის თავისი საგანი, და, რასაკვირველია, რომ ვერ აინტერესებს ბავშვებს"[2].

მაგრამ მარტო საგნის ცოდნა და მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ გაძლიერდეს ინტერესი სწავლაში. ამასთან ერთად მასწავლებელი ვალდებულია სწავლების შინაარსი თანმიმდევრობისა და სისტემატურობის პრინციპის საფუძველზე მიაწოდოს მოსწავლეებს. „მასწავლებელს მძიმე ვალი აწევს,— წერდა შიო ჩიტაძე,— მან უნდა გადასცეს (მოსწავლეებს — ვ. ქ.) არა უკავშირო, ნაწყვეტნაწყვეტი, არამედ ლ ო გ ი კ უ რ ი კ ა ვ შ ი რ ი თ (ხაზი ჩვენია.—ვ. ქ.) შემუშავებული, შეზავებული ცნობები. ამგვარად გადაცემული ცნობები აფართოვებენ მოსწავლის ცნობიერებას და, რაც უფრო უმთავრესია, აჩვევენ აზროვნებას, და ნიჭ,ზებისა და შედეგების დასახელებით არსებულის შეგნებას"[3].

შიო ჩიტაძეს კარგად ესმოდა ის ძირითადი პედაგოგიკური დებულება, რომ მიღებულ ცოდნას მაშინ აქვს მ,ყიდრი საფუძველი,

---

[1] შ. ჩ ი ტ ა ძ ე, თბილისის სათავად-აზნაურო სკოლა და მისი სასურველი ცვლილებანი, „ცნობის ფურცელი", 1905 წ., № 2837.

[2] შ. ჩ ი ტ ა ძ ე, ინტერესი სწავლაში, ჟურნ. „ნაკადულის" დამატება — „პედაგოგიური ფურცელი", 1905 წ., № 3, გვ. 3.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 9.

იგი მაშინ არის მტკიცე და ადვილად გამოიყენება პრაქტიკაში, როდესაც იგი არა დაზეპირებით, ფორმალურად, არამედ შეგნებულად, დაკვირვებითა და შრომით არის მოპოვებული. „მართლაც, განა შეუძლია წიგნს (მასწავლებელს—ვ. ქ.) განუვითაროს ბავშვს გონება,—წერდა შიო ჩიტაძე,—თუ იგი გადასცემს (მოსწავლეებს—ვ. ქ.) დაღეჭილს და მზამზარეულს ცოდნას. ცოდნა ძვირფასია და სასიამოვნო იმდენად, რამდენადაც იგი მოპოვებულია ადამიანის გონების შრომით. თუ წიგნი მეუბნება, რომ წყალი მჟავებადისა და წყალბადისაგან შესდგებაო, ეს ცოდნა ჩემთვის ფუჭი, უშინაარსო სიტყვებია. მე არ დავკვირვებულვარ წყლის შედგენილობას; არ მიხმარია არავითარი გონების შრომა, რომ წიგნისაგან გადმოცემული ცოდნა მე თითონ მომეპოვა, და ამიტომაც არა მჯერა, რომ ჩემი ჭკუა ამ ცოდნით განვითარდეს. მე არაფრით არ გავირჩევი იმ რეგვენისაგან, რომელიც ამბობს: წყალი შესდგება სულ სხვადასხვა ელემენტისაგანო“[1]. ასე მივიდა შიო ჩიტაძე თვალსაჩინოების პრინციპის დასაბუთებამდე სწავლებაში. ამაევე დროს მას ისიც არ გამოპარვია მხედველობიდან, რომ მოსწავლეს მარტო თავისი პირადი დაკვირვებითა და გამოცდილებით არ შეუძლიან საფუძვლიანად და სრულყოფილად შეითვისოს კაცობრიობის მიერ დღემდე დაგროვილი ცოდნა. „ეჭვი არ არის,—წერდა იგი.—რომ ადამიანის გონებისათვის შრომით მოპოვებული ცოდნა უფრო ძვირფასია; გრძნობა, აღმოცენებული და აღზრდილი ცხოვრების ფაქტების მეოხებით, უფრო მკვიდრია. მაგრამ ვიკითხავთ, არის განა რაიმე საშუალება, რომ თანამედროვე ცხოვრების პირობებში კაცმა პირადი გამოცდილებით ცოდნაც მოიპოვოს და გრძნობებიც? რასაკვირველია, არა. ეხლა რომ ადამიანმა დაიწყოს ყველაფრის თავის ჭკუით მოპოვება, არაფრით არ განსხვავდება ველური ადამიანისაგან“[2]. მაშასადამე, სწავლის დროს მარტო მოსწავლის გამოცდილებაზე დამყარება არ შეიძლება. ამასთან ერთად საჭიროა, რომ შეგნებული და გეგმაშეწონილი ჩარევით თანდათან გავამდიდროთ მისი გონება მეცნიერებათა საფუძვლებით. კაცობრიობის გამოცდილებით, დღემდე დაგროვილი ცოდნით.

ამავე დროს, შიო ჩიტაძე დარწმუნებული იყო, რომ სწავლების პროცესის რაციონალიზაცია, სწავლების ხარისხის ამაღლება არსე-

---

[1] შ. ჩ ი ტ ა ძ ე, რაგვარი წიგნებია სასურველი მოზარდ თაობისათვის, ჟურნ. „ნაკადულის“ დამატება—„პედაგოგიური ფურცელი“, 1905 წ., № 2, გვ. 7.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 9—10.

ბითად არის დამოკიდებული სკოლაში მშობლიურ ენაზე სწავლების განხორციელებისაგან. „ხალხი და სკოლა განუყოფელია,—იწერდა შიო ჩიტაძე.— სკოლა არის ერთი დიდი მხარე ხალხის ცხოვრებისა, მისგან საზრდოობს და ცხოვრობს". ამიტომ, მისი აზრით, „დამტკიცება არ არის საჭირო იმ აზრისა, რომ ყოველ ეროვნებას თავისი სკოლა უნდა ჰქონდეს: ქართველს — ქართული, პოლონელს — პოლონური და სხვ. ეს აუცილებელი პირობაა არა მარტო იმიტომ, რომ სკოლა, ეროვნულ ნიადაგზე აგებული, დაიცავს ეროვნების ფიზიანომიას, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ სწავლება, განათლების მიღება, განვითარება უფრო ადვილია სამშობლო ენაზე"[1]. მეორე ადგილას იგი წერდა „ქართველი ერი არ არის რუსის ერი; ქართველი ერის ცხოვრება განსხვავდება რუსი ერის ცხოვრებისაგან, და ამიტომ შეუძლებელია ერთი, საზოგადო სკოლა ორივე ერისათვის: საქართველოსათვის საჭიროა ქართული სკოლა და თხოულობს კიდეც ასეთ სკოლას"[2]. ამ პოზიციაზე დაყრდნობით ეწეოდა შიო ჩიტაძე მეფის რუსეთის სკოლების კრიტიკას, ამიტომ მოითხოვდა იგი თბილისის ქართულ გიმნაზიაში სწავლების მოსწავლეთა დედაენაზე განხორციელებას. „ქართველებისათვის რუსული ენა,—წერდა იგი,— სამშობლო ენა არ არის და მასზე სწავლა საღი პედაგოგიკის წინააღმდეგია"[3]. ამავე დროს შიო ჩიტაძისათვის უდავო იყო, რომ რუსული ენის დაუფლების გარეშე მოსწავლენი ვერ მიიღებენ საფუძვლიან მეცნიერულ განათლებას. „ურუსულენოდ კი სწავლა სკოლაში შეუძლებელია,— წერდა იგი.— რუსულ ენაში ცუდად გავარჯიშებული მოსწავლენი ძნელად ითვისებენ საგნებს"[4]. თვითონ შიო ჩიტაძე, როგორც რუსული კულტურის ტრადიციებზე აღზრდილი პედაგოგი, მისი საუკეთესო მცოდნე და რუსული ენისა და ლიტერატურის შეუდარებელი მასწავლებელი, ყოველთვის ცდილობდა, რომ ქართველ ახალგაზრდობას როგორმე უფრო საფუძვლიანად და სრულყოფილად შეეთვისებინა მდიდარი რუსული ენა და ლიტერატურა.

ამრიგად, ბავშვთა ბუნების, მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება სწავლებაში, სწავლების შინაარსის საფუძვლიანი

---

[1] შ. ჩ ი ტ ა ძ ე, თბილისი სათავად-აზნაურო სკოლა და მისი სასურველი ცვლილებანი, გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905 წ., № 2836.

[2] ყ ვ ა ვ ი, საქართველოს ქართული სკოლა, გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905 წ., № 2804.

[3] შ. ჩ ი ტ ა ძ ე, სათავად-აზნაურო სკოლა და მისი სასურველი ცვლილებანი, გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905 წ., № 2836.

[4] ი ქ ვ ე.

გარდაქმნა მეცნიერულ მოთხოვნათა შესაბამისად, ნამდვილი სახალხო სკოლის შექმნა, მშობლიურ ენაზე სწავლების განხორციელება, თვალსაჩინო, სისტემატურ-თანმიმდევრული და შეგნებული სწავლება, სწავლების პროცესში ინტერესისა და სტიმულის გამოწვევა-გაძლიერება მოსწავლეებში და მასწავლებლის შემოქმედებითი პედაგოგიური მუშაობა — აი, ის ძირითადი საფუძვლები, რომლებზეც აგებული უნდა იყოს, შიო ჩიტაძის აზრით, სწავლება სკოლაში.

ამ პედაგოგიკურ-დიდაქტიკური მოთხოვნების დაცვა უზრუნველყოფს სწავლებისას, შ. ჩიტაძის აზრით, მოსწავლეთა ინტერესის ფართოდ გამოწვევას, მიმზიდველს გახდის სწავლების პროცესს და მკვიდრ ნიადაგს შექმნის სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის. ამიტომ მოითხოვდა შიო ჩიტაძე ასე კატეგორიულად მის თანამედროვე სკოლათა (პირველ რიგში ქართული გიმნაზიის) სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის გარდაქმნას ამ დებულებათა შესაბამისად.

შიო ჩიტაძე კარგად გრძნობდა იმასაც, რომ მარტო სასკოლო სწავლა-განათლება, რომელიც ოფიციალურ პროგრამებს ემყარება, მაინც არ არის საკმარისი. სკოლა, საუკეთესო პედაგოგიკურ-დიდაქტიკურ პრინციპებზეც რომ იყოს დამყარებული, მაინც საჭირო ცოდნის მინიმუმს იძლევა. სკოლაში მიღებული სწავლა-განათლება სავსებით და მთლიანად მაინც ვერ უზრუნველყოფს ყველა იმ მოთხოვნის შესრულებას, რომლებსაც ახალგაზრდობას ცხოვრება უყენებს. ამიტომ სწავლა-განათლებასთან ერთად ახალგაზრდობისათვის აუცილებელია სკოლის გარეშე ფართო განათლების მიღებაც. ამ მიზანს ემსახურება სკოლის გარეშე საკითხავი ლიტერატურა. შიო ჩიტაძე თავის სტატიაში „რაგვარი წიგნებია სასურველი მოზარდ თაობისათვის“ აღნიშნავს, რომ „ცოდნა ძვირფასია და სასიამოვნო იმდენად, რამდენადაც იგი მოპოვებულია ადამიანის გონების შრომით“ კაცობრიობის მიერ დაგროვილი ცოდნა წიგნებშია მოცემული, ხოლო „წიგნი ჯაჭვის რგოლია, რომელიც ადამიანს უერთებს მთელ სამყაროს; წიგნი დაუშრეტელი წყაროა ცოდნისა, რომელიც ტანჯვით შეიძინა კაცობრიობამ აუარებელ საუკუნეების განმავლობაში; წიგნი სარკეა თანამედროვე და წარსულში ჩამარხულის კაცობრიობისა; წიგნი უმდიდრესი სალაროა, საიდანაც ყველას შეუძლია ისარგებლოს; წიგნი მაგივრობას უწევს კაცის პირად დაკვირვებას, რომელიც შეზღუდულია და ცალძხრივი“[1].

---

[1] შ. ჩ ი ტ ა ძ ე, რაგვარი წიგნებია სასურველი მოზარდ თაობისათვის, „პედაგოგიური ფურცელი“, 1905 წ., № 2, გვ. 8.

ამიტომ სკოლისა და მასწავლებლის ვალია შეაჩვიონ ახალგაზრდობა წიგნის დამოუკიდებელ, სისტემატურ კითხვას, განსაკუთრებით კი სპეციალურად შერჩეულ მაღალიდეურ და მორალური ღირსებების ლიტერატურის კითხვას, რადგან „მხოლოდ ნამდვილ მხატვართ შეუძლიანთ გახდნენ მოზარდი თაობის მასწავლებლებად და წინამძღვრებად“.

შიო ჩიტაძე საგანგებო ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდის საკითხებს. თავის პრაქტიკულ-პედაგოგიურ მუშაობაში იგი ზნეობრივი ქცევის საუკეთესო ნიმუშებს იძლეოდა და სისტემატურ მუშაობას ეწეოდა იმისათვის, რომ ქცევის ეს ნიმუშები დაენერგა მოსწავლეებში. ამ მხრივ იგი ყველასათვის მისაბაძი აღმზრდელ-პედაგოგი იყო. თავის პედაგოგიურ წერილებში შიო ჩიტაძე ახალგაზრდობის ზნეობრივ აღზრდას აღიარებდა მთლიანი პედაგოგიური პროცესის ძირითად და ორგანულ ნაწილად. წერილში „რაგვარი წიგნებია სასურველი მოზარდ თაობისათვის“, იგი აყენებდა კითხვას, თუ „რაგვარი ზნეობრივი მოძღვრებაა სასურველი საზოგადოდ“ და თვითონვე უპასუხებდა: „ადამიანი ცხოვრებისათვის არის გაჩენილი. „სული ტკბილიაო“ — ამბობს ხალხის სიბრძნე და მართალსაც ამბობს. ვერ ნახავთ ადამიანს, რომელსაც ცხოვრება ინსტიქტურად არ უყვარდეს. მარტო იმ მოძღვრებას უნდა ჰქონდეს ადგილი, რომელიც ქადაგებს და ასწავლის ცხოვრებისადმი სიყვარულს: ნათელი, მხიარული მოძღვრება უნდა იყოს აღიარებული ერთად-ერთ სასურველ მოძღვრებად“[1].

შიო ჩიტაძე არ იზიარებდა იმ პედაგოგთა აზრს, რომელთაც ჰგონიათ, რომ „ზნეობრივი მოძღვრებანი შეიძლება შეიმუშაოს ადამიანმა, თუ მიაწვდით გასაგებ და საინტერესო ფორმით ზნეობრივ სენტენციებს“. ამ პედაგოგთა აზრით, განაგრძობს ავტორი, „თუ გნებავთ ბავშვმა არ იცრუოს, წაუკითხეთ „ცრუ ვანოზე“, თუ გნებავთ ბავშვს ჩააგონოთ შემდეგი აზრი: „მარტო შენი თავისათვის ნუ ზრუნავ“, წაუკითხეთ მოთხრობა ბერიკაცზე, რომელიც ვაშლს ნერგავდა შთამომავლობისათვის და სხვ. შეუძლებელია, რომ ამგვარი მოთხრობებით შეიძლებოდეს რაიმე მიმართულების შემუშავება“[2]. მაშ, რა საშუალება უნდა გამოვიყენოთ ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდისათვის? ზნეობრივი აღზრდის ძირითად საშუალებას, შიო ჩიტაძის აზრით, წარმოადგენს წიგნი, განსაკუთრებით მხატვრული ლიტერატურა, რომელიც ობიექტურად ასახავს

---

[1] შ. ჩ ი ტ ა ძ ე, რაგვარი წიგნებია სასურველი მოზარდ თაობისათვის, „პედაგოგიური ფურცელი“, 1905 წ., № 2, გვ. 10—11.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 10.

ადამიანთა ცხოვრების რეალურ სურათებს. „წიგნმა უნდა წარუდგინოს მოზარდს საკმაო მასალა, აძოლებული ადამიანთა ცხოვრებიდან. დახატული ცხოვრება უნდა იყოს ნამდვილი და არა ფერუმარილ წასმული, რომ შესძლოს ჭეშმარიტი, ცოცხალი ცხოვრების მაგივრობა გასწიოს. ცხოვრება წიგნში ისე გამჭირვალედ უნდა იყოს დახატული, რომ ახდენდეს ცოცხალი ცხოვრების შთაბეჭდილებას. ამნაირად დასურათებულ ცხოვრებას შეხვდებით მარტო მხატვრულ ნაწარმოებში"[1]. ამიტომ მხატვრული შემოქმედების ნიმუშები უნდა ჩაითვალოს, შიო ჩიტაძის აზრით, ახალგაზრდობის ზნეობრივი აღზრდის ძირითად საშუალებად. ასეთ თხზულებებში „გულით ვეგრძნობთ და ჭკვით კვეგებთ სიხარულს და იწუხარებას წიგნში დახატულ ადამიანებიაას. მარტო ამგვარი (წიგნების. — ვ. ქ.) კითხვა სტოვებს კვალს. მარტო ამგვარს კითხვას შეუძლიან შეუძუშაოს მოზარდს ზნეობრივი ხასიათი"[2]. მხატვრული წიგნი ზნეობრივად აფაქიზებს ადამიანს, ამაღლებს და აკეთილშობილებს მის სულს, აძლიერებს ცხოვრებისადმი სიყვარულს და პატივისცემას. „წიგნმა უნდა შესძლოს აგრძნობინოს სიმშვენიერე საძყაროსი და მაშინ ბავშვის გულში ჩადგმული იქნება მკვიდრი საძირკველი ადამიანის საუკეთესო გრძნობებისა და მისწრაფებისათვის", ასეთია შიო ჩიტაძის დასკვნა.

როგორც ვხედავთ, შიო ჩიტაძე, კლასში და კლასგარეშე საკითხავ მხატვრულ ლიტერატურას არა ძხოლოდ საგანძანათლებლო ხეიშვნელობას ანიჭებდა, არამედ მას ბავშვთა მორალური აღზრდის უძლიერეს საშუალებადაც აღიარებდა.

* * *

შიო ჩიტაძე იყო უაღრესად ნოწინავე საზოგადო მოღვაწე პედაგოგი. იგი სასტიკად ებრძოდა საზოგადოებრივ პოლიტიკური და პედაგოგიური რუტინისა და კონსერვატიზმის ყოველგვარ საფუძვლებსა და გამოვლინებას. შიო ჩიტაძე მებრძოლი ბუნებისა და ნათელი პერსპექტივის ადამიანი იყო და საზოგადოებას ყოველთვის ბრწყინვალე მომავლისაკენ მოუწოდებდა. „სინათლე ძლიერია სიბნელეზე, — წერდა იგი, — და ნურავინ იფიქრებს, რომ იგი ოდესმე დამარცხდეს. არის დრო, როდესაც სინათლის სხივები ოდნავ ბჟუტავენ, როცა უკუნით არის მოცული არე-მარე. მაგრამ სხივები შეერთდებიან, გააპობენ სიბნელეს, დააბრმავებენ სიბნელეში სიარულის მოსიყვარულეთ და გახუბრწყინებენ გზას იმათ, ვისაც ლამპარი ხელში უჭირავს".

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილი „ლამპარის სინათლით" გაბრწყინებული და გამარჯვებული ქართველი ხალხი უდიდესი კმაყოფილებით მოიგონებს შიო ჩიტაძის დიდ ღვაწლს და ამაგს.

---

[1] შ ი ო ჩ ი ტ ა ძ ე, რაგვარი წიგნებია სასურველი მოზარდ თაობისათვის, „პედაგოგიური ფურცელი", 1905 წ., № 2, გვ. 10.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 11.

ივანე გომელაური
(1867—1951)

ივანე გომელაური

1. ძართული სკოლისათვის მებრძოლი სახალხო მასწავლებელი

ივანე გომელაური ძველი თაობის ქართველი სახალხო მასწავლებლების ვალმოხდილი წარმომადგენელია. იგი მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე დაუშრეტელი ენერგიითა და საქმისადმი უანგარო სიყვარულით ემსახურებოდა მოზარდი თაობის ნაყოფიერ სწავლა-განათლებას და აღზრდას.

ივ. გომელაურს იმ პერიოდში მოუხდა პედაგოგიურ ასპარეზზე სამოღვაწეოდ გამოსვლა, როდესაც სახალხო მასწავლებლები ჩვენში „სულიერი დაძაბულობის, შეეიწროვების, დამცირებისა და უუფლებობის“ მორევში იხრჩობოდნენ.

დიდი ლენინი თავის ცნობილ წერილში „სახალხო განათლების სამინისტროს პოლიტიკის საკითხისათვის“ მეფის რუსეთში სახალხო მასწავლებელთა უფლებრივ-მატერიალურ მდგომარეობას ასე ახასიათებდა: „სახალხო მასწავლებლები შიმშილობენ და იყინებიან საცხოვრებლად თითქმის სრულიად უვარგის ქოხებში, რომელთაც არცკი ათბობენ. სახალხო მასწავლებლები ცხოვრობენ პირუტყვთან ერთად, რომელიც ზამთრობით გლეხა ქოხში მიჰყავს. სახალხო მასწავლებელს სდევნის ყოველი ურიადნიკი, სოფლის ყოველი შავრაზმელი ან მოხალისე ჯაშუში და მაძებარი, ხელისუფალთა შარის მოდებასა და დევნაზე რომ არაფერი ვთქვათ“[1].

სწორედ იმ დროს, როდესაც ივანე გომელაურს პედაგოგიური მოღვაწეობის პირველი ათეული წლები უსრულდებოდა, გამოჩენილი რუსი მწერალი ა. ჩეხოვი თავის სახელგანთქმულ თანამემამულეს—მაქსიმ გორკის გულნატკენად შესჩიოდა იმაზე, რომ სახალხო მასწავლებლებს რუსეთში ჩაგრავს ყველა: „ურიადნიკი, მდიდარი ბედუქნე, ხუცესი, ბოქაული, სკოლის მზრუნველი, მამასახლისი და ის მოხელეც, რომელიც სკოლების ინსპექტორის სახელწოდებას ატარებს, მაგრამ ზრუნავს არა განათლების უკეთ დაყე-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, 19, გვ. 151—152.

ნებისათვის, არამედ მხოლოდ ოლქის ცირკულიარების გულმოდგინედ შესრულებისათვის".

კიდევ უფრო მწვავე და სუსხიანი იყო სახალხო მასწავლებლის მდგომარეობა რუსეთის იმპერიის ნაციონალურ მხარეებში და, კერძოდ—ჩვენში საქართველოში, რადგანაც „მეფის რუსეთი ხალხთა საპყრობილე იყო. მეფის რუსეთის მრავალრიცხოვანი არა რუსი ხალხები სრულიად უუფლებონი იყვნენ, განუწყვეტლივ განიცდიდნენ ყოველგვარ დამცირებასა და შეურაცხყოფას. მეფის მთავრობა აჩვევდა რუს მოსახლეობას ისე ეცქირა ნაციონალური ოლქების მკვიდრი ხალხებისათვის, როგორც დაბალი რასისათვის, ოფიციალურად უწოდებდა მათ „ინოროდცებს", ნერგავდა ზიზღსა და სიძულვილს მათდამი...

ნაციონალურ ოლქებში ყველა ან თითქმის ყველა სახელმწიფო თანამდებობანი რუს ჩინოვნიკებს ეჭირათ. მთელი საქმეები დაწესებულებებში, სასაძართლოებში რუსულ ენაზე წარმოებდა. აკრძალული იყო ნაციონალურ ენებზე გაზეთებისა და წიგნების გამოცემა. სკოლებში აკრძალული იყო დედაენაზე სწავლა. მეფის მთავრობა მიისწრაფოდა ჩაეხრჩო ნაციონალური კულტურის ყოველგვარი გამოვლინება, ატარებდა არარუს ეროვნებათა ძალდატანებითი „გარუსების" პოლიტიკას. ცარიზმი არარუს ხალხთა ჯალათად და მტანჯველად გამოდიოდა"[1].

მდგომარეობა მით უმეტეს მძაფრდებოდა იმ პირობებში, როდესაც მოწინავე სახალხო მასწავლებლები შეგნებულად ირაზმებოდნენ ნაციონალური კულტურის დაწესებულებათა აშკარა განადგურებისაკენ მიმართული ცარიზმის კოლონიალური „საგანმანათლებლო" პოლიტიკის ყოველგვარი გამოხატულების წინააღმდეგ.

ივანე გომელაური ქართული სკოლისა და ნაციონალური კულტურისათვის დაუღალავი მებრძოლი სახალხო მასწავლებელი იყო. ამით აიხსნება ის, რომ იგი მუდმივ დევნასა და შევიწროვებას განიცდიდა რევოლუციამდელ საქართველოში. მაგრამ, მიუხედავად ამ რეპრესიებისა, იგი ყოველთვის გულმოდგინედ იცავდა ჩვენს ნაციონალურ კულტურასა და განათლებას და ნამდვილი, მოწინავე სახალხო მასწავლებლის შეუბღალავ ღირსებას. ივანე გომელაური უანგაროდ ემსახურებოდა თავისი ახალგაზრდა თანამემამულეების რაციონალური სწავლა-განათლებისა და მათთვის სანატრელი მერმისის დამკვიდრების საშვილიშვილო ამოცანას. ჩუმი, მაგრამ გაბედული, მოკრძალებული, მეტად ნაყოფიერი საზოგადოებრივ-პედაგოგიური

---

[1] საკავშირო კ. პ.(ბ) ისტორია, მოკლე კურსი, 1950 წ., გვ. 7.

შრომა-საქმიანობით ივანე გომელაურმა სამუდამოდ დაიმკვიდრა მისი სახელი XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის სახალხო განათლების მუშაკთა მოწინავე რიგში.

2. ივ. გომელაურის ახალგაზრდობის წლები

ივანე მიხეილის-ძე გომელაური დაიბადა 1867 წლის 10 (22) სექტემბერს სოფელ მირზაანში (სიღნაღის მაზრა, ქიზიყი), საშუალო შეძლების აზნაურის ოჯახში. დაწყებითი განათლების მისაღებად მშობლებმა იგი მეზობელ სოფ. ზემო მაჩხაანში გაგზავნეს, სადაც მღვდელ სიმონ ბენაშვილს სკოლა ჰქონდა „გამართული“ და მისი დიაკვანი ეწოდა „პედაგოგიურ მოღვაწეობას“. პატარა ვანოს სათუთი ბუნება ვერ შეურიგდა ამ სკოლაში გამეფებულ სწავლების სქოლასტიკურ წესს და პირველ დღესვე, როდესაც დიაკვანმა ბავშვებს დაურიგა ქაღალდის პატარ-პატარა ნაჭრები, რომელზედაც ქართული ანბანი იყო დაწერილი და გასცა მრისხანე განკარგულება „ხვალისათვის ისწავლეთო“!—დასტოცა ეს პირველი სკოლა. არ გასულა დიდი ხანი და თვით სოფ. მირზაანში გაიხსნა პირველ-დაწყებითი სასწავლებელი, სადაც შეიყვანეს ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ შთაგონებით სწავლას მოწყურებული ბავშვი. ამ სკოლაში მისი მასწავლებელი იყო საოსტატო სემინარიის კურსდამთავრებული, გაბოცდილი პედაგოგი მ ი ხ ე ი ლ გ ა ვ ა შ ე ლ ი, რომელმაც შეაყვარა მოსწავლეებს ქართული ენა და მშობლიური ქვეყანა. ივ. გომელაური აღფრთოვანებული იყო ამ მასწავლებლით და დიდი პატივისცემით იხსენიებდა მას.

1879 წლის შემოდგომაზე ივანე გომელაური სიღნაღის საქალაქო სასწავლებელში შევიდა. აქ მას თავაზიანად შეხვდა ამ სასწავლებლის მაშინდელი ინსპექტორი, ცნობილი პედაგოგი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი (დიდი ქართველი მეცნიერის აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მამა), რომელმაც იგი საქალაქო სასწავლებლის პირველი განყოფილების მოსწავლედ მიიღო. სიღნაღის საქალაქო სასწავლებელი სამ კლასიანი იყო ექვსი განყოფილებით. ივ. გომელაური ერთ-ერთ საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა ყველა განყოფილებაში. მას ხშირად აჯილდოებდნენ წიგნებით. ზოგ მათგანს ასეთი წარწერა ჰქონდა გაკეთებული: „Книгой этой награждается ученик Ив. Гомелаури за отличные успехи и примерное поведение“. ამ სასწავლებელში მისი ყველაზე საყვარელი მასწავლებელი იყო სიმ. ბეგიაშვილი. ს. ბეგიაშვილმა გააძლიერა და გამამტკიცა ახალგაზრდა მოსწავლეში ქართული ენისა და მშობლიური ხალხისადმი დაუცხრომელი სიყვარული. იგი ძირითად სახელ-

მძღვანელოდ დიდი ქართველი პედაგოგის ი ა კ ო ბ გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ს „ბუნების კარსა“ და „ხომლს“ ხმარობდა და ხშირად ჟურნალ „ივერიის“ მასალებსაც იყენებდა შერჩევით. ივ. გომელაურმა სიღნაღის საქალაქო სასწავლებელში, რომლის კურსი 1885 წ. წარმატებით დაამთავრა, საფუძვლიანი დაწყებითი განათლება მიიღო.

1885 წლის ზაფხულზე ივ. გომელაური თბილისში გამოემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად. მან გადაწყვიტა საშუალო პედაგოგიური განათლების მიღება და ამ მიზნით თბილისის ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტში შესვლა. მაგრამ ინსტიტუტში ჩასარიცხად სათანადო საკონკურსო გამოცდების ჩაბარება იყო აუცილებელი, რისთვისაც იგი თავს საკმაოდ მომზადებულად ვერ გრძნობდა. ამიტომ თავისი ცოდნის გასაღრმავებლად ივ. გომელაური სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ საქალაქო სასწავლებლის უკანასკნელ კლასში ჩაირიცხა, სადაც იმ დროს სწავლობდნენ შემდეგში მისი განუყრელი მეგობრები ი ა კ ა რ გ ა რ ე თ ე ლ ი და დ ი მ ი ტ რ ი დ უ მ ბ ა ძ ე. ამ სასწავლებელში მის მასწავლებლებად იყვნენ ცნობილი პედაგოგები: ა ლ ე ქ ს ი მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი, გ ი ო რ გ ი ი ო ს ე ლ ი ა ნ ი (წყალტუბოელი), მ ი ხ ე ი ლ ნ ა ს ი ძ ე და ტ. მ ა მ ა ლ ა ძ ე.

1886 წლის შემოდგომაზე ივ. გომელაურმა წარმატებით ჩააბარა საკონკურსო მისაღები გამოცდები თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში და იგი მიღებულ იქნა პირველ კურსზე. ინსტიტუტის დირექტორად იმ დროს იყო დ. კოლოვიჩი, ჩამომავლობით ჩეხი, ხოლო მასწავლებელთაგან მხოლოდ ერთი იყო ქართველი — ნ ი კ ო ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი. ინსტიტუტში სასტიკი რეჟიმი იყო დამყარებული. სწავლება ოთხ წელიწადს გრძელდებოდა. ივ. გომელაურმა გადალახა ყველა დაბრკოლება, გამოიჩინა იშვიათი მუყაითობა, ენერგია და 1890 წლის გაზაფხულზე საუკეთესოდ დაამთავრა ინსტიტუტის კურსი.

იმის გამო, რომ ივ. გომელაური უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში იზრდებოდა სახელმწიფოს ხარჯზე ინსტიტუტის პანსიონში, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს თავისუფლად შეეძლო მისი გაგზავნა მასწავლებლად კავკასიის ყველაზე შორეულ და მიყრუებულ კუთხეებში. მაგრამ, ამ შემთხვევაში, მას ბედნიერება ეწია და, მისი ამხანაგებისაგან განსხვავებით, იგი აქვე, საქართველოში, გურიის ცენტრში, ოზურგეთის საქალაქო სკოლის მასწავლებლის თანაშემწედ დანიშნეს.

3. ივ. გომელაური ოზურგეთის საძალაძო სასწავლებელში

1890 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში ივანე გომელაური გამოცხადდა ოზურგეთის საქალაქო სკოლის ინსპექტორ აბ. ბეკზადოვთან. აქ მას დახვდნენ მასწავლებლები: სპ. თოფურია, ივ. კაციტაძე და კ. უთურგაური. ივ. გომელაურს ჩააბარეს პირველი განყოფილება და იგი ახალგაზრდული-ენერგიით შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ასწავლიდა ყველა საგანს: ქართულ ენას, რუსულ ენას, ანგარიშს და სხვ. ქართულ ენაში სახელმძღვანელოდ ი. გოგებაშვილის „დედა-ენას" იყენებდა, ხოლო რუსულ ენაში თუმცა აიძულებდნენ მუშაობა ეწარმოებინა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების მაშინდელი დირექტორის, ცნობილი რუსიფიკატორის ვ. ლეონიკის „Курс русского языка"-ს მიხედვით, რომელიც, როგორც ცნობილია, ნატურალური („მუნჯური") მეთოდის საფუძველზე იყო შედგენილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ივ. გომელაური მაინც ი. გოგებაშვილის „Русское слово"-ს უსახელებდა მოსწავლეებს და ამით ასწავლიდა.

პრაქტიკულ-პედაგოგიური მოღვაწეობის სარბიელზე პირველი გამოსვლიდანვე იგრძნობოდა, რომ ივანე გომელაური ნიჭიერი, უნარიანი და მუყაითი პედაგოგი იყო[1]. მთელ თავის ენერგიას იგი იქითკენ წარმართავდა, რომ მის მოსწავლეებს, რაც შეიძლება მეტი ცოდნა-ჩვევა და გამოცდილება მიეღოთ. მან შეაყვარა თავის მოსწავლეებს დედაენა, ადამიანი და სამშობლო მხარე. ყველაფერმა ამან ახალგაზრდა პედაგოგს საკმაო პატივისცემა და ავტორიტეტი მოუპოვა საზოგადოებაში.

ივ. გომელაური მტკიცედ იცავდა ქართული ენის უფლებებს სკოლაში. ამის თაობაზე მას ხშირად უხდებოდა შეტაკება სკოლის ადმინისტრაციისა და სასწავლო ოლქის წარმომადგენლებთან. მეტად საყურადღებოა მისი ბრძოლა ოზურგეთის საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორ მუსნიცკისთან, რომელმაც სანახევროდ შეამცირა ქართული ენის გაკვეთილები სკოლაში. ამ ბრძოლას ივანე გომელაურმა შემდეგში (კოწოლაურის ფსევდონიმით) მიუძღვნა ავტობიოგრაფიული მხატვრული ნარკვევი „დედა-ენის გაკვეთილი", რომელშიც

---

[1] Гомелауров. назначенный помощником учителя 1 сентября 1890 г.,—წერდა თავის მოხსენებაში ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლათა დირექტორი კავკასიის სასწავლო ოლქის მხრუნველს ოზურგეთის საქ ალაქო სკოლის რევიზიის ბედეგების შესახებ 1891 წლის 27 მარტს,—преподает в приготовительном классе. Он усерден и энергичен в деле обучения, но еще недостаточно опытен. Успехи его учеников в общем могут быть признательны порядочными" (საქ. სსრ ც. ა. ფონდი 422/105, საქმე 4075, ვვ. 50).

ამაღელვებელი ტონით გადმოსცა ის ფაქტი, თუ როგორ იმოქმედა მან მოსწავლეებზე ერთი ნათარგმნი მოთხრობის წაკითხვით და როგორ დარაზმა ისინი ქართული ენისა და საქართველოს უფლებათა დაცვისათვის საბრძოლველად. ქართული ენის გაკვეთილების შემცირებით გაჯავრებული მასწავლებელი მეხუთე გაკვეთილზე შეჯიდა მეექვსე კლასში: „გაკვეთილებითა და თამაშობით დაღლილი ბავშვები დამშვიდნენ როგორც იყო. მასწავლებელმა გამოკითხა გაკვეთილი. ხელდახელ აუხსნა ახალი და მერე წიგნების შენახვა უთხრა. მოწაფეები მიხვდნენ, რომ გაური (იგულისხმება გომელაური — ვ. ქ.) ჩვეულებისამებრ რიღაცის წაკითხვას აპირებდა და გახარებულმა ყურები ცქვიტეს.— ყმაწვილებო!— დაიწყო გაურმა, მე ახლა წაგიკითხავთ ილია ჭავჭავაძის მიერ გადმოთარგმნილ ალფ. დოდეს პატარა მოთხრობას, რომელსაც „უკანასკნელი გაკვეთილი“ ჰქვიან. აქ მოთხრობილი ამბავი შეეხება იმ დროს, როდესაც გერმანელებმა ფრანგებს ჩამოართვეს ერთი ადგილი, კუთხე, რომელსაც ელზას-ლოტარინგიას ეძახიან. მასწავლებელმა კედელზე ჩამოკიდებულ რუკაზე აჩვენა როგორც გერმანია და საფრანგეთი, აგრეთვე ელზას-ლოტარინგიაც. უთხრა როდის იყო ომი ამ ერთა შორის და სხვ.— მაშ, აბა, სმენა და გაგონება! ყმაწვილებმა ხმა გაკმინდეს. ყველა სმენად გადაიქცა... გაური კითხულობდა, მაგრამ ეს კითხვა კი არა, ეს მისი საკუთარი გულის სიღრმიდან ამომდინარე სიტყვები იყო, ამიტომაც ასე მძლავრად ჰხვდებოდა მკითხველსაც და გამგონსაც... გამელის (მოთხრობაში გამოყვანილი მასწავლებელი — ვ. ქ.) მწუხარებით გაური გაიმსჭვალა, მოწაფეების მწუხარება მსმენელთ აგრძნობინა... გაურსაც ხმა აუკანკალდა გამელსავით .. ყმაწვილები გაქვავებულსავით ისხდნენ... მკითხველის გრძნობამ მიაგნო ნსმენელების გულს... როდესაც გაური მივიდა დაფასთან და გამელსავით, ხოლო ქართული ასოებით, დასწერა: „გაუმარჯოს საფრანგეთსო“, ყმაწვილები წამოხტნენ და თითქმის ერთხმად წამოიძახეს — „გაუმარჯოს საქართველოს!“... ამის შემდეგ სიამოვნების ცრემლ-მორეული გაური დაეშვა სკამზე და გაჩუმდა“[1]... ასე უნერგავდა ივანე გომელაური სკოლაში მოსწავლეებს სამშობლოსა და ქართული ენის სიყვარულს, მისი უფლებებისა და ღირსებისათვის დაუცხრომელი ბრძოლის დიად გრძნობას.

ივანე გომელაური მარტო სკოლაში მოღვაწე პედაგოგი როდი იყო. იგი უდიდეს ყურადღებას აქცევდა ამავე დროს მოსწავლე

---

[1] კ ო ნ ო ლ ა უ რ ი [ი. გომელაური], დედა-ენის გაკვეთილი, ჟურნ. „განათლება“, 1911 წ., № IX, გვ. 546—547.

ახალგაზრდობის ფართო, სკოლის გარეშე სწავლა-განათლების საქმეს. სწორედ იმ ხანებში, როდესაც ივ. გომელაურის პედაგოგიური უნარი იფურჩქნებოდა და იშლებოდა (90-იანი წლების პირველ ნახევარში), ცნობილმა წიგნის გამომცემელმა კ. თავართქილაძემ ოზურგეთში დააარსა ქართული წიგნების ბიბლიოთეკა საკითხველო. ივანე გომელაური, როგორც ქართული ენის მასწავლებელი (იმ დროს იგი საქალაქო სკოლის ყველა კლასში ასწავლიდა ქართულ ენას), დაბეჯითებით ურჩევდა მოსწავლეებს სისტემატურად ესარგებლათ ამ ბიბლიოთეკით და საფუძვლიანად გაცნობოდნენ ქართული ლიტერატურის კლასიკოსების (ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალ. ყაზბეგის და სხვ.) უკვდავ ქმნილებებს. თვითონაც ხშირი სტუმარი იყო ამ კერძო დაწესებულებისა და პირადად ამოწმებდა მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას, მათს თვითგანვითარებას.

ივ. გომელაური არც საზოგადოების კულტურულ მოთხოვნილებებს სტოვებდა უყურადღებოდ. ოზურგეთში ჩასვლისთანავე მან განიზრახა ქართული თვითმმქმედი თეატრის გამართვა. ქალთა სკოლის დარბაზში მოაწყო მუდმივი სცენა, რომლისთვისაც ფარდა ოზურგეთში დროებით ჩამოსულ არტისტ მძინაროვს გამოართვა. შეჰკრიბა ადგილობრივი სცენის მოყვარეთა აქტივი და შეუდგა ქართული წარმოდგენების პერიოდულად გამართვას. ოზურგეთის სცენისმოყვარეთა მონდომებულმა და ნაყოფიერმა მუშაობამ ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო და ქართულ პრესაშიც ჰპოვა შესაფერისი გამოხატულება[1]. 1895 წელს გაზეთ „ივერიის" ერთ-ერთ კორესპონდენციაში ოზურგეთიდან აღნიშნულია, რომ იქ წარმოდგენილ იქნა ნ. პ. ყიფიანის მიერ რუსულიდან ნათარგმნი პიესა „ახირებულია", რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ელ. კეკერაძისა, მ. ჯაყელისა, ნ. კალანდარიშვილი, მ. ქიქოძე და ივ. გომელაური. კორესპონდენტი დასძენს აგრეთვე, რომ „ყველამ თავთავიანთი როლი მწყობრად ჩაატარა, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება საზოგადოებისა მიიქცია ბ-მა გომელაურმა, რომელმაც აკაკი აკაკიევიჩის როლი მშვენივრად და კომიკურად შეასრულა"[2].

ივ. გომელაურის ყოფილი მოსწავლე ოზურგეთის საქალაქო სასწავლებლიდან, საქ. სსრ სახალხო არტისტი ვასო ურუშაძე თავის „მოგონებაში" აღნიშნავს: „ქართული ენის მასწავლებელმა ივ. გომელაურმა თავი მოუყარა მასწავლებელ ვაჟებსა და ქალებს და მოამზადა გ. ერისთავის ერთმოქმედებიანი კომედია „უჩინ-მაჩინის ქუდი"-სალიტერატურო განყოფილებაში მოსწავლეებს ლექსები წააკით-

[1] გაზ. „ივერია", 1893 წ., № 44.
[2] გაზ. „ივერია", 1895 წ., № 39.

ხეს. ამ განყოფილებაში მეც ვიღებდი მონაწილეობას". მისივე ცნობით ამავე პერიოდში ოზურგეთში ეწყობოდა სახალხო ლექციებიც. „ლექტორთა წრეში შედიოდნენ ადგილობრივი ინტელიგენტები (მასწავლებლები და სხვ.). ლექციების შემდეგ ეგნ. ნინოშვილი, სიმ. გუგუნავა, ს. ჭეიშვილი, თ. კიკვიძე, კ. ოცხანელი, ან. ჟორჟოლიანი, მიხ. ცეცხლაძე, კაპ. გოგოლაძე, ივ. გომელაური კითხულობდნენ საკუთარ ნაწარმოებებს"[1].

ოზურგეთში მასწავლებლობის პერიოდში, 1892 წლის ზაფხულში ივანე გომელაურმა თუშეთში იმოგზაურა. იგი გულმოდგინედ ეცნობოდა ადგილობრივ მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებას, იწერდა და აგროვებდა თუშურ ფოლკლორულ მასალებს (შეაგროვა 90-მდე ხალხური ლექსი[2]), და ეწეოდა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას (უკითხავდა მოსახლეობას ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა რჩეულ თხზულებებს). აქედან დაიწყო ახალგაზრდა პედაგოგმა სალიტერატურო-ჟურნალისტური მუშაობაც. გრძნობდა რა, რომ მოსახლეობის გათვითცნობიერება-განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული პოპულარული ლიტერატურის გამოცემასა და მასებში გავრცელებას, ივანე გომელაური თავის პირველ საგაზეთო წერილში („იაფ-ფასიანი წიგნების გამო") სამართლიანად აღნიშნავდა: „თუ გვინდა, რომ ხალხში გავრცელდეს ქართული წიგნები, უნდა მივაწოდოთ იაფ-ფასად ის ნაწარმოები, რაც მას მოსწონს, ანუ მოეწონება. ამისთანად მიმაჩნია, როგორც გამოცდილებამ დამიმტკიცა, ჩვენი საუკეთესო მწერლების ნაწერები. თორემ, ნათარგმნებით და აბდაუბდა ნაწერებით, სრულებით დავუკარგავთ საბოლოოდ კითხვის სურვილს"[3].

ივანე გომელაურის საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობის ფარგლები კიდევ უფრო გაიშალა და გაფართოვდა 1894 წლიდან, როდესაც იგი ოზურგეთში გაეცნო ცნობილ მესამედასელებს: ფ ი ლ ი პ ე მ ა ხ ა რ ა ძ ე ს და ს ი ლ ი ბ ი ს ტ რ ო ჯ ი ბ ლ ა ძ ე ს, რომელთაც ჩამოიტანეს გურიაში მარქსისტული ლიტერატურა (ჟურნ. „Заря", გაზ. „Искра" და სხვ.) და ურჩიეს მას გამოეწერა კ. მარქსის „კაპიტალის" პირველი ტომი და გ. პლეხანოვის „მო-

---

[1] ვ ა ს ო ურ უ შ ა ძ ე, მოგონებანი, გამომცემლობა „ხელოვნება", თბილისი, 1951 წ., გვ. 12—13.

[2] აღნიშნული მასალები დაცულია საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმში. ამ მასალების ნაწილი („ხალხური ლექსი, თუშეთში გაგონილი ივ. გომელაურის მიერ") გამოქვეყნებულია ვ. გ უ ნ ი ა ს „ქართული კალენდრის" სალიტერატურო ნაწილში, 1903 წ., გვ. 382—384.

[3] ი ვ. გ ო მ ე ლ ა უ რ ი, იაფ-ფასიანი წიგნების გამო, გაზ. „ივერია", 1892 წ., № 2, № 253.

ნისტური შეხედულება ისტორიაზე". ივ. გომელაურმა შეიძინა ეს წიგნები და გულმოდგინედ დაეწაფა მათ შესწავლას.

1895 წელს ივანე გომელაურმა შეადგინა და გამოსცა ახალსენაკში საბავშვო ლექსთა კრებული „საჩუქრის" სახელწოდებით[1], რომელიც მიზნად ისახავდა ბავშვთა ზნეობრივი აღზრდისათვის ხელისშეწყობას.

სასწავლო უწყების ოფიციალური წრეების შავრაზმელი ბიუროკრატ-წარმომადგენლები ივანე გომელაურის ასეთ „თავისუფალ მოქმედებას" საზოგადოებასა და პრესაში თავიდანვე ეკვის თვალით შესცქეროდნენ. მათ ვერ მოენელებიათ, რომ ახალგაზრდა ენტუზიასტი-მასწავლებელი ქართველი ბავშვებისა და საზოგადოების ფართო სწავლა-განათლებისა და კულტურული განვითარებისათვის ზრუნავდა. ამას ემატებოდა ივანე გომელაურის სხვა „დანაშაულიც". საქალაქო სკოლის მასწავლებელ სპ. თოფურიასთან ერთად, იგი ხშირად აწყობდა ოზურგეთში ე. წ. სახალხო კითხვებს. 1892 წლის ოქტომბერში ქალთა სკოლის დარბაზში მათ მოაწყეს ორი ასეთი საჯარო კითხვა „ჯადო ფანრის" გამოყენებით. გაზეთ „Новое обозрение"-ს ამავე წლის 2 დეკემბრის ნომერში ამის შესახებ აღნიშნული იყო: „В октябре месяце трудами учителей городского училища было устроено для народа два чтения с туманными картинками: одно на русском языке, а другое — на грузинском. Чтением на русском языке руководил учитель Г. Топурия, а по грузински читал Г. И. Гомелаури. Публика собралось так много, что и довольно обширый зал местного женского училища не мог вместить всех желающих... Было бы желательно, чтобы подобные чтения устраивались возможно чаще"[2].

ამ კორესპონდენციამ იმდენად ააღელვა მეფის ოფიციალური მოხელეები, რომ მეორე დღესვე, 3 დეკემბერს, კავკასიის სასწავლო ოლქის ცნობილი რუსიფიკატორი მზრუნველი კ. იანოვსკი სპეციალური წერილით მოითხოვდა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლათა დირექტორისაგან დაწვრილებით ახსნა-განმარტებას ამ საკითხზე. იგი წერდა: „Покорнейше прошу ваше высокородие довести мне когда и с чьего разрешения были устроены народные чтения в Озургетском городском училище, а так-

---

[1] ივ. გომელაური, საჩუქარი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ახალ-სენაკი, 1895 წ.

[2] გაზეთი „Новое обозрение", 1892 წ., № 3076.

же, какие именно статьи были прочитаны как на русском, так и на грузинском языках и взяты ли они из сочинений, одобренных Учен. Комитетом Министерства Народ. Просвещения, как это требуется по § 5 правил о народных чтениях".

იმავე დღეს ოზურგეთის საქალაქო სკოლის ინსპექტორს აბ. ბეგზადოვს მოუვიდა მზრუნველის სასწრაფო დეპეშა: „На каком основании вы устраиваете народные чтения и то на грузинском языке?".

დაიწყო სასტიკი კვლევა-ძიება. ამოძრავდნენ ყველა ჟურის დამბეზღებლები და ჩინოვნიკი-მოხელეები. სასწავლო ოლქის მესვეურთა ამ ღონისძიებებს ივანე გომელაურის შევიწროება და აშკარა დევნა მოჰყვა შედეგად. მდგომარეობა ისე გამწვავდა, რომ ახალგაზრდა პედაგოგმა გადასწყვიტა დაეტოვებინა გურია და ჩრდილო კავკასიაში გადასულიყო მასწავლებლად. ამის შესახებ 1895 წელს მან წერილობით აცნობა ცნობილ ქართველ პედაგოგს ლუარსაბ ბოცვაძეს (1865—1919 წ.წ.), რომელიც მაშინ კავკავის (ეხლანდელი ქ. ორჯონიკიძე) ქართული სკოლის გამგედ იყო და სთხოვა მას რჩევა-დარიგება და დახმარება. ლ. ბოცვაძემ საპასუხო წერილით აცნობა მას: „შენი სამსახურისათვის მართლა კარგია აქეთ გადმოსვლა, მაგრამ შემდეგ რომ საქართველოს ღრუბელს ვეღარ დაინახავ — ესეც ცხადიაო"[1]. სამშობლოსაგან მოწყვეტის საშიშროებამ ისე იმოქმედა ივ. გომელაურზე, რომ მან სამუდამოდ აიღო ხელი თავის განზრახვაზე და დროებით არჩია ისევ მასწავლებლის „პომოშნიკად" დარჩენილიყო ოზურგეთში.

* * *

ივანე გომელაური ცდილობდა თავი დაეღწია მის ირგვლივ ოზურგეთის სასწავლებელში შექმნილი მდგომარეობისაგან. 1896 წლის სექტემბრის დასაწყისში იგი დაინიშნა ზუგდიდის საქალაქო სკოლის შტატის მასწავლებლად. აქ მას კიდევ უარესი პირობები დახვდა. როგორც ცნობილია, სამეგრელოს სკოლებში იმ ხანებში მთავრობის რუსიფიკატორ მოხელეებისაგან სასტიკად აკრძალული იყო ქართული ენის სწავლება და თუ ვინმე გაბედავდა და ფარულად დაუწყებდა მოსწავლეებს ქართულად მეცადინეობას, მის მიმართ სასტიკ ზომებს იღებდნენ. ამიტომ იყო, რომ სკოლების

---

[1] საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ხელნაწერი № 15.

რევიზორები,— სასწავლო ოლქის მზრუნველიდან დაწყებული სახალხო სკოლების ინსპექტორამდე,— სკოლების დათვალიერების დროს უსათუოდ გაუჩხრეკდნენ ხოლმე მოსწავლეებს წიგნების ჩანთას და თუ იქ აღმოაჩენდნენ ქართულ წიგნებს და, განსაკუთრებით, იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენას“, ან „ბუნების კარს“, მასწავლებელს სასჯელი არ ასცდებოდა. ასეთი პოლიტიკის წყალობით ზუგდიდის საქალაქო სკოლაში ქართული ენის ჭაჭანებაც არ იყო.

ივანე გომელაური ზუგდიდის საქალაქო სასწავლებელში პედაგოგიური მუშაობის დაწყებისთანავე შეუდგა ბრძოლას ქართული ენის უფლების აღდგენისათვის. იგი ქართულად ებაასებოდა მოსწავლეებს. ურჩევდა მათ ქართული წიგნების კითხვას და საკუთარი ბიბლიოთეკიდან აძლევდა წასაკითხავად ქართველი მწერლების თხზულებებს. ქართულად კითხულობდა მოხსენებებს მოსწავლეებისა და საზოგადოებისათვის. იწერდა სკოლისათვის ქართულ წიგნებს და საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილს“. მოსახლეობაში ეწეოდა ქართული კულტურის პროპაგანდას. ამავე ხანებში მან გაზეთ „ივერიაში“ მოათავსა კორესპონდენცია ზუგდიდიდან, რომელშიც აღნიშნავდა, რომ „სამინისტრომ წელს ნება დართო ქუთაისის გუბერნიის ყველა საქალაქო სასწავლებელში გამართონ სახალხო წიგნთსაცავი და ამასთანავე სახალხო კითხვები“, და იქვე დასძინა. რომ: „ამ ახალი საქმის წესიერად მოწყობას უნდა ეცადოს შეძლებისდაგვარად ყველა, ვისაც-კი ჭეშმარიტად შეუგნია როგორც კერძო ადამიანის, აგრეთვე მთელი საზოგადოების გონებრივი ზრდა-განვითარება“[1]. ყველაფერი ეს არაფრად ეჭაშნიკებოდა ცნობილ გაიძვერა თ. აშორდიას, რომელიც მაშინ ზუგდიდის სასწავლებელში ეწეოდა „პედაგოგიურ მოღვაწეობას“. მან დაიწყო მის თანამოაზრეთა ერთი ჯგუფის ამხედრება ივ. გომელაურის წინააღმდეგ[2]. ახალგაზრდა მასწავლებელმა ვერ მოითმინა პირწავარდნილი შავრაზმელის ასეთი მოქმედებანი და დემონსტრატიულად დასტოვა სასწავლებელი.

1897 წლის 31 ივლისის თარიღით მიწერილი წერილით იგი ატყობინებდა თავის მდგომარეობას სასიქადულო ქართველ პედა-

---

[1] „გაზ. „ივერია“, 1897 წ., № 69.

[2] თ. აშოოდიას მაუნებლურ-ბაიძვერული საქმიანობისა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ გაკნილ რუსიფიკატორ კ. ინოვსკისთან და მათ წინააღმდეგ ქართველი მოღვაწეების: დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ცხვედაძისა და სხვ. ბრძოლის შესახებ იხ. ტ რ ო ფ. ხ უ ნ დ ა ძ ი ს შრომაში „ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (80-იანი წლები)“. დაწყებითი და საშუალო სკოლის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა, თბილისი, 1940 წ., გვ. 33—54 და 96—135.

გოგს იაკობ ვოგეგბაშვილს: „თითქმის შვიდი წელიწადი ვმასწავლებლობდი საქალაქო სასწავლებლებში,— ჯერ ოზურგეთში და შემდეგ ზუგდიდში,— მაგრამ სხვადასხვა. მიზეზების გამო იძულებული ვ-ყავი თავი დამენებებინა“, ახლა „ტირძნისში მგზავნიან“, მაგრამ იქ „მასწავლებლობა დიდად სამძიმოდ მიმაჩნია ჩემთვის და ნაკლებად სასარგებლო საზოგადოდ სოფლისათვის. ამ გარემოებამ მაიძულა შეგაწუხოთ თქვენ და გთხოვოთ: თუ სათავად-აზნაურო სასწავლებელში სადმე ადგილი გქონდეთ... მომცეთ და საუკუნოდ დამავალოთ ჩვენს სასწავლებელში გულმოდგინე სამსახური“[1]. ამასვე სთხოვდა იგი თავისი წერილებით თბილისის ქართული სკოლის მასწავლებლებსაც, მაგრამ იმდროულად, უადგილობის გამო, ივ. გომელაურის სურვილის დაკმაყოფილება შეუძლებელი შეიქნა.

იმ ხანებში გაიხსნა საქართველოში ე. წ. მეორეკლასიანი სამრევლო სკოლები, რომელთაც უნდა მოემზადებინათ მასწავლებლები წერა-კითხვის შემსწავლელი სკოლებისათვის. ივ. გომელაურმა განცხადებით მიმართა თბილისის გუბერნიის სამრევლო სკოლების მეთვალყურეს ნიკ. ტატიშვილს (ტატიევს) და სთხოვა მას დაენიშნა მასწავლებლად ამ ტიპის ერთ-ერთ მახლობელ სკოლაში. ნ. ტატიშვილმა ივ. გომელაური, როგორც ზემოთ მოყვანილი წერილიდანაც ჩანს, გორის მაზრის სოფელ ტირძნისის მეორეკლასიან სკოლაში გაგზავნა უფროს მასწავლებლად.

1897 წლის ზაფხულის თვეებში სასულიერო უწყებამ სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის თბილისში მოაწყო კურსები პედაგოგიურ-სასკოლო და სასოფლო-სამეურნეო საკითხების შესასწავლად. ივ. გომელაური ესწრებოდა ამ კურსებს (ადრე, 1891 წლის ზაფხულში იგი, ლუარსაბ ბოცვაძესთან ერთად, იყო ქუთაისში გამართული ხელგარჯილობის შემსწავლელი კურსების მსმენელიც) და მისი მუშაობა ფართოდ გააცნო გაზ. „ივერიის“ მკითხველებს სტატიით „საზაფხულო პედაგოგიური კურსები“[2].

1897 წლის შემოდგომიდან შეუდგა ივ. გომელაური პედაგოგიურ მუშაობას ტირძნისის სკოლაში. მას მხოლოდ ერთადერთი სურვილი ამოძრავებდა, როგორმე ფართოდ გაეშალა პედაგოგიურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა და რაც შეიძლება მეტი შედეგი მოეტანა ახალგაზრდობისათვის. მაგრამ მის ამ ოცნებას იმთავითვე

---

[1] საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ფონდი *A*: 1745/9.

[2] ი ვ. გ-რ ი [ივ. გომელაური], საზაფხულო პედაგოგიური კურსები, გაზ. „ივერია“, 1897 წ., №№ 142, 145 და 153.

შეეკვეცა ფრთები, რადგან ტირძნისის სკოლის ბატონ-პატრონად მას დახვდა ხანში შესული მღვდელი ს. კასრაძე, ხოლო სკოლის დამაარსებლად და მზრუნველად ამავე სოფლის შეძლებული მემამულე და გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილე ივ. სულხანიშვილი, რომლებიც ნაკლებად ზრუნავდნენ სკოლის კეთილმოწყობისა და მისი მუშაობის ნაყოფიერად წარმართვისათვის. ამავე დროს მღვდელი ს. კასრაძე მეტად უხეშად და სასტიკად ეპყრობოდა მოსწავლეებს. ივ. გომელაურმა აქაც ვერ მოითმინა სკოლაში შექმნილი და გამეფებული ანტიპედაგოგიური რეჟიმი და მდგომარეობა და ყველაფერი დაწვრილებით აცნობა ნ. ტატიშვილს. შედეგი არ ჩანდა.

ივანე გომელაურმა ყურადღება მიაქცია ტირძნისის საზოგადოების მდგომარეობასაც. გაზეთ „ივერიაში" მოთავსებული კორესპონდენციით[1], რომელიც გაზეთმა „კავკაზშაც" გადაბეჭდა, იგი განსაკუთრებით სასტიკად შეებრძოლა სოფლად გამეფებულ მევახშეობას. პირადად მოაწყო ადგილობრივად ქართული წიგნების ბიბლიოთეკა მოსწავლეებისათვის და სამეტეოროლოგიო სადგური.

1898 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში ივანე გომელაურს აუსრულდა სურვილი, მან მიიღო თბილისის ქართულ გიმნაზიაში აღმზრდელ-მასწავლებლად დანიშვნის ცნობა. საჭირო იყო ტირძნისის სამრევლო სასწავლებლებიდან განთავისუფლება. ივ. გომელაურმა შესაფერისი თხოვნით მიმართა თბილისის გუბერნიის სამრევლო სკოლათა მეთვალყურეს ნ. ტატიშვილს, რომელმაც სასწავლო წლის შუა პერიოდში მისი განთავისუფლება არ ცნო მიზანშეწონილად. ივანე გომელაური ისე იყო დაინტერესებული თბილისის ქართულ გიმნაზიაში გადასვლით, რომ ნ. ტატიშვილის განკარგულებას ყურადღება არ მიაქცია, შეკრა ბარგი და თვითნებურად გამოსწია თბილისისაკენ.

ივანე გომელაური თბილისის ქართულ გიმნაზიაში მოწყობის პირველ დღეებიდანვე ენერგიულად შეუდგა ბავშვთა აღმზრდელი-მასწავლებლის მოვალეობის პირნათლად შესრულებას. ეს არც ისე ადვილი საქმე იყო, რადგანაც აღმზრდელს მოსწავლეებთან საგნის სწავლება არ უხდებოდა და, მაშასადამე, მას მხოლოდ აღმზრდელობითი მუშაობა უნდა ეწარმოებინა მათში. ივ. გომელაური მიუხედავად ამისა, გიმნაზიის მოსწავლეთა უახლოესი მეგობარი შეიქნა.

---

[1] ი. გ — რ ი [ივ. გომელაური], ტირძნისი (მევახშეობის შესახებ სოფლად), გაზ. „ივერია", 1897 წ., № 259.

ამავე დროს იგი უსასყიდლოდ ასწავლიდა მუშათა საკვირაო სკოლაში, რომელიც ვერის ეკლესიასთან იყო გამართული (სადაც ამჟამად ს. მ. კიროვის სახელობის პარკია), იქვე მართავდა საჯარო კითხვებს „ჯადო ფარნის“ გამოყენებით, ღებულობდა მონაწილეობას წარმოდგენებში ე. წ. ავჭალის აუდიტორიაში. გარდა ამისა, სილ. ჯიბლაძის დავალებით, აგრეთვე უსასყიდლოდ ასწავლიდა სასკოლო საგნებს რკინიგზის მუშათა ერთ ჯგუფს, რომელშიც შედიოდნენ: ვ ა ნ ო ს ტ უ რ უ ა, მ ი ხ ა ბ ო ჭ ო რ ი ძ ე და სხვები.

თბილისში საცხოვრებლად გადმოსვლამ ხელი შეუწყო ივ. გომელაურის ლიტერატურულ-პედაგოგიური მუშაობის გაფართოებას. ახლა უფრო მეტი შესაძლებლობა მიეცა მას ქართულ პრესაში თანამშრომლობისათვის, მაგრამ სწორედ ეს შეიქმნა მიზეზი, რომ იგი იძულებული გახდა მალე დაეტოვებინა მისი საყვარელი თბილისი...

თბილისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელმა ალ. ნათაძემ 1897 წელს გამოსცა საქართველოს სკოლებისათვის შედგენილი ანბანი და ანბანის შემდეგ საკითხაკი წიგნი—„ბავშვების მოკეთე“-ს სახელწოდებით. ი. გომელაურს ეგონა, რომ ალ. ნათაძეს განხრახვა ჰქონდა სკოლებიდან განედევნა იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენა“ და მის ნაცვლად თავისი სახელმძღვანელო დაეტკვიდრებინა. (რასაკვირველია, „ბავშვების მოკეთე“ ვერ შეედრებოდა „დედა-ენას“ და თავიდანვე გარიყული რჩებოდა). ამიტომ ივანე გომელაურმა სახელმძღვანელოს გამოსვლისთანავე უძღვნა მას დაწვრილებითი, მაგრამ რამდენადმე მკაცრი რეცენზია. 1897 წელს გაზეთ„ ივერიაში“ იგი სამართლიანად წერდა: „მწერლობაში საზოგადოდ და სახელმძღვანელოებში კერძოდ ენის სიფაქიზეს ან წმინდა ლიტერატურულს, ან წმინდა ხალხურ კილოს—უპირველესი ადგილთაგანი უჭირავს, ვინაიდან ენა არის ის მადლი, რომლის შემწეობითაც კაცი ეჩვევა აზროვნებას. ენის სისპეტაკისაგან არის დამოკიდებული აზროვნების სისპეტაკეც. თუ ასეთი მნიშვნელობა აქვს ენას საზოგადოდ, მაშინ იმისი ასეთი მნიშვნელობა ყმაწვილებისათვის შედგენილს სახელმძღვანელოში უფრო ორ-სამკეცდება, რადგანაც ამ სახელმძღვანელოს ენას ყმაწვილების სიავ-კარგეზედ დიდი გავლენა აქვს. ამიტომ სახელმძღვანელოს შემდგენელი მოვალეა ზნეობრივად, არამც თუ თვითონ სწეროს ფაქიზის ლიტერატურისა და ხალხის ენით, არამედ ლიტერატურულ ნაწარმოებიდან, პროზა იქნება თუ პოეზია, და ხალხის ნაწარმოებიდან ისეთი მასალა უნდა ამოიღოს, რომელიც ამ ძირითადს მოთხოვნებს სავსებით აკმაყოფილებს“[1]. ამ სახელმძღვანელო დებულების

[1] ი. გ—რ ი [ი. გომელაური], ალ. ნათაძის „ბავშვის მოკეთის შესახებ“, გაზ. „ივერია“, 1897 წ., № 188.

საფუძველზე ივ. გომელაური დაწერილებით არჩევდა ალ. ნათაძის სახელმძღვანელოს, მიუთითებდა იმ ძირითად მცდარ და უხერხულ გამოთქმებზე, რომლებიც სახელმძღვანელოში გვხვდებოდა და ასკვნიდა: ახალი სახელმძღვანელო ენის მხრივ უვარგისია და დედა-ენას ვერ შეასწავლის ახალგაზრდობას".

ასეთივე შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა ალ. ნათაძის „ბავშვების მოკეთის", როგორც სუსტი სახელმძღვანელოს წინააღმდეგ ლუარსაბ ბოცვაძეც[1], მაგრამ მისი ავტორი მაინც არ ცხრებოდა. იგი თავისი საპასუხო წერილებით[2] არა მარტო კრიტიკოსებს ესხმოდა თავს, არამედ იაკობ გოგებაშვილის[3] „დედა-ენასაც", რაც კიდევ უფრო აღელვებდა სამართლიანობისათვის მებრძოლ პედაგოგებს. თავის მეორე წერილში სათაურით „კიდევ „ბავშვების მოკეთის" გამო", ივ. გომელაური ალ. ნათაძის წიგნიდან მრავალი მაგალითებით ააშკარავებდა ამ სახელმძღვანელოს დეფექტებს და წერდა: „ბ-ნ ნათაძისთანა „განათლებულმა" კაცმა, რაც უნდა გვკადროს უბრალო მომაკვდავ მასწავლებლებს არ გვეწყინება და არც გვეტკინება. მაგრამ „ბავშვების მოკეთის" ვითომდა ავტორისათვის თავისი წიგნაკის ქება და „დედა-ენის" ძაგება კი ძალიანა გვწყინს და აი რადა: შეიძლება „დედა-ენასაც", როგორც ყოველსავე კაცის ნამოქმედარს, ჰქონდეს ნაკლოვანება, მაგრამ „ბავშვების მოკეთეზედ" კი იმდენად მაღლა დგას, რომ ამ სახელმძღვანელოების შედარებაც კი „დედა-ენის" დამცირებად მიმაჩნია"[4].

როდესაც იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოს წინააღმდეგ ალ. ნათაძის ბრძოლამ ჩვენს პრესაში მის „ბავშვების მოკეთეს" გამარჯვება ვერ მოუპოვა, ახლა იგი მოწინავე პედაგოგისათვის შეუფერებელ გზას დაადგა. კავკასიის ოლქის სასკოლო ადმინისტრაციის ძალების გამოყენებით შეეცადა თავისი სახელმძღვანელოს გავრცელებას. ამ მიზნით ალ. ნათაძემ თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორ ბოგდანოვსა და ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლათა დირექტორ ლევიცკის საშუალებით, სოფლის სკოლების მასწავლებლებს დაუგზავნა რუსულ-ქართული განცხადე-

---

[1] ლ. ბ ო ც ვ ა ძ ი ს წერილები: მცირე შენიშვნა, გაზ. „ივერია", 1897 წ., № 153 და კიდევ „ბავშვების მოკეთის" გამო, „ივერია", 1897 წ., № 216.

[2] ა ლ. ნ ა თ ა ძ ი ს წერილები: პასუხად ი. გ—ს, „ივერია", 1897 წ., № 214 და წერილი რედაქციის მიმართ, „ივერია", 1897 წ., № 181.

[3] ი ა კ ო ბ გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ მ ა რამდენიმე სტატია უძღვნა ალ. ნათაძის „ბავშვების მოკეთეს" და მის ავტორს. იხ. ნ ა ც ნ ო ბ ი [ი. გოგებაშვილი]. სამახარებლო ერგება, თუ არა? (ვუძღვნი „კვალის" რედაქციასა) გაზ. „ივერია", 1897 წ., № 2 და ი. გოგებაშვილი, სწორე გზა, გაზ. „ივერია", 1897 წ., № 104.

[4] ი. გ-რი, კიდევ „ბავშვების მოკეთეს" შესახებ, გაზ. „ივერია", 1897 წ., № 242.

ბა, რომელშიც მიუთითებდა „ბავშვების მოკეთის“ უპირატესობაზე „დედა-ენასთან“ შედარებით და ურჩევდა სახელმძღვანელოდ მის გამოყენებას[1].

ალ. ნათაძის ასეთმა საქციელმა სასტიკად ააღელვა მოწინავე ქართველი პედაგოგები. ივანე გომელაურმა თავის სტატიაში „ახალი სენი ჩვენს პედაგოგიაში“, რომელშიც ეკამათება და აცამტვერებს ალ. ნათაძის უნიათო რეკლამას, ყველასათვის დამაჯერებლად გამოარკვია ალ. ნათაძის სახელმძღვანელოს შინაარსობრივი სიღარიბე და ის ზედმეტი ხარჯებიც, რომელსაც მისი სკოლებში გამოყენება იწვევდა. იგი წერდა: „აი ამოდენა ხარჯს ადებს სკოლასა და მშობლებს ჩვენი ქველმოქმედი პედაგოგი თავისი წიგნაკის სიღატაკით. „დედა-ენას“ — კი ბავშვი იძენს 35—40 კაპ. და იგი ყოფნის მას საკითხავ წიგნად თითქმის მთელი ორი წელიწადი, იპყრობს სრულ ქართულ დედანს, მრავალ სადედნო სურათებით, მთავარ მოთხრობებით ძველი და ახალი ისტორიიდან და სხვ... ერთი სიტყვით, შეიცავს ყველა იმას, რაც საჭიროა ყმაწვილებისათვის თითქმის ორი წლის განმავლობაში. და ამის გამო ერთი ორად და სამად უფრო იაფად უჯდება, ვიდრე ფასდაკლებული ვითომ „მოკეთე“, და ქვევით ასკვნის: „ახლა ერთი ვიკითხოთ, მაშ რა ყოფილა ის ორენოვანი განცხადება, რომელიც გაბედნიერებას გვიქადის?“ ის ყოფილა და არის თავის ქების, ანუ თავის ტეხის ბარათი. მედუქნური რეკლამა, დამპალ-დუმპალი საქონლის „რასპროდაჟის“ განცხადების ფურცლები, თბილისის ქუჩებზე რომ დაატარებენ ხოლმე „с почтением“. აი რა ჯურის კაცთან გვაქვს, საქმე, აი ვინ ეპოტინება ქართველი ახალგაზრდობის წინამძღოლობას, მათი გონება-აზროვნების ხელმძღვანელობას“[2].

ივანე გომელაურის ამ უკანასკნელმა წერილმა დიდად აღაშფოფა ალ. ნათაძე, რომელმაც წერილის ავტორი საამხანაგო სასამართლოში გამოიწვია. საქმეში ჩაერია ქართული გიმნაზიის მაშინდელი ინსპექტორი ექვთიმე თაყაიშვილი. ივანე გომელაურმა საამხანაგო სასამართლოზე უარი განაცხადა. გამოწვევაზე მან უპასუხა: „რა შუაშია აქ სასამართლო და ისიც ამხანაგური? მე მას ბრალი დავდე საჯაროდ გაზეთში. მას შეუძლია და ვალდებულიც არის საჯაროდვე იმართლოს თავი“. საამხანაგო სასამართლო მაინც შედგა, რომელსაც ცნობილი პედაგოგი გიორგი იოსელიანი (წყალტუ-

---

[1] გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1893 წ., 491.

[2] ივ. გ ო მ ე ლ ა უ რ ი, ახალი სენი ჩვენს პედაგოგიაში, ჟურნ. „კვალი“, 1898 წ., № 22, გვ. 383—384.

პოელი) თავმჯდომარეობდა, მაგრამ ვერვითარი დადგენილება ვერ გამოიტანა. ასე დაუმთავრებელი დარჩა ეს დავა...

გავიდა ხანი. იმავე სასწავლო წლის ბოლოს გიმნაზიის ინსპექტორმა ექვთიმე თაყაიშვილმა ოფიციალურ საუბარში ურჩია ივ. გომელაურს ძველი სენაკის ქართულ სკოლაში გადასულიყო მასწავლებლად. ივ. გომელაურმა იაკობ გოგებაშვილთან თათბირის შემდეგ გადასწყვიტა ძველი სენაკის სკოლაში გადასვლა შტატის მასწავლებლად.

1898 წლის შემოდგომიდან ივანე გომელაური ძველი სენაკის ქართულ სკოლაში შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას[1]. ეს სასწავლებელი (დაარსებულ იქნა 1884 წელს) ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის (დაარსებულ იქნა 1879 წ.) განყოფილებას წარმოადგენდა და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობას ექვემდებარებოდა[2]. იმ პერიოდში ამ სკოლის ინსპექტორად იყო ცნობილი პედაგოგი-მწერალი სამსონ ყიფიანი.

სენაკის სკოლაში ივ. გომელაური დიდხანს არ დარჩენილა. სკოლის ინსპექტორთან უთანხმოების გამო, მან 1899 წლის სექტემბრიდან დასტოვა სენაკი და ისევ დედაქალაქს დაუბრუნდა. ივ. გომელაურმა იმავე წლიდან დაიწყო მუშაობა ქართულ კათოლიკეთა ორკლასიან სკოლაში. აქ იგი გაეცნო და დაუახლოვდა შემდეგში ჩვენს საამაყო კომპოზიტორს — ზაქარია ფალიაშვილს, რომელიც ამ სკოლაში გალობას ასწავლიდა. ივ. გომელაური დიდად აფასებდა ფალიაშვილის მუსიკალურ ნიჭს და უნარს. თავის რეცენზიაში „ზ. ფალიაშვილის კონცერტის“ შესახებს, იგი წერდა: „მე დარწმუნებული ვარ ფალიაშვილის ხორო რომ ქართველებისაგან შედგებოდეს, მაშინ ქართული სიმღერები ერთი ათად და ოცად უკეთესი გამოვიდოდა. ეუსურვოთ ბ-ნ ფალიაშვილს უმაღლესი სწავლის მიღება, ქართული სიმღერების შესწავლა და ქართული ხოროთი მისი განმტკიცება თავის და ქვეყნის

---

[1] ძველი სენაკის ქართულ სკოლაში ივ. გომელაურის პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ იხ. პროფ. აკაკი ფაღავას წერილი, სპეტაკი აღმხრდელი, გაზ. „სახალხო განათლება“, 1948 წ., № 49.

[2] სკოლა დაარსებული იქნა დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ივანე მაჩაბლის, იაკობ გოგებაშვილისა და ნიკო ცხვედაძის ინიციატივით. სკოლის საზეიმო გახსნას, როგორც მისი პირველი გამგე სამსონ ყიფიანი გადმოგვცემს, პირადად დაესწრნენ: დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ი. მაჩაბელი, რ. ერისთავი და სხვა მოღვაწეები (იხ. ტრ. ხუნდაძის ნაშრომი: „ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში (80-იანი წლები)“, თბილისი, 1940 წ., გვ. 122.

სასახელოდ"[1]. ივანე გომელაურმა, როგორც იაკობ გოგებაშვილთან დაახლოვებულმა პირმა, მცირე როლი როდი შეასრულა ზ. ფალიაშვილისათვის მატერიალური დახმარების აღმოჩენაში უმაღლესი მუსიკალური განათლების მისაღებად.

ივ. გომელაურს დიდი ხანი არ უმუშავნია კათოლიკეთა სკოლაში, რადგან არ იყო კმაყოფილი ასეთი ტიპის სასწავლებელში მუშაობით. თავის საინტერესო მემუარულ ნაშრომში „ჩემი თავგადასავალი და მოგონებანი" იგი ამ სკოლის შესახებ წერს: „თუმცა აქაც სრული თავისუფლება მქონდა სწავლების საქმეში, რასაც ყოველთვის დიდად ვაფასებდი, მაგრამ მაინც კმაყოფილი არ ვიყავი, რადგანაც სკოლას საკმლის სუნი ასდიოდა"[2].

1900 წლის გაზაფხულზე ივ. გომელაურის პირადი მეგობარი — გამოცდილი პედაგოგი — არსენ მამულაიშვილი (ბელეტრისტი ლალიონი) იძულებული შეიქნა დაეტოვებინა თბილისის ქართული გიმნაზია და სხვაგან დაეწყო პედაგოგიური სამუშაოს ძებნა. არსენ მამულაიშვილმა და ივ. გომელაურმა გადაწყვიტეს დაეარსებიათ ქ. თბილისში კერძო სასწავლებელი. იაკობ გოგებაშვილის რჩევითა და მისი უშუალო კონსულტაციით შეადგინეს ამ სასწავლებლის პროგრამები (სათანადო განმარტებითი ბარათით) და წარუდგინეს იგი დასამტკიცებლად თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლათა დირექტორს. მალე ჟურნ. „კვალში" გამოქვეყნდა ოფიციალური განცხადება „სკოლა და პანსიონი ა. ა. მამულაიშვილისა ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიის, რეალურ, კომერციულ და სხვა სასწავლებლების მოსამზადებელ და პირველ კლასებისათვის. ყმაწვილების მიღება — 30 აგვისტოდან"[3]. მოსწავლეები ამ კერძო სკოლაში ძალზე ცოტანი შეგროვდნენ, ისინიც უმეტესად ორივე მასწავლებლის ნათესავთა და მეგობართა ოჯახებიდან. ასეთ სკოლას მარტო არს. მამულაიშვილი გაუძღვებოდა ადვილად. ამიტომ ი. გომელაურს პირველ წელიწადს არ შეუწყვეტია კათოლიკების სკოლაში მასწავლებლობა (მხოლოდ საღამოს საათებში ეხმარებოდა არს. მამულაიშვილს).

ამ პერიოდში ივ. გომელაური კიდევ უფრო დაუახლოვდა „მესამედასელებს", ჟურნ. „კვალს" და გახდა მისი მუდმივი თანამშრომელი. ეს შეუნიშნავი არ დარჩათ მეფის „ოხრანკის" აგენტებს და

---

[1] ი ვ. გ ო მ ე ლ ა უ რ ი, ზაქარია ფალიაშვილის ქართული კონცერტი, ჟურნ. „კვალი", 1900 წ., № 8, გვ. 130.

[2] ი ვ. გ ო მ ე ლ ა უ რ ი, ჩემი თავგადასავალი და მოგონებანი, რვეული მეორე, გვ. 86 (დაცულია საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდში).

[3] ჟურნ. „კვალი", 1900 წ., № 35, გვ. 564.

1901 წელს შემოდგომის ერთ ღამეს მას თავს დაესხნენ ქანდარმები, საფუძვლიანად გაჩხრიკეს მისი ბინა და თან წაიღეს ყველა ხელნაწერი ქაღალდები. ივ. გომელაური გადარჩა დატუსაღებას.

900-იანი წლები ივანე გომელაურის ჟურნალისტიკური და სალიტერატურო-პედაგოგიური მუშაობის აღმავლობის პერიოდი იყო. ამ წლებში გამოქვეყნდა მისი მნიშვნელოვანი პედაგოგიურ-მეთოდური წერილები.

ივანე გომელაური აქტიურად გამოექომაგა ე. წ. მუშათა საკვირაო სკოლებს და მოწინავე ქართველი მასწავლებლობისაგან მათთვის ენერგიული დახმარება მოითხოვა. თავის წერილში „ჩვენი საკვირაო სკოლები“, იგი ბრალს სდებდა მასწავლებელთა ერთ ნაწილს, რომელიც „ბულვარის ტკეპნას ამჯობინებს მუშა-მოსამსახურეებთან მეცადინეობას“ და ასკვნიდა, რომ „ჩვენი საკვირაო სკოლები თითქმის უმასწავლებლოდ არიან და შეიძლება კიდეც განისვენონ წიაღსა შინა აბრამისასა, თუ თბილისის ქართველმა მასწავლებლებმა ამ სკოლის მიმართ გულგრილობას თავი არ დაანებეს“[1].

გამოცდილი მასწავლებელი მიესალმა თბილისში შვიდკლასიანი კომერციული სასწავლებლის დაარსებას და მოუწოდა საზოგადოებას: „შევეცადოთ, რომ სასწავლებელში რაც შეიძლება მეტი ქართველობა შევიდეს, რათა ქართულმა ენამ ჩვენი ყმაწვილების არყოფნით არ დაჰკარგოს ის საპატიო ალაგი, რომელიც მისთვის პროგრამას ურგუნებია“[2].

ივანე გომელაურს ამ პერიოდში მეორედ მოუხდა ჩვენს სკოლებში დედაენის უფლებათა და ამასთან დაკავშირებით იაკობ გოგებაშვილის სწორუპოვარი სახელმძღვანელოების საჯაროდ დაცვა.

როგორც ცნობილია, ი. გოგებაშვილის „ბუნების კარის“ საპირისპიროდ 1885 წელს ახალგაზრდა მასწავლებელმა მიხ. ნასიძემ შეადგინა სახელმძღვანელო „ქართული ქრესტომათიის“ სახელწოდებით. ეს სახელმძღვანელო რომ „ბუნების კარს“ უპირისპირდებოდა, აშკარად ჩანდა შემდგენელის მიერ წიგნისათვის დართული ბოლოსიტყვაობიდან, რომელშიც იგი წერდა: „ყავის მოყვანა“, „დედამიწის ტრიალი“ და „სირაქლემის ცხოვრება“ (ეს სათაურები ამოწერილია „ბუნების კარიდან“— ვ. ჭ.) ძალიან სასარგებლოა, რომ კაცმა იცოდეს, მაგრამ ამგვარი სტატიებით ენა ვერ შეისწავლების“. ი. გოგებაშვილის „ბუნების კარის“ წინააღმდეგ ბრძოლის განზრახვა მიხ. ნასიძემ კიდევ უფრო გამოააშკარავა, როდესაც კანცელარული მიწერ-მო-

---

[1] ჟურნ. „კვალი“, 1900 წ., № 40, გვ. 638.

[2] ი ვ. გ ო მ ე ლ ა უ რ ი, ახალი სასწავლებელი თბილისში, ჟურნ. „კვალი“ ,1900 წ., № 18, გვ. 256.

წერით განიზრახა „ბუნების კარის“ დამარცხება და მის ნაცვლად „ქართული ქრესტომათიის“ შემოღება არა მარტო საქალაქო სკოლებში, არამედ სოფლის სკოლებსა და გიმნაზიებშიაც-კი. თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორის სახელზე დაწერილს განცხადებაში ის ცილს სწამებდა ი. გოგებაშვილს ენის უცოდინარობაში და წერდა: „В городских училищах язык должен изучаться на образцах народной изящной литературы, а не на компилятивных и подчас неудачных со стороны правильности языка, переводных статьях, которыми так богата книга „Бунебис Кари“[1].

როგორც ვხედავთ, აქ იმდენად შეჯიბრება და მეტოქეობა კი არ იყო, რამდენადაც „ბუნების კარის“ ავტორის დაბეზღება იანოვსკისთან, რომელსაც ეს განცხადება ინსტიტუტის დირექტორმა წარუდგინა. თითქოს პირწავარდნილ რუსიფიკატორ იანოვსკის უფრო შესტკიოდა გული ქართული ენისა და ქართველი ბავშვებისათვის, ვიდრე იაკობ გოგებაშვილს, რომელიც 60-იანი წლებიდან თავს ევლებოდა ქართულ სკოლას და ქართულ ენასაც. კიდევ კარგი, რომ კავკასიის სასწავლო ოლქის მიერ წარდგენილი მიხ. ნასიძის წიგნი არ მოიწონა და არ დაამტკიცა მეფის რუსეთის განათლების სამინისტროს სასწავლო კომიტეტმა, თორემ სასწავლო ოლქის ადგილობრივი მოხელეები ენერგიულად შეეცდებოდნენ ი. გოგებაშვილის „ბუნების კარის“ სრულიად განდევნას სკოლებიდან.

გამოჩნდა ი. გოგებაშვილის „ბუნების კარის“ მეორე მეტოქეც. თბილისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელმა არისტო ქუთათელაძემ 1897 წელს გამოსცა სახელმძღვანელო „წყარო“, რომელიც თავის დროზე უვარგისად იყო აღიარებული, მაგრამ ბოლოს მაინც მოწონებულ იქნა სასწავლო ოლქის მიერ.

1898 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა რეცენზია არ. ქუთათელაძის სახელმძღვანელოს შესახებ „მე გახლავარის“ ხელის მოწერით. როგორც გამოირკვა ეს „მე გახლავარ“ ჩვენთვის ცნობილი მიხ. ნასიძე იყო[2]. რეცენზენტი, რომლის „ქართული ქრესტომათია“ თავის დროზე სასტიკად დამარცხდა, ახლა გვერდში ამოუდგა არ. ქუთათელაძეს და ამ გზით ერთხელ კიდევ შეეცადა ი. გოგებაშვილის „ბუნების კარის“ ავტორიტეტის შელახვას და მის ნაცვლად სხვა სახელმძღვანელოს შემოღებას ჩვენს სკოლებში. იგი ქება-დი-

---

[1] საქ. სსრ ცენტრ. არქივის ფ. 107, სერია № 62.

[2] „ქართული წიგნი“, ბიბლიოგრაფია, ტომი I, 1629—1920, თბილისი, 1941 წ., გვ. 499.

დებით ამკობდა არ. ქუთათელაძის „წყაროს“ და წერდა: „ამჟამად ჩვენს წინა დევს მშვენიერი კრებული, შედგენილი არ. ქუთათელაძის მიერ—„წყარო“, რომელიც შეიცავს მრავალფეროვან მასალას. აქ არის ყველა ჩვეულებრივი განყოფილება სალიტერატურო ქრესტომათიისა. მასალა განსჯითა და დაკვირვებით არის შემოტანილი. მრავალი იგავია ეზოპისა. „წყარო“ ახალ მასალასაც იძლევა, რომელიც ჯერ ამგვარ წიგნებში არ შეგვხვედრია; ჩვენ ვამბობთ იმ წერილებზე, რომელსაც სახელად ეწოდება: „სიონი“, „მცხეთა“, „გელათი“, „ბოდბე“, „სამთავრო“, „ზედაზენი“, „ალავერდის საყდარი“, „იყალთო“, „ქუთაისი“, „ბედია“, „ილორი“, „ოლთისი“, „თელავი“, „გორი“, „აწყური“, „ახალციხე“ და სხვები. ამ მასალას დიდი სიამოვნებით წაიკითხავენ ულვაშებიანი და ლეჩაქ-კავებიანი ბავშვებიც“[1].

სულ სხვანაირად შეაფასა ივ. გომელაურმა არისტო ქუთათელაძის „წყარო“. იგი ამტკიცებდა, რომ „წიგნი უსისტემოდ არის შედგენილი, ენა საკმარისად მოიკოქლებს, ჩართული აქვს ისეთი ცნობები, რომელიც ამისთანა წიგნში სულ მეტია და გამოშვებულია ის, რაც აუცილებლად უნდა ყოფილიყო... პედაგოგიური პრინციპი მოითხოვს — გადადი სწავლებაში ნაცნობიდან უცნობზე, ახლობელიდან შორეულზე. ჩვენი პედაგოგი კი ამ პრინციპის წინააღმდეგ იქცევა: მცენარეებში ჯერ აწერილი აქვს ფინიკის ხე, ბანანი, პურის ხე, ხოლო შემდეგ — ვაზი, სელი და სხვ. ასევე იქცევა ფრინველებისა და ცხოველების აღწერაში: ჯერ სირაქლემა, მერე არწივი და ყორანი; ჯერ ლომი და ფოცხვერი, შემდეგ ზღარბი, ციყვი და სხვ... დიდ სათაურ „ცხოველების“ შემდეგ აღწერილია მხოლოდ „მაიმუნი“, ფრინველებში ჩაჩხირულია ღამურა; დატვირთული აქლემი გარეულ ცხოველებშია მოქცეული და სხვ... ისტორიის გაზლაპრება კარგი არ არის, მაგრამ ზღაპრებს თავის თავად საკმაო მნიშვნელობა აქვს ამისთანა წიგნში. ბ. ქუთათელაძესაც ბლომად ჩაურთავს, მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ ერთიორის გარდა სრულიად ანტიპედაგოგიურია. ნუ თუ ჩვენს პედაგოგს არ სჯერა, რომ... უაზრო, ცხრაადლიანი, თორმეტთავიანი და ოცდაოთხყურიანი დევების ზღაპრების დრო წავიდა... ისინი უმახინჯებენ ყმაწვილებს ფანტაზიას და ამიტომ ერთხელ და სამუდამოდ გამოძევებული უნდა იყოს ყოველ სახელმძღვანელო წიგნიდან. ისტორიის განყოფილებაში ქართველი ხალხის, მისი კულტურისა და ცხოვრების შესახებ თითქმის არაფერია, სამაგიეროდ,

---

[1] მ ე გ ა ხ ლ ა ვ ა რ [მიხ. ნასიძე], არისტო ქუთათელაძის „წყარო“ (რეცენზია), გაზეთი „ივერია“, 1898 წ., № 59.

მეტად ვრცლად არის მოთხრობილი ომებისა და ეკლესიის აშენების ამბავი"[1].

შემდეგ რეცენზენტი მიუთითებდა იმაზე, რომ „წყარო" გადატვირთულია წმინდანების „ქრონოლოგიით საკუთარ ბიოგრაფიებით. ნუ თუ პატივცემულ პედაგოგს ჰგონია, რომ სადმე ყმაწვილები დაიხსომებენ — რომელ დღეს გარდაიცვალა ესა თუ ის წმინდანი, ან რომელ დღესაა მისი ხსენება. ან კიდევ, თუნდა გაიზეპიროს, ბევრს რასმეს შესძენს მათ გონება-გრძნობას?! ყმაწვილის მოთხოვნილების ასე აბუჩად აგდება, ვერაფერი თავდებია თვით წიგნის რიგიანობისა!" ივ. გომელაურის საბოლოო დასკვნით არ. ქუთათელაძის სახელმძღვანელო „წყარო" არამც თუ გაუწევდა მეტოქეობას და შესცვლიდა იაკობ გოგებაშვილის სახელოვან „ბუნების კარს", არამედ იმდენად დაბალი ღირსების სასწავლო მასალების შემცველი იყო, ამასთან ეს მასალები იმდენად არაპედაგოგიურად იყო დალაგებული, რომ ეს სახელმძღვანელო უდიდეს ზიანს ზიაყენებდა ჩვენს სკოლებს, ქართველ მოსწავლეებს და ქართულ ენასაც. რასაკვირველია, ივანე გომელაურის რეცენზიაში გამოთქმული ზოგი მოსაზრება არისტო ქუთათელაძის სახელმძღვანელოს შესახებ აშკარად გადაჭარბებული იყო, რაც იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარის" ღირსების დაცვის კეთილშობილური გრძნობით იყო გამოწვეული. სხვანაირად შეუძლებელია აიხსნას ის ერთგვარი შეუფასებლობა, რასაც რეცენზენტი არისტო ქუთათელაძის მოღვაწეობისა და კერძოდ მისი წიგნის მიმართ იჩენს.

ივანე გომელაური ყველა მომენტსა და შემთხვევას იყენებდა იმისათვის, რომ მტკიცედ დაეცვა ქართველი ბავშვებისა და ქართული ენის ინტერესები. გარდა იმისა, რომ იგი ამ მიზნით იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოების ერთგული დამცველი იყო, სხვა შემთხვევებსაც საგანგებოდ ეძებდა იმისათვის, რომ ერთხელ კიდევ ენერგიულად გამოქომაგებოდა მშობლიურ ხალხისა და მისი დედაენის ამ სასიცოცხლო ინტერესებს. ამავე მიზნისათვის გამოიყენა მან რუსეთის გამოჩენილი პედაგოგის კ. დ. უშინსკის გარდაცვალების 30 წლისთავი და პირველად ქართულ პრესაში მეტად საინტერესო სპეციალური სტატია მოათავსა მის შესახებ. ამ სტატიაში ივანე გომელაური აცნობდა-რა ქართველ მკითხველებს „რუსეთის დიდებული პედაგოგის" კ. დ. უშინსკის მოღვაწეობასა და მისი პედაგოგიური მოძღვრების ძირითად დებულებებს, საგანგებოდ მიუთითებდა, რომ

---

[1] ი. გ-რ ი [ი. გომელაური], „წყარო", წიგნი II, არ. ქუთათელაძისა (რეცენზია), ჟურნ. „კვალი", 1900 წ., № 51, გვ. 818—819.

მას „დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსულ პედაგოგიაში, სხვათა შორის იმითი, რომ მან პირველმა მიაქცია ყურადღება დედა-ენას, მეცნიერულად დაასაბუთა მისი დიდი მნიშვნელობა მოზარდი თაობისათვის და მთელი ერისათვის საზოგადოდ“, რომ მას „დედა-ენა“ მიაჩნია წყაროდ ყოველივე ცოდნისა. ყველაფერი დედა-ენის საშუალებით და არაფერი უდედაენოთ!“ მას მოჰყავდა შემდეგი ადგილი უშინსკიდან: „ეს საკვირველი პედაგოგი — დედა-ენა, არამარტო ბევრს ასწავლის, არამედ მეტის-მეტ ადვილადაც, რაღაც მიუწვდომლად გაადვილებული მეთოდით“ და ასკვნიდა: „აი ამიტომ თბოულობს უშინსკი, რომ სწავლა უნდა წარმოებდეს სამშობლო ენაზე. ეროვნულ ენას მოკლებული, ნიადაგ-მოშორებული ადამიანი შესაბრალისია, უსარგებლო წევრია საზოგადოებისა და ერისა“[1].

ივანე გომელაური უპირატესად პრაქტიკულად მოღვაწე პედაგოგი იყო, მაგრამ ზემოთ დასახელებულ მის პედაგოგიურ სტატიებში ის საჭირო თეორიულ მომზადებასაც იჩენდა.

4. ივ. გომელაური წინამძღვარიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში

1902 წლიდან,— იმის გამო, რომ არს. მამულაიშვილის კერძო სკოლაში ორი მასწავლებლის მუშაობა არ იყო აუცილებელი,— ივ. გომელაური სოფ. წინამძღვარიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში გადავიდა მასწავლებლად. ეს სასწავლებელი, რომელიც ოთხი მოსამზადებელი და ორი სპეციალური კლასისაგან შედგებოდა, იმ ხანებში ამ ტიპის ერთად-ერთი სკოლა იყო, სადაც ყველა კლასებში საგნების სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, ხოლო რუსული ენა ისწავლებოდა, როგორც ცალკე სასწავლო საგანი. ამ სკოლისათვის მასწავლებლებს საგანგებოდ არჩევდა სკოლის დამაარსებელი ილია წინამძღვრიშვილი (1846— 1920 წ.წ.), რის გამოც მას ყოველთვის საუკეთესო პედაგოგიური შემადგენლობა ჰყავდა. სხვადასხვა დროს აქ ეწეოდნენ პედაგოგიურ მოღვაწეობას: ლუარსაბ ბოცვაძე, არს. წითლიძე, ეგ. ხრამელაშვილი, პ. სურგულაძე, ნ. ახმეტელაშვილი და სხვები.

ივ. გომელაური ნაყოფიერ პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა წინამძღვარიანთკარში. იგი გულმოდგინედ ზრუნავდა სკოლის დასაკომპლექტებლად ახლო-მახლო სოფლების ბავშვე-

---

[1] ი. გ-რ ი [ივ. გომელაური], კ. დ. უშინსკი (მისი ცხოვრება და მოღვაწეობა). ჟურნ. „ქვალი“, 1901 წ., № 2, გვ. 32.

პით. აწარმოებდა სოფლებში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობასაც.

ამრიგად, ივ. გომელაურმა თითქოს მიაკვლია მყუდრო სამუშაო ადგილს, მაგრამ მისი მყუდროება დიდხანს მაინც არ გაგრძელდა. 1904 წელს გაზაფხულზე მას გამოუცხადეს, რომ, როგორც კერძო სკოლის მასწავლებელს, მეფის არმიაში გაწვევა მოელოდა და ამის გამო იგი იძულებული შეიქნა ისევ მთავრობის სკოლაში მოეძებნა პედაგოგიური სამუშაო.

ივ. გომელაურმა შემთხვევით გაიგო, რომ ბაქოს საზღვაო სასწავლებლის მოსამზადებელ კლასებში იყო მასწავლებლის ვაკანტური ადგილი, გაგზავნა იქ განცხადება სათანადო საბუთებით, მიიღო მოწვევის ბარათი და გაემგზავრა ბაქოში სამუშაოდ.

1904—1905 წლები ივ. გომელაურმა ქ. ბაქოში გაატარა, ხოლო 1905 წლის მაისის დამლევს იგი გამოემშვიდობა თავის მოსწავლეებს და თბილისისაკენ გამოეშურა.

5. ივ. გომელაურის საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობა ჭიათურაში

1905 წლის სექტემბრიდან ივანე გომელაური დაინიშნა ქართული ენის მასწავლებლად ჭიათურის შავიქვის მრეწველთა ექვსკლასიან საქალაქო სასწავლებელში (დაარსებულ იქნა 1904 წელს) და ამით ბოლო მოეღო მის გამუდმებულ გადაყვან-გადმოყვანას სხვადასხვა სკოლებში, რომელიც 1897 წლიდან დაიწყო.

ჭიათურის საქალაქო სასწავლებელში მას დახვდა მეტად გამოცდილი და ფრიად განათლებული პედაგოგი, სკოლის ინსპექტორი ნიკო ჯაყელი და უნარიანი მასწავლებლები: გიორგი ჭუმბურიძე და ოზურგეთიდან მისი ნამოწაფარი აკაკი წუწუნავა, შემდეგში მათ შემოუერთდნენ: ალ. მითაიშვილი, ივ. წერეთელი და ნესტ. კიკალეიშვილი. გამოცდილ მასწავლებელთა ეს. კოლექტივი ენერგიულად შეუდგა მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლას. ჭიათურის საქალაქო სკოლაში გაიშალა ნაყოფიერი პედაგოგიურ-საზოგადოებრივი მუშაობა. ივ. გომელაური ამ პედაგოგიური კოლექტივის ღირსეული და მეტად ეფექტიური მოღვაწე-წევრი იყო. იგი აშკარა თანაგრძნობით ეგებებოდა ადგილობრივი მშრომელებისა და მოსწავლეების რევოლუციურ მოძრაობასა და მის აღმავლობას და ამიტომ განსაკუთრებული დაფასებითა და პატივისცემით სარგებლობდა მშრომელ მასებში და მოსწავლეებში.

მაგრამ მალე დადგა რეაქციის მეტად სუსხიანი პერიოდი. რევოლუციურად განწყობილ პირებს სასტიკად დევნიდნენ. პოლიციამ

კიდევ უფრო გააძლიერა პროგრესულ ადამიანთა დევნა-შევიწროება. ადგილობრივი ბოქაული, შავრაზმელი ვ. კედია ეპვის თვალით უყურებდა ივ. გომელაურისა და მისი კოლეგების მოღვაწეობას. იგი მოხერხებულ შემთხვევასა და დროს ეძებდა იმისათვის, რომ ისინი პასუხისგებაში მიეცა. ბოქაულმა იშოვა ასეთი მომენტიც. 1906 წლის გაზაფხულზე მოსწავლეთა არდადეგების დროს, ივ. გომელაურისა და მისი კოლეგა-მასწავლებლების — ალ. მითაიშვილისა და აკ. წუწუნავას ჭიათურაში არყოფნისას, მან საფუძვლიანად გაჩხრიკა მათი ბინა (ისინი ერთ სახლში ცხოვრობდნენ) და ამოარჩია „საეპვო წიგნები“ და შემდეგ წარუდგინა „რაპორტი“ მაზრის უფროსს და ჟანდარმთა პოლკოვნიკს ქუთაისში. ამ „რაპორტში“ ბოქაული წერდა, რომ ჭიათურის სკოლის მასწავლებლები ყველანი სოციალისტები არიან, გარდა ინსპექტორ ჯაყელისა, მაგრამ ყველაზე მეტად არასაიმედოვნენი არიან: ალ. მითაიშვილი, ივ. გომელაური და ა. წუწუნავა. ეს „რაპორტი“ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისა და კავკასიის სასწავლო ოლქის ზრუნველამდისაც მივიდა, რასაც ჭიათურის სკოლის სამივე მასწავლებლის სამსახურიდან გადაყენება მოჰყვა შედეგად. დასჯილი მასწავლებლები შეუდგნენ სამსახურში აღდგენისათვის ზრუნვას. თვით ივანე გომელაური თავის „მოგონებებში“ ასე გადმოგვცემს ამ საინტერესო ისტორიას: „დავეკეტეთ ჩვენ ოთახები და სამივენი წავედით ქუთაისში, რათა გვენახა ჯერ ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე გიორგი ფელიქსის-ძე ზდანოვიჩი, რომელმაც დახმარება აღგვითქვა. ვინახულეთ აგრეთვე სახალხო სკოლების დირექტორი სემიონოვი. მან გვითხრა: „Приготовляйте, господа, чемоданы“. ამის შემდეგ სამივენი მივედით თხოვნით ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ იაზიკოვთან. იმან ძალიან მკაცრად მიგვიღო და უარით გამოგვისტუმრა... თანაც დაუმატა: „У вас нет места в моей губернии“[1]. ასე ადვილად გადაწყდა საუკეთესო მასწავლებელთა ბედი მეფის მთავრობის მოხელეების ხელში. დარჩა მხოლოდ ერთად-ერთი გამოსავალი: თბილისში წასვლა და კავკასიის მეფისნაცვალისადმი მიმართვა თხოვნით... თბილისში ჩასვლისთანავე მათ მოუვიდათ იაზიკოვის განკარგულება, რომლითაც ეკრძალებოდათ მის საგენერალ-გუბერნატოროში (ქუთაისის გუბერნია და სოხუმის ოლქი) და აგრეთვე ბათუმსა, ბაქოსა და თბილისში ცხოვრება... მაინც არ დანებდნენ მებრძოლი პედაგოგები და ბევრი ცდის შემდეგ როგორც იყო, იმავე

---

[1] ი ვ. გ ო მ ე ლ ა უ რ ი, ჩემი თავგადასავალი და მოგონებანი, მესამე რვეული, გვ. 130—131.

წლის 20 ოქტომბერს მიიღეს ჭიათურის საქალაქო სკოლაში მასწავლებლად აღდგენის საბუთი და იმავე დღეს გაემგზავრნენ სკოლაში, თავიანთ საყვარელ მოსწავლეებთან. თავდადებული საზოგადო მოღვაწე-პედაგოგი ივანე გომელაური აღტაცებით შეუდგა თავისი კეთილშობილური მოვალეობის შესრულებას.

„ივანე მიხეილის-ძე იყო მოწინავე იდეების მატარებელი და სულითა და გულით რევოლუციონერი,— წერს მისი ყოფილი მოსწავლე პროფ. ი. ტალახაძე. მას სძულდა თვითმპყრობელობა და მისი დამქაშები, მოწაფეებს უნერგავდა მშრომელი ხალხისადმი სიყვარულსა და პატივისცემას, გვასწავლიდა მშრომელთათვის თავდადებული ბრძოლისადმი მისწრაფებას. ამგვარ აზრებს ის ოსტატურად აქსოვდა სასკოლო გაკვეთილებში და საუბრებში. მაგალითად, როდესაც სპირიდონ მცირიშვილის პიროვნებას გვიხატავდა, იმავე დროს გვასწავლიდა, რომ ვყოფილიყავით მისებრ მშრომელთა მოყვარულნი, ერთგულნი, მათი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის მებრძოლნი. როდესაც ტარიელ მკლავაძის ან მოსე მწერლის ტიპებს აგვიწერდა, იმავე დროს გვასწავლიდა, რათა ბრძოლით აღმოგვეფხრა საზოგადოებიდან ასეთი მახინჯი ადამიანები. სწორედ ივანე მიხეილის-ძის ჩაგონებით, იმ დროიდან ჩემი იდეალი გახდა სპირიდონ მცირიშვილი, შემიყვარდა ხალხისადმი მისი სამსახური და მასწავლებლობა. 1908 წელს ჭიათურაში მაღაროელთა გაფიცვამ იფეთქა. გაფიცულთა მოთხოვნილებებში ეკონომიურთან ერთად პოლიტიკური ხასიათის მუხლებიც იყო. მეფის მთავრობამ დაუყოვნებლივ მოავლინა ყაზახთა ასეული, დაატუსაღა რამდენიმე ათეული მოწინავე მუშა და უხეშ ფიზიკურ მეთოდებსაც არ ერიდებოდა (ქუჩებში სროლას, მათრახებით ცემას და სხვ.), რათა გაფიცვა ჩაექრო. ყოველივე ამან საზოგადოებაში დიდი აღელვება გამოიწვია. ჩვენც, მოწაფეებმა გამოვაცხადეთ თანაგრძნობის გაფიცვა, შევწყვიტეთ სკოლაში სიარული და მოვითხოვეთ დატუსაღებულთა განთავისუფლება, ჭიათურიდან ჯარის გაყვანა და მუშების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ჩვენს გაფიცვასაც რეპრესიებით უპასუხეს. დააპატიმრეს აქტიური, მოზრდილი მოწაფეები და შეუდგნენ მათი საქმის გამოძიებას. იმ დროს ივანე მიხეილის-ძე მთავრობისათვის კარგა ხნის ცნობილი, პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნება იყო. პოლიტიკური უნდობლობის გამო ის უკვე ორჯერ იყო მოხსნილი სამუშაოდან — გურიაში და სამეგრელოში — და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. ამ გარემოებას ის მაინც არ შეუშინდა და იწყო დაპატიმრებული მოწაფეების გამოსარჩლება, მოითხოვა, რათა ის დაეკითხათ და მისცა ჩვენება, რომ დაპატიმრებული

მოწაფეები ფრიად კარგი ყოფა-ქცევისა და მუყაითი ბავშვები არიან; არასდროს რაიმე საეკვო საქმიანობაში შემჩნეული არ ყოფილანო. საკმარისია ჭიათურიდან ყაზახები გაიყვანოთ და სკოლაში ნორმალური მეცადინეობა დაიწყებაო. ჩვენ კი გვამხნევებდა და გვეუბნებოდა: „იყავით თქვენი გაფიცული მამების ღირსეული შვილები, გახსოვდეთ, რომ ისინი მოითხოვენ თქვენთვის ლუკმა პურს და ადამიანურ ცხოვრების უფლებებსო“[1].

ჭიათურის მოწინავე ინტელიგენციამ ადგილობრივად დააარსა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ფილიალი (რომელმაც მოკლე ხანში გამოსცა ვაჟა-ფშაველას ორი წიგნაკი: „სამი საბავშვო ამბავი“ და პოემა „მეჯლისი ლომისა“), დრამატიული საზოგადოება და სახალხო უნივერსიტეტი. ამ სამ საზოგადოებაში თავგამოდებით და დაუზარებლად მუშაობდა ჭიათურის საქალაქო სკოლის მასწავლებლობა და განსაკუთრებით ივანე გომელაური[2].

საყურადღებოა ივ. გომელაურის მოღვაწეობა ჭიათურის დრამატიულ საზოგადოებაში და ადგილობრივს ქართულს სცენაზე. აქ მან ისევ გაიხსენა ოზურგეთში მისი პირველი აქტიორული ცდები და მონდომებით შეუდგა თეატრალურ მოღვაწეობას. ადგილობრივი სცენის მოღვაწეთა შორის იგი თვალსაჩინო ძალას წარმოადგენდა და ენერგიასაც არ იშურებდა ამ დარგშიც გაეწია სამსახური საზოგადოებისათვის. 1905—1917 წლამდე ჭიათურის სცენაზე ივანე გომელაურს 15-ზე მეტი საპასუხისმგებლო როლი შეუსრულებია და ყოველთვის მაყურებლის დაფასება და პატივისცემა დაუმსახურებია. „სახალხო გაზეთის“ 1911 წლის 10 ნოემბრის ნომერში აღნიშნული იყო, რომ „დ. ჭიათურაში, 6 ნოემბერს, ადგილობრივი სცენის მოღვაწეთა მიერ ქ. ქ. ჯავახიშვილის, ლოლუას და ვალ. შალიკაშვილის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნა „ექიმი შტოკმანი“. წარმოდგენამ საერთოდ მწყობრად ჩაიარა. კარგი იყო შტოკმანის როლში შალიკაშვილი. მშვენიერი ასლაქსენი იყო ბ-ნი გომელაური. მისი გამოთქმა ბუნებრივი იყო. კარგი იყო მეტადრე იმ ადგილას, როდესაც შტოკმანი საჯაროდ ქადაგებს“[3]. ამავე გაზეთის ჭიათურელი კორესპონდენტი წერდა 1912 წელს: „კვირას,

---

[1] პროფ. ი. ტ ალ ახ ა ძ ე, ძვირფასი მასწავლებელი, გაზ. „სახალხო განათლება“, 1948 წ., № 49.

[2] ვ ა ს ო ურ უ შ ა ძ ი ს ცნობით ჭიათურის დრამატიული საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე იყო ცნობილი მასწავლებელი გიორგი ჭუმბურიძე, მდივანი — მასწავლებელი ივანე გომელაური (ჩემი მასწავლებელი სკოლაში და რეჟისორი სცენაზე ქ. ოზურგეთში 1893—1894 წლებში). იხ. მისი „მოგონებანი“, გვ. 51.

[3] „სახალხო გაზეთი“, 1911 წ., № 447.

7 ნოემბერს, ჭანიშვილის მორიგი რეჟისორობით წარმოადგინეს ავქს. ცაგარელის კომედია „ციმბირელი“. მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი სცენის მოყვარენი. პიესის უმთავრეს როლში ბ-ნი ივ. გომელაური გამოვიდა, მან თითქმის სრულიად უნაკლოდ დაგვიხატა ფულის მიერ ადამიანურ ღირსებას მოკლებული სულიერად გახრწნილი მაზუთიანის ტიპი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ როლის შესრულებაში ბ-ნი გომელაური პირველხარისხოვან მსახიობს მოგვაგონებდა. კარგი იყო განსაკუთრებით პირველ მოქმედებაში, რომლის დასასრულს მან მსმენელთა შორის ხანგრძლივი ტაშისცემა გამოიწვია“[1].

ასე ნაყოფიერი იყო ივანე გომელაურის მოღვაწეობა ჭიათურის ქართულ სცენაზე მეფისდროინდელ საქართველოში.

ივანე გომელაურის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა ჭიათურაში მარტო ამით არ ამოიწურებოდა. მას ყველა სახის საზოგადოებრივ მუშაობაში შექონდა თავისი წვლილი, სახელდობრ, როდესაც ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭომ გახსნა საკვირაო სკოლა, სადაც მუშები და ადგილობრივი უსწავლელი ახალგაზრდობა სწავლობდა წერა-კითხვას, ივანე გომელაური მხურვალედ ჩაება ამ საქმეში და თავისი უსასყიდლო და სპეტაკი შრომით დიდი ღვაწლი დასდო მუშათა წრეებში ცოდნა-განათლების შეტანა-გავრცელების საქმეს.

ივანე გომელაურს ჭიათურის საქალაქო სკოლაში, როგორც კერძო სასწავლებელში, პედაგოგიური მოღვაწეობის შედარებით უფრო ფართო სარბიელი გადაეშალა. იგი ახლაც უდიდესი კმაყოფილებით იგონებს თავისი მოღვაწეობის ამ პერიოდს. „ჭიათურის საქალაქო სკოლა ჩემთვის მუდამ სასიამოვნო მოსაგონარი გახდა და განსაკუთრებით იმით, — წერდა მხცოვანი პედაგოგი თავის „მოგონებაში“, — რომ იქ სწავლის საქმეში სრული თავისუფლებით ვსარგებლობდი, და ჩემს საქმეში არაეინ არ ერეოდა: არც დირექტორი, არც ინსპექტორი და არც შავიქვის მრეწველთა საბჭო, რომელიც ამ სკოლის ბატონ-პატრონად ითვლებოდა... ვაწვდიდი იმას, რაც სასარგებლოდ მიმაჩნდა, ვაწვდიდი ისე, როგორც ჩემი პედაგოგიური ალღო და გამოცდილება მიკარნახებდა“.

და მართლაც, ჭიათურის საქალაქო სკოლაში სრულყოფილად იგრძნო ივანე გომელაურმა უანგარო პედაგოგიური შრომის სიტკბოება, საზოგადოების დამსახურებული პატივისცემა და მის მიერ

---

[1] გახ. „სახალხო გაზეთი“, 1912 წ., № 722.

აღზრდილი ახალგაზრდობის გულშიც დაიმკვირდა საყვარელი მასწავლებლის სამუდამო ადგილი.

6. ივ. გომელაურის მიერ შედგენილი ლიტერატურის სახელმძღვანელოები

პიათურაში ივანე გომელაურის მრავალმხრივი საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობის სურათი სრული მაინც არ იქნება, თუ არ გავიხსენეთ ის ფასდაუდებელი სამსახური, რომელიც მან ქართულ ენასა და ლიტერატურას გაუწია ჩვენს სკოლებში ცნობილი სახელმძღვანელოს „სკოლებში შესასწავლი ქართველი მწერლების“ შედგენით და გამოცემით.

ქართული ენის მასწავლებლობას რომ შეუდგა პიათურის საქალაქო სკოლაში, ივანე გომელაური დარწმუნდა, რომ ამ სასწავლებლისათვის შესაფერისი სახელმძღვანელო ქართულ ენაში არ მოიპოვებოდა. იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი“ უკვე გავლილი ჰქონდათ მოსწავლეებს სოფლის ორკლასიან სკოლებში. ამრიგად, მათთვის სახელმძღვანელოს მსგავსი ერთად-ერთი წიგნი იყო ისევ იაკობ გოგებაშვილის „ხომლი“, მაგრამ მასში მხოლოდ ლექსები იყო მოთავსებული და, გარდა ამისა, ყველა ისინიც არ იყო შესაფერისი ამ სკოლის ჭაბუკთა ასაკისათვის. ამ გარემოებამ აფიქრებინა ივ. გომელაურს შეედგინა ქართული ენის და ლიტერატურის ახალი სახელმძღვანელო, უკეთ ლიტერატურული ქრესტომათია, საკითხავი წიგნი, რომელიც გააცნობდა მოსწავლეებს გამოჩენილ ქართველ მწერლებს და შეაყვარებდა მათ მშობლიურ ენასა და ლიტერატურას. ასე დაიბადა სახელმძღვანელო „სკოლაში შესასწავლი ქართული მწერლები“, რომელიც ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში ემსახურებოდა ჩვენს ახალგაზრდობას მდიდარი მშობლიური ლიტერატურის გაცნობა-შესწავლის საქმეში.

პირველად ეს სახელმძღვანელო ივ. გომელაურმა 1905—1906 სასწავლო წელს შეადგინა. ჯერ იგი მის კოლეგა-მასწავლებლებს გააცნო, ხოლო შემდეგ კრიტიკოსს — კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე ს, რომელთაც სახელმძღვანელოში შერჩეული მასალა მოიწონეს და ავტორს ურჩიეს წიგნის დაბეჭდვა. იმავე წლის გაზაფხულზე ივ. გომელაური დედაქალაქს ეწვია თავისი ქრესტომათიით. დაწვრილებით გააცნო იგი მის მეგობარს—არსენ მამულაიშვილს (ლალიონს), მასწავლებელ სიმ. გრიაზნოვს და ბოლოს იაკობ გოგებაშვილსაც. ყველამ კმაყოფილებით შეხედა ავტორის წამოწყებას. იაკობ გოგებაშვილმა სახელმძღვანელოს დაბეჭდვისათვის საჭირო ქაღალდი გამოუძებნა ავტორს და წიგნის ბეჭდვაც დაიწყო.

თავის სახელმძღვანელოს პირველ გამოცემაში ივ. გომელაურმა შეიტანა ილია ჭავჭავაძის, ნიკ. ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლის, ნ. ლომოურის, შ. არაგვისპირელის, ეკ. გაბაშვილის, ე. ნინოშვილის, ირ. ევდოშვილის, დავით კლდიაშვილის და ლალიონის რჩეული მოთხრობები და ლექსები, რომლებიც იმდროინდელ სახელმძღვანელოებში ჩვეულებრივად ნაკლებად იყო წარმოდგენილი[1]. შემდეგში განსაკუთრებით გაამდიდრა თავისი ქრესტომათია ავტორმა თანამედროვე ახალგაზრდა პოეტების გ. ტაბიძის, ი. გრიშაშვილის, ალ. აბაშელის და სხვა საუკეთესო ნაწარმოებებით, რამაც ხელი შეუწყო ამ სახელმძღვანელოს ავტორიტეტის გაზრდა-ამაღლებას.

სახელმძღვანელოს პირველი გამოცემის „ბოლოსიტყვაობაში" ივანე გომელაური აღნიშნავდა: „ამ წიგნში მე თავი მოუყარე ისეთ მასალას, რითაც, ჩემის აზრით, უნდა იწყებოდეს ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის, ცოტად თუ ბევრად, საფუძვლიანი შესწავლა სკოლებში... რამდენადაც გამოცდილებამ დამარწმუნა, აქ მოთავსებული მასალა შეიძლება შესწავლილ იქნას სოფლის ორკლასიანი სკოლების უკანასკნელ განყოფილებაში, საქალაქო სასწავლებლის მე-4—5 კლასებში (განყოფილებებში) და გიმნაზიის დაბალ კლასებში... უმთავრესი ყურადღება აღნიშნულ კლასებში უნდა მიექცეს მოწაფეთაგან პოეტური სურათების ცოცხლად წარმოდგენას და შინაარსის მტკიცედ შეთვისებას, რომ ამნაირად მომზადდეს ნიადაგი უფრო რთულ სავარჯიშოებისათვის შემდეგში. მასალის დალაგების დროს მე ვცდილობდი წინ მომეთავსებინა მოწაფეთათვის უფრო ადვილად შესათვისებელი თხზულებანი"[2].

ივანე გომელაურის ახლად გამოსული სახელმძღვანელო „ქართველი მწერლები" მოიწონეს მოწინავე მასწავლებლებმა. სხვათა შორის, მწერალმა და პედაგოგმა ნ ი კ ო ლ ო მ ო ურ მ ა პირადი წერი-

---

[1] ივ. გომელაურმა თხოვნით მიმართა იმ მწერლებს, რომლებიც მაშინ თბილისში არ იმყოფებოდნენ, მიეწოდებინათ მისთვის „ქართველი მწერლებისათვის" საკირო ბიოგრაფიული ცნობები. სხვათაშორის, მან მიიღო ნ. ლომოურისა და დ. კლდიაშვილის მეტად საყურადღებო საპასუხო წერილები, რომლებითაც ირკვევა მათი ზოგიერთი ბიოგრაფიული დეტალი, რის გამოც ამ ავტობიოგრაფიული ხასიათის წერილებს ამჟამადაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერისათვის. ეს საყურადღებო წერილები ივ. გომელაურმა ამ რამდენიმე წლის წინად გამოაქვეყნა პრესაში (იხ. ნ. ლომოურისა და დ. კლდიაშვილის წერილები ივ. გომელაურისადმი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1938 წ., № 17).

[2] ი ვ. გ ო მ ე ლ უ რ ი, სკოლებში შესასწავლი ქართული მწერლები, 1906 წ., გვ. 286.

ლით აცნობა მისი კმაყოფილება ავტორს და თან დასძინა: „ეს წიგნი საპიროა გიმნაზიისათვის, ვგონებ საქალაქო და სასულიერო სასწავლებლებშიც ამ წიგნს შემოიღებენო“. ასევე მოწონების სტატია უძღვნა ივ. გომელაურის სახელმძღვანელოს გაზეთმა „ჩვენმა ცხოვრებამ“ 1906 წელს[1].

იაკობ გოგებაშვილი, როგორც აღვნიშნეთ, თავიდანვე სიმპატიით შეხვდა ი. გომელაურის წამოწყებას, ხოლო შემდეგ ამ სახელმძღვანელოს ერთი პირველი დამცველთაგანი იყო. იგი ორი საგაზეთო წერილით გამოეხმაურა ქ. ქ-ათურის ორკლასიან სამოქალაქო სასწავლებელთან, სადაც ივ. გომელაური იმ პერიოდში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, სპეციალურ სატექნიკო კლასების გახსნას. ი. გოგებაშვილი იწონებდა ამ ღონისძიებას, მაგრამ აშკარად დამახინჯებად მიაჩნდა ის, რომ ამ კლასებში არ იყო გათვალისწინებული ქართული ენის სწავლება. სტატიაში „ფრიად მავნებელი მაგალითი (საპედაგოგიო შენიშვნა)“ იგი წერდა: „შემუშავებული პროექტით ყველა საგანი უნდა ისწავლებოდეს მხოლოდ რუსულ ენაზე და რუსული ლიტერატურაც სავალდებულო საგანი უნდა იყოს. ქართულს ენაზე კი არამც თუ არც ერთი საგანი ისწავლება, არამედ თვითონ ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის ჭაჭანებაც არ იქნება ამ ახალ კლასებში. ქართულ ენას, თურმე, არც ერთი გაკვეთილი არა აქვს დათმობილი არც ერთ კლასში; სრული ექსორიით დაუსჯიათ იგი“... და შემდეგ ასკვნიდა: „ამას, სხვათაშორის ის საეალალო შედეგი მოჰყვება, რომ ჩვენს საპედაგოგიო ლიტერატურას, უფროსი კლასებისათვის დანიშნულს, სრულიად გამოეცლება ნიადაგი და იგი არამც თუ აღარ გამდიდრდება ახალ თხზულებით, არამედ გაუქანდება. მაგალითად, იმისთანა ნაწარმოებნიც, როგორიცაა ქრესტომატია ეპისკოპოსის კირიონისა და ბ-ნ გრიგოლ ყიფშიძისა, „ქართველი მწერლები“ ბ-ნ გომელაურისა და სხვანი“[2]. ამავე აზრს ასაბუთებდა და ასევე ნაღალ შეფასებას აძლევდა ი. გომელაურის სახელმძღვანელოს ი. გოგებაშვილი თავის მეორე სტატიაში „ორკეცი ცილის წამება“, რომელიც კ. აბაშიძის მიერ „სახალხო გაზეთის“ 1911 წლის № 371-ში მოთავსებული წერილის პასუხს წარმოადგენდა[3]. ჯერ კიდევ ორი წლით ადრე, 1909 წელს, კ. აბაშიძის მიერ გაზეთ „დროებაში“

---

[1] გაზეთი „ჩვენი ცხოვრება“, 1906 წ., № 11.

[2] ი. გ ო გ ებ ა შ ვ ი ლ ი, ფრიად მავნებელი მაგალითი (საპედაგოგიო შენიშვნა), გაზეთი „სახალხო გაზეთი“, 1911 წ., № 364.

[3] ი. გ ო გ ებ ა შ ვ ი ლ ი, ორკეცი ცილისწამება (პასუხად თავ. კიტა აბაშიძეს), გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ., № 390.

დაბეჭდილ სტატიას „ორიოდე სიტყვა სახელმძღვანელოზე“, ი. გოგებაშვილმა სასტიკი პასუხი გასცა. თავის სტატიაში „ორ სიტყვაში ოთხიოდე უცნაურობა“, იგი წერდა: „უპირველესად ყოვლისა, იგი (კ. აბაშიძე, ვ. ქ.) სჩივის ქართულის ენის სახელმძღვანელოების უკონლობაზე და იხსენიებს მხოლოდ „დედა-ენას“ და „ბუნების კარსა“. მაგრამ განა ამ ორი წიგნის მეტი არაფერი მოგვეპოვება? რად ივიწყებს „გუთანს“, „ქართველ მწერლებს“ ბ-ნი გომელაურისა, „წყაროს“ ბ-ნი ქუთათელაძისა, „ქრესტომატიას“ ეპისკოპოსის კირიონისას და ბ-ნი ყიფშიძისას. ყველა ამ სახელმძღვანელოს თავთავისი ღირსება აქვს, ზოგს მეტი, ზოგს ნაკლები, და არას გზით მათი დავიწყება არ შეიძლება. იქნებ ავტორს ჰგონია, რომ ეს წიგნები მხოლოდ თაროებს ამშვენებენ და მკვდარს კაპიტალს, თანხას წარმოადგენენ? სრულიადაც არა. „გუთანი“ ერთის წლის წინად დაიბეჭდა, რიცხვით ოთხი ათასი და, როგორც ისმის, დღემდე ნახევარზე მეტია გაყიდული და მზადდება ახალი გამოცემა. ბ-ნი გომელაურის ქრესტომატია დაიბეჭდა პირველ გამოცემით შარშან წინ ათას ხუთასი ცალი და ერთის წლის განმავლობაში გასაღდა. მეორედ დაიბეჭდა შარშან სამი ათასი და დღეს ცოტა-ღაა დარჩომილი“[1]...

ასე იცავდა და აფასებდა ი. გოგებაშვილი ქართულ სახელმძღვანელოებს, და მათ შორის პირველ რიგში ი. გომელაურის „ქართველ მწერლებს“.

მიუხედავად ასეთი საერთო მოწონებისა, ივ. გომელაურის „ქართველ მწერლებს“ იმთავითვე აღმოუჩნდნენ უმართებულოდ გამკილავი კრიტიკოსებიც. ერთი მათგანი, რომელიც „№№“-ის ფსევდონიმს იყო ამოფარებული, გაზეთ „Кавказская жизнь“-ში მოთავსებულ რეცენზიაში, თავს დაესხა ივ. გომელაურის სახელმძღვანელოს. რეცენზენტი აღნიშნავდა, რომ ივ. გომელაური სერიოზულად არ მოჰკიდებია საქმეს. იგი წერდა: Ив. Гомелауров (ასე უმახინჯებდა ავტორს გვარს რეცენზენტი.— ვ. ქ.) дает сборник повестей, рассказов и стихотворений различных авторов, не внося в книгу решительно ничего „своего“, т. е. не дает сборнику школьно-педагогической обработки“[2]. მასალასაც უწუნებდა იგი ავტორს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ აღნიშნული რეცენზიის ავტორი, როგორც ირკვევა, ჩვენთვის უკვე ცნობილი მიხ. ნასიძე იყო, გასა-

---

[1] ი. გ ო გ ებ ა შ ვ ი ლ ი, გაზეთი „დროება“, 1909 წ., № 245. იხ. აგრეთვე, „რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები“, ტ. I, გვ. 526—529.

[2] გაზ. „Кавказская жизнь“, 1906 წ., № 7.

გები იქნება მისი რეცენზიის ტონი და ხასიათი. მიხ. ნასიძე, თავისი „ქართული ქრესტომათიით“, ი. გოგებაშვილის „ბუნების კარის“ მეტოქეობაში სასტიკად დამარცხებული, ახლა ი. გომელაურის, რომელიც ი. გოგებაშვილის პედაგოგიური სკოლის დიდ ტრადიციებზე იყო აღზრდილი, „ქართველი მწერლების“ წინააღმდეგ ამხედრდა.

არ გასულა დიდი ხანი და ივ. გომელაურის სახელმძღვანელოს გამოექომაგა ცნობილი პედაგოგი ლ უ ა რ ს ა ბ ბ ო ც ვ ა ძ ე, რომელმაც საკადრისი პასუხი გასცა ზემოთ დასახელებულ რეცენზენტთა უსაფუძვლო ბრალდებებს. ლ. ბოცვაძემ საჭიროდ სცნო ივ. გომელაურის სახელმძღვანელოს შესწორება-შევსება მოშაელისათვის, მაგრამ ამავე დროს აღნიშნა მისი დადებითი მხარეები და ღირსებებიც. „ჩვენში, სამწუხაროდ,—წერდა იგი,—არა თუ საშუალო სასწავლებლებში, დაწყებით სკოლებშიც კი აბუჩად იყო აგდებული სამშობლო ენაზე სწავლება, მშობლიური ნაწარმოების კითხვა-განხილვა და მათი შესწავლა, რაც, რასაკვირველია, დიდ ცოდვად უნდა ჩაეთვალოს ყველას ახალი თაობის წინაშე. დღეს, როდესაც, გვგონია, მცირე უფლება მაინც მოგვეპოვება მშობლიურ ენაზე სწავლებისა, ბევრს დაებადა ის აზრი, რომ შედგენილ იქნას სახელმძღვანელო წიგნი, კრებული ჩვენი ნიჭიერ მწერალთა საუკეთესო ნაწარმოებისა საშუალო და საქალაქო სასწავლებლებში სახმარებლად. მოწაფე, დამტკბარი მშობლიურის პოეზიით, შეიყვარებს მას და შეიქმნება მუდმივი მისი დარაჯი. ამ მიზნის განხორციელება,— სკოლაში სასწავლო ქართველი მწერლობის კრებულის შედგენა,— პირველად წილად ხვდა ბ-ნ ივ. გომელაურს. როგორც პირველი ნაბიჯი, ეს წიგნი, რასაკვირველია, არ არის უნაკლო. თუ ბ-ნ გომელაურის „ქართველი მწერლები“ საკუთრივ ვერ დააკმაყოფილებს ჩვენი სკოლის მოთხოვნილებას, მისი კრებული სახალხო საკითხავად მაინც გამოდგება და შრომაც უნაყოფოდ არ ჩაითვლება“[1].

ლ. ბოცვაძის და სხვათა საქმიანი შენიშვნები მხედველობაში მიიღო ივ. გომელაურმა და სათანადო შესწორებები შეიტანა მისი სახელმძღვანელო წიგნის შემდეგ გამოცემებში.

ივ. გომელაურის სახელმძღვანელოს შევსებულ-შესწორებული გამოცემები თანდათან უმჯობესდებოდა და ბუნებრივად ინერგებოდა ჩვენს სკოლებში. ავტორს უნდოდა, რომ „ქართველი მწერლები“ როგორმე ოფიციალურ სახელმძღვანელო წიგნად ყოფილიყო მიღებული, რის შესახებაც იგი გამუდმებით აყენებდა საკითხს ზემდგომ

---

[1] ლ. ბ ო ც ვ ა ძ ე, „სკოლებში შესასწავლი ქართველი მწერლები“, წიგნი პირველი შედგენილი ივ. გომელაურის მიერ, გაზ. „მეგობარი“, 1906 წ., № 4.

ორგანოებში. ჯერ კიდევ 1907 წლის 12 დეკემბერს მიიღო ივ. გომელაურმა კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ნ. რუდოლფის წერილობითი პასუხი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სამზრუნველო საბჭოს იმავე წლის 4 დეკემბრის დადგენილებით მისი სახელმძღვანელო დაშვებული იყო სახმარებლად ოლქის სკოლების მოსწავლეთა ბიბლიოთეკებში. 1909 წლის 23 ივლისს კი მზრუნველის მოადგილე ლ. ლოპატინსკი წერდა მას: „На прошение Ваше от 3 января 1908 года, увадомляю Вас Милост. Государь, что согласно постановления Совета Попечителя, состоявшегося 13 июня 1909 года, составленная Вами книга под названием „Грузинские писатели для школ" (на грузинском языке) допущена к употреблению в средних учебных заведениях Округа".

ამრიგად, ივანე გომელაურის „ქართველმა მწერლებმა" მრავალი დაბრკოლების გადალახვის შედეგად მაინც გაიკვლია გზა სკოლებისაკენ, როგორც უკვე მოწონებულმა სახელმძღვანელომ. ამის გამო, იგი თუ 1906—1907 წ.წ. ერთ წიგნად იყო გამოცემული, 1910—1912 წლებში ზედიზედ გამოვიდა ორ-ორ წიგნად. ჟურნალი „განათლება" ივ. გომელაურის სახელმძღვანელოს მესამე გამოცემის შესახებ თავის სარედაქციო სტატიაში, რომელიც, როგორც ირკვევა, ჟურნალის რედაქტორს ლ. ბოცვაძეს ეკუთვნოდა, კმაყოფილებით აღნიშნავდა: „დიდი ხანი არ არის, რაც ბ-ნ გომელაურის წიგნი „სკოლებში შესასწავლი ქართველი მწერლები" პირველად გამოვიდა.ეს უკვე მესამე გამოცემაა, რაც ცხადად ამტკიცებს, რომ ამ წიგნს ბაზარი უკვე მოუპოვებია. მესამე გამოცემა ბევრად განირჩევა წინა გამოცემისაგან, როგორც გარეგნობის, ისე მასალის, ასე თუ ისე, პედაგოგიურად დამუშავების მხრითაც. ახალი ამ გამოცემაშია უკეთესი სურათები ქართული მწერლებისა, სიტყვების უფრო კანონიერი ახსნა-განმარტება, მასალის დანაწილება, საწერი თემები და შნოიანი ყდა... საზოგადოდ წიგნს თანდათანობით წარმატება ეტყობა და იმედია მომავალში ამ წიგნს კიდევ უფრო გაუმჯობესებულს დავინახავთ"-ო[1].

ივანე გომელაურის „ქართველი მწერლები", როგორც სავალდებულო სახელმძღვანელო, სისტემატურად იბეჭდება 1919 წლამდე ორ წიგნად, 1919 წელს გამოიცა სამ წიგნად, ხოლო 1920 წლიდან 1926 წლამდე—ოთხ ნაწილად. სულ მისი ტირაჟი 1906 წლიდან 1926 წლამდე 200 ათას ცალამდე აღწევდა. ამ სახელმძღვანელოზე აღიზარდა მრავალი თაობა ქართველი ახალგაზრდებისა. მან დიდი როლი შეასრულა ჩვენს ახალგაზრდობაში ქართული ენისა და ლიტე-

[1] [ლ. ბ ო ც ვ ა ძ ე], ივ. გომელაურის „ქართველი მწერლები", მესამე გამოცემა „სოროპანისა", წიგნი I (რეცენზია), ჟურნ. „განათლება", 1910 წ., № 7, გვ. 343—344.

რატურისადმი მშობლიური სიყვარულისა და პატიეისცემის გრძნობის აღზრდაში.

7. ივ. გომელაურის ბრძოლა ფენშევიკური მთავრობის „საგანმანათლებლო“ პოლიტიკის წინააღმდეგ

1917 წელს აღმოსავლეთ საქართველოს მასწავლებელთა ყრილობამ ივანე გომელაური თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორად აირჩია.

ივ. გომელაური გულმხურვალედ გამოემშვიდობა ჭიათურელ დიდი ხნის მეგობრებსა და თავის საყვარელ მოსწავლეებს. ეს იყო თავისებური ზეიმი და გულდაწყვეტილ ადამიანთა დროებითი შინაგანი ტკივილების გულწრფელად გამოხატვა, გულისხმიერი და საყვარელი მეგობრისა და მასწავლებლის გამგზავრებით გამოწვეული. ივ. გომელაურის ერთი ყოფილი მოსწავლეთაგანი გულისტკივილით წერდა ჟურნ. „თეატრსა და ცხოვრებაში“: „ამ დღეებში, ქ. ჭიათურას მოსტილდა ფრიად ღირსშესანიშნავი მუშაკი-მასწავლებელი ვ. გომელაური. ვინც კი იცნობს ვანოს, უსათუოდ დარწმუნებული იქნება, თუ რა პიროვნებაა და რამდენი ღვაწლი მიუძღვის მას ქართველ საზოგადოების წინაშე. ვისაც კი ქართული კითხვა უსწავლია, უეჭველად იცნობს „ქართველ მწერლებს“. სწორედ ვ. გომელაურის შრომის ნაყოფია ეს წიგნი. ცამეტი წლის ჭიათურაში ყოფნის დროს მან დაიმსახურა უსაზღვრო სიყვარული აქაურ საზოგადოებისაგან. ყოველი მისი მოწაფე აღტაცებით იგონებს მასთან განვლილ დროს და მის ადამიანურ დარიგებას... ოქტომბერს დასტოვა მან ჭიათურა. ქართველმა საზოგადოებამ და საყვარელმა მოსწავლეებმა თვალცრემლიანმა გააცილა იგი. არც აღმოიფხვრება მათს გულში სამუდამოდ ვანოსადმი სიყვარული“[1].

ივ. გომელაური მისთვის ჩვეული ენერგიულობით შეუდგა თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლათა ინსპექტორის მოვალეობის შესრულებას. მან დაათვალიერა და დაწვრილებით შეისწავლა თელავისა და სიღნაღის მაზრების (კახეთი) სკოლების მდგომარეობა და მუშაობა. სკოლები მეტად უნუგეშო პირობებში იმყოფებოდნენ: არც სასკოლო ინვენტარი, არც სახელმძღვანელოები, არც სათბობი მასალა და სხვ. არ აღმოჩნდა ოდნავად მაინც დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში. დათვალიერების შედეგები ივ. გომელაურმა სრულყოფილად აღწერა ჟურნალ „განათლებაში“. თავის სტატიაში „ჩვენი სახალხო სკოლა“

[1] ი. ტყემალაძე, ვანო (ივანე) მიხეილის-ძე გომელაური, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“. 1918 წ., № 3, გვ. 5.

იგი წერდა: „მე მგონია, რომ ჩვენი სკოლა არასდროს არ ყოფილა ისე დამცირებული და უნაყოფო, როგორც ამ დიდებულ ნგრევა-შენების ხანაში. მეტიც შეიძლება ითქვას: ჩვენ სრულებით არა გვაქვს სახალხო სკოლა... ვინც ოდნავად მაინც იცნობს ეხლანდელ ქართულ სახალხო სკოლებს, უეჭველად დაგვეთანხმება, რომ ჩემს ნათქვამში გადაჭარბებული არაფერია. სკოლების ყოფილი ავად მოსახსენებელი მზრუნველი იანოვსკის და მისი მიმდევარ „ჩინოვნიკების" მიერ შექმნილი სახალხო სკოლა, რომელიც მიზნად ისახავდა ჩვენი ახალი თაობის გადაგვარებას, სულიან-ხორციანად დამახინჯებას და ვითომ გარუსებას,— სამუდამოდ დაიფუშა, დაიშალა და ჩაბარდა პატრონს; მაგრამ იმის ალაგზე ახალი, ჩვენს ცხოვრებასთან შეხამებული და ეეშმარიტ პედაგოგიურ პრინციპებზე დამყარებული სკოლის ქაქანება არსად არის... ქართული სახალხო სკოლა მინგრეულ-მონგრეულია, უპატრონოთაა მიგდებული, არა მხოლოდ გარეგნულად, არამედ შიგნეულადაც. თუ შეიძლება ასე ითქვას... სკოლის სულის ჩამდგმელი—მასწავლებელი აღარსად ჩანს". ქვემოთ ავტორი ეხება მასწავლებელთა უუფლებო მდგომარეობას, მათს ეკონომიურ დაჩაჩანაკებას, სულიერად დაცემას და წერს, რომ „ფხიანმა და მოხერხებულმა მასწავლებლებმა სრულიად მიატოვეს ეს უმადური თანამდებობა და უფრო შემოსავლიან და დიდჯამაგირიან ადგილებს დაეპატრონენ. სკოლებს შერჩა უილაჯო ხალხი, რომელთაც ვერ შესძლეს უკეთეს ადგილას მოკალათება". წერილის ბოლოს იგი ასკვნის: „ჩვენი ცხოვრების დედაბოძი — ხალხის სწავლა-განათლების საქმე უნუგეშო მდგომარეობაშია. და თუ მას დროზე პატრონი არ გაუჩნდება, მაშინ ჩვენი... ბედიცა და მთელი ჩვენი კულტურაც საფრთხეში იქნება ჩაყარდნილი"[1].

ასე წარმოუდგინა ივანე გომელაურმა საზოგადოებას სახალხო განათლების დაცემის ნათელი სურათი მენშევიკური მთავრობის ბატონობის პერიოდში. მან გამოააშკარავა და საჯაროდ ცხადჰყო ამ უბადრუკი ხელისუფლების სრული უმოქმედობა და უუნარობა ახალგაზრდობის სწავლა-განათლების დარგში. მენშევიკური ხელისუფლების წარმომადგენლებს, რასაკვირველია, არაფრად ეკაშნიკათ სახალხო სკოლების ინსპექტორის მეტად ობიექტური გამოსვლა პრესაში და დაუყოვნებლივ დაიწყეს ნიადაგის მომზადება მისი თავიდან მოშორებისათვის. საპირო საბაბიც ადვილად გამონახეს.

---

[1] ი ვ. გ ო მ ე ლ ა უ რ ი, ჩვენი სახალხო სკოლა, ჟურნ. „განათლება", 1919 წ., № 1, გვ. 55—56.

იმავე 1919 წლის ზაფხულზე მოახდინეს რაღაც „რეორგანიზაცია“ და დამსახურებული პედაგოგი სრულიად უადგილოდ დასტოვეს.

ისევ დაიწყო ივ. გომელაურის ხეტიალი შესაფერისი პედაგოგიური სამუშაოს გამოსაძებნად. ბოლოს, როგორც იყო, იგი მოეწყო თბილისის მაზრის ერობის სკოლათა ინსტრუქტორად. ივ. გომელაური ისევ შეუდგა სკოლათა მდგომარეობის საფუძვლიანად შესწავლას ახლა თბილისის მაზრის სოფლებში. ადგენდა სოფლების მდგომარეობის აქტებს, ეცნობოდა მათ უნუგეშო სურათს და შედეგებს უგზავნიდა გამგეობას. ასე მიაღწია მან წალკამდის. ყველა ამ სოფელში უფრო საშინელი მდგომარეობა იყო, ვიდრე კახეთში. დაბრუნდა რა მოგზაურობიდან, ივ. გომელაურმა შეაჯამა მუშაობის შედეგები და მთლიანი მოხსენება წარუდგინა ერობის გამგეობას. იმ ხანებში მოწვეულ იქნა სამაზრო ერობის წევრთა ყრილობა. უნდა განხილულიყო ერ ობის სკოლების მდგომარეობის საკითხიც. ივ. გომელაურიც მივიდა ყრილობაზე, მაგრამ, დახეთ უკუღმართობას! მასთან გამოცხადდა გამგეობის ერთი წევრთაგანი და მისცა წინადადება: ეხლავე განცხადება უნდა შემოიტანო, რომ სამსახურს თავს ანებებ, თორემ უარესი იქნებაო, ძალით დაგითხოვენო. ივ. გომელაური გაკვირვებული დარჩა, მან ერთბაშად ვერც კი მოიფიქრა, რომ ასეთი საჩქარო და სასტიკი განაჩენის მიზეზი ისევ მისი ინფორმაციები და ოფიციალური მოხსენება იყო, რომელშიც იგი ერობის სკოლათა არეე-დარეული მდგომარეობის პირუთვნელ ანალიზსა და შეფასებას იძლეოდა... რაღა გზა იყო. ივ. გომელაურმა დაწერა განცხადება და იგი სამუშაოდან დაუყოვნებლივ „გაანთავისუფლეს“.

8. ივ. გომელაურის ნაყოფიერი მუშაობა საბჭოთა სკოლაში

1920 წელს ივ. გომელაურმა დაიწყო მუშაობა ქართული ენის მასწავლებლად თბილისის VII ქალთა გიმნაზიაში (შემდეგში V ტექნიკუმი), სადაც ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას 1926 წლამდე. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას იგი ამ სკოლაში შეეგება. დადგა ივანე გომელაურის დიდი ხნის ნანატრი დრო. განთავისუფლდა ქართველი ხალხი. თავისუფლად ამოისუნთქა მასწავლებლობამაც. მასობრივად გაიხსნა ახალი საბჭოთა სკოლები. სწავლება ყველა ტიპის და საფეხურის სკოლებში განხორციელდა მშობლიურ- ქართულ ენაზე. დაიწყო ქართული საბჭოთა კულტურისა და ნამდვილი სახალხო განათლების არნახული აღმავლობის დიდი პერიოდი.

ივანე გომელაური ახალგაზრდული ენერგიით და გატაცებით შეუდგა საბჭოთა სკოლებში ახალგაზრდობის კომუნისტური სწავლა-აღზრდის დიადი ამოცანების განხორციელებას. თითქოს გაორკეცდა ხანში შესული პედაგოგის ძალღონე და უნარი. იგიც არ ზოგავს თავის შესაძლებლობებს. 1921—1927 წლებში ასწავლის ქართულ ენას ქართულ გაერთიანებულ სამხედრო სასწავლებელში, 1927—1930 წლებში — ამიერკავკასიის ფეხოსანთა სამხედრო სკოლაში, 1924—1930 წ.წ. შეთავსებით მუშაობს ქართული ენისა და საქმისწარმოების შემსწავლელ კურსებზე, 1930—1932 წლებში ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის XVI შრომის სკოლაში, ამავე წლებში შეთავსებით მუშაობს თბილისის მუშათა სასწავლო კომბინატში, 1930—1935 წლებში ასწავლის ქართულ ენას თბილისის სატყეო ინსტიტუტში, 1933—1938 წლებში — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1935—1937 წლებში ასწავლის უმაღლეს ფინანსიურ კურსებზე. 1938 წლიდან 1950 წლამდე ასწავლიდა ქართულ ენას ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სამასწავლებლო (ამჟამად პედაგოგიურ) ინსტიტუტში.

ეს უკანასკნელი წლები იყო ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი ივანე გომელაურის პედაგოგიურ მოღვაწეობაში. ყველა ტიპის სკოლის მუშაობაში შეიტანა მან თავისი წვლილი. ასობით და ათასობით მცოდნე, გამოცდილი და უნარიანი ახალგაზრდა აღუზარდა ივ. გომელაურმა თავის საყვარელ სამშობლოს. ამავე დროს განაგრძო მან მისი „ქართველი მწერლების“ შევსებულ-შესწორებული გამოცემანი. საბჭოთა სკოლა გაამდიდრა მრავალი ახალი წიგნით. 1925 წელს ამხანაგებთან ერთად შეადგინა და გამოსცა „Самоучитель грузинского языка“. ამავე წელს მისი მონაწილეობით გამოვიდა „ქრესტომათია არაქართველთათვის“. 1927 წელს სერ. გორგაძესა და შ. თაბუკაშვილთან ერთად გამოაქვეყნა სახელმძღვანელო ქრესტომათია „ტალღების“ სახელწოდებით და სხვ. ამ სახელმძღვანელოებით ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ივ. გომელაურმა საბჭოთა სკოლას, ჩვენს მოზარდ თაობას. ათეული ათასობით ქართველი ახალგაზრდა აღიზარდა საბჭოთა სკოლებში ივანე გომელაურის უშუალო და აქტიური მონაწილეობით შედგენილი სახელმძღვანელოებით.

* * *

ივანე გომელაური შეძლებისდაგვარად ეწეოდა სასარგებლო სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობასაც. ჯერ კიდევ ჟურნალ „განათლების“ 1908 წლის პირველ ნომერში მან მოათავსა მეტად საყურადღებო პედაგოგიურ-ლიტერატურული ნარკვევი „პედაგოგიური აზ-

რები ილია ჭავჭავაძის თხზულებებში“, რომელშიც პირველად დაალაგა დიდებული ქართველი მწერლის მხატვრულ ნაწერებში მოცემული პედაგოგიური აზრები და შეხედულებანი[1]. გაზეთ „საბჭოთა მასწავლებელში“ 1940 წელს დაიბეჭდა მისი საინტერესო წერილი „პედაგოგიური აზრები ნიკ. ბარათაშვილის ლექსებში“[2]. 1941 წელს გამოქვეყნდა ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის „შრომების“ მეორე ტომში ივ. გომელაურის ნარკვევი „სწავლა-განათლების ისტორიიდან საქართველოში“[3]. გარდა ამისა, ივ. გომელაურს საარქივო და პრესის მასალებზე დაწყარებით დამუშავებული აქვს მრავალი საკითხი საქართველოში სახალხო განათლების განვითარების ისტორიიდან. ასეთია მის მიერ თავმოყრილი მასალები: „ჭიათურის მრეწველთა საბჭოს კულტურული მუშაობა“, „ანდაზების მნიშვნელობა ბავშვთა სწავლა-აღზრდის საქმეში“, „მასალები საქართველოში დაწყებითი სკოლების ისტორიისათვის (1890—1903 წ. წ.)“, „ალ. ნათაძის „ბავშვების მოკეთე“ და ბრძოლა „დედაენის“ გადარჩენისათვის“, „მიხ. ნასიძის „ქართული ქრესტომათია“ და მისი თავგადასავალი“, „ჩვენს მიერ შედგენილი ქრესტომათიის „სკოლებში შესასწავლი ქართველი მწერლების „ისტორია“, „საკვირაო სკოლები, სახალხო კითხვები და სახალხო ბიბლიოთეკები საქართველოში“, „სწავლა-აღზრდის წესები საქართველოს სკოლებში (1877—1917 წ. წ.)“, „ბრძოლა იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარის“ წინააღმდეგ“ და სხვ.[4] მასვე ეკუთვნის მრავალი, მეტად საყურადღებო მოგონებანი: „იაკობ გოგებაშვილის შესახებ“[5], „ჩემი თავგადასავალი და მოგონებანი“[6] და სხვები.

ივანე გომელაური სისტემატურად ეწეოდა მხატვრულ-ლიტერატურული და პედაგოგიური თხზულებების ქართულ ენაზე თარგმნასაც. მისი თარგმანებიდან ქართულ პერიოდულ პრესაში და ცალკე გამოცემებად დაბეჭდილია: ვლ. კოროლენკოს მოთხრობა „აჩრდილ-

---

[1] ივ. გომელაური, პედაგოგიური აზრები ილია ჭავჭავაძის თხზულებებში, ჟურ. „განათლება“, 1908 წ., № 1, გვ. 29—40.

[2] „გაზ. „საბჭოთა მასწავლებელი“, 1940 წ., № 95.

[3] ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის „შრომები“, ტ. II, გვ. 323—326.

[4] ეს მასალები ხელნაწერთა სახით დაცულია საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდში და საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმში.

[5] ჟურნ. „განათლება“, 1913 წ., № 8, გვ. 448 და „იაკობ გოგებაშვილი (საიუბილეო კრებული)“, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, 1940 წ., გვ. 285—194.

[6] დაცულია საქ. სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტში.

ნი"[1], „რა არის ხარკი და ან რისთვის ჰკრეფენ"[2] „მოწაფის ჰიგიენა"[3], ვოეთეს „ბუნება"[4], ანტ. ჩეხოვის „ალიაქოთი"[5], მისივე „უფროსი მებალის ნაამბობი"[6], მისივე „მღვდელმთავარი"[7], ჰ. ჰაუპტმანის „მიხეილ კრამერი"[8], მისივე „სულით ობოლნი"[9] და სხვები.

ივ. გომელაურს ეკუთვნის ჩვენს რევოლუციამდელ პრესაში გამოქვეყნებული ზოგი ორიგინალური საბავშვო მოთხრობა და მრავალი საგაზეთო და საჟურნალო კორესპონდენცია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ საჭირბოროტო და აქტუალურ საკითხებზე. ქართულ პრესაში იგი უმეტესად თანამშრომლობდა ფსევდონიმით „ი. გ-რი", გარდა ამისა, დრო გამოშვებით ეფარებოდა ფსევდონიმებს: „X", „კოწოლა", „მირზა", „ვ-ო", „მირზახან" „ყველგანმყოფი", „დამსწრე", „გომელი" და „კოწოლაური".

ი. ივ. გომელაურის საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობის ღირსეული დაფასება

ივანე გომელაური ახალგაზრდების მეტად გულისხმიერი მეგობარი და აღმზრდელი პედაგოგი იყო. მას უყვარდა თავისი მოსწავლეები და მოსწავლეებსაც უყვარდათ იგი. ივანე გომელაური გულწრფელი და გულახდილი იყო მოსწავლეებთან და ამითვე უპასუხებდნენ ისინიც თავის საყვარელ მასწავლებელს. გამოცდილი პედაგოგი მუდამ ცდილობდა, რომ მოსწავლეებისათვის ყოველთვის ყოფილიყო ადამიანური ქცევისა და მოქმედების საუკეთესო მაგალითი და მიბაძვის საგანი.

თავის წერილში „ძველი მასწავლებლის შენიშვნები და მოგონებანი", ივ. გომელაური მისი მდიდარი პედაგოგიურ-მეთოდური გამოცდილების საფუძველზე გულახდილად აღიარებს, რომ პრაქტიკულ-პედაგოგიური მუშაობის დაწყების პირველ წლებიდანვე „საბოლოოდ დავადექი იმ აზრს, რომ მასწავლებელ-მოსწავლეთა შორის მთავარი არის და უნდა იყოს არა შიში, არამედ მეგობრობა, ანუ, როგორც ჩვენი დიდი მგოსანი აკაკი განმარტავს: გრძნობისა და

---

[1] ჟურ. „მოამბე", 1896 წ., № 9.

[2] ცალკე წიგნად გამოსცა ი. იმედაშვილმა 1898 წელს.

[3] პირველად გამოსცა ი. იმედაშვილმა 1899 წ., შემდეგ კიდევ გამოიცა სამჯერ (1906, 1917 და 1920 წ. წ.).

[4] ჟურ. „კვალი", 1900 წ., № 17.

[5] ჟურნ. „კვალი", 1902 წ., № 30.

[6] ჟურნ. „განათლება", 1914 წ., № 5.

[7] გაზ. „ცნობის ფურცელი", 1904 წ., №№ 2594, 2600 და შემდეგ.

[8] ჟურნ. „განათლება", 1913 წ., №№ 7,8,9 და 10.
ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1914 წ., №№ 24, 25, 26 და შემდეგ.

აზრების შეთანხმება... ეს ძალიან კარგია, თუ მასწავლებელი თავის გრძნობა-გონებას მოწაფისას შეუთანხმებს, მაგრამ, ჩემის ღრმა რწმენით, უფრო უკეთესია და შესაძლებელი, რომ მასწავლებელს უყვარდეს თავისი მოწაფე, რაც თავისთავად გამოიწვევს მოწაფის სიყვარულსა და პატივისცემას თავის მასწავლებლებისადმი"[1].

ივ. გომელაური თავის ხანგრძლივ და მეტად ნაყოფიერ პრაქტიკულ-პედაგოგიურ მოღვაწეობაში ყოველთვის ცდილობდა სრულყოფილად განეხორციელებინა მის მიერ იმთავითვე შემუშავებული ძირითადი პედაგოგიური დებულება. დასახელებულ „შენიშვნებსა და მოგონებაში" იგი გადმოგვცემს, რომ „ბაქოს საზღვაო სკოლაში,— სადაც ივ. გომელაური, როგორც აღვნიშნეთ, მასწავლებლობდა 1904—1905 წლებში.— თავმოყრილი იყო, უმთავრესად, სხვა სკოლებიდან დათხოვნილი და თავზე ხელაღებული ბიჭები. მათ შორის იყო ვინმე სტეფანოვი. იგი არაფერს არ სწავლობდა, რადგანაც საშინელი ზარმაცი იყო. მე მას ბევრს დარიგებას ვაძლევდი, ხან კიდევ ვარცხვენდი. იმავე დროს მე ძალიან ვწუხდი, ვღელავდი... ის მაინც გაკვეთილებს არ ამზადებდა... ერთხელ ვკითხე გაკვეთილი და აღმოჩნდა, რომ მშვენივრად იცოდა... მოწაფეებს გაუკვირდათ, მე მესიამოვნა... როდესაც შევეკითხე: ეს როგორ მოხდა მითქი? მან უყოყმანოდ მიპასუხა: მე ვიცოდი, თქვენ გეწყინებოდათ გაკვეთილი რომ არ მცოდნოდა და ამიტომ ძალა დავატანე ჩემს თავს და ვისწავლეო... ამის შემდეგ ამ ყმაწვილმა (16—17 წლისა იყო) დაიწყო მეცადინეობა და გადავიდა შემდეგ კლასში"[2].

გამოცდილ პედაგოგს კარგად ესმოდა, რომ აღმზრდელ-მასწავლებლისათვის მარტო მოსწავლეთა სიყვარული და მათდამი გულწრფელ-მეგობრული დამოკიდებულება, რომელიც, რასაკვირველია, არას დროს არ უნდა სცილდებოდეს განსაზღვრულ ფარგლებს, მაინც არ არის საკმარისი. ამავე დროს ჭეშმარიტი პედაგოგისათვის აუცილებელია საფუძვლიანი მეცნიერული და პედაგოგიკურ-მეთოდიკური ცოდნა-განათლება, რომელიც თანდათან უნდა იზრდებოდეს და ფართოვდებოდეს. თავიდანვე ამის ნათელი შეგნებით აღჭურვილი ივ. გომელაური სისტემატურად ეწეოდა დამოუკიდებელ, თვითგანვითარებითს მუშაობას და ამდიდრებდა თავის ცოდნა-მომზადებას ახალ-ახალი მეცნიერული ფაქტებით და გამოცდილებით, რომელსაც მოხდენილად იყენებდა თავის პედაგოგიურ პრაქტიკაში.

ივანე გომელაური ხელოვანი პედაგოგი იყო. „ივანე მიხეილის-ძე იყო ქართული ენის მასწავლებელი, ანუ, უფრო სწორად რომ

---

[1] საქართველოს სსრ განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი, № 1849, გვ. 4—5.

[2] იქვე, გვ. 6—7.

ვსთქვათ, მისი დახელოვნებული მეცნიერი და ხუროთმოძღვარი. მის ოქროს ბაგეებზე ქართული სიტყვა მარგალიტი იყო, პროზა—წარმტაცი, ლექსი—ჰომპიბლავი; მისი ხელით დაწერილი ქართული ასოები ხელოვნების შედევრად გვეჩვენებოდა"—წერს მისი ყოფილი მოსწავლე პროფ. ი. ტალახაძე[1]. ივ. გომელაური სასტიკად ებრძოდა ე. წ. პედაგოგიურ შტამპს. მისი გაკვეთილების შინაარსი მეტად მდიდარი იყო და გარეგნული ფორმით მიმზიდველი. მას ბუნებრივადაც არ აკლდა პედაგოგისათვის საჭირო არტისტულობა. ამიტომ მოსწავლენიც ყოველთვის გატაცებით უსმენდნენ მას: „ბევრი კარგი და ცუდი გაკვეთილი მიმიცია, ალბათ, ორმოცდაათ წლის განმავლობაში,—მორცხვად წერს პედაგოგი, მაგრამ ყველაზე კარგად მე ის გაკვეთილი მიმაჩნია, რომელიც მივეცი ჭიათურის უმაღლეს დაწყებითი სკოლის მეხუთე კლასში... სწორედ რომ ვთქვათ, ეს ჩვეულებრივი გაკვეთილი კი არა—ჩემს მიერ წაკითხული იყო ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანის?!" უკანასკნელი თავები. კითხვას სულგანაბული უგდებდნენ ყურს მოწაფეები, მაგრამ სასაცილო ადგილების წაკითხვის დროს მეცა და ისინიც ერთად ვიცინოდით... ამ სიმხიარულემ უმაღლეს წერტილს მიაღწია მაშინ, როდესაც მე წარმოვადგინე ლუარსაბ თათქარიძის „ლხინი"... მის მიერ კახეთის ქება, მთვრალი კაცის ბოდვა!... გათავდა მოთხრობა... წავიკითხე ეპილოგიც... ყველას სახე შეეცვალა, ჩაფიქრდა, სერიოზულობა დაეტყო... კითხვა რომ გავათავე, მოწაფეები მხიარულნი, აღტაცებულნი გამოვიდნენ კლასიდან... მეც მათთან"[2]...

რამდენი მოსწავლე ახალგაზრდა აღელვებულა ივ. გომელაურის მგზნებარე პატრიოტული შინაარსის გაკვეთილებით, რამდენ მათგანს გაღვივებია გულში დაუცხრომელი სიყვარული მშობლიური ქვეყნისა და ხალხისადმი, რამდენს ზიზღით მოუგონებია საქართველოს გარეშე ისტორიული მტრები და ამაოხრებლები; შინაური მოღალატე, გამცემი, უქნარა და უსაქმური კაცუნები; რამდენს შეშუშავებია ნათელი იდეალი განახლებულ სამშობლოსა და კაცობრიობის საუკეთესო მერმისისათვის შეუნელებელი ბრძოლისა! „ივანე მიხეილის-ძე შესანიშნავი პატრიოტი იყო და არის. პატრიოტიზმი მას სწორედ ინტერნაციონალური გაგებით ესმის. როდესაც ის ჩვენ ქართველი მწერლების ნაწარმოებთ გვიხსნიდა, მიგვითითებდა ხოლმე დიდ რუს მწერლებზე და მათი ნაწარმოებებიდან ანალოგი-

---

[1] პროფ. ი. ტ ა ლ ა ხ ა ძ ე, ძვირფასი მასწავლებელი, გაზ. „სახალხო განათლება", 1948 წ., № 49.

[2] საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი, № 1849, ფ. 19.

ურ თემებს და ტიპებს მოგვაგონებდა. ყოველ ასეთ შემთხვევაში ისე გულთბილად და ღრმა პატივისცემით მოიხსენიებდა ამ მწერლებს, რომ დაუშრეტელ წყურვილს აღგვიძრავდა მათს ნაწარმოებთა წასაკითხავად"—წერს პროფ. ი. ტალახაძე[1].

ივანე გომელაური ჭეშმარიტი პედაგოგის გულწრფელი გრძნობით დაწვრილებით მოიგონებდა მისი საუკეთესო მოსწავლეების ყოველდღიურ ქცევას, სწავლა-მეცადინეობის მიმდინარეობის მნიშვნელოვან მომენტებს, მათს აკადემიურ წარმატებას, კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობას. ასეთი ნიჭიერი და პედაგოგისათვის საყვარელი მოსწავლეები ივ. გომელაურს ასეულობით ჰყოლია, საგანგებოდ გამოუზრდია და საბოლოოდ სწორი მიმართულება მიუცია მათი რაციონალური განვითარებისა და შემდეგში სწავლა-განათლების წარმატებისათვის. თავისი პედაგოგიური შრომითა და მისი შედეგებით კმაყოფილი პედაგოგი უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით მოიგონებდა მის ყოფილ მოსწავლეებს, რომელთა საგრძნობი ნაწილი ამჟამად მეტად თვალსაჩინო მოღვაწეობას ეწევა მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის სხვადასხვა დარგში. ამათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ივანე გომელაურის ყოფილი მოსწავლეები: ოზურგეთის საქალაქო სასწავლებლიდან — ალექსანდრე წუწუნავა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, ვასო ურუშაძე—საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი; ძველი სენაკის ქართული სკოლიდან—აკაკი ფალავა, რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის პროფესორი; ჭიათურის საქალაქო სასწავლებლიდან—ილარიონ ტალახაძე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, დავითაშვილი—თბილისის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის პროფესორი, პეტრე ბუაჩიძე—თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი და სხვ.

ივანე გომელაურის გულისხმიერ დამოკიდებულებას მადლიერი მოსწავლეები არაერთგზის აღნიშნავდნენ კერძო ბარათებსა და საყვარელი მასწავლებლისადმი მიძღვნილ ლექსებში. თავიანთ გულთბილ წერილებში მისი ყოფილი მოსწავლეები მოწიწებით მოიხსენიებდნენ ვალმოხდილი პედაგოგის დაუფასებელ ღვაწლს მათს სწავლა-აღზრდის საქმეში და დამსახურებულ მადლობას უძღვნიდნენ მას. იმათ კერძო წერილებში გამოხატული იყო მადლიერ მოსწავლეთა

---

[1] პროფ. ი. ტალახაძე, ბვირფასი მასწავლებელი, გაზ. „სახალხო განათლება", 1948 წ., № 49.

ის დიდი სითბო და პატივისცემა აღმზრდელი-მასწავლებლისადმი, რომელიც ასულდგმულებს და ამოქმედებს ყოველ ნამდვილ პედაგოგს. ერთი ყოფილი მოსწავლეთაგანი ქიათურის საქალაქო სკოლიდან ივ. გომელაურისადმი მიძღვნილს ლექსში აღნიშნავდა:

„წყვდიადში ვიყავ, ხსნას არ ველოდი,
მწარე სიცოცხლე მომბეზრებოდა,
გულს დაოდი მაწვა, ვით მძიმე ლოდი,
თვალები ცრემლით ემდურებოდა...

თქვენ დახმარების მომეცით ხელი
და მომაწოდეთ სიცოცხლის წყარო,
მით ვალი დამდეთ გადაუხდელი,
სამარადისოდ დაუვიწყარო!"[1]

მეორე ყოფილი მოსწავლეთაგანი სამართლიანად აღნიშნავდა:

„თქვენ მრავალს გულები შთანერგეთ
უკვდავი გრძნობა გმირისა,
ეთილშობილი აზრები
ხალხისთვის თავგანწირვისა.

თქვენ სწორედ დაიმსახურეთ
მიცოვან ოსტატის სახელი,
ბევრი მოეცით ქვეყანას
თავდადებული ქართველი".

ასე აფასებდნენ ივანე გომელაურის ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას მის მიერ უდიდესი ენერგიით, სიყვარულით და გულისხმიერებით აღზრდილი მოსწავლეები. ამ სიტყვებში გადაუჭარბებლადაა მოცემული ივ. გომელაურის მრავალწლიანი, მეტად ნაყოფიერი პედაგოგიური შრომის მნიშვნელობა სახალხო განათლების დარგში. ივანე გომელაური ქეშმარიტად თავდადებული და უანგარო საზოგადო მოღვაწე პედაგოგი იყო. მაგრამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მისი პედაგოგიური მუშაობა ყოველმხრივ შებოჭილი, შევიწროებული და გაუშლელი იყო. მეფის ხელისუფლებისა და მენშევიკების უნიათო მთავრობის მოხელეები მებრძოლ სახალხო მასწავლებელს სასტიკად ზღუდავდნენ, ხელფეხს უკრავდნენ და არ აძლევდნენ განზრახული მუშაობის ოდნავად მაინც დამაკმაყოფილებლად გაშლის საშუალებას. 1937 წელს თავის წერილში სათაურით „დიდმა ოქტომბერმა აღადგინა მშობლიური ენა" ივანე გომელაური სამართლიანად წერდა: „ვინც მეფის რეჟიმის დროს მასწავლებლად არა ყოფილა, ის ახლა ვერც კი წარმოიდგენს, თუ რა აუტანელ პირობებში უხდებოდა მუშაობა მაშინდელ სახალხო მასწავლებელს". და ქვევით განაგრძობდა: „რო-

[1] საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ხელნაწერი № 1742, გვ. 27.

დესაც ამას ვიგონებ და ვხედავ ჩვენს ახლანდელ სკოლებს, სადაც არა მარტო ენა და ლიტერატურა, არამედ ყველა საგანი ისწავლება მოსწავლეთა მშობლიურ ენაზე ყველა საფეხურისა და ტიპის სკოლებში, რომელთათვისაც შემუშავებულია სათანადო სახელმძღვანელოები — გული სიხარულით მევსება და ვმადლობ ჩემს ბედს რომ სიბერის დროს მაინც მოვესწარი იმას, რაზედაც ახალგაზრდობისას ვოცნებობდი"[1].

ივ. გომელაურის შემოქმედებით პედაგოგიურ მუშაობას მხოლოდ ჩვენს ეპოქაში მიეცა ყოველმხრივ გაშლა-გაფართოვებისა და გაფურჩქვნის სრული შესაძლებლობა. თავისი ნაყოფიერი სიცოცხლის უკანასკნელ 27 წლის განმავლობაში მიაღწია მხცოვანმა პედაგოგმა მაქსიმალურ შედეგებს პედაგოგიურ მუშაობაში. მხოლოდ საბჭოთა პერიოდში შესძლო დაუღალავმა პედაგოგმა სრულყოფილად და გულმხურვალედ განეხორციელებინა მისი დიდი ხნის იდეალები და სანუკვარი სურვილები ფიზიკურად ჯანსაღი, გონებრივად განვითარებულ-განათლებული და ზნეობრივად სპეტაკი ქართველი ახალგაზრდა პატრიოტების მრავალი თაობის აღზრდისა.

ივ. გომელაურის მრავალმხრივი და ესოდენ ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობა ღირსეულად იქნა დაფასებული კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ. სრულიად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1935 წლის 26 ნოემბრის დადგენილებით სახალხოგ ანათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ივანე მიხეილის-ძე გომელაურს, სახალხო განათლების სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად, მიენიჭა საქართველოს სს რესპუბლიკის შრომის გმირის წოდება. მასწავლებელთა შრომის ასეთი მაღალი შეფასებით აღფრთოვანებული მოწინავე ქართველი პედაგოგები თავიანთ გულმხურვალე მისალმებაში წერდნენ კომუნისტური პარტიისა და ხალხთა დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის საქმის დიდ განმგრძობს ი. ბ. სტალინს: „გაიზარდა და განმტკიცდა საბჭოთა სკოლა, რომელიც, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის იდეებით შეიარაღებული, ამზადებს უკლასო სოციალისტური საზოგადოების ახალ თაობას. შენი მზრუნველობით და დახმარებით, ამხანაგო სტალინ, სახალხო მასწავლებელი იმ სიმაღლეზე ავიდა, რომელზედაც არ მდგარა, არ დგას და არც შეიძლება იდგეს იგი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ამიტომაც ასე უსაზღვროა ჩვენი სიყვარული შენდამი. ჩვენი რიგებიდან საუკეთე-

[1] ი ვ. გ ო მ ე ლ ა უ რ ი, დიდმა ოქტომბერმა აღადგინა მშობლიური ენა. გაზეთი „კომუნისტური განათლება", 1937 წ., 7 ნოემბერი, № 104.

სო მუშაკები პარტიამ და ხელისუფლებამ შრომის გმირის საპატიო სახელით, ამიერ-კავკასიის და საქართველოს ცაკის სიგელებით დააჯილდოვეს. უსაზღვრო მადლობას ვუძღვნით პარტიას და ხელისუფლებას პედაგოგიური ფრონტის დაუღალავ მუშაკთა დაჯილდოებისათვის. ჩვენი ამხანაგების პედაგოგიური შრომის ასეთი მაღალი დაფასება კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს რიგებს, გააათკეცებს ჩვენს შრომას და ენერგიას საბჭოთა სკოლის მშენებლობის საქმეში"[1].

მოწინავე ქართველმა მასწავლებლებმა ბრწყინვალედ გაამართლეს დიდი ბელადისადმი მიცემული სიტყვა და გაკაჟებული ენერგიით შეუდგნენ ისინი საბჭოთა სკოლის და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის წინაშე მდგარი ძირითადი ამოცანების გადაწყვეტას. ივ. გომელაური ამ მოწინავე პედაგოგთა პირველ რიგში იდგა და თავის მდიდარ პედაგოგიურ გამოცდილებასა და ცოდნას უხვი ნაყოფიერებით ახმარდა სოციალისტური სამშობლოს თავდადებული შვილების აღზრდის დიდი სახელმწიფოებრივი ამოცანის განხორციელებას. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 1 დეკემბრის დადგენილებით სახალხო განათლების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის ივანე მიხეილის-ძე გომელაურს მიენიჭა საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

1948 წლის 3 დეკემბერს საბჭოთა საქართველოს პედაგოგიურმა საზოგადოებრიობამ უდიდესი მადლობის გრძნობით აღნიშნა ივანე გომელაურის დაბადების 80 წლისა და პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წლისთავი.

თავის სამშობლოსა და ხალხის წინაშე საკმაოდ ვალმოხდილი პედაგოგი ივანე გომელაური გარდაიცვალა 1951 წლის 8 ნოემბერს.

სახალხო მასწავლებლის სახელოვანი გზა განვლო ივ. გომელაურმა. მან იგემა მეფის რუსეთის მკაცრი რეჟიმის უსასტიკესი სუსხი და ძალადობა და განიცადა ქართველი მენშევიკების დამამცირებელი დამოკიდებულება მასწავლებლისადმი. მხოლოდ საბჭოთა სამშობლოში იგრძნო პირველად ივ. გომელაურმა ნამდვილი შვება და თავისუფლება. მხოლოდ დიდმა სოციალისტურმა ეპოქამ დააფასა ღირსეულად მისი დიდნაყოფიერი პედაგოგიური შრომა-მოღვაწეობა.

---

[1] გახ. „კომუნისტური განათლება", 1935 წ., № 31.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები*

1. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი იაკობ. პედაგოგიური თხზულებანი. ტ II. პროფ. გ. თავზიშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით. სახელგამი. 1940.
2. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი იაკობ. რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები, 1910.
3. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი ვალ.. ლექსები. თბილისი, 1944.
4. ქ ი ტ ი ნ ა ძ ე ზ ა ქ ა რ ი ა, ნიკო ცხვედაძე. ეურნ. „განათლება". 1910. № 10.
5. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი გ.. ი. გოგებაშვილის ხსოვნას. კრებული „იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად", ეურნ. „განათლების" გამოცემა, 1913.
6. ი. ზ. ც ხ ვ ე დ ა ძ ი ს ბიოგრაფია, ეურნ. „განათლების მეშვეი", 1928. № 16.
7. ალ. ც ხ ვ ე დ ა ძ ი ს ბიოგრაფია, „საქართველოს კალენდარი", 1894 წ.
8. მ ი ქ ა ბ ე რ ი ძ ე ალ., ნ. ცხვედაძის გარდაცვალების გამო, ეურნ. „ნაკადული", 1911, № 11.
9. მ ი ქ ა ბ ე რ ი ძ ე ალ., ნიკო ცხვედაძე. „საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდი.
10. ც ხ ვ ე დ ა ძ ე ნ., დეკანოზ მიიელ გურგენიძის გარდაცვალება მოსკოვში (ნეკროლოგი), გაზ. „დროება". 1868, № 33, ეურნ. „საქართველოს სასულიერო მახარობელი", 1868, № 6.
11. ც ხ ვ ე დ ა ძ ე ნ. წერილი პეტერბურგიდან. გაზ. „დროება". 1869. № 37.
12. ა რ ბ ო ლ ი [ნ. ლომოური]. იაკობ გოგებაშვილი (პირველი ნახევარი მისი ცხოვრებისა-მოღვაწეობისა), კრებული „იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად", 1913 წ.
13. ე გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი სოფ.. მოგონებანი. ლევან ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით. „ეროვნული ბიბლიოთეკა „ფედერაცია", თბილისი, 1928 წ.
14. ნ ა თ ა ძ ე გ.. ალ. ყიფიანის (ფრონელის) დღიურებისათვის, „ლიტერატურის მატიანე", 1942, № 3—4.
15. ხ უ ნ დ ა ძ ე ტრ.. პროფ., ნარკვევები სახალხო განათლების ისტორიიდან საქართველოში (XIX საუკუნე). თბილისი, 1951 წ.
16. ი ო ნ ი ძ ე ა.. იაკობ გოგებაშვილი (დოკუმენტალური მასალები), საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველოს გამოცემა. თბილისი, 1951 წ.
17. Керекин. Отчет о ревизии духовно-учебных заведений в Тифлисе в 1873—1874 году.

---

* დასახელებულია მხოლოდ ნაშრომში ციტირებული და მითითებული სპეციალური ლიტერატურა და წყაროები. ბიბლიოგრაფია დალაგებულია წიგნში მათი გამოყენების თანმიმდევრობით. ყოველი ლიტერატურული, თუ საარქივო წყარო ბიბლიოგრაფიაში მხოლოდ ერთხელ არის დასახელებული ვ. ქ.

18. ცხვედაძე ნიკო, მისვლა-მოსვლა რუსეთსა და საქართველოს შორის, 1492 წლიდან 1664 წლამდის, ჟურნ. „მნათობი“, 1871, №№ 5 და 6.
19. დავითაშვილი შიო, ხალხისნური მოძრაობა საქართველოში, თბილისი, 1933 წ.
20. ცხვედაძე ნიკო, დასავლეთ ევროპის გონებითი და ეკონომიური მოძრაობა თავისი მიზეზებით XVI საუკუნეში, ჟურნ. „კრებული“, 1872, №№ 10, 11, 12 და 1873, № 1.
21. ჭავჭავაძე ილია, თხზულებათა სრული კრებული, ტ. II, ბ. ინგოროყვას და ალ. აბაშელის რედაქციით, 1941.
წერეთელი გ., ბესარიონ ლოლობერიძე (ნეკროლოგი), გაზ. „დროება“, 1879, № 51.
23. ქვემო ქართლელი [ცხვედაძე ნ.], „ჩვენი ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა“, ჟურნ. „ივერია“, 1877, №№ 33, 34, 35, 36 და 37.
24. ქვემო ქართლელი [ცხვედაძე ნ.], „ჩვენი ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა“, ზაქ. ჭიჭინაძის გამოცემა, 1903 წ.
25. ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, ნაკვეთი 1, 1941 წ.
26. „ქართული წიგნი“, ბიბლიოგრაფია, საქ. სსრ წიგნის პალატის გამოცემა, ტ. 1, 1941 წ.
27. კრებული „სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში“, საქ. სსრ პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამოცემა, 1937 წ.
28. Хаханов А., Очерки по истории грузинской словесности, Выпуск 4-й, Москва, 1906.
29. ბოცვაძე ლ., ნიკოლოზ ზებედეს-ძე ცხვედაძე, ჟურნ. „განათლება“, 1911, № 9.
30. ბოცვაძე ლ., ქვემო ქართლელი „ჩვენი ხალხის განათლება, ხელოსნობა და მეურნეობა“ (რეცენზია), ჟურნ. „განათლება“, 1909, № 1.
31. ქაჯაია ვ., ნიკო ცხვედაძის ორი უცნობი ფსევდონიმი, გაზ. „საბჭოთა მასწავლებელი“, 1945, № 12.
32. ქაჯაია ვ., რამდენიმე ახალი ბიოგრაფიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობა ი. გოგებაშვილისა და ნ. ცხვედაძის შესახებ, საქ. სსრ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის IV სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, 1948.
33. ჭავჭავაძე ილია, მხატვრული ნაწერების ერთტომეული, თბილისი, სახელგამი, 1937 წ.
34. ქართველი მგზავრი [ცხვედაძე ნ.], მოკლე შენიშვნები საზღვარგარეთიდამ, ჟურნ. „ივერია“, 1878, №№ 31, 32, 33, 34, 35. 37. 39, 41 და 42.
35. Кинщидзе Гр., Периодическая печать на Кавказе, 1901 г.
36. Приказ по управлению наместника Кавказского, № 21, 20/V, 1878 г.
37. მესხი ი., ყმაწვილების აღზრდა შვეიცარიაში, ჟურნ. „კრებული“, 1873, № 8.
38. გაზ. „დროება“, 1874, № 424.
39. ხუნდაძე სიმ., დიმიტრი ყიფიანი, მონოგრაფია, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი, 1936.

40. ცხვედაძის წერილი დიმ. ყიფიანისადმი, საქ. სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების დიმ. ყიფიანის პირადი არქივის ფონდი, № 531, წერილი შეკვეცით გამოქვეყნებული იყო „სახალხო გაზეთში“, 1912. № 660 და სიმ. ხუნდაძის მონოგრაფიაში „დიმიტრი ყიფიანი“, 1936 წ., № 210—211.
41. „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების“ ანგარიში, 1887 წ.
42. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი დ., მემუარები, სახელგამი, თბილისი, 1932 წ.
43. ფ ე რ ა ძ ე ალ., სიტყვა ნ. ცხვედაძის გარდაცვალების გამო, „ბათუმის გაზეთი“, 1911, № 99.
44. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ილია, პედაგოგიური თხზულებანი, პროფ. გ. თავზიშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით, სახელგამი, თბილისი, 1938.
45. საქ. სსრ ცა., „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების“ ფონდი. საქმე № 14.
46. აკად. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს სახელობის საქ. სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ფონდი, № 5332.
47. ლ ა ს ხ ი შ ვ ი ლ ი გ., მეძუარები, პოლიტკატორღელთა საზოგადოების გამოცემა, თბილისი, 1934 წ.
48. „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობის აღრესი ნ. ცხვედაძისადმი, საქ. სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი. № 1923, ჟურნ. „ნიშადერი“, 1908. № 46.
49. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ილია, საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის, ჟურნ. „ივერია“, 1877, № 37.
50. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ილია, საზოგადოება შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის (წერილი მეორე), ჟურნ. „ივერია“, 1878, № 18.
51. ჟურნ. „ივერია“, 1879, № 1.
52. გაზ. „დროება“, 1879. № 27.
53. გაზ. „დროება“, 1879, № 31.
54. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე ილია, ნაწერების სრული კრებული პ. ინგოროყვას და ა. აბაშელის რედაქტორობით, ტ. VI, გამომცემლობა „ქართული წიგნი“, 1927
55. საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 1894.
56. Доклад комиссии по выработке типа Тифлисской дворянской школы и по образованию ея, Тифлис, 1895 г. იხ. აგრეთვე გაზ. „ივერია“, 1893, № 89.
57. თბილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასურველი ორგანიზაციის პროექტი, გაზ. „ივერია“, 1905, № 89.
58. საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 1864.
59. ი ა შ ვ ი ლ ი სეით, მასალები თბილისის ქართული გიმნაზიის ისტორიისათვის. ინახება საქ. სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმში, ხელნაწერთა ფონდი, № 1942.
60. მ ი ქ ა ბ ე რ ი ძ ე ალ., მოგონება ი. ჭავჭავაძეზე, „ილია ჭავჭავაძე“ (საიუბილეო კრებული), სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, 1939.
61. ჟურნ. „განათლების მუშაკი“, 1928, № 13.

62. ჭავჭავაძე ილია. ნაწერების სრული კრებული. 3. ინგოროყვას და ა. ბაბაშელის რედაქციით. ტ. VII. გამომცემლობა „ქართული წიგნი“, თბილისი. 1928.

63. გაზ. „ივერია“, 1893, № 99.

64. Цхведадзе Н., Записка о положении городских начальных школ и Тифлисского городского Михайловского Ремесленного училища и о мерах и наилучшей постановке в них учебного дела, Тиф. 1892.

65 სანო [ჭელაშვილი სტ.], ქართველთა შორის. გაზ. „ივერია“. 1898. № 30.

66. გაზ. „Новое обозрение“-ს სარედაქციო წერილი „Тифлисское Городское училище“, газ. „Новое обозрение, 1892, № 3002.

67. ჟურნ. „მოამბე“, 1899, № 1.

68. ჭ [იპინაძე] ზ., დიდებული საქმე ქართველი ერისა, 1908 წ.

69. ბერიძე ვახტ., სვიმონ კლდიაშვილი. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1945, № 18.

70. ანგარიში ღარიბ მოსწავლეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოებისა, 1897.

71. გოგებაშვილი ი., დღევანდელი კვერცხი თუ ხვალინდელი ქათამი, გაზ. „ივერია“, 1899, № 41.

72. გაზ. „ივერია“, 1900. № 225.

73. მანსვეტაშვილი ი., მოგონებანი. ლევან ასათიანის რედაქციით. წინასიტყვაობით და შენიშვნებით, გამომცემლობა „ფედერაცია“. თბილისი, 1936 წ.

74. Багратион-Давидов, Мои воспоминания, საქართველოს სსრ სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდი, № 78.

75. ღარიბ მოსწავლეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების 1916 წლის ანგარიში, 1917.

76. ჯაბადარი ალ., მოგონებანი, ჟურნ. „ენათობი“, 1934, № 1.

77. ნათაძე გრ., პროფ., მოგონებანი. საქ. სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი. № 1773.

78. ცაგარელი ალ., პროფ., ჩემი იუბილე, ჟურნ. „ქართული ენა“. 1927, № 3—4.

79. განდეგილი, დიდებული მოხუცის ხსოვნას (ნ. ცხვედაძის გარდაცვალების გამო). „სახალხო გაზეთი“, 1911, № 41.

80. ყიფიანი ს., წერილი ნ. ცხვედაძეს. გაზ. „კოლხიდა“. 1911. № 177.

81. ჯავახიშვილი ივ., აკად., უნივერსიტეტის ათი წლისთავზე წაკითხული მოხსენების სტენოგრამა (ინახება. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქ. სსრ სახელმწიფო მუზეუმის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტში).

82. ლეისტი არტ., მოგონებანი ილ. ჭავჭავაძეზე, ჟურნ. „განათლება“, 1918, № 1.

83. დიასამიძე გრ., ნიკო ცხვედაძის ხსოვნას, გაზ. „თემი“, 1911, № 44.

84. გაბაშვილი ეკ., რამდენიმე შეხვედრა ილია ჭავჭავაძესთან. „ლიტერატურის მატიანე“, 1940, წიგნი 1—2.

85. ახნაზაროვი ა., ილია ჭავჭავაძე და მისი დრო, საიუბილეო კრებული „ილია ჭავჭავაძე“, 1939 წ.
86. ლეისტი არტ., საქართველოს გული, წიგნი მეორე, 1927 წ.
87. ცხვედაძე ნ., სიტყვა ილ. ჭავჭავაძის დასაფლავებაზე, კრებული „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, თბილისი, 1907 წ.
88. ტაბიძე პრ., ნაწყვეტები მოგონების რვეულიდან, ინახება აქს. მიხ. კეკელიძესთან.
89. მიქაბერიძე ალ., მშობლიური ქვეყნის დიდი მოამაგე. საიუბილეო კრებული „იაკობ გოგებაშვილი“, უნივერსიტეტის გამოცემა, 1940 წ.
90. ცხვედაძე-გოგიჩაიშვილი ელ., ი. გოგებაშვილი და ნ. ცხვედაძე, საიუბილეო კრებული „იაკობ გოგებაშვილი“, 1940 წ.
91. გომელაური ივ., იაკობ სვიმონის-ძე გოგებაშვილი, კრებული „იაკობ გოგებაშვილი“, 1940 წ.
92. მეუნარგია ი., ილია ჭავჭავაძე (მოგონებანი). სოლ. ცაიშვილის რედაქციით და შენიშვნებით. ამეგრელოს მუზეუმის გამოცემა. თბილისი, 1937 წ.
93. გოგიჩაიშვილი ფ., პროფ., იაკობ გოგებაშვილი. კრებული „იაკობ გოგებაშვილი“, 1940 წ.
94. ზურაბიშვილი ილია. მოგონება ნიკო ცხვედაძეზე. ინახება საქ. სსრ ახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში.
95. წერეთელი აკაკი. თხზულებათა სრული კრებული, ტ I. 1940 წ.
96. სოსლანი დ., სახალხო საჩუქარი, ეურნ. „კვალი“. 1895, № 1.
97. გოგებაშვილი ი., წერილი ლ. ბოცვაძისადმი. საქ. სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი. № 9.
98. წერეთელი აკაკი. სიტყვა ნ. ცხვედაძის დასაფლავებაზე. გაზ. „თემი“, 1911, № 44.
99. გრიშაშვილი ნიკო ცხვედაძის ხსოვნას (ლექსი). გაზ. „თემი“ 1911. № 44.
100. ფერაძე ილია, ნიკოლოზ ზებედეს-ძე ცხვედაძე. „ბ.თუმის ვაზეთი“, 1911. № 90.
101. ცაიშვილი ს., ალექსი ჭიკინაძე. „გაზ. „აბაკოთა მასწავლებელი“, 1939. № 6.
102. გიგიბერია [ბოკერია გ.], ალექსი ბესარიონის-ძე ჭიკინაძე (35 წლის პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობის გამო). ეურნ. „განათლება“. 1911, № 1.
103. ცაიშვილი ს., გერასიმე კალანდარიშვილი. გაზ. „ახალხო განათლების“ გამოცემა, თბილისი. 1947 წ.
104. მესხი დ., მოგონებანი. თბილისი. 1940 წ.
ი—ძე ი—ა [ჭყონია ილია]. კორესპონდენცია ქუთაისიდან. ეურნ. „ივერია“. 1878, № 6.
106. ხომლელი [ფანცხავა რ.]. ალექსი ჭიკინაძე — ბიოგრაფიზე სათქმელი (ბიბლიოგრაფია). ეურნ. „განთიადი“. 1915, № 17.
107. მესხი სერგეი, წერილები ი. ბოცვაძის რედაქციით. წინასიტყვაობით და შენიშვნებით, სოხუმი, 1950 წ.
108. ი—ძე ი—ა [ჭყონია ილია]. ორიოდე სიტყვა ქართულ სახელმძღვანელოებზე. ეურნ. „ივერია“, № 878. № 41.

109. გ ე რ ს ა ძ ი ა სერ.. ქუთაისის თეატრი. საქ. თეატრალური საზოგადოების გამოცემა, თბილისი, 1947 წ.
110. გ ო ი შ ა შ ვ ი ლ ი ი.. ლიტერატურული ნარკვევები. სახელგამი. 1952 წ.
111. ი ძ ე ი—ა [ჭყონია ილია], ქუთაისის თეატრის მატიანე, ეურნ. „ივერია“. 1878. № 18.
112. კ ე კ ე ლ ი ძ ე მიხ.. დ. დ. სემიონოვის პედაგოგიური მოღვაწეობა საქართველოში, 1954 წ.
113. გ უ ნ ი ა ვალერიან. დ. ჯანელიძის რედაქციით, თბილისი, 1953 წ.
114. მ ე ს ხ ი კოტე. დ. ჯანელიძის რედაქციით, თბილისი. 1953 წ.
115. მ ე ს ხ ი სერგეი. ბ. სემიონოვის პედაგოგიური აზრები, გაზ. „დროება“, 1880 წ.. № 209.
116. უ ო ტ ო რ გ ა ე ლ ი გ.. ფხაკაძე მძლეველი ბ. სემიონოვისა, გაზ. „დროება“, 1880 წ., № 216.
117. ს ე მ ი ო ნ ო ვ ი დ. დ.. წერილი გაზ. „დროების“ რედაქტორთან, გაზ. „დროება“, 1880 წ., № 222.
118. მ ი ქ ე ლ ა ძ ე ვლ.. ბ. სემიონოვი — პოლიტიკოსი. გაზ. „დროება“. 1880 წ., № 224.
119. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ი., თხზულებანი, ტ. 1, შედგენილი ზ. კიკნაძისა და ვ. ქაჯაიას მიერ, რედაქტორები გ. თავზიშვილი და დ. ლორთქიფანიძე საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტის გამოცემა, თბილისი, 1952 წ.
120. წ ე რ ე თ ე ლ ი აკაკი, ივანე მაჩაბელი, „აკაკის კრებული“, 1898, № 12.
121. ლ ე ო ნ ი ძ ე გიორგი, ივანე მაჩაბელი. ეურნ. „მნათობი“, 1928. № 1.
122. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე ალექსი, მოკლე ანგარიში ალექსანდრეს სათავად-აზნაურო სასწავლებლისა, გაზ. „შრომა“ (ქუთაისი), 1882, № 38.
123. ივანე მ ა ჩ ა ბ ე ლ ი ს წერილი ვასილ მაჩაბელისადმი, გაზ: „სახალხო განათლება“, 1948, № 28.
124. ხ ე ნ დ ა ძ ე ტრ., ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში, დაწყებითი და საშუალო სკოლის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის გამოცემა. თბილისი, 1940 წ.
125. საქართველოს სსრ ცა. ფონდი 107, საქმე № 98, ფურც. 9.
126. ძ ა მ ა ს ა შ ვ ი ლ ი რ., ქუთაისის ალექსანდრეს საზნაურო სასწავლებლის განყოფილების გახსნა და კურთხევა სამეგრელოში, ძველ სენაკში 1884-ს წ., ოქტომბრის 28-ს, გაზ. „დროება“, 1884 წ., №№ 240, 241 და 242.
127. სამეგრელოს სათავად-აზნაურო სკოლის კურთხევა („ივერიის“ კორესპონდენცია), ეურნ. „ივერია“, 1885 წ., № X, გვ. 77—79.
128. წ ე რ ე თ ე ლ ი ა.. სიტყვა. თქმული აკაკისაგან სამეგრელოს სათავად-აზნაურო სკოლის სახლის კურთხევის დროს, ეურ. „ივერია“, 1885 წ., № XI, გვ. 107—109.
129. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ი., ცოტა მეტი სინათლე (პასუხად ბ-ნს ალექსი ჭიჭინაძეს). გაზ. „ცნობის ფურცელი“. 1905 წ.. № 2879.
130. ალექსი ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს პატივსაცემად გამართული საკრებულო მეჯლისი, ეურნ. „კვალი“, 1894, № 20.
131. ს ო ფ ლ ი ს ხ ე ც ე ს ი [ღამბაშიძე დავით]. მწარე ფიქრები, ეურნ. „მწყემსი“, 1894. № 9.

132. Николадзе Н., Основные изъяны дворянских школ, газ. „Новое обозрение", 1893, №№ 3176, 3179, 3183 и 3186.

133. Гичинадзе Ал., Письмо в редакцию, газ. „Новое обозрение", 1893, № 3191.

134. Из архива Н. Я. Николадзе, Основные изъяны дворянских школ с новым предисловием. Поти, 1910.

135. გოგებაშვილი იაკობ, სიტყვა, თქმული საზნაურო სკოლის საზოგადოების წლიურ კრებაზეღ 30 აპრილს, 1893 წ., გაზ. „ივერია", 1893, №№ 177, 178 და 179.

136. ბეგიაშვილი თედო, ერთი ეპიზოდი ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდან. გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1937, № 15.

137. სოფლის ხუცესი [ღამბაშიძე დავით], სათავად-აზნაურო სკოლის შესახებ. ეურნ. „მეურნე", 1892 წ., № 12—16.

138. ი. ბ. [ივანე მაჩაბელი]. სათავად-აზნაურო სკოლების მტერ-მოყვარე. ეურნ. „კვალი", 1893, № 11.

139. თომაშვილი დომ., აკაკი და ალექსი ჭიჭინაძე (ლექსი). გაზ. „ინდეტრიელი ქუთაისი", 1940, № 137.

140. ჭიჭინაძე ალექსი, პასუხად ბ-ნ იაკობ გოგებაშვილს (წერილი რედაქციის მიმართ), გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905, № № 2872, 2873.

141. Отчеты об осмотре народных училищ Кавказского учебного округа 1902 г., Тифлис, 1903.

142. კახაბერი [ბოცვაძე ლ.]. ალექსი ბესარიონის-ძე ჭიჭინაძე (ნეკროლოგი). ეურნ. „განათლება", 1917, № 2.

143. ჭიჭინაძე ალექსი, პასუხი ბატონს იაკობ გოგებაშვილს, გაზ. „ცნობის ფურცელი", 1905 წ., № № 2913, 2914.

144. გოგებაშვილი იაკობ, შევიწროება ქართული ენისა და ქართველობისა სწავლა-განათლების სფეროში, გაზ. „Рассвет", 1905 წ., №№ 112, 113, 116.

145. გოგებაშვილი იაკობ, მეცხრე პასუხი (წერილი რედაქციის მიმართ), გაზ. „ივერია", 1905 წ., № 148.

146. ძიძიგური ვ., საყვარელი მასწავლებელი, გაზ. „სახალხო განათლება", 1946, № 23.

147. ძიძიგური ვ., აკაკი წერეთელი (მოგონება), ეურნ. „მნათობი", 1945, № 2—3.

148. ბოცვაძე ლ., ალექსი ბესარიონის-ძე ჭიჭინაძე, ეურნ. „განათლება", 1914, № 7.

149. ჭიჭინაძე ალექსი, გამოსალმება, ეურნ. „განათლება", № 7, 1914 წ.

150. ხაფომია გ., ალექსი ბესარიონის-ძე ჭიჭინაძის გამოთხოვებისას, ეურნ. „განათლება", 1914, № 8.

151. ჭიჭინაძე ალექსი, სიტყვა, თქმული თბილისის სათავად-აზნაურო ქართულ კერძო გიმნაზიაში სწავლის დაწყების წინ 1914 წლის სექტემბრის 1, ეურნ. „განათლება", 1914, № 7.

152. იაშვილი სეით. მასალები თბილისის ქართული გიმნაზიის ისტორიისათვის, საქ. სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 1942, გვ. 81.

153. კახაბერი [ბოცვაძე ლ.]. ალექსი ბესარიონის-ძე ჭიჭინაძე (1851—1917 წ. წ.), ეურნ. „განათლება", 1917 წ., № 2.

154. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე ალექსი. სიტყვა, თქმული იაკობ გოგებაშვილის დასაფლავების დროს 10 ივნისს, 1912 წელს, ხონში, კრებული „იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად“, 1913, იხ. აგრეთვე ეურნ. „განათლება“, 1912 წ., № 7, გვ. 539—545.

155. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე ალექსი, რიერაეზე სათქმელი, თბილისი, 1915 წ.

156. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე ალექსი, საჭიროა განვახორციელოთ 1914 წლის 1 ივლისის კანონი, ეურნ. „განათლება“, 1915, № 4.

157. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე ალ., პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა, მეორე გამოცემა, 1913 წ.

158. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე ალ., რუსული ენა ჩვენს სასწავლებლებში. გაზ. „დროება“, 1878, № 66 და № 67.

159. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე ალ., მოკლე საუბარი, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს პირველდაწყებითი კურსი გეოგრაფიისა სამშობლოს აღწერის სანიმუშო პროგრამით, 1907 წ.

160. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე ალ., მცენარეები და ცხოველები ცხელი ქვეყნისა, 1913 წ.

161. საქ. სსრ შსს ცენტრალური საისტორიო არქივის „ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების“ ფონდი, საქმე № 6544.

162. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე ალ., ეურნალ „ჯეჯილის“ ოცი წლის არსებობა. ეურნ. „განათლება“, 1910 წ., № 3, გვ. 151—152.

163. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე ალ., ჰერკულესი (თარგმანი). ეურნ. „ჯეჯილი“. 1891. № 3.

164. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე ალ., თეზეოსი (თარგმანი), ეურნ. „ჯეჯილი“. 1891, № 1.

165. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე ალ., ოქროს მატყლიანი ვერძი და იაზონი, ეურნ. „ჯეჯილი“, 1890, № 2.

166. საქართველოს სსრ ცენტრალური არქივი. ფონდი 431. საქმე 2[illegible].

167. ჩ ი ტ ა ძ ე შიო, სათავად-აზნაურო სკოლა და მისი სასურველი ცვლილებანი, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905. №№ 2834, 2836, 2837, 2840 და 2842.

168. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე შ., შიო ჩიტაძის ბიოგრაფიის საკითხისათვის. გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1951 წ., № 12.

169. ეურნ. „Молодая гвардия“, 1927, № 4.

170. ა ს ა თ ი ა ნ ი ლევან, მ. გორკი საქართველოში, იხ. წერილები ლიტერატურაზე, სახელმწიფო გამომცემლობა, 1946 წ.

171. ბ ა ლ ა ხ ა შ ვ ი ლ ი ი., მაქსიმ გორკი და გოლა ჩიტაძე, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1937, № 14.

172. ხ უ ნ დ ა ძ ე სიმ., მაქსიმ გორკი საქართველოში, „ლიტერატურული გაზეთი“, 1932, № 27.

173. ნ ი კ ო ლ ა ძ ე ანა, მაქსიმ გორკი და ქართული კულტურა. თბილისი, 1952 წ.

174. რ ო ბ ა ქ ი ძ ე სერ., მაქსიმ გორკი თბილისში, ეურნ. „ქართული მწერლობა“, 1928, № 5.

175. К а ч и н Е., Горький в Тифлисе.

176. ნ ი კ ო ლ ა ძ ე ანა, გორკი და საქართველო. ეურნ. „მნათობი“. 1948. № 4.

177. კ ვ ა ს ხ ვ ა ძ ე შ., მოსე თოიძე (სამოცი წლის მოღვაწეობის ვამო), გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949, № 7.

178. ჩ ი ტ ა ძ ე შიო (ნეკროლოგი), გაზ. „შრომა“. 1906. № 76.

179. ჩ ი ტ ა ძ ე შიო. გულახდილი თბილისელი ქართველი საზოგადოების მიმართ, ეურნ. „მწყემსი“, 1901 წ., № 9.

180. ნ ა თ ა ძ ე გრ., პროფ., ჩიტაძე (მოგონებანი), საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 1739.

181. ს ი ხ ა რ უ ლ ა ძ ე შოთა, შიო ჩიტაძე, ეურნ. „მნათობი“, 1954 წ., № 1.

182. ა ს ა თ ი ა ნ ი ლევან, ლესია უკრაინკა, საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემა, 1953 წ.

183. ა ზ ი ა ნ ი ნატალია, მოგონებანი ქართველ მწერლებზე (შიო ჩიტაძე). ლიტერატურის მატიანე, წიგნი 5, ნაკვეთი პირველი, 1949. წ.

184. ი მ ე დ ა ძ ე ვ., ლესია უკრაინკა საქართველოში, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1948, № 50.

185. ჩ ხ ი კ ვ ა ძ ე ზ., შიო ჩიტაძე (მკვლელობის ათი წლის თავი), გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916, № 614.

186. Киптарадзе Н., Воспоминания о Ш. А. Читадзе, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 1741.

187. ვ ა ჩ ნ ა ძ ე ს., შიო ჩიტაძე (მოგონება), საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 1737.

188. მ ი ქ ა ბ ე რ ი ძ ე ალ., შიო ჩიტაძე (მოგონება), საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 1738.

189. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი იაკობ, შენიშვნა, გაზ. „ცნობის ფურცელი“. № 3014.

190. ღ უ ლ ა ძ ე იაკობ, თბილისის სათავად-აზნაურო სკოლის რეორგანიზაცია, გაზ. „ივერია“, 1905, №№ 95. 97 და 103.

191. გ ო რ გ ა ძ ე სერ., ქართული ენა თბილისის სათავად-აზნაურო სკოლაში, გაზ. „ივერია“, 1905 №№ 95. 97 და 103.

192. გ ო რ გ ა ძ ე სერ., თბილისის სათავად-აზნაურო სკოლის რეორგანიზაცია, გაზ. „ცნობის ფურცელი“. 1905. № 2845.

193. ქ ა დ ა გ ი ძ ე დ., ბ-ნ იაკობ ღულაძის პედაგოგიური „ოთხთავი“, გაზ. „ცნობის ფურცელი“. 1905, № 2847.

194. გაზ. „ივერიის“ მოწინავე წერილები: სასკოლო რეფორმა (1905, № 90), დედაენა სკოლაში (1905. № 91), სკოლის რეორგანიზაცია (1905. № 93) და პროექტი (1905. № 104).

195. ჩ ი ტ ა ძ ე შიო. დიდი რიხი და სუეტი ღონე (პასუხი ბ-ნ ი. ღულაძეს), გაზ. „ცნობის ფურცელი“. 1905, №№ 2847 და 2848.

196. გაზ. „ცნობის ფურცლის“ სარედაქციო-საინფორმაციო წერილების სერია: თბილისის სათავადაზნაურო სკოლა, 1905. №№ 2837, 2841, 2849, 2851, 2853 და 2867.

197. ჩ ი ტ ა ძ ე შ., უცნაური შეღავათი. გაზ. „ცნობის ფურცელი“. 1905, № 2860.

198. ჩ ი ტ ა ძ ე შ., საშური საქმე, გაზ. „ცნობის ფურცელი“. 1905. № 2864.

199. ჩ ი ტ ა ძ ე შ., უცნაური ექიმი, გაზ. „ცნობის ფურცელი“. 1905. № 2865.

200. ჩ ი ტ ა ძ ე შ., სამარცხვინო ბორკილი, გაზეთი „ცნობის ფურცელი“. 1905. № 2867.

ტაძე შ., ახალი წესწყობილება, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2883.

ჩიტაძე შ., ერთი ნაკლთაგანი, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2884.

203. ჩიტაძე შ., ხალხის ხმის გადამცემი, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2885.

204. ჩიტაძე შ., თავისუფლების ღირსნი არა ვართ? გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2938.

205. ჩიტაძე შ., გუშინდელი წარსული, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1906, № 2971.

206. ჩიტაძე შ., მომავალი ტაქტიკა, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1906, № 2972.

207. ჩიტაძე შ., პატარა ამბების მაგიერი, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1906, №№ 2975, 2979, 2985 და 3001.

ჩიტაძე შ., გამოძახილი, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1906, №№ 3013, 3019, 3025 და 3031.

209. პოლიციმეისტერის მარტინოვის დაჭრა, გაზეთი „ახალი ცხოვრება“, 1906, 6 ივლისი, № 13.

210. ქართული გიმნაზიის აკლება, გაზ. „შრომა“, 1906, № 75.

211. ჩიტაძე შ., გაზ. „ახალი ცხოვრება“, 1906, 7 ივლისი, № 14.

212. სათავად-აზნაურო გიმნაზიის აკლება, გაზ. „ახალი ცხოვრება“, 1906 წ., №14.

213. მიქაბერიძე ალ., ამხანაგს და წინამძღოლს, გაზ. „შრომა“, 1906, № 76.

214. მგალობლიშვილი ს., შიო ჩიტაძის ხსოვნას, გაზ. „შრომა“, 1906, № 77.

215. გუნია ვალ., სიტყვა შ. ჩიტაძის დასაფლავებაზე, გაზ. „შრომა“, 1906, № 77.

216. განდეგილი, შიოს ცხედრის წინაშე, გაზ. „შრომა“, 1906, № 76.

217. ქართველ ქალთა მიმართვა სახელმწიფო დუმისადმი შიო ჩიტაძის მკვლელობის გამო, გაზ. „სიმართლე“, 1906, № 5.

218. Читадзе Шио (Ворон), жертва безвременья (Образ Гамлета). Тифлис, 1906 г.

219. ჩიტაძე შიო, მაქსიმ გორკი და მისი შემოქმედება, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2906, 2912 და 2964 და 1906 წ., № 2977.

220. ჩიტაძე შიო, ანტონ ჩეხოვის სახსოვრად, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2857.

ჩიტაძე შიო, ნიცშეს იდეალი, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, №№ 2868, 2871 და 2875.

222. ჩიტაძე შიო, მწუხრის მგოსანი, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2908.

223. ჩიტაძე შიო, სამწუხარო მოვლენა, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2930.

ჩიტაძე შიო, იბსენის დრამის გმირები და პიროვნების თავისებურება, გაზ. „შრომა“, 1906 წ., № 90.

225. ჩიტაძე შიო, დრამატიული საზოგადოების საყურადღებოდ, გაზ. „ცნობა ფურცელი“, 1905 წ., № 2863.

226. ჩ ი ტ ა ძ ე შ ი ო, ქართული წარმოდგენები, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1906, № 2992.
227. ჩ ი ტ ა ძ ე შ ი ო, ფსიქოლოგიური წერილები (სულის ცხოვრება), ეურნ. „ნაკადულის“ დამატება — „პედაგოგიური ფურცელი“, 1905, № 5.
228. ჩ ი ტ ა ძ ე შ ი ო, „პედაგოგიური ფურცელი“, 1905, № 5.
229. ჩ ი ტ ა ძ ე შ ი ო, ქართული წარმოდგენ., გაზ. „შრომა“, 1906, № 4.
230. ჩ ი ტ ა ძ ე შ ი ო, ინტერესი სწავლაში, ეურნ. „ნაკადულის“ დამატება — „პედაგოგიური ფურცელი“, 1905, № 3.
231. ყ ვ ა ვ ი [ჩიტაძე შ.], საქართველოსათვის ქართული სკოლა, გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, № 2804.
232. ჩ ი ტ ა ძ ე შ ი ო, რაგვარი წიგნებია სასურველი მოზარდ თაობისათვის, ეურნ. „ნაკადული“-ს დამატება — „პედაგოგიური ფურცელი“, 1905, № 2.
233. ჩ [იტაძე] შ., ქურანა (რუსულით), ეურნ. „ჯეჯილი“, 1893 წ., № 6, გვ. 25—34.
234. საქართველოს სსრ ც. ა. ფონდი 422 (105, 4075).
235. გ ო მ ე ლ ა უ რ ი ივ., „დედა-ენის“ გაკვეთილი, ეურნ. „განათლება“, 1911, № 9.
236. უ რ უ შ ა ძ ე ვასო, მოგონებანი, გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი, 1951 წ.
237. გ ო მ ე ლ ა უ რ ი ივ., იაფ-ფასიანი წიგნების გამო, გაზ. „ივერია“, 1892, № 253.
238. გ ო მ ე ლ ა უ რ ი ივ., საჩუქარი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება. ახალციხე, 1895.
239. საქ. სსრ ც. ა. ფონდი 107, № 62.
240. საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 15.
241. საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების ფონდი A: 1745/9.
242. გ-რ ი ი. [გომელაური ივ.], საზაფხულო პედაგოგიური კურსები, „ივერია“, 1897, №№ 142, 145 და 153.
243. გ-რ ი ი. [გომელაური ივ.], ტირძნისი (მევახშეობის შესახებ სოფლად), გაზ. „ივერია“, 1897, № 259.
244. ნ ა ც ნ ო ბ ი [გოგებაშვილი] საპასუხოდ ერგება. თეატრალ (ეუძღვნა „კვალის“ რედაქციასა), გაზ. „ივერია“, 1897 წ., № 2.
245. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ი., სწორე გზა. გაზ. „ივერია“, 1897 წ., № 104.
246. გ-რ ი ი. [გომელაური ივ.], ალ. ნათაძის „ბავშვების მოკეთეს“ შესახებ, გაზ. „ივერია“, 1897, № 188.
247. ბ ო ც ვ ა ძ ე ლ., მცირე შენიშვნა, გაზ. „ივერია“, 1897, № 153.
248. ბ ო ც ვ ა ძ ე ლ., კიდევ „ბავშვების მოკეთეს“ შესახებ, გაზ. „ივერია“ 1897, № 216.
249. ნ ა თ ა ძ ე ალ., პასუხად ი. გ-ს, გაზ. „ივერია“, 1897, № 314.
250. ნ ა თ ა ძ ე ალ., წერილი რედაქციის მიმართ, გაზ. „ივერია“, 1897. № 181.
251. გ-რ ი ი. [გომელაური ივ.], კიდევ „ბავშვების მოკეთეს“ შესახებ, გაზ. „ივერია“, 1897, № 242.

გ ო მ ე ლ ა უ რ ი ივ., ახალი სენი ჩვენს პედ-გოგიაში, ჟურნ. „კვალი“, 1898. № 22.

ფ ა ლ ა ვ ა აკაკი. სპეტაკი აღმზრდელი. გაზ. „სახალხო განათლება“, 1946 წ., № 49.

254. გ ო მ ე ლ ა უ რ ი ივ.. ზაკარია ფალიაშვილის „ქართული კონცერტი. ჟურნ. „კვალი“. 1900, № 8.

255. გ ო მ ე ლ ა უ რ ი ივ.. ჩემი თავგადასავალი და მოგონებანი, დაცულია საქ. სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდში.

256. გ-რ ი ი. [გომელაური ივ.], ჩვენი საკვირაო სკოლები, ჟურნ. „კვალი“, 1900. № 40.

257. გ ო მ ე ლ ა უ რ ი ივ.. ახალი სასწავლებელი თბილისში (ტომერციული),. ჟურნ. „კვალი“, 1900, № 18.

258. საქართველოს სსრ ცენტრ. არქივი, ფონდი 107, სერია № 62.

259. მ ე გ ა ხ ლ ა ვ ა რ [ნაკიძე მიხ.]. არისტო ქუთათელაძის „წყარო“, (რეცენზია). გაზ. „იეერია“, 1898, № 59.

260. გ-რ ი ი. [გომელაური ივ.]. „წყარო“. წიგნი II. არ. ქუთათელაძისა (რეცენზია). ჟურნ. „კვალი“, 1900. №№ 51 და 52.

261. გ-რ ი ი. [გომელაური ივ.]. კ. დ. უშინსკი (მისი ცხოვრება და მოღვაწეობა). ჟურნ. „კვალი“, 1901. № 2.

ტ ა ლ ა ხ ა ძ ე ი., პროფ.. ძვირფასი მასწავლებელი. გაზ. „სახალხო განათლება“, 1948, № 49.

263. ნ. ლ ო მ ო უ რ ი ს ა და დ. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი ს წერილები ივ. გომელაურისადმი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1938. № 17.

264. გ ო მ ე ლ ა უ რ ი ივ., სკოლებში შესასწავლი ქართველი მწერლები, 1906.

265. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ი., ორ სიტყვაში ოთხიოდე უცნაურობა. გაზ. „დროება“, 1909 წ., № 245.

266. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ი., ფრიად მავნებელი მაგალითი (საპედაგოგიო შენიშვნა), გაზ. „ახალხო გაზეთი“, 1911 წ., № 364.

267. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი ი., ორკეცი ცილის წმენა (პასუხად თავ. კიტა აბაშიძეს). „სახალხო გაზეთი“, 1911 წ., № 390.

ბ ო ც ვ ა ძ ე ლ., ივ. გომელაურის „სკოლებში შესასწავლი ქართველი მწერლები“ (რეცენზია), გაზ. „მეგობარი“, 1906, № 4.

269. ბ ო ც ვ ა ძ ე ლ., ივ. გომელაური, ქართველი მწერლები. მესამე გამოცემა „სორაბნისა“, წიგნი I, თბილისი, (რეცენზია), ჟურნ. „განათლება“, 1910. № 7.

ტ ყ ე მ ა ლ ა ძ ე ივ.. ვანო (ივანე) მიხეილის-ძე გომელაური. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1918, № 3.

271. გ ო მ ე ლ ა უ რ ი ივ., ჩვენი სახალხო სკოლა. ჟურნ. „განათლება“, 1919, № 1.

გ ო მ ე ლ ა უ რ ი ივ., პედაგოგიური აზრები ნიკ. ბარათაშვილის ლექსებში, ჟურნ. „განათლება“, 1908, № 1.

გ ო მ ე ლ ა უ რ ი ივ.. პედაგოგიური აზრები ნიკ. ბარათაშვილის ლექსებში, გაზ. „საბჭოთა მასწავლებელი“, 1940, № 95.

გ ო მ ე ლ ა უ რ ი ივ., სწავლა-აღზრდის ისტორიიდან საქართველოში, ა. ს.

პუშკინის სახელობის თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის „შრომები“, ტ. III, 1941.

275. გ ო მ ე ლ ა უ რ ი ივ., იაკობ გოგებაშვილის შესახებ. ჟურნ. „განათლება“, 1913, № 8.

276. გ ო მ ე ლ ა უ რ ი ივ., კლ. კოროლენკოს მოთხრობა „აჩრდილნი“ (თარგმანი) ჟურნ. „მოამბე“, 1896, № 9.

277. გ ო მ ე ლ ა უ რ ი ივ., რა არის ხარკი და რისთვის ჰკრეფენ (თარგმანი), ი. იმედაშვილის გამოცემა. 1898.

278. გ ო მ ე ლ ა უ რ ი ივ., მოწაფის ჰიგიენა (თარგმანი). 1899. 1906. 1917 და 1920 წ. წ. გამოცემები.

279. გ ო მ ე ლ ა უ რ ი ივ., გოეთეს „ბუნება“ (თარგმანი), ჟურნ. „კვალი“, 1900. № 17.

280. გ ო მ ე ლ ა უ რ ი ივ., ანტ. ჩეხოვის „ალიაქოთი“ (თარგმანი). ჟურნ. „კვალი“, 1902. № 30.

281. გ ო მ ე ლ ა უ რ ი ივ., ანტ. ჩეხოვის „უფროსი მებაღის ნაამბობი“, ჟურნ. „განათლება“, 1914, № 5.

282. გ ო მ ე ლ ა უ რ ი ივ., ანტ. ჩეხოვის „მღვდელმთავარი“, გაზ. „ცნობის ფურცელი“. 1904. №№ 2594, 2600.

283. გ ო მ ე ლ ა უ რ ი ივ., ჰ. ჰაუპტმანის „მიხეილ კრამერი“, ჟურნ. „განათლება“, 1913. №№ 7, 8, 9 და 10.

284. გ ო მ ე ლ ა უ რ ი ივ., ჰ. ჰაუპტმანის „სელით ობოლნი“, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1914, №№ 24, 25, 26.

გ ო მ ე ლ ა უ რ ი ივ., ძველი მასწავლებლის შენიშვნები და მოგონებანი, საქ. სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 1849.

286. საქართველოს სსრ სახალხო განათლების სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, № 1742.

287. გ ო მ ე ლ ა უ რ ი ივ., დიდმა ოქტომბერმა ადადგინა მშობლიური ენა. გაზ. „კომუნისტური განათლება“. 1937. № 104.

288. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე ვ., დ უ მ ბ ა ძ ე დ., გ ო მ ე ლ ა უ რ ი ივ., დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი შ.. Самоучитель грузинского языка. 1925 г.

289. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე ვ.. დ უ მ ბ ა ძ ე დ.. გ ო მ ე ლ ა უ რ ი ივ.. ქრესტომათია არაქართველთათვის, სახელმწიფო გამომცემლობა, 1925.

290. გ ო მ ე ლ ა უ რ ი ივ., „სხივი“ (ქრესტომათია), სახელგამი. 1927 წ.

291. გ ო რ გ ა ძ ე ს.. გ ო მ ე ლ ა უ რ ი ივ.. თ ა ბ უ კ ა შ ვ ი ლ ი შ., „ტალღები“ (ქრესტომათია), სახელგამი, 1928 წ.

292. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი იაკობ. თხზულებანი. ტ. 2. შედგენილი ვ. ქაჯაია და ზ. კიკნაძის მიერ. რედაქტორები გ. თავზიშვილი და დ. ლორთქიფანიძე, თბილისი. 1954 წ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვ-
ავტორისაგან .	3

ნ ი კ ო ც ხ ვ ე დ ა ძ ე

1. ნიკო ცხვედაძის ახალგაზრდობა და მისი პირველი წერილები ქართულ პრესაში	7
2. ნ. ცხვედაძის პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის სასულიერო სემინარიაში და მისი სემინარიიდან განდევნა	11
3. ნიკო ცხვედაძე „მნათობისა“ და „კრებულის“ თანამშრომელი . . .	16
4. ნიკო ცხვედაძე თბილისის ქალთა ინსტიტუტში და მისი პედაგოგიური წერილები	19
5. ნ. ცხვედაძე და „ქართველთა ზორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“	30
6. ნ. ცხვედაძე და თბილისის ქართული გიმნაზია	40
7. ნ. ცხვედაძე და წინამძღვარიანთკარის სამეურნეო სასწავლებელი . .	54
8. ნიკო ცხვედაძის როლი თბილისის საქალაქო დაწყებითი სკოლისა და საუელოსნო სასწავლებლების მუშაობის გარდაქმნაში . .	56
9. ნიკო ცხვედაძე და ბრძოლა ქართული უნივერსიტეტისათვის	60
10. ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე	76

ა ლ ე ქ ს ი ჯ ი ჯ ი ნ ა ძ ე

1. ალ. ჭიჭინაძე და მისი საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობა ქუთაისში	95
2. ალ. ჭიჭინაძე თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი .	108
3. ალ. ჭიჭინაძე — სახალხო სკოლების დირექტორი	113
4. ალ. ჭიჭინაძე — ბონის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორი	119
5. ალ. ჭიჭინაძე — თბილისის ქართული გიმნაზიის დირექტორი	122
6. ალ. ჭიჭინაძის პედაგოგიკურ-დიდაქტიკური შეხედულებანი . . .	124
ა. სკოლის ძირითადი ამოცანა და მშობლიურ ენაზე სწავლება . .	126
ბ. შეგნებულობა სწავლებაში . . .	129
გ. თვალსაჩინოება სწავლებაში .	130
დ. ეურისტული მეთოდი სწავლებაში	133
ე. ცალკე სასწავლო საგანთა სწავლების შესახებ	134
ვ. მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის შესახებ .	137

შ ი ო ჩ ი ტ ა ძ ე

1. გამოჩენილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე .	143
2. შიო ჩიტაძის ბავშვობა და ახალგაზრდობა	144
3. შიო ჩიტაძე კიევში	150

4. შიო ჩიტაძე თბილისის ქართულ გიმნაზიაში 155
5. ქართული გიმნაზიის აკლება და შიო ჩიტაძის მკვლელობა . 167
6. შიო ჩიტაძის კრიტიკულ-ლიტერატურული მოღვაწეობა 178
7. შიო ჩიტაძის პედაგოგიური იდეები . . 183

ივანე გომელაური

1. ქართული სკოლისათვის მებრძოლი სახალხო მასწავლებელი 197
2. ივ. გომელაურის ახალგახრდობის წლები 199
3. ივ. გომელაური ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელში 201
4. ივ. გომელაური წინამძღვარიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში 219
5. ივ. გომელაურის სახოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობა ჭიათურაში 220
6. ივ. გომელაურის მიერ შედგენილი ლიტერატურის სახელმძღვანელოები. 225
7. ივ გომელაურის ბრძოლა მენშევიკური მთავრობის „საგანმანათლებლო" პოლიტიკის წინააღმდეგ 231
8. ივ. გომელაურის ნაყოფიერი მუშაობა საბჭოთა სკოლაში . . 233
9. ივ. გომელაურის სახოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობის ღირსეული დაფასება 236

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები 243